ნოდარ გრიგალაშვილი

თანამდევი სული

(ილია და მისი ეპოქა)

2 წიგნად



ნოდარ გრიგალაშვილი

თანამდევი სული

ტომი II

დიდ მადლობას ვწირავ „ჩაღლარის საგანმანათლებლო
დაწესებულებათა“ ხელმძღვანელობას
საქართველოს განათლებისა და კულტურის სფეროში
გაღებული წვლილისათვის

გამომცემლობა
„ახალი საქართველო“
თბილისი
2011 წ.

თავი პირველი

ილიას წუთისოფელი

1837-1907

1900

თეატრის იუბილე. გიორგი წერეთლის გარდაცვალება. ილიასა და ნოე ჟორდანიას პოლემიკა. ფულის მოპარვა ილიას ბანკიდან. ილიას ავადმყოფობა და ბერლინს გამგზავრება. უკანასკნელი მოჰიკანი. უნივერსიტეტის საძირკვლის კურთხევა.



„არის ორი დაწესებულება, რომლის კარი მუდამ ღია უნდა იყოს ყველასათვის და შიგ შესვლა უფასო. ეს გახლავთ ეკლესია და სკოლა, ღვთის ტაძარი და ტაძარი ცოდნისა“.

ილია

1900 წლის 2 იანვარს აღინიშნა ქართული თეატრის დაარსებიდან 50 წლის იუბილე. ილიას უკვე მომრავლებულ და მომძლავრებულ ოპონენტებს, ეს სიამოვნებთ თუ არა, ის მაინც ექცევა ყოველგვარი საზოგადო საქმის ცენტრში.

თეატრის იუბილე უილიაოდ წარმოუდგენელია, რადგან პროფესიული თეატრი არსებობას დრამატული საზოგადოების შექმნის შემდეგ იწყებს. დრამატული საზოგადოების შექმნის სათავეში კი ილია იდგა. 1879 წლიდან მოყოლებული, თეატრი იყო ადგილი, სადაც რუსული პოლიტიკის ყიამეთში მშობლიურ ენას გაიგონებდი.

ისე ახლოს მწერალი და მსახიობი ერთმანეთთან არასოდეს ყოფილან, როგორც ეს მე-19 საუკუნის 80-იან წლებში და XX საუკუნის დასაწყისში იყო.

მწერლები თავადაც მსახიობობდნენ, რეჟისორობდნენ, ხოლო მსახიობთაგან ბევრი სცდიდა ბედს მწერლობაში.

მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ სცენაზე ილია და აკაკი გამოდიოდნენ, ხოლო ყაზბეგს სული მისდიოდა ფიცარნაგისთვის.

იმ დროისთვის, რომელსაც აქ ვეხებით, გვყავდნენ დიდი მსახიობები: ლადო ალექსი მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია–ცაგარელისა, მარიამ საფაროვა–აბაშიძისა, კოტე ყიფიანი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, კოტე და ეფემია მესხები, – და–ძმა სერგეი მესხისა, ვალერიან გუნია და სხვანი.

იმჟამად მსახიობობა იყო გმირობის ტოლფასი, რადგან გასამრჯელო იმდენად მცირე გახლდათ, თეატრი ფაქტიურად სცენის ფანატიკოსების ენთუზიაზმზე არსებობდა.

ამის მიუხედავად, თეატრის უმნიშვნელოვანესი მისიიდან გამომდინარე, ქართველებმა შექმნეს სახალხო თეატრებიც, რომელთაც ადგილობრივ სცენისმოყვარეთა ძალებით ამუშავებდნენ. იყო სახალხო კითხვის საზოგადოებაც. სხვათა შორის, რუსებმა სახალხო თეატრებს კი მისცეს უფლება ქართულ ენაზე დაედგათ წარმოდგენები, მაგრამ იგივე სპექტაკლი აუცილებლად რუსულადაც უნდა განეხორციელებინათ... ხოლო სახალხო კითხვები მხოლოდ რუსულად იყო ნებადართული. რა წაეკითხათ, ისიც ზემოდან იყო დადგენილი. ასე, მაგალითად, ნებადართული გახლდათ სცენიდან ეკითხათ ტექსტი თემაზე ყვავილის აცრა ან ჯვაროსნების ლაშქრობა, ან კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა და სხვა მისთანანი. თბილისში ამ საზოგადოების, ანუ „სახალხო კითხვათა კომისიის" თავმჯდომარე იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ხუდადოვი. თუ რაოდენ საშიში იყო იმ დროს საზოგადო მოღვაწეობა, ჩანს ამ კაცის ტრაგიკული ხვედრიდან. შეიქმნა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი", რომელიც შოვინისტი და ხულიგანი რუსების კავშირი იყო. პირველი მკვლელობა თბილისში მათ ხუდადოვის წინააღმდეგ ჩაიდინეს. ექიმი ხუდადოვი რკინიგზის საავადმყოფოში, თავის სამსახურში მიდიოდა, უკნიდან მიეპარა მკვლელი და ტყვია დაახალა. საავადმყოფოდან გამოცვენილმა პერსონალმა ვერაფერი იღონა, მათი საყვარელი ექიმი სისხლში ცურავდა.

რაც შეეხება სახალხო თეატრებს, აქ ძირითადად მოყვარულნი თამაშობდნენ. ერთ ანეკდოტურ ამბავს გვიამბობს გ. ლასხიშვილი, რომელიც ამ დროისთვის დრამატული საზოგადოების წევრად იყო არჩეული. „მეც მოვინდომე ჩემი სცენიური ნიჭის გამოცდა – ჰყვება იგი – მომცეს გიორგი ლაშას როლი კ. მესხის „თამარ ბატონიშვილში"

...მე ერთობ ბეცი ვარ და ორ ნაბიჯზე ვერაფერს ვხედავ. ამ გარემოებამ დიდ უხერხულობაში ჩამაგდო და თან სამუდამოდ მომიკლა არტისტობის ჟინი.

თუ არ ვცდები, მეორე მოქმედებაში გიორგი ლაშა და დედოფალი ნარდს თამაშობენ. დედოფლის როლს ასრულებდა მარიამ დემურიასი. პირველსავე გაგორებაზე კამათლები იატაკზე გადმოცვივდა. გადავხედე ჩემს ამალას, არავინ ადგილიდან არ იძვრის. ამალა შედგებოდა შემთხვევით თეატრის დარბაზიდან მოყვანილ ახალგაზრდა ხელოსნებისგან, რომელთაც სასტიკად ნაბრძანები ჰქონდათ, უძრავად მდგარიყვნენ მეფის სიახლოვეს, დაბალი ხმით მივმართე კიდეც, – „კამათელი მომიძებნეთ" მეთქი, მაგრამ ისინი

იდგნენ გაშეშებულნი. სხვა გზა არ იყო, დავტოვე სავარძელი და დავიწყე იატაკზე ფორთხვა. ცოტა ხნის შემდეგ დედოფალიც გამომყვა და ასე კარგახანს დავფორთხავდით. ამალა კი თავზე დაგვჩერებოდა...

მესამე მოქმედებაში გიორგი ლაშა ცალთვალამოთხრილი გამოდის სცენაზე. რეჟისორის თანაშემწე ცალ თვალს მიხვევს. ვეხვეწები, მარცხენა თვალს ნუ მიხვევთ, რადგან მარტო ამ თვალით ვხედავ ცოტაოდნავ მეთქი, მაგრამ ჩემმა ხვეწნამ არ გასჭრა: რეჟისორმა ბრძანა, მარცხენა თვალი აუხვიეთო. გამოვედი სცენაზე, სადაც შეკრებილია სასახლის დიდებულები, სარდლები და სალაშქროდ გამზადებული ჯარი. მივედი ჯართან, ამოვიღე ქარქაშიდან ხმალი და დავიწყე ჯარის გამამხნევებელი სიტყვა. ამ დროს მომესმა ხმაურობა, რაღაც აურ–ზაური, ოდნავ ვხედავ კიდეც, რომ ჯარიც, სარდლებიც, დიდებულებიც, ჩემი ამალაც სცენიდან გარბიან. მაყურებელში სიცილი და ყიჟინი ასტყდა. მე მარტო ვარ სცენაზე და განვაგრძობ ჯარისადმი ჩემ მისალმებას... სანამ ხმალი არ ჩავაგე ქარქაშში, სცენაზე არავინ არ გამოვიდა. მერე მითხრეს, რომ ნამეტანი ახლოს მივსულვარ ჯართან და ყველას შეჰშინებია – თავებს ნაგვაჭრის ეს ბრუციანიო.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ აქტიორობა აღარ გამიბედია".

ეს სახალისო სიუჟეტი, გარდა თავისთავადი ღირებულებისა, იმადაც გაგაცანით, რომ საერთო სურათიც წარმოვადგინოთ. თუ ორმოცდაათი წლის წინ, როცა გიორგი ერისთავი „გაყრას" დგამდა, მსახიობის მოძებნა ძნელი იყო, ქალის სცენაზე გამოსვლა ხომ საერთოდ წარმოუდგენელი, ახლა უკვე ყველას სცენისკენ უწევს გული – ნიჭიერსაც და სამსახიობო უნარისგან თავისუფალსაც.

იმდენად დიდი იყო ქართული თეატრის სიყვარული, რომ, მაგალითად, ვასო აბაშიძეს მისი სკოლის მეგობრის, ალექსანდრე სუმბათაშვილ–იუჟინის ხვეწნის მიუხედავად, ჩამოდი მოსკოვში, მანდ მშიერი რად კვდები, აქაური სცენიდან მსოფლიო გაგიცნობსო, ფიქრადაც არ მოსდის ქართული თეატრის მიტოვება.

მერედა, როგორი ნიჭიერი ყოფილა ვასო აბაშიძე? ერთხელ სპექტაკლის დაწყების წინ უთქვამს, ძლიერ ავად ვარო. გაუზომეს სიცხე, 39 გრადუსი აქვს. გვარიანად რომ შეაშინა მეგობრები, წამოხტა, გეხუმრეთო. გაუზომეს სიცხე და არ ჰქონდა...

თავისი ტემპერატურის მართვაც კი შეეძლო და წარმოსადგენია, როგორ მართავდა ის მაყურებლის განწყობას.

2 იანვარს ილია ამ თავის მეორე ოჯახშია, ცხადია, მისი სამწერლო ოჯახის წევრნიც ყველანი აქ არიან და ილია კითხულობს მისასალმებელ ადრესს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით. „კვალი" ობიექტურობას გაითამაშებს, დაბეჭდავს ივანე გომართელის წერილს თეატრის იუბილესთან დაკავშირებით, რომელშიც პატიოსნად არის აღნიშნული ილიას ღვაწლი თეატრალური საზოგადოების შექმნის საქმეში.

ხოლო „მოამბე" ილიას მეგობრის პეტრე უმიკაშვილის წერილს ბეჭდავს. „მოამბისგან" ილიას ღვაწლის დაფასება, ცხადია, ბუნებრივი იყო. იქ მთლიანად ილიას გუნდია თავმოყრილი, მაგრამ ეს წელიწადი ისე როგორ ჩაივლიდა, რომ „კვალს" და კვალელებს ილიასთვის ბრძოლა არ გაემართათ. იანვრის მეორე ნახევრიდან ეს ბრძოლა უკვე იწყება.

1900 წლის 12 იანვარს გარდაიცვალა გიორგი წერეთელი. გიორგი წერეთელი სამოციანელთა ერთი გამორჩეული მოღვაწე იყო, მშვენიერი პროზაიკოსი და მუდმივად საქვეყნო საქმეში ჩართული კაცი, მაგრამ 1893 წლიდან მოყოლებული, როცა „კვალს" ჩაუდგა სათავეში, ილიასთან მუდმივი პაექრობა ჰქონდა. უფრო მწვავე კამათი მასა და გოგებაშვილს შორის იყო ატეხილი, თუმცა ეს ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. გიორგისა და ილიას ურთიერთობა უფრო იმან დაძაბა, რომ გიორგი წერეთელმა მესამე დასელებს მისცა მწვანე გზა. მიუხედავად იმისა, რომ წერეთელი მათი მხოლოდ თანამგრძნობი იყო და არა დასის წევრი, თავისი ავტორიტეტი იმათ გაძლიერებას მოახმარა. „კვალს" ფაქტიურად ნოე ჟორდანია განაგებდა. პასუხისმგებელ მდივნად, როგორც ჩანს, მან მიუყვანა და დაუსვა ფილიპე მახარაძე.

მართალია, სანამ გიორგი ცოცხალი იყო, ილიას წინააღმდეგ მხოლოდ ისეთი კამპანია წარმოებდა, რაც ლიტერატურული პოლემიკის ფარგლებს არ გასცილებია, მაგრამ ილია რომ ძველ ამხანაგზე განაწყენებული იყო, ამას წყალი არ გაუვა. სწორედ იმ დღეებში ილია ბაქოში მიდის ბანკის ფილიალის შესამოწმებლად. 16 იანვარს იქაური ქართველები შეიკრიბნენ და გიორგი წერეთლის პანაშვიდი გადაიხადეს. ამ პანაშვიდს ილიაც დაესწრო. ის რომ იქ, ბაქოში, წერეთლის პანაშვიდზეა, აქ, დიდუბეში, მწერალს კრძალავენ, სადაც მესამე დასელებმა ძალიან ბევრ თანამგრძნობს მოუყარეს თავი და ამ დაკრძალვას არც ილიას აუგად ხსენების გარეშე ჩაუვლია.

აკაკი გიორგი წერეთლის მეგობარი იყო სტუდენტობის დროიდან. ამ დროისათვის ის უკვე კარგა ხნის წამოსულია „კვალიდან", ეტყობა, იმთავითვე იგრძნო „კვალის" ახალგაზრდებთან საქმის მთლად ახლოს დაჭერა რომ არ შეიძლებოდა. თვით გიორგიმ კი, როგორც მაშინ ამბობდნენ, ფეხი წამოკრა, მეტისმეტად ჩაიხუტა ეს მესამე დასელები. მისი გარდაცვალების შემდეგ „კვალს" მთლიანად „მესამე დასელნი" დაეპატრონნენ. სხვათა შორის, ყველაზე ზუსტად აკაკი დაახასიათებს გიორგის და თანაც მის გამოსათხოვარ სიტყვაში. აი, როგორ მთავრდება აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვა: (აკაკი იხსენებს მის ბავშვობას) „ერთ კვირა დღეს გიორგი წერეთელი თავის ამხანაგებთან ერთად თავმოყრილი თამაშობდნენ მამა–მაგისის დიდ ეზოში: დაჰკრეს წირვის ზარები და პატარა გიორგი გაეშურა ეკლესიისაკენ. გზაში ფეხი წამოჰკრა და დაეცა, მაგრამ უკანვე არ დაბრუნებულა, წამოდგა ზეზე, გაიბერტყა ტანისამოსი და წავიდა მაინც საყდარზე. ნანირვებს რომ დაბრუნდა, ამხანაგებმა სიცილი დააყარეს, რად წაიქეციო!.. მაშინ გამოესარჩლა შვილს გიორგის მამა, ექვთიმე წერეთელი და უთხრა სხვებს: „თქვე უგუნურებო, როდესაც ჩემი გიორგი კარგის გრძნობით გატაცებული წირვაზე მიეშურებოდა, თქვენ მაშინ აქ თამაშობდით და ნუ თუ მისი წაქცევა ისევ წამოდგომა და კეთილი განზრახვის ასრულება უფრო მოსაწონი არ არის, ვიდრე თქვენი აქ დარჩენა, უბრალო ბურჭალი და სახედრის გაჩინდრიკ-გამოჩინდრიკებაო?!" განსვენებულ გიორგისაც შეეძლო ამავე სიტყვებით ეპასუხნა ზოგიერთებისათვის". ძნელია რამე დაამატო ამ სიტყვებს, არა მხოლოდ გ. წერეთლის, არამედ ყოველ იმ მოღვაწის შეფასებისას, რომელსაც თავისი ქვეყნისთვის ბევრი რამ კარგი გაუკეთებია და რაღაცაში წაფორხილებულა კიდეც. მით უფრო, როცა მათი მსჯავრი ხშირად იმათ გამოაქვთ, რომელნიც მართლაც არასოდეს არსად საქვეყნო საქმეში არ წაფორხილებულან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი საქმე არასოდეს გაუკეთებიათ...

●

როგორც იტყვიან, გაციებული არ იყო გიორგი წერეთელი, როცა ნოე ჟორდანიამ ილიას წინააღმდეგ ახალი შემოტევა წამოიწყო. 30 იანვარს დაიწყო „კვალში" წერილების ბეჭდვა სახელწოდებით „პრესა".

1895 წლიდან მოყოლებული ნოეს წელიწადი არ ჩაუგდია, რომ ილიას საწინააღმდეგოდ რამე არ დაეწერა. თავად ილიას ერთხელაც არ გაუცია პასუხი.

ბოლოს და ბოლოს, მასაც დაელია მოთმინება. მოჰკიდა კალამს ხელი და უძღვნა წერილების სერია: 1) **„უმეცრების ფართი–ფურთი“**; 2) **„პატარა საუბარი“**; 3) **„ახალი უმეცრებანი ბ–ნ ნოე ჟორდანიასი“**; 4) **„პატარა საუბარი“**; 5) **„ისევ პატარა საუბარი“**; 6) **„ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცრისა“**; 7) **„პატარა საუბარი“**; 8) **„ისევ და ისევ ბ–ნ ჟორდანიას უმეცრებანი და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი“**.

ეს ყველაფერი თვე ნახევრის მანძილზე, მარტის შუა რიცხვებიდან მაისამდე. რატომ გაუყადრა თავი ჟორდანიას? ჯერ ერთი, ის უკვე რევოლუციონერთა ბელადად ქცეულიყო და, მეორეც, როგორც ილია ამბობს, ყელში ამოუყვანა ანწლის შვილდ–ისრით განუწყვეტელი თავდასხმები.

რაც ხუთი წლის მანძილზე პასუხგაუცემლად ითმინა, ერთბაშად ამოხეთქა. ილია არ მალავს, პირდაპირ ამბობს: **„დიდი ხანია გულს მისიებს, გულს მიმღვრევს ბ–ნ ჟორდანიას უმეცრობის ფართი–ფურთი და ქადილების მტვრევა–ბუქი. ვითმინე, ვითმინე და ბოლოს აივსო ფიალა მოთმინებისა“**.

მტერს, მან რომ ჟორდანია დღეში ჩააგდო.

ამ ხანგრძლივი პოლემიკის გადმოცემა ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ მოკლედ შევეხები. ილია რკინის ლოგიკით ამტკიცებს, რომ ამ ნაფიცმა მარქსისტმა არ იცის:

1) სიტყვა ფინანსურის მნიშვნელობაც კი.
2) სიტყვა ბურჟუაზიის მნიშვნელობაც კი.
3) სიტყვა დამფუძნებლის მნიშვნელობაც კი.
4) სათავადაზნაურო ბანკის დანიშნულებაც კი.
5) სიტყვა კაპიტალის მნიშვნელობაც კი და მისთანანი.

გაგიკვირდებათ, ნუთუ ასეთ ელემენტარულ საკითხზეა თვე – ნახევრიანი კამათი? ფორმალურად არა. ეს ელემენტარული საკითხები ილიამ ამოუყარა, კედელთან მიაყენა და ყოველ მკითხველს სრულიად ნათლად დაუხატა, რომ ამ ახლად მოვლენილმა ბელადმა არ იცის ანა–ბანა, რომ გერმანიაში წასულა ცარიელი, ჩამოსულა ასევე ცარიელი, რომ მარქსი ამის შემხედვარე იტყოდა, დამარქვით ყველაფერი, მარქსისტობას კი ნუ დამწამებთო.

ილიამ ამ პოლემიკაში სრულად განაიარაღა ჟორდანია. ის იძულებულია ვიღაც გლეხი კირვალიძის და 101 კაცის, კირვალიძის-

ნაირი „ფილოსოფოსების“ კოლექტიური წერილი გამოაქვეყნოს ილიას წინააღმდეგ.

ამაზე ილია უპასუხებს, – გერმანიაში იმიტომ მიდიოდი, ბოლოს კირვალიძის სიბრძნეს რომ ზიარებოდიო? **ხმა იწონება და არ ითვლება, იქ, სადაც სჯა და ბაასია, ერთი კირვალიძე ერთი ნულია, ასი კირვალიძე კი ასი ნულიო.**

„გნებავთ საქართველოში თუნდა ათი ათას კაცს ხელს მოვაწერინებ, რომ დედამიწა ხარის რქაზედა დგას და ნუთუ ეს მცირეოდენ მცოდნე კაცისთვის საბუთია? ნუთუ ამ ათი ათას კაცის ხმა უფრო მეტს იწონის, ვიდრე ერთი ხმა გალილეისა?“

ბარემ შენი ბრძენობის დამადასტურებელი ხელმოწერებიც მოაგროვე, თორემ ლამის არის „ივერიამ“ უვიცობის სახელი დაგიგდოსო – ერთ პოლემიკურ წერილს მწარე ირონიით ამთავრებს ილია. ასი ნული ისევ ნულიაო?- ამას ბ–ნი ნოე რევოლუციონერის ხრიკით გამოეხმაურება.

ხედავთ? ხალხის წარმომადგენლებს ნულებს ეძახისო!

ჩვენი ხალხი ასეთი „ნულებისაგან“ შედგება და მაშ ყველა წყალწაღებული ყოფილაო. ჟორდანია ამ სოფისტიკას მკაცრ დასკვნასაც მოაყოლებს: **„იმედია, ამას არ დაივიწყებს ასე ყბად აღებული ქართველი ხალხი“...**

ეს უკვე შანტაჟი, ეს უკვე რევოლუციური მუქარა იყო.

ილია პასუხობს: „ეს რა საქმეზე აქეზებთ საქართველოს ხალხს, რომ იმედია არ დაივიწყებს ასე ყბადაღებული საქართველოს ხალხიო“ და სამის წერტილით ათავებთ ამ სიტყვებს ბოლოში?"

მაშინ ეს რიტორიკული კითხვა იყო, მაშინ ილია, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ ამ სამ წერტილს მართლა ტყვიები ჩაენაცვლებოდა.

პოლემიკაში კი ჟორდანია დააყენა ილიამ კედელთან. ილიას თურმე იმის თქმის უფლება არ ჰქონდა, – ასი ნული ისევ ნულიაო და ამ ასი ნულის გამო მთელი ერისთვის მიუყენებია შეურაცხყოფა, მაშინ, როდესაც თვით ჟორდანიას აი, რა ციტატი ამოუგდო ჭავჭავაძემ: „გონიერება საზოგადოდ იშვიათი რამ არის, ის სანთლით საძებარია, ხოლო უგუნურობა ყოველთვის და ყოველგან ადვილად მისაგნებია. ცხადია, პირველის ჭურჭელი – ინტელიგენცია – ცოტაა, სულ ერთი მუჭაა, მეორის კი (ესე იგი უგუნურების) მთელი ხალხი, მთელი ერია“.

წარმოიდგინეთ ამ ციტატის ავტორი რომ ილია ყოფილიყო, მაშინ როგორ დააბეზღებდა იმავ ხალხთან და როგორ დაემუქრებოდა ეს „მარქსის პამპულა“ (ილიას სიტყვებია).

ბუნებრივია, ეს კამათი ჟორდანიას პირწმინდა შერცხვენით დამთავრდა, მისი ბოლო გაბრძოლება ის იყო, რომ თავის პარტიულ ამხანაგებს, მათ შორის საზღვარგარეთიდანაც, კოლექტიური წერილები გამოაგზავნინა „კვალში"...

ვინც ამ წერილებს წაიკითხავს, აქ სრულად ჩანს სხვადასხვა მასშტაბები. თითქოს გულივერი დააბიჯებს ლილიპუტების ქვეყანაში, ისე ჩანს ილია თავისი კალმით მესამე დასის პუბლიცისტთა გაოხრებულ ყანაში...

იოსებ იმედაშვილის ერთი მოგონება შემოგვრჩა:

„ერთ კვირა დილით „კვალის" მორიგ ნომერში ილიას აუგით მოხსენიება ამოვიკითხე: ნოე ჟორდანიას ბინაზე ავირბინე. ამ დროს ცხოვრობდა სათეატრო შესახვევში კუთხის სახლში, ზედა სართულზე. მის პირდაპირ, ჩიხის ბოლოს, ეზოში კი – ფილიპე მახარაძე.

ნოე სადღაც წასასვლელად ემზადებოდა.

– ნოე, ილიას თუ შებედეთ, თქვენ თავს როგორღა აკადრეთ ქართველი ერის საამაყო შვილის ასე გაბიაბრუება, – განა ეს შესაწყნარებელია!

– რროგორ ააღელვებულხარ და რროგორ გუნებაზე დდამდგარხარ?! რა მოხდა? (როგორც ცნობილია, ნოე ენას უკიდებდა).

– როგორ თუ რა მოხდა? ილიას ასე აუგით ხსენება კარგ ნაყოფს არ მოიტანს, ეს იცოდეთ!..

– ოჰო, �imუქრები კიდეც.

– მე კი არ ვიმუქრები, საქმეს მოგახსენებთ..

– ჩჩემო იოსებ, ррогорр ლლაპარაკობ... კრიტიკა, პოლემიკა, ggანა საძრახია?!

– კრიტიკა და პოლემიკა კი არ არის საძრახი, არამედ ლანძღვა–გინება!.. ეგ კრიტიკა და პოლემიკა მთელ ჩვენ მდაბიო ხალხს – მასას რომ ვეძახით, – სხვანაირად ეწვეთება ყურში... ეს ერთი, მეორეც – ილია ჭავჭავაძე განა ეგრე ხელწამოსაკრავი კაცია, – განა „კაცია ადამიანის?!", „კაკო ყაჩაღის", „განდეგილის" თუ „აჩრდილის" დამწერი მაგის ღირსია!...

– ششენ ვვინ გითხრა, რომ ილიას, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატს, ბელეტრისტსა და პოეტს ვებრძოდე, – iiის ამ მხრივ კკლასიკოსია და ჩვენში ძნელად თუ ვინმე ششეედაროს, – მე ვებრძვი მის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეხედულებებს... აი, რაშია ჩვენი განსხვავება!... iiიცოდე, ილია მმიყვარს როგორც პოეტი და ბელეტრისტი, მაგრამ ვებრძვი როგორც პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს...

დღეს ჩვენთვის ილიას დროშა ვერ გამოდგება.

– მე კი მგონია, მოვა დრო და თქვენც ილიას დროშას შეეფარებით. ეს კარგად იცოდეთ, ვისაც საქართველო უნდა – ილიას დროშას ვერ გასცდება!..“

ჟორდანია რასაც პასუხობს, გულწრფელია. ის ილიას, მხატვარს, დიდად აფასებდა და ემიგრაციაში ორი წერილი უძღვნა მას, მაგრამ ისიც მართალი იყო, რომ რისთვისაც ილიას ებრძოდა, იმ იდეის წინამძღოლობაც მას მოუწია.

სხვის ქორწილში დაჯდა სასიძოდ და, რა გასაკვირია, თუ პენელოპე კიდევ უფრო შავ დღეში იქნებოდა ძალადმაცხონე სასიძოების ხელში, თუ მის კანონიერ პატრონს, ოდისევსს, მოკლავდნენ...

●

ნოე ჟორდანიამ ილიასთან პოლემიკა პირწმინდად წააგო, მაგრამ ილიას ბანკში ისეთი რამ მოხდა, ნოეს ილიას დამუნათების საშუალება მიეცა.

ბანკობიადის დროს იქ ტრიალებდნენ ე.წ. ნეიტრალები, რომელთა შორის ძმები ყიფიანებიც იყვნენ. ესენი თავისი ჯგუფით ილიას მომხრეებად იქცნენ და დაუფასდათ კიდეც. მაგ, პალიკო ყიფიანი ბანკის დირექტორის დავით ავალიშვილის გარდაცვალების შემდეგ დირექტორად აირჩიეს, შემდეგ ორი თვით ბაქოში მიავლინეს ბანკის იქაური განყოფილების ხელმძღვანელადაც.

ეს კაცი 1899 წლის იანვარში შეამოწმა პირადად ილიამ და, როგორც ზემოთ გითხარით, 1900 წლის 16 იანვარსაც ბაქოში იყო სწორედ ბანკის შესამოწმებლად ჩასული. დიდი დარღვევები ვერაფერი აღმოუჩენია, მაისში მეორე რევიზია ჩასულა ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით, ამათ დარღვევები უპოვეს, მაგრამ თანხა არც მაშინ აკლდა ბანკს.

ფულის მოპარვა ილიას ბანკიდან მანამდე არავის სმენია. უცებ მეხივით დაატყდათ ეს ამბავი. სწორედ მაისის, ანუ მეორე რევიზიის შემდეგ ამ პალიკოს შვებულება და სამკურნალოდ ერთი თვით საზღვარგარეთ წასვლა უთხოვია. გაუშვეს. ახალდანიშნულმა მანსვეტაშვილმა აღმოაჩინა, რომ ბანკიდან ფული იყო გატაცებული. ყიფიანი უკან აღარ დაბრუნებულა.

მანსვეტაშვილის ცნობით, მას 80 000 მანეთი კარტში წაუგია. საბანკო კრებაზე კი დადგინდა, რომ ბანკის დანაკლისი იყო 26 856

მან. და 76 კაპ. ესეც დიდი თანხა იყო. ეს ჩვენი პალიკო კი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, აორთქლდა. აღარ გამოჩენილა.

აქ აკაკი იოხუნჯებს:

„მაშინ სთქვეს დირექტორებმა,
ახლა კი დადგა თვალიკო;
აღარც თუ სადმე ფულია
და აღარც ჩვენი პალიკო“.

ამაზე დიდი დარტყმა ილიასთვის ვის უნდა მიეყენებინა. დგას და საყვედურებით ავსებენ, მერე და ვინ, ერთ-ერთი ვანო მაჩაბლის ძმა, ილიას ძველი მეგობარი ვასო მაჩაბელი. რა უნდა უპასუხოს? ის, ვინც პატიოსანი მუშაკი იყო, ყველაფერს გაეცალა, ყველაფერი მიატოვა და უგზო–უკვლოდ გადაიკარგა, მისი ადგილი ვისაც ეკავა, ისიც გადაიკარგა, ოღონდ ფულიანად, ,იმ ფულით, რომელიც საზოგადო საქმეებს უნდა მოხმარებოდა.

ილიას რომ უმწიკვლო სახელი და დიდი ავტორიტეტი არ ჰქონოდა, დიდ სკანდალში გახვევდნენ, მაგრამ ეს არ ქნეს.

ის კი არა, 2 მაისს, თითქოსდა ილიას გასამხნევებლად, ახალ არჩევნებზე 130-მა კაცმა მისცა ხმა 30-ის წინააღმდეგ.

კვლავ დაადასტურეს სრული ნდობა თავისი თავმჯდომარისა. მაგრამ აგერ არ იყო „კვალი“ და ჟორდანია?

7 მაისს ნოე აქვეყნებს „კვალში“ წერილს „პალ. ყიფიანის საქმე“. საკმაოდ მოზრდილი წერილია. ავტორი დაწვრილებით აღწერს 1898 წლიდან მოყოლებული ყიფიანის ბაქოში მოღვაწეობის პერიპეტიებს, ყველაფერი მიჰყავს იქითკენ, რომ ამ დანაშაულში გამგეობის, ანუ მისი თავმჯდომარის გულგრილობა იკვეთებაო. ამასთან ჟორდანიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ილიას და გამგეობის მხოლოდ მორალურ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობს და ტონიც ისეთი აქვს შერჩეული, ეტყობა, ილიას წერილების სუსხს მასზე, კარგად უმოქმედია.

საქმის ვრცელი აღწერის შემდეგ ჟორდანია ასკვნის: „ამ ნაირათ, პალ. ყიფიანის საქმე მდგომარეობს შემდეგში: მან გაფლანგა ბანკის ფული და გაიქცა. ამაში პასუხის-მგებელია მხოლოდ ის და სხვა არავინ. მაგრამ ეს მოხდა პირველ მაისს შემდეგ, ე.ი. მას შემდეგ როცა გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა ყიფიანის ყოველივე მოქმედება გამოიძიეს და დაინახეს, რომ მან სრულიად დაარღვია როგორც ინსტრუქცია, ისე ბანკის წესდებაც (ფული კი ჯერ მოპარული არ ჰქონდა. – ნ.გ.) მაშინვე რომ ყიფიანი ბაქოდან

თბილისში გადმოეყვანათ, ის გაფლანგვას ვეღარ მოასწრებდა, ბანკი არ იზარალებდა და არც კაცი დაიკარგებოდა, მაგრამ გამ-გეობამ და კომიტეტმა ეს არ მოიმოქმედეს და აი, რამდენათ თი-თოეულმა ამ ორგანომ ეს ჩაიდინა, იმდენად ის პასუხის მგებელია, ნივთიერათ თუ არა, ზნეობრივათ და საზოგადოებრივათ მაინც". (ნ.ჟორდანია „კვალი" №19, 7 მაისი, 1900წ.).

მაგრამ ილიას ვისი დამუნათება სჭირდებოდა. ეს გაზაფხული მისთვის ჯერ ჟორდანიას გამო, (მოთმინების ფიალა აუვსო) მერ-მე ამ ყიფიანის საქციელით, სანერვიულოდ იქცა. მისი მოყვანილი, მისი დაწინაურებული იყო. ხუთი წლის შემდეგ ეს პალიკო ყიფი-ანი კარგ საქმეს კი გააკეთებს, გიორგი დეკანოზიშვილს, საქარ-თველოს ავტონომიისათვის მებრძოლს, საზღვარგარეთ იარაღის ყიდვაში დაეხმარება, მაგრამ ახლა ასეა, კაცს ნდობა გამოუცხადა, იმან კი სალექსოდ გაიხადა თავიც და შეარცხვინა ილიაც. ამას და-უმატეთ წერისას მთელი ღამეების თენება, დაძაბული რეჟიმი. გუ-ლი ყოველთვის ვერ უძლებს. ილია უკვე 63 წლის კაცია. თითქმის ორი თვე ყოველ ღამეს ტეხდა. მისმა გულმა ვერ გაუძლო. მაისის ბოლოს გაზეთები საზოგადოებას აუწყებენ სამწუხარო ამბავს, რომ ილია მძიმედ ავად შექმნილა და ლოგინად წევს. დაემართა გულის ხუთვა, სუნთქვის უკმარისობა.

ერი და ბერი შეშფოთებულია. ეს წაუქცეველი ბერმუხა ფიზი-კურად ისევე უძლურია წერა-მწერლის წინაშე, როგორც ყოვე-ლი ადამიანი. სიგარეტით გაბოლილი მისი კაბინეტი, უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი გადაჭრელებული წიგნები და ფურცლები, გა-ტეხილი ღამეები. კაცთაგან კილვა და უმადურობა, შეიძლება იმ ერთ წამად იქცეს, რომელიც გულს სამუდამოდ აჩერებს. ყველას ყურადღება საგურამოსაკენ არის მიპყრობილი. თბილისის გუ-ბერნიის ექიმის ტიტე ქიქოძის კაბინეტში შედის ნიკო ცხვედაძე და შეშფოთებით ამბობს: „ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე ძალიან ავად გამხდარა, სოფელ საგურამოშია. ექიმები კი ვერავინ ვიპოვე, ქალაქიდან ყველანი გასულან, ვისაც მე ვიცნობო (ზაფხული ძა-ლიან ცხელი იყო).

საუბრის შემსწრე ახალგაზრდა ექიმი ნიკო ჯანდიერი აცხა-დებს: „მზად ვარ წამოვიდე და ილია ჭავჭავაძეს ყოველგვარი სა-ექიმო დახმარება აღმოვუჩინო"!.."

„საღამო ხანს საგურამოში მივედით. სახლში დაგვხვდნენ ილი-ას დისწული კოტე აფხაზი, ნიკოლოზ აფხაზი – მამა კოტესი, ილი-ას მეუღლე ოლღა თადეოზის ასული და და ლიზა საგინაშვილისა.

ილია იწვა თავის კაბინეტში, მასთან სტუმრად იყვნენ არ-ტურ ლეისტი და გაზეთ „კავკაზის" რედაქტორი ველიჩკო თავისი დით."

ილია გაეცნო ახალგაზრდა ექიმს, რომელსაც მისი გარჯით შექმნილი სათავადაზნაურო სკოლა ჰქონია დამთავრებული.

„ნ. ცხვედაძე და არტურ ლეისტი რაღაცაზე საუბრობდნენ. უცბად ველიჩკომ ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი და ივანე მაჩაბელს დასცინა. ილიამ ჯერ გადახედა მოსაუბრეებს, ლოგინში გასწორ-და, თვალი დახუჭა და ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა:(იგონებს ნ.ჯანდიერი) – მაგ ტუტუცს ჰგონია, თითქოს მე ძალიან მესიამოვ-ნება, რომ ჩვენს მამულიშვილს დასცინის. მომწყინდა, გეთაყვა, როგორმე მომაშორე!"

ექიმმა გასინჯა. დიაგნოზი – გულის სისხლის მილების სკლე-როზი, გულის კუნთების ანთების ნიშნით. ტკივილები გულისა გა-მოწვეული იყო აქედან.

გამოუწერა წამალი. აუკრძალა ფიზიკური და გონებრივი მუ-შობა, კითხვა და მოსთხოვა მტკიცე რეჟიმის დაცვა.

„– შენ (შენობით მომმართა) მითხარი რად ან რისთვის უნდა მოვიქცე ასე თუ ისე, და თუ ეს ჩემს გონებას ჩასწვდება, მაშინ ბა-შუსტა, თორემ ექიმების ბრძანება ზოგჯერ ძნელი გასაგებიაო". ექიმმა აუხსნა ყოველი, საზღვარგარეთ გამგზავრებამდე მის მკურნალადაც დარჩა.

თბილისში ამ დროს ჩამოვიდა კიევის უნივერსიტეტის სამე-დიცინო ფაკულტეტის პროფესორი ვაგნერი. ილია თბილისში ჩა-მოიყვანეს და ვაგნერს გაასინჯეს. მან დაადასტურა ახალგაზრ-და ექიმის, ჯანდიერის დიაგნოზი და ილიას ურჩია სამკურნალოდ წასულიყო ბერლინში, პროფესორ ლეიდენთან. ამასვე ურჩევდა დავით სარაჯიშვილი, რომელიც ლეიდენს პირადად იცნობდა. გა-დაწყდა ლეიდენთან სამკურნალოდ წასვლა. 18 მაისს ილია „ივე-რიის" საშუალებით მადლობას სწირავს ყველას, ვინც მის ამბავს კითხულობდა. 5 ივნისს საცენზურო კომიტეტს აწვდის განცხა-დებას „ივერიის" დროებით რედაქტორად ვასილ სულხანიშვილის დამტკიცების შესახებ.

20 ივნისს მეუღლესთან ერთად, რიგის გავლით, სადაც ნათესავი სტუდენტი უნდა დახვდეს მეგზურად, მიემგზავრება ბერლინში.

„მრავალრიცხოვანი ქართველი საზოგადოება, რომელმაც იცოდა დრო ილიას გამგზავრებისა, სადგურზე ყვავილებით და-უხვდა."

26 ივნისს ერთი დღით ვარშავაში გაჩერდა. 27 ივნისს ილია ბერლინშია და იწყებს მკურნალობას პროფესორ ლეიდენთან.

იქაურ ამბებს ნიკო ცხვედაძისთვის გამოგზავნილი ორი წერილიდან შევიტყობთ:

„ძმაო ნიკო! აღსრულდა შენი მეგობრული სურვილი და ეს თითქმის მესამე კვირაა, რაც ბერლინში ვარ ლეიდენთან. მე რომ აქ ბერლინში მოვედი, დათიკო სარაჯოვი აქ არ იყო, სამს თუ ოთხ დღეს შემდეგ მოვიდა. ლეიდენის კლინიკაში მომზადებული ოთახები დამხვდა და პირველ დღესვე იმ კლინიკაში დავბინავდით. ეკატერინე ივანოვნას მადლობას ვუძღვნით, რომ მისის მეოხებით აქ ყველანი დიდის პატივისცემით დაგვხვდნენ (საუბარია დავით სარაჯიშვილის მეუღლეზე) თვითონ ლეიდენიც დიდი ყურადღებით გვექცევა. ლეიდენს ჩემის სნეულების მიზეზი აოცებს. არავითარი ზიანი არა გაქვსო, გული და მაჯა საღის და ჯანმრთელის კაცის გაქვსო და რისგან მოგდის ეგ გულის ხუთვა და სულის შეგუბება ვერ გამიგიაო. ამიტომ, პირველ დღიდამვე დღეს აქამომდე გულის ყურს მადევნებს, რომ მიზეზი შეიტყოს. მე როგორც უკანასკნელ ხანებში ვიყავი მანდ, თითქმის ისევ ისე ვარ. ფეხების სიმსივნემ არ მიკლო. ღონეზედაც ჩემებურად ვერა ვარ. სხვანი კი მარწმუნებენ, რომ სახით, გარეგნობით ძალიან მოჰკეთდიო. მგონია ამ ერთის კვირის შემდეგ, ე.ი. 25-ს ამ თვეს იქნება კარლსბადში გამისტუმროს ლეიდენმა. მარწმუნებს რომ ასე იქნება თუ ისე, საღსალამად გაგისტუმრებ შინაო. ღმერთმა ჰქმნას! სიარულს მიშლის, დღეში ერთი საათის მეტს ნუ ივლიო... გუშინ მითხრა, დღეში ორჯერ ზევით ეტაჟაში ადი ხოლმე, ერთი დილით, ერთი საღამოთიო. არასფერს წამალს არ მასმევს ლიმონის წვენის მეტს. დღეში სამ სტაქანს მასმევს. რძე ამიკრძალა. მეც ვსვამ ამ ლიმონის წვენს და ქვევიდან ზემო ეტაჟებში დავდივარ...“

ვწუხვარო, იწერება ილია, რომ ამ დიდი ქალაქის, ბერლინის ნახვას, ჩემი რეჟიმის გადამკიდე, ვერ ვახერხებო. აღფრთოვანებულია გერმანელებით, მომავალი ამ ერის არისო...

მეორე წერილით ნიკო ცხვედაძეს ატყობინებს: ისევ ცუდად შევიქენი, „ამიტყდა საშინელი ქშენა, ხელისა და ფეხების განძრევაზე ისე მიგუბდებოდა სული, რომ არ ვიცოდი რა მექნა. ერთი ორი ნაბიჯი რომ გადამედგა, სუნთქვა ისე შემეკვროდა, რომ ველარ ვლაპარაკობდი, რადგან სულს ვერ ვიბრუნებდი. შევჩივლე ჩემი ასეთი წახდენა ჩემს მკურნალს, რომელიც თვითონ ლეიდენმა

ამირჩია. შემიწუხდა თვითონ მკურნალიც და ბოლოს მითხრა: მიზეზი არ მესმისო, უსათუოდ პაპიროზის ბრალია და თქვენს თავს აქედამ უნდა უშველოთო. თუ პაპიროზზე ხელს აიღებთ, ხომ კარგი, თუ არადა ისევ ის სჯობია, წამლობას თავი დაანებოთ, ტყუილი ხარჯი და მოცდენაა. პატიოსანი სიტყვა ჩამომართვა, მერე ასეთის ხვეწნით და მუდარით, რომ კინაღამ გული ამომიჯდა. ვთქვი ჩემს გულში: ნეტა ამას რა სჯის, რომ ასეთის სიყვარულით მეხვეწება და მემუდარება-მეთქი. სხვა გზა არ იყო, პატიოსანი სიტყვა მივეცი და მას დღეს აქეთ პაპიროზის გემო აღარ ვიცი. არ გამოსულა სამი ოთხი დღე მას შემდეგ, რომ ლაზათიანად მოვმჯობინდი და ეხლა ისე კარგად ვარ, როგორც დასნეულებამდე ვიყავი, თუ არ უკეთესად".

გერმანიიდან ილია პარიზში გამგზავრებას აპირებდა, ბარემ ახლოს ვარ და პარიზის უნახავად როგორ დავბრუნდეო. ეს რომ მკურნალს გაუგია, შემხტარა და შემოტრიალებულა, ასეთ ხმაურიან და ნერვიულ ქალაქში ჩასვლა მკურნალობის წყალში ჩაყრა იქნებაო, შეეხვეწა, არაფრისდიდებით პარიზში არ წასულიყო. აერჩია მყუდრო, მოსვენებული ადგილი და ერთი – ორი თვე საერთოდ არ გაკარებოდა ქალაქს და საქმეს.

კაცმა რომ თქვას, დიდი ხვეწნაც აღარ სჭირდებოდა. ჩვენს დიდ ბანკირს მოგზაურობის გასაგრძელებლად და პარიზში დასარჩენად ფული აღარც ჰქონდა. ბერლინი-კარლსბადის (კარლოვი-ვარი) შემდეგ ერთ კვირას ჩერდება ვენაში და 15 სექტემბერს თბილისში ბრუნდება.

საქართველოდან 20 ივლისს გერმანიაში ჩაუვიდა უამრავი დეპეშა, ილიაობას ულოცავდნენ და თბილისში დაბრუნებულ ჭავჭავაძეს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა სიხარულით დახვდებოდნენ და რამდენი მისალოცი ბარათი მიიღო სამშობლოში მშვიდობიანად დაბრუნების გამო. არტურ ლაისტმა ილიას დაბრუნებისას მისი განცდაც შეჩერებული წამივით შემოუნახა შთამომავლობას: „1900 წელს, როცა ილიამ გერმანია და ავსტრია მოიარა, – წერდა ლაისტი – დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა და უკვირდებოდა გერმანელების ცხოვრებასა და კულტურას. ყურადღებას აქცევდა ყველა წვრილმანს, მაგრამ ღვიძლი სამშობლო, საქართველო ყოველთვის ძლიერ იზიდავდა თავისკენ. უცხოეთიდან დაბრუნებული ილია, თბილისს რომ უახლოვდებოდა, ისე მოიხიბლა საყვარელი ქალაქის ხილვით, რომ თვალებზე ცრემლიც კი მოადგა. ამას ილია სრულიად მოურიდებლად მიამბობდა ხოლმე

და თან დასძენდა: ყმაწვილობაშიც გამომიცდია სამშობლოს მოშორებით გამოწვეული ნაღველი, მაგრამ ისე ძლიერ არა, როგორც ეხლა, მოხუცებულობის ჟამსო."

●

ერთი გულსატკენი ამბავი დახვდა. 7 სექტემბერს გარდაცვლილიყო კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, უკანასკნელი მოჰიკანი ნიკოლოზ ბარათაშვილის სამეგობრო წრიდან. სიმბოლური იყო ის, რომ სწორედ ეს კაცი ხელმძღვანელობდა ილიას საიუბილეო კომიტეტს.

სასიხარულო ამბავიც აცნობეს. მალე ვერაზე საძირკველი უნდა ჩაყროდა მომავალი ქართული უნივერსიტეტის მშენებლობას. იცოდა ნიკო ცხვედაძემ, იცოდა ილიამ და რამდენიმე პირმა, რომ თავად-აზნაურთა სკოლა კი შენდებოდა, მაგრამ უკეთეს დროში იქ უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო. 5-6 წელია ნიკო ამ მშენებლობის თანხებს დასდევდა. ვინ არ შეაწუხა. ცხადია, ბანკსაც მიადგა. ეუბნება. შეკრებილთ: „სკოლისთვის საჭირო მიწა ძლიერ იეფად ვიპოვე, ბევრმა უკვე ვინ ქვას შემპირდა და ვინ ხე ტყესა; ზოგი ფულსაც გადმოდით, რაც დაგვაკლდება, იმას ილია მოგვცემს ბანკიდან და სულ ადვილად ავაგებთ შენობას."

გვაგონდება მაშინდელი ილიას სახე, მისი თანაგრძნობით სავსე ღიმილი და მისი: „ნიკო, შე დალოცვილო, ბარემ უნივერსიტეტის აშენება მოსთხოვო ბანკს! სად გიშოვოს მაგოდენა ფული?.. ვნახოთ, ვნახოთ!" (ილია ზურაბიშვილის მოგონებიდან).

ენამ უყივლა. ასი ათასობით ფული გაიღო ამ შენობისათვის. ბანკის დამფუძნებელთა ნაწილი გიჟდებოდა, რაში ყრით ამ ფულსო. ილიას საყვედურობდნენ, ამ გადარეულს (ცხვედაძეს გულისხმობდნენ) რას აჰყოლილხარ, ამხელა შენობა რისთვის გვჭირდებაო. მუხრანსკიმაც ეგ უთხრა, სათხოვარზე მისულ ნიკოს, ეტყობა, თქვენ პარლამენტს აშენებთ, მეც მუხრანში ახალი სახლი წამოვიწყე, ეს ვერსალი იქნება და თბილისი პარიზიო. დასცინა და არაფერიც არ მისცა. შემდგომ მისმა შვილმა კონსტანტინემ გაიღო თანხა, თუმცა ისიც თავ-ბედს იწყევლიდა, გამძარცვა ამ შეჩვენებულმა ცხვედაძემო. 400 თუმანი გადაეხადა. შვილი და ძირი მას არ ჰყავდა, მეტი უნდა მიეცა... დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე სიხარულით სწირავდნენ ასი ათასებს. წაიღეთ თუ უნივერსიტეტს აშენებთ. შვილი ჩვენ არ გვყავს და ძირიო.

(სამწუხაროდ, ისინიც უშვილოდ გადაეგნენ) ამაზე კარგ საქმეს რას მოვახმართო.

ილიამაც გაუძლო დამფუძნებელთა ყვედრებას, აქეზებდა ნიკოს. არ იშურებდა თანხებს და საბოლოოდ ყველაზე დიდი წვლილი სწორედ ილიას ბანკმა შეიტანა იმ თეთრი სახლის აშენებაში, რომელიც სულ მალე საქართველოს საერო ტაძრად იქცევა და რომელსაც, სამწუხაროდ, ვეღარც ცხვედაძე მოესწრება და ვეღარც ილია. 1900 წლის14 ოქტომბერს საძირკველის კურთხევაზე ღრმად ამოთხრილ ბალავარში ბოთლებში მოთავსებული გაზეთები ჩადეს.

დგანან შენობის არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი, მთავარი გმირები ამ დღისა- ნიკო ცხვედაძე, ილია, გოგებაშვილი, სარაჯიშვილი, სხვანი და სხვანი.

ამაზე მადლიანი დღე კარგა ხანია საქართველოში არ გათენებულიყო...

●

12 ნოემბერს ილია შეუდგა „ივერიის" რედაქტორობას. მართალია ის სექტემბერში დაბრუნდა, მაგრამ ეტყობა შეასრულა ექიმების რეკომენდაცია, ყოფილიყო სოფლად, სიმშვიდეში და ერთი-ორი თვე თავი აერიდებინა სამუშაოსათვის. ბოლომდე, ცხადია, არ იცავდა დანაბარებს. ყოველ შემთხვევაში, ლაისტი ასე გადმოგვცემს. არ იცავდა არც დიეტას მაინცდამაინც. ასეთია კაცის ბუნება, თუ გამოჯანმრთელდა, გუშინდელი ავადმყოფობა ავიწყდება. ილია ხუმრობს – თუ ლიმონის წვენის სმა და პირველიდან მესამე სართულზე ასვლა-ჩამოსვლა იყო ჩემი ავადმყოფობის წამალი, ბერლინში რა მინდოდა, ლიმონის წვენს აქაც დავლევდი და სართულებს შორის აქაც ვივლიდიო. ის კი არა, ერთი ან. გარდაცვლილი მეცნიერის თქმით, ისე შეუთამამდა გადატანილ ავადმყოფობას, ილიას დაუკრავს ფეხი და ოცნება აუსრულებია, პარიზში წასულა ოლღასთან, დასთან და ოლღას ერთ მეგობართან ერთად, საიდანაც ის თითქოს ნოემბრის შუა რიცხვებში დაბრუნდა. არადა, ეს არ უნდა იყოს მართალი. ამ საკითხს არც შევეხებოდი, რომ არა ერთი გარემოება. აღნიშნული ინფორმაცია მოწოდებულია სამეცნიერო ხასიათის წიგნიდან არგუმენტაციის დართვით. ამ წიგნის ტირაჟი დიდია და ხსენებული მეცნიერიც პოპულარული. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ,

ჩვეულებრივად, მოგონებებში ბევრი შეცდომა გვხვდება ხოლმე. ეს შეცდომები ბუნებრივია.

როცა კაცი წლების შემდეგ რამეს იგონებს, შეიძლება თარიღების ან სხვა დეტალების თვალსაზრისით ყველაფერი ზუსტად ვეღარ აღიდგინოს. ამიტომ, მოგონებებს, როგორც წესი, ფრთხილად მიდგომა და შეჯერება სჭირდება.

რაც შეეხება მეცნიერულ გამოკვლევას, სანდოდ ვიღებთ. მხოლოდ ეს გარემოება მაიძულებს ვთქვა, მტკიცება იმის შესახებ, რომ ილია თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მეუღლესთან ერთად პარიზს გაემგზავრა, არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს.

მტკიცება ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს:

1)ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება: „როდესაც პარიზში მსოფლიო გამოფენა გაიმართა, ილიამ გადაწყვიტა პარიზში გამოფენის სანახავად წასულიყო, თან მეუღლე – ოლღა და უმცროსი და – ელისაბედი, აგრეთვე ელენე ჯაბადარი იახლა"

„მართალია, ე.თაყაიშვილი აქ წელს და თვეს არ მიუთითებს, მაგრამ, როგორც ვიცით, პარიზში მსოფლიო გამოფენა 1900 წელს გაიმართა."

2)„ხოლო რომელ თვეში უნდა ყოფილიყო ილია პარიზში, მის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ავად გახდომამდე, ე.ი. 1900 წლის ივნისამდე, ილია საქართველოშია და რედაქტორობს ყოველდღიურ გაზეთ „ივერიას". 20 ივნისიდან კი სამკურნალოდ მიემგზავრება გერმანიაში, საიდანაც 15 სექტემბერს კვლავ თბილისს უბრუნდება, მაგრამ 14 ნოემბრამდე მაინც არ აწერს ხელს „ივერიას" და მის მაგივრად „ივერიის" დროებით რედაქტორად კვლავ ვ.სულხანიშვილს ვხედავთ!

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ დროის ამ მონაკვეთში უნდა წასულიყო ილია თავის ახლობლებითურთ პარიზში მსოფლიო გამოფენის სანახავად."

3)„1900 წლის ოქტომბერში, ილია რომ მართლაც პარიზში იმყოფება, ამის დამადასტურებელია ერთი ასეთი დოკუმენტი: ილია ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკაში დაცულია 1900 წელს პარიზში გამართული მსოფლიო გამოფენისათვის რაფიელ ისარლიშვილის მიერ ფრანგულ ენაზე სპეციალურად გამოცემული პროფ. ალ.ხახანაშვილის წიგნი... გამომცემლის – რაფიელ ისარლიშვილის ასეთი მიძღვნა-წარწერით:

„ღრმად პატივცემულს ბატონ ილიას კნ.ჭავჭავაძეს – რ. ისარლიშვილი, პარიჟი, 20 ოქტომბერს 1900წ."

როგორც ვხედავთ, – ასკვნის ავტორი-1900 წლის 20 ოქტომბერს პარიზში მყოფ ილია ჭავჭავაძისთვის მსოფლიო გამოფენაზე საგანგებო წარმომადგენელს – რ.ისარლიშვილს მიურთმევია სპეციალურად ამ გამოფენისთვის ფრანგულ ენაზე პარიზში 1900 წელს მის მიერ გამოცემული პროფ. ალ. ხახანაშვილის საცნობარო-გზამკვლევი-შრომა „საქართველოს ისტორია“ და ამით დაუდასტურებია თავისი ღრმა პატივისცემა პარიზში ჩასული საქართველოს სულიერი მამისათვის.“

აქედან გამომდინარე, დასკვნა: მაშასადამე „ილია ჭავჭავაძე, მეუღლის, უმცროსი დისა და ელენე ჯაბადარის თანხლებით პარიზში მსოფლიო გამოფენის სანახავად წასულა 1900 წლის ოქტომბერში და არა 1901 წელს, როგორც ამას პ.ინგოროყვა ფიქრობდა.“

მე კი მგონია, ილია პარიზში საერთოდ არ არის ნამყოფი. ერთი შეხედვით, ის მყარი არგუმენტები, რომელნიც ზემოთ იქნა წარმოდგენილი, იოლად ირღვევა.

დავიწყოთ იმით, რომ ილია გერმანია-ავსტრიაში ყოფნის დროს, მიუხედავად იმისა, გულით სურდა პარიზს წასვლა, ექიმის რჩევისა და უფულობის გამო არ წავიდა. დაბრუნება საქართველოში და მერე თითქოსდა უკანვე წასვლა, როგორღაც ლოგიკური არ ჩანს. თუ ექიმის რჩევა აღარ ჩააგდო არაფრად, თანხას გერმანიაშიც გადაურიცხავდნენ და იქიდან წავიდოდა ხომ. მაგრამ კაცია და გუნება. იქნებ ჩამოსვლის შემდეგ გადაწყვიტა გამგზავრება?

დავიწყოთ მე-3 არგუმენტით. ილიას ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა რ.ისარლიშვილის მიერ ნაჩუქარი წიგნი, რომელსაც აწერია პარიზი. 20 ოქტომბერი. ეს არ ნიშნავს, რომ ილია და ოლღა პარიზში იყვნენ და პირადად გადასცა მათ წიგნი ისარლიშვილმა.

საქმე ის არის, რომ გერმანიაში მათთან ერთად სამკურნალოდ იმყოფებოდა ელისაბედის, ასევე ილიასა და ოლღას ახლობელი მაიკო ნიკოლოზის ასული ფალავანდიშვილისა, რომელსაც თან ახლდა ძმის შვილი, – ანასტასია მაყაშვილი.

ქ-ნი ანასტასია იგონებს: კარლსბადიდანო „სამი დღის შემდეგ წავედით პარიზში, ილია, ოლღა თადეოზის ასული და ელისაბედ საგინაშვილი არ წამოვიდნენ იქ იმ მიზეზით, რომ როგორც მე მახსოვს – მგონი ფული არ ეყოთ.“

ანასტასია მაყაშვილი, იმასაც დასძენს, რომ თბილისიდანვე გერმანიაში ის და მისი მამიდა იმ ანგარიშით გაემგზავრნენ, რომ

შემდეგ პარიზში მსოფლიო გამოფენაზე უნდა ჩასულიყვნენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პარიზში გამოფენაზე სწორედ მათ შეხვდათ რაფიელ ისარლიშვილი(გამოფენაზე ჩასული სტუმრები მას, როგორც საქართველოდან ამ გამოფენის წარმომადგენელს, ალბათ მოინახულებდნენ) და შეიტყო რა, რომ მათთან ერთად, სურვილის მიუხედვად, ილია და ოლღა გამოფენაზე ვერ ჩამოვიდნენ, წიგნი მათაც აჩუქა და პარიზიდან მეგობარს ილიასა და ოლღასთანაც გამოატანა. ამიტომაც არის ის წარწერა წიგნზე რაც არის – პარიზი. 20 ოქტომბერი.

არც მათთან შეხვედრა იყო საჭირო. ჩვენთვის ცნობილია, რომ რ. ისარლიშვილმა ხახანაშვილის ნაშრომის ფრანგული თარგმანი 1900 წლის შემოდგომაზე თბილისში გამოაგზავნა. პარიზის გამოფენაზე, რომელიც 1900 წლის 12 აპრილს გაიხსნა, საქართველოსაც ჰქონდა თავისი კუთხე და იქ წარდგენილ უნდა ყოფილიყო კრებული საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, მეურნეობის, მკურნალობის, მუსიკისა და სწავლა-განათლების შესახებ. ეს ბოლო თავი დაწერა იაკობ გოგებაშვილმა. ასე რომ, იგი ჩართული იყო ამ გამოფენის საკითხებში, ამიტომ საყურადღებოა მისი ერთი ამონარიდი წერილიდან „ერთი ბოროტი არაკის გამო". იაკობი წერს: „წარსულს შემოდგომაზე (გულისხმობს 1900 წლის შემოდგომას) **პარიჟიდან მოვიდა და გავრცელდა ჩვენს საზოგადოებაში ფრანგულს ენაზე დაბეჭდილი წერილი ბ-ნი ხახანაშვილისა. შესახებ. საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა."** ასე რომ, ისარლიშვილს გამოუგზავნია ეს წიგნები და სავარაუდოა, გამოუგზავნიდა ილიასა და მის მეუღლეს, თუ პარიზშივე არ გადასცა მის ახლობლებს.

რაც შეეხება მეორე არგუმენტს, 15 სექტემბრიდან 14 ნოემბრამდე ილია „ივერიას" ხელს არ აწერსო. ეს არ ნიშნავს, რომ ექიმიხ რჩევა არ გაითვალისწინა და პარიზში წავიდა. პირიქით უნდა ვიფიქროთ, რომ გაუთვალისწინებია რჩევა ექიმისა. დანამდვილებით ვიცით, რომ ილია საქართველოშია სექტემბრის 15-დან 14 ოქტომბრის ჩათვლით, როცა უნივერსიტეტის საფუძვლის კურთხევას დაესწრო. გამოდის, რომ 15 ოქტომბრიდან ის ოლღასთან, ელისაბედთან და ცოლის დაქალთან ერთად აიყარა და 20-ში უკვე პარიზშია გამოფენაზე. მართალია, მიმოსვლა ამ დროისათვის ბევრად გაუმჯობესებულია, მაგალითად, 20 ივნისს თბილისიდან გასული ილია 27 ივნისს უკვე ბერლინში იყო, მით უფრო 1 დღე ვარშავაში შეჩერდა, მაგრამ 5 დღეში თბილისიდან პარიზში ჩასვ-

ლა გაუჭირდებოდა... მხოლოდ ბერლინიდან პარიზამდე დღე ნახევარი იყო საჭირო.

ისიც გავიხსენოთ, ნიკო ცხვედაძეს ვენიდან რომ სწერდა: „მეტი რა გზაა, – პარიჟზე ხელი ავიღე. წარმოიდგინე პარიჟი თითქმის ცხვირ წინ არის და მე კი მისი უნახავი უნდა წამოვიდე. დარდუბალაც ამას ჰქვიან. მაგრამ რას იზამ? ამდენი ვაი-ვაგლახი და ნამლობა გამოვიარე, ძლივს გამოვკეთდი და ყველა ეს პარიჟის ნახვას როგორ ვანაცვალო“.

საქმე ის გახლავთ, რომ ილია ხელმეორედ სამკურნალოდ ბერლინში, ლეიდენთან ერთი წლის შემდეგაც წავა.

ერთი წლის შემდეგ გერმანიაში ილიას წასვლა მეცნიერს საერთოდ გამორჩენია, მისი ზემორე ვარაუდებიც აქედან იღებს სათავეს. ექვთიმე თაყაიშვილი როცა პარიზის გამოფენას ახსენებს, ეს იმიტომ, რომ 1900 წელს როცა ილია გერმანიაში გაემგზავრა, ბუნებრივია, აქედანვე ექნებოდა სურვილი, გერმანიის შემდეგ პარიზში გამოფენაზე წასულიყო. ეს ახსოვდა ექვთიმესაც და დიდი ხნის შემდეგ უზუსტობა დაუშვა. ასეთი უზუსტობანი მის და სხვათა მოგონებებში ბევრია. მაგ. ადრეც ვთქვით, თაყაიშვილი იგონებს კორსაკოვი გოლიცინმა შეცვალაო. მაგრამ ეს ხომ არ იყო ასე. ასევე არ არის სწორი მეცნიერის მტკიცება, რომ ილია გერმანიაში არ წასულა ნიკო ხიზანიშვილთან და ანტონ ფურცელაძესთან ერთად. მართალაც, 1900 წელს მათთან ერთად არ ყოფილა, მაგრამ მათთან ერთად წავიდა სამკურნალოდ 1901 წელს. მეცნიერის შეცდომაც სწორედ აქედან მოდის. ვიმეორებ, მას ილიას გერმანიაში მეორედ გამგზავრება გამორჩენია. ამ გადახვევისათვის მკითხველს ბოდიშს ვუხდი, ჩემი მიზანი არ არის გზადაგზა ვინმეს შეცდომის გამოაშკარავება, მაგრამ, ვიმეორებ, რაკი ეს დეტალები მეცნიერული მტკიცების სახით იყო გადმოცემული, იძულებული შევიქენ სწორი სურათი აღმედგინა. ილიას გერმანიაში მეორედ გამგზავრების შესახებ კი მომდევნო წერილში გიამბობთ. რაც შეეხება პარიზს. ილიას იქ ჩასვლის შესახებ რაიმე წყარო უბრალოდ არ არსებობს. ვიმეორებ, მოგონებებში შეცდომა დაუშვა ე. თაყაიშვილმა და ყვარელში მცხოვრებმა ილიას ერთმა ნათესავმა ქალმა.

●

როგორც აღვნიშნეთ, 12 ნოემბერს, 4 თვიანი იძულებით შესვენების შემდეგ, ილია შეუდგა „ივერიის“ რედაქტორობას. იმის

დასტურად, თუ ილიას ყოველი ნაბიჯი, რამდენად ცნობილი უნდა ყოფილიყო მთავრობისათვის, მომყავს საცენზურო კომიტეტის ცნობა. მიმართავენ კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიას, ილია ჭავჭავაძე ოთხთვიანი შვებულებიდან დაბრუნდა და „ივერიის" რედაქტორობას შეუდგაო. მოკლედ, არაფრით მთავრობა თავის „მზრუნველ" ყურადღებას არ აკლებს, თან უთვალთვალებენ, თან იციან მისი ავტორიტეტი და ეხვეწებიან, იქნებ იმ ზეიმში მიიღო მონაწილეობა, რომლის აღნიშვნასაც ვაპირებთო. თუმცა ამაზეც ქვემოთ გიამბობთ.

1901

ევდოშვილის პასკვილი. ოლღას ეჭვიანობა. ფრანგი ბარონი ილიას შესახებ. რაფიელ ერისთავის გარდაცვალება. სამარცხვინო „დღესასწაული“. „ივერიის“ რედაქტორობა დასრულდა. ქალაქის თავის არჩევნები ბათუმში.

ილია და ოლღა

„...მეც თვითონ ხელს ვიღებ."

ილიას კერძო წერილიდან

„კვალს" ტრადიცია არ დაურღვევია და საახალწლო ნომერში 3 იანვარს ილიას და „ივერიას" პამფლეტი უძღვნა:

„მიდის, მიკოჭლობს უგზო-უკვლოთ ილოს გაზეთი,
უკან მოსჩხავის აბლაკატი მას შტატ-გარეთი,
გასწი გაზეთო, შენს კოჭლობას არ აქვს სამძღვარი,
ვინც რა უნდა სთქვას, როგორც ღმერთი, ერთი გვაქვს მხარი.
მირბის, მიკოჭლობს უგზო-უკვლოთ ილოს გაზეთი,
ირგვლივ სიჩუმე, თანამშრომლებს ჩამოდით ზეთი."

„ივერიას" მართლაც ყველაზე ცუდი პერიოდი ჰქონდა. ილია ინერციით მიჰყვება საქმეს. უკვე იმდენად გადაღლილია, ყოველდღიური გაზეთის ტვირთი ძალიან დაუმძიმდა. აქ ხელფასებიც ცოტაა. ახალგაზრდა რევოლუციონერები ფულს ადვილად შოულობენ, ამიტომ თანამშრომელთა მიზიდვა მათ არ უჭირთ. „ივერიას" კი მხოლოდ ავტორიტეტი და რამდენიმე ერთგული თანამშრომელი შერჩენია. ვინ წერს ამ ეპიგრამას, ასე კარგად რომ იცის შტატ-გარეშეთა იმედზე დარჩენილი გაზეთის ბედი?

ადრინდელი ნათქვამი მინდა გავიმეორო. ოღონდ ახლა სრულად მოვიტან ციტატას: „ილია უკომპრომისო დამცველია ლიტერატურული ეთიკისა. ერთი შემთხვევა მაგონდება, – იხსენებს იოსებ იმედაშვილი, – ოღონდ მომიტევოს მკითხველმა რომ იმ ცნობილი მწერლის გვარს ვერ დავასახელებ, ვისაც ილიას რისხვა დაატყდა თავს. ეს ცნობილი მწერალი, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, გაზეთ „ივერიის" რედაქციაში მუშაობდა და ხანდახან სცენაზეც გამოდიოდა ხოლმე. ერთხელ მან „ჰამლეტში" ლაერტის როლი შეასრულა.

„ივერიაში" ამ სპექტაკლზე ვრცელი რეცენზია გამოქვეყნდა. ილიამ წაიკითხა და გაკვირვებით იკითხა:

– შეხე, რა ყოფილა ლაერტის აღმასრულებელი... ნეტავ ვინ არის ეს რეცენზენტი?

– თითონ მაგ როლის აღმასრულებელი.

– რაო? – წარბი შეკრა ილიამ, თითქო მყინვარწვერს ღრუბელი მოეფინაო და წარმოსთქვა, – დღესვე გააგდეთ ეს ბინძური... და ერთი შეუფერებელი რეცენზიის გამო, ილია ჭავჭავაძის მოთხოვნით, რეცენზენტი რედაქციიდან დაითხოვეს.

ეს მწერალი „კვალში" გადაბარგდა...

მან „ივერიის" საწინააღმდეგო წერილით შესდგა ფეხი „კვალის' რედაქციაში: მთელი რიგი ფელეტონები სტყორცნა ილიას რიგოლეტოს ფსევდონიმით: ხან ბაყბაყ დევს უწოდებდა და ხან რას". იმ პამფლეტს, რომელიც კვალიდან აქ მოვიტანეთ, ხელს აწერს სწორედ ის ცნობილი მწერალი „რიგოლეტო". „რიგოლეტო" კი იროდიონ ევდოშვილი გახლდათ...

კიდევ ბევრჯერ შეგვხვდება იროდიონის პასკვილები, მიძღვნილი ილიასადმი. თითქმის არც ერთ წელიწადს არ „ჩააგდებს". როცა ილიას სახელმწიფო საბჭოში აირჩევენ და პეტერბურგში აქედან მილოცვა–მილოცვაზე მისდის, ევდოშვილი სოციალისტების გაზეთში მას შავრაზმელების ძმად გამოაცხადებს, სტოლიპინისა და პობედონოსცევის ამქარში ჩარიცხავს.

ილიას მოურავის ცოლი დიდი ხნის შემდეგ მოიგონებს: „განსაკუთრებით სასტიკად გალანძღა ილია ერთ დროს იროდიონ ევდოშვილმა. მასხარადაც აიგდო და ამ ჩვენი ერის დიდ ბურჯს, წინამძღოლს, მფარველს ბაყბაყ–მდევი უწოდა. და სრულიად დაუმსახურებლად გლეხის ჭამია ფეოდალიც კი უწოდეს, რაც სინამდვილეს სრულიად არ შეეფერებოდა და აშკარად მონაგონი რამ იყო. მახსოვს ერთხელ ამაზე ზაალ ჭავჭავაძემ უთხრა (ილიას გარე ბიძაშვილი იყო. ნ.გ.) ილიას ვახშამზე:

– კი მაგრამ იროდიონ ხოსიტაშვილმა ბოდბის ხევში სხვა ვერავინ ნახა მასხრად ასაგდები და გასალანძღიო, რაღა შენ მოგადგა – ესეც შენი „ზემლიაკი" – კახელი, ამაზე ილიამ ასე უპასუხა: „როცა კაცს მკვახე და ჯერ კიდევ უმწიფარი ჭკუა აქვს, ამას მისი ენის სიმწრით გამოიცნობთ". ამის თქმაზე ყველას გაეცინა. ზ. ჭავჭავაძეს ხით-ხითი აუვარდა. ილიას არ გაუცინია და სალათას შეექცეოდა. ბოლოს ზ. ჭავჭავაძემ უთხრა:

– ილია გრიგორიჩ, ისეთი პასუხები იცი, რომ უპასპორტოდ რომ სადმე მოხვდე და შენს ვინაობას ეძებდნენ, შენი აზრით და სიტყვით მიხვდებიან, რომ შენ ნამდვილად ილია ჭავჭავაძე ხარო. ამაზედაც სიცილი გაისმა, მაგრამ ოლღამ იკითხა, რაზედ იცინითო.

ზ. ჭავჭავაძემ აქაც იხუმრა და ოლღას მიუახლოვდა და ყურში ჩასძახა. (ადრე ვწერდით რომ ოლღას სმენა დააკლდა, რასაც უკიდურესად განიცდიდა. – ნ.გ.)

– ხვალ ცაგარელის ქალი უნდა გვესტუმროსო – მოატყუა.

– ოი, ბოჟე მოი, – თქვა ოლღამ. ახალგაზრდობაში ილიაზე და ცაგარელის ქალზე ეჭვიანობდა სულ ოლღა და მისი გახსენება ნერვებს უშლიდა.

მართლაც შემდეგში იროდიონ ევდოშვილმა მწარედ მოინანია მისი ლანძღვანი ილიასადმი.

ერთხელ, როცა სასამართლო პროცესიდან ჩამოვედით გოლოვინსკის პროსპექტზე, ლაღიძის წყლის მაღაზიის კუთხეში შემხვდა და მითხრა იროდიონმა:

– ილიას სასიკვდილო ტყვიამ მეც გამიარა გულში და მონანიება, თუ საქმეს შეცვლის, მე დამხობილი უხდი ბოდიშს ილიას მის საფლავზეო. ამის მოწმე იყო ჩემი ქმარი, იოსებ იმედაშვილი და სხვები." ამ მოგონებას ვრცლად ქვემოთ გაგაცნობთ.

ამ ამონარიდში სამი მნიშვნელოვანი დეტალია: 1) ილიასა და მსახიობ ცაგარელის ქალის ურთიერთობაზე მაშინ გავრცელებული ხმების შესახებ. 2) ოლღას ეჭვიანობის შესახებ; 3) იროდიონ ევდოშვილის მონანიების შესახებ.

მეორე და მესამე საკითხზე ღირს ყურადღების შეჩერება.

●

ჩანს, ოლღა დიდად ეჭვიანი ცოლი ყოფილა. ვინც ყურადღებით წაიკითხავს ახალგაზრდობაში ბანკის საკითხებზე პეტერბურგში ჩასულ ილიას წერილებს ოლღასადმი, ერთი გარემოება მოხვდება თვალში. ილია თითქმის ყოველ წერილში ისეთ დეტალს უსვამს ხაზს, რითაც აშკარად ოლღას შესაძლო ეჭვიანობას ითვალისწინებს. მაგალითად, „არაფერი აქაური სიამოვნება არ მიზიდავს. ნეტავი ფული მქონოდა, რომ შენც წამოსულიყავ ჩემთან, რომ ერთად გვეცხოვრა „ერთსულ და ერთ-ხორც", როგორც სამღთო წერილი გვიწერს. რაკი ჩემს საქმეებს გავათავებ ხოლმე, დავბრუნდები შინ და მთელი დანარჩენი დღე მარტოკა ვგდივარ სახლში"...

ან „ნუ გგონია, ჩემო კარგო ოლიკო, რომ მე არ მაწუხებს შენი დიდი ხნის უნახაობა. უშენობა მე უფრო მტანჯავს, იმიტომ რომ სრულიად მარტო ვარ'.

ან „ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მომწყინდა აქაურობა და შენ-ზედ შორს ყოფნა".

ან „მთელი დღე შინა ვგდივარ და ხალათს არ ვიხდი; თუ წავალ სადმე ხოლმე, ისევ ფინანსთა სამინისტროში".

ან „სხვაგან არსად დავდივარ და სულ შინა ვგდივარ და შენს ნახვას ვნატრულობ ხოლმე".

ან „ხომ იცი, უქმეები რა რიგად მეჯავრება და ეხლა უფრო გულს მიმღვრევს, რომ შენ ჩემთან არა ხარ".

ან „თავის დღეში, ფიცი მივე, აღარ მოვშორდებით ურთიერთს".

უკლებლივ ყველა წერილში, რომელსაც კი ოლღას უგზავნის, გვხვდება ამგვარი ხაზგასმები. ცხადია, მართლა გამორჩეული სიყვარული ჰქონდათ ილიას და ოლღას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ოლღა იმდენად ფანატიკურად არის შეყვარებული, ილიას ხანგრძლივი მოშორება კი არა, ჭიქა წყალი რომ მის თვალწინ სხვა ქალმა მიაწოდოს, ესეც კი აგიჟებს.

სიყვარულის გარდა, ეს გარემოებაც არის მიზეზი, ილია რომ ყოველ წერილში ოლღასადმი იწერება იმას, რაც ზემოთ წაიკითხეთ. იცის მეუღლის ხასიათი და ჭკვიანურად ცდილობს მის დამშვიდებას. ბოლომდე ამას მაინც ვერ ახერხებს. ოლღა მაინც საყვედურობს, დამივიწყე, არ გახსოვარო. ეტყობა, დასაც შესჩივლა. ილია პეტერბურგიდან წერს: შენი დის წიგნი მომივიდა და ცოტა–ოდნად მაწყინა. იცი რად მაწყინა? მწერს რომ თუმცა საზოგადო საქმეზედა ხარო, მაგრამ ოლიკო რომ დაივიწყეო – ეგ შენი აღქმის ღალატიაო. ღმერთო ჩემო!.. შენი და მე კარგად არ მიცნობს და შენ კი ფრიად დასაძრახისი იქნები, რომ მე ვერ მიცნობდე. შენს დას მიეტევება და შენ კი არასოდეს. რა ვქნა, რა მიზეზი მოგეცით, რომ შენცა და შენი დაც ეგრე უგულოდ მამცირებთ და მსტაცებთ ყოველს კაცობრიულს ფიქრსა და გრძნობასა. რა ვქმენი ამისთანა? ათი თვე დავრჩი რუსეთში? ნუთუ გგონიათ, რომ ქეიფისათვის დავრჩი!.. ეგ იყო, რომ მწერდი, არ დაანებო თავი მაგ ბანკის საქმესო, ეგ იყო, რომ გულს მიმაგრებდი და მახალისებდი! მახლას... მოთმინებითა ჩემითა უნდა მოვიპოვო სული ჩემი, იგი სული, რომელსაც მაგისთანა ჩრდილი მიაყენეს ჩემთა უკეთესთა მეგობართა და მახლობელთა".

წერდა ამას და მეორე საფიქრალი გაუჩნდა. ილია თუ წარბს შეკრავს, ილია თუ დაღვრემილია, ილია თუ მოწყენილია, ოლღა ადგილს ვერ პოულობს, წუხს, განიცდის. ახლა რა დაემართე-

ბა, თუ ოლღასა და მისი დის მიზეზით ილია ასე გაბრაზებულა? შეიძლება ან თავს აუტეხოს რამე, ან დას. ილიაზე უკეთ ეს ვინ იცის, ამიტომ ამ საყვედურებს თბილად მოაყოლებს: „მე ამას იმიტომ კი არ გწერ, რომ შენ გაწყენინო, ან მე შენზედ ძალიან ვჯავრობდე. მე მარტო იმის თქმა მინდოდა, რომ მე ალერსი მიჭირდა ამ ჩემს მდგომარეობაში და არა საყვედური. მერე საყვედური იმისთანა, რომელსაცა არარაიმე საფუძველი არა აქვს. დაიცა, დაიცა, მოვალ მანდ და ყველაფერში გავსწორდებით, ჩემო კეკლუშკი!.."

წერილს ამთავრებს ასე: „ჩემს მაგიერ აკოცე მრავალჯერ ერთს ქალს, რომელსაც ოლიკოს ეძახიან და უთხარი, რომ უბრწყინვალესი თავადი ილია ჭავჭავაძე მისი ქმარია საუკუნოდ და უკუნის იქითაც".

როცა ეს წერილები იწერება, ილია და ოლღა ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან. ახლა ვნახოთ 50 წლის ილიას წერილი.

[1887 წ.]

ჩემო კარგო ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! ამ ბოლო დროს ისე დატრიალდა ჩემი ბედი, რომ მწუხარება ზედ მატყდება თავზედ და ლამის მე ჩემი დამემართოს. შენც ამ ათასნაირს ვაი-ვაგლახს ცეცხლს უფრო უმატებ ხოლმე და მე აღარ ვიცი, სად წავიდე და ვის შევეკედლო. ვერა მითქვმას რა შენთვის ისეთი, რომ ან იმავ დღეს, ან მეორე დღეს შენ ნამტირალევი არა გნახო. არ ვიცი, ღმერთმან იცის, რა ღვთის რისხვა მეწვია. აბა მანდ ამოვედი წარსულს შაბათს, ვნახე, რომ ციციანოვი გულმოდგინედ აღარ ეკიდება საქმეს და თავის გასაკეთებელს მევე მახვევს კისერზედ, მეწყინა ეს ყველაფერი, გავჯავრდი, და დღესაც ამაზედა ვარ გაჯავრებული, და შენ ამ გაჯავრების პასუხსა მთხოვ. რა ვქნა, რა ცეცხლში ჩავვარდე, არ ვიცი. ოცდაოთხი წელიწადია ერთად ვცხოვრობთ და ნუთუ ჩემი საძაგელი ხასიათი ვერ იცანი ჯერაც. განა არ იცი, რომ თუ მეწყინა რამე, გულში ჩავიხვევ ხოლმე და შუბლს აღარ გავხსნი არავის წინ, ვინემ გულიდამ ჯავრს არ გადავიყრი. ორმოცდაათის წლის კაცი ვარ და ხელახლად ხომ აღარ დავიბადები? განა მე კი არ ვიცი, რომ ამ ჩემი ხასიათით გაწუხებ, მაგრამ შენ იცი, რომ ეგ ხასიათია და უნდა შემინდო ხოლმე. ტყუილად დაგიბუდებია გულში რაღაც ეჭვები, მე შენი ისეთივე გულით პატივისმცემელი ვარ და მოყვარული, როგორც ოდესმე

ვყოფილვარ. მეუბნები, ისე აღარ მეალერსები, არაფერს არ მელაპარაკებიო. ნუთუ არა ჰხედავ, რა ვაი–ვაგლახში გავაბი ჩემი, ეხლა გეტყვი, უბედური თავი! განა არა ჰხედავ, რომ ერთი წუთი დღე და ღამ მოსვენება არა მაქვს და შენს, ჩემის გულითადის და საყვარელის მეგობარის სამდურავს როგორღა გავუძლო! განა საკმაო არ არის, რომ აქეთ–იქით მტრობას, ცილისწამებას, ათასნაირს მწუხარებას, ჭირსა და ვაგლახსა ძლივს ავდივარ, ძარღვები სულ მომეშალა, ღონიდამ დავიცალე, ჩემის საკუთარის ბედნიერებისათვის აღარ ვცოცხლვარ, – ნუთუ ეს ყოველი საკმაო არ არის, რომ შენი სამდურავებიც ზედ არ დაერთოს? შენ უნდა ამისთანა შემთხვევაში ხელი მომაწოდო შველისა, შენ უნდა გამიტკბილო მწარე ცხოვრება, შენ უნდა გადამაყრევინო ჯავრი და მწუხარება და მის მაგიერ შენ ჩემს ავ–კაცობას დასტირი ხოლმე და ჩემთვის გულსაკლავ სამდურავს მითვლი. ვიცი ბევრს გაწუხებ ჩემის უგემურობით, მაგრამ შენც უნდა ცოტა შებრალება იქონიო.

ჩემო კუკლუშკი! შენ უნდა იცოდე, რომ განგებ და განზრახ მე შენს წყენას, შენს შეწუხებას, თავს მოვიკლავ, და არ მოვინდომებ კი, იმიტომ რომ ერთად–ერთი საგანი ჩემის ცხოვრებისა შენა ხარ. არ მიყვარს ამისთანების თქმა, მაგრამ რა ვქნა, რომ მათქმევინებ ხოლმე. ღმერთს ჩემთვის ალერსის ნიჭი და უნარი არ მოუცია და როცა მეტი გზა არ არის, რომ ალერსიანი სიტყვა უნდა ვუთხრა ვისმეს, მე თვითონ ვწითლდები. გაწითლებას კიდევ გავუძლებდი, სწორედ სულიერად ვიტანჯები ხოლმე. ასე მგონია ხოლმე, რომ გული გავიუპატიურე, როცა წმინდად გულში შენახული გრძნობა პირით გამოითქმის. იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით დღე მუდამ არა სჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულია გულში.

ამ სახით, ჩემო კარგო ოლოკოჯან, ერთხელ და ერთხელ მერწმუნე, რომ თუ მოღრუბლულსა მხედავ, ეგ ჩემს უგემურს ხასიათს მიაწერე და არა იმას, რომ შენს ბედნიერებას მე გულგრილად ვექცეოდე. ბევრჯელ მეტი სიტყვა მომივა ხოლმე, ბევრჯელ გუნება ისე მომეშლება, რომ ლაპარაკის თავი არა მაქვს, ბევრჯელ დაფიქრებული და ხმაგაკმენდილი დავეთრევი, – უფრო ხშირად არც მოცლა მაქვს და არც ხალისი ხმის ამოღებისა და გართობისა, და შენ ყოველს ამას სამდურავის მიზეზად ჰხდი და შენდობის მაგიერ გულს მიკლავ ხოლმე. ესეც იცოდე, ჩემო საყვარელო კუკლუშკი, რომ როცა მაგისთანები მესმის შენგან, ან როცა სახის–მეტყვე-

ლება შენი ამაებს მანიშნებს, ის დღე ჩემთვის სიკვდილია. ამას არ გეუბნები ხოლმე და ვმალავ; და აბა სწორედ ეს არ–თქმა და მალვაა ის დიდი ჭირი, რომელიც კაცს ბოლოს უღებს და ნელნელა სიცოცხლესა სწოვს, რაც შენ ეგ ხასიათი დაიჩემე, მას აქეთ მომწყდა წელი და ვგრძნობ რომ დღე და დღე უკან მივდივარ სულითაც და ხორცითაც. თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, ძველებურადვე მოიბრუნე ჩემკენ გული და ყურს ნუ ათხოვებ ხოლმე, როცა მე წარბშეკრული ვარ და რაზედმე გულ–ნაწყენი. შენ აქ არაფერს შუაში ხარ ხოლმე და თუ პატარას გაგებუტები ხოლმე, ეგ უნდა მაპატიო და შემინდო, იმიტომ რომ შენი კარგად და მხიარულად ყოფნა ჩემი კარგად და მხიარულად ყოფნაა.

ერთის სიტყვით, შაფათამდე დამაცალე და შაფათს მოვალ და ყურებს აუწევ ჩემს უმადურს, მაგრამ ყოველთვის ერთგულს და საყვარელს კუკლუშკასა, რომ მეორედ ამისთანაები აღარ გაბედოს. აბა, ერთი იფიქრე შენ, ჩემო კარგო და გულითადო მეგობარო, ისეთი რა უნდა მაწყინო, რომ გულში ჩასარჩენი იყოს და იმავ წამსვე წყალს მისაცემი არ გახდეს ჩემგან! შენ ჩემს სახეს ნუ უყურებ ხოლმე და მარტო ჩემს გულში ჩამოიხედე და იქ ნახავ რამოდენა სიყვარული მაქვს ჩემის კარგის ოლიკოსი.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე

ყოველივე ეს რა გასაკვირია, როცა ოლღა 70 წლის მოხუც ილიაზეც ეჭვიანობს. 1900 წელს რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა რუსი გლეხი, განათლებული კაცი, ტოლსტოის მიმდევარი დანიელ მასლოვი. რუსეთში მასწავლებლობდა. გაზეთში წაუკითხავს, რომ თბილისის მახლობლად სოფელ კიკეთში მეფუტკრე სჭირდებოდათ. იქ დამდგარა მეფუტკრედ. იქაურობა არ მოსწონებია და თბილისში ჩამოსულა. ჩემმა ბატონმა სამსახურში მოწყობის მიზნით გამაცნო თბილისის მომრიგებელი მოსამართლე ივანე გაბრიელის ძე თულაშვილიო. ამ თულაშვილს კი საგურამოში აუყვანია ილიასთან, რომელსაც გამოცდილი მეფუტკრე სჭირდებოდა. ილიამ თავისთან დაიტოვა და ეს კაცი 1901 წლიდან მოყოლებული სიკვდილამდე ცხოვრობდა საგურამოში...

აი, ეს მეფუტკრე დანიელ მასლოვი იგონებს: „ილია სადაც არ უნდა ყოფილიყო, მისი ცოლი ოლღა განუყრელად მასთან იყო.

ოლღა განუყრელად თან ახლდა ილიას, თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. უყვარდა ქმარი. ერთხელ, მახსოვს ასეთი შემთხვევა:

ერთ საღამოს მე და ილია გრიგოლის ძე ვისხედით აივანზედ, წყაროს მახლობლად, ჩვენ წინ მოსამსახურემ გაიარა, პოლონელი ქალი იყო. „მანია! – დაუძახა ილიამ, – ერთი ჭიქა წყალი თუ შეიძლება". მოსამსახურემ იმ წუთსავე მოართვა წყალი წყაროდან. ოლღა თადეოზის ასული მეორე სართულის აივანზე იჯდა და ყველაფერს ჰხედავდა.

მესმის ოლღამ საჩქაროდ ჩამოირბინა კიბეები, გაირბინა აივანი, სადაც ჩვენ ვისხედით, დაეცა მინდორში და დაიწყო თავის ხლა მიწაზე. მე და ილია მივვარდით მისაშველებლად, ავიყვანეთ, შუბლზე ცივი წყალი დავასხურეთ და გრძნობაზე მოვიყვანეთ.

– ოლღა, გონზე მოდი! შენ ისევ შენებურად განაგრძობ, ნუ დაივიწყებ, რომ მე უკვე 70 წლის ვარ – უთხრა მას ილიამ.

ოლღამ უსმინა, უსმინა (ცუდად ესმოდა) და შემდეგ უთხრა: – დაამთავრე ილია? ეხლა მე დამიგდე ყური: ნუ დაივიწყებ რა ბედნიერებაა ჩემთვის, რომ მოგიტანო ჭიქა წყალი, შენ კი ამ სიამოვნებას მიკარგავ.

აი, როგორ ძლიერ უყვარდა მას ილია."

●

ახლა კი, შეპირებისამებრ, ირ0დიონ ევდოშვილის მონანიების შესახებ მინდა გიამბოთ. ვინ თუ არა თვით ირ0დიონმა იცოდა ყველაზე უკეთ, რომ ილიას პიროვნული წყენის გამო უხდიდა სამაგიეროს. მან თავის თავზე დაწერა რეცენზია, შეიტყო ეს ილიამ და „ივერიიდან" გამოაგდო, განა სწორი არ იყო ილიას საქციელი? შეუძლებელია პოეტ კაცს სინდისის ქენჯნა არ ჰქონოდა, მაგრამ გულისწყრომას აყოლილი, მესამე დასელებში მოხვედრილი, თავის ძველ რედაქტორს სხვაზე არანაკლებ უტევდა, იქნებ იმიტომაც, მეტი ერთგულება რომ დაემტკიცებინა თავისი ახალი მეგობრებისათვის. თუმცა, პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, ევდოშვილმა, როგორც კალმის კაცმა, კარგად იცოდა ილიას ფასი. ყოველ შემთხვევაში, მისი პარტიელებისაგან ილიას ბარბაროსული მკვლელობის შემდეგ, ირ0დიონი არა მარტო გულწრფელ სინანულში ჩავარდება, არამედ, დაწყევლის ბოლშევიკებს

და ფაქტიურად სასიკვდილოდ გადადებს თავს, ეს მაშინ, როცა თვით ილიას ახლობლებიც კი, წითელი რაზმების თარეშისაგან დათრგუნულნი, ვერ ბედავდნენ ხმამაღლა ეთქვათ, – ვინ იყვნენ მკვლელობის ორგანიზატორები, ევდოშვილი თავისი მეგობრებისკენ გაიშვერს ხელს. ეს სამოქალაქო გმირობა იყო. ეროდიონი არ მოუკლავთ, მაგრამ ბოლშევიკებმა ღალატი არ აპატიეს და სიცოცხლე გაუმწარეს.

მაგრამ ჩვენ ძალიან შორს წავედით, ჯერ 1901 წელია და ევდოშვილი ილიაზე აუგის მეტს არაფერს წერს. ილია მისთვის ილოა და „ივერია" კოჭლი გაზეთი. (ასეთი უცნაურია ცხოვრება).

ეროდიონი რომ ასე ულოცავს ილიას ახალ წელს, დაახლოებით იმავე პერიოდში ბარონ დე ბაი საფრანგეთში ბეჭდავს პატარა წიგნაკს, რომელშიც ილიაზე წერს: „ქართველებს მეომრების გარდა პოეტებიცა ჰყავთ. ერთი მათგანი ტფილისში სცხოვრობს. მისი ვინაობა მისი ფრანკოფილურნი გრძნობანი მაბედვინებს აგიწეროთ ეს კაცი: ქართველი თავადიშვილი ილია ჭავჭავაძე ნაციონალური და სახალხო პოეტია, მის ლექსებს გაიგონებთ როგორც ქუჩებში, ისე ქოხებსა და სასახლეებში. ეს განათლებული პირი უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნის; ყოველთ უწინარეს კი-თანამედროვე კაცია და ეს მცირე ღირსება კი არ გახლავთ, თუ გავითვალისწინებთ იმ წრეს, რომელშიაც ისა ცხოვრობს. ილია ჭავჭავაძემ დააარსა სათავად-აზნაურო ბანკი და იმისავე მმართველია, ამასთან რედაქტორია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ყველაზე გავლენიანი გაზეთის „ივერიისა", თავმჯდომარეა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, ხელოვნების გამავრცელებელ და საქველმოქმედო საზოგადოებათა.

ილია ჭავჭავაძემ პროზად დასწერა იუმორისტული მოთხრობანი და ქართველთათვის იგივეა, რაც რუსთათვის გოგოლი იყო. მისნი პოეტურნი ნაწარმოებნი ღრმად ქრისტიანული, პატრიოტული და ფილოსოფიურია. ბევრით ადრე გამოსთქვა ჭავჭავაძემ ბევრ საგნის შესახებ ის აზრები, რასაც ახლა ტოლსტოი ჰქადაგებს. ერთს თავის ნაწერში სატირის სახით გამო

.ამ წერილში ბევრი რამ საყურადღებოც და უცნაურიც არის თქმული, მაგრამ ამ უცხო კაცისგან ილიას მნიშვნელობა რომ შეცნობილია, აშკარაა.

●

თუმც თვით ილიას არც „რიგოლეტოს" პასკვილი აინტერესებს და ჯერ არც დე ბაის წერილი წაუკითხავს, ის იანვრის დასაწყისში ჭირისუფალია. 3 იანვარს ოლღას და, ეკატერინე თადეოზის ასული გურამიშვილი-სტაროსელსკისა გარდაიცვალა.

ხოლო თებერვლის 19-ში ქართველთა საყვარელი პოეტი რაფიელ ერისთავი აღესრულა.

21 თებერვალს ქართული რედაქციების თაოსნობით ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაწყვიტა, რაფიელი თბილისში დაეკრძალათ. პოეტი უკანასკნელი წლები ცხოვრობდა თელავში, ქალიშვილთან და სიძესთან. სიძეს, ვასილ კახიძეს, დეპეშას უგზავნის ილია ჭავჭავაძე და აცნობებს ქართული საზოგადოების სურვილს, – რაფიელ ერისთავი დაკრძალულ იქნას თბილისში, რომ გადმოსვენებისა და დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს წერა-კითხვის საზოგადოება. რაფიელს დაებარებინა, მშობლიურ სოფელ ქისტაურში დამკრძალეთო. პოეტის ეს ანდერძი დეპეშითვე აცნობა სიძემ ილიას. რის შემდეგადაც გადაწყდა (22 თებერვალს ჩატარებულ კრებაზე), რომ განსვენებულის სახელის პატივსაცემად გვირგვინების თანხა მსურველებს შეეწირათ რაიმე საქველმოქმედო საქმისათვის, რაც გაკეთდებოდა რაფიელის სახელზედ. ეს გადაწყვეტილებაც ილიამ აცნობა მიცვალებულის ოჯახს.

უამრავი დეპეშა მოვიდა საქართველოს თუ იმპერიის სხვადასხვა ქალაქებიდან. 25 თებერვალს რაფიელის კუბოს თელავიდან ხუთი ათასამდე კაცი მიჰყვებოდა. ქალაქის ქუჩები, სადაც ცხედარი უნდა გაეტარებინათ, მოფენილი იყო ღვიით. შეღამებულზე პროცესია მივიდა სოფელ ვარდისუბნამდე. ის ღამე ეკლესიაში დაასვენეს, მეორე დღეს, 26 თებერვალს კი დაკრძალეს მის მშობლიურ სოფელ ქისტაურში.

25 თებერვალს ქაშვეთის ეკლესიაში შეიკრიბა ქართული მწერლობის თითქმის ყველა სახელოვანი წარმომადგენელი. სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა. ეს არის ერთ-ერთი შესანიშნავი გამოსვლა აკაკისა, მაგრამ, რატომღაც ეს სიტყვა პრესაში პოლემი-

კის საგნად იქცა. უცნაური იყო ეს პოლემიკა, ეფერებოდნენ მიცვალებულს და გულს სტკენდნენ ცოცხალ მგოსანს...

რაფიელის გარდაცვალებას უამრავი წერილი თუ ლექსი მოჰყვა, მათ შორის ვაჟა ფშაველამ დიდებული სტრიქონები უძღვნა პოეტს:

მთა-ბარს გულს აუჩქროლებდა
შენი ხმა, შენი ნაღარა,
სამშობლომ ხევსურისამა
ყველასიც გული დაღარა.
გრძნობა შესწირე ზვარაკად
შენსა სამშობლო მხარესა,
რბილსა და ნაზსა ღიღინში
ცრემლსაც ურევდი მწარესა,
გაესხიოსნა წყვდიადი,
ეხვეწებოდი მთვარესა...

●

30 აპრილს იაკობ გოგებაშვილმა სადილად მიიწვია ილია, ანტონ ფურცელაძე, ვახტანგ თულაშვილი, ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი და იონა მეუნარგია. სადილი სადილად, მაგრამ იაკობს ამ წელიწადს დიდი ბრძოლა აქვს გადასატანი და ვისთან დაიჩივლებს, თუ არ თანამოაზრეებთან.

გოგებაშვილი წუხს ვოსტორგოვის პროექტის გამო. ეს ვოსტორგოვი იყო ქართული კულტურის დაუძინებელი მტერი. 1897 წლიდან საღვთო სჯულს ასწავლიდა თბილისის ვაჟთა I გიმნაზიაში. 1900 წლიდან კი ქართლ-კახეთის სამრევლო სკოლების ზედამხედველად დანიშნეს. „კარგი ზედამხედველობისთვის" 3 წლის შემდეგ საქართველოს საეგზარქოსოში შემავალი ყველა სამრევლო სკოლის უფროსი გახდა.

ამ კაცის მიზანი იყო საქართველოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა. 1902 წელს დაამტკიცეს კიდეც მისი გეგმა, რომლის მიხედვით სამეგრელოს სკოლებიდან სრულებით უნდა გაძევებულიყო ქართული. სამეგრელოში ეს განზრახვა არ ახალი იყო. გახსოვთ, ალბათ, თადა აშორდია, ავანტიურისტი და კიდევ უფრო დიდი ავანტიურისტის, ანდრო აშორდიას ძმა. იმან მოინდომა ადრე იანოვსკის დავალებით ამ უკულმართი საქმის გაკეთება, მაგ-

რამ არ გამოუვიდა. რამდენჯერმე სცემეს. აკაკი მოკვლით დამემუქრაო-ჩიოდა. ახლა ეს ვოსტორგოვი გამოტყვრა.

საქმის არსი იყო შემდეგში. სამინისტროს სკოლებიდან ქართული ისედაც განდევნილი იყო, მაგრამ სამინისტროს სკოლების გარდა, არსებობდა 3–კლასიანი სამრევლო სკოლები. აქ სწავლება იყო ქართულ ენაზე, ასევე ისწავლებოდა რუსული ენაც, როგორც ცალკე საგანი.

ვოსტორგოვმა მოინდომა სამრევლო სკოლებში სწავლება ყოფილიყო რუსულ ენაზე, ხოლო ქართული როგორც ცალკე საგანი, მაგრამ ეს დაშვებაც იყო ანეკდოტური-თუ კლასში აღმოჩნდებოდა თუნდაც ერთი არაქართველი, ვთქვათ სომეხი, ოსი, რუსი მაშინ სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე უნდა შემდგარიყო, თუნდაც იმ სომეხს ან ოსს რუსული საერთოდ არ სცოდნოდათ.

ეს პროექტი, გარდა იმისა, რომ ქართულ ენას აძევებდა სამრევლო სკოლებიდან, პირდაპირ ხელშემწყობი იყო სოფლად თუ ქალაქად მეზობლების შუღლისა და დაპირისპირებისათვის.

თუ სოფელში ერთი ოსი ცხოვრობდა, მის გამო მთელ სოფელს რუსული სკოლა უნდა ჰქონოდა. ბუნებრივია, ის ერთი ოჯახი თავადაც ბომბზე მდგარი აღმოჩნდებოდა, მაგრამ ვოსტორგოვი ხომ ამას არ დაგიდევდათ, მისი მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო-ადგილობრივებს რომ ერთმანეთი დაეჭამათ. აი, ამას უნდა აღუდგნენ როგორმე წინ. არადა, სწორედ იმ წელიწადს ვართ მიმდგარი, როცა ერის ზეპური საზოგადოება სამარცხვინო დღესასწაულისათვის- საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავისთვის ემზადება და ეს მზადება უკვე სამი-ოთხი წლის წინ არის დაწყებული.

მაინც ვინ იყო ამ „დიდებული" აზრის ავტორი? აზრი ალბათ ზემოდან ჩამოაწოდეს, მაგრამ ძალიან თავი კი გამოიდო დავით მელიქიშვილმა. ლევან მელიქიშვილის ძმის შვილმა, რომელიც იმჟამად თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი იყო. არც ქართველობაზე ჰქონდა ხელი აღებული, პირიქით, ის ამტკიცებდა, რომ თუ რუსებს თბილ გულს ვაჩვენებდით და ერთგულებას დავუმტკიცებდით, ხელმწიფე იმპერატორი ბევრ რასმე საქართველოსთვის კეთილი ნებით გამოიმეტებდა. დავითი იყო განათლებულიც, კარგი ორატორიც, სასიამოვნო მოსაუბრეც და თავისებურად პატრიოტიც. მაგრამ რა გამოვიდა ათას მეერთედ მოტყუებული ქართველის ცდიდან ქვემოთ შევიტყობთ, ახლა კი

იმის შესახებ, რა უნდოდა ამ ზეიმის ორგანიზატორს, რისი მიღწევა სურდა მას?

პირველ ყოვლისა მას სწამდა, რომ ამ ქვეყნის უბედურებაში მეფეს კი არ ჰქონდა წვლილი, არამედ მის ჩინოვნიკებს, ამიტომ ფიქრობდა, იმპერატორს უნდა გავაგებონოთ ქართველი ერის უბედურებაო.

მას სჯეროდა, რომ იმპერატორი გვიბოძებდა სრულ თვითმმართველობას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, ქართულ უნივერსიტეტს.

ის ხვდებოდა ახალგაზრდებს „ცნობის ფურცლის" რედაქციიდან, რომელნიც უკვე ფულს აგროვებენ ახალი, „სოციალ-ფედერალისტური" პარტიის დასაარსებლად. ასევე ხვდებოდა „კვალელებს", ჟორდანიას, მახარაძეს.

იმჟამად უკვე „ცნობის ფურცლის" ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომლის, გიორგი ლასხიშვილის მოგონება: „მახსოვს არჩილ ჯორჯაძე, ალექსი ჯაბადარი და მე „ცნობის ფურცლისაგან", ნოე ჟორდანია „კვალისაგან" და კიდევ რამდენიმე კაცი. მელიქიშვილმა დიდის სიტყვით მოგვმართა, დახლოვებით შემდეგი შინაარსისა:

თქვენ ხედავთ რა ამბებშია რუსეთის პრესა და მოხელეობა; ისინი დაჟინებით ლაპარაკობენ ჩვენს სეპარატიზმზე, გვაბეზღებენ მეფესთან და რუსის ერთან. ამიტომაა საჭირო ხმა ამოვიღოთ და გავახსენოთ, რომ საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს; მოვაგონოთ, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის ამ შეერთებას: საქართველომ დარიალის კარები გაუღო რუსეთს და ამრიგად საშუალება მისცა მას-ახლო აღმოსავლეთში ფეხი მოეკიდნა. ამასთანავე უნდა ვუთხრათ რუსის მეფესა და ერს, რომ საქართველოს სამაგიეროდ არაფერი მიუღია. იმედი გაუცრუვდა და დღეს გადაგვარების გზას ადგია. თქვენ დამეთანხმებით, რომ ყველა ამის თქმას დიდი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა ექნება. ხოლო ყველაფრის თქმა შესაძლებელი იქნება, როცა ჩვენ აგრეთვე ჩვენის ნებით ვიდღესასწაულებთ შეერთების ასი წლისთავს. გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ ამჟამად თავად-აზნაურობასა და ქალაქს აღძრული აქვს სხვადასხვა მნიშვნელოვანი შუამდგომლობა ერობაზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე და ტფილისში უნივერსიტეტის დაარსებაზე. იმედი მაქვს თუ ყველა არა, ზოგი შუამდგომლობა მაინც დაკმაყოფილებულ იქნება, თვით ამ დღესასწაულის დროსო.

ჩვენ ყველამ, პრესისა და სხვადასხვა მიმდინარეობების წარმომადგენლებმა, რა თქმა უნდა, გადაჭრით უარი ვუთხარით მელიქიშვილს დღესასწაულში მონაწილეობის მიღებაზე და საერთოდ დახმარებაზე. ჩვენი პასუხი მოკლე იყო:

– ქართველი ერის მონობის აღსანიშნავ დღესასწაულში ჩვენ ვერავითარ მონაწილეობას ვერ მივიღებთ-თქო.

– მე ამას მოველოდი, გვითხრა მელიქიშვილმა, იმას მაინც გთხოვთ, წინააღმდეგობას ნუ გაგვიწევთო. ამაზე არჩილ ჯორჯაძემ უპასუხა:

– სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ ძალა არ არის ლეგალურ პრესაში წინააღმდეგობა გაგიწიოთ, ხოლო თუ ვინმე არალეგალურად თავის აზრს გამოხატავს, ამას თქვენთვის რა მნიშვნელობა ექნებაო."

ვიდრე დავით მელიქიშვილი და მისი თანამოაზრენი ამა წლის 25 სექტემბერს დაგეგმილი დიდი ზეიმისთვის ემზადებიან, ილიაც სამზადისშია, ოღონდ ისევ გერმანიაში გამგზავრებას ეშურება. ავადმყოფობამ ისევ შემოუტია და ესეც არ იყოს, ოღღაც სამკურნალო ჰყავს. მას კარგა ხანია სმენა დაუქვეითდა და ამ ნიადაგზე ისე ნერვიულობს, ილიას ათასი ახსნა-განმარტება სჭირდება, რომ რაკი მისი ხმადაბალი ლაპარაკიც კი ესმის, ასე სანერვიულოდ სულაც არ არის საქმე...

ივნისის ბოლოს ილია, ოღღა, ელისაბედი, ელენე ჯაბადარი-ილიას მეგობრის, სპირიდონ ჯაბადარის მეუღლე, ანტონ ფურცელაძე და ნიკო ხიზანიშვილი მიდიან გერმანიაში კვლავ პროფესორ ლეიდენთან.

საინტერესო ის არის, რომ ელისაბედი ქართულ კაბაში და ქართული თავსაბურავით გამოჩენილა ქალაქის ქუჩებში. ევროპელები დასდევდნენ და ათვალიერებდნენ ამ უცნაური ჩაცმულობის გამო. რას დამსდევენ ეს გასაწყვეტლებიო-სწუხდა ელისაბედი. ილიამ თავისი სახელობის დღეობის მისალოცი დეპეშები ამჯერადაც გერმანიაში მიიღო და „ივერიაში" ივლისის ბოლოს იბეჭდება ილიას სამადლობელი წერილი ყველა იმ პირისადმი, ვინც 20 ივლისი მიულოცა.

●

თბილისში სექტემბრის შუა რიცხვებში დაბრუნდა. 25 სექტემბერს ის დიდი ზეიმი იყო დანიშნული. იმპერიის ცენტრიდან ჩამობ-

რძანებულ უმაღლეს გვამთა მასპინძლებს შორის ილია არ ჩანს, მაგრამ საინტერესოა, ვინ ჩამოვიდნენ რუსეთ-საქართველოს „შეერთების" მე-100 წლისთავზე და როგორ ხელდამშვენებულნი. სტუმართა შორის არიან კავკასიის ნეფისნაცვლად ნამყოფი, ახლა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (ბოლო წელია მისთვის ამ თანამდებობაზე), მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი. მას ახლავან საბერძნეთის დედოფალი და დიდი მთავრები. რუსეთის თავადაზნაურობის სხვადასხვა გუბერნიების წინამძღოლნი. მოსკოვისა – თავადი ტრუბეცკოი, კიევის – რეპნინი, ვილნოს – პლატერი, პეტერბურგის – ზინოვიევი და სხვები.

„დილით სამეფო გვარეულობა, რუსეთიდან ჩამოსული სტუმრები, ქართველი თავად-აზნაურობა და ქალაქის წარმომადგენელნი სიონის ტაძრისაკენ გაემართნენ. ქალაქის საგანგებოდ მორთულ ქუჩებზე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი, მაგრამ ცხადად ემჩნეოდა მას სრული გულგრილობა და აშკარა იყო, სანახაობის საყურებლად გამოსულიყო. სიონის ტაძარში პარაკლისის გადახდის შემდეგ ყველამ თავი მოიყარა მთავარმართებლის სასახლეში. გამოვიდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, მიულოცა დამსწრეთ დღესასწაული და წაიკითხა „უმაღლესი რესკრიპტი". რესკრიპტში აღნიშნული იყო მეფის შემდეგი „წყალობანი":

1. ქალაქ „კავკავში" დაარსებულ იქნება კადეტთა კორპუსი, ქართველ თავად-აზნაურობის შვილების აღსაზრდელად;

2. ყოველწლიურად ხაზინიდან ქართველ თავად-აზნაურობას მიეცემა 40 ათასი მანეთი (ოც-ოცი ათასი ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობას (შედარებისათვის გეტყვით, ამ დროისათვის ილიას ბანკს აქვს დაახლოებით ნახევარი მილიონი სუფთა მოგება, ნ.გ.))

3. თავად-აზნაურობა 3 წლით გათავისუფლებულია საადგილმამულო გადასახადებისგან.

როგორც ხედავთ-განაგრძობს თხრობას ლასხიშვილი, მეფის რესკრიპტშიაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ეს დღესასწაული თავადაზნაურობის დღესასწაულია და მხოლოდ მას ებოძა სხვადასხვა საჩუქარი.

ნაშუადღევს სამ საათზე მე გავეშურე მელიქიშვილის სახლისკენ ამბების გასაგებად; იქ უკვე თავი მოეყარა ინტელიგენციის რამდენსამე წარმომადგენელს, რომელნიც ჩემსავით ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა აქ. პატარა ხნის შემდეგ შემოვიდა თვით მელი-

ქიშვილიც, რომელსაც დიდი აღელვება ეტყობოდა. თან მოსდევდა ტრუბეცკოი, რომელიც ცდილობდა მის დამშვიდებას, გადეხვია კიდეც:

– Успокоймся, голубчик Давид! Все исправится, надо нам немного потерпеть...

მელიქიშვილი გაჯავრებული იყო რესკრიპტით! მოელოდა ერობას, ან უნივერსიტეტს, კიდევ რასმე ქართველ ერისთვის, ნამდვილად კი რესკრიპტით თავად-აზნაურობას ებოძა კადეტთა კორპუსი და რაღაც გროშები. დამახასიათებელია, რომ მელიქიშვილს ეხლაც მტკიცედ სწამდა, მეფე აქ არაფერ შუაშია, ყველაფერში დამნაშავე „კედელი", განსაკუთრებით კი კავკასიის მთავარმართებელი, თავადი გოლიცინიაო, (ადრე ვთქვით, რომ ამ გოლიცინის უხეშობის გამო ის სამსახურს დატოვებს, – ნ.გ.) იმის ჩაგონებით არის დაწერილი ეს რესკრიპტიო. გაიძახოდა განრისხებული მელიქიშვილი.

ასე უფერულად გათავდა ეს უცნაური დღესასწაული."

ქართველმა ახალგაზრდობამ (ცხადია, არა მესამე დასელებმა) უფროს თაობას ნამუსი მოსწმინდა. დიდხანს იმსჯელეს პროტესტი რითი გამოეხატათ და ბოლოს არჩილ ჯორჯაძეს მშვენიერი პროკლამაცია დაუწერია. დაუბეჭდავთ, გაუმრავლებიათ ეს პროკლამაცია და გაუვრცელებიათ ხალხში.

ილია ნაკაშიძეს (ილიას დიდი მეგობრის, პეტრე ნაკაშიძის შვილი), რომელიც ტოლსტოისთან ახლოს იყო, დაუწერია დიდი წერილი, სადაც აღწერდა, რა სამარცხვინოდ აზეიმეს საქართველო თავისი დამონების მეასე წლისთავზე და რომ ქართველი ხალხი არათუ მონაწილეობდა ამ ზეიმში, პირიქით, პროტესტს გამოთქვამდა თავსმოხვეული მონობის ზეიმის გამო.

ილია ნაკაშიძე წერდა ლევ ტოლსტოის, თავისი ავტორიტეტული სიტყვით მსოფლიოს წინაშე მხარი დაეჭირა ქართველთა სამართლიანი გულისწყრომისთვის. ნაკაშიძემ ტოლსტოის პასუხი მიიღო. იწერებოდა, თანაგიგრძნობთ, მაგრამ ახლა ამის გაკეთება არ შემიძლია და იქნებ შემდეგში მოვახერხო რამეო.

არც არაფერი მოუხერხებია...

რას ფიქრობს ყოველივე ამაზე ილია? ლეგალურ პრესაში ამ დღესასწაულის საწინააღმდეგო აზრი ვერ გაჭაჭანდებოდა. საბედნიეროდ, ამ ფაქტთან დაკავშირებით შემოგვრჩა ერთადერთი მოგონება მიხეილ ჯავახიშვილისა. მიხეილი 1893 წლიდან წინამძღვრიანთკარის სკოლაში სწავლობდა. ამ სკოლის მოწაფეები

წინამძღვრიშვილს ილიაობაზე დაჰყავდა ხოლმე. ყმაწვილი ჯავახიშვილიც იქ უნახავს ილიას. და აი, ახლა ყირიმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან დაბრუნებული მიხეილი დიდუბეში, ამ ზეიმისადმი მიძღვნილ გამოფენაზე შემთხვევით წააწყდება თავის ყოფილ დირექტორს ილია წინამძღვრიშვილს და ილია ჭავჭავაძეს. ახლა თვით მიხეილს მოვუსმინოთ: „უცებ ორ ილიას-ჭავჭავაძესა და წინამძღვრიშვილს წავაწყდი. ეს ის წინამძღვრიშვილია, რომელიც 60-იან წლებში ჭავჭავაძეს შეიარაღებულ მცველად დასდევდა, როცა მას ზოგი ქარაფშუტა თავადი თუ აზნაური მოკვლას ემუქრებოდა. ორივენი თითქო შეფიცული მეგობრები იყვნენ და უერთმანეთოთ დიდხანს ვერა სძლებდნენ. წინამძღვრიშვილიც შესანიშნავი მოღვაწე იყო. მთელი სიცოცხლე თავი სკოლას შესწირა.

ორივენი სუფრაზე ისხდნენ და საგრილებელ რაიმე სასმელს სვამდნენ. მე ვცადე ილია წინამძღვრიშვილისთვის თავი მომერიდებინა, მაგრამ დამინახა, დამიძახა, დამსვა და მისალმების შემდეგ მკითხა, ამ დროს აქ რა გინდათ? როცა გაიგო, რომ სწავლას თავი მივანებე, ძლიერ გაწყრა და საყვედურით ამავსო.

– ეხლა რას აპირებ, რით გინდა იცხოვრო?

– მინდა მხატვრობა შევისწავლო.

წინამძღვრიშვილი უარესად გამიწყრა, კიდეც დამცინა, ჭავჭავაძემ მიცნო.

– ეს ის ყმაწვილი ხომ არ არის, მწერალი რომ უნდა გამოსულიყო? – ჰკითხა მან წინამძღვრიშვილს.

– ის არის, მაგრამ მწერალი კია არა... – და ჩემს გაწბილებას დასასრული აღარ უჩანდა. ბოლოს მკითხა, მამაშენი ნაწყენი არ არისო?

– დედ-მამა დამეხოცა, ვუპასუხე მე.

– წინამძღვრიშვილი უცებ მოლბა. კილო გამოიცვალა, მანუგეშა, მომეალერსა.

მე ჩემი დედისა და დის მოკვლის ამბავი ვუამბე. ორივენი გაოცდნენ, ნუგეშის ცემას უმატეს. ამ დროს სუფრას მეფის ჯარისკაცის მუნდირით გამოწყობილი თავად-აზნაურთა წინამძღოლი დავით მელიქიშვილი მოუჯდა. ის ჩემი ბორჩალოელი მეზობელი იყო და ერთმანეთს უწინაც ვიცნობდით. ამ იუბილეს ინიციატორი და მეთაური ის იყო. სალამ-მოკითხვის შემდეგ მარშალმა და ჭავჭავაძემ საუბარი გააბეს. მას დროგამოშვებით ცხარე კამათის იერი ეძლეოდა, ეს ბაასი სიტყვა-სიტყვით აღარ მახსოვს, ხოლო

მისი შინაარსი კარგად დამახსოვდა, მელიქიშვილმა ჭავჭავაძეს უსაყვედურა, თავად-აზნაურთა საკრებულოს, იშვიათად ეკარები, ხოლო იუბილეს მტრულად შეხვდიო.

– სასიხარულო არაფერია, – მიუგო ჭავჭავაძემ, – საქვეყნოდ თავი მოგვჭერით. თავიდანვე გითხარით, მე ჩემი გზა მაქვს – მეთქი.

– ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნესო – გაიხსენა წინამძღვრიშვილმა ჭავჭაძის გზა, რომელიც მელიქიშვილის გზას თავიდანვე გაეყარა.

გარდა ამისა, – სთქვა ჭავჭავაძემ, – ამ იუბილემ ქართველი ხალხი ორ ბანაკად გაარღვია. თქვენ ერთი მუჭა ჩინოსანი, გაღმა დგეხართ, ხოლო ხალხი გამოღმა დარჩა. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია: ამ იუბილეს წყალობით ხალხი მტერ–მოყვარის გარჩევას ისწავლის და მისი ეროვნული შეგნება საბოლოოდ ჩამოყალიბდება".

რაკი რუსეთთან საქართველოს „შეერთების" საკითხს ვეხებით, ვჩაქრობ წარმოგიდგინოთ ერთი ლექსიც აკაკისა, რომელიც, მართალია, მოგვიანებით არის დაწერილი და ერთ კარგ რუს მოღვაწეს დურნოვს ეძღვნება, რომელსაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხში ჩვენ მხარი დაგვიჭირა, მაგრამ ლექსი არსებითად ხსენებულ თემაზეა დაწერილი. გარდა ამისა, ის არ არის შეტანილი აკაკის ტომეულებში და პირველად კირიონის არქივიდან გამოაქვეყნა შ. გოზალიშვილმა ამ 20 წლის წინათ. ლექსში აღწერილია ის იმედი და შემდეგ სრული გულგატეხილობა, რაც ამ 100 წელიწადს მოეტანა ქართველი კაცისათვის.

აი , აკაკის ეს ლექსიც:

ცოლიც რუსი მყავს, შვილიც რუსი მყავს
და მეც რუსეთში დავჭაღარავდი.
მიყვარდა რუსი, მაგრამ მის ნაკლს კი
აღვიარებდი ! ვერა ვფარავდი.
ვუქებდი წარსულს, მაგრამ აწმყოში
მძულდა მთავრობა ბიუროკრატი
და მე რომ რუსად წარმოვიდგენდი,
სხვაგვარი იყო იმისი ხატი:
ქრისტეს მოყვარე, სულით მაღალი,
გაჭირვებულთა ხელის შემწყობი,
უსამართლოთა და უკულმართთა

აღვირამსხმელი და დამამხობი!
ვით ჩვენს წინაპრებს, მეც ისე მყავდა
მაშინ რუსობა წარმოდგენილი:
მთელ საქართველოს დამსხნელ–მფარველად
და სასოებით მიცემდა გული.
მაგრამ რა ვნახე ჩემს სამშობლოში,
როცა დავბრუნდი, ღმერთო ძლიერო!
ერთგულების და სიყვარულისთვის
გადასახადი სამაგიერო!
ზიზღი და მტრობა! – სხვა არაფერი!
დევნა სასტიკი ხორცის და სულის,
ვითომც მტყუანი იყოს ქართველი
და მართალი კი სულ ის და სულ ის.
რუსებს ეჭირათ სუყოველგვარი
ჩვენი ცხოვრების ასპარეზები.
გვაჯდენ კისერზე, როგორც სახედრებს
და გვერდებს გვჭრიდა მათი დეზები.
სამღვდელოებას და მის ეგზარხოსს
აებნათ ქრისტეს ნამოძღვრი კვალი;
შეჰქონდათ ხალხში უსჯულოება,
საქრისტიანო უარჰყვეს ვალი.
გარედან მღვდლები, შიგნიდან მგლები,
თავს არ იტეხდნენ ქრისტეს მცნებაზე
და გამაძღრები ფიქრობდნენ მხოლოდ,
როგორც ჟანდრები გარუსებაზე.
სამსჯავროებში აღარსად იყო
აღარც კანონი, არც სამართალი
და თითოეულ მსაჯულთაგანსაც
გარუსებისკენ ეჭირა თვალი.

და ა.შ

დამთავრდა მონობის ზეიმი. ზეიმი ორმოცი ათასი მანეთის საანაცვლოდ. მერმე ქართველები ამაზეც დიდხანს იკამათებენ, რას მოახმარონ ეს თანხა.

1901 წლის შემოდგომაა. ნაავადმყოფარი ილია ისე მარტოსულად გრძნობს თავს, როგორც ფოთლებჩამოყრილ, გაძრცვილ ხეთა შორის „შემოდგომის მგზავრი გვიანი“, მის თავზე ახალი ღრუბლები შემოჯარულან.

●

ილიას თაობიდან ბევრი აღარ არის. ვინც დარჩა ბრძოლაში, უმეტესობა თანაუგრძნობს, მაგრამ ასაკს თავისი გაუტანია, – ზოგი ავადმყოფობს, ზოგს ბრძოლის შუა ცეცხლში გადაშვების თავი უკვე აღარ აქვს. ზოგს მისი გაზეთიდან რაღაც წყენია და მომდურავივით ექცევა. ასპარეზზე ახალუხლები აქტიურობენ. მათ ორგანიზაციული ძალა აქვთ. აქვთ პარტია. რაიონული უჯრედები. „მესამე დასელნი" კალიებივით მოსდებიან სოფლებს და ქალაქებს. ნოე ჟორდანიამ დროებით დაამთავრა ილიასთან საგაზეთო პოლემიკა, უფრო სწორად, პრესაში აღარ ჩანს, რადგან საზღვარგარეთ წასულა. ახლა ფილიპე მახარაძე გამოხტა. წელიწადში 2–3 წერილი (ეს ჯერ-ჯერობით) ილიას წინააღმდეგ რომ არ დაწეროს, ისე არ იქნება. ილია არ პასუხობს. ამათ ილიასი არც ეროვნული პოზიციები მოსწონთ და არც სოციალური. აქეთ მეორე ჯგუფი ახალგაზრდებისა არჩილ ჯორჯაძის, გიორგი დეკანოზიშვილის ხელმძღვანელობით, რომელთაც „ცნობის ფურცელში" მოუყრიათ თავი, ესენი ილიას იდეებზე გაზრდილი ხალხია, მაგრამ თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლაში ძველ თაობას და მათ შორის ჭავჭავაძეს თავიდან ესენიც უტევენ სოციალურ საკითხებში უთანხმოების გამო. „ცნობის ფურცელი" უტევს აკაკისაც და იმას უფრო მწარედ, რის გამოც აკაკი ცოდვის ფურცლად მონათლავს ამ გაზეთს.

საერთო ვითარება ასეთია : 1901 წლის ბოლოსათვის „კვალი" ებრძვის „ივერიას" და ნაწილობრივ „ცნობის ფურცელს".

„ივერია" ებრძვის „კვალს" და ნაწილობრივ „ცნობის ფურცელს".

„ცნობის ფურცელი" ებრძვის ნაწილობრივ „კვალს" და ნაწილობრივ „ივერიას".

მაგალითად, ნიკო ხიზანიშვილი „ცნობის ფურცელის" ერთ თანამშრომელზე, სიმონ ფირცხალავაზე წერდა: „ვერ გაუგია, რომელი გაზეთისადმი უფრო ამჟღავნებს იდეოლოგიურ სიახლოვეს; როცა სამშობლოს სიყვარულით დაასრულებს წერილს, ამით ივერიელებს იმადლიერებს, მაგრამ როცა დაჩაგრული კლასის ინტერესებს მაღლა დააყენებს ამით „კვალის" დემოკრატიზმს უახლოვდებაო". (იხ. მ. გაჩეჩილაძის დასახ. ნაშრომი. გვ.68)

არც ეპითეტები დაუკლია ადრესატისთვის ხიზანიშვილს – უნიგნური, უვიცი, სულით ავადმყოფი. „ივერიამ" ისე შეუტია „ცნობის ფურცელს" , რომ ეს უკანასკნელნი ოფიციალურად გა-

იბუტნენ და გამოაცხადეს, „ივერიის" ხსენებაზე ჩვენს გაზეთში მორატორიუმს ვაწესებთო. ამაზე „კვალი" გადაირია, გაბუტვა რა ბრძოლის ფორმაა, დასცხეთ მაგათო. კვალელები შეეცადნენ ამ ვითარებით ესარგებლათ და ილია წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარეობიდან გადაეყენებინათ. ასევე სურდათ ძველი თაობის სხვა წარმომადგენელთა გამოყვანა საზოგადოებიდან, რადგან ისინი „ლიბერალები" და „პატრიოტები" იყვნენ. „კრებაზე მხოლოდ იმიტომ გამოცხადდნენ, რომ ხალხს შეახსენეს თავი, არ მოვმკვდარვართ, ცოცხლები ვართო, " – ღლიცინებდა „კვალის" კორესპონდენტი. „ცნობის ფურცლის" ახალგაზრდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, ილიას დასაყრდენი ჯგუფი კიტა აბაშიძის მეთაურობით, „ცნობის ფურცლიდან" წავიდა, ილიას კრიტიკულ მომენტში ყველა მხარში დაუდგა. გაზეთის ძველი რედაქტორიც და ახალიც. ჯაბადარიც მის კვალზე მავალი იყო ძველი დროიდანვე და ჭყონიაც. „კვალელებს" იმედი გაუცრუვდათ. წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ ისევ ილია აირჩიეს 79 ხმით 39–ის წინააღმდეგ.

მაგრამ „ივერია?" ილიას ყოველდღიური გაზეთის რიტმის აყოლა აღარ შეეძლო. ესეც არ იყოს, უკვე კონკურენციაც დიდია. „კვალი" ფულს ძარცვითა და პარტიული საწევროებით შოულობს. „ცნობის ფურცლის" გამომცემელი ალექსანდრე ჯაბადარი, რომელმაც გაზეთი გუნიასგან შეიძინა, მდიდარი კაცი გამხდარიყო. მან პირველმა იყიდა ელექტროსტამბა კავკასიაში, რითაც დიდ მოგებას იღებდა და „ცნობის ფურცელს" ახმარდა. გაზეთის ტირაჟმა 10–12 ათასს მიაღწია. ილიას კუტრი ჯიბე ამ კონკურენციას ვერ გაუძლებდა. ამას თანამშრომლებიც გრძნობენ და რედაქცია თანდათან მეჩხერდება. ილიას ბარათი გიგა ყიფშიძისადმი:

„ბატონო გიგავ! არ მესმის, ღმერთმან იცის, თქვენი საქმე და ამის გამო ჩემიცა. მაგალითებრ, დღეს ერთი სტრიქონიც არ იყო მზად სახვალიოდ და ერთმა თქვენგანმა არცკი დაინახა საჭიროდ წუხელ შემოსულიყო. საკვირაოდ ერთი სტრიქონიც არ არის მზად და აი უკვე მეცხრე საათია და არც ერთი თქვენგანი რედაქციას ახლო არ ეკარება. მე ილაჯი გამიწყდა ამდენის თქმითა და ტყუილის ლოდინით. ის მაინც წინასწარ მითხარით ხოლმე, რომ არა გსურთ სიარული რედაქციაში საღამოობით, მაშინ ჩემს თავს როგორმე მოვუვლი, თორემ ასე უთავ– ბოლოდ საქმის წაყვანა შეუძლებე-

ლია. დღე არ გადის თითქმის ისე, რომ შიში არ იყოს ნომრის გამოუსვლელობისა სახვალიოდ და მინამ თქვენის აქ მოსვლით შიში გადიყრება ხოლმე, მე ჩემი მემართება. თუ არ გსურთ და მოგწყინდათ რედაქციაში მუშაობა, მითხარით. ამ იანვრამდე როგორმე გვეტოტიალებინა საქმე კარგი იქმნება და მერე კი მეც თვითონ ხელს ვიღებ".

1901 წლის 5 დეკემბერს ილიას რედაქტორობით გაზეთ „ივერიის" უკანასკნელი ნომერი გამოდის. მეორე დღიდან გაზეთის რედაქტორია ილიას ძველი თანამშრომელი ალქსანდრე სარაჯიშვილი. ჯერჯერობით გამომცემლად ისევ ილია დარჩა.

ჭავჭავაძე როგორც რედაქტორი დაემშვიდობა იმ გაზეთს, რომელსაც მისი ცხოვრების ყველაზე დიდ ნაწილს, ყველაზე დიდ დროს უთმობდა მოყოლებული 1877 წლიდან.

●

1901 წლის დეკემბერში ერთი საინტერესო ფაქტიც ხდება, რომელიც მინდა იცოდეს მკითხველმა. ბათუმში კარგა ხანია ქალაქის თავს ილიას რეკომენდაციით ირჩევენ ხოლმე.

გარდაიცვალა ქალაქის თავი ასათიანი, რომელიც ძალზედ ღირსეულად უძღვებოდა თავის საქმეს და ამიტომ შავრაზმელ რედაქტორ პალმის თავდასხმის ობიექტი იყო მუდმივად. შემცვლელის მოსაძებნად ბათუმელთა დელეგაცია ჩამოდის ილიასთან. ჭავჭავაძემ მათ ურჩია ახალგაზრდა, პატრიოტი, განათლებული ივანე ანდრონიკაშვილის არჩევა. თან დასძინა, სახელმწიფო სამსახურშია და მთავრობა არჩევის შემთხვევაში დაამტკიცებსო. რუსებთან დიდი ბრძოლის შემდეგ, ანდრონიკაშვილი მართლაც აირჩიეს. მაგრამ ქუთაისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა. სათანადო ცენზი არ ჰქონიაო. ბათუმში იმ დროს ისეთი მამალი რევოლუციონერები მოღვაწეობდნენ, როგორებიც იყვნენ ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე , ალექსანდრე წულუკიძე. მათ ილიასეული კანდიდატურა დიდად არ ეპიტნავებოდათ, ჩვენ ეროვნულ საკითხზე არ ვფიქრობთ, ვიდრე ჩვენს პროლეტარიატს არ გავათავისუფლებთო. დავით კლდიაშვილის, გრიგოლ ვოლსკის, ივანე მესხის, გრიგოლ ბეთანელის წყალობით ეს სოციალისტები ანდრონიკაშვილის მხარდასაჭერად განეწყვნენ, მაგრამ პალმი თავისი გუნდით ენერგიულად მოქმედებდა. სასწრაფოდ დაანიშვნინა ახალი არჩევნები. უცენზო

ანდრონიკაშვილს ვეღარ აირჩევდნენ, ამ შემთხვევაში მთავრობა ვისაც უნდოდა, იმას დანიშნავდა. ერთადერთი შემთხვევა მოხდა ერთსულოვანი მოქმედებისა. ქართველებმა სამ დღეში უშოვეს ცენზი თავიანთ კანდიდატს, ისე, რომ საბუთმა კრების შუალედში, ქართველთაგან დროის გაყვანის მიზნით იძულებით შესვენების გამოცხადების დროს მოუსწროთ.

პალმი გამარჯვებას ზეიმობდა, დარბაზში შევიდნენ და განაცხადეს, კრება განვაგრძოთო. დაასახელეს ისევ ანდრონიკაშვილი და აირჩიეს. ცენზი? ყვირის პალმი.

ცენზი გვაქვსო, – მშვიდად უპასუხეს. მთავრობა იძულებული გახდა და ანდრონიკაშვილი დაამტკიცა. ეს ილიას მორიგი გამარჯვებაც იყო მთავრობაზეც და თბილისში მოკალათებულ „მესამე დასელებზეც."

1902

შემოტევები ყოველის მხრიდან. აკაკი. იაკობი. არჩილ ჯორჯაძე. ივ. გომართელი. აკაკის სახლის გადაწვის მცდელობა. რატომ იზიდავდა მარქსიზმი მასებს? „ჩემო მაინც კარგო თეკლევ“. თბილისის მცხოვრებთა სტატისტიკა. რძალ-მულის ჩხუბი. ილიას გადასვლა დის სახლიდან.

არჩილ ჯორჯაძე

„მაინც შენი ძმა ილია ჭავჭავაძე...“

ილიას კერძო წერილიდან დისადმი

„ივერიის“ რედაქტორობიდან წასვლის შემდეგაც, თუ „ივერიაში“ დაბეჭდილი მასალა არ მოეწონებათ, სამდურავი ისევ ილიაზე აქვთ. ამჯერად მის თანამებრძოლებს და თანათაობელებს ვგულისხმობ, თორემ ფილიპეს ჯუფთის ხალხს ისედაც არაფერი მოსწონდა ამ გაზეთში. ილია, როცა გაზეთს ხელს აწერდა, მაშინაც ვეღარ იცლიდა წერილების წასაკითხად. ახლა ხომ აღარც ევალება, ამიტომ ისეთი სტატიებიც აღმოჩნდა „ივერიაში“, აკაკი და გოგებაშვილიც რომ გაანაწყენა. აკაკის სხვა მიზეზიც ჰქონდა. კიტა აბაშიძე და „ჩიორა“, იგივე ახნაზაროვი, ილიას თანამოაზრეებად ითვლებოდნენ, აკაკის კი მათთან ხანგრძლივი პოლემიკა ჰქონდა, ახნაზაროვისა და კიტას გამოც ილიაზე და „ივერიაზე“ იყო განაწყენებული. კიდევ ერთ ინფორმაციას აღეშფოთებინა, ვოსტორგოვს რომ ეხებოდა. არ ვიცით, ილია რა შუაში იყო, მაგრამ აკაკის ერთი წერილი, მეტისმეტად გულნატკენი კაცის დაწერილია. მომაქვს ეს წერილი არა მხოლოდ იმის გამო, რომ „ივერიას“ ეხება, არამედ იქიდან ერთ გასაოგნებელ ინფორმაციას ვიგებთ, – 1902 წლის დასაწყისში აკაკისთვის სახლის გადაწვა უცდიათ.

პოეტი იაკობ გოგებაშვილს 1902 წელს სწერს:

„ბატონო იაკობ!

მიკვირს და გამკვირვებია, რომ ის გაზეთი სადაც შენ მხურვალე მონაწილეობას იღებ, კიდევ მაინც ასე წინდაუხედავად წაიკუნტრუშებს ხოლმე!... ჯერ იყო და ვოსტორგოვის ქებით გაგვაყრუა... ახლაა და ქებათ–ქებას უძღვნის ახლად ნაკურთხ კერპმთავრებს: „ამისთანა ნასწავლი და ამგვარად ნამსახურები არიანო!“ მკითხველებს უმახარობლებს, თითქო საბედნიერო რასმე. მერე რა დროს? მაშინ, როდესაც ქართული ეკლესია გან-

საცდელშია ჩავარდნილი და მასთან ერთად ენისა და ეროვნების გაქრობას გვიქადაგიან... აი, ამას ჰქვიან სწორედ პოლიტიკური მახინჯობა და „გოჩიაური“ მეთაურობა! მაშინ როდესაც უფლება არა გვაქვს, ისკარიოტელს გამცემელი დაუძახო, იმას მაინც რა გრჯის, რომ იმავე ქვეყნის მტერს მოციქულებთა შორის იხსენიებ?! მაგრამ ჩვენი არამკითხე მეთაურები, განა გაარჩევენ სად რა სთქვან და როდის? მტრები ცეცხლს გვიკიდებენ და ჩვენ, რომ გავაქროთ, წყლის მაგივრად ნავთს კი ვასხამთ!... მართლა ცეცხლის წაკიდებაზე მომაგონდა, ამ დღეებში ღამის სამ საათზე წამიკიდეს ცეცხლი, თავიდან დაწყებული, რაც რამე კი ნამშრალობა მქონდა, სულ გადამიბუგეს; სახლი კი სოფელმა გადამირჩინა. კიდევ კარგი დაზღვეული არ ყოფილა, თორემ ვინ იცის , უცნაურ რამესაც ამიტეხდნენ და სამართალშიც მიმცემდნენ... გამომძიებელი გადმოვიდა და გლეხკაცებში და მომსახურეებში დაიწყო დამნაშავის ძებნა. მაგრამ ტყუილად, ისინი მე არას მერჩოდნენ. იმათ თვალშიაც რომ ჩავუვარდე, ხელსაც არ ამოისვამენ – გამომძიებელსაც ასე ვუთხარი და თავი დავანებებიე, ეს მტრობით კი არ არის ნაქნარი, მოყვრობით მეთქი: ორმოცდაათი წლის იუბილეის ჩირაღდანი გამიკეთეს და ეს უფრო შეგნებულების საქმე იქნება , თვარა დაბალი ხალხი რას მიხვდებოდა მეთქი? ბევრი იცინა, თუმცა ჩემზე კი უფრო სწუხდა. მე კი ყურიც არ გამიბერტყია! დაიწვას ყოლიფერი, მაინც დასაწვავია!... ნეტავ სახლიც არ გადაერჩინათ, ერთ ჭირს გადავრჩებოდი : ტყუილად კი არ არის ნათქვამი : „ვერიდებოდი ჭინჭარსაო, ამომივიდა წინ კარსაო!“ ეს ერთი ხანია, ერთი რუსი, ჩემი შვილის ნაცნობი, ჩამიდგა სახლში და ვეღარ მოვიშორე. „მომწონს აქაურობაო!“ მე კი აღარ მკითხავს !... ამის ლოლიაობას ვუნდები და ვეღარა გამიკეთებია რა!... ასე უნაყოფოდ ჩემს დღეში არა ვყოფილვარ, არ დავრჩენილვარ სოფელში, ოციოდე იგავ–არაკი დამრჩა კრილოვის იგავ–არაკებიდან და ისიც ვეღარ გავათავე... ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „თვით არ იყო ძმარიო და ჩაერია წყალიო“, მე რაღა ხელის შეშლა მეჭირვებოდა“.

შენი ღრმა პატივისმცემელი აკაკი.

გაურკვეველ ხელზე ნუ დამემდურები.

როცა გუნებაზე არა ვარ, ვეღარას ვახერხებ ხოლმე.“

იაკობ გოგებაშვილი უგზავნის პასუხს: „ბატონო აკაკი, მივიღე თქვენი დეკადენტური ეპისტოლე: სამ სიტყვაში ერთი ძლივს–ძლი-

ვობით ამოვიკითხე, რომელმა ჭორიკანა ჭინჭრაქამ დაგარწმუნა, რომ მე „ივერიაში“ ვითომ მხურვალე მონაწილეობას ვიღებ, არამც თუ მხურვალეს, ცივს მონაწილეობასაც მოკლებული ვარ. იქ სხვა ჭკუის სულიერნი თვითმპყრობლობენ. „ივერიის“ სხვადასხვა მძიმე შეცდომაში, თუ დანაშაულობაში მე იმდენადვე ბრალი მიდევს, რამდენიც შენი სახლ–კარის გადაბუგვაში. ქართველი გლეხების აზრით, ქონების ცეცხლით გადაბუგვა – პატრონის დღეგრძელობას მოასწავებსო. ვინუგეშოთ ამ ტკბილი იმედით მაინცა.“

თქვენი ყოველი სიკეთის მონატური
იაკობ გოგებაშვილი

რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ ამ დროს ილია აღარ არის გაზეთის რედაქტორი, რომ იაკობის და აკაკის საყვედურები გაზეთს ეხება, რომელსაც უკვე ალექსანდრე სარაჯიშვილი რედაქტორობს, ფაქტი ერთია. იაკობიცა და აკაკიც არ ახსენებენ, მაგრამ გულისხმობენ ილიასაც. ის ხომ ამ დროისთვის გაზეთის გამომცემლად რჩებოდა. თუ აქაც ეპოქის ქერქიდან ამოვალთ, სიტუაცია ასეთი წარმოგვიდგება.

არც იაკობი მსახურობს და არც აკაკი. მთავრობაში ქუდი რომ შეუგდო არც ერთი ეკარება მთავრობას და არც მეორე, მაგრამ თუ რამ საზოგადო საქმეა მოსაგვარებელი, თუ რკინიგზაა გასაყვანი, თუ ადიდებული მდინარისაგან წაღებული სოფელია მისახედი და სხვა მისთანანი. თუ პოლიტიკური ან საეკლესიო საკითხები, მაგ. საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი არის გადასაწყვეტი, მთავრობასთან ილია უნდა მივიდეს. იქ ილიამ უნდა იბრძოლოს, ამიტომ მათთან ურთიერთობაში ილიას მეტი ტაქტიკა სჭირდება. გოლიცინს, როგორც გადარეულს, არ ეკარებოდა, (თუმც, დანიშვნისას წერილი უძღვნა და დაანამუსა). თორემ, სხვა მთავარმართებლებთან, მაგალითად, ვორონცოვ – დაშკოვთან ბანქოსაც კი თამაშობდა.

რადიკალი თავის რადიკალობით თავს იწონებს. საქმე–საქმეზე რომ მიდგება რადიკალური საკითხები, სწორედ ილიას დასაყენებელი ხდება იქ, სადაც ჯერ არს. ილიამ კი უნდა აიტანოს მთავრობის ცბიერი დამოკიდებულებაც, თან უთვალთვალებენ, თან ოქროს კბილს უჩვენებენ. უნდა გაუძლოს იმ ჩუმ საყვედურებსაც, რომელსაც მისიანები პირში ვერ უბედავენ, მაგრამ ერთმანეთში კი ამუნათებენ.

აქვე იმასაც დავსძენ, რომ აპრილის დასაწყისში, როცა იაკობის პასუხი იწერებოდა აკაკისადმი, ილიამ საცენზურო კომიტეტს მიმართა, რათა „ივერიის" გამომცემლობაც, ალექსანდრე. სარაჯიშვილის ხელში გადასულიყო. ამ მიმოწერაში დრო გავიდა და საბოლოოდ 1902 წლის 10 ივლისიდან „ივერიის: გამომცემლადაც ნაცვლად ილიასი, ალექსანდრე სარაჯიშვილი დამტკიცდა, ხოლო 20 ივლისიდან გაზეთის გამომცემლად ითვლება „ივერიის" ამხანაგობა.

●

900-იანი წლების დასაწყისში ჭავჭავაძეს ახალი თაობის ორივე ბანაკი უტევს. მარქსისტებიც და მომავალი სოციალ–ფედერალისტებიც. მარქსისტები, ანუ სამშობლოს უარმყოფელნი, ეროვნული მოღვაწეობისა და სოციალური შეხედულებების გამო, ხოლო ახალგაზრდა პატრიოტები მის სოციალურ იდეებს არ იზიარებენ. ისინი სოციალურ საკითხში სოციალ-დემოკრატებისკენ იხრებიან.

სწორედ ამ ნიადაგზე ილიას 1902 წელს კამათი აქვს, ერთი მხრივ, „კვალთან" და მეორე მხრივ, „ცნობის ფურცელთან."

აკრიტიკებს ივანე გომართელს და არჩილ ჯორჯაძეს, თუმც აკრიტიკებს არ არის ზუსტი სიტყვა. იშვიათად შეხვდებით ისეთ სატირას, რაც ილიამ წერილით – „გომართელის ფილოსოფია და ჯორჯაძის ფსიქოლოგია" – როგორც პირველს , ისე მეორეს მიაგო.

რა იყო მიზეზი?

რუსული მარქსიზმი, რომლის ბუდედ გაზეთი „კვალი" იქცა, დაეტაკა არა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტიზმის გამოვლინებას – პროლეტარს სამშობლო არ აქვსო, – არამედ, სოციალ – დემოკრატები რეტროგრადობად თვლიდნენ ოჯახის ინსტიტუტის არსებობასაც.

მარქსიზმმა ახალგაზრდობა მეტისმეტად გაიტაცა. ქუჩებში ბევრს ნახავდით გაზეთ „კვალში" თავჩარგულს. კითხულობდენენ გატაცებით და მოსწონდათ ის იდეები, რომელთაც სოციალ-დემოკრატები ქადაგებდნენ.

ქადაგებდნენ კი ადამიანის ბედნიერებაზე.

რა უშლის ადამიანს ხელს, რომ ბედნიერი იყოს? სოციალ-დემოკრატების აზრით ადამიანს ხელს უშლიდა:

1) სარწმუნოება.

რატომ რწმენა? იმის გამო, რომ მორწმუნე ადამიანმა ყველაფერი უნდა მოითმინოს, უნდა აიტანოს ტანჯვა, სიღარიბე, უნდა მოთოკოს ვნებები და სურვილები, რათა სასუფეველში მოხვდეს და სამუდამოდ არ იტანჯოს. მარქსისტები ამბობენ, – ის სამოთხე კაცს არ უნახავს, ჩვენ კი სამოთხეს აქვე, დედამიწაზე გპირდებით. მდიდარს წავართმევთ, ღარიბს მივცემთ. არც ვნებების მოთოკვაა საჭირო. დატკბით ამ ცხოვრებითო. აქაური სამოთხის პერსპექტივა ახალგაზრდას მოსწონდა...

2) რატომ ხოცავენ ადამიანები ერთმანეთს? იმიტომ, რომ მათ აქვთ ეროვნება და სამშობლო. სამშობლოს დასაცავად ხალხი იხოცება. რაღა საჭირო იქნება ომები, თუ არავის არ ექნება ეროვნება და სამშობლო? მთელი დედამიწა თუ სოციალისტური იქნება და ყველა პროლეტარი ერთმანეთის ძმა, რაღა საჭიროა ან ომი, ან ეროვნება, ან სამშობლო?

3) ყოველი უბედურების მიზეზი არის კერძო საკუთრება, რატომ უნდა ჰქონდეს, ვთქვათ, ვიღაც როტშილდს ამხელა ფაბრიკა–ქარხნები, ხოლო მუშა, რომელიც წელებზე ფეხს იდგამს, რატომ უნდა დადიოდეს მშიერი? ბედნიერებისათვის საჭიროა კერძო საკუთრების, საზოგადო საკუთრებად ქცევა. მთელი ეს ქონება უნდა იყოს ყველა პროლეტარისა. მიწები კი გლეხებისა. ბედნიერების მაძიებელს ეს ოცნებაც ხიბლავდა.

4) ყველა უბედურების მიზეზი ასევე არის ოჯახი. შვილებს გაზრდა უნდა, მეუღლის კაპრიზებს დაკმაყოფილება. ოჯახს რჩენა სჭირდება. რა საჭიროა კანონიერი ქორწინება. განა სექსის თავისუფლება არ სჯობია? ნურც ქალი შეიზღუდება, ნურც კაცი, ისიამოვნონ და თან არც ერთმანეთზე ექნებათ რაიმე სახის პასუხისმგებლობა, ეს აზრი ახალგაზრდის გულს მთლად ელამუნებოდა...

ასე მარტივად გახდება ადამიანი ბედნიერი.

ბედნიერების მარტივად მიღწევა კი ყველას სურდა, ამიტომ მარქსიზმი გადამდები შავი ჭირივით სწრაფად გავრცელდა.

დავით კლდიაშვილი იგონებს: „მახსოვს ერთხელ ერთმა ყმაწვილმა გატაცებით წამოიძახა: „მე ხომ მარქსისტი ვარ და ვერავითარი ძალა მას ვერ ჩამომაშორებს!.. დავიბადე ღარიბ ოჯახში, ვიზრდებოდი სიღარიბე–სიღატაკეში, გაჭირვებაში ვსწავლობდი. თვალი ავახილე – სიღარიბის და სისაწყლის მეტს გარშემო ვერ ვხედავდი... – მოითმინე, მოითმინე, მოთმინებითა შენითა ჰპო-

ვებდე სასუფეველსა, რომ მოვკვდები, იქ, საიქიოს, ზეცაში მოგეზღვება სამაგიერო ბედნიერებაო. ვინ იცის იმ საიქიოს, ზეცას რა ამბავია – ვის უნახავს, ვის მოუტანია იქაური ამბავი?! ტყუილი დაიმედება, თავის მოტყუება... მარქსმა კი სამოთხე ზეციდან დედამიწაზე ჩამომიტანა, აქ გამიჩინა, აქ მომცა ჩემს სიცოცხლეში... პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! მიგვაგნებია გზა და ყველა რომ შევერთდებით, ყველა გაჭირვებული, სამოთხეს აქ გავაჩენთ, სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგ კი არა! ამისთანა მქადაგებელს ჩამოვშორდები? – არასოდეს, არაფრის გულისთვის! მე არ ვიცი, ვინ ვარ ახლა–ქართველი ვარ, რუსი, სომეხი თუ სხვა ვინმე – არც მინდა ვიცოდე: მე ვარ პროლეტარი! – პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! აქ არის, ამაშია ჩვენი ხსნა."

როგორია ამ ჭკუაზე ათასობით ახალგაზრდა რომ დადგება? ილია ხედავს, ერთი გასროლის გარეშეც კი, ამ მოწამლული იდეებით ქვეყანას შეიძლება ის დაემართოს, რაც მტრებით გარშემოჯარულს ათასნლეულების მანძილზე არ მოსვლია. ერთიანად გადაგვარდეს და წაიშალოს პოლიტიკური თუ კულტურული სივრციდან. სწორედ ამიტომ არ დააკლო სატირა, სარკაზმი და ირონია „კვალში" დაბეჭდილ ივანე გომართელის წერილს, რომელშიც არც მეტი, არც ნაკლები, ახალგაზრდა ივანე გომართელი ამტკიცებდა, რომ „თანამედროვე ოჯახი ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ბორკილიაო".

არის საკითხები, რომელზე მსჯელობაც თავისთავად გკარნახობს თუ რა ჟანრი უნდა იქნას არჩეული. როდესაც კაცი ამტკიცებს, რომ ოჯახის ინსტიტუტი საქართველოში არის წარსულის მავნე გადმონაშთი, რომ ის, ვინც ოჯახის ინსტიტუტის გაუქმებას ცდილობს არის პროგრესისტი, ხოლო, ვინც მის შენარჩუნებას და ამ ინსტიტუტის დაცვას შეეცდება, არის ჩამორჩენილი, რეტროგრადი და რეაქციონერი. როცა ასე ისმება საკითხი, ჭკვიანი პოლემისტი არ აირჩევს ღრმა, მეცნიერული, ძალიან სერიოზული არგუმენტაციის გზას. არის ჭეშმარიტებები, რომელთა თავგამოდებით მტკიცება, ისევე უხერხულ მდგომარეობაში აღმოგაჩენს, როგორც მტკიცება იმისა, რომ დღისით ბნელა და ღამით მზე კაშკაშებს, რომ მუხას რკო კი არა, ვაშლი ასხია და ა.შ.

ილიამ, ბუნებრივია, ოჯახის მავნებლობის იდეით შეპყრობილ ამ ახალგაზრდასთან, (რომელიც შემდეგ თავად ნანობდა ალბათ თავის იმ პერიოდისთვის მოდურ გატაცებას) სატირისა და იუმო-

რის ფორმა აირჩია, რომელშიც ის შეუდარებელია. ტყუილად როდი ავლებდა ფარანგი დე ბაი ილიასა და გოგოლს შორის პარალელს.

ჭავჭავაძის პოლემიკური წერილი აგებულია სახალისო სტრუქტურაზე. ავტორი წარმოიდგენს ოჯახის ერთგულ მამაკაცს, რომელსაც ძალიან უყვარს ცოლი, მაგრამ არც ის სურს ახალთაობის კაცებმა ჩამორჩენილობა და რეტროგრადობა დასწამონ. ამიტომ იძულებულია, გომართელის ახალი იდეებით ანთებული და პროგრესისტის თიკუნს მოწყურებული, ცოლს გაეყაროს, თან აუხსნას მიზეზი–რატომ სჩადის ამას. თავისთავად ეს სიუჟეტი უკვე ნახევარი წერილის ფასია. ქმრის წერილი ცოლისადმი ასე იწყება– „ჩემო მაინც კარგო თეკლევ". ეს დასაწყისი უკე დიდ რამედ ღირს. „ჩემო მაინც კარგო თეკლევ!

შენი წიგნი მივიღე, მწერ და მემუდარები, რომ ამოდენა ხანია მე ჩემი ამბავი არ მომიწვდია და მემუნათები, რომ თუ მე, შენი ჯვარდაწერილი ცოლი არ გაგონდები, ეს შენი ოჯახი მაინც რატომ არ მოიკითხეო.

მე რომ უწინდელებრ ძველი ამბების კაცი ვიყო, შენს საყვედურებს ჩემს თვალში დღესაც ისეთი ფასი ექნებოდა, რაც ჰქონდა და ეხლა კი, როცა მე ველირსე და დავეწაფე ახალ აზრების უკდავების წყაროსა „კვალისა" და „ცნობის ფურცელის" ლოცვითა და კურთხევითა, შენი საყვედურები უმიზეზო წუწუნილა მგონია გუნება ნაქცევ დედაკაცისა.

ოჯახი მაინც რატომ არ იკითხეო!.. ვაი შენ, ჩემო თეკლევ რამოდენა მანძილზე უკან ჩამორჩენილხარ ქვეყნიერობას, ან, უკეთ ვთქვათ ახალთ-ახალს ხანას ადამიანის ცხოვრებისას. შენ, ჩემო კარგო ცოცხლებში გასარევი აღარ ყოფილხარ... რა ოჯახი! რის ოჯახი! ეგ როდინდელ ანაბანას მიკითხავ! ეგ ძველისძველი ტიბიკონი, ეგ ძველთაძველი ძილისპირები შენთვის შეინახე, მე კი ახალ მიმართულების კაცი ვარ და თავზე ლაფს ვერ დავისხამ მაგეების ხსენებით და მოკითხვითა.

ოჯახიო! ეგ ძველებსაებრ ბრიყვმა და გაუნათლებელმა სთქვას, კიდევ ჰო, შენ ხომ განათლებული ხარ, შენ ხომ მუდამ „კვალსა" კითხულობ, რომ სხვა არა იყოს რა და როგორ არა გრცხვენია, – მაგისთნა ძველ-ძველებს მისდევ და თავს არ ანებებ. რა ოჯახი! რის ოჯახი! შენ იქნება ეხლანდელი დრო ისევ ის ძველი დრო გგონია, როცა ოჯახების შენება, მოვლა და პატრონობა დიდის სახელი იყო ადამიანისათვის! ვაი სირცხვილო!.."

„რაკი გომართელს წერაქვი აუღია ხელში და ოჯახს მისდგომია დასანგრევად მეც დღეს იმის ცდაში ვარ-მეთქი, რომ დღეის ამას იქით ოჯახის ხსენებაც კი აღარ იყოს ქვეყნიერებაზედ და შენ კი საყვედურსა მწერ, – რატომ ოჯახს მაინც არ კითხულობო, მოდი და სიცილით ნუ დაოსდები!"

ივანე გომართელის პარალელურად ილია ახალგაზრდა არჩილ ჯორჯაძესაც მისდგება, რომელიც, ილიას სიტყვით, „მარტო იმის ცდაშია, რომ ახლებსაც აამოს და არც ძველები მოიმდუროს". ჯორჯაძე უპასუხოდ არ ტოვებს და მომდევნო წერილში, რომლისთვისაც ილიას „არაპატარა საუბარი"დაურქმევია, ახალგაზრდა პოლიტიკოსი ახლა პლაგიატში ამხილა: „იმაზე უარესი საცოდაობაღა გნებავთ, –წერს ილია–კაცს პირში წაუყენონ შეურყეველი საბუთი, რომ სხვისი დაგიჩემებია, სხვისა დაგისაკუთრებია, გამოგიტანია და შენად ასაღებო. ხომ ესეა. გარნა ბ-ნს ჯორჯაძეს ყოველივე ეს აინუნშიაც არ მოსდის. ამისთანა საქციელში დაიჭირეს და იგი წარბსაც არ იხრის, ვითომდა აქ არაფერია, ვითომდა საყვედურს ეუბნებიან, რატომ გუშინ სადილად არ მობრძანდი, რო დაგვპირდიო".

ჯორჯაძესთან მწვავე კამათი ნამდვილად დასანანი იყო, ვინაიდან არჩილი ერთი საუკეთესო ეროვნულ მოღვაწეთაგანი გახდება, მაგრამ აბა რა ილიას ბრალი იყო, თუ ეს ახალგაზრდები სოციალურ საკითხებში თავიდან რუსული მარქსიზმის შხამიანი ნემსით იყვნენ აცრილნი. მერმე ყველაფერი თავის ადგილას დადგება. არჩილ ჯორჯაძე ილ̇ია ფასს სრულად იგრძნობს, მაგრამ გაცნობა მათი, ფაქტია, პოლემიკით დაიწყო.

ის რომ, არჩილ ჯორჯაძე ცდილობს ახლებთანაც მოძებნოს საერთო ენა და არც ძველ თაობას უვიწყებს დამსახურებას, ეს არ იყო მისი მაამებლობით გამოწვეული. „ცდილობს აამოს"– ეს უფრო პოლემიკისთვის დამახასიათებელი ფრაზაა და არ ასახავს არჩილის ხასიათს. სხვა ვითარებასთან გვქონდა საქმე. პირველი, ჯორჯაძე სხვადასხვა მსოფლმხედველობისადმი დამოკიდებულებაში იყო ტოლერანტი. მას მიაჩნდა სახეირო აზრი ყველგან შეიძლება მოიძებნოს, თვით „მესამე დასელთა" იდეებშიც კიო. მეორე, ჯორჯაძე საერთო ნიადაგის თეორიის ავტორია, რაც გულსხმობს შემდეგს – როგორც ადამიანის ორგანიზმის ყველა ნაწილი მოქმედებს შეთანხმებულად და ერთი მათგანის ლპობა აზიანებს მთელს ორგანიზმს, ასეა ერის სოციალური ორგანიზმიც. ყველა კლასი, ყველა ფენა ამ ორგანიზმის

ნაწილია. ერის სულიერი და მატერილური სიჯანსაღისათვის ამ ნაწილებმა, ანუ საზოგადოების სხვადსხვა ფენებმა უნდა იმოქმედონ შეთანხმებულად, საერთო ნიადაგზე. (ამიტომ ცდილობს არჩილი თავიდან, რომ ხიდი არ ჩატეხოს თვით მე-3 დასელებთანაც.) ეს საერთო კი ჩვენი ეროვნული ვინაობაა. ის, რასაც არჩილ ჯორჯაძე საერთო ნიადაგის თეორიას უწოდებს – სათავეს იღებს ილიას ჩატეხილი ხიდის გამთელების იდეიდან. ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილების შეთანხმებული მოქმედება კი ილიასეულ კლასთა თანასწორობის იდეის გაგრძელება გახლავთ. ასე რომ, არჩილ ჯორჯაძე, ილიას გზის გამგრძელებელია, თუნდაც ავტონომიის საკითხში. ამდენად, დასანანია, რომ ილიას ბასრი კალმის ობიექტად, თუმც კი არჩილის გამოწვევით, ისიც იქცა. ილიას მასზე სხვა აღარა დაუწერია რა. ხოლო თვით არჩილმა თავის ხანმოკლე სიცოცხლეში დაწერა წიგნი დიმიტრი ყიფიანზე და სიკვდილის წინ აპირებდა შეექმნა მონოგრაფია ილია ჭავჭავაძეზე. მაგრამ სიკვდილმა არ დააცადა. ის იბრძოდა სიცოცხლისათვის, როგორც პიდაპირი მნიშვნელობით(იყო ჭლექით დაავადებული), ასევე მისი შემოქმედებაც იყო სიცოცხლის საზრისის ძიება.

ოთხი დაი და ერთი ძმა ჰყავდა, ორი და, ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის უფროსკლასელები, მოწამეთას მონასტრის ახლოს წყალწითელაში დაიხრჩვნენ. მესამე დაც გარდაიცვალა. ამ უბედურებას მშობლებმა ვერ გაუძლეს და ისინიც დაიხოცნენ. თბილისში ვიღაც მოხელესთან შეტაკებისას ძმაც დაეღუპა. დარჩა არჩილი და ერთი და ამ დიდი ოჯახიდან. ამ უბედურებათა შემდეგ იმდენი მოახერხა, თბილისის პირველი გიმნაზიის დამთავრებისთანავე პეტერბურგში განაგრძო სწავლა უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. იქ ჭლექით დაავადდა. მერე იყო ინგლისის, საფრანგეთის, შვეიცარიის სასწავლებლები. თბილისში დაბრუნებულმა „ცნობის ფურცელში“ ერთ წელიწადს იმუშავა და ისევ საფრანგეთში გაუშვეს არალეგალური გაზეთის გამოსაცემად. ჭლექით დაავადებული 1905 წელს ჩამოჰყავთ თბილისში და ფარულად გზავნიან ჯერ კიკეთში, შემდეგ მახინჯაურში. 4 ტომის გამოცემა სიცოცხლეშივე მოასწრო. გამოუცემელიც ბევრი დარჩა. დამარცხდა ფიზიკურადაც და მთელი ასი წლით უარყოფილ იქნა მისი საერთო ნიადაგის თეორიაც და მისი წინამორბედის, ილიას ჩატეხილი ხიდის გამთელების ოცნებაც.

●

კვლავ 1902 წელს დავუბრუნდეთ. ამ წელიწადს ქართული პრესის ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენა მოხდა. სწორედ არჩილი და გიორგი დეკანოზიშვილი გაიგზავნენ პარიზში, რათა გამოეცათ არალეგალური ქართული გაზეთი „საქართველო". მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ „ცნობის ფურცელი", ცენზურის გადამკიდე, გაზეთი პირაკრულია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა საქართველოს ავტონომიის, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის თემები. ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის გამო, სხვათა შორის, სწორედ 1902 წელს სასულიერო პირსაც კი არ მოერიდებიან და კირიონს რუსეთში გაასახლებენ.

სოციალ-ფედერალისტებისაგან პარიზს მივლინებული არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი გაეცნობიან და დაუახლოვდებიან ცნობილ ფრანგ პოლიტიკოსებსა და მოღვაწეთ: სებასტიან ფორს, პიერო რიშარს, პიორესს და სხვებს. მათ ფრანგებს გააცნეს საქართველოს მდგომარეობა. სთხოვეს დახმარება არალეგალური გაზეთის როგორც ქართულ ისე ფრანგულ ენაზე გამოცემის საქმეში. ამ ახალ ნაცნობთა მეოხებით სტამბაც იშოვეს. გარდა თბილისიდან გაგზავნილი ან წინასწარ წაღებული მასალებისა, პარიზშიც დახვდნენ მომავალი თანამშრომლები. იმ დროს იქ იყვნენ : თედო სახოკია, ექიმი ალექსანდრე დიასამიძე, ავალიშვილი (არჩილის მეგობარი გიმნაზიიდან) ნოე ჟორდანია.

ყველა ამათ მონაწილეობა მიიღეს გაზეთის შექმნაში. ერთი ორი წერილი ფედერალისტების გაზეთში თვით ნოე ჟორდანიასაც დაუბეჭდავს.

ერთი წელი საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას (სტამბა, ქაღალდი და სხვა) დასჭირდა და 1903 წლიდან „საქართველო" გამოიცა. როგორც გითხარით, არჩილი ჭლექით კვლავ ავად ხდება და სამკურნალოდ შვეიცარიაში გადაჰყავთ. 1905 წელს კი ავადმყოფი არჩილის ჩამოყვანასთან ერთად, ფედერალისტების კომიტეტი გადაწყვეტს „საქართველოს" დახურვასაც, რადგან გაზეთმა, ერთი, რომ უკვე გააკეთა თავისი საქმე და მეორე, აღარც შესაძლებლობები ჰქონდათ საზღვარგარეთ გაზეთის ბეჭდვისა.

●

ისეთი უწყინარი ფაქტიც კი, როგორიც მაგიდის კალენდრის გამოსვლაა, ნელი მოქმედების ნაღმის შემოგდებას ჰგავდა. 1902 წელს

ვინმე გერცენშტეინმა გამოსცა ჩვეულებრივი მაგიდის კალენდარი. კალენდარში იყო ქართული ლიტერატურის შესახებ თბილი წერილიც, მაგრამ ამ თითქოს უწყინარ კალენდარშიც დუშმანის გეგმა იყო გადმოცემული – დაყავი და იბატონე. ყველა ევროპელი და აზიელი ერი, ვინც კი თბილისში ცხოვრობდა, მოხსენებული იყო თავისი ისტორიული სახელით. რუსი–რუსად, სომეხი–სომხად, ფრანგი–ფრანგად, გერმანელი–გერმანელად, ლეკი–ლეკად, ოსი–ოსად, აისორი–აისორად და სხვა. ეწერა, თბილისში ამდენი და ამდენი რუსი, სომეხი, ფრანგი და ა.შ. ცხოვრობსო. ქართველებზე რა ეწერა, აღარ იკითხავთ? ქართველები ამდენი არიან, მეგრელები ამდენი, იმერლები ამდენი, ფშავლები, თუშები, ხევსურები – ყველა ესენი ცალ–ცალკე მონაცემებით იყვნენ წარმოდგენილნი.

ამ უკუღმართი მანიპულაციის წყალობით აღმოუჩენიათ, რომ თბილისში ცხოვრობდა 63000 სომეხი, მეორე ადგილზე კი იყო ქართველი 39, 398 სული. თითქმის ამდენივე. რუსია ნაჩვენები, რომელთა შორის შეტანილია ყველა ჩამოსული ჩინოვნიკი და ჯარისკაცი.

ამ კალენდრის შემდგენელს რა მუცლის გვრემა ჰქონდა და ვის შეკვეთას ასრულებდა, გასაგებია, მაგრამ, მისდა უნებურად, სტატისტიკური მონაცემები კი დაგვიტოვა. მაგ. წერია, რომ 1900წელს თბილისში ცხოვრობდა 39, 398 ქართველი, 6469 თბილისელი იმერელი. 1442 მეგრელი, 47 ფშაველი, 133 თუში, 120 ხევსური, ასევე 4509 სხვა ეროვნებისა. ამ სხვა ეროვნების ხალხში კი იგულისხმებიან აჭარლები, სვანები, მთიულნი, ინგილონი, ჯავახნი, მესხნი, გურულები და ა.შ.

ასევე ქართველი კათოლიკენი გერცენშტეინს მიუმატებია სომეხთა რიცხვისთვის.ასევე ყველა სხვა ეროვნებაზე გათხოვილი ქართვლი ქალი მითვლილია იმ ეროვნებისათვის. დაბოლოს, არსად არ არის შეტანილი სოფლის ის მოსახლეობა, რომელიც ქალაქად ჩამოსულა, თბილისში მუშაობს, მაგრამ საკუთარი საცხოვრებელი არა აქვს.

ასე რომ, ამ მონაცემების მიხედვით 1900 წლისთვის ქართველი მოსახლეობა თბილისში უკიდურესად ტენდენციური სტატისტიკური მონაცემების მიხედვითაც კი უკვე უმრავლესობას შეადგენდა. წარმოიდგინეთ, მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე როგორი ექსპანსიონისტერი პოლიტიკა უნდა ეწარმოებინათ ქართველების წინააღმდეგ , რომ საქართველოს სატახტოსთან მიმართებაში ამ ფაქტის აღნიშვნა გვჭირდება.

ეს მონაცემები ამოვიღე იაკობ გოგებაშვილის წერილიდან, რომელსაც მრავლისმეტყველი სათაური აქვს – „კალენდრებიც ჩვენ გვბრიყვობენ" და რომელიც, სხვათა შორის, სწორედ „ივერიაში" დაიბეჭდა 1902 წლის მე-13 ნომერში.

თვით „ივერიის"ყოფილი რედაქტორი კი ამ წელიწადს ისეთ გადაწყვეტილებს იღებს, ქართველთა სულადობა არა, მაგრამ ქართული ოჯახების რაოდენობის სტატისტიკა ერთით გაიზრდება, თუმცა ეს თემა სახუმარო სულაც არ არის.როცა ბიოგრაფთა ჩანაწერებში კითხულობ, ილიამ 1902 წელს საკუთარი სახლი იყიდა ანდრეევის ქუჩაზეო, ეს ინფორმაცია რატომ არ უნდა გაგიხარდეს კაცს, მაგრამ ვინც იმ ნავსიანი ეპოქის ქერქიდან ამოვა, ვინც ჩაუკვირდება ამ მშრალი ინფორმაციის მიღმა რა შეიძლება იდგეს, გაუხარდება კი არა, სწორედაც გული მოუკვდება...

●

დიახ, 1902 წელს ილია და ოლღა ჯერ სადგურის ქუჩაზე გადადიან ქირით საცხოვრებლად, შემდეგ კი ილიამ საკუთარი ერთსართულიანი უბრალო სახლი იყიდა ანდრეევის ქუჩაზე. სახლი, სადაც 1889 წლიდან დასთან, ელისაბედთან ერთად ცხოვრობდა, ილიას გემოვნებით იყო აშენებული.

შვილი არც ილიას ჰყავდა და არც ელისაბედს. 65 წლის ასაკში ქირით გადასვლა და შემდეგ ახალი მშენებლობის წამოწყება, (ანდრეევის ქუჩაზე ნაყიდ პატარა სახლს ილიამ სვიმონ კლდიაშვილის პროექტით წინ ორი ოთახი მიაშენა, კაბინეტი და სასტუმრო ოთახი) ილიას სურვილით არ უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს დასთან განხეთქილება მოხდა, უფრო სწორედ, ოლღას და ელისაბედს შორის ჩამოვარდა რაღაც ისეთი უკმაყოფილება, რომ ამ ასაკში ილია იძულებულია მიატოვოს დის სახლი და საკუთარი კერა ეძებოს. ერთადერთი ბიოგრაფი, ვინც ამ თემას ეხება, არის ექვთიმე თაყაიშვილი. ექვთიმე, როგორც ვწერდით, სათავადაზნაურო გიმნაზიის ხელმძღვანელად მუშაობდა. აქ მას სამსახურში ჰყოლია თანამშრომლად ელენე ჯაბადარი, მეუღლე ილიას მეგობრისა. ეს ქალი ძალიან ახლოს იყო ოლღასთან, ელისაბედთან. როგორც ვწერდით, საზღვარგარეთ მეორედ გამგზავრებისას თანაც ახლდა მათ. ელენე ჯაბადარისგან თაყაიშვილს ილიას ოჯახური ამბები სცოდნია, აქედან გამომდინარე წერს ექვთიმე: „ილიამ მიატოვა ბინა ელისაბედის სახლში და იქირავა პატარა სახლი ანდრი-

ას ქუჩაზე. (უნდა იყოს სადგურის ქუჩაზე. – ნ.გ) შემდეგ ის სახლი იყიდა და ოთახების მიშენებასაც აპირებდა. რა იყო მიზეზი ილიას ამ, ჩვენთვის უეცარი გადასახლებისა თავისი დის სახლიდან, რომელიც მისი აშენებული იყო და სადაც მას თავის გემოზე ჰქონდა მოწყობილი და მოკაზმული კაბინეტი? ეტყობა დიდი შეტაკება უნდა მოსვლოდათ ილიას და მის დას. მიზეზი არ ვიცი, ვინაიდან იმ დროისთვის ელენე ჯაბადარმა, მოხუცებისა გამო, დაანება გიმნაზიაში სამსახურს თავი, გადასახლდა თავის პატარა მამულში, საგარეჯოს და იქ ცხოვრობდა თავის სიძესთან სავიჩთან ერთად... მას შემდეგ ელენე ერთხელაც აღარ ჩამოსულა თბილისში და აღარც მე მინახავს და აღარც ილიას ოჯახს. ეგებ არც მან იცოდა მიზეზი ილიასი და მისი დის გაყრისა, თუმცა არა მგონია, რომ ოლღას წერილით მაინც არ ეცნობებინოს მისთვის ეს ამბავი".

„აღარც ელისაბედი მინახავს მათი გაყრის შემდეგ. მხოლოდ დიდი ხნის მერმე, უკვე რევოლუციის შემდეგ, მომწერა ერთხელ წერილი, რომელშიც მთხოვდა, მივსულიყავი, მეც ვინახულე და შემომჩივლა, შიმშილით ვკვდები და მიშუამდგომლე, მენშევიკებმა რამე თანხა დამინიშნონ სარჩოდაო...

მე ვუთხარი, არა მაქვს იმედი, რომ ამ მთავრობამ ილიას დას რამე დაუნიშნოს, ხომ იცი რა ცუდი ურთიერთობა და გაუთავებელი პოლემიკა ჰქონდა ნოე ჟორდანიას ილიასთან-მეთქი? მითუმეტეს, სახლები გაქვთ და რატომ თქვენს ნათესავს კოტე აფხაზს (ილიას მეორე დისშვილს, თავად-აზნაურობის წინამძღოლად ნამყოფს) არ მოელაპარაკებით ამის შესახებ მეთქი? მან მიპასუხა სწორედ კოტე აფხაზი მირჩევს სახლები გავყიდო და იმით ვიცხოვრო, მაგრამ, აბა, ილიას კაბინეტი როგორ გავყიდოო?

მას აქეთ ელისაბედი აღარ მინახავს და აღარც მისი ამბავი გამიგია. ეს ეპიზოდი... მოწმობს, თუ რამდენად ხელმოჭერილი ქალი იყო: სახლი არ ემეტებოდა გასაყიდად და მენშევიკებს კი სთხოვდა სარჩოს!.."

ხელმოჭერილი რომ ყოფილა ელისაბედი, ეს ილიას ერთი პირადი წერილიდანაც დასტურდება, რომელსაც აქ შემოგთავაზებთ, მაგრამ თაყვანიშვილის ვარაუდი, რომ ილიასა და ელისაბედს შორის „ეტყობა დიდი შეტაკება უნდა მომხდარიყო" და ამიტომ მიატოვა დის სახლი ჭავჭავაძემო, არ მართლდება ილიასავე ერთი კერძო წერილის გათვალისწინებით. ილიასთან არა, მაგრამ რძალსა და მულს შორის კი მომხდარა ეს დიდი შეტაკება. ილია იძულებული გახდა ცალკე ბინა ეძებნა.

ჯერ პირველ წერილს გაგაცნობთ, საიდანაც ჩანს არა მხოლოდ ელისაბედის ცოტა არ იყოს ანგარიშიანობა სახელოვან ძმასთან, არამედ თვით ილიას მატერიალური ყოფაც თავისი ცხოვრების მიწურულს. ეს ღვთისპირიდან გადავარდნილი სოციალისტები, სიკვდილის შემდეგაც რომ დიდ ფეოდალს ეძახდნენ და 40 თუმნიან ქურქში გამოწყობილ ბატონს, აი, სინამდვილეში რა დღეში იყო 70 წელს მიტანებული ილია: „დაო ლიზავ! – წერს ილია დას – შენ ვერ წარმოიდგენ, რა რიგად შემაწუხა შენმა წერილმა... არაქათი გავიწყვიტე და ვერას გავხდი. მამულებიდან, როგორც მოგეხსენება, არაფერი შემოდის. პენსია მაქვს და თვეში ოცდაათს თუმანს ჩვენს ბანკში მიჭერენ თავანსა და სარგებელში (ილიას მამულებიც ბანკშია დაგირავებული, – ნ.გ) თუ არ გჯერა, ბანკში იკითხე, მე მარტო თვეში თხუთმეტი თუმნითღა ვცხოვრობ, და რადგანაც ეს არა მყოფნის, ვალს ვიღებ. აი ეხლაც რუსეთში წასასვლელი მიხა ჩიკვაიძემ (ილიას სტუდენტობის მეგობარი და ელისაბედის მოურავია, – ნ.გ) მიშოვნა ოცდაათი თუმანი. თორემ წაუსველი დავრჩებოდი. მაპატიე, თუ კიდევ და-ძმური გული შეგრჩა შენდობისთვის. მაინც და შენ კიდევ რალაც ოთხას თუმანზე ლაპარაკობ. ჩემი ანგარიში გაქვს შენა, რაცა მმართებს და რაც მამიცია, იმ ანგარიშს შემდეგ კიდევ, ოცდაათი თუმანი გამოვაგზავნე ნიკოლოზის ხელით და შენ ბარათის მოცემა არ ინებე. მე ეს ორი დღეა იმ ანგარიშს ვეძებ და სადღაც ქაღალდებში მიმემალა. შენა გთხოვ ჩემი ანგარიში გადაწერე და გამომიგზავნე, რომ სახლში ვიქონიო, თუ სადმე რამეს გავხდი. ჩვენ ხუთშაბათს მივდივართ. ნიკოლოზი მომიკითხე, იყავი კარგად და მშვიდობით და კიდევ გთხოვ შემინდე, რომ ამდენი ხანია და შენი ვალი ვერ გადავიხადე".

მაინც შენი ძმა ილია ჭავჭავაძე

14 თებერვალი

ეს წერილი მკაფიო სურათს ხატავს, მატერიალური თვალსაზრისით რა დღეშია 70 წელს მიტანებული ილია. დიახ, ეს წერილი ზუსტად 1907 წელს გახლავთ დაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ თარიღი არ აწერია, სამი მონაცემის წყალობით წერილის ზუსტი დათარიღება ძნელი არ არის.

1) წერილს წერს უკვე ბანკის პენსიაზედ მყოფი ილია. ბანკიდან კი იგი 1905 წლის ივნისში წავიდა.

2) წერილს აწერია 14 თებერვალი.

მაშასადამე ის ან 1906 წლის 14 თებერვალს დაიწერებოდა ან 1907 წლის 14 თებერვალს. წერილში არის მესამე „წვრილმანიც". „აი, ეხლა რუსეთში წასასვლელად მიხა ჩიკვაიძემ მიშოვა ოცდაათი თუმანი"-ო. ქვემოთ კი აზუსტებს: „ჩვენ ხუთშაბათს მივდივართ".

ილია 1906 წელსაც წავიდა რუსეთში, მაგრამ მარტის ბოლოს. რაკი წერილს 14 თებერვალს წერს და იქვე დასძენს, ჩვენ ხუთშაბათს მივდივართო, იგულისხმება, რომ მიდის თებერვალში. მართლაც 1907 წლის თებერვლის მეორე ნახევარში ილია და ოლღა ერთად წავიდნენ პეტერბურგს. ასე რომ, სიცოცხლის უკანასკნელ წელს ილია ვალებშია. მაგრამ ჩვენი მიზანი ხომ არც ამ წერილის (ელისაბედისადმი მე–60 წერილი) დათარიღება იყო და არც ამჯერად ვალებზე საუბარი, ჩვენ გვსურდა დადგენა, რა იყო მიზეზი ელისაბედის სახლიდან წამოსვლისა. აი, ეს მიზეზიც, რასაც ვგებულობთ ახალ სახლში გადასვლიდან 5 წლის შემდეგ, ანუ 1907 წელს დისადმი მიწერილი წერილიდან.

„საყვარელო დაო ლიზო!

შენი წერილი მომიტანა ჩიკვაიძემ და ძალიან მიამა. ასე მგონია აქამდე სადღაც გადაკარგულები ვიყავით მე და შენ და ეხლა ვიპოვეთ ერთმანეთი დაძმობისათვის. მადლობელი ვარ რომ მოგაგონდით და წერილი მოგვაწოდე, ოლღას დიდად იამა შენი მოკითხვა, – თუმცა თქვენ ერთმანეთს დაშორდით, მაგრამ ოლღას კიდევ უყვარხარ და შენთვის გული სტკივა.

საწყალ ნიკოლოზის სიკვდილი (უნდა იგულისხმებოდეს ილიას სიძე, ნიკოლოზ აფხაზი) ძალიან შეგაწუხებდა და ეგ შეწუხება იქნება მიზეზი შენის ავადმყოფობისა. ნუ გეშინიან, ღმერთი მოწყალეა, ეგ შეწუხებაც მალე გაივლის და თან შენი ავადმყოფობაც გადაჰყვება ღვთის მადლით.

იყავ კარგად და მშვიდობით

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე
24 აპრილი 1907წ."

მიაქციეთ ყურადღება ორი თვის წინ დაწერილ წერილის მინაწერს–„მაინც შენი ძმა ილია ჭავჭავაძე". ორი თვის შემდეგ–„შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე".

სულიერი განცდების აღწერას, რაც ამ ორ ფრაზაშია, დიდი ბელეტრისტის კალამი სჭირდება. „თანამდევი სული" გაზეთ „24 საათში" უკვე გამოქვეყნებული მქონდა, როცა ილიას ოჯახის ხელზე მოსამსახურის ნინო (ნიცა) ახვლედიანის მოგონებას გავეცანი(:ლიტ. მატიანე" 1–2, 1940წ), რომელმაც სრულად დაადასტურა ჩემი ვარაუდი, რომ ილია რძალ–მულის ჩხუბის გამო გახდა იძულებული ახალი ბინა ეძებნა.

შინამოსამსახურის ეს მოგონება ჭეშმარიტად მინიატურული ტრაგიკული მოთხრობაა. „15 წლის განმავლობაში ილიას ოჯახობა და ლიზა შეხმატკბილებულად იყვნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ილია და ოლღა წავიდნენ რუსეთს. იქიდან ოლღამ წერილი გამოუგზავნა ილიას– დისწულს–ნინო აფხაზის ქალიშვილს–კატოს(ნაზაროვის ცოლს), სადაც მასხრად იგდებდა ლიზას და ცილს სწამებდა. ეს წერილი შემთხვევით ლიზას ჩაუვარდა ხელში და საშინლად იწყინა. უჩვენა მხოლოდ თავის დას მაკო მაყაშვილის მეუღლეს (იგულისხმება· დისშვილი, – ნ.გ.). ბოლოს ეს ამბავი ილიამაც გაიგო და ძალიან შეწუხდა. გადაწყვიტა სახლიდან გადასვლა, რადგან ამ ამბის შემდეგ ოლღას და ლიზას ხშირად მოსდიოდათ უსიამოვნება ერთმანეთს შორის. გადასვლა მოხდა ლიზას საზღვარგარეთ ყოფნის დროს. ილიას ეს სახლი მეტად უყვარდა. ილია საგურამოში წავიდა, რომ თვალით არ ენახა სახლის დაცლა. სთქვა: „მე ვერ უყურებ, როგორ გადააქვთ აქედან ბარგიო".

...ლიზა საზღვარგარეთიდან რომ ჩამოვიდა ბიჭმა სადგურშივე უთხრა, რომ კნიაზი გადავიდაო! ლიზას ტირილი დაუწყია და უთქვამს: „ნამდვილად ილია გარდაიცვალაო"– რადგანაც ვერ წარმოედგინა თუ ილია როდისმე ამ სახლიდან გადავიდოდა. ბიჭმა დაამშვიდა და გზად ილიას ახალი ბინა უჩვენა (ჯერჯერობით ნაქირავები ბინა, –ნ.გ.). სახლში რომ მივიდა და ნახა ცარიელი ოთახები, ისევ ტირილი დაიწყო: „ერთი ძმა მყავდა და ისიც მომცილდაო!" იმ დღეს ილია მოვიდა ლიზასთან, გადაკოცნა, ლიზამ უთხრა: „რათ გადააკეთე სახლი თუ არ გინდოდაო?" ილიამ პასუხი არ გასცა, ბოლთას სცემდა ოთახში და პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა. ლიზას ტირილმა ილიაზე ძალიან იმოქმედა. ილიას თავისი და ლიზა ძალიან უყვარდა. დიდ პატივს სცემდა. სადილად ერთ თავში ილია დაჯდებოდა, მეორე თავსა ლიზა. პირველად მისი სადღეგრძელო უნდა დაელია და ასე იტყოდა: „ჩემო დაო ლიზო, ღმერთმა გადღეგრძელოსო"! ლიზოსაც განსაკუთრებით

უყვარდა თავისი ძმა. ძმაზე უკეთესი არავინ ჰყავდა. მას იფიცავდა და მის მორიდებაში იყო მუდამ. ყოველთვის ილიას მზეს ფიცულობდა. ილიას სიკვდილის შემდეგ ისევ ისე განაგრძობდა ამ ფიცს. ლიზა და მაკო ძალიან ანჩხლები იყვნენ. ილია იტყოდა ხოლმე ჩემი დები მე სრულიად არ მგვანანო." (მაკო დისშვილი იყო. – ნ.გ.)

ვფიქრობ კომენტარი ზედმეტია. ქალებისაგან ატეხილი ოჯახური ჩხუბის გასარიდებლად ილია იძულებული გახდა სიბერეში ახალი სახლი ეძებნა.

1903

ახალი ბინის აღწერა. ილია აგრესიულ
მათხოვრებთან. „ქვათა ღაღადის“ გამო
მარქსისტების გამოლაშქრება. ილია და
აკაკი ვალებთან. ილია აფხაზეთში. ვაჟას
სასამართლო. სომხების თავდასხმა მთა-
ვარმართებელზე.

ვაჟა-ფშაველა

„გამარჯობა აფხაზეთო შენი"...

გალაკტიონი

ზემოთ მოხსენიებული, ილიას ოჯახთან დაახლოებული ქალი, ოლღა აგლაძე აგვიწერს თბილისის იმ ბინას, სადაც ილიამ ცხოვრების უკანასკნელი ხუთი წელი გაატარა. „ილია ძალიან მოყვარილი იყო მყუდრო ოჯახური ცხოვრებისა და თავისი საცხოვრებელი ბინის კულტურულად მოწყობას დიდ ყურადღებას აქცევდა. როდესაც ანდრეევის ქუჩაზე, №20 -ში სახლი იყიდა, გულმოდგინედ შეუდგა მის გარეგან და შინაგან მოწყობასა და მორთვას.

...კედლებზე ეკიდა დიდი სურათები, ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოებში:

ერთ-ერთ მათგანზე გამოხატული იყო გაჭენებული მერანი, რომელზედაც დაკრული იყო მშვენიერი შეხედულების ჭაბუკი, მეორეზე-რაღაც ნადირი და სხვა („მაზეპა"). ამ დიდი სურათების გარდა, კედლები სავსე იყო წვრილ-წვრილი სურათებით. მე მახსოვს, ილიამ ამ სურათებისთვის დაუკვეთა ასზე მეტი ოქროსფერი ჩარჩო და სულ იმათში ჩასვა ეს წვრილი სურათები.

ილიამ სურათების ნაწილი საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა, მეტი წილი კი აქაური ჟურნალებიდან ჰქონდა ამოღებული. ამ სურათების კედლებზე განლაგებისათვის ილიამ ცოტა ენერგია არ დახარჯა. თითონაც აქტიურად იღებდა მონაწილეობას ჩვენს საქმინობაში. მე და ოლღამ დაახლოებით ერთ თვეზე მეტი ვიმუშავეთ და ისე მოვაწყეთ, როგორც ილიას უნდოდა, როცა ამის შემდეგ ერთ საღამოს მათთან მივედი, დიდის ამბით შემხვდნენ ოლღაცა და ილიაც. ილია ღიმილით შემეგება და მხიარულად მომაძახა:

– მოდი, მოდი, რა გაჩვენოთ! როგორი სურათი გადავიღეთ მე და.ოლღამ. შემიყვანეს საწოლ ოთახში და ოლღას საწოლთან კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე მიმითითეს. მოხუცი ქალი წინდას ქსოვდა, იქვე იდგა მოხუცივე მამაკაცი, რომელსაც ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა ხელში.

– აი, მითხრა ილიამ, – ეს მე და ოლღა ვართ! საერთოდ, ილიას ძალიან უყვარდა სურათები".

აქ შევწყვეტ ციტირებას და ბინის ინტერიერიდან ყველა ნივთსა და ავეჯზე აღარ შევჩერდები. ინტერიერი სისადავითა და სვიმონ კლდიაშვილის მიერ დაგეგმილი ბუხრებით გამოირჩეოდა. ამ ბუხრებზე ერთი ომი ჰქონდათ სვიმონსა და ილიას, გინდა თუ არა, ნაკლები თანხა დამიჯინეო. დაუთმო კლდიაშვილმა და კი დაინგრა ბუხარი. მერე იკადრა, სვიმონს თავის საქმეში აღარ შეკამათებია...

მაგიდაზე ძვირფასი საწერი და კრიალოსანი იდო. ეს კრიალოსანი ძლიერ ჰყვარებია, რადგან ახლობლისგან „პრელესტ ბაბალესგან"(ბარათაშვილი) ჰქონდა ნაჩუქარი.

სურათებზე შევაჩეროთ ყურადღება. ეს ილიას ბოლო კაბინეტია, მაგრამ მისი კაბინეტი მანამდეც სურათების სიუხვით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით ბევრი ჰქონდა გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები. არიან ადამიანები, რომელთა კეთილი მრჩეველი წარსულია. ილია თითქოს რჩევებს იღებდა იმ გამოჩენილ ადამიანთაგან, რომელთაც უკვე ეცხოვრათ ამ წუთისოფელში და ღირებული რამ დაეტოვებინათ. წარსულთან მისი იდუმალი კავშირით თუ აიხსნება ის გადაჭარბებული სიყვარული ფოტოებისადმი, რის გამოც ეს ფოტოები მოგზაურობდნენ ილიასთან ერთად.

ანდრეევის ქუჩაზე, ღვინიაშვილისგან ნაყიდი პატარა სახლის მიშენება-გაწყობას წელიწადი მოანდომა, ამიტომაც აღვწერთ ამ ბინას უკვე 1903 წლისათვის.

ამასთან, არაფერი გვითქვამს, როგორია ილია შინაურებთან, განსაკუთრებით ბავშვებთან. ახლა გვეძლევა შესაძლებლობა. კეთილშობილი ადამიანი, ასაკში შესვლის შემდეგ, კიდევ უფრო თბილი ხდება მეგობრების, შინაურების მიმართ. ეს ეგოიზმით დანაღმული კაცია, თავისი ჭირის– სიბერის გამო, გარემომცველ სამყაროზე რომ იყრის ხოლმე ჯავრს.

აი, ილიასთან სტუმრად არიან ოლღას დისშვილები.მათ უკვე საკუთარი შვილები ჰყავთ. ისევ აგლაძის მოგონებიდან: „ვესტუმრე ოლღას. იქ დამხვდნენ ოლღას დის შვილები: რუსუდან მელიქიშვილი, შალიკაშვილის ცოლი -ნინო, ორი ვაჟი სტაროსელსკისა. იყო დიდი მხიარულება და გართობა. ილია ეთამაშებოდა შალიკაშვილის ბავშვებს. ილიასთან ცხოვრობდა მისი ნათესავი ზალიკო ჭავჭავაძე – ყოფილი სამხედრო. სამხედრო სამსახურის ვადა გასული ჰქონდა და სახლში იყო, ფორმას მაინც არ იხდიდა.

...ამ მხიარულების დროს ილია მივიდა ზალიკოსთან და უთხრა:

– აბა, ერთი, შენ გენაცვალე, მითხარი: როგორ გამოეჭიმებოდი ხოლმე გუბერნატორსო. ზალიკომ უთხრა:

– ეჰ, დამანებე თავი, რა საჭიროა!

ილიამ სტაროსელსკის შვილებს თვალით ანიშნა, რომ მათაც ეთხოვნათ. ისინიც თან ითხოვდნენ და თან ტაშით იწვევდნენ. ზალიკომ ამდენ თხოვნას ვეღარ გაუძლო და ერთხელ გაითამაშა. აღარ მოეშვნენ და სამჯერ გაამეორებინეს. ილია ისე ხმამაღლა იცინოდა და ხარხარებდა, რომ ჩემს სიცოცხლეში ეგრე მოცინარი და მხიარული არ მინახავს. ზალიკომ დახურა ფარდა და ბავშვებს უთხრა:

– მე რომ გამომიყვანეთ სცენაზე, ახლა ილიაც გამოიყვანეთო. ბავშვებმა კვლავ ასტეხეს ტაშისცემა და ყვირილი.

– ძია ილიკო! ძია ილია! თქვენც გვითხარით რამეო.

ილია ჯერ დიდ უარზე იყო, მაგრამ ოლღაც შეეხვეწა:

– შენ გენაცვალე, ილია, თქვიო.

ზოგი ეძახდა „ტყემ მოისხა ფოთოლიო", მაგრამ ოლღამ თხოვა, „კაცია- ადამინიდან" ჩუპრი, ჩუპრი" წაიკითხეო. ილიას მაშინვე მოუტანეს მუთაქა და ბალიში, რომელიც მან ბავშვივით დაიჭირა. გასწიეს ფარდა, გამოვიდა ილია და შესანიშნავად წაიკითხა

„კაცია-ადამინიდან" ის ადგილი, სადაც აღწერილია ლუარსაბის ალერსი

მომავალ შვილთან. ისეთი აღტაცება და ჟრიამული გამოიწვია ამ გამოსვლამ, რომ ენით არ აღიწერებოდა. ოლღამ ილიას აკოცა. ილია ისეთი მხიარული, როგორც მაშინ იყო, არასოდეს არ მინახავს."

რამდენადაც ასეთი უბრალო იყო ეს თვითმპყრობელი საუკუნოს აზროვნებისა, იმდენადვე კუშტი და მიუკარებელი ხდებოდა, თუ უცხო ადამიანი ფამილარულად და ძმაბიჭურად მოექცეოდა. არა, მას შეეძლო სრულიად უცხო საზოგადოებაში დამჯდარიყო, არ ცდილობდა იქ ყურადღების მიქცევას (მაგრამ ამას რა ცდა სჭირდებოდა). შეეძლო მოსწრებულ სიტყვაზე, თუნდაც თავად გაეკენწლათ, გულიანად ეცინა. შეეძლო ამფსონობაც გაეწია, მაგრამ თავხედურ ფამილარობას არავის აპატიებდა.

ორი მაგალითი:

ერთხელ, ბანკობიადის დროს, ნიკო ხიზანიშვილთან და სხვა მეგობრებთან ერთად (განსაკუთრებით უყვარდა და მუდამ თან

ახლდა ლევან ჯანდიერი) ქვიშხეთში ყოფილა ქორწილში. ერთი ბრგე თავადიშვილი დიდ ჭიქებს ცლიდა და ალავერდს „განსხვავებულით“ ილიასთანაც გადასულა. ილიას უთხოვია, თავი მტკივა და ნუ დამაძალებო. ახლა ეს თავადიშვილი შეხვეწნია, მაშინ თქვენი თავი გამიცვალეთო.

– წააგებო, – უთქვამს ღიმილით ილიას. ის თავადიშვილი ხალისობდა, ეგ თავი მებას და წაგებული მერქვასო.

– რატომ ვიხსენებ ამას. ფამილარობა ნიჭიერი კაცისგან ასატანი კი არა, სახალისოც შეიძლება გახდეს, მაგრამ უნიჭო ფამილარობა მხოლოდ გულზე თუ გახეთქავს კაცს.

– მეორე მაგალითი სწორედ უნიჭო ფამილარობის ნიმუშია.

1903 წელს ილია წერილს ღებულობს ბათუმელი რკინიგზელის, ვინმე საყვარელიძისგან. ილიას პასუხი დაუთარიღებელია, მაგრამ რაკი თვით ამ საყვარელიძის მოგონება შემოგვრჩა, რომელიც აღნიშნავს, ილიას 1903 წელს მივწერე წერილიო, ილიას პატარა საპასუხო წერილის დათარიღებაც იოლი ხდება. ეს საყვარელიძე წერილის შინაარსსაც გადმოგვცემს, თუ რა მისწერა ილიას.

აი, რა: მეო, თქვენი უაღრესად მოყვარული ვარ, როგორც დიდი პიროვნებისა და ახლა შემთხვევა მეძლევა, ბადალი მოგთხოვოთ ხარკის დადებით, ორი ბილეთის საფასური გამომიგზავნეო.

– თხოვნაც არის და თხოვნაც. თან დიდი კაცი ხარო, – წერს ეს უცნობი ადამიანი, თან მხარზე ხელს უტყაპუნებს, აბა, შენ იცი, ხარკს გადებ, ორი ბილეთის ფული გამომიგზავნეო.

– სხვას იქნებ პასუხიც არ გაეცა და ამით დამთავრებულიყო. მაგრამ ილია ამ კაცის უზრდელობამ და უტაქტობამ აღაშფოთა, მოჰკიდა კალამს ხელი და ვგონებ ნიმუშად იმისა, როგორ უნდა მიუჩინო საკუთარი ადგილი აგრესიულ მათხოვარს, დაწერა ეს პატარა ბარათი. წერილი გრიგოლ საყვარელიძისადმი:

– „მოწყალეო ხელმწიფევ! მე თქვენმა წერილმა გამაოცა. იწერებით: „აი, ეხლა მეძლევა შემთხვევა და ვსარგებლობ ამით, რომ პატარა ხარკი დაგადოთო“. და მართლაც, ხარკს მადებთ, ისიც თქვენდა საკუთარ სასარგებლოდ. ასეთი კადნიერი წერილი ან ძალიან მახლობელი ნაცნობისგან უნდა იყოს, რომ კაცმა არ იწყინოს, ან ბატონმა ყმას უნდა მისწეროს. მე არ ვიცი, რა შემთხვევა მოგცემიათ ისეთი, რომ თქვენი თავი რაღაც ხარკის მიმღებლად გაგიცვნიათ და მე თქვენდა საკუთარ ყურმოჭრილ მოხარკედ გაგიხდივართ, მაშინ როდესაც, არც კი მაქვს ბედნიერება თქვენი ცნობისა. ასეთი მოხარკეობა მაშინაც საკადილო იყო ადამიანის

ღირსებისათვის, როცა ბატონყმობა არსებობდა და ახლა ხომ მეტისმეტია. მიიღეთ თქვენვე თქვენგან ასე კადნიერად გამოგზავნილი ბილეთები და უმორჩილესად გთხოვთ, იცოდეთ ამას იქით, რომ მე არც არავის ყმა ვარ, არც არავისი მოხარკე, და რომ უცნობ კაცთა საკუთარ სასარგებლოდ მე ფული არც მქონია და არც არასოდეს მექნება".

ვიმეორებ, ილია აგრესიული მათხოვრობის ფაქტმა აღაშფოთა, თორემ რამდენ უცხო კაცს ის დახმარებია, როცა კი ეს შეეძლო, ამაზე მრავალი მისი თანამედროვე მოგვითხრობს. ნაცნობსა და ახლობელს სხვა ტონით სწერენ წერილებს. შეადარეთ, მაგალითად, აკაკის წერილი თავისი უახლოესი ადამიანისადმი, მისი წიგნების გამომცემლის, სოსიკო მერკვილაძისადმი. აკაკიც ფულს ითხოვს, მაგრამ ეს წერილი ახლობლის მიმართ, ერთი ნოველის ტოლფასია, თუმცა უცხოსთვის რომ მიეწერა, შეიძლებოდა უბედურება დატრიალებულიყო. აკაკის თხოვნა სოსიკო მერკვილაძისადმი:

– „გავსქდი გუშინ წანწალით და ძლივს მოვუყარე თავი თხუთმეტს... ახლა შენ იცი: –„ძმა ძმისთვის და შავი დღისთვისაო". თუ სხვა არაფერი გექნება დასაგირავებელი, თავი დააგირავე და რამდენიც შეიძლო, მომაშავე. თუ შენისთანა ქიშმიში არავინ დაიგირაოს, მაშინ ნუშო (ადრესატის მეუღლეა, – ნ.გ.) დაიხმარე. ნუ გეშინია, ხვალ თუ არა, მალევე დავაბრუნებ".

●

1903 წლის იანვარი, თებერვალი და მარტი, – მთელი სამი თვე მიდის პოლემიკა ქართულ, რუსულ და სომხურ გაზეთებში ილიას „ქვათა ღაღადის" შესახებ. უფრო სწორედ, „ქვათა ღაღადი" საბაბია, ვილაც უხილავმა რეჟისორმა აიქნია ჯოხი და დაიწყო კამათი ქართველ-სომეხთა ურთიერთობაზე. როცა ილიამ ეს წერილი გამოაქვეყნა, მაშინ არ ატეხილა ასეთი ამბავი, ახლა ატყდა. ის რაც მაშინ რუსებმა ქართველებსა და სომხებს შორის ვერ მოახერხეს, არ გავა დიდი დრო და მოახერხებენ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის.

„კვალმაც" არ დააყოვნა და გამოაქვეყნა (20 აპრილი, №17) ყვირილელის ფსევდონიმით წერილი „აკაკანებული მამულიშვილები". ამ ფსევდონიმით წერდა ირაკლი (კაკი) წერეთელი. კრიტიკის ობიექტები იყვნენ ილია, აკაკი და 60-იანი წლების სხვა

მოღვაწეები. ეს წერილი არის პოლემიკის გაგრძელება „ცნობის ფურცელთან" და „ივერიასთან". საკვირველია კია, მაგრამ სოციალ-დემოკრატის წერილით მართალია, ეჭქვეშ დგება 60-იანელთა ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ, მაგრამ თავად წერილი ხაზგასმული კორექტულობითაა დაწერილი. ყვირილელი მიიჩნევს, რომ აკაკი წერეთლის პოეზიის კონცეფცია შეიძლება განზოგადდეს მთელი ძველი თაობის პოზიციად, რომელიც, მისი აზრით, ასე გამოიყურება:

„მართალია, დემოკრატობის დროს მანაც დაწერა რამდენიმე ლექსი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს კილო სრულებით არ არის დამახასიათებელი მის პოეზიისათვის. პირიქით, ძირითადი ძარღვი ამ პოეზიისა არის უკმაყოფილება ახალი ცხოვრებით, უარყოფა მისი არა მომავლის, არამედ წარსულის სახელით. თანამედროვე ჩვენს ცხოვრებას უპირდაპირდება არა დაწინაურებული ქვეყნებით შემუშავებული იდეალი, არამედ ჩვენი წარსულით შობილი და უკვე დანგრეული. ეს, თუ გნებავთ, რომანტიკოსობა არის, მაგრამ რომანტიკოსობა კონსერვატიული".

– „ივერია" აქვეყნებს ნიკო ხიზანიშვილის წერილს „მასლაათი მამებისა და შვილების გამო", პლებსის ფსევდონიმით. მასლაათი არა, გვარიანი კრიტიკაა ეს წერილი. კრიტიკა კაცობრიობის „ახლად მოვლენილ ჭირისუფალთა მიმართ".

„კარგა ხანია, რაც ვანქის უბნელნი (ასე იხსენიებს ნ. ხიზანიშვილი კოსმოპოლიტ ქართველ ახალგაზრდებს) იჯმნენ სამშობლოსგან და ღაღად ჰყვეს ხმითა დიდითა – „ჩვენ არასოდეს არ გაგვიხდია ღმერთ-კერპად ეროვნული არსებობა. ჩვენთვის პირველი საქმეა ადამინობა და არა ქართველობაო". კიდევ რამდენიმე ციტატი, რითაც ხასიათდება ახალი თაობის იდეოლოგია: „ახლა ყველასთვის ცხადია, რომ ბევრნი აწინდელნი შვილნი კაცობრიობას ეტრფიალებიან და კოსმოპოლიტობენ, თუ არა და – მარქსისტობენ და მხოლოდ მშიერ კუჭს დასტირიან. ახლა აშკარაა, რომ შვილნი ეროვნულ იდეალს მოკლებულნი არიან, თუმცა ჩვენს მდგომარეობაში ეროვნული მისწრაფება ყველაზედ უფრო საჭიროა. აწინდელი დრო საზოგადოდ ეროვნული ბრძოლისა და თავისმტვრევის დროა, თვით დიდნი და ძლიერნი ხალხნი იმის ცდასა და ფიქრში არიან, რომ განამტკიცონ და გაავრცელონ თავისი ვინაობა, ბატონობა და დიდება მოიპოვონ მთელ დედამიწის ზურგზე. ჯიბრი და ცილობა გაჩაღდა. დღევანდელ ბრძოლის

ველზედ ბურთიც იმისია, ვინც მედგრად და შეუპოვრად იბრძვის ეროვნული ვინაობის დასაცველად. „თუ გეპრიანებათ, რომელიმე ერი ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაიმონავოთ, უნდა წაშალოთ მისი ვინაობაო", ამბობს ერთი პუბლიცისტი და მართალსაც ამბობს. აწინდელ დროს ეროვნული ვინაობა ყველაზედ მჭრელ და ბასრ იარაღად შეიქმნა. ამ იარაღმა შეინახა შუაგულ ევროპაში სლავიანთა ტომის პატარა ერნი, რომელთაც გარშემო პირდაღებულნი სვავნი ახვევიან... ჩეხიამ ეროვნული მუზარადითა და ჩაჩქანით დაიცვა თავი და ახლა იმის გადაყლაპვა შეუძლებელია, ყელზედ დაადგება და დაახრჩობს, ვინც გადაყლაპვას მოინდომებსო...

ჩვენს ვაუბატონებს კი, სასაცილოდაც არ ჰყოფნით ეროვნული მოძღვრება, – „რა ვუყოთ, თუ ახალთაობას ერი კერპად არ მიაჩნია, არამედ იარაღად ადამინურის ცხოვრებისთვისაო"... ერი ადამინური ცხოვრების იარაღიაო, ე. ი. ადამინურად-კი იცხოვრე და სულ ერთია, – ქართველი იქნები თუ ჯანაბა და დოზანაო... ძნელია ამაზედ მეტი „აბსურდი" და უმეცრება!.."

„ჩვენ ვიცავთ ეროვნებას იმიტომ, რომ ამით დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ ერთა სოლიდარობას, მივუახლოვოთ ერთი ერი მეორესაო"... მართალს-კი ბრძანებენ! ღვთის წინაშე, არა თუ მარტო ერთი ერი მეორეს მიუახლოვეს, უფრო მეტიც ჰქმნეს. სოლიდარობის სარბიელზე „ცნობის ფურცელი" იქამდე მიიყვანეს, რომ სომხურ გაზეთად გარდააქციეს. ახლა ვანქის უბნელ მოღვაწე ქართველს სომხისგან ვეღარ გაარჩევთ და ამაზედ მეტი სოლიდარობა–ღა უნდა! ესეც კარგი ღვაწლია კაცობრიობის წინაშე... მაშ პატივი და დიდება ვანქის უბნელ მოღვაწეთა!.

სრული უმეცრებაა, როცა გაიძახიან, ეროვნება მარტო საყოველთაო სოლიდარობის დასამყარებლად ვიცითო. რასაკვირველია, სათნოიანი ურთიერთობა ანუ სოლიდარობა მიუცილებლად საჭიროა და ისტორიული პროგრესიც ამ გზას ადგია, მაგრამ ეროვნების დაცვა უპირველესად საჭიროა სხვაფრივ: თვითეული ისტორიული ერი თავისებური არსებაა, რომელსაც საკუთარი საუნჯე და წვლილი შეაქვს კაცობრიობის სალაროში. ყოველ კულტურულ ერს ხშირად მოეპოვება ზნეობრივი თუ გონებრივი „ობოლი მარგალიტი" და კაცობრიობის სალაროს სიმდიდრესაც ეს მარგალიტები შეადგენენ. აქ არის უზენაესი აზრი და საბუთი ეროვნების არსებობისა და ვისაც მართლა კაცობრიობის სიყვარული გულში უღვივის, იმან უწინარეს ყოვლისა, ეროვნება უნდა დაიცვას. თო-

რემ სულიერის სიმდიდრის წყარო დაშრება და გონების სალარო გაღარიბდება.

მოგეხსენებათ, რომ ჭავჭავაძემ დაწერა „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი" და ეს წიგნი რუსულად სთარგმნა ნ. ალექსიმესხიშვილმა, რომელმაც იგი „კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას" უძღვნა. ამ ძღვნის გამო სომხობამ ერთი აურ-ზაური და აყალ-მაყალი მორთო და ეს იმიტომ, რომ წიგნში მოთხრობილია სომხის მეცნიერთა და პუბლიცისტთა ოინბაზობა, ყალბობა, ცრუ-მედიდურება და სხვ... რუსულის ანდაზისა არ იყვეს, სიმართლე თვალსა სთხრისო. ი. ჭავჭავაძის სიმართლემაც თვალები დასთხარა სომხის შოვინისტებს და წრფელის გულით მირთმეულ ძღვენზე ხელი ააღებინა. სოლიდარობის მოციქულმა აი, ამ სადავო საგანს მიაქცია ყურადღება და შემთხვევაც მიეცა, – პირუთვნელი განაჩენი დაედგინა, მშვიდობიანობა და თანხმობა ჩამოეგდო, მაგრამ გეცოდინებათ ვანქის უბნური ძმობა და ერთობა... უძღები შვილი ადგა და პირდაპირ ბეზღობა და ენატანიობა დაიწყო: „ჩვენს მამებს კერძოდ თუ საჯაროდ შეუწყვეტელი სჯაბაასი აქვთ, სხვადასხვა ღონისძიებათა მისაღებად, რომ სომხები ალაგმონო".

როგორც ვხედავთ, სოციალური მიმართულების სარევოლუციო პარტიები მარჯვნიდან თუ მარცხნიდან ნელ-ნელა ამწვავებენ ბრძოლას სამოციანელების და განსაკუთრებით ილიას წინააღმდეგ. არ გაჭრა ილიას პრევენციულმა ზომებმა, არ გაჭრა მისმა გაფრთხილებამ „ქვათა ღაღადის" არაერთ ადგილას ჩართულმა, ჩვენ ერთან საქმე არ გვაქვს, ჩვენ ერთ მუჭა მეცნიერ-მტაცებლებს ვერჩითო.

პარტიებისთვის მთავარია მათი კავშირები, მათი ინტერნაციონალური ერთობა და ილიასთან ბრძოლას ქვეყნის ბედსაც გადააყოლებენ თუ არა, იმ ეტაპზე არავინ ფიქრობს.

ამ პოლემიკას ძველებსა და ახლებს შორის ერთი კარგი შედეგი ჰქონდა. თუ აკაკი ადრე, ასე თუ ისე, „მესამე დასელებთან" შეხლა-შემოხლას ერიდებოდა და „მესამე დასელთა" სამიზნეც ძირითადად ილია იყო, ახლა უკვე აკაკისაც ესროლეს ხელთათმანი. ცხადია, წერეთელსაც ყელში ჰქონდა გაჩხერილი ეს სამშობლოს უარმყოფელნი. სწორედ 1903 წელს რამდენიმე წერილს უძღვნის მათ. პირველად გაისმის მისგან სინანული გიორგი წერეთლის გამო, ეს ქვეყნის ჭირად მოვლენილები რომ გულში ჩაიხუტა. შეცდა გიორგი წერეთელი. ამათი მიმრქმელობა, ამა-

თი ნათლიობა რომ იკისრა და ჩვენს მომავლად „მესამე დასად“ აკურთხა ესენიო. აკაკი შეძრწუნებულია, ვინაიდან ხელთ შერჩა თაობა, რომელსაც წარსული „გველივით ეზიზღება“ და „აწმყო ჭირივით ეჯავრება“.

„ზოგიერთ მიყრუებულ მთიულ სოფელში დღესაც კიდევ შეხვდება კაცი მისთანა სოფელს, თუმცა-კი ძვირად. რომელსაც სოფლის დასაბამი იმ დღიდან სწამს მხოლოდ, როცა თვითონ გამოუჭყეტია თვალები და თუ მანამდინაც ყოფილა რამ ვერ წარმოუდგენია. სწორედ ასე ემართება „კვალელებსაც“. – საქართველო და ქართველობა მათიდან იწყება, ჰგონიათ!“

აკაკი ილაშქრებს ამათი მატერიალიზმის წინააღმდეგ და დაასკვნის- „არა პურითა მხოლოდ სცხონდეს კაციო“. ილაშქრებს ერის წარსულისადმი მათი ნიჰილისტური დამოკიდებულების გამო და ასკვნის: ''ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზედაც ხელს იღებს და, მარტო აწმყოზე შეჩერებული უსულდგმულო, საპირუტყვო ფარგლებში რჩება“.

მოკლედ, აკაკიმ მთელი ფიზიონომია გაშიფრა 1903 წელს მარქსისტი ქართველებისა და ზარიც დაარისხა: „ვისაც ესხდნენ ყურნი სმენად, ისმინონ!“

ერთ დროს „კვალის“ დამფუძნებელი თავადაც იმას ამბობს, რაც ილიამ წლების წინ სახარე ხბოს შეატყო და მათი გამოჩენისთანავე აფრთხილებდა ერსა და ბერს, თუ რას მოიტანდნენ ეს მარქსის პამპულები.

●

ილია ჯიუტად განაგრძობს თავის საქმეს, ახლა აფხაზეთია მის დღის წესრიგში. ოლდენბურგელის დავალებით გიორგი ორბელიანი სტუმრად იწვევს გაგრაში. ჭავჭავაძეს კარგად ესმის მისი აფხაზეთში ჩასვლის მნიშვნელობა და ემზადება კიდეც იქ დელეგაციით წასასვლელად.

მანამდე, 2 მაისს კვლავ ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ირჩევენ. 30 წლის განმავლობაში ბანკში წარმატებული მუშაობისათვის კრება მადლობასაც გამოუცხადებს, იმავდროულად ქვეყნდება ბანკის მოვალეთა სიაც. ილიას ბანკიდან ვალი აქვს აღებული. ქვეყნდება იმ მოვალეთა სია, რომელთა მამულებს გაყიდვა ემუქრებათ. წესი წესია. ამ სიაში არიან ილია და ოლღა ჭავჭავაძეებიც...

ამ მხრივ , ბანკი რომ ვერ აშინებდა ერთადერთი იღბლიანი კაცი აკაკი იყო. მცირე ექსკურსი: დილით რა თანხაც არ უნდა ჰქონოდა აკაკის ჯიბეში, საღამოსთვის კაპიკს ვერ შეირჩენდა. თამაში მას უყვარდა, თუ უყვარდა. თან სულ აგებდა, თან სულ ოხუნჯობდა ჯიბის გაცარიელების შემდეგ – მთელი ღამე ვათენე და სულიერადაც და ხორციელადაც ყველაზე სუფთა ვარ, სულ გაწმენდილი ვარო.

არ ვიცი, იმერული ხელგაშლილობა გამოჰყვა თუ მისი ცოლის დამსახურება იყო აკაკის მფლანგველობა. ცოლი, ბაზილევსკაია მილიონერის ქალიშვილი გახლდათ. აკაკის სიმამრის სახლში, თავის დროზე, თურმე იმპერატორებიც კი დადიოდნენ, მაგრამ ცოლის მდიდარი მზითევი უცებ გაიფლანგა.

როგორი ხელმოკლეც წავიდა სასწავლებლად აკაკი, რუსეთიდან ისეთივე ხელმოკლე დაბრუნდა საქართველოში. რაკი ფული ჯიბეში არ უჩერდებოდა, – სახლი სულ ქუთაისის ბანკში ჰქონდა დაგირავებული. მიდგებოდა საქმე გაყიდვაზე და ატყდებოდა საზოგადოებაში ერთი განგაში – ჩვენს მგოსანს სახლი როგორ გავუყიდოთო. რაღაც მანქანებით დაიხსნიდნენ. ეს ბევრჯერ განმეორდა, აკაკი კი მაინც სულ უკმაყოფილო ყოფილა ამავე საზოგადოებაზე. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯერ წერა-კითხვის საზოგადოებას, მერე გოგებაშვილს სთხოვეს ბანკიდან აკაკის ფულს შენ მოგცემთ და ყოველთვიურად გამოუზოგე ხოლმეო. გოგებაშვილს ისეთი პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა, იმას ვეღარ გაკეენწლავდა წერეთელი. იაკობმა ექვთიმე თაყაიშვილი შეიამხანაგა, მარტო თავის თავზეც ვერ აიღო ეს მოვალეობა.

მეორე მხრივ, აკაკიმაც რა ქნა? რაც გააჩნდა, ანდერძით ყველაფერი ექვთიმე თაყაიშვილის ეთნოგრაფიულ და საისტორიო საზოგადოებას დაუტოვა... იცოდა, მისი მემკვიდრე ერთ დღეში გაყიდდა ყველაფერს.

ახლა რატომ მოვყევი ამას. ილია პირველ რიგში სხვა ხასიათის კაცი იყო, სხვა პასუხისმგებლობისა და მეორეც, თავად გახლდათ ბანკის თავმჯდომარე, მას რომ ვალი ვერ დაეფარა, არც იპატიებდა და ალბათ, არც არავინ დაუტოვებდა მამულს გაუყიდავს, რადგან სხვისი მამულები ხომ მისივე მკაცრი საბანკო პოლიტიკის გამო იყიდებოდა? ამიტომ ილია დღე და ღამეს ასწორებს, რომ სტუმარ-მასპინძლობასაც არ გამოაკლდეს, ოჯახიც შეინახოს და ვალიც გადაიხადოს.

ასე, რომ, გარდაცვალებამდე თავისივე დაარსებული ბანკის ვალს იხდიდა.

●

ილია აფხაზეთში გაემგზავრა. „ივერიაში" აღწერილია მისი სტუმრობის დეტალები, მაგრამ თედო სახოკია ყველაფრის თვითმხილველი იყო და მის მოგონებას შემოგთავაზებთ:

„სოხუმის მკვიდრი ქართველობა განსაკუთრებით იჩაგრებოდა ცარიზმის აღვირახსნილი რეჟიმისაგან. ადმინისტრაციაში დიდი ადგილები სულ შავრაზმელებს ეჭირათ. შავრაზმელი იყო სასულიერო უწყების უფროსიც (ეპისკოპოსი), სასწავლებლებში უფროსებად, მასწავლებლებად შავრაზმელები იყვნენ.

ასეთ ატმოსფეროში მყოფი ქართველობა სიხარულით აღივსებოდა ხოლმე, როცა ვინმე მოწინავე ქართველი შემთხვევით გზად გამოივლიდა სოხუმში. თავი მოჰქონდათ: აი, რა კაცები ჰყავს ჩვენს სამშობლოსაო!.. გულში ათასნაირი იმედი ესახებოდათ.

მთელი ეპოქა იყო აქაურების ცხოვრებაში, როცა აქ განსვენებული პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი გამოივლიდა თავისი ნათესავების – გოგრიჩიძეების სანახავად!.. ერთხელ ქართველი სტუდენტობა მოიყვანა აქ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა ვასილ პეტრიაშვილმა. ერთხელ ნიკო ნიკოლაძეც იყო. აკაკი ისე გარდაიცვალა, სოხუმი არ უნახავს. ილია ჭავჭავაძემ კი მხოლოდ 1903 წელს ინახულა სოხუმი და სოხუმის ქართველობა.

1903 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებას, ერთ-ერთ თავის სხდომაზე, სხვათა შორის, ლაპარაკი ჰქონდა იმ „ამაგზე", რომელიც პრინცმა პეტრე ოლდენბურგელმა დასდო აფხაზეთს: გაგრის კურორტის დაარსებით, იქავე რეალური სასწავლებლის გახსნით და, საერთოდ, აფხაზეთის ამ კუთხის გამოცოცხლებით.

მადლობის გამოსაცხადებლად არჩეული იყო დეპუტაცია, რომელშიაც შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ალ. ორბელიანი(სიძე პოეტ ვახტანგ ორბელიანისა, ტფ. სამაზრო მარშალი თავადაზნაურთა) და სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ჩოლოყაშვილი.

დეპუტაციამ თავისი დავალება შეასრულა, გაგრა საფუძვლიანად დაათვალიერა და იქიდან სოხუმში შემოიარა, ახლა ამ ქალაქის დასათვალიერებლად.

ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს ილია ჭავჭავაძის მოსვლა. ასეთი ადამიანების სტუმრობით სოხუმელები მაინცდამაინც განებივრებული არ ვიყავით. წარმოგიდგენიათ, რარიგ უნდა გაგვხარებოდა მთელი საქართველოს სიამაყის ილია ჭავჭავაძის მოსვლა!...

რომ ყველას შესძლებოდა ილია ჭავჭავაძის ნახვა, მისგან ცოცხალი სიტყვის გაგონება, გადაწყდა, სადილი გამართულიყო ძმათა შარვაშიძეთა სასახლის ვრცელ ეზოში ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვების ქვეშ და ამ სადილზე მოეწვიათ გაგრიდან დაბრუნებული სტუმრები.

სადილში მონაწილეთა სულზე ხუთ–ხუთი მანეთი უნდა გაეღოთ. თითქმის ყველა ისწრაფოდა ამ სადილზე დასასწრებად. ასზე მეტმა ქალმა და კაცმა მოიყარა თავი. ყველას მოუხაროდა, როგორც დიდ და ბრწყინვალე დღესასწაულზე ცდილობდნენ, ერთიმეორეს არ ჩამორჩენოდნენ ამ ზეიმში, რომელიც სუფრის დასასრულს მართლა რომ ეროვნულ დღესასწაულად იქცა...

საათის ოთხზე მობრძანდნენ სტუმრები, რომელთაც სუფრის თავში დააჭერინეს ადგილი. ილიას გვერდით მოუსვეს მოხუცებული გრიგოლ შერვაშიძის მეუღლე აღათი დადიანის ასული. ძვირფასი სტუმარი, რომ ყველასათვის დასანახი ყოფილიყო, მოსუფრალნი ორ რკალად შემოურიგდნენ სუფრას. თამადად არჩეულ იქნა აქაური მოქალაქე თეიმურაზ გაბუნია, ცნობილი თავისი ჭკუითა და სიდარბაისლით.

თამადამ პირველად ადღეგრძელა ილია ჭავჭავაძე, მიულოცა საქართველოს საუკეთესო შვილს მობრძანება სოხუმში. მადლობა მოახსენა, რომ თავის აქ მობრძანებით ვაჟკაცობის სული შთაბერა;

გაძლევთ პირობას, თანახმად თქვენის მოძღვრებისა, ჩვენი ქვეყნისათვის ჩვენც ვიშრომებთ, ჩვენც შევიტანთ ჩვენს წვლილს საერთო სალაროში, მხოლოდ ერთსა გთხოვთ, ჩვენო ძვირფასო ბატონო: თქვენ და თქვენისთანები ნუ დაგვივიწყებთ ხოლმე, ათასში ერთხელ დაგვხედეთ, გაგვამხნევეთო.

თამადის შემდეგ მერგო ბედნიერება ილიას სადღეგრძელო დამელია. დიდის მოკრძალებით გავიზიარე ის საერთო აღტაცება, რომელსაც ცათაფრენაშემდგარი ხალხი განიცდიდა მის დანახვაზე. მე ვთქვი: ეს დღე ოქროს ასოებით ჩაიწერება სოხუმელთა ცხოვრებაში. თქვენმა აქ მობრძანებამ ყოველი ტანჯვა დაავიწყა აქაურებს; დღევანდელი დღე დაუვიწყარი იქნება სოხუმელთათვის.

ნება გვიბოძეთ მრავალჟამიერი სიცოცხლე გისურვოთ და განუზომელი მადლობა მოგახსენოთ აქ მობრძანებისათვის, ჩვენის ნახვისა და ნუგეშისათვის.

სამადლობელო სიტყვის სათქმელად ილია ზეზე წამოდგა. მთელი საზოგადოებაც ფეხზე მდგარი მოემზადა მის მოსასმენად. ასე დაიწყო:

„ბატონებო, დიდის პატივისცემით მოგესალმებით! ბედნიერი გახლავართ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს, კალმით დახატულს კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს... მადლობელი გახლავართ თქვენი დახვედრისათვის, ჩემის პატივისცემისა და დღეგრძელობისათვის!

„თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესახა, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ისე ადვილად არ დავეჩაგვრინებით. რომაელთა ერთი თქმა მაგონდება: სინათლე აღმოსავლეთით გვევლინებაო. თქვენ რომ გიცქერთ, ეს თქმა ასე უნდა შევცვალო: სინათლე დასავლეთიდან მოდის, საქართველოსათვის მაინც-მეთქი! თქვენც მიხვედრილი ბრძანდებით, რომ დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გამაგრდეს. ვინც ამას არა ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს, აცა, რამე გაჰვარდეს ხელიდან და მე ავიღოვო, ის ხალხი ტყუილად ნუ ელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილად იმედი ნუ აქვს ცხოვრებისა ჭიდილში ფონს გავიდეს; ასეთი ერი, ვიმეორებ, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირზეით აცდება, ნასუფრალი თუ ხვდა, ღმერთს მადლი შესწიროს! ყველასაგან გათელილი, ყველასაგან ყბადაღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავის ძალღონით არ ჰლამის ლელოს გატანას ცხოვრების მოედანზე...

„თქვენი მოძმენი, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ვართ შესაბრალისნი, რომ მეტად ტაატით მივდივართ ეკონომიურ მოღონიერებისაკენ. იქ ყველანი ჩვენა გვჩაგრავენ, თავზე გვასხდებიან. აქ, თქვენ რომ გიყურებთ, გული მინათლდება, სასოებით მევსება: მთელი ქალაქი თქვენს ხელშია; აქაურობის ბატონ–პატრონი თქვენა ხართ, გეტყობათ, დღესა და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ უკვე შეძენილს კიდევ მიუმატოთ, თქვენი ქონება ერთი–ორად აქციოთ, ფხიზლობთ, ყური მახვილად გიჭირავთ, საიდან როგორ უკეთესად და სარფიანად მოაგვაროთ თქვენი საქმე, ამისათვის თქვენთვის გამჩენს შნო მოუცია და ამ შნო-

თი შნოიანად სარგებლობთ კიდეცა. მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონიერები იქნებით, ყოველივე სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. თუ ეკონომიურად წელში გავიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა–პაპათაგან ნაანდერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს. თუ ვაჭრობას, თანამედროვე ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს, ვუერთგულეთ, ბურთი და მოედანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავინ შეგვეცილება. რომ მოგახსენეთ: საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ, ერთობლივის ძალით მამა–პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულ ათასგვარ მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, გავუმკლავდეთ, ხმალამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ...

„მაშ, გაგიმარჯოსთ, ბატონებო, ჩვენის ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების პირველო მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს: ჩვენი ხალხის, ამერ–იმერეთის , მთლად ჩვენი ქვეყნის სანუგეშოდ და წარსამატებლად!“

ყოველი სიტყვა ძვირფასი სტუმრისა ელექტრონის დენისებრ უვლიდა სხეულში სმენად გადაქცეულ მაყურებელს; ყველანი ხარბად პირში შეჰყურებდნენ და ცდილობდნენ ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვოდათ. მათ ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა: მთელი საქართველოს სათაყვანო ადამიანს, მთელი ქართველობისათვის მზრუნველს ილ. ჭავჭავაძეს თავიანთს შორის ხედავდნენ! ყველას განუმტკიცებდა რწმენას, რომ ობლად არ იყვნენ შთენილნი, ჰყავდათ პატრონი, პატრონი ძლიერი, შემმართებელი, რომლის წინაშე ჩვენი დაუძინებელლი მტერიც კი ქედს იხრიდა.

კარგა შებინდებულზე ყველანი მხიარულნი და ბედნიერნი დაიშალნენ. მერე დიდხანს და დიდხანს ჰქონდათ სოხუმელებს ეს საღილი სალაპარაკოდ და სასიამოვნო მოსაგონებლად.“

●

თედო სახოკიას იმავე მოგონებიდან:

„1903 წლის შემოდგომაა. საქართველოში პარიზიდან ჩამოსულია ცნობილი მოგზაური და საქართველოს სხვადასხვა კუთხის

აღმნერი ბარონი დე–ბაი. დავით სარაჯიშვილმა ფრანგი სტუმარი სადილად დაპატიჟა თავის სახლში, ფრეილინის (ამჟამად სულხან–საბა ორბელიანის) ქუჩაზე. სადილად მოწვეული ჰყავდა: ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი და მე. დავით სარაჯიშვილის მეუღლე ეკატერინე ქალაქიდან გასული იყო. ასე რომ, სუფრას მარტო მამაკაცები ვესხედით. დავითმა ბოდიში მოიხადა დიასახლისის იქ არ ყოფნისათვის. მეტად მხიარულად მიდიოდა სადილი. ვლაპარაკობდით ქართულად და ფრანგულად. პეტრე უმიკაშვილი ვიღაცას თუ ვიღაცეებს უჩიოდა: დამჩაგრეს, აქაო და გულკეთილი ხარო, დაბალ ღობედ გამიხადესო. თავისი ნათქვამი უფრო ნათელი რომ ყოფილიყო მსმენელთათვის, ქართული ანდაზაც კი მოიშველია: მტრედს თავის სიალალით ნისკარტს მოსჭრიანო. სრულებით დაავიწყდა პეტრეს, რომ პატარა თავ–ტანთან ერთად მეტად დისპროპორციული ცხვირი ჰქონდა და რომ მისი ცხვირი ილია ჭავჭავაძეს ადრეც მეგობრული შარჟის საგნად გაეხადა, პეტრემ სათქმელი რომ დაასრულა, ილიამ ასე ანუგეშა:

– ჩემო პეტრე, ფიქრი ნუ გაქვს, რაც უნდა ბევრი მოგაჭრან ცხვირი, სამყოფი მაინც დაგრჩებაო!...

ილიას მოსწრებულმა სიტყვამ საერთო სიცილი გამოიწვია და ყველაზე მეტად თვით ობიექტი ამ მოსწრებული სიტყვისა აცინა, სრულიად გულწრფელად და უწყინარად..."

●

ზემოთ ერთ-ერთ წერილში ვწერდი, ვაჟა ფშაველას დიდხანს ვერ დააფასებს თავისი თანადროული საზოგადოება, 1902 წელს, მეტყევეებთან მომხდარი ჩხუბის გამო, მას გაზეთი მხოლოდ ლუკა რაზიკაშვილად იხსენიებს-მეთქი. ვაჟას სასამართლო სხდომა გაუმართეს. სხდომა 1903 წლის 30 მაისს გამართულა. მთავარი ის არის, რომ ვაჟას ამ დროისათვის უკვე დაწერილი აქვს თითქმის ყველა ის გენიალური ნაწარმოები, რომელთაც მას მსოფლიო გენიოსთა სიაში დაუმკვიდრა ადგილი. ამ დროს კი თითქოს არაფერიც არ ხდება, ვიღაც ლუკა რაზიკაშვილს ასამართლებენ და ვიღაც ლუკა რაზიკაშვილის შესახებ აქვეყნებენ გაზეთები ინფორმაციებს.

შეიძლება კაცმა იფიქრო, რომ ვაჟას მოუფრთხილდნენ, ფართო მკითხველს შეგნებულად დაუმალეს, რომ ეს ვაჟა იყო, მაგ-

რამ არა. მოსაფრთხილებელი ვაუას იმ ამბის გამო, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, არაფერიც არ სჭირდა. პირიქით, ჩანს სასამართლოში რაღაცეებს არბილებს , თორემ დაკვირვებული თვალი შენიშნავს, როგორი ჰეროიკული გმირებიც ყავს გამოყვანილი თავის პოემებში, თავადაც ისეთი იყო. განსაკუთრებით ის სიუჟეტია მრავლისმეტყველი, შებორკილი კაცი თუ როგორ წაავლებს სხვის ხანჯალს ხელს... აი, ეს ქრონიკაც, ამოღებული „ცნობის ფურცლის" 1903 წლის 19 მარტის ნომრიდან:

სასამართლო

მოხელის შეურაცხყოფა

30 მაისს თიანეთში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა საქმე ლუკა რაზიკაშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა მოხელის შეურაცხყოფის მიყენება. 1902 წელს, ზაფხულს, თიანეთის „ლესნიჩის" თანაშემწე ანენკოვი ტყის მცველებთან ერთად მისულა ფშავ-ხევსურეთის საბოქაულოს ერთს ტყეში და ერთს ადგილას შესდგომია ტყის კაფვას გზის გასაყვანად. ამ დროს მისულა იქ ლუკა რაზიკაშვილი და განუცხადებია, რომ ეს ადგილი ჩემი საკუთრებაა, ხელს ნუ ახლებთ ტყესაო. ანენკოვი შეჰკითხებია, რა საბუთის ძალით მიაჩნია აღნიშნული ტყე თავისად. რაზიკაშვილს ამოუღია ქაღალდები და უჩვენებია. ამის შემდეგ ანენკოვს უკანვე წამოუყვანია ტყის მცველნი და დაბრუნებულა თავის ბინაზე. ანენკოვი რამდენსამე დღის შემდეგ ხელმეორედ დაბრუნებულა და შესდგომია ტყის გაკაფვას. ამ დროს ხანჯლითა და ბერდანკით შეიარაღებულს ლუკა რაზიკაშვილს ამოუვლია ცხენით და როცა შეუნიშნავს, რომ იმის ტყეს სჩეხდნენ, ჩამომხტარა ცხენიდან. ისა და ანენკოვი შეჰყოლიან ლაპარაკს, რომლის დროსაც რაზიკაშვილს უთქვამს, შეაწყვეტინეთ ტყის ჩეხა, თორემ მე თვით შევწყვეტო. ამავე დროს რაზიკაშვილს დაუნახავს, რომ ცხენი ხეს ეხახუნებოდა და ბერდანა, რომელიც უნაგირზე იყო დაკრული, შესაძლებელი იყო, რომ ჩამოვარდნილიყო. რაზიკაშვილი მისულა ცხენთან და ბერდანა ჩამოუღია. ტყის მცველებს ჰგონებიათ, რაზიკაშვილი ბერდნით ცუდს რამეს გვიპირებსო, მისცვივნიან რაზიკაშვილს, წაურთმევიათ თოფი, აუხსნიათ ხანჯალი და შეუკრავთ ხელები თოკით. განცვიფრებულ რაზიკაშვილს უკითხნია ტყის მცველ-

თათვის: „კაცო, რატომ მიკრავთ ხელებს? რა დავაშავე: ტყე ჩემია და მე მხოლოდ იმასა გთხოვთ, ტყეს ნუ მიჭრითო“. რაზიკაშვილს უთხოვნია, ცოტა გამითავისუფლეთ ხელები, რომ პაპიროსი მაინც მოვწიოო, მაგრამ უარი მიუღია. მაშინ გაჯავრებულს გაუნთავისუფლებია ერთი ხელი და იქ მდგომ ტყის მცველის ხანჯლის ტარისათვის წაუვლია. ანენკოვის განკარგულებით რაზიკაშვილი თოკით შეკრული წაუყვანიათ პოლიციის სამმართველოში, სადაც გამოძიების შემდეგ იგი გაუნთავისუფლებიათ. რამდენისამე ხნის შემდეგ რაზიკაშვილი ცხენით მონავალა გზაზე. შემთხვევით შეჰხვედრია ანენკოვი. რაზიკაშვილს, სხვათა შორის, უთხოვნია ანენკოვისათვის, დაებრუნებინა ბერდანა, რომელიც ანენკოვის ბრძანებით წაართვეს ტყის მცველებმა. შელაპარაკებულან, რომლის დროსაც ანენკოვს აუღია ხელში ჯოხი და შემოუკრავს რაზიკაშვილისათვის. პასუხად რაზიკაშვილს მათრახი შემოუკრავს და შემდეგ წასულა თავის გზაზე.

ამის გამო პასუხის გებაში მიუციათ ლუკა რაზიკაშვილი. სასამართლოში, ვიდრე არსებითად საქმის განხილვას შეუდგებოდნენ, რაზიკაშვილს უთხოვნია, გადაედვათ საქმე და დაებარებინათ ერთი უმთავრესი მოწმე, გიორგი ივანაშვილი, რომელსაც კარგად სცოდნია საქმის ვითარება. სასამართლოს არ შეუწყნარებია რაზიკაშვილის თხოვნა. გამოძიების დასრულების შემდეგ ბრალდებულს განუცხადებია, მე იმიტომ ვითხოვე საქმის გადადება და ივანაშვილის დაბარება, რომ ჩემი სიმართლე დამემტკიცებინა. ივანაშვილი მოწმეა იმისა, რომ როცა მე ანენკოვს ვთხოვე ბერდანის დაბრუნება, იმან პირველმა დამარტყა ჯოხიო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ლუკა რაზიკაშვილი და გადაუწყვიტა: დამუქრებისათვის – შვიდის დღით პოლიციაში დაჭერა, შეურაცხების მიყენებისათვის – ორი თვით საპყრობილეში დაპატიმრება. რაზიკაშვილს საქმე სამოსამართლო პალატაში გადააქვს.

არ ვიცი რა კომენტარი გავაკეთო. ქვემოთ ვნახავთ, რომ სომხები თვით მთავარმართებელს არ აპატიებენ წყენას, ვიღაც მეტყევე ანენკოვი კი ჩვენს გენიოსს აჭერინებს და „არსაიდან ხმა, არსით ძახილი...“

●

ეს მთავარმართებელი, რომელსაც სომხებმა სასტიკად აზღვევინეს, იყო გოლიცინი. „საქმე ასე მოხდა, როგორც ცნობილია

სომხის ეკლესიას უამრავი უძრავი ქონება–მამულები ჰქონდა და დიდ შემოსავალსაც იღებდა იქიდან. მათ განაგებდა სომეხთა პატრიარქი და შემოსავალს მეტწილად სკოლებს ახმარდა: მთელი მათი მხარე (სომხეთი. – ნ.გ.) მოფენილი იყო სასულიერო სასწავლებლებით. გოლიცინის წინადადებით, მთავრობამ ჩამოართვა სომხის ეკლესიას ეს უძრავი ქონება და გადარიცხა სახელმწიფო ფონდში (ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას ასეთი ქონება დიდი ხნის ჩამორთმეული ჰქონდა). სომხები ბევრს ეხვეწნენ და ემუდარენ დაგვიბრუნეთო, მაგრამ არაფერმა გასჭრა. მაშინ მათ გადაწყვიტეს გოლიცინის მოკვლა–როგორც ამბობენ, ნაქირავები, ოსმალეთიდან ჩამოსული დაშნაკების ხელით. თავს დაესხნენ იქ, სადაც კოჯრის გზა იწყება და თავდება გოლიცინის მიერ გაყვანილი, ძალიან კარგი ასასვლელი, რომელიც მანამდე ნამეტანი აღმართიანი იყო(ამის მეტი კარგი საქმე ჩვენში გოლიცინს არ გაუკეთებია). ამ გზით უყვარდა ხოლმე თითონ ეტლით გასეირნება კოჯრისაკენ. გოლიცინი ვერ მოკლეს(ჯაჭვის პერანგი სცმია), მაგრამ სასტიკად კი დაჩეხეს სატევრებით, სულ თავ–პირში ურტყეს. თავდამსხმელები კაზაკებმა დახოცეს. დაჭრილი და თავ–ყბაშეხვეული გოლიცინი კი სასახლეში იწვა. მთელმა ჩინოვნიკობამ და მეგობრებმა, რა თქმა უნდა, თანაგრძნობა გამოუცხადეს. დავით სარაჯიშვილიც, როგორც ოჯახის მეგობარი (მის ცოლთან კარგად იყო), ეახლა თანაგრძნობის გამოსაცხადებლად და ნუგეშის საცემად. სხვათა შორის, ასეთი რამეც უთხრა: Ваше сиятельство (გოლიცინი თავადი იყო) нужно быть очень осторожным, мало ли сумасшедших на свете? ამის გაგონებაზე გოლიცინმა თურმე უყვირა: „Ах, вы сумасшедшими называете людей, которых армяне подкупили и направили для моего убийства?!“ ცოლიც შეწუხდა, დავითს ენა ჩაუვარდა და აღარ იცოდა, რა ექნა. ცოლს უთხრა, მე ნუგეშისცემა მინდოდა, სხვა არაფერი, მომეხმარე, რამენაირად დაამშვიდეო...

თავდასხმის ამბავი მიაფუჩეჩეს, რაკი თავდასხმელები დახოცილი იყვნენ. ცოტა ხანს მერე გოლიცინიც გადაიყვანეს კავკასიიდან, უხერხულად მიიჩნიეს მისი აქ დატოვება. საერთოდ, მართლაც არ უყვარდა სომხები. წინააღმდეგ ვორონცოვ-დაშკოვისა, რომელიც ძალიან სწყალობდა მათ თავისი ცოლის გავლენით (რუსის ქალი კი იყო, მაგრამ მეტისმეტად დაახლოებული ჰყავდა სომხის ეპისკოპოსები და ბერები, რომლებიც ყოველმხრივ სარგებლობდნენ ამით და ბევრ საქმეს აკეთებინებდნენ მეფინასცვალს სომ-

ხებისათვის)." (იხ. ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება წიგნში „ილია" თბ.1987ნ. გვ.279)

გოლიცინის ნაცვლად კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლად გენერალი მალამა დანიშნეს. კავკასიიდან ოფიციალურ გაზეთ „კავკაზის" რედაქტორი ველიჩკოც წავიდა და იგი 1903 წლის ბოლოს გარდაიცვალა. ველიჩკო იმიტომ გამახსენდა, რომ 1904 წლის დასაწყისში საქართველოს პრესაში ველიჩკოს გამო კამათი ატყდება. ველიჩკო იმდენად არ აინტერესებდათ, ირიბად ილიასთვის სურდათ დარტყმის მიყენება.

1904

ქართველების დამოკიდებულება რუსებისადმი. პეტრე უმიკაშვილისა და გრიგოლ აბაშიძის გარდაცვალება. აკაკის ავადმყოფობა. რუსეთ-იაპონიის ომი. გელათის ტაძრის გაძარცვა.



აკაკი ცოლ-შვილთან

„ვის მიუტირო აწ ძველებურად,
რომ ჩემი ცეცხლი გაუზიარო?"

აკაკი

იანვრის დასაწყისში ილია ჭავჭავაძე დაესწრო ველიჩკოს პანაშვიდს. ველიჩკო, როგორც გახსოვთ, დიდხანს თბილისში მუშაობდა, რედაქტორობდა ოფიციალურ გაზეთ „კავკაზს", იყო ნიჭიერი მწერალი, მეგობრობდა ქართველ მოღვაწეებთან, დიდედა ქართველი ჰყავდა, – რა არის გასაკვირი იმაში, რომ თბილისშიც გადაიხადეს მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი?

ვინაიდან პანაშვიდს ილია დაესწრო და რაკი „ივერიაშიც" მნიშვნელოვნად შეფასდა ველიჩკოს საქართველოში მოღვაწეობა, ამან გამოიწვია „ცნობის ფურცლის" რეაქცია. „ცნობის ფურცელში", პირიქით, ველიჩკოს მოღვაწეობიდან ქვას-ქვაზე არ სტოვებდნენ. რა მოხდა? ან ამ რუს პოეტს რატომ მიაქციეს ამდენი ყურადღება, ან მისი სიკვდილი ქართული პრესის დაპირისპირების საფუძვლად რატომ იქცა? საქმე ის გახლავთ, რომ ამ ფაქტში აისახა ის საწინააღმდეგო პოზიციები, რასაც ქართული ინტელიგენცია სხვადასხვა დროს ამჟღავნებდა ხოლმე რუსი მოღვაწეების მიმართ.

მოყვარე თუ მტერი?

ეს კითხვა სულ იდგა ისეთ პერსონებთან მიმართებაში, რომელნიც ველიჩკოსებურად საქართველოს თან აქებდნენ, ჩვენს მეგობრებად მოჰქონდათ თავი, მაგრამ იმავდროულად რუსული იმპერიალიზმის ჭეშმარიტი ადეპტებიც იყვნენ.

ვფიქრობ, ეს მოვლენა ყველაზე უკეთ იაკობ გოგებაშვილმა შეაფასა. ქართულ საზოგადოებაში შექმნილ ორ საპირისპირო აზრს ის გამოეხმაურა წერილით – „მოყვარე თუ მტერი?"

იაკობი ველიჩკოს ახლოს იცნობდა. როცა ამ უკანასკნელმა ქართულის სწავლა მოინდომა, იაკობი მიუჩინეს მასწავლებლად, იქნებ საჩვენოდ მოაქციოო. უნიჭიერესი ბისმარკი ორ

წელიწადს რუსეთში ელჩად იყო და რუსული, მონდომების მიუხედავად, ვერ ისწავლა. გოგებაშვილმა ველიჩკოს უთხრა, ქართული რუსულზედ უფრო რთული ენაა და უცებ ვერ აითვისებო. ველიჩკომ კი დაიქადნა, მე ბისმარკზე მეტი ნიჭი მაქვსო. მართლაც, პირველივე გაკვეთილზე, „მოდი ვნახოთ ვენახი" ზეპირად დაუსწავლია.

მართალია, ენის შესწავლას ველარ მიჰყვა, მაგრამ ეს ფაქტი მომყავს იმის დასტურად, რომ რასაც გოგებაშვილი მასზედ დაწერს, დაეჯერება, ბევრი რამ იცოდა მის შესახებ. გოგებაშვილმა აღწერა, რაში გამოგვადგა და რაში გვიმტრო ამ კაცმა.

მაგალითად, თუ რუსეთს სურდა შავიზღვისპირეთში მთლიანად რუსები ჩაესახლებინა, ველიჩკო ამტკიცებდა, რუსებთან ერთად იქ ქართველებიც უნდა ცხოვრობდნენ, რადგან ამ მიწისთვის ისტორიულად სისხლს ქართველნი ღვრიდნენო. მართალია, სინამდვილეში ამის თქმას ჩვენი სიყვარული კი არა, რუსეთისვე ინტერესი კარნახობდა, – ყველგან სადაც საზღვრისპირა მიწებია, ქართველები უნდა ჩავასახლოთ, რადგან ისინი მეომარი ხალხიაო, მაგრამ ძალაუნებურად ამით ხომ ჩვენს ინტერესებსაც იცავდა? სხვათა შორის, ველიჩკოს აქ ყოფნის დროს მრავალი ქართული სოფელი შექმნა ქვემო ქართლში ლევან ჯანდიერმა, ილიას მეგობარმა, როგორც ჩანს, მას ამ გავლენიანი კაცის მხარდაჭერა ჰქონდა...

ველიჩკოს აქვს ლექსი – „ორი კეკლუცი". პირველ კეკლუცად რუსეთი გამოჰყავდა, გაჭირვებიდან გამოსული, მეორე კეკლუცად კი საქართველო, – გაჭირვებაში ჩატოვებული. ველიჩკო მოითხოვდა პირველისაგან მეორის შველას. ამასთან ერთად, საქართველო სხვა მხარეებზე მეტად უყვარდა, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მეორე კეკლუცი პირველის დად წარმოედგინა.

საერთოდ, საქართველოზე შეყვარებული რუსული ინტელიგენციისათვის დამახასიათებელი სიმპტომია – უყვარდეთ მეორე კეკლუცი, როგორც პირველის უმცროსი და. იმ შემთხვევაში, თუ მეორე პირველისგან გაყრას მოინდომებს, მათი სიყვარული იცვლება სიძულვილით. ასე ემართებოდა ველიჩკოს, თუ ეჭვადაც კი გაივლებდა იმას, რომ საქართველო იმდენად გაძლიერდებოდა, რუსის ოჯახიდან წასვლას მოინდომებდა. ალბათ ამ ეჭვით შეპყრობილმა გამოაცხადა: „ამიერ-კავკასიის რკინის გზა აერთებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქართველებსაო, და ეს კი საშიშია, რადგან ქართველები ნერვიანი ხალხიაო."

ასე, რომ თუ რუსული იდეოლოგიის ორ ტიპურ წარმომადგენელს შევადარებთ, ვთქვათ, ვოსტორგოვსა და ველიჩკოს, მათ შორის სიტყვით სხვაობას ვნახავთ, საქმით კი საერთოს, ანუ რაც ალხანა, ის ჩალხანა შეგვრჩება ხელთ... თვით ქართველების დამოკიდებულება როგორია ამ ორი ტიპის მიმართ? ვოსტორგოვისთანა ხალხთან სამარჩიელო არაფერია. ისინი არც მალავენ, რომ შენი ქვეყნის მტრები არიან. ვოსტორგოვს, მართალია ლიტერატურული ფორმით, მაგრამ ხალხის განაჩენი ერთი სატირული ლექსით ასეთი გამოუტანა აკაკიმ:

სამოთხიდან დაფეთებული გამორბის ანგელოზთა გუნდი, რადგან იქ აღარ ედგომებოდათ. ღმერთმა მთავარი ანგელოზი – მიქაელი დაიბარა და ჰკითხა რა მოხდაო. მთავარანგელოზმა მოახსენა: პოლიციის პასპორტით სამოთხეში შემოძვრა ავსული, რომელმაც ააყროლა იქაურობა და ამის გამო ანგელოზებმა სასუფეველი დატოვესო –

„ვერ გავიგეთ ის მოსული
მოყვარეა თუ მტერია?!
პასპორტში რომ ჩავუხედე,
ვოსტორგოვი უწერია.”

ღმერთმა იცოდა, რომ მას ძალას სატანა აძლევდა ქვეყნადყოფნისას, ამიტომაც ბრძანა:

„რა თქმა უნდა, რომ ის აქაც
ააყროლებს ამა სოფელს!
სტაცეთ ხელი და წაგვარეთ
სატანასა და.სამოელს.
ჯოჯოხეთში უნდა დარჩეს
საუკუნოდ მათთან ერთად
ვინც მის მცნების მიმყოლია,
იმას არ სწამს ღმერთი ღმერთად!”

ვოსტორგოვის ტიპის რუს მოხელეთა მიმართ დამოკიდებულება ცალსახაა, მაგრამ ველიჩკოსნაირ მოხელეს ყველა ისე არ უყურებს, როგორც, ვთქვათ, იგივე აკაკი, რომლის ლექსი ველიჩკოსადმი ადრე გაგაცანით. ამ შემთხვევაში, გაორებული დამოკიდებულება აშკარად არის. რატომ? ნუთუ მოყვრად მოსული მტრის გამოცნობის უნარი დაგვიკარგავს? იაკობ გოგებაშვილი გვთავაზობს ფრიად საყურადღებო დასკვნას:

„ზოგნი ჩვენებურნი ინტელიგენტნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ველიჩკოს მტერ-მოყვარეობას ისევ წმინდა მტრობა სჯობიანო. დიალაც ემჯობინებოდა, ჩვენი მდგომარეობა რომ მეტად კრიტიკული არ იყოს. მოგეხსენებათ, რომ რკინას ცემა სიმტკიცეს უმატებს და აფოლადებს, მაგრამ თუ თუჯს დაუშენთ დიდ ჩაქუჩს, იგი კი არ გამაგრდება, გატყდება. ხან ხალხი არის რკინის მდგომარეობაში, ხან თუჯს მოგაგონებთ, და ბევრს ცემას ვერ აიტანს, ბევრს მტერს ვერ გაუძლებს, საუბედუროდ, ჩვენი სამშობლო ამჟამად სწორედ თუჯს ემსგავსება... მისთანა ყოფაში მტერ-მოყვარენი მტრად არ უნდა გადავაქციოთ, მოწინააღმდეგე ძალა არ უნდა გავაძლიეროთ, თორემ ადვილად შეიძლება ერის ორგანიზმი სამუდამოდ გატყდეს, სუსტი თუჯივითა. როცა ჩვენი სამშობლო გამოვა ამ მდგომარეობიდან... ჩვენი ერის სოციალური ორგანიზმი რკინის სიმტკიცეს მოიპოვებს, მაშინ თამამად და უშიშრად შეგვეძლება მტერ-მოყვრებს ზურგი შევაქციოთ და მათ წმინდა მტრობას სრულიადაც აღარ შევუშინდეთ."

იაკობის ასეთი მიდგომის შემდეგ, ვფიქრობ, ნათელი უნდა იყოს, ილია რომელსაც, თუ კაცი თვალში არ მოსდიოდა, მასთან პურს არ გასტეხდა, რატომ იყენებდა გვერდით ამ ველიჩკოს...

მორალი მთელი ამ ისტორიისა, ილიას ველიჩკოსთან ურთიერთობის, მის პანაშვიდზე მისვლის და შემდეგ ატეხილი კამათისა, არის ერთი:

თუ კაცს მხოლოდ საკუთარი თავი აბარია, მას შეუძლია თავს უფლება მისცეს და არ დაუჯდეს გვერდით არავის, ვისთან სიახლოვითაც სულიერ დისკომფორტს განიცდის.

კაცს, რომელიც სხვათა პატრონად გრძნობს თავს, სრული უფლება აქვს არ იურთიერთოს საკუთარ მტერ–მოყვარესთან, მოუფრთხილდეს თავის სულიერ სიმშვიდეს. იგივე კაცს უფლება არ აქვს, სულიერ კომფორტზე იფიქროს მთელი ერის მტერ–მოყვარესთან ურთიერთობისას... თუ, რა თქმა უნდა, იმ მტერ–მოყვარეს ზიანის მოტანაც შეუძლია და სარგებლისაც.

●

1904 წლის დასაწყისიდანვე იწყება მზადება მაის–ივნისის ღონისძიებებისათვის. მაისში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებიდან 25–ე წლისთავი სრულდება, მაგრამ ცხოვრება მარტო საზოგადო საქმეები არ არის. კერძო, ოჯახურ

ამბებთან დაკავშირებით, ილიას 1901 წლიდან მოყოლებული უჩივის საკუთარი ცოლის ძმის მეურვე, ვინმე სიმონსენი. როგორც გახსოვთ, ვწერდით, რომ თადეოზ გურამიშვილს მეორე ცოლიდან ქალ–ვაჟი ჰყავდა. ორივე გონებაშეზღუდულები. ზალიკო გურამიშვილს მეურვედ ჰყოლია ვიღაც სიმონსენი. აი, ეს მეურვე უჩივის. ერთხელ, 1902 წელს შედგა სასამართლო და მომჩივანი გამტყუნდა. ახლა, 1904 წლის 1 მაისს, ილიას ისევ სასამართლოში იბარებენ. „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებით, (ასეთი კლიშე იყო, ცხადია, იმპერატორის ბრძანებულება პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, - ნ.გ.) თბილისის სასამართლო პალატამ მოისმინა ზაალ გურამიშვილის საქმეზე რწმუნებულ მეურვის ოტო სიმონსენის...სააპელაციო საჩივარი." სასამართლო სხდომა, როგორც წესი, რუსულად ჩატარდა, დოკუმენტიც რუსულ ენაზეა შედგენილი. საქმის არსი ის არის, რომ ეს ვიღაც ოტო გამომძალველი ჩანს. ილიას ზარალის ანაზღაურებას სთხოვს, იმის გამო, რომ ილიას ვითომ ზაალ გურამიშვილის მამულში წისქვილი დაუნგრევია, ხოლო მისი მამულიდან არხი თურმე ზაალის მამულს ტბორავს და ა.შ.

აღმოჩნდა, რომ წისქვილიც ილიას მამულში იდგა და ზალიკოს მამულის დატბორვა, ისე როგორც სხვა მიწებისა, ადიდებული არაგვის გამო მომხდარა.

სასამართლომ ძალაში დატოვა 1902 წელს მიღებული განაჩენი და სასამართლო ხარჯებიც მომჩივანს, ანუ პატივცემულ ოტოს დააკისრა.

●

მარტის თვიდან დაიწყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ვრცელი ნარკვევის ბეჭდვა „ცნობის ფურცელში". (ავტორი სამსონ ფირცხალავა).

გამგეობა ღებულობს მილოცვის დეპეშებს სხვადასხვა ქალაქებიდან. მაისში იმართება კრებები. ეს კრებები უფრო საქმიანი იყო, ვიდრე პომპეზური. მაგალითად, ძალზედ საინტერესოა ერთი მოგონება დავით ფაღავასი: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოცდახუთი წლის არსებობის აღსანიშნავი სხდომა იყო ქართული ბანკის შენობაში.

კარგა მოზრდილი დარბაზი ხალხით იყო სავსე. მაგიდას უსხდნენ: ნიკო ცხვედაძე, დავით კარიჭაშვილი და სხვანი. უცდიდნენ

ილიას, რომელიც ამ დროს წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარე იყო. მალე ილიაც მოვიდა. ბეჯითის ნაბიჯით გაიარა დარბაზი და მაგიდასთან მისთვის დატოვებულ სავარძელთან მისვლისთანავე წარმოთქვა: „საიუბილეო საღამოს გახსნილად ვაცხადებო."

დამაინტერესა იმან, რომ ილია შემოსავლისთანავე საქმეს შეუდგა. არც არავის დალაპარაკებია და არც არავისთვის ხელი ჩამოურთმევია.

სხვათა შორის, იმ საღამოს ირჩეოდა ქ. ორჯონიკიძის (ყოფილ კავკავის) სკოლის გამგისა და მასწავლებლის მოხსნის საქმე (წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას კავკავში სკოლა ჰქონდა) რევიზიაზე კავკავში გამგეობას მაშინ საზღვარგარეთიდან ახლად ჩამოსული ფილიპე გოგიჩაიშვილი გაუგზავნია.

ერთი ვილაც (მასწავლებელი უნდა ყოფილიყო) სასწავლებლის გამგის დამცველად გამოვიდა. მან თავის სიტყვაში ის აზრი გააატარა, რომ რევიზიაზე უსათუოდ მასწავლებელი უნდა გაგზავნილიყო (ფილიპე მასწავლებელი არ იყო). კრებას ეს სიცილადაც არ ეყო. ილიამ უპასუხა:

– აი, ბატონო, თქვენ მასწავლებელი ბრძანდებით, მაგრამ უბრალო ჭეშმარიტება არ გესმით. მე, მაგალითად, მხატვარი არა ვარ, მაგრამ ნახატებში გავარჩევ, რომელია უკეთესი და რომელი არა. შეიძლება, ფილიპე გოგიჩაიშვილი მასწავლებელი არ იყოს, მაგრამ დამერწმუნეთ, ბატონო მასწავლებელო, რომ თქვენზე ნაკლებ არ გაარჩევს, სასწავლებელში საქმე კარგად არის დაყენებული თუ არა.

ამ სიტყვებზე პოეტი ევდოშვილი, რომელიც, როგორც ჩანდა, მასწავლებლის დამცველებს ხელმძღვანელობდა, წამოდგა და დაიძახა:

– ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ!

ამაზე ილია შეეკითხა:

– თქვენ რამდენი ხართ მანდ?

შეკითხვაზე მთელი ჯგუფი შეირყა და ცოტა ყოყმანის შემდეგ წამოვარდა ისევ ევდოშვილი:

– ბატონო ილია, თქვენ ბანზე სიტყვას ნუ აგდებთ!

ილიამ უპასუხა:

– ბატონო ხოსიტაშვილო (ევდოშვილის გვარია), თუ ვერ მისწვდებით, კიბე მიუდგით.

ამ დიალოგის მთელ ინტრიგას ის იგრძნობს, ვისაც ახსოვს მათი ურთიერთ–დამოკიდებულება. ვინც იცის, ვინ არიან ისინი, რომელნიც პროტესტს აცხადებენ.

ეროდიონ ევდოშვილი ხომ ის „რიგოლეტოა", რომელიც ყოველ ახალ წელიწადს როგორც მესამე დასელი მეტისმეტად თამამი ეპიგრამებით რომ ეთამაშება ილიას, ეს ხომ ის „რიგოლეტოა" ივერიიდან რომ გამოაძევა ავტორეცენზიისათვის. თითქოს ტოლ–სწორნი იყვნენ, ევდოშვილი ისე თამამად დგება, (მასაში ისიც ცნობილი პოეტია უკვე...თან ძალიან საშიში პარტიის წევრი) პროტესტს ვაცხადებთო, – ამას ისე იტყვის, თითქოს ნაძალადევის მუშათა კრებაზე ზის და ურჩ აქტივისტს ამუნათებს.... – ბატონო ხოსიტაშვილო, – ამ მიმართვით წყალში უყრის ილია თავის ცნობილ პოეტობასაც, მედიდურობასაც. კიბე მიიდგი და მისწვდებიო, – სულ ერთი ფრაზით დასვა თავის ადგილზე.

●

ილიას კიდევ ერთი ახლო მეგობარი და თანათაობელი, მისი ერთგული თანამებრძოლი პეტრე უმიკაშვილი გარდაიცვალა. 28 მაისს ილიას მეთაურობით ახლობლებმა გამოასვენეს სახლიდან, დაასვენეს კათოლიკურ ეკლესიაში (უმიკაშვილი კათოლიკე იყო) და შემდეგ დაკრძალეს კუკიის სასაფლაოზე.

პეტრე უმიკაშვილი იყო მთარგმნელი, მკვლევარი, ძველ და ახალ მწერალთა გამომცემელი. ხალხური სიტყვიერების პირველი შემკრები და მოღვაწე. მაგრამ ეს ჩამონათვალი არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ ამ დიდებული ადამიანის შესახებ სრული წარმოდგენა გვქონდეს. უმიკაშვილის ვინაობა ჩვენს ნარკვევებში რამდენჯერმე ვახსენეთ, მაგრამ ის იმდენად გამორჩეული და არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, მინდა მის შესახებ მეტი ვთქვა.

არა მხოლოდ მისი მთავარი შრომის გამო (მისი უმთავრესი ნაღვაწი კი ქართული სიტყვიერების თითქმის 40 წლის მანძილზე შეკრება და შთამომავლობისთვის გადარჩენა გახლავთ).

ეს პიროვნება გახლდათ ნიმუში მოღვაწისა, განსახიერება საარაკო პატიოსნებისა და კეთილშობილებისა. მისი დაკრძალვისას წარმოთქმულ ლექსში აკაკიმ ზუსტად დაახასიათა უმიკაშვილის ღვაწლი –

„იმ თავიდან ამ ბოლომდე
სულ სწორი გზით მიმავალი
გაქრა, ვისაც საამქვეყნო
მოხდილი აქვს წმინდა ვალი."

უმიკაშვილი დაიბადა 1838 წელს. 5 წლის ასაკში მამა გარდაეცვალა, სიღარიბეში გაიზარდა. I გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ წავიდა უნივერსიტეტში სასწავლებლად. იმდენად გაუჭირდა მას და მის დედას, თავის მოკვლაზეც კი უფიქრია. ბოლოს კერძო პანსიონში თვიურად 12 მანეთიანი სამსახური იშოვა. 4 წელი იწვალა და რის ვაი–ვაგლახით უნივერსიტეტში წასვლა შეძლო. საუნივერსიტეტო განათლების მიღების შემდეგ საქართველოში ბრუნდება და თავისი შრომით, თავისი წესიერებით ისეთ ავტორიტეტს მოიხვეჭს, შეუძლია თვით ილიაც კი დაამუნათოს კერძო წერილით, თუ რამე, ვთქვათ, ივერიაში არ მოეწონება (საგაზეთო პოლემიკა არ უყვარდა).

პირად ცხოვრებაში არ იყო ბედნიერი. უიღბლოდ ეტრფოდა გიორგი წერეთლის დას, უმიკაშვილი გარეგნულად მეტისმეტად შეუხედავი ყოფილა. 6 წლის წვალების შემდეგ ძლივს გამოუტყდა ქალს სიყვარულში. უარი მიიღო. ცოლი აღარ შეურთავს და მთელი სიცოცხლე საზოგადო საქმეებს შეალია. უმიკაშვილმა 5 წელი არჩინა უცხოეთში სტუდენტი ფილიპე გოგიჩაიშვილი, ისე რომ ფილიპემ არც კი იცოდა, ამ თანხას პეტრე თავადაც თხოვნით შოულობდა დავით სარაჯიშვილისა და ნიკო ცხვედაძისაგან. ფული ლატარიაში მოვიგეო, არწმუნებდა სტუდენტ ფ. გოგიჩაიშვილს, რათა იმას უხერხულობა ნაკლებად ეგრძნო დახმარების გამო. უმიკაშვილმა პირველმა გაგზავნა სასწავლებლად მუსლიმანი ქართველი კაიკაციშვილი უნივერსიტეტში. ათეული წლები ის იყო I გიმნაზიის პედაგოგი. ჰქონდა 32 მანეთი ხელფასი. არასოდეს თავის გაჭირვებაზე მას არ დაუჩივლია, პირიქით, სულ ქველმოქმედებას ედგა სათავეში მისი პატივისმცემელი დავით სარაჯიშვილისა და სხვა მეცენატთა წყალობით. სწორედ იმის გამო, რომ მისგან დაჩივლება არავის გაუგია, მდიდარი ეგონათ და ყველა იქით სთხოვდა დახმარებას.

არათუ საკუთარ გასაჭირზე დაიჩივლებდა, პირიქით, მუდმივად იმას ცდილობდა, სხვისთვის სიხარული მიენიჭებინა. თავის დღიურში წერს: „ჩემის სიცილ–ხარხარით, ნათელის ფიქრით

მინდა სხვასაც შევყარო ნათელი ფიქრი, შეწუხებულ გულს იმედის რწმუნება ჩაუსახო, განწირულებით დაჩაგრულს სიცოცხლისაკენ მოსაბრუნებელი გზა გაუადვილო და სიმწრის ცრემლი სასიცოცხლო ღიმილად შეუცვალო, ნათელი ფიქრი, მხიარული გული ენერგიაა, ელექტრონია, მიმზიდველი ძალაა კეთილ საქმეშიაც და ბოროტშიაც. მოწყენილი ფიქრი, მოწყენილი სახე დამჩაგვრელია გარსმყოფისათვის, არ არის მიმზიდველი, ენერგიას ხუთავს. რად მინდა შემხუთველი რამ მეტი, – უიმისოდაც ცოტა არაა, რომ მეც მიუმატო ჩემს გარსმყოფს ან თვით ჩემს გულს"...

როდესაც მონატრებულ მეგობარს ნახავდა, ისეთი გულიანი და გაბმული საუბარი ჰყვარებია, რომ მისი ბაასი სახუმარო თემადაც იქცა. ერთხელ პეტრე უმიკაშვილს დიდი ხნის უნახავი მეგობარი, ანტონ ლორთქიფანიძე დაუნახავს ქუთაისიდან თბილისში ჩამოსული.

შორიდან შეუძახია: „ააა, ანტონ, ანტონ!" და შეემზადა. მაგრამ ლორთქიფანიძეს შორიდანვე დაუზღვევია თავი და უთქვამს – „შენი ჭირიმე, პეტრე, მარტო ერთი კვირით ვარ მოსულიო".

უმიკაშვილმა, თუ რამ გააჩნდა, მათ შორის – უნიკალური ძველი ხელნაწერი წიგნები, სიცოცხლეშივე წერა-კითხვის საზოგადოებას გადასცა. ისე, როგორც ეს გააკეთა სიცოცხლეშივე დაწერილი ანდერძით იაკობ გოგებაშვილმა. იაკობმა ხომ 12 000 ოქროს თუმანი წერა-კითხვის საზოგადოებას დაუტოვა, თავად კი დაკემსილი წინდებით დადიოდა. აი, ქვეყნისთვის გადაგებულთა ის წრე, რომელიც ილიას სამეგობროს შეადგენს. ამას ხაზს იმის გამო ვუსვამ, რომ ერთი წლის შემდეგ ამ ადამიანებზე საზიზღრობების წერას დაიწყებენ და ყველაფერთან ერთად ანგარებასა და მამონას სიყვარულსაც დასწამებენ.

●

1904 წლის ზაფხულში პეტერბურგში, ვილიეს კლინიკაში გარდაიცვალა გრიგოლ (გრიშა) აბაშიძე. ეს ახალგაზრდა პოეტიც ილიას ერთი თანამებრძოლთაგანი იყო. პეტერბურგის ქართველობამ თავი მოიყარა ახალგაზრდა პოეტისათვის უკანასკნელი პატივის მისაგებად. აბაშიძე, რომელიც ჭეშმარიტად კოლორიტული ქართველი და ნიჭიერი პოეტი იყო, ვერ გადმოასვენეს. დაკრძალეს პეტერბურგში ვოლკოვის სასაფლაოზე. ეგრეთ წოდებულ

ლიტერატორთა კიბეზე, ბელინსკისა და პისარევის საფლავების მახლობლად.

7 წლის შემდეგ, 1911 წელს, პეტერბურგში უკანასკნელად ჩასული აკაკი წერეთელი, შეწუხებული იმით, რომ ქართველი პოეტი თავის სამშობლოში არ განისვენებდა, მოინახულებს გრიშა აბაშიძის საფლავს. პოეტი გრიგოლ აბაშიძე აკაკის მეგობარიც იყო და ნათესავიც. „ვოლკოვის სასაფლაოზე მეტად უბრალო რკინის მოაჯირით არის შემოღობილი გრიშა აბაშიძის საფლავი და ზედ ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული: „Здесь покоится князь Григорий Абашидзе, грузинский поэт"ვიღაცას უშნო ხელით მიეწერა: „Грузо голопятый". აკაკი საშინლად შეწუხდა და აღელვებულმა გვითხრა:

– თქვენი მოვალეობაა, რაც შეიძლება მალე დაუბრუნოთ სამშობლო მიწას პოეტის გვამიო". (ჩანაწერის ავტორია აკაკის ახლობელი კოკი წერეთელი)

ბედის ირონია თუ იყო ის, რასაც ახლა შეიტყობთ.

გრიშა აბაშიძე ცნობილი იყო თავისი ფენომენალური მეხსიერებით. აკაკი, თავისი დიდებული პოეზიის გარდა, ცნობილი გახლდათ დიდებული მჭერმეტყველებითა და ენამახვილობით.

გრიგოლ აბაშიძეს ისეთი მეხსიერება ჰქონდა, ერთი მოსმენის შედეგად ვრცელი ლექსიც კი შეეძლო ზეპირად ეთქვა. აკი, ამ უნიკალური მეხსიერების გამო, ერთხელ საშინელ დღეში თვით აკაკი ჩააგდო.

ერთ შინაურ შეკრებაზე აკაკისთვის უთხოვიათ, ახალი ლექსი წაგვიკითხეო. პოეტს უარი არ უთქვამს და, თუ არ ვცდები, წინა ღამით დაწერილი თავისი ბრწყინვალე „განთიადი" წაუკითხავს.

წამომდგარა გრიშა აბაშიძე და შეწუხებული სახით უთქვამს: ბატონებო, გაოგნებული ვარ, დიდ პოეტს რა სჭირდა ჩემი გასაქურდიო. ეს ლექსი ჩემი დაწერილიაო. თუ არ გჯერათ, ახლავე დაგიმტკიცებთ და „განთიადი" თავიდან ბოლომდე ზეპირად ჩაურაკრაკებია. გაოგნება აკაკისა უნდა გენახათ. სუფრაზეც უხერხული სიჩუმე ჩამოწოლილა. გრიშა აბაშიძემ კი გაიცინა და თქვა, ეს სულ ჩემი წყეული მეხსიერების ბრალია. მგოსანი რომ კითხულობდა, მე ზეპირად დავიმახსოვრეო.

აკაკის მჭერმეტყველებაზე ხომ გამწარებულმა დონდუკოვ–კორსაკოვმა დაგვიტოვა ყველაზე ფრთიანი ფრაზა – ეს სასაფლაოების ნაფიცი ორატორიო.

რატომ ვყვები ყოველივე ამას?

ბედის ირონია იყო-მეთქი. ორივეს გარდაცვალებამდე უმთავრესი ნიჭი წაერთვა. „აბაშიძე, საწყალი უკანასკნელ ხანებში ვეღარ ცნობილობდა თურმე ვერავის" (დ. კლდიაშვილი).

ასე მოხდა აკაკის შემთხვევაშიც, უკანასკნელ საათებში გარდაცვალებამდე გულით ეწადა და შვილსაც ვეღარაფერი უთხრა. აკაკის ენა ჩაუვარდა. სწუხდა, რომ არ ესმოდათ მისი და ხელს ფანჯრისაკენ იშვერდა...

მაგრამ ჩვენ ახლა 1904 წლის ზაფხულის მოვლენებზე ვმსჯელობთ და კალამი მხოლოდ დროებით გაგვექცა.

ივნისის ბოლოს პეტერბურგში გამოდის ქრისტეფორე ვერმიშევის წიგნი, რომელიც არის პასუხი ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადისა". ამ წიგნზე უფრო საინტერესო კი ერთი ფაქტი გახლავთ. თბილისში, გაზეთ „ივერიიდან" (N226) ილიას იცავს ვინმე ირტიმიდი. როგორც ი. გორგაძე და ნ. გურგენიძე მიუთითებენ, ეს არის ფსევდონიმი ვინმე დ. ჯაშისა. გთავაზობთ დ. ჯაშის წერილს.

ნარევ-ნაკვეს გასართობი

გაკვრით

ერთმა ახლად გამოჩეკილმა quasi-კრიტიკოსმა დაიწუნა ისეთი სახელგანთქმული პოეტი, რომელსაც არა თუ ქართველობა, არამედ მსოფლიო ლიტერატურაც კი იცნობს; კრიტიკოსმა ბრძანა თავის პამფლეტში, ეს პოეტი პირველ ორ წელიწადს, კარგ ლექსებსა სწერდა, მერე – კი სულ ერთსა და იმავეს იმეორებს, განვითარება არ ეტყობაო. პოეტს გაუკვირდა ასეთი გულახდილობა, თავი გაიქნია და სთქვა: აგერ ორმოცდაათი წელიწადი ლექსებსა ვწერ და ჯერ ეს არავის არ უთქვამს ჩემთვისაო. „კრიტიკის" კითხვა პოეტმა რომ გაათავა, ბოლოში ასეთი კუპლეტი წააწერა:

„სულით – მანკი,
გულით – ჟანგი,
ტვინით – ბანგი,
ტანით – ზანგი!
ღმერთმა ერთად შეურცხვინოს
კალამი და მისი ჩანგი."

ნეტა, როგორ მოეწონება ეს მოკლე ეპიგრამა მეტიჩარა კრიტიკოსს, ჰა? უნიჭობასა და განუვითარებლობაში ხომ არ ჩამოართმევს? თუ ესეც ერთი და იგივე ჰანგის განმეორებაა?!

ირტიმიდი
„ივერია", 1904, N226.

ამ დროისთვის ეს ჯაში 20 წლის ბიჭია. უცნაური კია, ეს სწორედ ის დიმიტრი ჯაში გახლავთ, რომლის გვარი და სახელი ახლა ყველამ იცის, როგორც ილიას მკვლელობის ორგანიზატორისა...

●

4 ნოემბერს წერა-კითხვის საზოგადოების კრება გაიმართა. კრებას ილია თავმჯდომარეობს. აკაკი წერეთელს დაუნიშნეს ყოველთვიური პენსია 150 მანეთი. ილიასთვის ეს არ იყო მორიგი განსახილველი საკითხი. საქმე ის გახლავთ, რომ 22 ოქტომბერს აკაკის დამბლა დაეცა. ამ ცნობამ მთელი საქართველო შეაძრწუნა. აქ გამოჩნდა ილიას გული და დამოკიდებულება აკაკისადმი. ამ დროს ყველაფერი კარგი ახსენდება კაცს. ახსენდება 60-იანი წლებიდან მოყოლებული, როგორი ძალით ეზიდებოდა აკაკი იმ უღელს, საქვეყნო საქმისა, რომელშიც ერთად იყვნენ შებმულნი. ახსენდება მისი სიხალისე და იუმორი. მაგალითად, ილია ლექსებს ნაკლებად იზეპირებდა, ეს, ცხადია, აკაკიმ იცოდა. ერთხელ სალიტერატურო საღამო გაუმართავთ. ილია სცენაზე დგას. ამოუღია რვეული, გადაუშლია და დაუწყია ლექსის კითხვა – „ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ"..., მაგრამ ჩახედა და რას ხედავს. ეს ლექსი რვეულიდან ამოხეულია.

– გიგავ, – გადმოსძახა დარბაზში ყიფშიძეს, – ვინ ამოხია ლექსი?

ეს სულ აკაკის საქმე იქნება. მართლაც, იღება კარი და შემოდის გაღიმებული აკაკი, ამოხეული ფურცლით ხელში.

სხვა ვინ გაბედავდა?.. ესენი ტოლნი იყვნენ...

ილია თუ მორალურად, თუ ფინანსურად, ყველაფერს ცდილობს აკაკის გადასარჩენად. ექიმებმა მ. გედევანიშვილმა, ს. ვირსალაძემ, ვ. მანსვეტაშვილმა, ვ. მუსხელიშვილმა და ვ. ღამბაშიძემ ყველაფერი გააკეთეს.

საბედნიეროდ აკაკი მალე მომჯობინდა. მარჯვენა ლოყის სიდამბლემ გაუარა. თვალის მდგომარეობა კი იგივე დარჩა. თავს

დაბლა ვეღარ ხრიდა, თითქოს მაღლა ზეცისკენ ჰქონდა აწეული. ასეთი დარჩა აკაკი იმათ ხსოვნაში, რომელთაც იგი 1904 წლის შემოდგომიდან ახსოვდათ.

ექიმების დასკვნით პოეტს დამშვიდებული ცხოვრება და მუდმივი წამლობა სჭირდებოდა. ქართულმა საზოგადოებამ დაიწყო აკაკის ფონდისთვის კომიტეტების შექმნა. პირველი შესაწირავი, როგორც წესი, იაკობ გოგებაშვილმა გაიღო, – 100 მანეთი, ამის გარდა ყოველთვიურად, მომავალი წლიდან 10 მანეთის გაღება იკისრა, ამას მოჰყვა ეკატერინე გაბაშვილის გამოხმაურება, ამას მოჰყვა ქუთაისის კომიტეტისგან 900 მანეთი, ამას მოჰყვა უამრავი ადამიანის მცირე, მაგრამ გულითადი შემოწირულობა. ის კი არა, ჩინეთში მცხოვრებმა ქართველებმა გამოგზავნეს თანხა 1000 მანეთი. რამდენიმე ჩინელიც კი ჩაერთო ამ საერთო ფერხულში. დაბოლოს, ყოველივე ამას მოჰყვა, აკაკის სამადლობელი წერილი იმ ჩინელებისადმი, ხოლო შინაურებისათვის ლექსი „უკანასკნელი" –

„თურმე მყოლია მეც მეგობრები,
მე კი ვფიქრობდი შეცდომით სულ სხვას!
სიკვდილის წინათ მათმა მოქცევამ
ფრთები შეჰკვეცა წინა განზრახვას.
ეს დეპეშები, ეს წერილები,
გუნდი მნახველთა აღელვებული, –
ყველა მიმტკიცებს, რომ სასიკვდილოდ
არ ვარ ჯერ კიდევ გამეტებული..."

მაგრამ აკაკი რის აკაკი იყო, ლექსი არ განეზოგადებინა და თაფლში მწარე ნაღველიც არ გაერია. ამასთან, სიბერეს ჩივის და სამსხვერპლოდ მზადმყოფს, ლოგინში სიკვდილის პერსპექტივა გულს უკლავს:

„მაგრამ რაღა დროს ძველი ანდაზა
შეჰფერის მხოლოდ ჩემსა საფლავსა:
„მოლა შიმშილით მოკლეს და შემდეგ
პირში აყრიდნენ მუჭ-მუჭა ფლავსა!"
რაღა ვარ ახლა! მის მეასედი,
რაც რომ ვიყავი... მეტი აღარა
და ძველებურად რომ გამოვბრუნდე –
მასზედ კი უარს ამბობს ჭაღარა!
ცალთვალი! ცალიც გაფუჭებული,
რაც არ შეშვენის უზიანო თვალს!...

მაგრამ უთვალოც კარგადა ვხედავ,
როგორც ჩვენს წარსულს, ისე მომავალს...
დიაღ, მომავალს სულ სხვანაირად
თავისუფლებით აყვავებულსა,
რაც რომ აწმყოში მენატრებოდა
და ეკლად ესვა ჩემს დამწვარ გულსა...
მე კი მშვიდობით... ჩვენს წინაპრებთან
მივდივარ მეცა განსასვენებლად
და ხინჯად გულში მიმყვება მხოლოდ,
რომ ვერ გავმხდარვარ სამშობლოს მსხვერპლად..."

ეს ლექსი დაიბეჭდა „ივერიასა" და „ცნობის ფურცელში". სათაურიც ისეთი ჰქონდა ლექსს – „უკანასკნელი", რომ კიდევ უფრო შეწუხდა მკითხველი. „ცნობის ფურცელში" გამოქვეყნდა მოსწავლის პასუხი ლექსად –

„გულს ნუ გაიტეხ მოხუცო!
ფიქრს ნუ ეძლევი მწარესა,
ნუ აატირებ შენს შემქმნელს
ზურმუხტ ფერს ტურფა მხარესა.
აღსდექ, მხცოვანო! მოჰფინე
კვლავ ია ვარდი სულს და გულს,
მიესალამე მომავალს
ახალ ცხოვრების გაზაფხულს."

ამავე ნომერში დაიბეჭდა ანასტასია იურკევიჩის ლექსი „აკაკის".

„გული უზომო ტანჯვით მევსება,
თვალთაგან მცვივა მდულარე ცრემლი,
მას შემდეგ რაც რომ გადავიკითხე
მე შენი ლექსი „უკანასკნელი".
რამ დაგალონა, გმირო მგოსანო?
რამ შეარყია ეგ მტკიცე გული,
– არა ერთ–გვარი ჭირის მნახველი,
– რისგან ხარ აგრე შეშინებული?
მაგრამ, მგოსანო, ვერ გაგიმეტებთ,
ჯერ ჩვენ არ ძალ–გვიძს შენი შელევა
და მისთვის მარად გავედრებ ჯვარ–ცმულს,
რომ იმან მოგცეს შენ ჭირთა ძლევა!"

ის, რაც აკაკის ავადმყოფობასთან დაკავშირებით ქართულ საზოგადოებაში მოხდა, იყო დასტური იმისა, რომ ქართველობაში სხვისი ჭირის გულთან მიტანა, თავისი ღირსეული შვილის გულწრფელად დაფასება, ანუ ჩვენი საუკეთესო ტრადიციები, ჯერ კიდევ ცოცხლობდა. როგორც სხვა, ისე ამ კეთილშობილური ტრადიციის რღვევაც მერე დაიწყება, როცა სამშობლოს უარმყოფელები მოვლენ ხელისუფლებაში, როცა გალაკტიონის თხოვნაზე, – სიცივით ვიყინები და პალტოს ფული არ მაქვსო, ქართველ ჩინოვნიკს შეუძლია „პრინციპული" უარი მოკლედ წააწეროს – „უარი ეთქვას". ეს მერე მოხდება, როცა სერგო ორჯონიკიძეს ვაჟა ფშაველას შვილის ლევან რაზიკაშვილის სიცოცხლეს გამოსთხოვენ, ის კი პრინციპულად უპასუხებს, ვაჟას შვილი კი არა, ვაჟა რომ ცოცხალი იყოს, მასაც დავხვრეტდიო.

ახლა ჯერ კიდევ ძველი საქართველოს სითბო იგრძნობა. ქართულმა საზოგადოებამ არა თუ პენსია დაუნიშნა აკაკის, არა თუ ერთჯერადი დახმარებები შესწირა, არამედ კომიტეტმა მისი ბანკში დაგირავებული მამულის გამოხსნაც ითავა. აკაკი დეკემბრის ბოლოს ფეხზე დადგა.

●

ჩვენ არაფერი გვითქვამს იმ საერთო პოლიტიკური ატმოსფეროს შესახებ, რაც 1904 წელს მთელ რუსეთის იმპერიაში სუფევდა და რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა შემდგომ წლებში, არა მხოლოდ მთელი იმპერიისთვის, არამედ თითოეული ადამიანის ბედზეც, და მათ შორის, ბედზე ილია ჭავჭავაძისა.

900-იანი წლებიდან მოყოლებული, იმპერიის პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალოა, ვიდრე როდისმე ყოფილა ნაპოლეონის რუსეთში შეჭრის შემდეგ. სოციალ-დემოკრატებმა მოახერხეს ის, რომ რუსეთი ტერორისტულ ქვეყნად იქცა. ერთი მხრივ, ტერორისტები ჩიტებივით ხოცავენ ჩინოვნიკებს. რუსეთში მოკლეს განათლების მინისტრი ბოგულეპოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი სიპიაგინი. მის ნაცვლად დანიშნავენ ფონ პლევეს, მაგრამ არც მას მოუწევს დიდხანს მინისტრობა, მოკლავენ პლევესაც. აღარაფერს ვამბობ უფრო დაბალი ჩინის ხალხზე. ეს პროცესები გადმოდის საქართველოშიც, ცალკე მუშათა გამოსვლები, ცალკე თბილისის ტერორისტთა გააქტიურება, რომელნიც ერთი წლის შემდეგ გადადიან მოქმედებაზე და იწყება სრული განუკითხაო-

ბა. რევოლუციის ზღვარზე მდგომმა რუსეთმა, ამ პროცესებისგან ხალხის ყურადღება რომ გადაიტანოს, მიმართა ნაცად გზას – მთავრობა იწყებს დიდ ავანტიურას შორეულ აღმოსავლეთში, რომლის ბოლო თავდება ომით. იწყება რუსეთ–იაპონიის ომი, რომელიც რუსეთისათვის წარიმართება კატასტროფულად და დამთავრდება მისი სრული მარცხით.

1904 წლის 26 იანვარს, ღამით, რუსეთის მთავრობისაგან მანჯურიის საკითხში ათას მეერთედ მოტყუებული იაპონიის მთავრობა ბრძანებას გასცემს დასცხონ პორტ–არტურში განლაგებულ რუსულ ჯავშნიან გემებს. ამონარიდები გ. ლასხიშვილის მოგონებებიდან: „შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკი ადმირალი ალექსანდროვი თავის მეფეს აუწყებდა: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ 26 იანვარს შუაღამისას იაპონელების ნაღმოსანთა ესკადრამ მოულოდნელად იერიში მიიტანა პორტ–არტურის ნავსადგურში მდგომ ჩვენს ესკადრაზე. ჯავშნიან გემებს, „რეტვიზანსა" და „ცესარევიჩს" და კრეისერს „პოლტავას" გვერდი შეუნგრია და ძლიერ დააზიანა".

ასე დაიწყო ომი.

რუსეთი არა და არ გამოვიდა არც მანჯურიიდან და არც კორეიდან. იაპონიასთან ომის მიზეზი ეს იყო. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური მოლაპარაკება შეწყდა და მოსალოდნელი იყო ომის დაწყება, „პორტ–არტურში რუსეთის ესკადრა უძრავად იდგა. იმ დღიდან დაწყებული ომის გათავებამდე რუსეთის მხედრობას ერთი გამარჯებაც არ უნახავს. ომის დაწყებისთანავე ადმირალმა ტოგომ, რომელმაც მალე დაიმსახურა იაპონიის ნელსონის სახელი, სრულიად გაანადგურა რუსეთის ფლოტი წყნარ ოკიანეზე". რა ხდება ამ დროს პეტერბურგში? ნიკოლოზ მეორემ მთავარსარდლად დანიშნა თავისი საუკეთესო გენერალი კუროპატკინი. იმედი აქვს, სახმელეთო ბრძოლებს მოიგებს. იქ, პეტერბურგში, მივლინებულ იყო დავით კლდიაშვილი, როგორც სამხედრო პირი. ვნახოთ დავითის თვალით დანახული ნიკოლოზ მეორე და ეს კუროპატკინიც. „ხელმწიფეს უნდა წავრდგომოდით. ჩაგვაყენეს რიგში. მოვიდა ხელმწიფე ალექსანდრიიდან (მეფის სააგარაკო ადგილი იყო), ახლდა მცირე ამალა. ამათში იყო სამხედრო მინისტრი კუროპატკინი. ხელმწიფე იყო უბრალო სერთუკით; ხელში ეჭირა უბრალო ქუდი; შუა ტანისაზე ცოტათი დაბალი. ქერათმიანი, მისი ცისფერი თვალები მორიდებულივით გამოიყურებოდნენ. ბევრი კაპიტანი განსხვავებულად იყო გამოწყობილი, ამ დღისათვის სა-

განგებოდ შეკერილი ფეხსაცმელები და სანგაგებოდ ამ დღისათვის დამზადებული უცმელი საცვლები ეცვათ.

ხელმწიფე ყველას ერთსა და იმავე კითხვას აძლევდა: რამდენი წელინადი მსახურობთ, რამდენი წელინადი გუნდს უფროსობთო, რამდენი წელინადია, კაპიტნობა მიიღეთ, მეტი არაფერი". მხოლოდ ერთი კაპიტნისთვის, რომელსაც წმინდა გიორგის სალდათის ჯვარი ეკეთა, უკითხავს, სად მიიღეთ ეს ჯვარი და დაჭრილი თუ ხართო. აღელვებული კაპიტნის პასუხი მეფეს მოეწონა და მინისტრს უბრძანა, – ამ კაცისთვის პოლკოვნიკობა მიეცა.

როცა ხელმწიფე წავიდა, მინისტრმა სულ დედის გინებით იფრინა ხელმწიფისგან „ნაწყალობევი" კაპიტანი. ასეა, ხელმწიფემდე ვინ მივა, ან ეს კაპიტანი როგორღა ნახავდა, მინისტრმა კი სულაც ფეხებზე დაიკიდა თავისი ხელმწიფის ბრძანებაცა და ეს კაცი ხომ გინებით ამოაგდო.

არადა, ის საწყალი კაპიტანი შემდეგ მანჯურიაში, სწორედ იაპონელებთან ომში დაიღუპა. წაგებულ ომში კი, ვინ იცის, რა ორდენები მიიღეს მისმა უფროსებმა. როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე რუსები მარცხს – მარცხზე განიცდიდნენ. როგორ შეხვდა საქართველო ამ ომს? მთელი საქართველო აკაკის ლექსს მღეროდა –

„ოი, ამას ვენაცვალე".

ვითომ იავნანის ნაცვლად დაწერა აკაკიმ ეს ლექსი, ვითომ დედა ჩვილს უმღერის – ოი, ამას ვენაცვალე, – მაგრამ ყველამ იცოდა, ოიამა იაპონელთა ერთ-ერთი სარდალი რომ იყო...

●

როგორც რუსეთ–ოსმალეთის ომის დროს, ქართველებმა ახლაც დაიწყეს ფიქრი, ამ ომიდან იქნებ საქართველოს ხეირი ენახა. რუსეთის „უძლეველობა" გამოჩნდა. რატომ არ შეიძლება საქართველომ იარაღი იშოვოს და საჭიროების შემთხვევაში თავისუფლება იარაღის ძალით მოიპოვოს, თუკი რუსეთს კატასტროფული მარცხი უწერია დიდ ომში?

1904 წლის დასაწყისში ახალგაზრდა ქართველი ავტონომისტები ჟენევის საერთაშორისო კონფერენციაზე აპირებენ გამგზავრებას. იქ ეროვნული საკითხი უნდა იქნეს განხილული. საინტერესო ისაა, რომ მანამდე, საგურამოში, თედო სახოკია და მისი რამდენიმე მეგობარი ილიას შეხვდებიან. იარაღის შოვნისათვის, ფედერა-

ლისტთა პარტიის შექმნისათვის დახმარებას სთხოვენ, სთხოვენ, რომ მისი ავტორიტეტით შეძლებული ხალხი ჩააბას ამ საქმეში, სთხოვოს დავით სარაჯიშვილს, რათა ფინანსური უზრუნველყოფა მოხდეს ამ ბრძოლისა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალგაზრდები „ცნობის ფურცლიდან" ხანდახან ილიას ებრძოდნენ კიდეც, რაკი ეროვნულ საკითხზე სრული თანხმობა აქვთ, ჭავჭავაძე მათ არაფერზე უარს არ ეტყვის. მზად ვარო, უპასუხებს, ყველაფრით დაგეხმაროთ, ოღონდ კაცი მითხარით, ვინ გაუძღვება ამ საშვილიშვილო საქმესო.

გიორგი ლასხიშვილი იმედიანად მიემგზავრება 1904 წლის ჟენევის კონფერენციაზე.

კონფერენციამ წამოაყენა მოთხოვნა საქართველოს ავტონომიისა. იმავ 1904 წლის შემოდგომაზე ლასხიშვილი ისევ პარიზში მიდის. გაგზავნა იმ წელს შექმნილმა სოც. ფედერალისტთა პარტიის მთავარმა კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გიორგი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, სამსონ ფირცხალავა, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, პეტრე ყიფიანი და გიორგი ლასხიშვილი. ეს ფაქტიურად ილიას გუნდია. კონსპირაციის მიზნით ლასხიშვილი ხმას დაყრის, თითქოს ის ხარკოვში მიდის თვალების სამკურნალოდ. გახსოვთ ალბათ, ზემოთ მოთხრობილი ამბავი, სპექტაკლში გიორგი ლაშას როლს თამაშობდა და ხმალამოღებულმა, სიბეცის გამო, გულები რომ გადაუტრიალა „მისი ამალის" წევრებს. ხარკოვში მართლაც ყოფილა გამოჩენილ თვალის ექიმთან, შემდეგ ბერლინში ჩადის. საინტერესოა ერთი ყოფითი დეტალი დღევანდელი მკითხველისათვის. ბერლინიდან მატარებლით დღენახევარში ჩადის პარიზში. პარიზში სასტუმროში ქირაობს პატარა ოთახს დერეფნით, თვეში 28 ფრანკად. მაშინდელი კურსით ეს იყო 10 მანეთი. ბინა, ყავა დილით და მოსამსახურე, თვეში უჯდებოდა მხოლოდ 15 მანეთი. ამ დეტალით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა შეეძლო მაშინ თვეში 15 მანეთს, ანუ 42 ფრანკს. ამ დეტალით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რას ნიშნავს თვეში, ვთქვათ, 150 მანეთი პენსია, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებამ აკაკის დაუნიშნა.

ლასხიშვილს პარიზში მასპინძლობს და მეგზურობს ნიკო ღოღობერიძე, დიდი ქველმოქმედი, რომელიც იმჟამად უკვე იქ ცხოვრობდა და საქართველოში ზაფხულობით ჩამოდიოდა. თედო სახოკიასთან ერთად ლასხიშვილი გამოსცემს „საქართველოს" რამდენიმე ნომერს და საქართველოში გამოაგზავნიან არალეგა-

ლურად, ქართველი ქალის, ვინმე ნატროშვილის მეშვეობით. ბრიუსელში ხვდება პალიკო ყიფიანს, რომელიც შემდეგში ფედერალისტებს იარაღის ყიდვაში დაეხმარება. ეს ის პალიკო ყიფიანია, ბაქოს ბანკიდან რომ ფულიანად აორთქლდა. ფაქტია, რომ პალიკო ყიფიანს ქართველებთან მოგვარებული აქვს საქმე, მას ხვდებიან. როგორც ჩანს, ის ამჯერად კრიმინალად მონათლული კაცი არ არის...

როცა ილიას თაობა და ახალგაზრდა ფედერალისტები საქართველოს ავტონომიაზე ფიქრობენ, ამ დროს სოციალ-დემოკრატების წყალობით მიდის გამალებული ძარცვა-გლეჯა თუ თავად-აზნაურობის, თუ ეკლესიების. პარტიას ფული სჭირდება...

მაგალითად, უღმერთოებმა გელათის ტაძარში ჩაიდინეს ის, რაც ჩვენს ისტორიას არ ახსოვს. ტაძარს არავინ არასოდეს ძარცვავდა.

●

ვახტანგ ორბელიანს გელათზე აქვს დაწერილი ლექსი – „არის ადგილი". აი ეს ადგილი გაძარცვეს და სწორედ ვახტანგ ორბელიანს მიმართავს აკაკი:

„ვის მიუტირო ან ძველებურად,
რომ ჩემი ცეცხლი გაუზიარო?
თუ ერთად მასთან უბე-კალთაში
სამგლოვიარო ცრემლები ვღვარო?
თუ არ შენს აჩრდილს და შენსა სახეს,
კალამ ძლიერო და მადლიანო;
ქართველად ზრდილო, მირონ-ცხებულო,
სულ-მნათო ვახტანგ ორბელიანო?!
.....
ველარა ვხედავ იმას, მგოსანო,
რაც რომ გელათზე შენ დაგვიწერე!...
და ნეტავი შენ, რომ შენც ჩემსავით
ამ წამხდარ დროის აღარ ხარ დამსწრე!"

ის, რომ ტაძარი უბრალო ყაჩაღებმა კი არა, სოციალ-დემოკრატმა ყაჩაღებმა გაძარცვეს, ჩანს იქიდან, რომ ეს ძარცვა არც მიპარვით, არც ჩუმად მომხდარა და, სხვათა შორის, არც უიდეოდ... დღისით, მზისით მივიდნენ შეიარაღებული ნითელრაზმელები და მოახდინეს ექსპროპრიაცია.

„ახალმა დრომ გამოიწვია ისკარიოტელთა გუნდი, „შიგნიდამ ციხის გამტეხი", რომელიც შეურაცხყოფს მამა-პაპათა თვით საფლავსაც კი!...

... შეიარაღებული რაზმი შესევია ლოცვის დროს წმინდა ტაძარს. გარეთ მეთვალყურეები დამდგარან, შიგნით მძარცველები შეჭრილან, გაუძარცვავთ ეკლესია, თან გაუყოლებიათ არხეოლოგიური ნაშთები: დავით აღმაშენებლის ბეჭედი, ოქროს და ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი და მღვდელ-მთავრებთა ოქრო-ჭედილი შესამოსელები.(დაკარგული ნივთების სია გამოქვეყნებულია „ივერია" №176-ში) აქ მარტო ფულის შოვნის და შეძენის ანგარიშით არ უნდა იყოს, ის ნივთები, ის ბეჭედ-ქოშები, შესამოსლები ხომ სულ უნდა ტყუილად გადააგდონ და რა სარგებლობა, რა აზრია? მხოლოდ ცარიელი გულის მოფხანვა იმათი, რომელთაც საქართველო წარსულშიაც კი ეზიზღებათ!" ვის ეზიზღება გველივით წარსული, ამაზე აკაკი ადრე წერდა, მეტი მინიშნება რაღა გააკეთოს, მათ მსოფლხედვასაც კი უსვამს ხაზს – ეს შეეძლო გაეკეთებინა მათ, ვისაც უწოდა „კუჭის მიმდევარ-მაძიებელი კორდი ღორთა". ამაზე მეტს ვერ იტყოდა. ისინი უკვე ძალიან საშიში ხალხია.

ამ დროისათვის. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, იმ კლიშეს მიუხედავად, მთელი საუკუნე რომ იჭრებოდა, ყველაზე პროგრესული ძალა არის თავადაზნაურობის გადაურუსებელი ნაწილი. ილიას რეჟისორობით დეკემბრის დასაწყისში ისინი კრებას ატარებენ. ამაოდ არ ჩაუვლია პარიზსა და თბილისს შორის მიმოსვლას. ავტონომიის საკითხის წამოწევას. პირველად კრება მიიღებს ისეთ რეზოლუციას, რის შესახებაც ადრე ჩურჩულით ლაპარაკიც კი საშიში იყო. თან ეს მოთხოვნები დაბეჭდილია რუსულ ენაზე, გაზეთ „რუსი"-ში(1904წ. №53) აი, ისიც:

1. მართვა-გამგებლობა კავკასიისა და ადგილობრივ მკვიდრთა წარმომადგენლების მონაწილეობით, გამგებლობის მოწყობა ოლქებრივ თვითმმართველობის პრინციპზე.

2. სინდისის თავისუფლება და აღდგენა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა.

3. შემოღება ერთობისა და ცვლილება საქალაქო დებულებისა სრულის თვითმმართველობის საფუძველზე.

4. რეფორმა სახალხო განათლებისა, შემოღება მეცნიერებათა შესწავლისა სამშობლო ენაზე და სახელმწიფო ენა, როგორც ერთ-ერთი საგანი, დაარსება უნივერსიტეტის და სხვ. სპეც. უმაღლეს

სასწავლებლებისა ტფილისში და ქუთაისში. გაფართოება კერძო ინიციატივისა სკოლების დაარსების საქმეში.

5. თავისუფლება ყრილობის, კრების, მუშათა ორგანიზაციების და გაფიცვებისა, ენის თავისუფლება კრებებზე.

6. თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა და პასუხისმგებლობა სასამართლოს წინაშე.

7. შემოღება ნაფიც მსაჯულთა და არჩევა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა, შემოღება სასამართლოში საქმეების წარმოებისა მშობლიურ ენაზე.

8. გაუქმება პრივილეგიების, წოდებრივი განსხვავების და დაწესებულებებისა.

9. დროებითი ვალდებული გლეხებისათვის და ხიზანთათვის მათი მიწების საკუთრებად მიცემა. მცირე და უადგილმამულო გლეხ ქართველთათვის მინიჭება საშუალებისა საქართველოს საზღვრებში თავისუფალი სახელმწიფო მიწაზე დასახლებისა."

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, მომდევნო წელს გარეთ დამარცხებულმა რუსმა საკუთარ ხალხზე იყარა ჯავრი.

1905

რევოლუცია. გურიის ამბები და ილია. სოციალ-დემოკრატები ილიას გასანადგურებლად. ილიას „ნუთუ?". ილიას ბანკიდან წასვლა. მახარაძე და ჟორდანია. ილია პეტერბურგში.

ნოე ჟორდანია

„ მოვალედ ვრაცხ გამოგიცხადოთ, რომ ახალ შეურაცხყოფას ველარ მოითმენს ჩვენი ხალხი და თქვენ იძულებული იქნებით ზღვა სისხლი დაღვაროთ თქვენი სალდათებისა.“

(ილიას პეტერბურგში
წარმოთქმული სიტყვიდან)

9 იანვარმა მთელს იმპერიაში ახალ მღელვარებას დაუდო საფუძველი. ნიკოლოზის მთავრობას თითქოს პრობლემები აკლდა, თავად აიტეხა შარი. 9 იანვარს, დილით პეტერბურგის ფაბრიკა-ქარხნებიდან გამოვიდა უამრავი მუშა. კაცები, ქალები, მოხუცები, ახალგაზრდები, ბავშვები. მეფის სურათებითა და ხატებით მიემართებიან ნიკოლოზის სასახლისაკენ ხელმწიფისათვის მოთხოვნების გადასაცემად. მათ წინ მიუძღვით მღვდელი გაპონი. მშვიდობიან მოსახლეობას გადაეღობა დიდძალი ჯარი და პოლიცია. ხალხი პოლიციას მიაწვა, რათა მისი რიგები გაერღვია. ჯარმა და პოლიციამ ატეხეს სროლა. დამფრთხალი ხალხი გარბოდა, მაგრამ ცხენოსანი ყაზახები გამოუდგნენ და უმოწყალო ჟლეტა გააჩაღეს.

უამრავი ადამიანი დაიღუპა.

მთავრობამ ხალხს ძალა აჩვენა. გარეთ იაპონელებთან მფრთხალი – შინ ძლიერი აღმოჩნდა, მაგრამ უიარაღო ხალხის ამოხოცვა ეგრე იოლად ვერ ჩაივლიდა. შედეგი უარესი მიიღეს. ნაცვლად დაწყნარებისა, მღელვარება მოედო მთელს იმპერიას და საკუთრივ საქართველოსაც.

იანვარი თბილისში გაფიცვებისა და დემონსტრაციების თვედ იქცა. თბილისის ქუჩებში სისხლიც დაიღვარა. ეს ტალღა გადაედო ბათუმსაც და საქართველოს სხვა ქალაქებსაც, ხოლო გურიაში გლეხებმა, ფაქტობრივად ხელისუფლება გამოაძევეს. გურულებმა თავიანთი პრეზიდენტის არჩევაც კი მოასწრეს...

ქვეყანაში სრული ქაოსი გამეფდა. ერთი მხრივ, მეფე თავისი ჯარითა და პოლიციით ებრძვის აბუნტებულ ხალხს, მეორე მხრივ,

სოციალ-დემოკრატები და სხვა სარევოლუციო პარტიები თავიანთი გასამხედროებული ორგანიზაციებით, – პარტიული რაზმებით ებრძვიან, ატერორებენ და ხოცავენ ჩინოვნიკებს, მესამე მხრივ, სოციალ-დემოკრატებს გაჩაღებული აქვთ კლასობრივი ბრძოლა და ჩინოვნიკებთან ერთად ატერორებენ თავად-აზნაურობას. შედარებით მდიდარ გლეხებს. 9 იანვარმა დათესა ქარი და მოიმკეს ქარიშხალი. ქვეყანაში სრული ქაოსია. თუ ადრე, მაგალითად, გენერალ–გუბერნატორის თანამდებობის კაცს ხელის ჩამორთმევასაც კი იშვიათად გაუბედავდა ვინმე, ახლა შემოლაწუნებაც შეიძლება.

დროის სუნთქვა ყველაზე კარგად ამა თუ იმ ყოფით მოვლენაში იგრძნობა ხოლმე. თუ ადრე არ მისალმება და ქუდის არ მოხდა ბობოლას დანახვისას შეიძლებოდა სასჯელითაც კი დამთავრებულიყო, ახლა ბობოლას გასილაქებაც ხდება. ბათუმის ოლქის გენერალ–გუბერნატორს ერთი ჩვენი თავადი მიბეთქავს და შერჩება კიდეც ხელის აღმართვა.

1905 წელს ბათუმის ოლქის უფროსი იყო გენერალ–მაიორი სლავოჩინსკი. ის ქართველების მოძულე, ვერაგი, ყალთაბანდი კაცი ყოფილა.

2 წლის შემდეგ ქუთაისში გადმოიყვანეს გუბერნიის გუბერნატორად, ენამახვილმა ქუთაისელებმა სლოვოჩინსკი სასწრაფოდ „სვოლოჩინსკად“ მონათლეს.

აი, ამ „სვოლოჩინსკთან“ დაკავშირებით ასეთ ამბავს გადმოგვცემს სერგო გერსამია: „ბათუმის ე.წ. „რკინის თეატრში“ თურმე ხშირად იმართებოდა ჭიდაობა. ჭიდაობდნენ სხვადასხვა ეროვნების მოჭიდავეები. ფალავნებს გავლენიანი პირები მფარველობდნენ. ერთი ასეთი მოჭიდავე იყო აჭარელი, რომელიც მემედ აბაშიძის ფალავნად ითვლებოდა, მეორე რომელიღაც მოჭიდავე, ოლქის უფროსის სლოვოჩინსკის ფალავანი იყო. 1905 წ. ერთ დღეს ამ ორი ფალავნის ჭიდაობა გაიმართა, თეატრი სავსეა მაყურებლებით, ერთ ლოჟაში სხედან მემედი და მისი ამხანაგები, მეორეში კი – სლოვოჩინსკი თავისი ამალით. ჭიდაობას ყველანი დაძაბულად ადევნებენ თვალ–ყურს, ღელავენ. ბოლოს მემედის ფალავანმა სძლია და მოწინააღმდეგე წააქცია. მემედი ლოჟიდან წამოდგა და თავის ფალავანს ტაში დაუკრა. ამ დროს გაბრაზებულმა სლოვოჩინსკიმ მემედს შეაგინა და ქარქაშში ჩადებული ხმალი ზურგზე დაარტყა. მემედმა ეს ვერ მოითმინა, თავის ლოჟიდან ისკუპა, სლავოჩინსკის ლოჟაში ჩაუხტა და სილა გააწნა...

ატყდა დიდი ჩოჩქოლი. საქმეში პოლიცია ჩაერია და მემედის დაპატიმრება მოინდომა. ამ დროს გაჩდნენ შეიარაღებული ქართველი მაჰმადიანები და ქრისტიანები, მემედს გვერდზე ამოუდგნენ, გამოექომაგნენ და პატიმრობას გადაარჩინეს... ამის შემდეგ მემედი მცირე ხნით გაიხიზნა, ხოლო როცა რევოლუციური მოძრაობა უფრო გაიშალა მაშინ ისევ დაბრუნდა ბათუმში.

... მემედ ბეგ აბაშიძის ნაცემი კაცი გყვავს გუბერნატორადო, ქუთაისში ხშირად გაიგონებდით". კი იყო ეს „სვოლოჩინსკი" საცემი, მაგრამ თუნდაც ერთი წლის წინ ამ ინციდენტს კატორღის გარეშე ვერც ერთი ქართველი ვერ გადაურჩებოდა, მაგრამ ახლა ცალკეული ინციდენტების დავის თავი ვის აქვს, მთელი ხალხი აბუნტებულია, ვერა და ვერ დააწყნარეს, განსაკუთრებული ბუნტი კი გურიაშია.

თებერვალში მრისხანე და დაუნდობელ გენერალს ალიხანოვ–ავარსკის დაევალა გურიაში სრული წესრიგის აღდგენა. იქ სამხედრო წესები გამოცხადდა და ალიხანოვი გურიისკენ დაიძრა. დამსჯელი რაზმი სოფელ ნატანებში დაბინავდა.

გოლიცინის შემდეგ მთავარმართებლის მოვალეობას ასრულებდა გენერალი მალამა. ალიხანოვ–ავარსკი სწორედ მისი განკარგულებით მოქმედებდა. ილიამ მთელი თავად-აზნაურობა ფეხზე დააყენა. გაიგზავნა დეპეშები პეტერბურგს, გაზეთებმა ატეხეს განგაში. ჩატარდა თავად-აზნაურთა კრება. არჩეულ იქნა 25 კაცამდე დეპუტაცია, რომელშიც თავად-აზნაურთა გარდა გაზეთების წარმომადგენლებიც შედიოდნენ. დეპუტაციაში იყვნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლნი, ქუთაისის, ბათუმისა და თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლები. ეს დეპუტაცია ეახლა მალამას და მთელი ქართველი ხალხის სახელით სთხოვა გაეუქმებინა თავისი განზრახვა. უარი ეთქვა გურიის წინააღმდეგ გალაშქრებაზე. მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა შეიწყნარა თხოვნა და გურია დროებით აწიოკებას გადაურჩა. სხვადასხვა ავტორებთან მკითხველი ნახავს ილიას გამოსვლის ტექსტს, რა სთქვა მან თათბირზე გურიის დასაცავად. რა შეუთვალა მეფისნაცვალს და ა.შ.

მინდა შევნიშნო, რომ ეს არ იყო ერთადერთი კრება, რომელიც გურიის დასაცავად გაიმართა. 1905 წლის შემოდგომაზე და 1906 წლის დასწყისში ასეთი კრებები კვლავ შედგება. აი ეს კრებები, სხვადასხვა მოგონებებში არეულია ერთმანეთში. ყველაფერი ის,

რაც კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვ–დაშკოვის მონაწილეობით ხდება, ხდება მხოლოდ 1905 წლის მაისის შემდეგ, როცა ის დაინიშნა ახალ მეფისნაცვლად. ჯერ კი, როგორც გითხარით, მთავარმართებლის მოვალების შემსრულებელი გენერალი მალამაა.

აქედან გამომდინარე, თავისი ცნობილი სიტყვა ილიას ხსენებულ კრებაზე არ უთქვამს. შეცდომაა ცალკეულ ავტორთა ნაშრომებში დაშვებული. თუ ეს არ განვმარტეთ, მკითხველი დაიბნევა, როგორ მოუწოდებს ილია კრების მონაწილეთ მეფისნაცვალთან მისვლას, როცა არც მეფისნაცვალია ჯერ დანიშნული და არც ეს ინსტიტუტია აღდგენილი.

როგორც გითხარით, მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა, წლის დასწყისში, მშვიდობიანად მოაგვარა ეს საკითხი. ალიხანოვ–ავარსკი შეაჩერა.

ასევე მარტში თავადაზნაურთა კერძო თათბირზე ილია წამოჭრის საკითხს – რის გამო ღელავს ქართველი გლეხი? მიწა, რომელიც მას არ ჰყოფნის სარჩენად ურიგდებათ უცხოტომელებსო. იგი მთავრობისაგან მოითხოვს, სახაზინო მიწები, განსაკუთრებით შავი ზღვისპირეთში, გადასცეს ქართველებს. ამასთანავე, დრო დადგა ჩვენ შესახებ კანონები პეტერბურგში კი არა, აქვე იწერებოდეს, ჩვენს მიერ არჩეული წარმომადგენელთა კრებულის მიერო. ილიას სიტყვა „ივერიამ“ გამოაქვეყნა, მაგრამ ისე დამახინჯებულად კი, რომ იძულებულია თავისივე ყოფილი გაზეთის რედაქციას მისწეროს : „გუშინდელ „ივერიაში“ №20 დაბეჭდილია ვითომდა ჩემი ნალაპარაკევი... სწორედ მოგახსენოთ ჩემი ნათქვამი მე ძლივს ვიცანი“. ილიამ შესწორებები გაუგზავნა „გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, ჩემი ეს წერილი დაბეჭდოთ და ნება მიბოძოთ გაგიბედოთ და ერთი სარჩელი მოგახსენოთ. დღეს ისეთი დღეა, რომ თითეულს სიტყვას დიდის სიფრთხილით უნდა მოვექცეთ და ვიდრე სხვისა თქმულს ბეჭდვით საჯაროდ გავიმეორებდეთ, ავწონ–დავწონოთ, რა თქმულა და როგორ თქმულა. დღეს ისეთი დროა, რომ თითეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხის მგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისი სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ“.

თითქოს ენა უყივლებს, სულ ცოტა ხანში თავს მოახვევენ ისეთ აზრებს, რაც არასოდეს გაუვლია გონებაში, ისეთ საქციელს, რაც არასოდეს ჩაუდენია, ისეთ გულქვაობას, რაც არასოდეს გამოუ-

ჩენია. სულ ცოტა ხანში იმ ხალხის მტრად გამოაცხადებენ, რომლის ბედ–იღბალზეც ასე ზრუნავს, გაუგონარ ცილს დასწამებენ და ბოლომდე გული რომ გაუხეთქონ, თავის შვილივით ნაფერებ „ივერიას" ილიას პასუხსაც კი არ დააბეჭდვინებენ...

„ივერიიდან" 1904 წელს ალექსანდრე სარაჯიშვილი წავიდა. ნახეს, რომ გაზეთი მართლაც ზარალიანი იყო ფინანსურად და ვეღარ შეინახეს. სარაჯიშვილმა გრ. ყიფშიძეს გადააბარა. ყიფშიძე ფაქტიურ რედაქტორად მიხეილ ჯავახიშვილს (ადამაშვილს) ამუშავებდა. ახლა კი გაზეთი ფილიპე გოგიჩაიშვილის ხელშია. ფილიპე, როგორც ჩანს, შეაშინეს...

●

როდესაც ილია მთავარმართებლიდან დაწყებული, საკუთარი მოურავით დამთავრებული, ყველას იმას უჩიჩინებს, რომ ამღვრეული წყალი დაიწმინდება, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება და გლეხებს არ შეიძლება ახლა მკაცრად მოექცეთო, სწორედ იმ დროს, იმავ გლეხკაცთა სახელით, მის ზურგს უკან დიდი შეთქმულება მზადდება.

6 მარტს, როცა კრებაზე გლეხთა ინტერესებს იცავდა, მოსდის საგურამოდან მოურავის წერილი. კარგს არაფერს იწერებოდა, რაც ილიას პასუხიდან ირკვევა: „მოსე! ეგ ამბავი, რასაც შენ იწერები, დღეს ყველგან არის: გლეხკაცები ყველგან მაგ ამბავში არიან დღეს. მეცოდებიან საწყლები: დღეს-ხვალ მთავრობა თურმე აპირობს ჯარები მიუსიოს გაბრიყვებულ გლეხ-კაცობას და ნაცარტუტა აადინონ. თავად-აზნაურობა ცდილობს ეს ჯარების მოსევა როგორმე ააცდინოს გლეხ-კაცობას და ღმერთმა ქნას მთავრობას ხელი ააღებინოს ჯარების გაგზავნაზე. ისინი – კი, ვინც აღმოჩნდებიან მთავარნი, უსათუოდ სასტიკად დაისჯებიან, როცა იქნება. დღესა თუ ხვალე. შენ მხოლოდ ეცადე, რომ მშვიღობიანად მოელაპარაკო და ცეცხლს წყალის მაგიერ ნავთი არ დაასხა. დღესა თუ ხვალე დაწყნარდებიან, იმიტომ, რომ მაგისთანა ამბავს ბოლო მოეღება. ნებით იქნება, თუ ძალით".

რამდენიმე დღეში ილია ახალ წერილს უგზავნის მოურავს. ამჯერად გლეხები ტყეს შესევიან და უმოწყალოდ ჩეხენ. ილია კვლავ არიგებს, ამხნევებს, ნურავის მუქარის ნუ გეშინია, ვერაფერს შემოგბედავენ, ეგენიც ადამიანები არიანო. სასტიკ უარზეა, თავადსა და გლეხს შორის ჯარმა მოაგვაროს საქმე. მებატონეთა თხოვნით

კახეთისა თუ ქართლის სხვადასხვა სოფლებში ჯარი ჩაუყენებიათ, რათა გლეხებისაგან მებატონეთა ქონება დაიცვან.

კიდევ ერთი ბარათი მოურავისადმი: „მოსე... თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია ჩემმაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებითქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონ ვთხოვ უფროსს, მანდ არ იმოქმედონ – რა და ხალხი ტყუილ უბრალოდ არ გააფუჭონ."

ის იყო ყველა დაჩაგრულის ქომაგი, ყველა გაჭირვებული მეზობლის ხელისგამმართავი. როცა საგურამოში ჩადიოდა, გრიშა აბაშიძის ჩამოტანილ დროშას სახლის თავზე ააფრიალებდა. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ ილია შინ იყო.

მოდიოდნენ, ვინ საჭმელ-სასმელს ითხოვდა, ვინ პატიმარი შვილის ციხიდან გამოშვებას, ვინ ავადმყოფის სამკურნალო ფულს. ყველა მის ლოცვაში იყო, ყველას შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. ამაზე იმდენი მოგონება არსებობს, მთელი ტომი ვერ დაიტევს. ასე იყო ყვარელშიც, გაიგო თუ არა, ეგზეკუცია მოახსნევინა ყვარელიდან, რომელიც რომელიღაც მებატონეს მოუთხოვია. ყვარელსა და საგურამოში მისი მისვლა ხატის დანახვასავით იყო.

მაშ, რატომ უნდა შეშინებოდა თავისივე თანასოფლელებისა? მაგრამ უკვე ხუთი წელია საგურამოში სოციალ-დემოკრატებს თავისი აქტივისტები ჰყავთ შეგზავნილი. სპეციალურად სწორედ იმ მხარეში მამასახლისად მათ დანიშნეს ვინმე ინაშვილი, ყველაფერი, რაც იქ ხდება ილიას წინააღმდეგ, იგეგზება თბილისში.

ეს ვანო ინაშვილი, 900-იან წლებში სწორედ სოციალ-დემოკრატებმა გაიყვანეს მამასახლისად. გაამწარა, გააუბედურა ხალხი. რას აღარ სჩადიოდა ეს ნადიაკვნარი კაცი, გაუპატიურებიდან დაწყებული, მექრთამეობით დამთავრებული. ბეჭედს ისე არ დაპკრავდა, ფული არ გამოერთმია გლეხისათვის. ილიას შესჩივლეს მისი ავკაცობა და მანაც ეს ღვთისპირიდან გადავარდნილი ახალგაზრდა, თავის მეგობარს, მაზრის უფროსს ლევან ჯანდიერს კინწისკვრით გააგდებინა მამასახლისობიდან.

ახლა ამ ინაშვილის დროა. წყალი ამღვრეულია და წითელრაზმელ ტერორისტად გადაქცეული ყოფილი მამასახლისი, რასაც უნდა იმას სჩადის.

ასეა მთელს საქართველოში. მოვუსმინოთ იოსებ იმედაშვილს: „მეფის მთავრობის მამასახლისები რევოლუციონურმა ხალხმა გადააყენა და ყველგან ახლები აირჩია, რომელთაგან უმეტესობა პირველ ხანებში მაინც უმენდლოდ მართავდა სოფელს და რევოლუციონური კომიტეტის განკარგულებას ემორჩილებოდნენ“

წარმოიდგინეთ, თუ მამასახლისები სხვაგანაც „რევოლუციონური კომიტეტის“ განკარგულებებს ემორჩილებოდნენ, რა მიძალება იქნებოდა საგურამოზე. რა პროპაგანდა, რა აგიტაცია ილიას წინააღმდეგ, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ის მოახერხეს, რომ მოსამსახურეები დააშინეს, ფეხი ამოაკვეთინეს ილიას მამულიდან. ხალხი არას ერჩის თავის სახელოვან მეზობელს, მაგრამ წითელრაზმელთა შიშით მის მამულში სამსახურს ვეღარ ბედავენ. ჯერ მხოლოდ ასეა საქმე.

ყველაფერი აქვთ. ფულიც, იარაღიც, პარტიული სტრუქტურებიც, შეიარაღებული რაზმიც. ჰყავთ უამრავი დაქირავებული ტერორისტი. მარტო ერთი ექსპროპრიაციის შედეგად, ამ 1905 წელს ყვირილაში (ზესტაფონში) ხაზინიდან 210 639 მანეთი წაიღეს. ვიმეორებ, მხოლოდ ერთი ძარცვის შედეგად. მთელი ეს მანქანა „მესამე დასისა“ ამოძრავდა ილიას საბოლოო გასანადგურებლად. აგიტატორები – ხალხში, ცილისმწამებლური პასკვილები – პრესაში. განსაკუთრებით გამწარდნენ იმ მოთხოვნის გამო, რაც ილიას თავგამოდების შედეგად 1905 წლის გაზაფხულზე თავადაზნაურობამ იმპერატორს გაუგზავნა. მიულოცეს ვაჟიშვილის შეძენა და შეახსენეს: ქვეყნის დამშვიდება შესაძლებელია თუ საკუთარი კანონებით მართვა გამგეობის უფლება გვექნებაო. ეს იყო ავტონომიის მოთხოვნა. ყველაზე მეტად რაც ამწარებდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, ეს სიტყვა ავტონომიის გაგონება იყო. უცნაური კია, არც ერთი ქვეყნის სოციალ-დემოკრატი არ უფრთხოდა საკუთარი სამშობლოს ავტონომიურ უფლებებს ისე, როგორც ქართველი სოციალ-დემოკრატების ბოლშევიკების ფრთა. არადა, ილიასათვის საქართველოს ავტონომიურად მოწყობის საკითხი,. თუ ადრე, ათწლეულების მანძილზე, იდუმალი განზრახვა იყო, ახლა სამოქმედო პროგრამად ქცეულა. ლასხიშვილი აღფრთოვანებული წერს, ილიამ გვითხრა, თუ იმპერატორს რამე მოთხოვნებს უყენებთ, თავადაზნაურობამ დროა ავტონომიის მოთხოვნა დააყენოსო. ილია ისევ მთელი დიდებულებით წარმოსდგა ჩვენს თვალშიო.

ის კი არა, სათავადაზნაურო გიმნაზიაში შეუვლია. ილიას მოულოდნელ სტუმრობით გაოცებული დირექტორი შიო ჩიტაძე და პედაგოგები კიდევ უფრო გაოცებულან მის სიტყვებზე.

შიოს თურმე პედაგოგების კრება ჰქონდა ერთ საკითხზე: გიმნაზიას მართავდა გარეშე პირთაგან არჩეული კომიტეტი. დირექტორი და პედაგოგები ითხოვდნენ, კომიტეტმა სამეურნეო საკითხებს მიხედოს, სკოლის სასწავლო და შიდა საკითხებში კი ავტონომიას მოვითხოვთო. ილიას გასცინებია, რა დროს პედაგოგების ავტონომიაა, ახლა ჩვენ საქართველოს ავტონომიის საკითხი უნდა დავაყენოთო.

შემთხვევით არ არის, რომ ავტონომიის უარმყოფელი სოციალ-დემოკრატები სწორედ იმ დღეებში არნახული მძულვარებით შეუტევენ ილიას.

მათ უკვე იციან, რომ ილიამ პარტია შექმნა – „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული პარტია.“ დოკუმენტი გაუგზავნეს თვით გრაფ ვიტტეს, იმპერიის ახლადშექმნილი მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს. ილია თავად არ აპირებდა ამ პარტიის თავმჯდომარეობას, როცა შესთავაზეს უარი თქვა და ახალგაზრდა ილია ზურაბიშვილი აარჩევინა, მაგრამ პარტია, რომელიც ილიას მიმრქმელობით გაჩნდებოდა, ილიას დიდი ავტორიტეტის გამო გახდებოდა ყველა არაეროვნული ძალის მესაფლავე, ამიტომ „მესამე დასელებმა“ განიზრახეს პირდაპირი მნიშვნელობით გაეთხარათ მისთვის საფლავი.

ჯერ ხალხის იდეური დამუშავება იყო საჭირო.

13 მარტს ჟურნალი „მოგზაური“ იწყებს ცილისმწამებლურ კამპანიას ილიას წინააღმდეგ. იბეჭდება შალვა შარაშიძის (ფსევდონიმი თაგუნა) წერილი – „იდუმალი ხმა“.

„სირცხვილი შენ, სირცხვილი! – ისტერიული შეძახილით იწყებს ეს თაგუნა, – ვისი დაწერილია მშვენიერი წიგნი, რომელსაც „გლახის ნაამბობი“ ქვია? ვისი მეთქი, გეკითხები. რატომ აწერე ისე ხელოვნურად „ბატონების სიმხეცე და ყმების გაჭირვება, თუ რამდენიმე ხნის შემდეგ შენს ნაწერებს შენვე უარყოფდი? ვინ გალექსა ისე ლამაზათ ყაჩაღი კაკოს ნაამბობი? ვინ მეთქი, გეკითხები? რა იყო მიზეზი კაკოს გაყაჩაღებისა? ნუ თუ ყველა ეს დაგავიწყდა? ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ „კაკოს“, „გაბროს“ და „თამროს“ დავიწყებოდეს ის , რაც შენ განზრახ დაგვიწყებია. სირცხვილი შენ, სირცხვილი !“

ერთი კვირის შემდეგ, ფილიპე მახარაძემ სხვა „თაგუნა“ შემოაგდო ასპარეზზე. როგორ ჩაგრავენ ილია და გივი სტაროსელსკი გლეხებს, ის ამაზედ დაღვრის ნიანგის ცრემლებს.

სულ ცოტა ხანში, ანუ 10 აპრილს, ვიღაც ვ. ნ – ს ინიციალებს ამოფარებული, იმავ „მოგზაურში“ დაბეჭდავს წერილს – **„საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“**. წერილსო, პირობითად ვამბობ, ეს არის უტიფარი კაცის ჭორების გროვა, თუ როგორი აჯამი, გულქვა, სასტიკი და კაცთმოძულეა ილია ჭავჭავაძე. ავტორს მოჰყავს „ცოცხალი მაგალითები“ თუ რა „ჩაუდენია“ გლეხთა გასამწარებლად ილიას.

ამ მზაკვრობის მიზანი ერთადერთია, ან ვიღაცამ დაიჯეროს, რომ ეს ყველაფერი მართალია და რევოლუციის ხანაში სიცოცხლე მოუსწრაფონ პოეტს, ან ამდენი შეურაცხყოფის შემდეგ, თავად გაუსკდეს გული.

აშკარაა ეს ვ.ნ. ყველაფერზე ხელმომწერი არსებაა, მაგრამ ილიასათვის კიდევ უფრო მძიმე იქნებოდა ის, რაც „ივერიამ“ გააკეთა. გადმობეჭდა ყველაზე აღმაშფოთებელი ადგილები „მოგზაურიდან“ და განაცხადა, ნუ თუ ეს ყველაფერი მართალია? „ნუ თუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა ეს დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერ-ჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თვითონ თავადი ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს“. საკითხავია, ციტატები რომ არ გადმოებეჭდა „ივერიის“ რედაქტორს საშინელი ცილისწამებებისა, ისე ვერ დასვამდა კითხვას – ნუთუ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული მასალა მართალიაო?

წლების შემდეგ ფ. გოგიჩაიშვილი დაწერს, თუ როგორ აღაშფოთა იგი „მოგზაურის“ კორესპონდენციამ, მაგრამ იმჟამად მის მინაწერში არათუ თანაგრძნობა, არამედ მხოლოდ სიცივე ჩანს ილიასადმი – „ჯერ-ჯერობით გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ თვითონ თავადი ილია ხმას ამოიღებს“. „უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს“.

ეს ფრაზა უფრო იმ კაცის დაწერილს ჰგავს, რომელსაც გლადიატორის გამოყვანა უნდა არენაზე და გულგრილობას თავი დავანებოთ, ქედმაღლური და უზრდელი დამოკიდებულებაც კია შიგ ჩაქსოვილი.

თანაგრძნობის გამოსახატავად არ წერენ ასე – „ხმას ამოიღებს“ ან „დაგვიმტკიცებს“.

ეს არაფერია იმასთან, რაც შემდეგ მოხდა. „ივერიის" რედაქტორმა ილიას თავის ყოფილ გაზეთში წერილი არ დაუბეჭდა!...

მთლად უარითაც ვერ გამოისტუმრებდა, ამიტომ ხერხს მიმართა.

წერილი ცალკე მასალად ააწყო და დამატების სახით ჩადო გაზეთ „ივერიაში". თან მინაწერიც გაუკეთა, ავტორის ზოგად მოსაზრებას რედაქცია არ იზიარებსო.

რას არ იზიარებდა ზოგადად ეს დალოცვილი? ილიას პასუხში საუბარია იმაზე, რომ ბრალდებას არგუმენტი უნდა ახლდეს, რომ პრესა დაქირავებული ქილერის როლს არ უნდა ასრულებდეს, რომ გლეხს წყაროს წყლის აღებას მისი მამულიდან ვერ დაუშლიდა, რადგან იქ, საიდანაც თითქოს გლეხს წყალი მოჰქონდა, წყარო საერთოდ არ არსებობს.

რომ ავადმყოფი კაცისთვის ყინვიან ზამთარში კოკა თავზე არავის გადაუტეხია და გაციების შემდეგ გლეხი არ მომკვდარა, რომ გარდა იმისა, იქ წყარო არ ყოფილა, იმ ზამთარში არც არავინ გარდაცვლილა მამაკაცთაგანი საგურამოში.

რომ ილია, აივნიდან სახლის უკანა მხარეს რა ხდებოდა, ვერაფრით დაინახავდა, რადგან აივანი მის სახლს წინ, ანუ არაგვის მხარეს აქვს. რომ 40 თუმნიან ქურქში ჩაცმული ვერ იქნებოდა, რადგან არ ჰქონდა ასეთი ქურქი და ა. შ და ა. შ.

საინტერესოა, რას არ იზიარებდა ზოგადად რედაქცია?

კერძო საკუთრების დაცვის მომხრე რატომ ხარო?

ტერორის ეპოქა იყო. ფილიპე გოგიჩაიშვილი შეაშინეს, ან თავად შეშინდა, ეს იყო და ეს.

ეს ის ფილიპეა, პეტრე უმიკაშვილმა, ილიას მეგობარმა რომ უანგაროდ ასწავლა საზღვარგარეთ. ცხადია, თავადაც განიცდიდა მას, როგორც მაშინ ილიას მოექცა, განიცდიდა მთელი ცხოვრება, მაგრამ თავის მართლებაც ვერ გამოუვიდა მაინცდამაინც დამაჯერებელი. ფაქტია, გმირობას ყველა ვერ სჩადის. ილიას დაცვა მაშინ გმირობა იყო. ერთი დეტალი: მღვდლებიც კი გურიაში ისე ჰყავდათ დაშინებულნი, ლოცვებში ღმერთის ადგილას სოციალ-დემოკრატია ჩაანაცვლეს. რა გასაკვირია, თუ საერო პირები დააშინეს.

მინდა მკითხველს შევთავაზო ორი დოკუმენტი, როგორც პირველი, ისე მეორე დოკუმენტი ეხება იმას, თუ რა ვითარებაში დაიბეჭდა ილიას პასუხი „ნუთუ?" გაზეთ „ივერიაში".

ორივე დოკუმენტის ავტორი არის სნორედ ფილიპე გოგიჩაიშვილი, – „ივერიის" იმჟამინდელი რედაქტორი.

პირველ დოკუმენტს სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გამოიყენებენ, მეორეს კი რატომღაც გვერდს უვლიან. თუ ერთი ავტორის, გოგიჩაიშვილის ორ წერილს გვერდიგვერდ წავიკითხავთ, ბევრ რასმე აეხდება ფარდა.

სხვაობას ერთ თემაზე დაწერილ ორ წერილს შორის არავინ მიაქცია ყურადღება, არადა, ერთობ საინტერესოა ამ წერილების შედარება იმ მხრივ, თუ როგორ იქმნებოდა მითი კომუნისტების ეპოქაში ილიას მკვლელთა ორგანიზატორების შესახებ. უფრო სწორად, როგორ ცდილობდნენ ნამდვილი ორგანიზატორებისა და მკვლელების მიჩქმალვასა და ახალი ორგანიზატორის მოძებნას.

რა შუაშია აქ „ნუთუ?" და მისი დაბეჭდვის ისტორია? გავეცნოთ ფილიპე გოგიჩაიშვილის ორ წერილს და პასუხს ამ კითხვაზე შემდეგ გაეცემა პასუხი.

ფილიპეს, რომელიც შესანიშნავი პუბლიცისტი და ილიას მოყვარული იყო, როგორც გითხარით, აწუხებდა ის, რაც 1905–ში, ილიას პასუხის დაბეჭდვის დროს დაემართა. გავიდა წლები და ეს ამბავი შეახსენეს კიდეც. 1913 წელს გრიგოლ დიასამიძემ და ია ეკალაძემ გაიხსენეს ისტორია იმისა, რომ ილია უკმაყოფილო იყო „ივერიის" რედაქტორის საქციელით, რომელმაც ილიას პასუხი დამატების სახით დაბეჭდა, რომელმაც მინაწერი გაუკეთა – რედაქცია ზოგიერთ მოსაზრებას არ იზიარებსო და ა.შ. ნიკო კურდღელაშვილს კი საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ „ივერიის" ერთ-ერთ ცალზე მინაწერიც გაუკეთებია – ილიას პასუხი როგორც განცხადება ისე დაუბეჭდეს და ფული გადაახდევინესო. ასეთი მითქმა-მოთქმა როგორც ჩანს სულ იყო.

ყოველივე ამან გოგიჩაიშვილი შეაწუხა და 1913 წელს დაბეჭდა პასუხი „სახალხო გაზეთში".

აღნიშნული წერილი განმეორებით დაისტამბა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" 1937 წლის 28 მაისს. წერილიდან განმეორებით დაბეჭდვის დროს ამოღებულია შესავალი ნაწილი. გასაგები მიზეზის გამო ამოღებულია ის ადგილი, სადაც ავტორი ფილიპე მახარაძეს და მის ლაშქარს აუგად მოიხსენიებს და დამატებულია ცნობა იმის შესახებ, თუ ვინ იყო კორესპონდენციის ავტორი ვ–ნ.

წერილის არსებითი შინაარსი არ არის შეცვლილი. ამასთან უნდა დავსძინო, 1938 წელს გამოვიდა **პაატა გუგუშვილის წიგნი – „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა".**

ეს წიგნი დაიწერა ერთადერთი მიზნით. ილია ჭავჭავაძის მკვლელად არსებულ „წყاროებზე“ და მოგონებებზე დაყრდნობით ავტორს უნდა გამოეყვანა მეფის მთავრობა, კერძოდ, ჟანდარმერია. უნდა ითქვას, რომ კომუნისტებმა ამ ვერსიაზე მუშაობა დაიწყეს 20-იანი წლებიდანვე. თავიდან შექმნეს კომისია არქივის მმართველის რაჟდენ კალაძის ხელმძღვანელობით. ამ კომისიას მძიმე ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი. მთელმა საქართველომ იცოდა, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორები და შემსრულებლები იყვნენ ბოლშევიკები. მკვლელობის უშუალო მონაწილეთაგან ცოცხალი იყო ბერბიჭაშვილი, რომელიც სასამართლოს მიერ იყო მკვლელად შერაცხილი, ისიც კომუნისტი იყო. იმჟამად მუხრანში საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. რაჟდენ კალაძის კომისიას უნდა ემუშავა შემდეგი სქემით. ილია ნამდვილად მოკლეს წითელრაზმელებმა, მაგრამ ვისი ბრძანება შეასრულეს მათ? წითელრაზმელთა ადგილობრივი მეთაურის, მაგრამ ვისგან მოდიოდა ეს ბრძანება? ცხადია, სოციალისტების კომიტეტს უნდა ებრძანებინა. აქ იწყებოდა ინტრიგა. კომისია მუშაობდა იმაზე, რომ წითელრაზმელთა მეთაურმა მიიღო ყალბი დოკუმენტი ბრძანებულებისა, რომ ეს დოკუმენტი შეთხზა ჟანდარმერიამ, რომ ჟანდარმერიამ ყალბი დოკუმენტით მოატყუა რამდენიმე კაცი და ვითომ ბოლშევიკების ბრძანებით მოაკვლევინა ილია ჭავჭავაძე. რაჟდენ კალაძე ამ გამოძიებას საკუთარი ინიციატივით არ აწარმოებდა, ის ასრულებდა დავალებას, მაგრამ, როგორც ჩანს, მთლად პირნათლად ვერ შეასრულა შეკვეთა. ამ თუ სხვა მიზეზის გამო, იმჟამად სოციალისტებმა თავის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება შეწყვიტეს.

(ამ საკითხზე იხ. „მასალები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ“. პუბლიკაცია გურამ ვანიძისა. „ლიტერატურის მატიანე“, თბ., 1992 წ., გვ. 28).

ეს სქემა მთლად უნიჭოდ მოფიქრებული არ იყო. კომუნისტები მკვლელს დასჯიდნენ, როგორც ჟანდარმერიის დავალების შემსრულებელს და ასეთი მხოლოდ ერთი იყო დარჩენილი – ბერბიჭაშვილი და თავადაც სუფთად გამოვიდოდნენ საუკუნის დანაშაულიდან. სამართლიანობის აღდგენის მიზნით არ დავინდეთ საკუთარი პარტიის წევრი, რომელიც ჟანდარმერიამ გააბრიყვა და დიდი პოეტი მოაკვლევინაო. თუმცა მაშინ ეს არ ქნეს. არც არაფერი აიძულებდათ ილიას მკვლელთა ლაქა ჩამოერეცხათ. ილია მაშინ ჯერ კიდევ ხალხის მტრად ჰყავდათ შერაცხული. ის კი არა,

ილიას მკვლელობისთვის ჩამოხრჩობილთა გვარები რევოლუციის რაინდთა მოსახსენიებელ წიგნში იყო შეტანილი, ცოცხალი ბერ-ბიჭაშვილი კი პატივში გახლდათ. წერა-კითხვის უცოდინარ კაცს ეკავა თანამდებობები, ჰქონდა პერსონალური პენსია, იყო სხვა-დასხვა ფორუმების დელეგატი და რაც მთავარია, ყველგან ტრაბა-ხობდა ამ მარჯვენით მოვკალ ილია ჭავჭავაძეო. კარგი, ეს ბნელი იყო და იქნებ არავინ უჯერებდა, მაგრამ 30-იან წლებში საქართ-ველოს პრეზიდენტი ანუ მაშინდელი პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე თავად დაუკვეთავს და შემდეგ ქება-დიდებას შეასხამს პატარა ბროშურას-„ბრძოლა კლასიკოსებისათვის", რო-მელიც გამოიცა დიმიტრი ბენაშვილის, შალვა შავგულიძის, ფრი-დონ ნაროუშვილის, პლატონ ქიქოძის ავტორობით. წიგნაკი გამო-ვიდა 1931 წელს. წიგნაკს ახლავს ფილიპე მახარაძის წინასიტყვა. საკმარისია თუნდაც ერთი წინადადების ამოწერა: „ვინღა იყო ი. ჭავჭავაძე? ეს ხომ მთელმა ქვეყანამ იცის: რეაქციონერი და კონ-ტრრევოლუციონერი." მაგრამ 30-იან წლებში, როცა საზღვარგა-რეთ მყოფმა სტალინის ბავშვობის მეგობარმა იოსებ ირემაშვილმა სტალინს დაადო ხელი, მერე უკვე დღის წესრიგში დადგა ილიას მკვლელების „აღმოჩენის" საკითხი.

საკუთარ თავს ხომ არ მოიჭრიდნენ? ვიღაცისთვის უნდა მოეჭ-რათ თავი. ეს ვიღაცა იყო მეფის მთავრობა და ჟანდარმერია.

იმათ თავები უკვე დაჭრილი ჰქონდათ და ხმას ვერ ამოიღებდ-ნენ. დანარჩენი ტექნიკის საკითხი იყო.

როგორც ჩანს, პაატა გუგუშვილი იღებს თავზე საშინელ ცოდ-ვას, გააყალბოს ყველაფრი და ხსენებული სქემით დაწეროს წიგნი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ.

. რა კავშირშია ყოველივე ეს 1905 წელს ილიას მიერ დაწერილ „ნუთუ?"-სთან", მისი დაბეჭდვის ისტორიასთან?

სწორედაც რომ კავშირშია.

პ. გუგუშვილის წიგნში 1938 წელს იბეჭდება ფილიპე გოგიჩაიშ-ვილის მოგონება „ნუთუ?"-ს დაბეჭდვის შესახებ.

მაშ ასე, ხელთ გვაქვს სამი წერილი ერთ თემაზე. პირველი, და-ბეჭდილი 1913 წელს, მეორე – 1937 წელს და მესამე 1938 წელს.

გავეცნოთ ჯერ მესამე წერილს რომელიც გუგუშვილის თქმით თითქოსდა ფ. გოგიჩაიშვილის მოგონებას წარმოადგენს.

„1905-1906 წლებში ილიას წინააღმდეგ დაიწყო საშინელი კამ-პანია. „მოგზაურში" დაიბეჭდა ილიას წინააღმდეგ წერილი. ილიამ დასწერა საპასუხო წერილი და გადმომცა „ივერიაში" დასაბეჭ-

დათ. „ივერიის“ თანამშრომლებმა გაიგეს, რომ მიღებულია ილიას პასუხი, რომელიც „ივერიაში“ უნდა დაიბეჭდოს... რედაქციაში იყვნენ ბევრი თანამშრომლები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ თუ ილიას პასუხი დაიბეჭდებოდა გაზეთში, მაშინათვე გაფიცვას მოვაწყობთო.

ერთად-ერთი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო დიმიტრი ჯაში, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა, რომ არ დამებეჭდა ილიას პასუხი. თუ მისი სურვილის წინააღმდეგ წერილი დაიბეჭდებოდა, მაშინ მე მემუქრებოდა ყველა მუშების საერთო გაფიცვით.

ვერ მოვახერხე ილიას პასუხის დაბეჭდვა „ივერიაში“... მივმართე სხვა საშუალებებს, რათა დამებეჭდა ილიას პასუხი. წერილი ავაწყე ცალკე გვერდად და დამატების სახით ჩავდეევი „ივერიაში“ და თანაც შენიშვნა გავუკეთე, რომ ავტორის ზოგად მოსაზრებას რედაქცია არ იზიარებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამით ილია გულმოსული დარჩა.

ეს შენიშვნა იმით იყო გამოწვეული, რომ შემენელებია ყურადღება ილიას მოწინააღმდეგეებისა. ამ შენიშვნას სხვა მნიშვნელობა არ ჰქონებია“ (ფ.გოგიჩაიშვილის მოგონება. წგ-ში: პ.გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. 1938. გვ.29).

ახლა პირველი წერილი ვნახოთ 1913-ში დაწერილი,
იმავ ფ.გოგიჩაიშვილისა.
ილია ჭავჭავაძის „ნუ თუ“?-ს დაბეჭდვის ამბავი
(წერილი რედაქციის მიმართ)

„თემის“ უკანასკნელ ნომერში (№118) დაბეჭდილია ბ-ნ გრ.დიასამიძისა და ია ეკალაძის-ცინცაძის წერილები, სადაც ავტორნი გაზ.„ივერიაში“ ილია ჭავჭავაძის წერილის დაბეჭდვის ამბავს მოუთხრობენ მკითხველ საზოგადოებას.

ბ-ნი გრ.დიასამიძე სწერს: „ფ.გოგიჩაიშვილის „ივერიაში“ დაიბეჭდა **ცალკე დამატებად** (ხაზგასმულია „თემში“) ილიას პასუხი სათაურით „ნუ თუ?“ ამ „უჩვეულო დამატებას... დართული ჰქონდა „ივერიის“ რედაქციის შენიშვნა“, რომლითაც ილია უკმაყოფილო იყო. ამბობდა, იმდენად ბუნდოვნად არის დაწერილი, თითქოს ეჭვს ჰბადებს ჩემ მიერ მოყვანილ ამბებისადმიო. ეს შენიშვნაც პირდაპირ ამტკიცებს, საზოგადოებრივი ატმოსფერო იმდენად წინააღმდეგი იყო ილიასი, რომ „ივერიამაც“ კი ვერ გაჰბედა უშენიშვნოდ მისი პასუხის დასტამბვა.“

ბ-ნი ია ეკალაძე-ცინცაძე, თავის მხრით ამბობს: „ივერიელები“ როცა ილიას საპასუხო წერილი მიიღეს, „საგონებელს მიეცნენ. მაშინ ყველა **„სოციალისტობდა“**, დიდი განხეთქილება იყო ორ მოპირდაპირე დასს შორის და „ივერიელებიც“ ზედმეტ აყალმაყალს ერიდებოდნენ, რადგანაც ილიას წერილი აშენებულია წმინდა **ეროვნულ და კერძო საკუთრების დროებით** (ხაზგასმულია ბ-ნ ია ეკალაძისა) დაცვის საფუძველზე. მაგრამ მოჭირნახულე კაცისთვის რომ არ ეწყენინებინათ, გადასწყვიტეს „ნუ თუ?“ დაებეჭდათ „ივერიის“ ცალკე დამატებად. – იმ დროს მე მდივნად გახლდით განახლებულ „ივერიის“ რედაქციაში, რომელიც გამოდიოდა ფ.გოგიჩაიშვილის რედაქტორობით“.

ამგვარად, გაზ. „თემში“ მოთხრობილია, რომ

ა) „ფ.გოგიჩაიშვილის „ივერიაში“

ბ) ილიას პასუხი ცალკე დამატებად“, „უჩვეულო დამატებად“ იმიტომ დაიბეჭდა, რომ თვით წერილმა, „ეროვნულის საფუძვლისა“ და კერძო საკუთრების დაცვის“ გამო „საგონებელში“ ჩააგდო რედაქცია, რომელიც სულ უარის თქმას ვერ მოახერხებდა, მოჭირნახულე კაცისთვის წყენის მიუყენებლად;

გ) „ივერიამ“ ვერ გაჰბედა უშენიშვნოდ ილიას პასუხის დასტამბვა“ იმიტომ, რომ მაშინ „საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგი იყო ილიასი“.

დ) რედაქციის შენიშვნით ილია უკმაყოფილო იყო, რადგან შენიშვნა „იმდენად ბუნდოვანად არის დაწერილი, – უთქვამს ილიას, – რომ თითქო ეჭვს ჰბადებს ჩემ მიერ მოყვანილ ამბებისადმიო!;

ე) „ივერიის“ რედაქციაში ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ „ცნობის ფურცელში“ ილიას წერილი არ მიეღოთ“ დასაბეჭდად.

გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, ნება დამრთოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ცოტაოდენი შესწორება შევიტანო აქ მოთხრობილ ამბავში.

ა) ახლა და წინადაც ჩვენს პრესაში ხშირად უხსენებიათ მაშინდელი „ივერია“ „ფ.გოგიჩაიშვილის „ივერიად“. გაზეთის ასე დაკავშირება მარტოოდენ ჩემ სახელთან მე უსამართლობად მიმაჩნია, უსამართლობად იმ ხალხის მიმართ – და სხვათა შორის ბ-ნ ია ეკალაძისაც, – რომელიც მაშინ რედაქციაში მუშაობდა და გაზეთის წარმატებისთვის ცდილობდა. მე მზად ვარ ასეთი მოკუთვნება შევიფერო და ვიკისრო მხოლოდ მაშინ, როცა გაზეთის შეცდომებსა ან ყალბ აზრებზეა ლაპარაკი. მაგრამ თუ გაზეთს,

შეცდომებს გარდა, რაიმე ღირსებაც ჰქონდა, ან სრულებით არ ჰქონდა, მაგრამ ვინმეს ეჩვენება, რომ ჰქონდა, – იმ შემთხვევაში უსამართლობა იქნება ამ ნამდვილისა და მოჩვენებული ღირსების მარტო ჩემთვის მოკუთვნება შევიფერო და მადლი ან „მადლი", რომელშიაც ბევრ სხვას უდევს წილი, მარტო მე მივისაკუთრო. თუ რედაქციის გაწევას ვიგულისხმებთ, მაშინაც არ არის სამართლიანი გაზეთის მარტოოდენ „ჩემად" გამოცხადება. მართალია, მე გაზეთის რედაქტორი ვიყავი, მაგრამ ჩემთან მუშაობდა მაშინ ბ-ნი კ.თუმანიშვილი, რომელიც აგრეთვე მთავარ საქმეს ასრულებდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ ორში ერთ-ერთის უნებურად და ორთავეს შეუთანხმებლად გაზეთში რამე წერილი დაბეჭდილიყოს. ვაცხადებ ამას იმიტომ რომ, ჯერ ერთი, სიტყვამ მოიტანა, და მეორეც, – ვერიდები, გაჩუმებამ სხვისი წილის მიმთვისებლად არ გამხადოს.

ბ) ილიას საპასუხო წერილის დაბეჭდვის ამბავი ასეთია. 10 აპრილს 1905წ. „მოგზაურში" დაიბეჭდა ვილაც ვ.ნ.-ის წერილი, რომელშიაც ილია ჭავჭავაძის შესახებ საშინელი, გულის შემზარავი ამბები იყო მოთხრობილი. დღეს, შეიძლება ვინმემ სთქვას: „მოგზაური" რა ყურადღების ღირსი იყოვო, მაგრამ ეს შენიშვნა არც მართალია და არც საგანს შეეხება. „მოგზაური" ძალიან გავრცელებული იყო ქართველ მუშა ხალხში და დიდი გავლენაც ჰქონდა თავის წრის მკითხველებზე, ასე რომ, არ შეიძლება იმის თქმა, ვითომ „მოგზაური" ყურადღების ღირსი არ ყოფილიყოს. თუნდაც რომ სხვაგვარად ვიფიქროთ და „მოგზაური" ყურადღების ღირსად არ მივიჩნიოთ, ამ გაზეთში დაბეჭდილი ბრალდება მაინც ვერ ჩაითვლებოდა ყურადღების უღირსს საგნად, – ვერ ჩაითვლებოდა იმიტომ, თვით ილია ჭავჭავაძე იყო ყურადღების ღირსი. საშინელ ბრალს სდებდნენ არა ვიგინდარა ვინმეს, არამედ საქართველოს უდიდეს ადამიანს, და ამიტომ „მოგზაურის" ბრალდება გაურკვეველი არ უნდა დარჩენილიყო. ასეთი იყო „ივერიის" რედაქციის აზრი.

სამწუხაროდ, არც მე და არც სხვამ ვინმემ რედაქციაში ილიას მამულისა და გლეხებთან მისი დამოკიდებულების შესახებ არა ვიცოდით რა, რომ ბრალდების გარკვევა და პასუხის გაცემა შეგვძლებოდა. თუმცა გონებაც და გულიც შეუძლებლად რაცხდა, რომ „მოგზაურში" მოთხრობილი ამბავი მართალი ყოფილიყო, მაგრამ ასეთი შინაგანი „გულის ხმა" საპასუხოდ, რასაკვირველია, ვერაფერი საბუთი იქნებოდა მოპირდაპირესთან. ამიტომ გვინდოდა და

მოუთმენლად ველოდით, რომ ვინმეს, – გარემოების მცოდნეს, ან თვითონ ილიას – ხმა გაეცა და ბრალდება გაექარწყლებია.

გავიდა რამდენიმე დღე, მაგრამ არც ერთ გაზეთში არავისი პასუხი არ დაბეჭდილა. არც ილიას შემოუთვლია რამე. ეტყობოდა – ილია, რაიმე მოსაზრებით, არ სთვლიდა საჭიროდ პასუხის დაწერას. ჩვენ კი ეს ფრიად საჭიროდ მიგვაჩნდა, რადგან „მოგზაურის" ბრალდების გაბათილებას მასზე უკეთ აბა ვინღა დასწერდა. მაშინ „ივერიის" რედაქციამ გადასწყვიტა, ილიასთვის შეკითხვით მიემართნა და ამით მისი პასუხი გამოეწვია. არ ვიცი, – რადა, მაგრამ ვფიქრობდი კი, რომ ილია „ივერიის" შეკითხვას პატივს დასდებდა და პასუხის დაწერის საბაბად გაიხდიდა. ამიტომ „მოგზაურის" წერილის გამოსვლიდან 5 დღის შემდეგ, „ივერიამ" დაბეჭდა „ბრალდების" ნაწილი და ბოლოში თავის მხრით შემდეგი სიტყვები დაურთო: „ჩვენ არ გვინდა ეს დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერ-ჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თვითონ თ-დი ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს."

მართლაც, „ივერიის" მიმართვას ილიამ ყურადღება მიაქცია და მეორე დღეს (16 აპრილს) გამოგვიგზავნა მოკლე „წერილი რედაქციის მიმართ", რომელიც იმ დღესვე დავბეჭდეთ და გაზეთის პირველსავე (17აპრილის) ნომერში მოვათავსეთ.

ამ წერილში ილია, სხვათა შორის, სწერდა: „მანამ მე ავტორის გამტყუვნებისათვის ვრცელს დასაბუთებულს წერილს მოგართმევდე „ივერია"-ში დასაბეჭდად, გთხოვთ ღონისძიება მომცეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გამოვაცხადო ჩემთა კეთილ-მყოფელთა სანუგეშოდ, რომ ყოველივე მოთხრობილი ჩემს შესახებ „მოგზაურში" თავიდან ბოლომდე მტკნარი ტყუილია და განგებ სხვა და სხვა ელფერით შეღებილი. ამისი უტყუარი და უცილობელი საბუთები ზოგი ხელთა მაქვს, ზოგსაც გამოკითხვა და შემოწმება სჭირია და ამას დრო უნდა. – დასასრულ, ვალად ვრაცხ ჩემს თავს უგულითადესი მადლობა მოგახსენოთ, რომ არ დაგიჯერიათ იგი ამბები, საცა ხსენებული ავტორი „მოგზაურის" შემწეობით ჩემდა შესარცხვენად ჰღაღადებს. იმედი მაქვს თავის დროზე დაგანახოთ, რომ თქვენს გულის თქმას და თქვენს წინად-გრძნობას ამ შემთხვევაშიც თქვენთვის არ უღალატნია და პრესსა ადამიანის სათელავად არ გაგიხდიათ განუკითხველად".

რახან ეს ქება ამოვწერე, სიმართლე მოითხოვს ისიც აღვნიშნო, რომ თვით ვრცელსა და დასაბუთებულს საპასუხო წერილში, რომელსაც ილია აქ ჰპირდება თავის კეთილმყოფელთ და რომელიც

თავის დროზე დაიბეჭდა „ივერიაში", ილია, მადლობასთან ერთად, გაკვრით უკმაყოფილებასაც უცხადებს „ივერიას". „თუმცა ის ამბავი, სწერს იგი, – რომ „ივერიამ" ეს კორესპონდენცია მთლად გადმობეჭდა და ამით ხელი მოუმართა ავტორს გაევრცელებინა საძაგელი მოთხრობა, თავის თავადაც, ასე თუ ისე, იკბინება, მაგრამ, მე მაინც მადლობელი დავურჩი „ივერიის" რედაქციას. რაც გინდა იყოს, ზემო აღნიშნული დოსტალუღი პირდაპირ გვანიშნებს, რომ „ივერია" სიფრთხილით და წინდახედულად მოქცეულა" და სხვ.

ილია შეუდგა პასუხის წერას, რომლის დასრულება დაუგვიანდა იმის გამო, რომ, როგორც თვითონ ამბობს პირველ წერილში, ზოგი რამ ცნობა უნდა გამოეკითხნა და ამას დრო სჭიროდა. ხელნაწერი რომ გამომიგზავნა, მოითხოვა ა) მის ნაწერში რედაქციას არავითარი ცვლილება არ მოეხდინა და ბ) კორექტურის ფურცლები უეჭველად მისთვის გამეგზავნა გასაშინჯად, რასაკვირველია, ორსავე მოთხოვნაზე თანახმა გავუხდი. მის წერილში წავშალე მხოლოდ სამი სიტყვა, – ერთი პატივცემული პირის სახელი და გვარი, ერთიც მოწინააღმდეგის მიმართ მკვახე სიტყვა, რომელიც გაჯავრებულ ილიას კალმიდან მოსხლეტოდა და მის კალამს კი არ შეეფერებოდა, და ორს ადგილას მძიმე ნიშანი ჩავსვი, რომელიც ავტორს გამორჩენოდა. ამ სამი სიტყვის წაშლა ილიამ იწყინა. რა ნახა კორექტურაში, რომ ის სიტყვები ამოშლილი იყო, შემომითვალა: წერილს თქვენთან აღარ ვბეჭდავო.

მაშინვე წავედი ბანკში მასთან ამბის გასაგებად და სათხოვნელად, რომ კორექტურის ფურცელი დაებრუნებინა. გამომიცხადა: ჩემი წერილი, წინააღმდეგ პირობისა, გაგისწორებია და ამიტომ თქვენთან აღარ ვბეჭდავო, – ან სხვაგან დავბეჭდავ, ან ცალკე წიგნად გამოვცემო. როცა ვკითხე, სად არის გასწორებული მეთქი, მიმითითა ამოშლილ სიტყვებზე. მაშინ მე წარვუდგინე ჩემი მოსაზრება და ვუმტკიცებდი, რომ იმ პატივცემული პირის სახელისა და გვარის აღნიშვნა ამ შემთხვევაში ზედმეტი იყო და რომ მოსწრებული, მაგრამ თანაც მკვახე სიტყვა, რომელიც მან გაჯავრებულ გულზე დასწერა, მის სახელსა და ავტორიტეტს არ შეეფერებოდა. კამათმა ნახევარ საათამდე გასტანა. ბოლოს ილია ჩაფიქრდა და რამდენიმე წამს შემდეგ გამომიცხადა თანახმა ვარო და გაშინჯული კორექტურის ფურცელიც („ნუ თუ?"-ს დასაწყისი, პირველი თავი) გადმომცა.

ამგვარად, მისი ნებართვა მივიღე, მაგრამ საჭირო იყო კიდევ შეთანხმება, თუ როგორ უნდა დაგვებეჭდა წერილი. ილიამ მოითხოვა, რომ პასუხი გაზეთში იმ ადგილას დამებეჭდა, სადაც

„მოგზაური“-დან ამოღებული ბრალდება იყო დაბეჭდილი. მე ეს აზრი არ მომწონდა, რადგან ილიას პასუხი ძალიან დიდი იყო, იმ ადგილას რომ გვებეჭდა, ბევრ ნომერში უნდა გადაგვეტანა გაგრძელება და ამით მისი პასუხი ბევრჯელ უნდა გაწყვეტილიყო და შთაბეჭდილება დაეკარგებოდა. მე წინადადება მივეცი, წერილი დიდ ფელეტონებად გაგვეშვა გაზეთში, – მაშინ ოთხ ნომერში დაეტევოდა, – ანდა გაზეთის მეოთხე გვერდზე დაგვეწყო და მთელი წერილი დამატებად მიგვეყოლებინა გაზეთისათვის. ფელეტონებად დაბეჭდვაზე ილიამ გადაჭრილი უარი სთქვა, „პრესის“ ადგილას ბეჭდვა მასაც აღარ მოეწონა, რადგან წერილი ძალიან დაიკუნებოდა, და ამიტომ არჩია ისევ ერთად დაბეჭდილიყო.

მეც ასე მოვიქეცი. მხოლოდ გაზეთის მეოთხე გვერდზე დაწყება ილიას წერილისა და დანარჩენის გადატანა „დამატება“-ში ტექნიკურად არ მოხერხდა. სტამბაში მარტო ერთი მანქანა გვქონდა და საღამოს, ჩვეულებრივ, გაზეთის შედგენის შემდეგ, 8 გვერდის დაბეჭდვა („დამატება“-ც გაზეთის ოდენა იყო) ერთ მანქანაზე ვერ მოესწრებოდა, მუშებთანაც ძნელი იყო შეთანხმება ღამით მომატებული მუშაობის შესახებ, მით უფრო, რომ უნდა დაბეჭდილიყო იმ ილიას წერილი, რომელსაც მათნი „მასწავლებელნი“ ხალხის მყვლეფელსა და მტერს ეძახდნენ. ამიტომ ილიას წერილი მთელს დამატებად წინა დღეს დავბეჭდეთ და ასე მომზადებული მეორე დღის (5 მაისის) გაზეთის ნომერთან შევაერთეთ და გამოვეცით.

ეს გახლავთ, მოკლედ, ილიას „ნუ თუ?“-ს დაბეჭდვის ამბავი. აქედან მკითხველი ხედავს, თუ რა მიზეზით დავბეჭდეთ ეს წერილი „უჩვეულო დამატებად“, ან მინდოდა თუ არა ილიასთვის უარის თქმა წერილის დაბეჭდვაზე. ილია „ივერიამ“ გამოიწვია საპასუხოდ, – თვითონ ილიასაც ხშირად უთქვამს ნაცნობებისთვის (მაგალ., დავ. სარაჯიშვილთან), რომ მე „მოგზაურს“ პასუხს არ გავსცემდი, „ივერიას“ რომ შეკითხვით არ მოემართნაო, – და ამის შემდეგ რედაქციას აბა როგორ უნდა ჰქონოდა სურვილი, საპასუხოდ გამოწვეულ კაცისთვის – და ისიც როგორი კაცისთვის? – უარი ეთქვა. უამისოდ აბა რა აზრი უნდა ჰქონებოდა ჩემს მისვლას გამწყრალ ილიასთან და თხოვნას, რომ გული მოელბო და შემოთვლილი უარი გადაეთქვა. პირ-იქით, „ივერიამ“ იმ აზრით გამოიწვია ილიას პასუხი, რომ იგი კიდეც დაებეჭდა.

ბ-ნი ია ეკალაძის ნათქვამი: „ივერიელნი საგონებელს მიეცნენო“, მართალი და სწორეა, აი, რა მხრით. იმ დროში ფ. მახარაძის

ლაშქარმა მემამულის ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ საშინელი ატ-მოსფერა შეჰქმნა. იმდენ საშინელებას აბრალებდნენ ილიას, რომ ზოგიერთ მის მეგობრებსაც ცოტათი გულში ეჭვი ებადებოდათ და ამბობდნენ: ვაი, თუ მეასედიც მართალია, რასაც სწერენ და ამბობენო. ბევრნიც – ასე ვთქვათ, შეხურებით გარადიკალებული ხალხი – უფრო „ბრალდების" შთაბეჭდილებას ემორჩილებოდნენ. იმ ხანებში არა ერთსა და ორს ინტელიგენტს, – „ჟურნალისტს" თუ არა ჟურნალისტს, უთქვამს ჩემთვის: „რას შვრები, ნუ თუ ილიას პასუხის დაბეჭდვას აპირობ? რას სჩადიო"? მაგრამ ღმერთმა მიბრალა, იმ საერთო გაგიჟების ხანაში მეცა და ჩემს მაშინდელ ამხანაგებს ცოტა ჭკუა-გონება შეგვანარჩუნა და პირველ გადაწყვეტილებაზე ბოლომდე გაგვაჩერა, რომ „მოგზაურის" ბრალდებაზე ილიას პასუხი საჭირო იყო და რომ ეს პასუხი აუცილებლად უნდა დაბეჭდილიყო გაზეთში.

ილიას პასუხის დაბეჭდვის შემდეგ, მეორე თუ მესამე დღეს, ჩემთან რედაქციაში შემოვიდა ვიღაც უცნობი, – როგორც გამოირკვა, ფ.მახარაძის „ჯარის-კაცი", – და მითხრა: ილიას პასუხის „პასუხი" უნდა დამიბეჭდოვო. მე ცივი და მკვახე უარი ვუთხარი, რაზედაც უცნობი შემომწყრა, „презренный буржуа"-ო, მომაძახა და „მოგზაურისკენ" გაეშურა...

გ) „ივერიის" რედაქციამ „ნუ თუ"-ს პატარა შენიშვნა გაუკეთა, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ზოგი ერთ საზოგადო მოსაზრებაში პატივცემულ ავტორს ვერ დავეთანხმებითო". ილიას წერილში მართლა იყო რამდენიმე ადგილი, მაგალითად კლასობრივი უთანხმოების შესახებ, სადაც – გაკვრით – გატარებულია ისეთი საზოგადოებრივი ხასიათის მოსაზრება, რომელშიაც ავტორს რედაქცია ვერ დაეთანხმებოდა. და რედაქციის შენიშვნაც სწორედ ამ ორიოდე საზოგადო ადგილს შეეხებოდა და არა ილიას მიერ ბრალდების „ფაქტების" დარღვევას. შენიშვნაც სწორედ ამით იყო გამოწვეული და არა იმით, რომ ვითომ რედაქციამ წერილის დაბეჭდვა უშენიშვნოდ „ვერ გაჰბედა", რადგან მაშინ საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგი იყო ილიასი."

დ) ბ-ნი გრ.დიასამიძე ამბობს, რომ ილია უკმაყოფილო იყო „ივერიის" შენიშვნით. ეს რასაკვირველია, შესაძლებელია. მხოლოდ მიკვირს, რომ ეს შენიშვნა ილიას ისე მიუღია, „თითქო ეჭვს ბადებს მის მიერ მოყვანილ ამბებისადმი". 1905 წელში მე ხშირად ვხვდებოდი ილია ჭავჭავაძეს. დავ. სარაჯიშვილთანაც, რომლის ხშირი სტუმარი იყო ილია ხშირად დავდიოდი. მუდამ ვხედავდი აგ-

რეთვე მაშინ და შემდეგაც ნიკო ცხვედაძეს, იაკობ გოგებაშვილს, რომელნიც ილიას ხშირად ხვდებოდნენ. არც ილიასაგან, არც ამ პირთაგან არასდროს არ გამიგონია, რომ „ივერიის" შენიშვნა ილიას იმ აზრით გაეგოს, როგორც ბ-ნი გრ.დიასამიძე ამ შემთხვევაში სხვის ნათქვამს ეყრდნობა და არა ილიასგან თავის ყურით გაგონილს.

ე) მე არ ვიცი დანამდვილებით, როგორ და საიდან გავრცელდა ის ხმა, რომ ილიამ „ცნობის ფურცელს" მიჰმართა, მაგრამ იქ წერილის დაბეჭდვაზე უარი უთხრესო. მგონია, რომ ილიამ პირველად „ივერიას" გამოუგზავნა „ნუ თუ?" და არა „ცნობის ფურცელს". გარდა იმისა, რომ იგი საპასუხოდ „ივერიის" შეკითხვამ გამოიწვია და პასუხიც – ასე ვთქვათ – ბუნებრივად ამ გაზეთს ეკუთვნოდა, ილია თავის პირველ წერილში ამბობს: მალე ვრცელს დასაბუთებულს პასუხს გამოგიგზავნით „ივერიაში" დასაბეჭდადო. მას საბაბი არ ჰქონდა „ცნობის ფურცლისთვის" მიემართნა, ვიდრე არ შემომწყრებოდა იმ სამი სიტყვის წაშლის გამო, რაზედაც ზევით მოგახსენეთ. შესაძლებელია, „ცნობის ფურცლისათვის" მას მაშინ მიემართნოს, როცა მე შემომითვალა, – გაჯავრებულმა, – „ივერიაში" აღარ დავბეჭდავო. მართალია, მე მაშინვე გავეშურე მასთან უკმაყოფილების გამოსარკვევად, მაგრამ ორი-სამი საათი მაინც დამაგვიანდა, ვიდრე მას ვნახავდი. და შეიძლება, მან ამ ხნის განმავლობაში იკითხა „ცნობის ფურცელში". მაგრამ ეს არის მარტო ჰიპოტეზა და არა სინამდვილე, მით უფრო, რომ ბ-ნი გიორგი ლასხიშვილი აცხადებს: არ მახსოვს, ილია ჭავჭავაძეს ეს წერილი „ცნობის ფურცელში" დასაბეჭდად მოეტანოსო. ამ სადავო საგნის თაობაზე მე შევეკითხე ბ-ნ კ.თუმანიშვილს, მაგრამ ამასაც არაფერი ახსოვს გარკვევით და დანამდვილებით.

ფ.გოგიჩაიშვილი.

P.S. ვთხოვ ბ-ნ თუმანიშვილს, თუ ამ წერილში თავის მხრით შესასწორებელს არას ჰპოვებს, დაადასტუროს: წერილის ბოლოს თავისი სახელიც დაურთოს.

ფ.გ.

კ.თუმანიშვილი

ჩემი ამოცანა არ არის გავაკეთო ამ წერილის კომენტარები, რამდენად დამაჯერებლად იმართლებს ავტორი თავს და ა.შ. ფაქ-

ტია, ილია ნაწყენი დარჩა და არცთუ უსაფუძვლოდ. (მარტო ის რად ღირს, რომ „ნუთუს?“ „მოგზაურიდან“ თავდასხმები მოჰყვა, „ივერიას“ კი მათთვის აღარ უპასუხებია, მაინცდამაინც ილიას უნდა დაეცვა თავი)?! ჩემი ამოცანა იმ ორი წერილის შედარებაა, რომელნიც ზემოთ შემოგთავზეთ. მიაქციეთ ყურადღება 1913 წელს დაწერილ წერილში არსად ჯაშის ხსენება არ არის. დიმიტრი ჯაშის ხსენება არ არის არც ამ წერილის 1937 წლის განმეორებითი, რედაქტირებული პუბლიკაციის დროს.

პ. გუგუშვილის წიგნში კი ავტორი სულ სხვა ვერსიას გვთავაზობს. როგორ დაემუქრა ჯაში მუშების გაფიცვით, თუკი ილიას პასუხს დაბეჭდავდა.

გოგიჩაიშვილი 1913 წელს არ მოერიდა ბოლშევიკთა ბელადის, ფილიპე მახარაძის ხსენებას და შეეშინდა ბოგანო ჯაშის? ან ია ეკალაძე რატომ არ ახსენებს ამ ჯაშს, ეკალაძეს ხომ 1905-ში „ივერიაში“ უმუშავია? არ იცოდა რომ ის მუშათა გაფიცვით იმუქრებოდა? ან ასოთამწყობს საიდან ჰქონდა ამდენი ძალაუფლება, რედაქტორს რომ ემუქრება?

ვინ არის ამ დროისათვის, 1905 წელს დიმიტრი ჯაში? 20-21 წლის ასოთამწყობი თუ უკვე კორექტორი... საიდან მოხვდა „ივერიის“ რედაქციაში? 15 წლის ასაკში ის თბილისში ჩამოვიდა გურიიდან. ილიას დას, ელისაბედს ჰყავდა მოურავი, მიხეილ ჩიკვაიძე, ილიას სტუდენტობის ამხანაგი. 15 წლის ჯაში ახლობლობს ჩიკვაიძესთან და მისი მეშვეობით ილიას დასთან. ილიამ მას 15 წლის ასაკში დააწყებინა მუშაობა „ივერიაში“ ასოთამწყობად. „მამას გაეპარა 15 წლის დიმიტრი სოფლიდან, შევიდა ილიასთან 1899 წელს რედაქციაში და მისი ლექსი უთხრა: „ტყემ მოისხა ფოთოლი“ და სხვა. იგონებს ჯაშის მეუღლე დარია კოპლატაძე-ჯაში(ეს მოგონებები ხელნაწერში წასაკითხად გადმომცა ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის დირექტორმა, ბ-ნმა ანდრო ბედუკაძემ, რისთვისაც მადლობას ვწირავ).

ჯერ ნურაფერს ვიტყვით, რა როლი ჰქონდა ჯაშს 1907 წელს ილიას მკვლელობაში, მაგრამ მოვლენებს ისე უნდა მივყვეთ, როგორც ხდებოდა. შეუძლებელია 15 წლიდან ილიას ოჯახში შინაურად მიღებულ ბიჭს ილიას წერილის დაბეჭდვა-არ დაბეჭდვაზე ამხელა ამბავი აეტეხა. თუ ასე მოხდა, შეუძლებელია გოგიჩაიშვილს თუ არა, (ის საზღვარგარეთ იყო 1907 წელს წასული) სხვა ვინმეს ილიასთვის ის მაინც არ ეთქვა, ეგ ბიჭი შენი მტერია და მოურავად რატომ მიგყავსო. დაბოლოს, შეუძლებელია თავის ვრცელ წერილ-

ში 1913 წელს, გოგიჩაიშვილს ეს ფაქტი გამორჩენოდა, არადა, რაც „არ ახსოვდა“ 1913 წელს, „გაახსენდა“ 1938-ში. მაგრამ ხომ შეიძ-ლება გოგიჩაიშვილი გუგუშვილის წიგნში დაბეჭდილ მოგონებაში ამბობდეს მართალს და არა 1913 წელს დაბეჭდილ წერილში? შე-უძლებელია, იმიტომ, რომ ზემოხსენებული არგუმენტების გარდა არსებობს მთავარი არგუმენტი: 1908 წელს დიმიტრი ჯაშმა გაზეთ „სავაჭრო გზაში“ გამოაქვეყნა წერილი ილია ჭავჭავაძეზე, სადაც წერს: „ეხლა ორიოდე სიტყვა „მოგზაურის“ იხტიბარ გატეხილ კო-რესპონდენციებზე, რომელიც საგურამოდან იყო გამოგზავნილი (1905 წ.) და რომელზედაც ხელს აწერდა ვიღაც ვაუბატონი ვ.ნ. ამ კორესპონდენციებზე დაემყარა ბ-ნი ფილიპე მახარაძე და იმავე „მოგზაურში“ ჯვაროსნული ომი გამოუცხადა ილია ჭავჭავაძეს, რომელზედაც რაინდმა პუბლიცისტმა გაბედა და საქვეყნოდ და-წერა ილია ჭავჭავაძე მთავრობის ოფიციალური ჯაშუშიაო! მარ-თალი იყო ყველა ეს? სინამდვილეს იწერებოდა ვითომდა საგუ-რამოელი კორესპოდენტი? მართალს ამბობდა ბატონი ფილიპე მახარაძე? სანახევროდ და სამეათედოდ მაინც მართალი იყო კო-რესპონდენციებში მოთხრობილი „ფაქტები“?... არავის არ მოვე-რიდებით და საქვეყნოდ ვიტყვით, რომ „მოგზაურის“ კორესპონ-დენტისაგან აღნიშნული „ფაქტები“-უსირცხვილო ცილისწამება იყო და სხვა არაფერი. და რომ ეს ასეა, ამას ქვევით დაწვრილე-ბით დაინახავს პატივცემული მკითხველი“. ვიმეორებ, ამას ჯაში წერს 1908 წელს. ცოცხალნი არიან მახარაძეც, გოგიჩაიშვილიც, „ივერიის“ თანამშრომლებიც. ცოცხალი ილია არაფრად ჩააგდო, გაფიცვას აწყობდა-მაგის წერილი არ დაბეჭდოთო და ახლა, რო-ცა ილია აღარ არის, ილიას გამო ბრძოლა გამოუცხადა მახარაძეს, ვ.ნ.-ს? თან არავინ გამოეპასუხება, არავინ ეტყვის, შენ არ იყა-ვი, გაფიცვით რომ იმუქრებოდიო? ამ წერილში მახარაძის გარდა ილიას მკვლელებსაც ლანძღავს, მაშინ, როცა სამი მკვლელი ჯერ კიდევ გარეთ არის... სად არის ლოგიკა? ლოგიკა იმაშია, რომ1938 წელს გოგიჩაიშვილი და გუგუშვილი, მასწავლებელი და მისი ყო-ფილი სტუდენტი ასრულებენ კომუნისტების დავალებას და წერენ ტყუილებს (შესაძლოა გოგიჩაიშვილი მსხვერპლია და არც არავინ ჰკითხა, ისე დააფიქსირეს „მისი აზრი“). რისთვის სჭირდებათ უკვე მიცვალებული ჯაშის ილიას მტრად გამოყვანა? ჟანდარმერიაზე ხომ უნდა გავიდნენ. ჯაში კი ერთადერთი მაშველი რგოლია, თუმ-ცა ამ მხრივაც ყველაფერი თეთრი ძაფით კერეს, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

მაშ ასე, დაიდო დოკუმენტი, თურმე ჯაში ილიას სიძულვილით ილიას წერილის არ დაბეჭდვას მოითხოვდა (წინა წელს რომ ილიას დასაცავი წერილი ჰქონდა დაბეჭდილი, ეს არავის ახსენდება). კეთილი და პატიოსანი, მაგრამ დავაფიქსიროთ, რომ ეს დოკუმენტი იდება მხოლოდ 1938 წელს, მანამდე არც ერთ მკვლევარს არ უხსენებია არც ჯაშის მუქარა და არც მისი ასოთამწყობად მუშაობის ამბავი.

●

ილიას პასუხმა „მოგზაურის" ბანაკი ააყაყანა. ზედი-ზედ ბეჭდავენ მორიგ პასკვილებს. ფილიპე მახარაძე დაწერს: „თავად ილია ჭავჭავაძეს ჩვენ აქამდისაც ვიცნობდით, თუ რა „კაცური კაცი" ბრძანდება ის, რას ემსახურება, რა შეადგენს მის სულისკვეთების საგანს, მაგრამ არც ერთ თავის ნაწარმოებში მას არ დაუნახვებია საზოგადოებისათვის თავისი შინაგანი „მე" ისე, როგორც „ივერიის" №68-ში დაბეჭდილ წერილში".

„მოგზაურში" ილიას საპასუხოდ ასევე გამოშტრიკინდება ეს ვიღაც ვ.ნ.

ახლა კი დროა ამ ვ.ნ.-ს ვინაობისა და სასაცილოდ გალახვის შესახებ გიამბოთ.

ინიციალებს ამოფარების გამო ილია „ნუთუში" წერდა: **„ბატონი ავტორი თავის სახელსა და გვარს ჰმალავს და ამოფარებია ორს ასოს: „ვ.ნ." მე არ ვიცი ვინ არის ავტორი და არც მინდა ვიცოდე, რადგანაც „ნაყოფი ხისაგან და ხე ნაყოფისაგან საცნაურ არს. ხოლო სახელისა და გვარის დამალვა იმისთანა საქმეში, საცა კაცი კაცს სამარცხვინო საქციელს, ავკაცობას, ავ-ზნეობას სწამებს, საცა ჩირქსა სცხებს ადამიანის პატიოსნებას, სინდისს, ადამიანურ ღირსებას. ერთი სიტყვით, ყოველსა იმას, რაც ადამიანის უძვირფასესს შეადგენს, ვერაფერი მოქალაქობრივი ვაჟ-კაცობაა და ქურდულად უკანიდან მოპარვით ისრის ტყორცნას გავს".** ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ არც მისი სრული სახელი და გვარი ეტყვის მკითხველს იმაზე მეტს, რასაც მისი ინიციალები გამოხატავენ. ეს კაცი გახლდათ ცალკე პოლიციის აგენტი და ცალკე სოციალისტების აქტივისტი, წერა-კითხვის მცირე-მცოდნე, მედუქნე ვასო ნაცვლიშვილი. ილია რომ მოჰკლეს ამ ნაცვლიშვილთან ჟურნალ „მოგზაურს" ვერავინ ახსენებდა. შეშინებული აფახულებდა თვალებს, არ გაიგონ ჩემი ვინაობა

და არ ჩამქოლონო, მაგრამ კომუნისტების დროში უკვე ამაყად აცხადებდა, მე ვარო ის კაცი...

ბრწყინვალე მოგონება დაგვიტოვა იასე ცინცაძემ. კომუნისტების დროში ნაცვლიშვილი უნახავს. თუმცა თავად ამ საინტერესო ჩანაწერს გავეცნოთ:

„1925 წელს უნივერსიტეტში სავალდებულო საგნების ჩაბარების შემდეგ, საქართველოს ცენტრალურ არქივში მიმიღეს თანამშრომლად. ამ წელს და შემდეგაც (1932 წლამდე) ამ სამეცნიერო დაწესებულებაში ვის არ ნახავდით თანამშრომლად-კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიის ყოფ. დირექტორს, სახაზინო პალატის ყოფ. თავმჯდომარეს, ყოფ. მოსმართლეებს, ყოფ. გენერალს და ოფიცრებს, ჟანდარმერიის ოფიციალურსა და საიდუმლო თანამშრომლებს, საპყრობილეთა უფროსებს, ყოფ. ბოქაულსა და სხვა. ვინ იცის რამდენი საინტერესო საბუთი მოსპეს ცენტრარქივის თანამშრომელთა ამ ძველი სამყაროს წარმომადგენლებმა წლების განმავლობაში უკონტროლოდ „დიასახლისობის" შედეგად. ცენტრარქივის თანამშრომელთა ამ კოლექტივში იყო **ვასილ დავითის ძე ნაცვლიშვილი.** იგი თითქოს არაფრით ყურადღებას არ იქცევდა. მხოლოდ უკმაყოფილო იყო თავისი ბედის, თითქოს თავისი ახალგაზრდობა ბედნიერ მომავლისათვის ბრძოლას შესწირა და ახლა არქივის მტვერში უნდა ამოხდეს სული. იგი დაბალ თანამდებობაზე იყო იქ.

ჩემს შეკითხვაზე-თუ წინად სად მსახურობდა და რა საქმიანობას ეწეოდა, მრავალმეტყველად ამოიოხრებდა-„მუშა ვიყავ და მუშად მოვკვდები, ჩემისთანებისათვის ჯერ არ გათენებულაო..." ერთხელაც, საუბრის დროს ასე მეუბნებოდა: „ჩვენ დროს სხვაგვარად ვემსახურებოდით ქვეყანას, ჩვენ ჩინოვნიკობა სამარცხვინოდ მიგვაჩნდა. ახლა ასეთი წარსულის მქონე ადამიანების დაფასება არ არისო."

განათლება მას დაბალი ჰქონდა. მახსოვს, როცა ცენტრარქივის თანამშრომელთა პირადი საქმეების წესრიგში მოსაყვანად კომისია გამოიყო, ვასილ ნაცვლიშვილის განათლების მოწმობა, ბოდბისხევის ოთხწლიანი სასწავლებლის დამთავრების შესახებ, საეჭვოდ იქნა მიჩნეული, რადგანაც ნაცვლიშვილის სახელი და გვარი გადაფხეკილ სტრიქონზე იყო ჩაწერილი.

ნაცვლიშვილი 1870 წელს დაბადებულა იანვარში, ამჟამად იგი გარდაცვლილია. მეუღლე და შვილები თბილისში ცხოვრობენ. წელს (1956წ.) ნოემბრის ბოლოს დოც. ს. ცქიტიშვილის

თანხლებით ნაცვლიშვილის მეუღლე ვინახულე გარდაცვალების თარიღის დასადგენად, მაგრამ უშედეგოდ, მეუღლემ, არ მახსოვსო გვიპასუხა, ეტყობოდა, ჩვენი მისვლა სასიამოვნოდ არ დაურჩა.

რუსულ ენაზე საუბარი და წერა მას შეეძლო, მაგრამ ჩვეულებრივ იგი ქართულად ლაპარაკობდა, თავს ქიზიყელად გვაცნობდა.

დაახლოებით 1927-28 წლებში ცენტრარქივში კოლეგიის წევრად დაინიშნა ცნობილი ქართველი მოღვაწე რაჟდენ კალაძე. მას, თუ არ ვცდები, მესამე დასის ისტორიის დაწერა ჰქონდა განზრახული და მასალებს აგროვებდა, მაგრამ აღარ დასცალდა.

ერთ დღეს, განსვენებული რაჟდენის კაბინეტის კარებთან ვიდექი და ამხანაგს ვესაუბრებოდი ახლად გადმოტანილ კირიონ ეპისკოპოსის არქივის შესახებ, ამ დროს ვასილ ნაცვლიშვილმა რაჟდენ კალაძის კაბინეტის კარი შეაღო, შესვლის ნებართვა სთხოვა რაჟდენს და კარები მოხურა. არ ვიცი, რაზედ დაიწყეს საუბარი, მხოლოდ სულ მალე შემაღლებული ხმა მოისმა-„დაიკარგე აქედან", „გაეთრიე გარედ!..." ოთახიდან სახეაწითლებული ვასილ ნაცვლიშვილი გამოვარდა და კარის მოხურვა ვერ მოასწრო, ისე დავინახე, რომ კედელს მოხვდა რაჟდენის გამოსროლილი საშრობი პრესი და მძიმედ დაეცა იატაკზე.

მე ნახევრად ღია დარჩენილი კარი შევაღე და შევეკითხე რაჟდენს: „ბატონო, ხომ არაფერი გნებავთ-მეთქი". იგი საშინლად აღელვებული იყო, ხელები უცახცახებდა, ფეხზე იდგა და იმეორებდა „ეს შეჩვენებული". „ეს შეჩვენებული". შემდეგ მე მომმართა: „კაცო, ნახეთ ახლა რომ ჩემთან კაცი იყო, ვინ ყოფილა?" „ეს ბატონო ჩვენი თანამშრომელი ვასო ნაცვლიშვილია" ვუპასუხე მე დამშვიდებით. „და იცი მერე ვინ არის ვასო ნაცვლიშვილი? ეგ მამაძაღლი პროვოკატორია, ილია ჭავჭავაძის დამღუპველი. ახლა შემოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ შენ თურმე სოციალ-დემოკრატ მოღვაწეების ისტორიას ადგენ და მე არ დამტოვოო, მოღვაწეთა სიაში შემიტანე, აი მასალებიცო და ჟურნალ „მოგზურის" ძველი ნომრები მომაწოდა და თანაც დასძინა, რომ ილია ჭავჭავაძეს ქვის სროლა პირველად მე გავუბედეო".

ნაცვლიშვილის გარეგნობა და განათლება სულ სხვა შთაბეჭდილებას ქმნიდა, მისი ჟურნალში თანამშრომლობა ძნელი წარმოსადგენი იყო.

მეორე დღეს, დასვენების საათში ვასილ ნაცვლიშვილთან შევედი და რაჟდენთან კონფლიქტის ამბავი გამოვკითხე, მე იმისთ-

ვის არ მითქვამს, რომ ან განსვენებულ რაჟდენთან საუბარი მქონდა წინდღით.

ნაცვლიშვილი დამშვიდებით მომიყვა, თუ რამ გამოიწვია შესიტყვება რაჟდენ კალაძესთან.

მე არ შემიძლია სიტყვა-სიტყვით მოვიგონო ნაცვლიშვილის საუბარი, მაგრამ დაახლოებით ასე გადმომცა კონფლიქტის საფუძველი: „ნესტორ ცერცვაძემ ამ რამოდენიმე დღის წინათ შემატყობინა, რომ რაჟდენ კალაძე აგროვებდა სოციალ-დემოკრატი მოღვაწეების ბიოგრაფიულ მასალებს და მესამე დასელთა ბოლშევიკური ფრთის სოციალ-დემოკრატების შესახებ წიგნის გამოცემას ფიქრობსო. რადგანაც მე დიდი ნამუშევარი ვარ ბოლშევიკ სოციალ-დემოკრატებთან, ვიფიქრე, რომ მასალებსაც მივაწოდებ და მივიწყებულ ვასო ნაცვლიშვილსაც მოღვაწეთა სიაში თავის ადგილს მივუჩენ-მეთქი. ის იყო შევედი გუშინ და საყვედურით მივმართე მას, რომ ასეთი დიდი საქმის კეთებას ერთი კაცი ფიქრობ-მეთქი. ვურჩიე, რომ გაზეთში გამოეცხადებინა ამ წამოწყების შესახებ. თურმე მე ვერ მიცნო და შემეკითხა: შენ რაში გესაქმება ჩემი განზრახვაო. მე ასეთი შეკითხვა მეწყინა, რადგანაც თუ კი ნოე ჟორდანია და ფილიპე მახარაძე ხელის ჩამორთმევით მიცნობდნენ, რაჟდენ კალაძეს მით უფრო უნდა ვეცნე და მოვაგონე ჩემი წერილები ჟურნალ „მოგზაურში“ დაბეჭდილი მემამულე ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგო. როგორც კი ეს მოისმინა, ყვირილი დაიწყო, საშრობი პრესი მესროლა, მაგრამ ამცდაო“.

ჩემს შეკითხვაზე თუ რა წერილები დაბეჭდა მან ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, მიპასუხა, რომ ახლანდელი ახალგაზრდები ჩამორჩენილი ხართო(მე მაშინ 24-25 წლის ვიქნებოდი), ნუთუ „მოგზაურში“ დაბეჭდილი წერილების შესახებ არაფერი გაგიგონია მაინც, თუ არ წაგიკითხავსო. ილია რომ გაამათრახეს გაზეთში, როგორც გლეხის მჩაგვრელი, „ყინვებიან ზამთარში საგურამოს სასახლის წყროსთან კოკით მისულ გლეხს წყალი არ დაანება და კოკაც თავზე გადაამტვრიაო“.

ნუთუ ამ პროვოკაციული წერილების ავტორი თქვენ ხართ და აქ სამეცნიერო დაწესებულებაში სამსახური მოგცეს-მეთქი. მე ლანძღვა დამიწყო, ოთახიდან გათრევა მიბრძანა, მაგრამ სამაგიეროდ პასუხი არ დავაკელი და საცემრად მოვემზადე. ამ ხმაურზე მეორე ოთახში მყოფი პრფ. გრ. ნათაძე შემოვიდა, ხელი მომკიდა და თავის ოთახში გამიყვანა და ამბავი გამომკითხა. განსვ. გრ. ნათაძესაც ძალიან გაუკვირდა მისი ვინაობის გამოაშკარავება.

განსვ. გრიგოლი მეუბნებოდა, რომ ყოვლად შეუძლებელია ის წერილები ვასო ნაცვლიშვილის დაწერილი იყოსო, ალბათ სხვა ვინმემ თუ გაუკეთა პროვოკაციული მიზნით და ჟურნალის რედაქცია შეცდომაში შეიყვანაო. ამაზედ დასრულდა ჩვენი კონფლიქტი ნაცვლიშვილთან. რაჟდენიც მალე არქივიდან წავიდა. ნაცვლიშვილს ხმას არ ვცემდი. 1931 წელს ცენტრარქივის თანამშრომელთა „წმენდა" ჩატარდა. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ვინმე რუხაძე, ყოფ. მუშა, საკმაოდ გონებამახვილი კაცი. როდესაც ვ. ნაცვლიშვილი გამოიძახეს და ცნობები მოსთხოვეს წარსული მისი საქმიანობის შესახებ, ნაცვლიშვილმა ზედმეტად მიიჩნია თავგადასავლის მოყოლა და თავმჯდომარეს გადასცა გაზეთ „მოგზაურის" ის ნომრები, რომლებშიაც ილიას წინააღმდეგ მისი პროვოკაციული წერილები იყო მოთავსებული და თანაც დასძინა, ეს მასალა უკეთ გაგაცნობთ ჩემს ვინაობასო. თავმჯდომარემ მას გამოკითხა თუ რა წერილებზე მიუთითებდა იგი და აიძულა ილიას შესახებ მოკლედ ელაპარაკა. თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რა უნდოდა მას საგურამოში ყინვებიან ზამთარში და რას აკეთებდა ილიას სახლთან, როცა გლეხი წყაროს წყალს იღებდა, მან განაცხადა რომ იგი ნოე ჟორდანიამ და ფილიპე მახარაძემ გააგზავნა როგორც კორესპონდენტი და ილიას დამოკიდებულებას გლეხებთან თვალყურს ვადევნებდიო. ცენტრარქივის ერთი თანამშრომელი, ქაიხოსრო ქავთარაძე („ცნობის ფურცლის" ყოფილი კორესპოდენტი) შეეკითხა მას: „მაშინ შენ ავჭალის მოედანზე სამიკიტნო გქონდა თუ არაო." ნაცვლიშვილი დაიბნა, მუშად და საზოგადო-მოღვაწედ ასაღებდა თავს და ახლა ვაჭრად გამოჩენა ხელსაყრელი არ იყო. ქაიხოსრო ქავთარაძის მიერ მიცემული შეკითხვებიდან და ნაცვლიშვილის აბნეული პასუხებიდან აშკარა შეიქნა, რომ **ნაცვლიშვილი საგურამოში არამც თუ მაშინ, არამედ შემდეგაც არ ყოფილა.** თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რომელმა დაავალა მას ცნობების მოწოდება, ჟორდანიამ თუ მახარაძემ, განაცხადა, რომ მაშინ ისინი ერთად იყვნენო, შემდეგ გადაემტერნენ ერთმანეთსო. ბოლოს განაცხადა, მახარაძე ცოცხალი ბრძანდება და შეეკითხეთ, მიცნობს თუ არ ის და ვაწვდიდი თუ არა ცნობებს გაზეთისთვისო.

მოულოდნელად კომისიის თავმჯდომარე რუხაძე შეეკითხა მას: „იცნობდი თუ არა შენ პრისტავ ზუბრიცკისო". ნაცვლიშვილი შეკრთა, ხმა წაერთვა ერთი წუთით. „კარგად მოიგონე

პრისტავი ზუბრიცკი, შენ ძალიან მოგწონდა იგი, მას ხომ ახლო იცნობდი?" – განმეორებით ჰკითხა თავმჯდომარემ. „არა, არ მახსოვსო" – უპასუხა. მაშინ თავმჯდომარემ წაიკითხა ვ. ნაცვლიშვილის და სხვა რამდენიმე ვაჭრის მიერ ხელმოწერილი განცხადება თბილისის პოლიციის უფროსის სახელზე, რომელშიაც ითხოვდნენ პრისტავ ზუბრიცკის იმ საპოლიციო უბანში კვლავ დატოვებას, სადაც ნაცვლიშვილი და ძმანი მისნი ვაჭრობდნენ. ზუბრიცკის ისინი ახასიათებდნენ, როგორც ტერორისტების და სოციალისტების საუკეთესო მდევნელს, როგორც წმენდაზე გამოირკვა ნაცვლიშვილის სამიკიტნოში არალეგალურად მომუშავეების ჩავარდნას ჰქონია ადგილი. ნახსენები იყო ირ0დიონ ევდოშვილი და თუ არ ვცდები ვაჟა-ფშაველაც. ნაცვლიშვილი სამსახურიდან მოხსნეს. „გამწმენდ კომისიის" დადგენილებაში აღნიშნულია:

„Нацвлишвили В. Д....Снят по категории, как бывший торговец (духанщик), домовладелец, имеющий связь с полицией".

ვ. ნაცვლიშვილის შესახებ ცნობა მიაწოდა განსვ. ფ. მახარაძეს პროფ. ვუკოლ ბერიძემ. ამ უკანასკნელის გადმოცემით, ფილიპე მახარაძეს ახსოვდა ვ. ნაცვლიშვილი, მასთან იგი პენსიისთვის ყოფილა კიდეც და სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ფ. მახარაძისათვის ნაცვლიშვილის კავშირი პოლიციასთან.

P.S. გაზეთ „მოგზაურში" ვ. ნაცვლიშვილის წერილებს ქვეშ ინიციალები აქვს „ვ.ნ." მომავალში რომ თავსამტვრევ საკითხად არ იქცეს თუ ვინ იმალება ამ ინიციალების უკან და რა ფასი აქვს კორესპონდენციაში მოცემულ ცნობებს, საჭიროდ მივიჩნიე რაც ვიცოდი დამეწერა და მწერალთა მუზეუმისათვი გადმომეცა." ამ მოგონებით შემოგვინახა იასე ცინცაძემ სახე ამ ღვთივმოძულებულ ვ.ნ-სი.

●

„ივერიის" რედაქციას ინსპირირება რომ არ მოეხდინა, თავდაპირველად ილია „მოგზაურის" კორესპონდენციებზე პასუხის გაცემას არ აპირებდა. იცოდა, ერთი ჯაჭვის რგოლი იყო ის მუქარის წერილები, რომლებიც მის მოურავს საგურამოში მისდიოდა და „მოგზაურის" კორესპოდენციები. ამიტომ ყველა გადარეულს „ნუთუ"–ს გამოქვეყნებამდე 1857 წელს დაწერილი ლექსით გასცა პასუხი. სხვა რა უნდა იფიქრო კაცმა, სწორედ იმ დღეებში რისთ-

ვის ითარგმნა რუსულად და დაისტამბა თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ დაწერილი ლექსი?

ამ ზედმისევის საპასუხოდ დაბეჭდა მგოსანმა:

ლოცვა

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ–წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხ–ვჰყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნები სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!"

ამათთან არც ლოცვა ჭრიდა, არც დანამუსება და არც მუქარა. „ჩვენ არაფრისა გვრცხვენია და არაფრისა გვეშინია"-ო, გაიძახოდნენ.

●

ბანკშიც წამოყო ოპოზიციამ თავი. ყოველის მხრიდან მოესიენ. ივნისში სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე ილია კითხულობს საგანგებო-სარევიზიო კომისიის მოხსენებას, მიმართულს მისივე წინააღმდეგ. თავადი მ. ვეზირიშვილი ილიას შესძახებს: „თქვენ ნუ კითხულობთ, სხვამ წაიკითხოს".

აქა-იქ სხვა ხმებიც გაისმა – სხვამ წაიკითხოს!

გრიგოლ ყიფშიძე გვიამბობს. ილია აღშფოთდა. „მაშ არ მენდობით? კარგი, აი, გადმომიცია, სხვამ წაიკითხოს. ხოლო თქვენ მე მომცემთ პასუხს მაგისათვის". თითქოს არ ღირდა საიმისოდ რაც შემდეგ მოხდა, მაგრამ ყველა ბოღმა გაციებული ვულკანივით იმ ერთ ფრაზაში იყო თავმოყრილი – **„თქვენ ნუ კითხულობთ, სხვამ წაიკითხოს"-ო.** სიტყვა შუაზე გააწყვეტინეს. ბრალდებები–ბრალდებებად, მაგრამ ამ უნდობლობამ, ცივი სიტყვის გასრიალებამ ილიაც მოშალა. ეს ერთი ფრაზა ბოლო წვეთი აღმოჩნდა. მეორე დღეს სეკუნდანტები ეწვივნენ სარევიზიო კომისიის წევრს მ. ვეზირიშვილს, მიხეილ გრუზინსკი და დავით ჯორჯაძე. ვეზირიშვილმა მიიღო დუელში გამოწვევა, თავის მხრივ, სეკუნდანტებიც შეარჩია – კობიაშვილი და დიასამიძე. მაგრამ ეტყობა მერე მიხვდა, რა ჯოჯოხეთსაც უმზადებდა საკუთარ თავს. ბო-

დიში მოიხადა. საქმე ამით დამთავრდა, მაგრამ ილია უკან აღარ მიბრუნებულა.

1905 წლის 23 ივნისს ილია ჭავჭავაძე ბანკის თავჯდომარეობიდან გადადგა.

30 წლის სამსახურის შემდეგ ილია წავიდა ისე, რომ ჰქონდა პირადი ვალები. საკუთარი მამული ბანკში დაგირავებული და გამოსახსნელი. ხოლო ბანკი დატოვა იმდენად გაძლიერებული, რომ...

მოვუსმინოთ რევაზ გაბაშვილს: **„ილიას მესაჭეობით, ბანკის გემს ყოველწლიურად მოჰქონდა საქართველოს სალაროში ერთი მილიონი მოგება. ნახევარი ხმარდებოდა ბანკისავე გაძლიერებას, უძრავ და მოძრავი თანხების სახით და მეორე–გამოუკლებლივ იყო ნამდვილი ბიუჯეტი ქართველი საზოგადოებისა. ილიას შემდეგაც ქართულ კასაში ყოველწლიურად შედიოდა ნახევარი მილიონი ოქროს მანეთი...**

1917 წელს ნოემბერში რომ ილია ჭავჭავაძის დისწულმა ნეტარხსენებულმა კოტე აფხაზმა ეროვნულ საბჭოს გადასცა ილიას ბანკის შენაძენი ქონება 26 მილიონი ოქროს მანეთის ღირებულებისა (ე.ი. 8 მილიარდი ფრანკის) და ის დაედვა საფუძვლად ჩვენს დამოუკიდებლობასაც“.

ბედის ირონია თუ გინდათ ეს არის. ბიძასაც სოციალ-დემოკრატები (ბოლშევიკები) მოჰკლავენ და მის დიშვილსაც. კოტე აფხაზი, დიდედის მხრიდან მეფე ერეკლეს შთამომავალი, კომუნისტებმა დახვრიტეს 1923 წელს. ბოლშევიკების შემოსვლისას მან არ დატოვა საქართველო, როდესაც საბედისწერო ღამით აფხაზთან მივიდნენ მისი პარტიული ამხანაგები (კოტე ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი და შემდეგ თავმჯდომარე იყო) ავტომობილით და სთხოვეს მათთან ერთად გასვლა თფილისიდან, მან კატეგორიული უარით უპასუხა. „ტფილისი საქართველოა და ვინც ტფილისს სტოვებს ის სტოვებს საქართველოს“ – იყო მისი პასუხი.

2 წლის შემდეგ ქართული სარდლობა, კონსტანტინოპოლში მყოფი, აუწყებდა ქართულ საზოგადოებას, რომ 20 მაისს 1923წ. თბილისში, რუსეთის საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებით, გაუსამართლებლად, დახვრეტილ იქნენ საქართველოს გათავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლნი: სიაში მესამე ეწერა კონსტანტინე აფხაზი.

დახვრეტის წინ დიდი ბიძის ღირსეული დისწულის უკანასკნელი სიტყვები იყო: **„მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი**

სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა, ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს". (იხ. წიგნში „სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას", სტამბული 1923 წ. განმ. გამოცემა თბ. 2007ნ).

ესეც ბედის ირონია, ილია წავიდა იმ ბანკიდან, რომლის სიმდიდრე დამოუკიდებელი საქართველოს ბიუჯეტად იქცა. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პირი კი გახდა ნოე ჟორდანია. კაცი, რომელიც ილიას ბანკიდან წასვლას წიხლსაც მიაყოლებს. იმ დღეებში, 1905 წლის 3 ივლისს ნარის ფსევდონიმით „მოგზაურში" დაბეჭდავს წერილს „ქართველ მოღვაწეებში", რომელიც ილიას ბანკიდან წასვლას ეხება. ეს წერილი მას შემდეგ აღარსად დაბეჭდილა და თითქმის უცნობია საზოგადოებისათვის. გთავაზობთ **ნოე ჟორდანიას** წერილს სრულად:

„ქართველ – მოღვაწეებში"

ხუთი წლის წინეთ რომ მომხდარიყო ის, რაც ერთი კვირის წინ მოხდა, „მთელი საქართველო" ფეხზე დადგებოდა, შეინძრეოდა და ყურთა სმენა აღარ იქნებოდა, ილია ჭავჭავაძეს რომ ბანკისთვის თავი დაენებებია და სამსახურიდან გასულიყო... ამის წარმოდგენასაც კი ვერ შეიძლებდა ბევრი „მოღვაწე". და თუ წარმოიდგენდა, უეჭველათ ტანში ურუანტელი დაუვლიდა, ენა სასაზე მიეკროდა და ხახა გამშრალი, გამოშტერებული დარჩებოდა. მას წარმოუდგებოდა საშინელი სურათი სამშობლოს დაღუპვისა, ცხოვრების შეჩერებისა და მრავალი სხვა უბედურებისა... დღეს, დღეს კი ამ „დიდ უბედურებას" თითქმის არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, და საზოგადოება ისე შეხვდა, თითქო ამდენხანსაც უნდა მომხდარიყოო. მხოლოდ ნამდვილმა მებანკეებმა გაუგზავნეს დეპუტაცია და თხოვეს დაბრუნება, მაგრამ ბატონი აღარ დაბრუნდა; ჯერჯერობით მაინ უარზეა, ან კი რათ უნდა დაბრუნდეს, როცა პენსიაც და ჯამაგირიც ყავლის შესრულებამდე რჩება, ხოლო დრო და მოცალეობა კი მეტი ექნება, თუნდ საგურამოს მამულის, იმ „დიდი დოვლათის" მოსაწყობათ, რომელიც მისთვის სამოთხეა, ხოლო (დღემდინ) მისი გლეხებისათვის ჯოჯოხეთი, მერე კი როცა კენჭობანას დრო მოვა (თუ ამას დაუცადა და ძველებურათ უკანონოდ არ გამოაცხადა მის მიერ ათვალწუნებული დირექტორის არჩევნები!), კვლავ აცოცდება ბანკის მმართველის კოფოზე. დიახ, მეტათ შეუმჩნევლათ

ჩაიარა ამ დიდმა უბედურებამა, რადგან საქართველოს ბურჯის საუბედუროთ დრონი იცვალენ და რაღაც ახირებული ირონიის წყალობით მისი დაცემა სწორედ იმ დროს მოხდა, როცა მთელი ქალაქი და მთელი კავკასია მოწმე იყო ბურჯის მიერ ათვალწუნებულ „ნულებისა" და „შავი ხალხის" მოძრაობის ძლიერების გამოხატულებისა. ამ დროს ბურჯებზე არავინ ფიქრობდა, ყველას გონების თვალი მიპყრობილი იყო უჩინართა მოზღვავებულ ძლიერებისაკენ; ჭავჭავაძეზე და მის ბანაკზე საფიქრალად აღარავის ცხელოდა...

მაინც, რა მოხდაო, იკითხავს მკითხველი. არაფერი, გამოაშკარავდა ის, რაც დიდი ხანია გამოაშკარავებულიყო, გამოირკვა, რომ ჭავჭავაძის რეჟიმს ბანკი გაკოტრების კარამდინ მიუყვანია და საჭიროა ბანკის საზოგადოება უფრო მეტი სიფხიზლით მოეკიდოს საქმეს, თორემ ნამდვილი გაკოტრებაც მალე მიადგებათ კარზე. ამისთვის უმთავრესათ ხელი შეუწყვია დამფასებელთა კომისიის დაუდევრობას და გამგეობის უმოქმედობას ე.ი. ილია ჭავჭავაძის კამარილას, თვითონ დიდი ბატონი იმით იმართლებდა თავს, რომ მას არც ერთი საქმე, არც ერთი დაფასება, არც ერთი დაგირავება (რომელიც კი ახსენეს) თითქმის თვალითაც არ უნახავს, კრებასაც, რამდენათაც ვატყობდით, საკმაოთ მიაჩნდა ასეთი გამართლება და „საქმეც" მშვიდობიანათ ჩაივლიდა, მაგრამ ბურჯის სამწუხაროთ დირექტორის ადგილის მრავალ მსურველთაგან არჩეულ იქნა თ-დი ა. ზ. ჩოლოყაშვილი, ძველი მაჩაბელისტი, და ცნობილი საბანკო ორატორი! აი ამან გამოინვია ეს დაგვიანებული კრიზისი. ჩვენ არ ვიცით, არის თუ არა რამე პრინციპიალური განსხვავება ახალ არჩეულსა და ჭავჭავაძეს შორის, ვფიქრობთ რომ დიდი განსხვავება არ უნა იყოს, მხოლოდ ერთი კი აშკარაა ნამეტურ ჭავჭავაძისთვის, რა საკვირველია თუ თ. ჩოლოყაშვილს შერჩენია რამე მაჩაბელისტობისა აშკარაა, რომ ეს ახალი დირექტორი აღარ შეიქნებოდა მისი ყურმოჭრილი მონა და ვინც ჭავჭავაძეს იცნობს ადვილად წარმოიდენს, რომ იგი ასეთი კაცის გამგეობაში შესვლას ვერ დაეთანხმებოდა. აი, ეს შეიქნა კრიზისის მიზეზათ, ამას გაექცა თ–დი ჭავჭავაძე და მით ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი გულზვიადობა. შიც ტრანსიტ გლორია მუნდი. ამაზე ბევრათ უფრო დამახასიათებელი იყო ჭავჭავაძის ქცევა ბანკში დაქირავებულ მოსამსახურეთა შესახებ, რომელთაც, „ერთობისა" და ახალი სიოს გავლენით თავის მდგომარეობის გაუმჯობესება მოეთხოვათ ამ რამდენიმე ხნის წინათ, მაგრამ ვერც ისე მტკიცეთ, რომ მიზნის-

თვის მიეღწიათ. მაინც თ. ჭავჭავაძეს თვით მოთხოვნისა წამოყენებაც ისეთ მომაკვდინებელ ცოდვათ ჩაუთვლია, რომ საზოგადო კრებაზე წინადადებას იძლეოდა, ყველა მოსამსახურენი უნდა დავითხოვოთ, რადგან ასეთი თავხედობა გაბედესო. აი, ასეთია ჩვენი ბურჯის გულმოწყალეობა, მცირეთადმი თანაგრძნობა და სიბრალული.

საუკუნოთ იყოს ხსენება მისი.

—

ჭავჭავაძისა და ბანკის მოღვაწეობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ნ. ცხვედაძე და სააზნაურო შკოლა; ერთის გახსენებაზე მეორეც გაახსენებდა კაცს ყოველთვის, ნამეტურ კი დღეს, როცა ამ ორ „საზოგადო“ დაწესებულებათა კრებებიც ერთმანეთში იყვნენ გადახლართული და ერთის გმირის გაკოტრების გამოაშკარავებას მეორისაც თან მოყვა...

მართლაც, რაც ჭავჭავაძე ბანკისთვის იყო, იგივე არის სააზნაურო შკოლისთვის ნ. ცხვედაძე. როგორც გამგეობა ჭავჭავაძეს ყავდა თუ ქონდა გადაყლაპული, ისე შკოლის კომიტეტი ბ. ცხვედაძეს. და ეს ერთისგან მთელი კრებულის გადაყლაპვა იმდენათ ნორმალურ მოვლენათ ითვლება ჩვენ წარჩინებულ საზოგადოებაში, რომ „ორატორები“ ნ. ცხვედაძეს კომიტეტს უწოდებენ. დიდი ხანია ვიცით რომ სათავადაზნაურო სასწავლებელი ვერ არის სასურველ პირობებში, მაგრამ დღემდინ ამის თქმა ქვეყნის ღალატათ ითვლებოდა, ახლა კი თვით პედაგოგიურმა საბჭომ გამოაქვეყნა, რომ შკოლა მეტათ უნუგეშო მდგომარეობაშია – იგი არც ეროვნულია, არც სახელმწიფო, ვერც გიმნაზიისთვის ამზადებს ბავშვებს და ვერც რაიმე ცოდნას აძლევს მათ, და ასე უგზო–უკვლოთ და უმიზნოთ, უხარჯნიათ დღემდინ წელიწადში 80 და მეტი ათასიც... მაგრამ დავუბრუნდეთ ჯერ კომიტეტს. ამ ახირებულ კოლეგიას ქვია საზოგადოების სამეურნეო გამგე კომიტეტი, მაგრამ მას მეურნეობის (ოჯახობის) გარდა ყველაფერი უკეთებია; ხოლო თავისს პირდაპირი დანიშნულებისათვის გვერდი აუვლია და მით საზოგადოების საქმე ძლიერ დაუზიანებია. ამ მხრით ყველაზე საინტერესო სკრის მამულია, რომელიც კომიტეტის წყალობით 1800 მან. შემოსავალს იძლევა, გასავალი კი 7000 მდე აქვს, ე.ი. წმინდა წაგება წელიწადში უდრის 5000 მანეთზე მეტს. სულ მამულის შეძენიდან დღემდინ საზოგადოებას დაუკარგავს ამ მამულზე 28000 მანეთზე მეტი. და ყოველივე ეს იმ იმედით რომ „ვისიმე მადლიანი ხელი საშუალებას მოგვცემს სამეურნეო შკო-

ლა გავხსნათო". არ არის სწორათ ნაწარმოები ანგარიშები არც შკოლის შიგნით და საჭირო შეიქმნა განსაკუთრებული კომისიის არჩევა, რომელმაც უნდა განიხილოს ძველი გამგის (ბ-ნ. თაყაიშვილი) მოღვაწეობა. წვრილმანების გამოდგომა არ ღირს. რადგან როგორც ზევითაც ვთქვით კომიტეტი მარტო ცხვედაძეა, პასუხისმგებელი ფაქტიურათ ის არის, რასაკვირველია. თვითონაც გრძნობდა ამას ბ. ცხვედაძე და ცდილობდა თავის მართლებას, მაგრამ რადგან ის ჭკუით და მოხერხებით ბევრით ჩამოუვარდება თავის მაგალითს და ბატონს თ–დ ჭავჭავაძეს მისი თავის მართლებაც, ხშირად თავის თავის გაროზგვას უფრო გავდა, ვიდრე თავის მართლებას. ასეთი იყო ინციდენტი მასწავლებელ კორხანიდის შესახებაც. ზოგიერთი წევრი საზოდაგოებისა ამტკიცებდა, რომ კორხანიდის შკოლაში დატოვება შეუძლებელია, რადგან პირველ ყოვლისა იგი ვოსტარგოვის აგენტი იყოვო; და მეორეც, თვით რუსული ენის სწავლებაში შეაქვს იმავე ვოსტორგოვის და სხვა ძალათ–მაცხონე გამრუსებელთა მიერ მოწონებული მუნჯური მეთოდიო. მართლაც ეს ორი მოსაზრებაც სრულიად საკმარისია, რომ ასეთი ადამიანი თავისუფლად დამოუკიდებელ შკოლიდან გაიდევნოს. მაგრამ დღემდინ ასე არ მოქცეულან არც პედაგოგები და არც შკოლის ბატონ-პატრონი კომიტეტი ე.ი. ცხვედაძე. დღეს კი ამ კომიტეტმა – ცხვედაძემ განაცხადა, ყოველ ღონეს ვხმარობდი, როგორმე, თავიდან მომეშორებიაო. განა, შეიძლება ამის დაჯერება? ბ. ცხვედაძეს ყოველთვის შესწევდა ღონე მოეშორებია თავიდან ათვალწუნებული მასწავლებელი და გამგეც; მაგ. მან დაატოვბინა შკოლა ალ. ჭიჭინაძეს, განდევნა მასწავლებელები არსენ მამულაიშვილი, ივ. გომელაური, პეტრე სურგულაძე და ალბათ სხვებიც, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ. მაშ რაღა ამ კორხანიდის ვერ მოუხერხებია ეს?! ამიტომაო, ამბობს ბ. ცხვედაძე, რომ მასწავლებლები უჭერდნენ მხარსო. კიდევ უარესი მისთვის და მისი მასწავლებლებისთვის– ეს მასწავლებელთა კრებულიც ხომ მისი არჩევნით არის შემდგარი, ხოლო მასწავლებლები ხომ დიდ პატრიოტებათ სახავენ თავს!...

მგონია ნათქვამიც კმარა ბ.ცხვედაძის მოღვაწეობის გაკოტრების დასამტკიცებლად, თუ ვისმე ეჭვი ჰქონდა ამაში, მაგრამ სანამ ამ გაკოტრების სურათი სავსებით დადგებოდა საზოგადოების წინაშე, მეორე უფრო სამწუხარო და საზარელმა სურათმა იჩინა თავი – საზოგადო კრებაზე – ეს იყო პედაგოგების ზნე-ჩვეულებათა გამოფენა საზოგადოების წინაშე, აი საქმე როგორი

იყო: საზოგადოების ერთმა წევრმა მოითხოვა ოქმის შესწორება, სწორედ იმ ადგილას სადაც მისი სიტყვები იყო მოყვანილი კორხანიდის შესახებ.ამბობენ, თავისი სიტყვისათვის პასუხისმგებლობისა შეეშინდაო, თორე ოქმში სწორეთ არის შეტანილიო. ამ „უსამართლობამ" გააბრაზა მასწავლებელნი, მათ ვერ მოითმინეს ჭეშმარიტების შელახვა და დააპირეს დაერწმუნებიათ ორატორი, რომ ასეთი ქცევა ურიგოა და მიმართეს იმ საშვალებას, რომელსაც შკოლაშიაც ხშირად ხმარობენ თურმე და ერთი პედაგოგთაგანი (ბ. გოგიტიძე) მიიწია მოლაპარაკისაკენ ფიზიკური ზედმოქმედების მოსახდენად, ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ მუშტი–კრივით. დამსწრე საზოგადოებამ გააშველა პედაგოგები და ამაზეც შეწყდა კრება... აი ასეთია „ქართველ მოღვაწეთა" მოღვაწეობა, ესენი არიან ნამდვილი ქართველები, პატრიოტები, ნაციონალისტები, ფედერალისტები და ავტონომისტები! ამათ უნდათ განაგონ ერის საქმეები და შეინარჩუნონ ის ოპეკუნობა, რომელიც, უდროობამ თუ სავსებით არ აკუთვნათ, დროებით მაინც დაასაკუთრებიათ. ასეთი პირები იყვნენ ძველი წყობილების დროს ქართული საქმეების სათავეში, რაც უფრო თვალსაჩინო გახადა ახალი დროის შუქმა, რომლის სინათლე ზოგისთვის მაცოცხლებელი და ძალის მომმატებელია, ზოგისა კი დამღუპველი. პირველთ ეს მაგალითები ერთხელ კიდევ მოაგონებს, რომ ეკალზე მხოლოდ ეკალი ამოდის, რომ დროს გადასულ წოდების ინტერესების მსახურნი თვით უფრო ჩამორჩენილი არიან ცხოვრებას და მათი ზნეობრივი და გონებრივი გაკოტრება აუცილებელია. ამის ილიუსტრაცია იყო ეს კრებები. ასეთი ალიაქოთია დღეს კეთილშობილთა ოჯახში, ბანკში, შკოლაში და იმედი უნდა ვიქონიოთ, მაცოცხლებელი მზის შუქი კიდევ ბევრ ქვეწარმავალს გამოაჩენს მთელი მათი სიგრძე-სიგანით...

ნარი.

ეს უკვე განაჩენის გამოტანა იყო. ტროას ცხენიდან გარეთ გამოსული ავაზაკები ბარით ხელში მამათა თაობის საფლავების გასათხრელად დარბიან. როგორც ლექსის–„ლოცვის" დაბეჭდვა არ იყო შემთხვევითი, რომლის სასმენელად ყური ყველას დახშული აღმოაჩნდა, ისე შემთხვევითი არ იყო ამ წერილის გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ ილიას წასვლა ნოტარიუსთან. 5 ივლისს თავის დიდ მეგობარს, ილია წინამძღვრიშვილს ნოტარიალურად დაამოწმებინა ანდერძი. ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს მიერ შეძე-

ნილი მთელი უძრავი და მოძრავი ქონება დარჩეს მეუღლეს ოლღა გურამიშვილს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ გადაეცეს წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასო.

ოლღას ამ ანდერძით არ უსარგებლია. ილიას მოკვლის შემდეგ აღარც საგურამოსკენ გახედვა უნდოდა და ვეღარც ანდრიას ქუჩაზე ჩერდებოდა სახლში. როგორც კი ფიზიკურად მომჯობინდა, მთაწმინდაზე, ილიას საფლავთან ახლოს წერა-კითხვის საზოგადოებას აქირავებინა ბინა და იქ გადასახლდა. მთელი უძრავ-მოძრავი ქონება კი, ილიას ანდერძისამებრ, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა. ილიას მკვლელობის შემდეგ კიდევ ოცი წელი არ მოიკითხა არსთა გამრიგემ, მაგრამ ის ოცი წელი საამქვეყნოდ აღარ იყო. ავიდოდა და თითქმის ყოველდღე ილიას საფლავზე წვებოდა.

...

ბანკიდან წასული ილია სახლში არ დამჯდარა და ბატალიებისაგან დაღლილს პენსიონერის მშვიდი ცხოვრება არ დაუწყია. ან ვინ მოასვენებს. ამდენი ტალახის სროლის მიუხედავად, მასზე დიდი ავტორიტეტი საქართველოში არ დააბიჯებს.

1905 წლის 5 მაისიდან საქართველოს ახალი მთავარმართებელი ჰყავს, არა, -მეფისნაცვალი. არეულობის გამო მთავარმართებლობის ინსტიტუტი, რომელიც ჯერ მიხეილ ვორონცოვამდე არსებობდა და შემდეგ დონდუკოვ-კორსაკოვიდან მოყოლებული, გააუქმეს. დაინიშნა მეფისნაცვალი ვორონცოვ–დაშკოვი გაზრდილი უფლებებით.

პირველ ვორონცოვსაც მეფის ნაცვლობა მოუწია და მეორესაც. უკვე ვთქვი, რომ გოლიცინს, როგორც გადარეულს, ილია ახლოსაც არ ეკარებოდა– მეთქი. ეს ვორონცოვ–დაშკოვი უფრო კომუნიკაბელური კაცი აღმოჩნდა. დროც შეცვლილია, მიტინგების, გამოსვლების, კრებებისა და თათბირების დროა.

ლეგალურია ერობის, ავტონომიის, ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები. უკვე ის დროა მეფისნაცვალთანაც რომ ხდება მათი განხილვა. წინამძღოლად ილია ჰყავთ, შეუძღვება ინტელიგენციას და შედიან ვორონცოვთან. ვორონცოვი მისი თაობის კაცი იყო, ისიც 1837 წელს დაბადებულია, პიროვნულად დიდად პატივისმცემელი შეიქმნა ილიასი. ისე გაშინაურდნენ, რომ ხანდახან ბანქოსაც თამაშობდნენ ერთად. უილიაოდ ქართველ თავადაზნაურობას არსად შესვლა არ უნდა, ყველა საკითხზე, ყველასთან მისვლისას მას სთხოვენ, გაგვიძეხი, გვიწინამძღვრეო. ნახეთ ერთი, ნიკო ცხვედა-

ძეს როგორი ბარათი მისწერა, ეტყობა საგურამოდან ჩამოიყვანეს და აქ რაღაცას თავი ვერ მოაბეს.

„ძმაო ნიკო!

ერთი დაწვრილებით შემატყობინე, – რისთვის ჩამომათრიეთ? ვინ არიან დეპუტაციაში და როდის არის წარდგენა დეპუტაციისა?

შენი ილია ჭავჭავაძე."

●

18 სექტემბერს ერთი უცნაური ინფორმაცია ქვეყნდება ჟურნალ „მოგზაურში" „როგორც პეტერბურგის გაზეთები დეპეშით გვატყობინებენ, ვიღაც შეიარაღებული კაცები საგურამოში თავს დასხმიან თავად ილია ჭავჭვაძეს.თავდამსხმელთ წაუღიათ იარაღი".

არანაირი გაგრძელება ამ ინფორმაციას არ მოჰყოლია. არც სხვა გაზეთებში დაბეჭდილა ასეთი რამ, ილიას ყველა თანამედროვე ამის შესახებ დუმს. ილიაზე შეიარაღებული თავდასხმა თუ მოხდებოდა და ამას მხოლოდ „მოგზაურის" რედაქცია გაიგებდა, ორი ვერსია რჩება, ან მათი წითელრაზმელები დაესხნენ თავს ჭავჭავაძეს, რადგან თუ ასეთი ფაქტი მართლაც მოხდა და ილიას მისი გახმაურება უნდოდა, მტრებზე ადრე მოყვრებს შეატყობინებდა. ერთი სიტყვით, ან თავად მოუწყვეს თავდასხმა და ამიტომ იციან ეს ფაქტი, ან მოგონილი ინფორმაცია დაბეჭდეს, რათა საზოგადოებრივი აზრი ნელ–ნელა შეაგუონ, რომ ილიას წინააღმდეგ მხოლოდ კალმის გამოყენება კი არა, იარაღის გამოყენებაც შეიძლება...

●

11 ოქტომბერს ილია კავკასიის მეფისნაცვალთან თათბირს ესწრება საქართველოს ავტოკეფალიის საკითხზე. სხვათა შორის, საინტერესოა მისი პოზიცია ერთ ფრიად მნიშვნელოვან დეტალთან დაკავშირებით. ოქტომბრის მეორე ნახევარში ის სამღვდელოების კრებას დაესწრო ნიკოლოზის ეკლესიის სასწავლებლის შენობაში. სამღვდელოების წარმომადგენელთა თანდასწრებით აი, რა ისაუბრა მან (იხილეთ გურამ შარაძის წიგნში „საქართველოს მზე და

სიყვარული ალბიონის კუნძულზე.“ ვლ. ახმეტელის მოგონება გვ. 152–154).

კრებაზე მრავალი სამღვდელოება და ერისკაცნი გამოცხადდნენ. დაესწრნენ აგრეთვე სოციალ დემოკრატებიც... საფუძვლიანი საეკლესიო მოხსენება გააკეთა დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ. შეურყეველი საბუთებით ამტკიცებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის სამართლიანობას. სამღვდელოებიდან ბევრმა ილაპარაკა. ერისკაცებიდან ილაპარაკა ბ. სამსონ ფირცხალავამ. უკანასკნელი თავისებური გულწრფელობით ამტკიცებდა ავტოკეფალიის აუცილებლობას და მოითხოვა, რომ სამღვდელოებას დაუყოვნებლივ გამოეცხადებინა იგი. შუა ლაპარაკში რომ იყო ბ. სამსონ ფირცხალავა, სწორედ ამ დროს კრების დარბაზის კარი გაიღო და ფეხი შემოსდგა ილიამ. იქვე თვისუფალ სკამზე დაბრძანდა. თავმჯდომარემ კრება დროებით შესწყვიტა და ორატორიც შეჩერდა. ილიამ სთხოვა კრება განეგრძოთ და ორატორმაც განაგრძო თავისი სიტყვა. მოლაპარაკეთა სია ამოიწურა. შემდეგ კრებამ ერთხმად მიმართა დიდ ილიას და სთხოვა თავისი აზრი გამოეთქვა. ილიამ ნელის ხმით განაცხადა... – ექიმიდან აკრძალული მაქვს ლაპარაკი გულის ტკივილის გამო, ამიტომ ვერ დავილაპარაკებო. მართლაც, გარეგნულად აშკარად ეტყობოდა, რომ დიდი ადამიანის ჯამრთელობა საგრძნობლად იყო შერყეული. მაინც დამსწრეთა დაჟინებით მუდარას ანგარიში გაუწია და რამდენიმე სახემძღვანელო აზრი წარმოსთქვა. მჯდომელამ ილაპარაკა, მოკლედ სთქვა: – გულდასმით მოგისმინეთ ყველას, ყველას ლაპარაკი მომეწონა და ჭკუაში დამიჯდა. მხოლოდ ერთი რამ ჭკუაში არ დამიჯდა. თქვენ მოითხოვთ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას– სამართლიანად მოითხოვთ აგრეთვე, რომ საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდეს თავისი ისტორიული ადგილ-მამული, რომელიც წყროდ გადაიქცევა სამღვდელოების შესანახადო. ამ გზით გსურთ ეკლესიის მრევლი გაანთავისუფლოდ სამღვდელოების შესახებ ხარჯებიდანო. მე კი გეტყოდით: თქვენი სამართლიანი მოთხოვნა მტკიცე იქნება, უკეთუ მას ხალხი ზურგს გაუმაგრებს. თქვენ მოითხოვთ საეკლესიო ადგილების აღდგენას – გარედ კი ხალხი მოითხოვს საეკლესიო და სათავადო მამულების ჩამორთმევას. ამას თავი დაანებეთ. ჩვენი ხალხი მორწმუნეა, სარწმუნოების მათაყვანები და მორწმუნე და ღვთის მოსავი ხალხი მუდამ შეინახავს თავის სულიერ მამასო.

კრების შემდეგ, თითქმის ყველა დამსწრემ, მათ შორის ბევრი სოციალ დემოკრატიც იყო, დიდი ილია სახლის კარებამდე მიაცილა.

●

შემოდგომაზე, ალიხანოვ-ავარსკის ჯარი კვლავ დაიძრა გურიისაკენ. ვორონცოვ–დაშკოვს ჯარი შეაჩერებინა ილია ჭავჭავაძემ. მერე ვინ არ იბრალებდა ამას. კომუნისტების დროში განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები უსვამდნენ ხაზს თავიანთ დამსახურებას. ვინღა ჰყავდათ პასუხის გამცემი...

ერთ-ერთი მათგანი თავის მემუარებში ასეთ ამბებს მოჰყვება, როგორ შევიდა ვორონცოვ-დაშკოვთან, როგორც შეაშინა იგი და სხვა, გაგელიმება კაცს, როცა იცი, რომ იმ 1905-ში უკვე იყო ხმები და ხალისობდნენ – სასახლეში რომ შევიდა ეს გლეხი წითელრაზმელი, მსახურმა მოახსენა, მეფისნაცვალს სძინავს და ვერ გავაღვიძებთო. ეს კი ისეთ რამეებს წერს მემუარებში, მიუნჰაუზენის ზღაპრები მოგონილია. გვარს არ ვასახელებ იმის გამო, რომ წითელრაზმელობის მიუხედავად, ილია უყვარდა. ილიას დამსახურებაზე წერს მრავალთა შორის ორი სანდო წყარო: ილია ზურაბიშვილი და მიხეილ ჯავახიშვილი. პირველი მოგონების სახით, მეორე კი რომანში „ქალის ტვირთი“.

ილია ზურაბიშვილი:

ილიას საჯარო გამოსვლებიდან, ბანკის კრებების გარდა, მაგონდება ერთი შემთხვევა. ეს იყო 1905 წლის დამლევს, ნასაკირალის ამბების გამო. დასავლეთ საქართველოში დამსჯელი რაზმი იგზავნებოდა ალიხანოვ-ავარსკის უფროსობით. უეჭველი იყო ხალხის რბევა და ჟლეტა-ხოცვა, რაც მოხდა კიდეც. ქართველი საზოგადოების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ სათათბიროდ, რომ ამ საქმისათვის ეშველნათ როგორმე. ამ თათბირს ილიაც დაესწრო და შესანიშნავი ენერგიული სიტყვა წარმოსთქვა. ამ გრძნობით და აზრით სავსე სიტყვის აღდგენას ვერ ვახერხებ, მეხსიერება მღალატობს. მაგრამ მახსენდება სიტყვის დასასრული. ილია წინადადებას იძლეოდა, მეფის ნაცვალს დელეგაცია მივუგზავნოთ და მოვითხოვოთ, დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გადათქვასო, თანაც უნდა განვუცხადოთ, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ყველანი იქ წავალთ და ჩვენ ძმებთან ერთად „костьями ляжем“ (სიტყვა ილიამ რუსულად წარმოსთქვა).

როდესაც ვიღაცამ შენიშნა, ხომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არავინ ჩვენთაგანი არ წავა და „костьями не ляжет"-ო, ილიამ უპასუხა, „მაშინ სირცხვილი ჩვენ" და, რამდენადაც მაგონდება, დაუმატა ერთ-ერთი შემდეგი ფრაზა: „ამ სირცხვილს ხალხი არ გვაპატიებს", „ხალხი თვითონ წავაო".

მიხეილ ჯავახიშვილი: „ფეხზე მდგომი ხალხი შუა გაიპო და დარბაზში ილია ჭავჭავაძე გამოჩნდა. მთელი დარბაზი შეირხა და ყველანი ახალმოსულს მიაჩერდნენ. თითქმის დაბალი, მაგრამ სრული, თითქმის სამოცდაათი წლის მოხუცი შუაგარღვეულ ხალხში დინჯად მოდიოდა და თან მოჰქონდა თავისი სანაქებო დარბაისლობა, უამთა ცვალებადობაში უკვე მინელებული დიდება, ნახევარი საუკუნის მესვეურობა ერისა და უთვალავი სულიერი ჭრილობანი, რომელიც მას ამ ულეველ გზაზე ორივე მხრიდან– მარჯვენა და მარცხენა მხრიდანაც მიაყენეს. კარგა ხანია რაც ეს კბილებგაცვეთილი ბებერი ლომი თითქო სამუდამოდ შეიხიზნა ბუნაგში. აღარც მისი ბუხუნი ისმოდა, აღარც მისი კლანჭი ჩანდა. მხოლოდ ერთხელ კიდევ დაიბუხუნა მან ამას წინათ. გურიის ასაკლებად მძვინვარე გენერალ ალიხანოვს ჰგზავნიდნენ. ჯარი უკვე სადგურზე იყო გასული. მაშინ განაცხადა ილიამ ამავე დარბაზში: ალიხანოვის გაგზავნაზე ხელი უნდა ავაღებინოთო, თუ არა და – ყველამ თავი უნდა დავდოთო. ვარანცოვ–დაშკოვს ეთქვა, თუ ჭავჭავაძეც კი აჯანყებას გვემუქრება, ჩანს მართლა საერთო აჯანყება მოგველისო, და დასარბევად გასული ჯარი უკანვე დააბრუნა.

მერმე მებრძოლ გურულების დამხმარე კომიტეტი დაარსდა. ილიამ მას ასი მანეთი შესწირა. რამდენიმე დღის შემდეგ ეს ფული უკანვე დაუბრუნეს და შემოუთვალეს: ხალხის მტრისგან დახმარებას არ მივიღებთო.

ილია წაბარბაცდა, თითქო კეტი დაჰკრესო. მერე ვინ? შინაურებმა დაჰკრეს, ერთობამ დასჭრა, რომელსაც მან მთელი სიცოცხლე შესწირა. მას აღარ ესმოდა, რა ხდებოდა ირგვლივ. „ერთობა" ერის ერთობა ეგონა და ეს სიტყვა ჭაბუკობიდანვე ეწერა იმის დროშაზე. მართალია, იმანაც კარგად იცოდა, ხალხის ახალი მესვეურები კლასობრივ ერთობას ჰგულისხმობდნენ, მაგრამ ის კი აღარ ეგონა, რომ ამ აზრს ასე მძაფრად მოეჭიდებოდნენ და ფსკერამდე დაიყვანდნენ. „რუსეთი ინგრევა", ამბობდა ილია – და ყველა ჩაგრულმა ერმა თავის თავს უნდა უშველოს...ისღა დაგვრჩენია, რომ კლასობრივი ბრძოლა გადავდოთ, მხარი მხარს მივცეთ, მჭიდრო შინაური ერთობა დავამყაროთ და ხალხი გადავარ-

ჩინოთო. მას სხვანაირი გზა ვერც კი წარმოედგინა, სინამდვილე კი სულ სხვა გზით მიდენილიყო, მთელი სიცოცხლე, უკლებლივ მთელი სიცოცხლე გადააგო ხალხის სამსახურს, ახლა კი იმავ ხალხის მტრად გამოაცხადეს."

●

1905 წლის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება როგორ წარიმართა, ამაზე წარმოდგენა რომ გვქონდეს, არ არის საკმარისი ვიცოდეთ, რას იტყვის ილია, რას მოელაპარაკება თავადაზნაურთა დეპუტაცია მეფისნაცვალს. ორჯერ გადაადებინეს გურიაში ჯარის შეყვანა, მაგრამ არც იქ და არც დანარჩენ საქართველოში ხალხი არ ცხრება. ბოთლიდან ჯინი ამოშვებულია და ყველა რაღაც ახალს ელის. რაკი მაინც რევოლუციის სუნი ტრიალებს, რაკი ოქტომბერში მთელი იმპერია გაფიცულია, აღარ მუშაობს არც ფოსტა, არც რკინიგზა, არც ფაბრიკა-ქარხნები, ილია ცდილობს საქართველოში რევოლუციურ მოძრაობას თავი შეუბრუნოს და თუ ბრძოლაა, ეს ბრძოლა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობად აქციოს. ამიტომ საიდუმლო მოლაპარაკებები მიდის იარაღის შემოტანაზეც. ფედერალისტებმა, გიორგი დეკანოზიშვილისა და თედო სახოკიას ძალისხმევით, შემოიტანეს კიდეც იარაღი, მაგრამ ოპერაცია წანასწარ გაცემული აღმოჩნდა და ჩავარდა. იარაღის მხოლოდ ნაწილი გადმოზიდეს გემიდან. ამ ვითარებაში, როცა მთავრობას ყოველის მხრიდან უტევენ, იძულებული გახდა ხელისუფლება ნამდვილ დათმობაზე წასულიყო. 1905 წლის 17 ოქტომბერს იმპერატორმა ხელი მოაწერა მანიფესტს. სხვათა შორის, მანიფესტი შედგენილი იყო გრაფ ვიტეს მიერ. ეს ვიტე ერთობ ჭკვიანი კაცი გამოდგა. ჭკვიანი და ძლიერი, იმდენად, რომ იმდროინდელი ერთი ჩვენი მოღვაწე მას შინაგან საქმეთა მინისტრად მოიხსენიებს. ეს შეცდომაა. ვიტე შინაგან საქმეთა მინისტრი არ იყო. იგი გახლდათ ჯერ გზების, შემდეგ ფინანსთა მინისტრი 1900–1903 წლებში. შემდეგ უუფლებო მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, 1905 წლის 17 ოქტომბერს კი, 17 ოქტომბრის მანიფესტის ავტორი, გახდა ძალაუფლებით აღჭურვილ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

1906 წლის 23 აპრილს ინიშნება სახელმწიფო საბჭოს პირველი სხდომა. 3 დღით ადრე კი გამოდის იმპერატორის ბრძანებულება, რომლითაც მან დაამტკიცა სახელმწიფოს ძირითადი კანონები. ამ

კანონებით იმპერატორმა დაარღვია მანიფესტში ასახული პრინციპები–სიტყვის, საკუთრების, ადამიანის უფლებების შესახებ, ამიტომ, იმავ დღეს, 20 აპრილს ვიტე და მისი მთავრობა გადადგა. ამით დასრულდა ვიტეს პოლიტიკური კარიერა. შემდეგში ეცადა პოლიტიკაში დაბრუნებას რასპუტინის მეშვეობით, მაგრამ აღარაფერი გამოვიდა.

საჭიროდ ჩავთვალე ამის გადმოცემა იმ გარემოების გამო, რომ როგორც ადრე ვთქვი, ვიტე იყო თბილისელი, სწავლობდა და დაამთავრა თბილისის I გიმნაზია. მისდა უნებურად 1896 წელს ბანკობიადაშიც აღმოჩნდა ჩართული. როცა მაჩაბელი იძულებული გახდა ბანკიდან წასულიყო, რადგან საგანგებო კრებამ იგი უკანონოდ არჩეულად გამოაცხადა და დირექტორად სხვა აირჩია, კოლა ორბელიანი ფინანსთა მინისტრთან გავარდა პეტერბურგში–ვიტესთან, რომელთანაც ახლო ნაცნობობა ჰქონდა. შემდეგ მაჩაბელიც ჩავიდა. ვიტემ ამათ გაულიმა, კარგად მიიღო, არც ხო უთხრა და არც არა, თითქმის წელიწადი აწვალა და არაფერიც არ გადაუწყვიტა. მან თბილისის სიტუაცია, ეტყობა, კარგად იცოდა, ამიტომ ბანკობიადაში არ ჩაერია და თავისი პოზიცია არ გამოხატა. 17 ოქტომბრის მანიფესტით ცხადდებოდა შეკრებათა, დემონსტაციათა თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება. ხმოსანთა წრის გაფართოება, საზოგადოების სხვადასხვა ფენებიდან საკანონმდებლო ორგანოს – სახელმწიფო სათათბიროს არჩევის შესაძლებლობა, ანუ იქ დანიშნული წევრების გარდა, იქნებოდნენ ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები, მათ შორის განაპირა მხარეებიდან. მზადყოფნა ერობების შემოღებაზე და ა.შ. ერთი სიტყვით, რუსეთი ევროპის გზას ადგებოდა. ეს დიდი გამარჯვება იყო. ხალხი ზეიმობდა. მოხდა პოლიტპატიმრების ამნისტიაც. საყოველთაო სიხარულს არ თანაუგრძნობდნენ ესერები და ბოლშევიკები. მათ გაზაფხულზე, რსდმპ მე–3 ყრილობაზე, (რომელიც ლონდონში, სხვათა შორის, ლენინის დავალებით „ბარსოვმა" გახსნა, ეს ბარსოვი ქართველი მიხა ცხაკაია იყო) დადგენილი ჰქონდათ შეირაღებული აჯანყების გზით მთავრობის ჩამოგდება. რა გამოვიდა? თუ ხალხი იმპერატორის მადლიერი შეიქნებოდა, მათ აღარავინ აჰყვებოდა. სარევოლუციო პარტიებმა, არათუ შეაჩერეს მიტინგები, არამედ ყოველდღე მართავდნენ. ხალხს აჩვენებდნენ ძალას, აი, რას მიაღწიეს მათ. რომ საჭიროა ბრძოლის გაგრძელება და მთავრობის დამხობა. მთავრობის მხარდასაჭერად თბილისში 21 ოქტომბერს გამოდის ე.წ. პატრიოტთა დემონსტრაცია, რომელიც

შეიარაღებულ რუს ხულიგანთაგან შედგებოდა. 22-ში სარევოლუციო პარტიები მათ მოერიდნენ და მიტინგი გოლოვინის პროსპექტის ნაცვლად დიდუბეში გამართეს. გოლოვინზე კი ეს „პატრიოტები“ მიტინგობდნენ. მოსეირნე ხალხიდან მათი მიმართულებით ვიღაცამ რევოლვერი ისროლა. ეს აშკარად პროვოკაცია იყო. პროვოკაცია, რომელიც უნდა დაეგეგმა იმას, ვინც მანიფესტის გამოცემის გამო იყო შეშფოთებული.

მთავრობას მეტი ჭკუა არ ეყო, დასცხეთ უმადურებსო. შავრაზმელებმა და პოლიციამ, ყაზახებმა, ერთდროულად დაუშინეს ტყვიები უიარაღო, მშვიდობიანად მოსეირნე ხალხს. 60 კაცზე მეტი მოჰკლეს, ასზე მეტი დაიჭრა. ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს რუსებმა. იმ დღეს კინაღამ დაიღუპა იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც ხმალამოღებული ყაზახი გამოჰკიდებია. გოგებაშვილი მანთაშევის სახლში შევარდნილა, იქ კლუბის ბიბლიოთეკაში წიგნების კარადას ამოჰფარებია და ყაზახს ვერ მიუგნია. ასე შემთხვევით გადარჩა ფ. გოგიჩაიშვილიც, რომელსაც ასევე ყაზახი გამოეკიდა. ასე რომ, 5 დღეში 17 ოქტომბრის მანიფესტი დახვრიტეს!...

ბოლშევიკებს მოვლენათა სწორედ ასეთი სცენარი აძლევდათ ხელს. ამიტომ ვთქვი, საქართველოში იმ დროს რა ხდება, ან ილიას თავს რა ხდება, ეს რომ ვიცოდეთ, უნდა გავითვალისწინოთ ლონდონში, ტამერფორსში თუ სხვაგან რა დადგენილებებს იღებენ ბოლშევიკები, რომელთა შესრულება სავალდებულო იყო აქაც, ქართველი ბოლშევიკებისათვის.

●

პეტერბურგში შექმნილი იყო გრაფ სოლსკის კომისია. ამ კომისიას უნდა შეედგინა დებულება კავკასიისათვის სახელწიფო სათათბიროში დეპუტატების ასარჩევად. მეფისნაცვალმა სთხოვა ნიკო ნიკოლაძესა და ილია ჭავჭავაძეს ამ კომისიაში მონაწილეობა მიეღოთ. ილია თავიდან უარზე იყო, ვორონცოვი არ მოეშვა, მაშინ ილიამ პირობა წამოუყენა, წავიდოდა თუ ხესამე წევრსაც დაამატებდნენ, და ეს წევრი მას უნდა დაესახელებინა. მეფისნაცვალი დათანხმდა და ასე გახდა სოლსკის კომისიის წევრი ილიას ყოფილი თანამშრომელი, ახალგაზრდა გიორგი ჟურული.

1905 წლის დეკემბრის დასაწყისში ისინი უკვე პეტერბურგში არიან. მკითხველს ბოდიშს ვუხდი ვრცელი მოგონების შეთავაზებისათვის, მაგრამ ვარწმუნებ, ერთ-ერთ საუკეთესო ჩანა-

წერს წაიკითხავს ილიას შესახებ. გიორგი ჟურული ასე იგონებს იმ დღეებს: „ილიამ მოისურვა, რომ ჩვენს სასტუმროში ერთს ნომერში დამდგარვიყავით. საჭირო გახდა სასტიკი ეკონომია გაგვეწია, რომ ფული არ შემოგვკლებოდა და უცხო მხარეს საძებნელი არ გაგვხდომოდა. პურის ჭამაც ერთად გვქონდა და მისვლა–მოსვლაც ხომ საერთო იყო. ყველა გაწეულ ხარჯს მე ვიწერდი და დროგამოშვებით ანგარიშს ვარდგენდი, ყველა ხარჯს სანახევროდ ვისტუმრებდით. დროებით ჩემი ხვედრი ვალად მეწერებოდა, რადგან თბილისში ფულის მიღება ვერ მოვასწარი. თითქო ორი სტუდენტი დასახლდაო, ისე ვიყავით. ილიას, ეტყობოდა, მართლაც თავის სტუდენტობის ხანა აგონდებოდა, ყველაფერში ანგარიშით იქცეოდა. სულ პირველად სატახტო ქალაქის წიგნის მაღაზიები დაიარა, სადაც სქელკანიანი წიგნები შეიძინა, იურიდიული (პროფესორების ლექციებიც კი), ფილოსოფიური, ეკონომიური. ჩაუჯდა ამ წიგნებს და მთელ დღეებს როცა არ ვიყავით წასასვლელი, კითხულობდა; ვატყობდი კითხვის დიდ ხალისს. ხშირად წაკითხულ ადგილებს, რაც მოეწონებოდა და ღირსშესანიშნავად მიიჩნევდა, თავის უბის წიგნში იწერდა. ერთხელ ისე იყო კითხვით გართული, რომ მთხოვა: „რაკი სახლიდან გადიხართ, შვეიცარს უთხარით, თუ მე მიკითხოს ვინმემ, – შინ არა ვარ". მე არ დავეთანხმე მისი ბრძანების გაცემაზე: – თქვე დალოცვილო, ეგ თქვენი თბილისის ადათი აქ მაინც მოიშორეთ! რაღაც ორიოდე დღითა ვართ ჩამოსული, რა ბევრი ნაცნობი ჩვენა გვყავს აქა, რომ შეგაწუხონ! მოვა ვინმე ისეთი, რომლის უნახაობა თქვენვე დაგნანდებათ-მეთქი. – ჩაიცინა და კარგიო, მითხრა ილიამ: „იყოს ნება თქვენი, მაგრამ იძულებული ვიქნები ამ ხალათის მაგიერ სერთუკი ჩავიცვაო"-ო. მე მაინც უარი ვუყავი და ვაიძულე „ფორმა" გამოეცვალა.

ჯერ კიდევ თბილისიდან რომ მოვდიოდით, იქ ერთმა ჩემმა ნაცნობმა მითხრა: – მებრალები, გიორგი, ამბობენ ილიას ერთობ მძიმე ხასიათი აქვსო და გაგიმწარებს დღეებსაო... ეს სრული ტყუილი გამოდგა. მთელი ერთი თვე ერთად ვცხოვრობდით, ჩვენი საწოლები გვერდით იდგა, დილით ჩაი და საღამოთი ვახშამიც ჩვენს ოთახში ერთად გვქონდა, რესტორანებშიაც ერთად დავდიოდით და არა ყოფილა შემთხვევა, რომ რითიმე ეგრძნობებინა ილიას ან თავისი უფროსობა, ან დაეჟინა და ჩემთან შეუთანხმებლად გადაეწყვიტა რაიმე, რაც ორთავეს შეგვეხებოდა. იმის ნებასაც კი არ მომცემდა ან სკამი შემეთავაზებინა, ან უკეთესი ნაჭერი დამეთ-

მო და სხვა... არც რითიმე შეუბღალავს ჩემი დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ვიმეორებ, კაცს ეგონებოდა, ერთი კურსის სტუდენტები ერთად დამდგარან, საერთო ბინაზეო.

პეტერბურგში დიდი ყინვა იდგა და სხდომაზე ან ვიზიტებზე რომ მივდიოდით, თბილად ვიცვამდით. ილიას თავისი, შემდეგში საარაკოდ გამხდარი ქურქი ესხა, შიგნით აქა–იქ ძალიან გაცვენილი და გარედან კი გახეხილი მაუდით. ძალიან საშუალო ღირსების ქურქი უნდა ყოფილიყო ჯერ ახლობის დროსაც.(შემდეგში არა, ეს ის ქურქია, ვითომ 40 თუმნიანი, რომელიც უკვე გახადა საარაკოდ „მოგზაურმა“, – ნ.გ.) სამაგიეროდ მე მესხა დიდებული, ძვირფასი ბეწვით შემოვლებული „ნიკოლაევსკი“ შინელი... თბილიც იყო და გარეგანი შეხედულებითაც დიდებული რამ! ის გენერლის შინელი ჩემს სიმამრს გამოვართვი, რადგან თბილი პალტო არა მქონდა: აბა ბათუმში მცხოვრებს რაში მეჭირვებოდა!

პეტერბურგის ქუჩებში მარხილებით რომ მივსრიალებდით ხოლმე, ყოველ სამხედრო ნაწილების შეხვედრაზე ატყდებოდა ერთი ამბავი და განგაში. სულ „სმირნოს“-ს ძახილით და იარაღის საპატიო მომარჯვებით გვხვდებოდენ და გვაცილებდენ. ერთხელ ილამ ჩაცინვით მითხრა: „გიორგი, ეს ამოდენა პატივისცემა სულ თქვენი სიმამრის შუბის წყალობით მოგვდის“-ო. მართლაც, სამხედრო ნაწილების და „გოროდოვების“ შიშით ქუჩაში ვერ გამევლო თავისუფლად: სულყველა „ჩესტს“ მიკეთებდა... რაკი ილიას მეტწილად შინ ჯდომა უყვარდა, ერთხელ თვითონ შემომთავაზა თავისი გახუნებული ქურქი, ეგ ჩაიცვი ხოლმე და მაგით იარეთო! მეც ხშირად სწორედ ასე ვიქცეოდი. ავიღებდი თავსა და ვუვლიდი გარს „გოსტინი დვორის“ დახურულს ბაზარს. ამ დროს ილია თავის ნომერში ან კითხულობდა, ან ალბათ ამზადებდა იმ სიტყვას, რომელიც მას უნდა წარმოეთქვა იმ კრებულში, რომელსაც ოფიციალურად ეწოდებოდა: – „უმაღლესი ბრძანებით დაარსებული გრაფ სოლსკის კომისია“. – მანამ იმ უმაღლესი კომისიის სხდომები დაიწყებოდა, მეტწილად, ჩვენ შინ ვისხედით ხოლმე. აი ამ დროს დაგვემართა ერთი სასაცილო ამბავი, რომლის მიზეზი პროვინციულობა და პეტერბურგელ „თავისებური ატმოსფეროს“ უცოდინარობა იყო. ერთ დღეს ნომრის კარი ვიღაცამ დაგვიკაკუნა. ვნახოთ, შემოდის ერთი უცნობი, პატარა შავწვერა ახალგაზრდა, ცხვირზე პენსნეთი, და ხელში რაღაც რვეულით. გამოგვიცხადა, რომ იგი საგანგებოდ არის გამოგზავნილი ერთი ენციკლოპედიური გამოცემის რედაქციის მიერ, რათა ჩვე-

ნი გვარებიც იყოს იქ აღბეჭდილი. და მიმართა ილიას: – თქვენ, ვგონებ, თავადი ჭავჭავაძე ბრძანდებით და გთხოვთ თქვენი ბიოგრაფიული და მოღვაწეობის მასალა მომაწოდოთ, რომ გამომცემელს მივართვაო. სთქვა ესა, გაშალა რვეული და მოიმარჯვა ფანქარი. ილიამ უთხრა: მე სათქმელი არაფერი მაქვს და რატომ შეწუხებულხართო! უცნობი „ლიტერატორი“ არა სცხრებოდა და არ ეშვებოდა ილიას. ამ უკანასკნელის მიუკარებლობა მე ძალზე მაღელვებდა, რადგან დაუშვებლად მიმაჩნდა, რომ იმ ენციკლოპედიაში, სადაც იმოდენა გამოჩენილი ხალხის სახელები იქნებოდა, ილიაც არ ყოფილიყო აღნიშნული. ავდექი და მე დავუწყე იმ ადამიანს ილიას შესახებ საჭირო ცნობის მიწოდება. კარგა ხანს ველაპარაკე, ვღელავდი, გატაცებით გადავშალე ილიას საქართველოს წინაშე დიდი დამსახურების სია...ის ყმაწვილი ყველაფერს იწერდა, ილია კი განზე იჯდა და იქიდან გაკვირვებით, თითქო მისთვის უცნობი ახალ–ახალი ამბების მოსმენით, ჩუმად გულს ირთობდა, თანაც თავს როგორღაც უხერხულად გრძნობდა. როცა ჩემი სიტყვა გავათავე და ილიას აწითლებულ სახეს შევხედე, მეც ვიგრძენი ერთგვარი უხერხულობა, რომ ცოცხალი ადამიანის წინაშე მისი ნეკროლოგის მსგავსი რაღაც გამოვიყვანე იმ ჩემი ნაკარნახევით. როცა ეს მოვათავე, ახლა ის „ლიტერატორი“ მე ჩამაცივდა, თქვენს შესახებაც მომეცით ცნობებიო. მე, რასაკვირველია, ჩემზედ არა მითქვამს რა და იმითი მოვიშორე თავიდან, რომ ვუთხარი, მე თავად ჭავჭავაძის მდივანი ვარ-მეთქი და ენციკლოპედიურ გამოცემისათვის სათქვენოც არა მაქვს რა–თქო. როგორც იყო თავიდან მოვიშორეთ ის ადამიანი. საღამოზე ეს ამბავი ნიკო ნიკოლაძეს ვუამბეთ და მე დავეკითხე მას, თუ მანაც ნახა ენციკლოპედიის თანამშრომელი. ამის გაგონებაზე მორთო ნიკომ ერთი სიცილი: ეგ რა გიქნიათ, ოთახში როგორ შემოუშვით ეგ შეჩვენებულიო! იგი ენციკლოპედიამ კი არა, „ოხრანკამ“ შემოგიგზავნათ, რომ თქვენგან გაეგო, ვინცა ბრძადებითო! ჩემთან რომ მოსულიყო, ახლოსაც არ გავიკარებდიო! ნიკოლაძე მართალი გამოდგა: არავითარი ენციკლოპედია არ გამოცემულა და ჩემის გამოუცდელობით „ოხრანკის“ აგენტს ბევრი რამ ისეთი შევატყობინე, რომ თუ რევოლუციას არ მოესწრო, ილიას, მგონი, იაფად არ დაუჯდებოდა...

„უმაღლეს კომისიაში“ დანიშნულს ვადაზე მიგვიწვიეს კავკასიიდან ჩამოსული ყველა დელეგატი. კრება მხოლოდ ერთხელ მოხდა „მარინსკის სასახლეში“, სადაც მოთავსებული იყო სახელ-

მწიფო საბჭო. კრებას თავმჯდომარეობდა დიდი, ძველი მოხელე, გრაფი სოლსკი, წევრებად კი იყვნენ ყველა მინისტრი: ვიტტე, დურნოვო და სხვები და აგრეთვე ათიოდე სახელმწიფოს საბჭოს წევრი, – სულ დიდი ბობოლები. ამათ გარდა იყვნენ კიდევ მეორე ჯგუფის წევრნიც: ისინიც დიდი მოხელენი. თუ პირველი ჯგუფი, როგორც პრეზიდიუმი, ერთ ამაღლებულ ადგილზე ისხდნენ, ეს მეორენი დაბლა, პარტერში იყვნენ, სავარძლებში, რომელნიც წყობით და რიგებით იდგნენ, როგორც თეატრში. მათ უკან, კედლის გასწვრივ, პრეზიდიუმის პირდაპირ, იდგა ერთი გრძელი, მუქი მაუდით დაფენილი მაგიდა. მას ეწოდებოდა „კორესპონდენტების“ მაგიდა და კავკასიის დელეგატები იქ ჩამოგვამწკრივეს „ჩინისა და ხარისხის“ მიხედვით. მე სულ ბოლოში მერგო ალაგი; ჩემს გვერდით ილია იყო, იმაზე ზევით ნ. ნიკოლაძე. ამნაირად, ქართველები ერთი მეორეს მივსდევდით. თავმჯდომარე კავკასიელ დელეგატებს სიით გამოუძახებდა ხოლმე. აქაც ვისაც დიდი რამ ხარისხი ჰქონდა, ჯერ იმათ იწვევდა. ბოლოს ჯერი ჩვენ ილიამდეც მივიდა. იგი თავისი ჩვეულებრივის, აუჩქარებელი ნაბიჯით მიუახლოვდა პრეზიდიუმის მაგიდას; მან თითქო შორიდანვე დაიწყო მის წინ ჩამომწკრივებული ხალხის მუშტრის თვალით ათვალიერებ–ჩამოთვალიერება; გეგონებოდათ, შუა წრეში მოქცეული მოჭიდავე თვალებით დაეძებს, აბა ვის უნდა შევეჭიდოვო... ილიას წინ ბარემ ექვსმა კაცმა ილაპარაკა. ისინი თავაზიანად და მოკრძალებით იძლეოდენ პასუხს იმ შეკითხვებზე, რომელსაც მათ გრაფი სოლსკი უსვამდა. პრეზიდიუმის სხვა წევრებიც სვამდენ კითხვებსა. მათ უმთავრესად აინტერესებდათ გაეგოთ, ვინ ახდენდა კავკასიაში რევოლუციას და როგორი მსვლელობა ჰქონდა მას.

ილიამ, ეტყობა, სულ სხვანაირად შეამზადა თავისი სიტყვა და არ აპირებდა ცალკე შეკითხვებზე პასუხის მიცემას. თავის სიტყვაში მან ცხადათ აგრძნობინა მის წინ მსხდომარე რუსეთის უზენაეს მმართველებს, რომ იგი კავკასიის მთავრობის მრჩეველ აგენტად ან მოწყალების გამოსათხოვნად კი არ ჩამოსულა თავის ქვეყნიდან, არამედ გამოდის, როგორც ბრალმდებელი უმწეო მდგომარეობის დასასურათებლად, რომელშიაც აგერ ას წელიწადზე მეტია, იმყოფება კავკასიის სხვა ერებთან ერთად, ქართველი ხალხიც. თავისი, მართლაც საბრალმდებლო სიტყვა, ილიას შეედგინა მწყობრად, ქრონოლოგიურს წესზე, ჩამოთვლით იმ რეფორმებისა და სხვა ზომების სიის აღნუსხვით, რომლის შემოღე-

ბა რუსეთის მთავრობას შიდა გუბერნიებისათვის გამოემეტა და კავკასიის მხარე–კი სულ მუდამ მივიწყებული ჰყავდა. ამას კარგად ხედავსო კავკასიის მოსახლეობა. ასეთი იყო შესავალი ილიას სიტყვისა. შემდეგ ორატორი მოჰყვა ამ დებულების საილუსტრაციოდ ფაქტების გადმოლაგებას. თანდათან იშლებოდა უმწეო სურათი, რომელშიაც ჩვენი მხარე იმყოფებოდა. ილია თანდათანობით როლში შედიოდა, მაგრამ აქ თავმჯდომარემ, ეტყობა, ვეღარ აიტანა მისი ოპოზიციური ტონი, სრულიად უცნობი სახელმწიფო საბჭოს პრაქტიკაში და, უცბად, შეაწყვეტინა ორატორს სიტყვა: „ჩვენ ეგეები არ გვაინტერესებს, შენიშნა მოხელემ, ჩვენ გვსურს ვიცოდეთ თქვენი აზრი აი ამის შესახებ: განა შესაძლებელია კავკასიას დაერთოს ნება დეპუტატების არჩევისა, როდესაც იქ საშინელი რევოლუციური ამბოხება ხდება“-ო?... ილია აშკარად მიხვდა, რომ მას აღარ მისცემენ სიტყვის გაგრძელების საშუალებას. მე ვიგრძენი, რომ იგი გულმოსულიც იქნებოდა, რაკი ბოლომდე არ მოუსმინეს და აი რა სურათი ვნახე: – ილიამ რიხიანად, მარჯვენა ხელის სერთუკის უბეში ამოდებით და მარცხენის ძირს ჩაქნევით (ასე იცოდა მან, როცა გაცხარდებოდა) ეს სიტყვები ახალა პირში იქ მყოფ სრულიად რუსეთის მბრძანებელსა და მმართველთ: –

„როგორ თუ განა შეიძლებაო? შეიძლება კი არა, აუცილებლად და დაუყონებლივ უნდა იყოს გავრცელებული კავკასიის მხარეზედაც ეგ რეფორმა და ჩვენც უნდა მოგვეცეს უფლება ჩვენი დეპუტატების არჩევისა. და თუ ასე არ მოხდა, მე ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ გამოგიცხადოთ, რომ ახალ შეურაცხყოფას ვეღარ მოითმენს ჩვენი ხალხი, და თქვენ იძულებული იქნებით ზღვა სისხლი დაღვაროთ თქვენი სოლდათებისა აღშფოთებულ კავკასიის მოსახლეობასთან შებრძოლებაში“-ო. სთქვა ილიამ ეს, ოდნავ თავი დაუკრა თავმჯდომარეს და იმავე აუჩქარებელის და მტკიცე ნაბიჯით მობრუნდა თავის ადგილას. მე აღტაცებული ვიყავი ილიას ღირსეული გამოსვლით, მზად ვიყავი გადავხვეოდი... ამით არ გათავდა ის სხდომა. თავის ხელობაში კარგად გამოცდილმა თავმჯდომარემ მოისურვა ერთგვარი დივერსიის მოხდენა და ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილ მძიმე შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად დააპირა რომელიმე კავკასიელის შეცდენა-გაბრიყვება, რომ ჩვენისავე წრიდან მოესმინა ილიას სიტყვების გაბათილება. მე შიშმა ამიტანა, ნუ თუ, გავიფიქრე, ვინმე იკისრებს ამისთანა უკადრის საქციელს?! თავმჯდომარემ მოგვმართა დელეგაციას და მოთმინებით უცდიდა, ვინ მოითხოვდა სიტყვას. ყოყმანი აღარ შეიძლე-

ბოდა. გრაფ სოლსკის წადილის გაცრუება უნდა საჩქაროდ მომხდარიყო, რომ, მართლაც, კავკასიელების მხრივ შეცდომა არავის დაეშვა. თოთქო ვიღაცამ კისერში მკრაო, უცბად წამოვდექი და სიტყვა მოვითხოვე.

ჩემის წარმოდგენით, ილიას სწორედ იქ შეაწყვეტინეს სიტყვა, სადაც მას ერთი დიდი ბრალდება კიდევ უნდა ეთქვა და იმის თქმას–კი, ჩემად, აუცილებლად ვსთვლიდი. ვგრძნობდი, რომ მეც შემაწყვეტინებენ სიტყვას, თუ ცოტა სხვა ფორმა არ მივეცი იმ დებულების წარდგენას. სულ არ გაუვლია რამოდენიმე წუთს, რაც მე ამ ფიქრებში ვიყავი და, უცებ, თავმჯდომარის წინ გავჩნდი. აი რისი თქმა მოვახერხე: „აქ ჩვენ გვეკითხებიან, განა შეიძლება მომავალ საკანონმდებლო დაწესებულებაში არჩევნების მოხდენა, მანამ ძირიანად არ იქნებიან აღმოფხვრილნი ის სააგიტაციო ძალები, რომელნიც კავკასიაში რევოლუციურ გამოსვლებს ახდენენო? მაგრამ ამისათვის–კი, სულ პირველად, დანამდვილებით უნდა გავეცნოთ: ვინ არიან და სად არიან ის ძალები, რომელნიც შფოთისა და მღელვარებას სთესენ ჩვენს მოსახლეობაში. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რა უკიდურეს მიწის სივიწროვეს განიცდის ქართველი გლეხი, რა მჭიდროდ არის დასახლებული ჩვენი მხარე, თუ სახეში მივიღებთ მხოლოდ ამ მიწების სივრცეს, რომელიც მეურნეობისათვის გამოსადეგია. ჩვენში მრავლად არიან ადგილები, სადაც გლეხი, მიწის დამუშავების დროს, თავის ტანს წნელით ან თოკით მიაბამს ხოლმე რომელიმე ბუჩქს ან კლდოვან ალაგს, რომ ფეხი არ დაუსხლტეს და უფსკრულში არ გადაიჩეხოს. რაჭის მაზრაში მიწის ფასი იმ ზომამდეა აწეული, რომ ერთი ქცევა 1200 მანათამდე და მეტადაც ღირს“. აქ თავჯდომარემ შემაყენა და დამეკითხა: განა ისეთ დიდი მოსავალს იძლევა იქაური მიწა, რომ ეგეთი ფასები ყოფილაო? ქცევა რას უდრისო? აქ დამსწრე ბარონ ნოლდემ (ეს გრ. ვორონცოვის წარმომადგენელი იყო პეტერბურგის უწყებებში) დამასწრო და მოახსენა კომისიას: ქცევა 900 კვ. საჟენი არისო! – მე განვაგრძე ჩემი სიტყვა და გრ. სოლსკის გაკვირვებაზე ვსთქვი: – ეგ დიდი ფასები, რასაკვირველია, არ არის გამომხატველი მიწების ნამდვილი შემოსავალისა, რომელიც ძალიან დაბალია. ეგ ფასები სწორედ იმისი მთქმელია, რომ საქართველოს მოსახლეობა უკიდურეს მიწის სივიწროვეს განიცდის და ყოველი ქართველი მონატრულია ერთი პატარა ფეხის დასაბჯენი ადგილი მაინც მოიპოვოს თავის სამშობლოში და არავითარი ფასის წინ არ დადგება, თუ ფული იშოვა სხვაგან სამუშაოზე. და აი როდესაც ასეთი

უმწეო მდგომარეობაა ჩვენში, რას ხედავს ჩვენი გლეხი? მას , რომ მთავრობა, სადაც–კი თვალს მოჰკრავს, რომ იმის განკარგულებაში თავისუფალი მიწა გაჩნდა, ამ მიწას ადგილობრივ, გაჭირვებულ გლეხს კი არ აძლევს...

რაკი სალაპარაკოდ გამიხდა საქმე, ახლა სხვა ხასიათის საკითხზედაც გადავედი. საქმე იმაშია, რომ კავკასიის მთავრობის პროექტით ჩვენში დეპუტატების არჩევა ისე უნდა მომხდარიყო, რომ ქართველი კანდიდატი არ გასულიყო იმ ადგილებში, რომელიც მთავრობისათვის საშიშროებას წარმოადგენდა. ასეთ ადგილად, სულ პირველად, ითვლებოდა ქალაქი ბათუმი, სადაც რევოლუციური მოძრაობა სდუღდა და გადასდუღდა და ნაწილობრივ, სოხუმის ოლქიც. ამიტომ მთავრობამ განიზრახა ეს ოლქები გაეთქვიფა უფრო კეთილსაიმედო ერთეულებში. ასეთები იყვნენ მთავრობის თვალში შავი ზღვის გუბერნია, ქალაქ ნოვოროსიისკით და ყარსის ოლქი. პროექტში ეს ოთხი, სულ სხვა და სხვა ხასიათის ადგილები გაეერთიანებინათ და ერთი საარჩევნო კერია გამოეყოთ: ერთი დეპუტატის არჩევაც ქალაქ ნოვოროსიისკში უნდა მომხდარიყო. მე აუცილებლად დავინახე კავკასიის მთავრობის პლანის ჩაფუშვის საჭიროება, და, როგორც ქ. ბათუმის წარმომადგენლისათვის, ჩემთვის სავალდებულოც. აი ამის ირგვლივ ავაწყვე ჩემი სიტყვა.

დასრულდა სოლსკის კომისიის მუშაობა. კავკასიას მიეცა უფლება თავისი დეპუტატების არჩევისა და ჩერნომორსკის გუბერნიაც ჩამოგვაშორეს ბათუმელებს. ჩვენი მხარის უფლებების დაცვა და საქმის სასურველად მოთავება მთელი კავკასიის დელეგატების დამსახურება იყო და აქ უნდა ვსთქვათ, თავისი დიდი როლი ითამაშა იმ მუქარამ, რომლითაც ჩვენმა დიდმა ილიამ მიმართა რუსეთის დიდ ბობოლა მმართველებს.

სოლსკის კომისიის ყრილობას დაესწრო მეოთხე ქართველიც, თბილისის გუბერნიის მარშალი დავით მელიქიშვილი. იგი არ იყო დელეგაციის წევრი, მაგრამ მაინც დაესწრო არა ოფიციალურად, ასე ვსთქვათ, როგორც მეთვალყურე. დ. მელიქიშვილი განსაკუთრებული ნდობით იყო აღჭურვილი გრაფ ვიტტეს მიერ, რომელთანაც დაახლოებული ნაცნობობაცა ჰქონდა. ბევრნაირად იყო საინტერესო მელიქიშვილის პიროვნება. იგი დაბადებით ეკუთვნოდა ქართულ არისტოკრატიულ წრეს, რწმენით ხმალამოღებული მომხრე იყო რუსეთის დინასტიისა და ამავე დროს–კი გულით–ქართველი. უნდა ითქვას, რომ დავით მელიქიშვილი უთუოდ

დიდი კულტურით აღჭურვილი ადამიანი იყო. მან ბრწყინვალედ დაასრულა სამოცდაათიან წლების მიწურულში პეტერბურგის უნივერსიტეტი, იურიდიულ ფაკულტეტზე საპროფესოროდაც კი უპირებდნენ მას დატოვებას, მაგრამ პროფესორის მაგიერ, თანახმად გვარის ტრადიციისა და ბიძის, ლევან მელიქიშვილის სურვილისა, იგი მოულოდნელად ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში შევიდა მოხალისე ჯარისკაცად. რუსის სამსახურში დიდი კარიერის გაკეთების საშუალება ეშლებოდა წინ, მაგრამ რუსები მაინც ალმაცერად უყურებდნენ მას და არ სჯეროდათ მისი ას პროცენტად გარუსება და ამიტომ მათ სამსახურში შორს ვერ წავიდა; მიუხედავად ამისა, რომ ცოლებით ნათესავნიც იყვნენ, ილია და დავითი ძალიანაც არა სწყალობდნენ ერთმანეთსა. ეს გასაგებიც არის, რადგან ილია რუსეთის საკითხებში არასფერში არ ეთანხმებოდა მელიქიშვილს...

სოლსკის კომისიის სხდომები გათავდა და ჩვენ სამშობლოსაკენ წამოვედით. ილია და მე ვაგონის მეორე კლასის ორადგილიან კუპეში მოვთავსდით. იგი თბილისამდე აღარ გამოგვიცვლია. რაკი საერთო ხარჯები მე მებარა, ილიას ვსთხოვე ჩემი ანგარიშები მოესმინა. იგი დიდის ყურადღებით ისმენდა და ციფრებს აჯამებდა. ჩემი მოხსენება იმით გათავდა, რომ მე დამედო ილიას ვალი 700 მანეთზე ცოტა მეტი (დანამდვილებით აღარ მახსოვს ეხლა). ავდექი და ეს ფული იქვე მივართვი იმ თანხიდან, რომელიც წინა ღღეს მივიღე სახელმწიფო საბჭოს რომელიღაც განყოფილებიდან, როგორც ჩემი ხვედრი საგზაო ხარჯებისა. ილიამ გამომართვა ფული და მითხრა: „ანგარიშში მხოლოდ ერთი შეცდომა მოგიკიდათ“, მიმითითა რაღაც დეტალზე და დაუმატა: „თქვენ კიდევ გმართებთ ჩემი ორი მანეთი და 50 კაპიკი“. მე ავუხირდი ჩვენი ბანკის ყოფილ უმთავრეს მართველს, რომ იგი სცდება. სულ ცოტა, ნახევარი საათი მაინც ვიკამათეთ და ილია არ მომეშვა მანამ მართლაც არ დამიმტკიცა, რომ იგი სწორედ ანგარიშობდა. ავიღე და ის ორი მანეთიც და ათი შაურიც მივართვი, თანაც ორივემ ბევრი ვიცინეთ.“

●

მრავალი ცდის მიუხედავად გურიის ამბები მშვიდობიანად ვერ დამთავრდა. რუსებმა აქ ნამდვილი ომი წამოიწყეს. ილიამ კი შეაჩერებინა ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიცია. სამხედრო

წესებიც გააუქმეს, მაგრამ ბოლშევიკებს მოვლენათა მშვიდობიანი დასრულება ხელს არ აძლევდათ. გურიაში მათ განსაკუთრებული ძალაუფლება ჰქონდათ. როცა ვლაპარაკობთ გაფიცვებზე, არ იფიქროთ, რომ ხალხი ყველა ერთ ჭკუაზე იყო, რომ, თითქოს ყველას სურდა არ ემოძრავა ტრანსპორტს, არ ემუშავა მაღაზიებს, საქულბაქოებს. საბოლოოდ ამით ისევ ხალხი ზარალდებოდა. მეფის მოხელენი მშვენივრად გადაადგილდებოდნენ საკუთარი ეტლებით, მაგრამ თუ რომელიმე მეეტლე მოინდომებდა სამუშაოზე გასვლას და უბრალო მოქალაქეების მომსახურებას, ან გამყიდველი ფარდულის გაღებას, ის სიკვდილით დაისჯებოდა. ვის ჰქონდა თავი გასამეტებელი? აი, ასე აღწევდნენ საყოველთაო დაუმორჩილებლობას ბოლშევიკები. ასე, რომ დეკემბრის მოვლენების შემდეგ საქართველოში დაბრუნებულ ილიას საშინელი სურათი დახვდა. ამჟამად რუსების დამსჯელ ექსპედიციაში ყოფილა ვინმე **ედუარდ იუონი,** რომელიც, როგორ საკვირველიც არ უნდა იყოს, აღფრთოვანებული წერს გურიისა და გურულების შესახებ. მისი წერილი **„ერთი წელი ამბოხებულ გურიაში“** გადმობეჭდა 1907 წელს თბილისში არსებულმა გერმანულმა გაზეთმა „კაუკაზიშე პოსტმა“. მისი ფაქტიური რედაქტორი იყო **არტურ ლაისტი.** ეს საინტერესო წერილი გერმანულიდან თარგმნა და თავის წიგნში **„მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე“** გამოაქვეყნა კრიტიკოსმა **ლევან ბრეგაძემ.**

სხვა რომ არა იყოს რა, ეს მასალა ეკუთვნის დამსჯელი ექსპედიციის წევრს, ამიტომ ორმაგად საინტერესოა მისი გაცნობა. გთავაზობთ ვრცელ ნაწილს წერილისა და ამით ვასრულებთ იმ სურათის წარმოჩენას, რომელიც 1905 წლის გურიისა და დასავლეთ საქართველოს ვითარებას წარმოგვიჩენს: „ვცხოვრობდით ჩვენთვის, მშვიდად პატარა საგარნიზონო ქალაქში თურქეთის საზღვართან, როცა ერთ მშვენიერ, თუ უბედურ დღეს ტელეგრაფით გვიბრძანეს: სასწრაფოდ დავძრულიყავით გურიაში დაწყებული მღელვარების ჩასახშობად. მეორე დღის ნაშუადღევს გავუდექით გზას და ხუთი დღის შემდეგ ჩვენი პოლკი უკვე გურიის საზღვარს მიადგა. 1905 წლის თებერვალი იდგა და კონტრასტი აქაურსა და იმ ამინდს შორის, უკან რომ ჩამოვიტოვეთ, ჯადოსნურად მოქმედებდა. თუმცა ჩვენი გარნიზონის ადგილსამყოფელი ბევრად უფრო სამხრეთით მდებარეობდა, იქ სასტიკი ზამთარი მძვინვარებდა (საგარნიზონო ქალაქი არარატის განშტოებაზეა განლაგებული ზღვის დონიდან ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე),

ხოლო აქ, ნატანების მშვენიერ ველზე, გაზაფხულს მთელი თავისი მომხიბვლელობა გამოეფინა: მინდორი მწვანედ აბიბინებულიყო, ფილოდენდრონი ყვაოდა, აკაციებსა და მაგნოლიებსაც გამოეღოთ ნაზი ყლორტები. ნოტიო, თბილი ჰაერი იების სურნელით იყო გაჟღენთილი. ამ დიდებულმა გარემომ გადაგვავიწყა ყველა გაჭირვება, რაც ყოველთვის ახლავს თან მოზრდილი სამხედრო ნაწილების გადაადგილებას. ჯარისკაცები ბავშვებივით იქცეოდნენ: ხარობდნენ, მღეროდნენ და კარვებს აყვავებული რტოებით რთავდნენ.

გურიის საზღვარზე, ზღვის სანაპიროზე მდებარე ნატანებში, გურულების დეპუტაცია შემოგვეგება და იქ დაგვატყვევა პირველად ყველანი იქაური ადამიანების სილამაზემ. ეს იყო ნამდვილი აღმოსავლური ფერადოვანი სანახაობა: დეპუტაცია ასამდე კაცისაგან შედგებოდა, ჭრელად მორთულ–მოკაზმულ სახედრებსა და ჯორებზე ისხდნენ და ნელი სვლით მოირწეოდნენ ჩვენკენ. ესენი იყვნენ ნამდვილად ღირსეული ადამიანები, უმეტესობა ჭაღარა იყო, გრძელი კარგად მოვლილი წვერი ამშვენებდათ, მდიდრულად იყვნენ გამოწყობილი და კეთილშობილი, სერიოზული სახეები ჰქონდათ. დეპუტაციის მიზანი იყო სრული მორჩილება აღეთქვა ჩვენი უფროსებისათვის, სტუმართმოყვარეობის ნიშნად, რუსული წესის მიხედვით, პურითა და მარილით მივეღეთ და, რაც მთავარია, ეთხოვათ ზარალი არ მიგვეყენებინა, მათ ქვეყანაში ღრმად არ შევჭრილიყავით და საზღვართანვე დაგვებანაკა. წინსვლა სრულიად ზედმეტია, რადგან უკვე ყველგან სიწყნარე სუფევსო. ამ მიღებამ ჩვენს უფროსებზე ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა და, მართლაც, ცდილობდნენ უხუცესთა აღთქმისთვის დაეჯერებინათ.

ნატანებში დროებით კარვები გავშალეთ, თოთხმეტი დღის განმავლობაში თავს ისე ვგრძნობდით, როგორც ღმერთები საფრანგეთში, და გურიაც მშვიდად იყო. დამსჯელი კორპუსის შემადგენლობაში ჩვენ გარდა კიდევ ქვეითთა ერთი სხვა პოლკი, ქვეით კაზაკთა ერთი ბატალიონი, ერთი პოლკი ცხენოსანი კაზაკებისა და არტილერიის ორი ბატარეა შედიოდა. ასე რომ, კორპუსი სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. ის დაუქვემდებარეს შემდგომში სახელგანთქმულ გენერალ ალიხანოვს და „რიონის კორპუსი“ შეარქვეს.

ნატანები რკინიგზის სადგურია თბილისი–ბათუმის ხაზზე, რომელიც რიონის ხეობას მისდევს და ამიერკავკასიის უმშვენიერეს

ადგილს წარმოადგენს. რუსეთ–თურქეთის ომის დროს, 1877–78 წლებში, რიონს სისხლის ნიაღვარი ჩაჰქონდა შავ ზღვაში, რადგან ბათუმისათვის სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ხმელეთსა და ზღვაზე; ბათუმი რუსეთს 1878 წელს მიაკუთვნეს ბერლინის კონგრესზე. ზღვა ჩვენი ბანაკიდან ერთი კილომეტრით იყო დაცილებული და მე ნეტარებით ვატარებდი მის ნაპირზე დროს საათობით, აღტაცებული შევყურებდი მას, რომელიც მაშინ, მართლაც, შავი აბობოქრებული სტიქიონი იყო; ხშირი ქარიშხლებისაგან აწრიალებული, ჰორიზონტთან საავდრო ღრუბლებში გახვეული, ის პირქუში და შიშის მომგვრელი ჩანდა.

სულ სხვანაირია იგი ზაფხულში! იქიდან არც ისე შორს მდებარეობს კურორტი ქობულეთი, სადაც კოლორიტული, მწვანე და ყვითელი ფერებით განთქმული დაისით ტკბობა შეიძლება. ახლო მდებარე მეთევზეთა სადგურ ნიკოლოზის კონცხზე ვეცადე დავახლოებოდი იმ ხალხს, რომელთა დასაშოშმინებლადაც ჩვენ იქ მივედით. ჩვეულებრივ გულღია და თავაზიანი ადამიანები ჩვენ წინაშე, ჩვენი ფორმის შემხედვარე, გულჩათხრობილნი და მიუკარებელნი ხდებოდნენ. მე დიდი წვალებით, ჟესტებით, მიმიკითა და ამასობაში ნასწავლი ორი ღერი ქართულით ავუხსენი მათ განსხვავება კადრისა და თადარიგის ოფიცრებს შორის, განვუმარტე, რომ ომი არ იყო ჩემი ხელობა და რომ იქიდან შორს, შორს, რამდენიმე ათასი კილომეტრის მოშორებით, მქონდა კერა და ოჯახი და იქ დაბრუნება ჩემი მგზნებარე სურვილი იყო. შემდეგ კი, არამარტო აქ, არამედ მივარდნილ სოფლებშიც, სადაც ჩვენ მისვლა გვიწევდა, ისწავლეს თადარიგის ოფიცრების ცნობა, და ვიდრე გამოგველაპარაკებოდნენ, ჯერ ალმაცერი მზერით სამხრეებს შეგიმოწმებდნენ.

უფრო ადვილი იყო გურულებთან ნაცნობობის გაბმა ახლომდებარე ბათუმში, რომელსაც ჩვენ, რა თქმა უნდა, ხშირად ვსტუმრობდით. ბათუმი გურიის უმნიშვნელოვანესი ქალაქია, მაგრამ ტიპური ეროვნული სახე დიდი ხანია დაკარგული აქვს. ის მშვენიერი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ნავსადგურია და წლინახევრის წინ ბევრ უცხოურ გემს მასპინძლობდა, მათ შორის–მრავალ გერმანულ სავაჭრო გემსაც. ამ ბოლო დროს კი ბათუმთან ვაჭრობა ნავსადგურის მუშაკთა მუდმივი გაფიცვების გამო მთლიანად პარალიზებულია. 1905 წლის ზაფხულში, გემ „პოტიომკინზე" მომხდარი ამბოხების შემდეგ, უცხოეთის გემებმა სავსებით უარი თქვეს ბათუმზე. ნავთობის დიდმა ფირ-

მებმა, ნობელმა და სხვებმა, დახურეს თავიანთი საწარმოები და ქალაქი ბედის ანაბარა მიატოვეს. უმუშევართა არმია მშვენიერი მასალა გამოდგა რევოლუციისთვის, რაც კარგად გამოიყენეს გურიის მოძრაობის მეთაურებმა. ყველა, ვინც ქალაქიდან არ გაქცეულა, რევოლუციონერი გახდა. ციხესიმაგრის მცირერიცხოვან ბატალიონშიც კი დაიწყო მღელვარება, ამიტომ, როცა ქალაქი სევასტოპოლის რევოლუციის დროს მთლიანად ამბოხებულთა ხელში გადავიდა და გარესამყაროს მოსწყდა, ვერ გაბედეს ციხესიმაგრის ქვემეხები ხალხისთვის მიეშვირათ. ქალაქის ფარგლებს გარეთ მდებარე ციხესიმაგრე იზოლირებულ იქნა, ნავსადგურში მყოფი გემები დროებითმა ხელისუფლებამ მფლობელებს ჩამოართვა და სევასტოპოლისკენ გაგზავნა აჯანყებულ წითელ ადმირალ ლეიტენანტ შმიდტთან კავშირის დასამყარებლად. სევასტოპოლს რომ ერთი დღით მეტი გაეძლო, ბათუმი რუსულ რევოლუციაში ალბათ ძალიან მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა. როცა მე 1905 წლის დეკემბერში უკანასკნელად ვნახე ბათუმი, რუსეთის ჯარის მიერ მისი სრული დაშოშმინების შემდეგ, იგი მეტად ნაღვლიანად გამოიყურებოდა. ქალაქში შიმშილი მძვინვარებდა. სახეგაფითრებულნი, მაგრამ ამაყად თავაღერილნი მიმოდიოდნენ ქუჩებში გურულები, თვით ისინიც, ვისაც მათი უკანასკნელი სიხარული – ტანსაცმელი – ტანზე ჰქონდა შემოფლეთილი. მათი მონათესავე, მაჰმადიანური რელიგიის აღმსარებელი აჭარლები კი მთიდან ქალაქში ჩამოვიდნენ და შეიარაღებული მილიცია შექმნეს. ამ სულმოკლეობას მათ გურული ადვილად ვერ აპატიებს.

როცა ქუთაისი დავტოვე, ისიც ბათუმივით სრულიად განადგურებული იყო: ქალაქის ძველი ნაწილი გადაეწვათ, ასობით ადამიანი დაეპატიმრებინათ და გადაესახლებინათ, მათ შორის ყოფილი გუბერნატორი სტაროსელსკი და მისი თანაშემწე ყიფშიძე, რომელთაც მე ჯერ კიდევ წლების წინ გონიერ ლიბერალებად ვიცნობდი და რომლებიც გურულებს შორის უსაზღვრო სიმპათიით სარგებლობდნენ. ქალაქში ცხოვრება ჩამკვდარიყო, შორაპნის მაღაროებს მუშაობა შეეჩერებინათ და ამით გამოწვეული მარგანეცის ნაკლებობა უკვე იგრძნობა მთელ სარკინიგზო ინდუსტრიაში.

ნამდვილი, შეურყვნელი სულიერი და ფიზიკური ცენტრი გურიისა, ერთადერთი ჭეშმარიტად გურული ქალაქი ეს არის ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, ხშირად ხსენებული სამაზრო ცენტრი ოზურგეთი. უახლოესი რკინიგზის სადგურიდან (ნატანები-

დან) ოცი კილომეტრით დაშორებულმა, კავკასიონის დასავლეთ განშტოებებზე მდებარე, ყოველგვარ სავაჭრო და ინდუსტრიულ მნიშვნელობას მოკლებულმა ამ დასახლებამ მყუდრო ადგილმდებარეობის წყალობით შეძლო თავისი საკუთარი, იდილიურად მიმზიდველი სახის შენარჩუნება. 1905 წლამდე ოზურგეთს სამხედრო არც ენახა, მაგრამ ოზურგეთის სწორედ ეს, საქვეყნო ფაციფუცს განრიდებული მდგომარეობა, გამოიყენეს რევოლუციონერებმა და წყნარი, ხილის ბაღებსა და ვაზებში ჩაფლული ქალაქი რევოლუციის ციტადელად გადააქციეს. ოზურგეთი, როგორც გურიის ყველა დასახლებული პუნქტი, ფართო ტერიტორიაზეა განფენილი. ქუჩა, ჩვენებური გაგებით, მხოლოდ ქალაქის ცენტრშია, სადაც სავაჭროებია თავმოყრილი. სახლები საკარმიდამო ნაკვეთების შუაგულში დგას და ერთმანეთს მეტისმეტად არის დაცილებული ეზო-ბაღებით. ზაფხულში, როდესაც სუროებით, ლიანებითა და ხვიარა ვარდებით ტანშემოსილი ხეები ამწვანებულია, სახლები სულ აღარ მოჩანს, მით უფრო, რომ უმეტესად მომცრო ზომისა და ერთობ მსუბუქად ნაგებნი არიან. ეს გარემოება, სხვათა შორის, დიდად უწყობდა ხელს აგიტატორებს. მარდად მოივლიდნენ ხოლმე ქალაქს და სოფელს, შეუმჩნევლად შედიოდნენ სახლებში თავიანთი იდეების გასავრცელებლად. რაკი მწვანე საფარით შენიღბული სახლები შორიშორს იდგა, მათი მოქმედება არ იპყრობდა ისედაც მცირერიცხოვანი პოლიციის ყურადღებას. ასე შეუმჩნევლად მომზადდა აჯანყება. აქტიურ მოქმედებაზე გადასვლის წინ ხალხის მზადყოფნის შესამოწმებლად მიტინგი იმართებოდა. ხალხისათვის გადაწყვეტილების გაცნობა ხდებოდა საკმაოდ ოფიციალურად, მაგრამ ეჭვმიუტანელ ადგილზე – ოზურგეთის ძველი, ისტორიული ეკლესიის ეზოში.

ვინ მიიტანდა ეჭვს ღვთისმსახურებიდან გამოსულ ხალხზე, რომელიც კიდევ ნახევარი საათის განმავლობაში ეკლესიის წინ, მოედანზე ჩრდილში სეირნობდა და მუსაიფობდა. ენის უცოდინარი ამ თავყრილობებში ვერაფერს დაინახავდა საეჭვოს, ისე შეუმჩნევლად კეთდებოდა ეს ყოველივე. და გვიანღა მიხვდნენ (აბა, ამას ვინ იფიქრებდა!), რომ სწორედ ოზურგეთის ძველი ეკლესიის ეზოში გურიის რევოლუციისათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები ლამის საჯაროდ ქვეყნდებოდა. იმავე მოედანზე ოზურგეთში ჯარის შესვლის შემდეგ ბრწყინვალე აღლუმები იმართებოდა ძალის სადემონსტრაციოდ.

როცა რიონის კორპუსის სადამსჯელო ექსპედიცია ჯერ კიდევ გურიის საზღვარზე, ნატანებში, იმყოფებოდა, ოზურგეთში ასეთი ამბავი მოხდა: ხალხისთვის საძულველი ქართველი თავადი ნაკაშიძე რომელსაც ზემოდან მფარველობდნენ და მომრიგებელი შუამავლის მოვალეობას ასრულებდა გურიაში, დღისით მზისით, თავისი სახლიდან გამოსვლისას ვიღაცამ თოფით მოკლა ქუჩაში. გვამი სამ დღეს ეგდო გარეთ, ვერავინ ბედავდა ხელის ხლებას, ხოლო პოლიცია ხალხმა, უბრალოდ, გარეკა. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი ჯარი ქალაქში უნდა შემოსულიყო, დათმეს ცხედარი, ოღონდ იმ პირობით, თუ მას ჩუმად დამარხავდნენ და თანაც – ეკლესიის გალავანს გარეთ.

1905 წლის 12–13 მარტის ღამით ჩვენი კორპუსი ოზურგეთს მიადგა და იქ დაბანაკდა. ამით ერთბაშად დასრულდა ოზურგეთის იდილია. ერთი კვირის შემდეგ თავადის გვამი მის საგვარეულო სამარხში უნდა გადაესვენებინათ. ყველაფერი იღონეს მოსალოდნელი ძალადობის თავიდან ასაცილებლად და გვამის გადასვენების ცერემონიალი, რაც შეიძლება დიდი ზარ–ზეიმით უნდა ჩატარებულიყო. გატენილი თოფებით შეიარაღებული ორი ასეული და პოლკის ორკესტრი გამოიყვანეს თავადისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად, სამგლოვიარო მუსიკა დააგუგუნეს და პროცესია ნელი გზით გაუყვა გზას.

მე ცოტა ხნით ადრე ხელმღვანელობის ნებართვით კერძო ოთახი დავიქირავე ქალაქში, რათა რამდენიმე წერითი სამუშაო შემესრულებინა. სამგლოვიარო მუსიკა რომ გაისმა, ჩემთან ჩემი დიასახლისი მოვიდა და ჟესტებითა და მიმიკით მკითხა, ჯარისკაცი ხომ არ გარდაგეცვალათო. „ნაკაშიძე", – ვუთხარი მე. უნდა გენახათ, რა დაემართა ქალს! გაფითრებულმა შეშლილი სახით შემორეკა შინ ბავშვები და მიიმალა. პროცესია ნელი რწევით მიიწევდა წინ; კუბოს მისდევდა ორი მოხუცი კაცი–მიცვალებულის ნათესავები, ორკესტრი და სამასი გულგრილი გამომეტყველების ჯარისკაცი. არცერთი სული ქალაქის მოსახლეობიდან! ქუჩის ბიჭებიც კი, სხვა დროს მხიარულად ჯგროდ რომ აედევნებოდნენ ხოლმე ორკესტრს, ახლა სადღაც გადამალულიყვნენ. ეს მოხდა დილის 10 საათზე.

იმავე დღის ნაშუადღევს საზეიმოდ გამოწყობილი უამრავი ხალხი ჩვენი ქუჩის გავლით გავიდა ქალაქიდან. ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ შეძლო ამ უცნაური გასეირნების მიზეზის გამოცნობა. რამდენიმე ხნის შემდეგ, საპირისპირო მხრიდან სამგლოვიარო გა-

ლობა მოისმა და მთელი ეს ხალხი – დიდებული პროცესია – ქალაქში დაბრუნდა. წინ უბრალო ურემი მოუძღოდათ, რომელზედაც შეუღებავი ხის კუბო იდგა. როგორც შევიტყვეთ, ის, ვისაც ასეთი პატივი მიაგეს, ორი დღის წინ გარდაცვლილი ყველასათვის უცნობი უბრალო სოფლელი გლეხი ყოფილა, რომელიც ახლა ქალაქის ეკლესიის ეზოში უნდა დაეკრძალათ. ეს იყო დემონსტრაცია, ეშმაკურად მოფიქრებული, უწყინარი დემონსტრაცია, ისეთი მშვიდობიანი, რომ თვით კაზაკებმაც ვერაფერი იღონეს მის წინააღმდეგ.

მარტიდან აგვისტომდე მარტო მშვიდობიანი დემონსტრაციები იმართებოდა და დამსჯელი კორპუსის საქმიანობა მხოლოდ წმინდა პოლიციური ფუნქციებით შემოიფარგლებიდა: ომნიბუსებს ჩხრეკდნენ და იარაღს ეძებდნენ; ზოგჯერ ღამით რომელიმე სოფელს ალყას შემოვარტყამდით და ავაწრიალებდით ხოლმე. ასეთ დროს, როგორც შემდგომ არაერთგზის უთქვამთ ჩვენთვის, მოსახლეობა ყოველთვის შვებით ამოისუნთქავდა, როცა შეამჩნევდა, რომ მყუდრიების დამრღვევნი ინფანტერისტები იყვნენ და არა კაზაკები. ექვსი თვის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ წარმოიქმნა ჯარის ხალხთან შეტაკების საშიშროება, მაგრამ მაშინაც, თადარიგის ოფიცრების წყალობით, ინციდენტმა უსისხლოდ ჩაიარა. სხვა მხრივ, ურთიერთობა ხალხსა და სამხედროებს შორის გარეგნულად ნორმალური ჩანდა: ურმებით მოჰქონდათ გლეხებს ხილი და ყურძენი ჯარისკაცებისთვის და ესენიც რუსი ჯარისკაცისთვის დამახასიათებელი გულკეთილობით ცდილობდნენ, ადგილობრივი მოსახლეობის ადათ–წესების გათვალისწინებით მათთან კარგი ურთიერთობა დაემყარებინათ. სამხედროების სიმრავლემ ხალხს შემოსავლების ახალი, სოლიდური წყარო გაუჩინა, და როცა შემდეგ სამხედრო მდგომარეობის გაუქმებაზე დაიწყო ლაპარაკი, გაქნილმა ქართველმა ვაჭრებმა ხმები დაყარეს, თავდასხმები და შეთქმულებებია მოსალოდნელიო, და ჩვენი შეფი, გენერალი ალიხანოვი, ანონიმური წერილებით აავსეს. სრული სერიოზულობით ლაპარაკობდნენ, არის იმის მომასწავებელი ნიშნები, რომ გურიის ყოფილ მთავართა შთამომავლის, თავად გურიელის ძველ სასახლეში ღამღამობით საეჭვო ამბები ხდებაო. ასეთმა ჭორებმა მრავალი ზედმეტი უსიამოვნება, გაუგებრობა და მღელვარება წარმოშვა, ისე რომ, ბოლოს ყველას მართლა ნერვიული განწყობილება დაეუფლა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ წამოგვახტუნეს ღამით ცრუ განგაშის გამო. უკი-

დურესად დაძაბულნი ველოდით ერთ წვიმიან ღამით რაღაც საშინელებას, როცა შუაღამისას მთელი ბანაკი უეცრად გაანათა სინათლის სშრაფად მოძრავმა ჭავლმა და ეს რამდენჯერმე განმეორდა. ყველა რაზმი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანეს, ოთხივ კუთხივ პატრულები აფრინეს. სხვა რა უნდა ეფიქრა კაცს, თუ არა ის, რასაც ხშირად წინასწარმეტყველებდნენ: ალბათ, გურულებმა მთებში მიტრალოზები და ქვემეხები აზიდეს და ახლა პროჟექტორით ანათებენ ბანაკს, რათა ერთბაშად დაგვცხონო. დილითღა გაირკვა ამ „ტრაგიკული მოვლენის" ფრიად კომიკური მიზეზი: ბათუმის დიდი საზღვაო პროჟექტორი იმ ღამით რატომღაც ხმელეთისკენ მოებრუნებინათ და ღრუბლების ხელსაყრელი განლაგების გამო მის შუქს დაახლოებით ორმოცი კილომეტრით დაშორებულ ჩვენს ბანაკამდე მოუღწევია... ჩვენი ნერვიული განწყობილება, რა თქმა უნდა, შორეული აღმოსავლეთიდან მოსულმა სამწუხარო ცნობებმაც გააძლიერა.

თუ ურთიერთობა ხალხსა და ჯარისკაცებს შორის, როგორც უკვე ვთქვით, ასე თუ ისე გაიბა, ქალაქის ინტელიგენციასთან ოფიცერთა კორპუსმა ვერა და ვერ მოახერხა დაახლოება, თუმცა აშკარად გამოხატავდა თავის კეთილ ნებას ამ მიზნის მისაღწევად. ღია ცის ქვეშ მოწყობილი კონცერტები, რომლებიც, ჩვენი შეფის განკარგულებით, მეგობრული ურთიერთობების დასამყარებლად იმართებოდა, გურულების მიერ დემონსტრაციულად ბოიკოტირებულ იქნა. გამოჩნდებოდნენ თუ არა საღამოობით ოფიცრები ქალაქის კლუბის დარბაზში, სადაც მათ, რა თქმა უნდა, ვერ აუკრძალავდნენ შესვლას, ქალაქის „კეთილგანწყობილი" ელემენტები შენობას ტოვებდნენ. შეუზღუდავი უფლებების მქონე რევოლუციური კომიტეტისაგან ქალებსა და გოგონებს ეკრძალებოდათ სამხედროებთან არამარტო ურთიერთობა, არამედ მათი უბრალო გაცნობაც კი. ამ სტრიქონების ავტორი ერთერთი იმ მცირეთაგანი იყო, ვინც მოახერხა ქალაქის ინტელიგენტურ წრეებთან კონტაქტის დამყარება, და მათთან გატარებულ დროს ყოველთვის სიამოვნებით მოვიგონებ.

ერთხელ, საყოველთაო გაფიცვისას, დავალება მივიღე, ნატანებიდან ოზურგეთში დაცვის თანხლებით ჩამეყვანა საქონლით დატვირთული ტრანსპორტი. როცა ჩემი რაზმით ნატანებში ჩავედი, სადგურზე ექვსიოდე ქალი დავინახე თორმეტამდე ბავშვითურთ, რომლებიც სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ეტლებისა და ომნიბუსების მოძრაობა გაფიცვის გამო შეჩერებუ-

ლი იყო; რა ფულიც უნდა შეგეძლია, ეტლს კი არა, ცხენსაც ვერ იშოვიდი, რადგან გაფიცვის დამრღვევს სიკვდილი ემუქრებოდა. ორ დღეს ისხდა ეს ხალხი და ხმელი პურით იკვებებოდა, რადგან სურსათით ვაჭრობაც აკრძალული იყო. არც მატარებლები დადიოდნენ. ერთმა ხნიერმა ქალბატონმა შემომტირა, ბავშვებს ერთ-ერთ თქვენს ფურგონზე დავსხამთ, ჩვენ ფურგონს ფეხდაფეხ გამოვყვებით და ოზურგეთამდე ჩაგვიყვანეთო. ამისი უფლება არ მქონდა, მაგრამ უკეთესი გამოსავალი ვიპოვეთ: ორიოდე ჯარისკაცითურთ ომნიბუსების სადგურს მივადექი, ავარჩიე სამი საუკეთესო ეკიპაჟი, შევაბმევინე ცხრა საუკეთესო ცხენი, საფასური მაგიდაზე დავდე და ქალაქისაკენ გავაქროლებინე ჯარისკაცებს ომნიბუსები. ამ ყოჩაღ ცხენებს ეს მანძილი ასე სწრაფად, ალბათ, არასოდეს დაუფარავთ! ამრიგად, თუმცა გაფიცვა დავარღვიე, მაგრამ გაითვალისწინეს, რომ ეს არც უფროსების გულის მოსაგებად ჩამიდენია და არც ეგოისტური ინტერესების გამო, და ეს საქციელი არ ჩამითვალეს დანაშაულად, პირიქით: მე მოვახერხე (თანაც ისე, რომ არ დამჭირვებია ჩემი აზრი გამომეთქვა ჩვენი ოფიციალური პოზიციებიდან შეუწყნარებელი რევოლუციური მოძრაობის თაობაზე) შესაბამისი წრეების ისეთი სიმპათია და ნდობა მომეპოვებინა, რომ ერთხელ ნება დამრთეს გადაცმული დავსწრებოდი ერთ საიდუმლო, თუმცა საკმაოდ უწყინარ მიტინგს. როგორც შექმნილი ვითარების უკეთესი მცოდნე, ზოგჯერ შუამავლის როლს ვასრულებდი და ამით ჩემს უფროსობასაც ვუწევდი სამსახურს. ჩემ მიერ ოზურგეთში ჩაყვანილი ხალხი ავტორიტეტულ წრეს ეკუთვნოდა, რომელსაც რევოლუციური პარტიაც პატივს სცემდა. ერთ ახალშეძენილ მეგობართან ერთად ისეთ ადგილებსაც მოვინახულებდი ხოლმე, სადაც სხვები სამხედრო დაცვის გარეშე ვერ ბედავდნენ გავლას, მით უმეტეს, რომ რამდენჯერმა დაესხნენ თავს ჯარისკაცებს და განაიარაღეს. რა დამავიწყებს ფეხით გასეირნებას უძველესი, ველური რომანტიკით გარემოცული ნანგრევებისაკენ ლიხაურში, რომლის ისტორია ქრისტიანობის დასაწყისს სწვდება. ამ ნანგრევებზე ჩვენთან, ბანაკში, საშინელ ამბებს ჰყვებოდნენ: თითქოს მის ახლომახლო იარაღით სავსე სარდაფები იყო მოწყობილი; იმავე ნანგრევებთან, ეზოში, დადეს საზეიმო ფიცი მოძრაობის მეთაურებმაო, იქვე იკრიბება რევოლუციური საიდუმლო ტრიბუნალიც, რომელმაც ნაკაშიძეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანაო. მოკლედ, ამ ლიხაურს თანამედროვე რიუტლად წარმოსახავდნენ.

მე იქ სხვა ვერაფერი ვნახე, გარდა ვეებერთელა, ძველი, მშვენიერი სუროებით გარშემორტყმული ნასახლარისა, რომელშიც ათასობით ღამურა ბუდობდა, ხოლო მისი ქონგურებიდან დიდებული სანახაობა იშლებოდა ზღვამდე.

ძირძველი გურული ოჯახების ცხოვრებასაც გავეცანით (მე და ერთი ჩემი კოლეგა, რომელიც ახლა ცოცხალი აღარ არის). ბევრი რამ იყო იქ ჩემთვის უცხო და გაუგებარიც, მით უფრო, რომ ენა კარგად არ ვიცოდი; მაგრამ აქაც ყველგან იგრძნობოდა გურული ხასიათის თავისებურება: იშვიათი შერწყმა სიამაყისა და კეთილშობილებისა, ერთი მხრივ, და მსწრაფლაღგზნებადი, ფიცხი ტემპერამენტისა, მეორე მხრივ. და აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, რომ ლაღი, ხალისიანი, მზიური ტემპერამენტის გამო გურულები, უპირატესად ცხოვრების ხელოვანნი არიან. ოჯახში ქალი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, თავის ოთხ კედელს შორის იგი სრული მბრძანებელია, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც არაფრით დგას მამაკაცზე უკან – თვით კონსერვატიულ წრეებშიც კი, რომლებიც ახალ სოციალურ იდეებს არ თანაუგრძნობენ. ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ ეს ხალხი მუდამ მაჰმადიანებით გარშემორტყმული ცხოვრობდა და ახლაც მათი უშუალო მეზობელია. სახალხო განათლება უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე (სხვაგან) რუსეთის დიდ იმპერიაში, რისი გარეგნული გამოხატულება სოფლის სკოლათა მშვენიერი შენობებიც გახლავთ. მაგრამ, სამწუხაროდ, მოსწავლე–ახალგაზრდობაც პოლიტიკურ და იდეურ ბრძოლაშია ჩართული.

აგვისტომდე ვიდექით ოზურგეთთან, ვიდრე, გუბერნატორ სტაროსელსკის დაჟინებული მოთხოვნით, არარატისკენ არ დაგვაბრუნეს, და საბრძოლო მდგომარეობა გურიაში გაუქმდა. გულისტკივილით დავშორდი ამ გულთბილ ქვეყანას. სამწუხაროდ, მშვიდობამ დიდხანს არ გასტანა: 20 აგვისტოს უკვე ჩვენს ყაზარმებში ვიყავით, 25 აგვისტოს კი ბრძანება მოვიდა, კვლავ გურიისაკენ დავძრულიყავით, სადაც გურიის რესპუბლიკა გამოცხადდა და ოზურგეთი რევოლუციური მთავრობის ადგილსამყოფელი გახდა! მაგრამ ოზურგეთამდე ველარ მივაღწიეთ: რკინიგზა დაზიანებული იყო და გზებს აჯანყებულები აკონტროლებდნენ. იძულებულნი გავხდით ქუთაისში დავრჩენილიყავით და ოზურგეთი მეტად აღარ მინახავს. მოგვიანებით სხვა ოფიცრებისაგან შევიტყვე, რომ რუსებს ქვემეხები აუტანიათ ქალაქის პირდაპირ მდებარე გორაკზე, სადაც ხის ძველი სამლოცველო

იდგა, და ნახევარი ოზურგეთი მიწასთან გაუსწორებიათ. მრავალი კვირადღე გამიტარებია ამ მზიან გორაკზე, ბალახზე წამოწოლილი ვტკბებოდი მშვენიერი ხედებით, ხშირ სიმწვანეში მოელვარე ჭრელი სახურავების ცქერით. ზოგი ჩემი მეგობარი საველე სამხედრო სასამართლოს განაჩენით დაუხვრეტიათ, ბევრი მთებში გახიზნულა.

ამჯერად ჩვენი ჯარისკაცების დამოკიდებულებაც მეამბოხეებისადმი სხვაგვარი იყო: მოსისხლე მტრებივით იდგნენ ისინი ერთმანეთის პირისპირ. ეს არც იყო გასაკვირი. ქუთაისში შესვლისთანავე აჯანყებულებმა ჩვენი ეშელონი ლიანდაგიდან გადააგდეს და საფარიდან დაუშინეს ტყვიები. ჩვენი ბატალიონის მეთაური, ვიცეპოლკოვნიკი ა., ძალიან საყვარელი ოფიცერი და რვა ჯარისკაცი დაიღუპა ამ დროს, ბევრი დაიჭრა. უნდა გენახათ, როგორ გამოიცვალნენ ჩვენი, ჩვეულებრივ, მშვიდი ჯარისკაცები! ისინი, ვინც მატარებელი გადააგდო, მიიმალნენ, მაგრამ მათ მაგივრად მათივე თანამემამულეებს უნდა ეზღოთ მწარედ. ამ მომენტიდან მოკიდებული ჯარისკაცები ისე ირჯებოდნენ, როგორც მტრის ქვეყანაში; ხშირად ჭირდა მათი შეკავება, რომ მეტისმეტად უსამართლოდ არ მოქცეულიყვნენ. სწორედ ამ დროს ოზურგეთთან, ჩემთვის კარგად ნაცნობ გზაზე, რომელიც სოფელ ჩოხატაურისკენ მიემართება, თვრამეტი კაცისაგან შემდგარ კაზაკთა პატრულს ჩაუსაფრდნენ და ერთიანად ამოჟლიტეს. მოგვიანებით სოფელი ჩოხატაური მიწასთან გაასწორეს. მოკლედ, ნამდვილი ომი დაიწყო. ასე რომ, გურიის ნაციონალურ არსებობას დიდი დღე აღარ უწერია. ამიტომ გადავწყვიტე ცოტა რამ მომეთხრო მკითხველისათვის ამ მამაცი, თავის თავში დარწმუნებული ხალხის ცხოვრებაზე.

დეკემბერში თადარიგიდან გაწვეულები დაგვითხოვეს. თავისებური იყო ჩემი დაბრუნება შორეული სამხრეთიდან რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში. უმთავრესი სიძნელეები მაინც კავკასიაში შეგვხვდა. თბილისში მღელვარება სუფევდა, რკინიგზის სადგური სამხედროებს ეჭირათ და ქალაქში შეღწევა შეუძლებელი იყო. ბაქოში ცეცხლი ეკიდა ნავთობის შადრევნებს. ვაგონებს ლტოლვილი სომხები აწყდებოდნენ, მერე გაქანებულ მატარებელს ამბოხებულები უშენდნენ ტყვიას; როსტოვის მისადგომებთან შეჯახება ჩეჩნების მიერ გადაბრუნებულ, დალეწილ საფოსტო მატარებელთან, დახოცილებითა და დაჭრილებით რომ იყო სავსე; როსტოვში საბარიკადო ბრძოლები და ასე შემდეგ. მოსკოვის რევოლუციის

გვერდის ავლით პერმისაკენ ავიღეთ გეზი. ხან თბილისში კანონიერად შეძენილ ბილეთებს ვიღებდით ჯიბიდან, ხანაც იძულებულნი ვიყავით საგაფიცვო კომიტეტის მიერ „სათადარიგოებზე“ გაცემული ნებართვები წარგვედგინა.

მაგრამ ამ ჭრელ და ამაღელვებელ ამბებს არ შეეძლო, ის ტკბილ–მწარე შთაბეჭდილებები წაეშალა, მე რომ ბედშავი, ლამაზი, ამაყი და ესოდენ დაჩაგრული გურიიდან სამუდამოდ გამომყვა.“

1906

ილია სამოქალაქო ომის წინააღმდეგ. საქართველოს ავტონომიის საკითხი. ილიას არჩევა სახელმწიფო საბჭოში. ილია და სახელმწიფო საბჭო.

ილია პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს წევრებს შორის

„ახალეთ თავში ეგ იარაღი იმათ, ვინც დაგირიგათ".

(ილია)

რევოლუციას, თუ ის ხიშტითა და ზარბაზნების ქუხილით ცდილობს დამკვიდრებას, როგორც წესი, თან ახლავს საყოველთაო ავადმყოფობა, – ადამიანების დიდი ნაწილი კეთილგონიერებას კარგავს.

სიცოცხლეს ფასი ეკარგება. ხალხი დაუნდობლად ჟუჟავს ერთმანეთს და საზოგადოების დიდ ნაწილს სინანულის ადამიანური გრძნობა თითქოს წართმეული აქვს. სისასტიკე და დაუნდობლობა, – აი, ყოველი რევოლუციის თანმხლები სენი, რომლის განკურნებას ველარ ახერხებს საზოგადოების კეთილგონიერი ნაწილი და ისინიც გადარჩენის ინსტინქტით ცხოვრობენ.

კავკასიაში რევოლუციურ სიტუაციას თან დაერთო სომეხ–თათართა შეტაკებები, რომელიც ბაქოში დაიწყო და თბილისსაც გადმოსწვდა.

პირველი შეტაკებები თბილისში სომეხ-თათართა შორის 1905 წელს ნოემბერში დაიწყო და ეს ბრძოლები 1906 წელსაც გაგრძელდა. სომხები და თათრები, სადაც ერთმანეთს გადაეყრებოდნენ, ჩიტებივით ხოცავდნენ ერთურთს. ღამით სახლის ჭიშკარზე მიახატავდნენ წითელ ჯვარს (ეს ბათუმსაც გადაედო), რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ სახლში მსხვერპლი ცხოვრობდა და ოჯახი უნდა ამოეწყვიტათ, სახლი გადაებუგათ. ბორჩალოდან აზერბაიჯანელთა შეიარაღებული რაზმები დაიძრნენ თბილისელ თანამოძმეთა დასახმარებლად, ერევნიდან – სომხური რაზმები. თურქეთიდანაც ემზადებოდნენ სომეხთა შეიარაღებული ფორმირებები თბილისში ჩამოსასვლელად. ქართველები შუაში ჩადგნენ – თითქმის ყველა ფენა, ყველა პარტია. ჩვენმა ინტელიგენციამ იცოდა, ვინ ასხამდა ცეცხლზე ნავთს. მაგალითად, როცა ბათუმში სომეხთა სახლებზე წითელი ჯვრები გაჩნდა (ასე ხდებოდა თურქეთში სომეხთა ჟლეტვის დროს), აღმოჩნდა, რომ ეს ჯვრები რომელიმე მუსლიმანს კი

არა, ღამით რუს „დვორნიკს" დაუსვამს. შეშინებული ოჯახები ქალაქიდან იყრებოდნენ. ქალაქის თავმა ამხილა, თუ საიდან მოდიოდა ეს პოლიტიკა. შემთხვევით არ წერდა აკაკი სომეხ–თათართა ხოცვის გამო:

„ორთავეს მტერი ერთია
შორეულ გადამთიელი,
ერთ ტაფაშია ორივე,
ერთი ადგიათ უღელი".

სომეხ-თათართა ბრძოლა გენერალმა ვარდენ წულუკიძემ აღკვეთა. ეს ის ქართველი გენერალია, რომელსაც 1923 წელს კოტე აფხაზთან ერთად დახვრეტენ ბოლშევიკები. საერთოდ, ქართველები თავგამოდებულნი ჩადგნენ სომეხ–თათართა შორის გამშველებლად, მათ შორის თავიანთ ინტერნაციონალურ ვალს დიდის მონდომებით იხდიდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც, რომელთაც 500 ცალი „ბერდენკა" მეფისნაცვლის ბრძანებით დაურიგეს...

იმავდროულად იგივე სოციალ-დემოკრატები სასტიკნი იყვნენ მემამულეთა წინააღმდეგ. კლასთა ბრძოლაში დაღვრილი სისხლი მათთვის წმინდა საქმისთვის დაღვრილი სისხლი იყო. მათ მიერ შექმნილი წითელი რაზმები მთელი 1905 წლის მანძილზე ატერორებდნენ, ხოცავდნენ მქონეებელთა ოჯახებს. ტერორმა ისეთი საყოველთაო ხასიათი მიიღო, რომ სოფლებიდან თავადაზნაურობა აიყარა და ყველამ თბილისს შეაფარა თავი. სახლ–კარის გადაწვა–განიავებას აღარ დაეძებდნენ, მთავარი იყო სული შეენარჩუნებინათ. 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მარცხით დამთავრდა. ახლა მეფე გაძლიერდა და თავადაზნაურობას ძალა მიეცა. იმპერიაში ყველგან იქმნებოდა შავი რაზმები. ასეთი რაზმები თავად-აზნაურთა შემადგენლობით შეიქმნა საქართველოშიც აბდუშელიშვილის ხელმძღვანელობით.

1906 წელს ახლა აბდუშელიშვილის რაზმელები არიან დიდ გულზე და სამაგიეროს გადახდას უპირებენ გლეხებს. იარაღი თავიანთიც ჰქონდათ, მაგრამ მეფისნაცვალმაც ფეშქაშად ვინტოვკები დაურიგა.

შედგა კრება, როგორ უნდა ემოქმედა აბდუშელიშვილის რაზმს. დიდ სამოქალაქო ომს ილია ჭავჭავაძემ გადაარჩინა საქართველო. უკეთ ვინ გვეტყვის ამ ამბავს, თუ არა ამ კრების მონაწილე. მოვუსმინოთ არჩილ ჯაჯანაშვილს: „1905 წელს ტფილისში ჩამო-

ხიზნული თავად-აზნაურობა უმწეო ხროვას წარმოადგენდა. 1906 წელს კი პოლიტიკური ატმოსფეროს შეცვლა იმათაც იგრძნეს და კონტრიერიშისთვის დარაზმვა დაიწყეს.

თავადაზნაურობას, რასაკვირველია, თავისი მამულ–დედული და ფიზიკური არსებობის საკითხი აინტერესებდა. მაგრამ გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც სურდათ გაშიშვლებული კლასიურ–წოდებრივი ზრახვები რაიმე თვალებასახვევი სამოსელით დაეფარათ. ცნობილი აბდუშელიშვილის შავ რაზმს, რომელიც მეფის ნაცვლის მიერ ბოძებული ვინტოვკებით იყო შეიარაღებული, თავისი „იდეოლოგიც" გამოუჩნდა. ეს იდეოლოგი იყო მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი. მაჩაბელი ცდილობდა საზოგადოებისათვის დაემტკიცებინა, რომ აბდუშელიშვილის რაზმი რაღაც პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა და რომ რაზმი საჭიროა შეიარაღებისთვისო.

ამ საკითხის შესახებ დიდი თათბირი გაიმართა თავადაზნაურების დეპუტატთა საკრებულოში. თავმჯდომარეობდა თავადაზნაურთა წინამძღოლი (მარშალი) კამერ იუნკერი გ. ბაგრატიონ–დავითაშვილი. მიხეილ მაჩაბელმა ის იყო დაამთავრა შავი რაზმის აპოლოგია, რომ უკანა რიგებში, სადაც „უცენზო" საზოგადოება შეჯგუფულიყო, ჩოჩქოლი დაიწყო. ხალხი ორად გაიყო და გზა დაუთმო ილია ჭავჭავაძეს, რომელიც დინჯად პირველ რიგებისკენ გაემართა და მძიმედ სავარძელში ჩაეშვა. ეხლაც დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თავმჯდომარემ სიტყვა მისცა მორიგ ორატორს. „უარს ვამბობ", გაისმა კუნჭულიდან. მიუბრუნდა მეორეს – „უარს ვაცხადებ"– იყო პასუხი. ლაპარაკი აღარავინ მოისურვა. მაშინ სიტყვა ილია ჭავჭავაძემ ითხოვა...

მას შემდეგ ბევრჯელ ვცადე, მაგრამ ვერსად ამ სიტყვის ჩანაწერის კვალსაც კი ვერ მივაგნე. სიტყვა–კი საყურადღებო იყო. ამ სიტყვაში ერთხელ კიდევ გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის დასრულებული, მთლიანი პიროვნება. „ოთარაანთ ქვრივი"–ს ავტორი და „ჩატეხილი ხიდი"–თ დასევდიანებული ილია აქ, ამ სიტყვაში, მთელი თავისი ინდივიდუალობით გამოჩნდა. სიტყვის სტენოგრაფიული სისწორით აღდგენა, რასაკვირველია, აღარ შემიძლიან, მაგშრამ აზრისა და ზოგ შემთხვევაში ცალკე წინადადებათა სისწორეშიც სრულს პასუხს ვაგებ...

აი, რა სთქვა მაშინ ილიამ: „ბატონებო! რაც ჩვენში ხდება, ყველგან მომხდარა. არ არის მსოფლიოში არც ერთი ერი, არც ერთი სახელმწიფო, ასეთი რევოლუციები რომ არ მომხდარი-

ყოს. ქარტეხილი გაივლის და ცხოვრება ისევ კალაპოტში ჩადგება. თავადაზნაურობას ბევრი აქვს მოცემული, ვისაც მეტი აქვს, იმას მეტი მოეთხოვება, რაც სხვას ეპატიება, თქვენ არ გეპატიებათ... ისეთს ნურაფერს ჩაიდენთ, რომ, როდესაც ეს ამბავი გადაივლის და თქვენ სახლში დაბრუნდებით, მეზობელთან პირი გქონდეთ შერცხვენილი და თვალებში შეხედვას ვეღარ უბედავდეთ. უნდა მოითმინოთ, მეტი გზა არა გაქვთ. ვისაც მოთმინება ვერ შეუძლიან და ვისაც გულისთქმა იმორჩილებს, სჯობს სოფელს დროებით თავი გააცალოს. ცოტახნით გაჭირვება სჯობიან სამუდამოდ დაღუპვასა და საშვილიშვილო მტრობის ჩამოგდებას თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის. რად გინდათ, ეგ იარაღი რომ აგისხიათ, ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხებისთვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი იმათ, ვინც დაგირიგათ!".

„უცენზო" საზოგადოება სიტყვას ტაშით შეხვდა. „ცენზიანებს" გუნება გაუფუჭდათ, შავი რაზმის „იდეოლოგი" მიხეილ მაჩაბელი, ილია ჭავჭავაძის ძველი მეტოქე, სკამზე მოუსვენრად ტოკავდა, მაგრამ განაჩენი უკვე გამოტანილი იყო: ილია ჭავჭავაძის სიტყვის შემდეგ აბდუშელიშვილის რაზმმა ვეღარ იბოგინა..."

სწორედ იმ კრებას, რომელსაც ბაგრატიონ–დავითაშვილი უძღვებოდა, „ქალის ტვირთში" აღწერს მ. ჯავახიშვილიც. მიხეილი ან ესწრებოდა ამ შეკრებას, ან ოქმი ჰქონდა წაკითხული, ამიტომ სურათის სისავსისათვის მის მონათხრობსაც გადმოგცემთ. ჯავახიშვილის მიხედვით ილიას უთქვამს:

„– ერი მრავალ მხრივ ჰგავს ცალკეულ ადამიანს, ზოგჯერ ერთსაც და მეორესაც მოარულივით შეუჩნდება რაიმე სენი და მანამდის ებრძვიან ხოლმე მას, სანამ არ მოინელებენ. მთელ მსოფლიოში ისეთ ერს ვერ იპოვით, რომ ოდესმე შფოთი არ აეტეხა, მთავრობას არ შებრძოლებოდა და ცხოვრების შეცვლა არ მოეთხოვნა. ახლა ეს სენი ჩვენს სამშობლოსაც შეეყარა, იმიტომ შეეყარა, რომ კანონი ცხოვრებას ჩამორჩა, სინამდვილემ დაძველებული წესწყობილება უკან ჩამოიგდო და მისი გადაკეთება მოითხოვა.

ილიას სუფთა ბოხი ხმა ჰქონდა და მის ხმაში ბეწვის ოდენა ბრაზიც არ ისმოდა. მეტად დინჯად, მკაფიოდ და უფორხილოდ ლაპარაკობდა. ყოველ სიტყვას მსმენელს უდაო კანონსავით უნერგავდა.

უკანასკნელ დროს ილია იმ აზრისა იყო, რომ პეტრე დიდის შემდეგ რუსული კანონი სინამდვილეს მუდამ წინ უსწრებდა და მხო-

ლოდ ახლა ჩამორჩაო. ეს აზრი ახლაც გაიმეორა, მერმე ოქტომბრის მანიფესტი გაიხსენა და განაცხადა:

– ამ მანიფესტის წყალობით კანონი ცხოვრებას დაეწევა და კიდევაც გაუსწრებს. მხოლოდ ზოგიერთი გულფიცხი და სულსწრაფი მოითხოვს, ცხოვრებას თავზე გადავახტეთ და ათასი წლის საქმე ათიოდ წელიწადში მოვათავოთო. მაგრამ, ბატონებო, სულსწრაფ ხალხს თავი დავანებოთ, ვინაიდან ისინი თავიანთ თავსა და თავიანთ საქმესაც თვითონვე ამოიჭამენ, ჩვენ კი ჩვენს საქმესა და სიტყვას ეს დედააზრი უნდა ჩავუგდოთ ბალავრად: ერი მარადიული ფენომენია, რევოლუცია კი დროებითი ქარტეხილი გახლავთ. იგი მოულოდნელად მოგვასკდება, ზოგ რამეს მიანგრევს, ზოგ ვინმეს დააზარალებს და გაჰქრება. წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვიშანი დარჩებიანო. დღეს თუ ხვალ ქარიშხალი ისევ ჩავარდება, ერი კი დარჩება და თავის მეთაურებს მკაცრად მოსთხოვს ანგარიშს. ნათქვამია, ყველა ჩვენი სიტყვა და საქმე საიქიოს იწერება და ერთიც იქნება, პასუხს გვაგებინებენო. ბატონებო, უცოდველი არც მე გახლავართ, მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ საიქიოს სამსჯავროზე უფრო მეტად სააქაო მსჯავრი მაშინებს. ამ მსჯავრისგან სიკვდილიც კი ვერ გვიხსნის. მკაცრი ისტორიკოსი ჩვენს მადლსაც და ნაკლსაც სასწორზე დასდებს და პირუთვნელ განაჩენს გამოგვიტანს. ზოგიერთს, ალბათ, იმ უცნობი შორეული ისტორიკოსისა სულაც არ ეშინიან. იმ ვაჟბატონებს მოვახსენებ, რომ ისტორიკოსი–მსაჯული ცოცხალია და დაუღალავადაც მუშაობს. ალბათ მკითხაცთ, ვინ არის, სად არისო? ის მსაჯული ხალხია, და იმ ერში ჩვენც ვურევივართ. დილით–დილამდის ერთმანეთს ვქექავთ, ვწონით და განაჩენიც გამოგვაქვს. ბატონებო, განგებას თავად-აზნაურთათვის დიდი უფლება მიუცია და დიდი ვალიც დაუდვია. ვისაც მეტი ერგო, იმას მეტიც მოეთხოვება. რაც სხვას ეპატიება, ჩვენ არ გვეპატიება, რაც სხვას არგებს, ის ჩვენ არ შეგვერგება. რად მოგახსენებთ ამას? ამას იმად მოგახსენებთ, რომ ბატონმა ახატნელმა (ეს მხატვრული ნაწარმოებია, უნდა გულისხმობდეს მიშო მაჩაბელს) წამლის მაგიერ შხამი მოგვაწოდა.

ამის გამგონე წინა რიგი შეირხა.

– მართალია!

– მართალია! შხამია! – დაიყვირეს უკანა რიგებში და მძლავრი ტაში დააყოლეს.

– მაშ ვინ უნდა გვიპატრონოს? – მიაწოდა ილიას ერთმა გენერალმა.

– ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ, – უპასუხა ორატორმა და განაგრძო: – მთავრობა ფულსა და იარაღს გვაწვდის. ასე მიაწვდიან ხოლმე მახვილსაც და ოქროსაც იმ ავაზაკს, ვინც ღვიძლი ძმის მოკვლას კისრულობს.

– აგრეა! მართალია! – კვლავ იხუვლა დარბაზმა.

– მაგრამ, ბატონებო, ჩვენ უფროს ძმად მოგვაქვს თავი, უფროსი კი იმად არის უფროსი, რომ ჭკუა მოიკრიფოს, შორს გაზომოს და ადრევე დაინახოს ის ღვარძლი, რომელიც იმის ნათესაობას მოსდევს. რის მაქნისია ის მებაღე, ვინც ყვავილს დასთესავს და ლენცოფას კი მოიყვანს? პატივცემულ ბატონ ახატნელს გულწრფელად ჰგონია, სურნელოვან ყვავილს ვთესავო, ის კი არ იცის, რა სისხლიანი ეკალნარი ამოუვა. აბა ერთი თაბაუთი გავწიოთ და ამ თავითვე ვიკითხოთ, რას გააკეთებს მემამულეთა ლაშქარი? მეტი რა საქმე ექნება: გლეხობას დაერევა, აიკლებს, შემუსრავს და ზღვა სისხლსა და ცრემლს დაღვრის. მერმე რაღას იქმს? მერმე დაიშლება და ყველა მოლაშქრე თავთავის სოფელს დაუბრუნდება. იქ პირისპირ შეხვდებიან ერთმანეთს ხელსისხლიანი მოძალადე და მისი მსხვერპლი – ქვრივი, ობოლი, ნაცემი და დაკოდილი გლეხები. რას ეტყვიან ისინი ბატონს? რა პასუხს გასცემს ბატონი იმ გაავებულსა და უბედურ ხალხს? რაღა პირით უნდა შეხედონ ერთმანეთს? მათ სიკვდილამდე უნდა იცხოვრონ მეზობლად და ისევ ურთიერთი უნდა სჭამონ და ხოცონ. რომელი თქვენგანი გაუძლებს ამგვარ ცხოვრებას? ვერავინაც ვერ გაუძლებს. ჩვენ იძულებული გავხდებით მამაპაპეულ მამულ–დედულს და საფლავებს თავი მივანებოთ, სამუდამოდ გამოვიქცეთ და აქაც მტერს შევეყარნეთ. ნუ, ბატონებო, ამ საშვილიშვილო დანაშაულს ნუ ჩავიდენთ, ათასი წლის კერას ნუ მოვიშლით, თორემ მომავალი თაობანი შეგვაჩვენებენ. მეც ვიცი, რა გაჭირვებაშია მემამულე, მაგრამ მოთმინების გარდა მეტი რა გზა დაგვრჩენია! სჯობს პურით და ყველით გავიტანოთ ჩვენი თავი, ვიდრე სამუდამოდ გადავეკიდოთ ერთმანეთს და ხალხში მისასვლელი გზა მოვიჭრათ. სჯობს ორიოდე წელიწადიც მოვითმინოთ და მერმე მოძმე გლეხობას თამამად გავუყაროთ თვალი თვალში, ვიდრე ჩვენი ერთობის ფუძე მოვარღვიოთ, გლეხობა უპატრონოდ დავტოვოთ, ჩვენ კი იქაც ფესვები დავიგლიჯოთ და ქალაქურ მიწაზეც ვერ ვიხაროთ. მაშ ეგ იარაღი რომ აგისხიათ, რა ოხრად გინდათ?! ახალი კი არა, ძველიც თავში ახალეთ იმას, ვინც დაგირიგათ. სისხლის დაღვრა არ გაბედოთ მეთქი, თორემ მწარედ ინანებთ და გვიანღა იქნება თითზე კბენა-

ნი. გეუბნებით, მტერი შხამს გვაწვდის მეთქი, და ვაი იმას, ვინც მას წამლად მიიჩნევს და ჩამოართმევს. ბატონებო, მე ჩემი მოგახსენეთ და დანარჩენი თქვენ იცით.

ილიამ სიტყვა დაასრულა და დინჯი ნაბიჯითვე გაემართა კარებისკენ იმ მსაჯულივით, რომელიც განაჩენს გამოიტანს და მაშინვე თავის ოთახისკენ გაბრუნდება ხოლმე.

კენჭის ყრა არ ყოფილა და კრებაც მაშინვე დაიშალა, ვინაიდან სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ."

1906 წლის დასაწყისში არა მარტო გურიას, არამედ ქართლს (განსაკუთრებით ხაშურის რაიონსა და იმერეთს) ალიხანოვ-ავარსკის ჯარმა ისე გადაუარა, ყველაფერი ნაცარ–ტუტად აქცია. საქართველოში რუსულ ჯარებს უიარაღო მოსახლეობის წინააღმდეგ ნამდვილი ომი ჰქონდათ გამართული. არ სჯერდებოდნენ ძარცვას, გადაწვას, გადასახადების შეწერას (ყვირილიდან არეულობის დროს ბოლშევიკების მიერ გაძარცული ხაზინის ფული ხალხს აზღვევინეს). არ ერიდებოდნენ ქალების გაუპატიურებას, იქცეოდნენ როგორც მტრის ქვეყანაში. ილია ნაკაშიძე, რომელიც ერთი წლის წინ სულთან კრიმ გირეის ახლდა გურიაში მოლაპარაკებებზე, ახლა გურიას ასე აღწერს: „მაშინდელი სოფლები, რაც ვნახე, ხატი იყო. დღევანდელი გურია კი საშინელი რამ ჯოჯოხეთია. კრიმ გირეის დროს სიცოცხლით სავსე სოფლები დღეს კარდახშულ სამარეს გვანან".

ერთადერთი ქალაქი, რომელიც ალიხანოვ–ავარსკის ჯარისკაცების ჩექმის ქვეშ არ გაითელა, იყო ფოთი. ფოთი გადარჩენას ნიკო ნიკოლაძეს უნდა უმადლოდეს. ნიკოს ძმა კონსტანტინე ნიკოლაძე იგონებს: „ნიკო მტკიცედ შეხვდა ალიხანოვს და უთხრა, რომ ქალაქის მთელი ქონება დაგირავებულია საზღვარგარეთ და თუ რაიმე ზიანი მოუვიდა, რუსეთის მთავრობა აგებს პასუხსო. ამ ფანდით გადაარჩინა ნიკო ნიკოლაძემ ფოთი სისხლისმღვრელი ალიხანოვის რაზმისგან განადგურებას".

ფედერალისტების გაზეთმა „ცნობის ფურცელმა" დეტალურად აღწერა ის საშინელებანი, რაც დამსჯელმა რაზმმა ხაშურიდან მოყოლებით იმერეთსა და გურიაში ჩაიდინა. გაზეთი დახურეს.

ჯერ კიდევ არ იყო დამსჯელი ექსპედიცია თავის ზენიტში, როცა იაკობ გოგებაშვილმა დაწერა წერილი, რომელიც სრულად გვაგრძნობინებს, რა ჩაიდინა რუსმა, რომლის მფარველობის საოდიდებელი სულ რამდენიმე წლის წინ, 1901 წელს, აღტკინებულად აღნიშნეს ვიეთნიმეთა.

აი, რას წერდა იაკობი:

„როცა წარსულს შემოდგომას გურიის დასასჯელად მთავრობა ჯარს ამზადებდა და კიდეც გაგზავნა, ქართველმა საზოგადოებამ უნარი გამოიჩინა და არა ერთი ღონისძიება იხმარა, რათა დასავლეთის მოძმეებისათვის ხიფათი აეცილებინა თავიდან და ახლა – კი, როცა თითქმის საქართველოს თავზე დაატყდა დიდი უბედურება, იგივე ქართველობა ხელსაც არ ანძრევს და გულ–გრილობას იჩენს.

ჩვენა გვგონია, რომ აქ მოქმედებს არა გულგრილობა, არამედ სხვა რამე, სრულიად წინააღმდეგი გულრილობისა. როცა ადამიანს ჩვეულებრივი უბედურება ეწვევა ხოლმე იგი ბევრს ჩივის, ხშირად სტირის კიდეც და თავის სიმწარეს გარეგანის ნიშნებით ხატავს, აქვეყნებს. ხოლო თუ მას თავზე დაატყდა არა ჩვეულებრივი, აუტანელი უბედურება, რომლის მოშორებაც შეუძლებლად მიაჩნია იგი არცა სჩივის და არც სტირის, არამედ სასოწარკვეთილებაში ვარდება და ქვავდება.

მთელი დასავლეთი საქართველო მოიცვა აუარებელმა უბედურებამ, იმისთანა უბედურებამ, რომელიც არ გადახდენია ჩვენს მრავალ-ტანჯულს ქვეყანას არასოდეს.

ის, რაც გაზეთებში იწერება იმერთა დაწიოკეის შესახებ, უნდა ათჯერ ამრავლოთ, ათჯერ აიღოთ, რათა საშინელს სინამდვილეს, საზარელს სიმართლეს მიუახლოვდეთ. ხალხი მთლად განადგურებულია ქონებრივად, ოთხი-ხუთი ტყავი აქვს გამძვრალი, სხეული შეურაცხყოფილი, სული შეგინებული, და ჩავარდნილია თავზარდაცემულის მონების მდგომარეობაში...

ყველაზე საზარელი აქ არის ზნეობრივი სიკვდილი ქართველებისა, მათი ნამუსის ახდა. სადამდის მიდის ეს უკანასკნელი უბედურება, ცხადად სჩანს იქიდან, რომ ანანოვის მამულში მისულს ყაზახებს ნამუსი აუხდიათ იქაური სოფლის თითქმის ყველა ქალებისათვის, რომელთა შორის უთუოდ ერივნენ თერთმეტ-თორმეტის წლის ნორჩი გოგოებიც...

ამისთანა საქვეყნო საზარლობის ატანა შეუძლია მხოლოდ მაგარ ყმაწვილურ ნერვებს. ხნიერს ნერვებს კი იგი სთრგუნავს, საშინლად შლის, აქვავებს...

სწორედ ეს არის მიზეზი იმისი, რომ მას უკან, რაც დასავლეთის საქართველოს განადგურება დაიწყო ნერვებით ავადმყოფობამ ძლიერ იმატა არა მარტო იმერეთ შორის, როგორც სწერდა ორესტ სემენი, არამედ ამერთა შორისაც...

ხოლო ვინც საღი ნერვები და საღი სული შეინარჩუნა, მოვალეა მხნედ იზრუნოს ქვეყნის უბედურების შემცირებისათვის. ამას მოითხოვს ადამიანური სიბრალული, ქრისტიანობრივი გრძნობა, ქართული მამულიშვილობა".

ქვეყნის შველის ერთადერთი იმედი ახლა სახელმწიფო საბჭოა, სადაც ქართველ თავად-აზნაურებს უფლება ეძლევა ერთი წარმომადგენელი ჰყავდეს საქართველოს თავად-აზნაურთა წინამძღოლის მისიით.

იქნებ სახელმწიფო საბჭოდან იმპერიის მესვეურთ გააგებინონ, შეაგნებინონ ქართველთა ვარამი და საჭიროებანი.

ყველას თვალი ისევ ილია ჭავჭავაძისკენ გაექცა. სთხოვეს, დაამუნათეს, მისი უარი არ მიიღეს და 1906 წლის 9 მარტს ხმოსნად აირჩიეს.

რას ნიშნავდა ხმოსნად არჩევა?

17 ოქტომბრის მანიფესტით უნდა შემდგარიყო საკანონმდებლო ორგანო ორი პალატით. 1) სახელმწიფო სათათბირო 2)სახელმწიფო საბჭო.

სახელმწიფო სათათბიროს ირჩევდა მოსახლეობა – ხმოსნები სხვადასხვა ფენიდან.

სამწუხაროდ იმ წელიწადს სათათბიროში ერთი სოციალ – ფედერალისტის, იოსებ ბარათაშვილის გარდა, საქართველოდან ყველა სოციალ – დემოკრატი აირჩიეს...

სახელმწიფო საბჭოში კი წარმომადგენელი უნდა აერჩია რუსეთის თავად-აზნაურთა კრებას. აი, ამ კრებაზე გასაგზავნი იყო 4 ქართველი ამომრჩეველი – ხმოსანი. 2 თბილისის და 2 ქუთაისის გუბერნიიდან. ამ 4 კაცში თბილისის გუბერნიიდან ერთი დასახელებული გახლდათ ილია, მეორე იყო მიხეილ გედევანიშვილი (ექიმი). ქუთაისის გუბერნიიდან კი ნიკო ნიკოლაძე და ვლ. მიქელაძე.4 კაციდან რუსეთის თავად-აზნაურთა კრებაზე დაასახელებდნენ ერთს, რომელსაც აირჩევდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრად. იმ ერთ ადგილზე იმთავითვე ილიას წარდგენა იყო გადაწყვეტილი. თბილისში ილია 9 მარტს გამართულ კრებას არ დასწრებია, 40-მა კაცმა დაუსწრებლად მისცა ხმა, წინააღმდეგ წავიდა ვასილ მაჩაბელი, ძმა ივანე მაჩაბლისა. მან წინასწარ განაცხადა ამის შესახებ...

ილია პეტერბურგში წასასვლელად ემზადება. ემზადება მკერდით გადაეფაროს მის დაწიოკებულ სამშობლოს, ემზადება რათა აგრარული საკითხების სამართლიანი გადაწყვეტა მოხდეს იქ, სა-

დაც ჯერ არს. როცა ბატონყმობა გადავარდა და ილია ჰქადაგებდა, გლეხი და ბატონი უფლებრივად უნდა გათანასწორდეს თორემ ეს პრობლემა წინ დაგვხვდება, ძალით წაიღებენ იმას, რასაც თქვენ ნებით არ თმობთო, – მაშინ არ დაუჯერეს და აი, შედეგიც.

ემზადება მკერდით დაიცვას საქართველოს ავტონომიის საკითხი. ემზადება საქართველოს ეკლესიას კვლავ აღუდგინოს რუსთაგან წართმეული ავტოკეფალია. ილია სუფრაზე არ იტყოდა სიტყვას წინასწარ დაფიქრების გარეშე და წარმოიდგინეთ, რა ფიქრებს მოუცავს მისი გონება, სულ ცოტა ხანში ხომ მთელი საქართველო უნდა წარმოადგინოს იმ ხელისუფლებასთან, რომელსაც აქამდე ცენზურაში წვალებით გატანილი ალეგორიებითა და მინიშნებებით ელაპარაკებოდა. ახლა შანსი აქვს რასაც წერდა, რასაც ოცნებობდა, ამისი პრაქტიკული გადაწყვეტისათვის იბრძოლოს. მარტო ის რად ღირს, მოთხრობაში „სარჩობელაზედ" სიკვდილის დასჯის მთელი საშინელება რომ დახატა, ახლა შეუძლია იბრძოლოს და კანონით აკრძალოს სიკვდილით დასჯა.

რაც მთავარია, პასუხი უნდა მოსთხოვოს იმას, ვისი ქვეშევრდომნიც კლავენ, ძარცავენ, აუპატიურებენ ილიას სისხლსა და ხორცს. ნამუსს ხდიან მთელს ქვეყანას. ეს რომ ასეთი ბრძოლებისთვის ემზადება, მოულოდნელად, ქუთაისის გუბერნიის თავად – აზნაურობის სახელით, 30-მდე კაცი იმპერატორს სამადლობელი ღაღადისით მიმართავს 17 ოქტომბრის მანიფესტის გამო. ილიამ ეს პირად შეურაცხყოფად აღიქვა.კიდევ ერთ ნასროლ ტყვიად მიიჩნია ავარსკის მიერ დახვრეტილ ხალხზე, დაცინვად გაუპატიურებულ მანდილოსნებზე.

შარშან ამ დროს ქუთაისის თავადაზნაურობამ საქართველოს ავტონომიის საკითხს დაუჭირა მხარი. ახლა, ერთ წელიწადში , ამდენი რბევა-აწიოკების შემდეგ, რა გამოცხადება იხილეს ასეთი, რომ იმპერატორს მადლობის სამარცხვინო წერილს უგზავნიან? ილია თავს ისე გრძნობს, თითქოს მიპარვით, ზურგიდან მახვილი ჩაერტყათ. მარტის ბოლოს პეტერბურგს უნდა გაემგზავროს. მანამდე, 23 მარტს მოკლე, მაგრამ მწარე წერილი უძღვნა მათ გაზეთის მეშვეობით.

იმერეთის თავადაზნაურობის სულმოკლეობა

ჰამლეტი:
„ჯერეთ ერთი თვე ძლივს გასულა,
არ გასცვეთია ჯერ ფეხსაცმელი,

რომლით იგი, ცრემლის მფრქვეველი,
მისდევდა კუბოს უბედურის მამიჩემისას!
და ეხლა კი დაქორწილდა –
ოჰ, ზეცის მადლო!"

შექსპირი

სწორედ შარშან ამ დროს იმერეთის თავადაზნაურობამ, ხალხის ძლევამოსილ მოძრაობით გამოღვიძებულმა, ხმა ამოიღო, მოითხოვა ავტონომია ჩვენის ქვეყნისათვის. არ გასულა ერთი წელიწადი, – „არ გასცვეთია ჯერ სამოსელი, რომლით იგი ცრემლისმფრქვეველი" ხალხის მოძრაობას ბანს აძლევდა ეს თავადაზნაურობა და, აი, ეხლა სულ სხვა ჰანგზე მღერის და თავის ჩვეულებრივ, საუკუნეობით ნაცად და გაცვეთილ იარაღს ხმარობს. რა აქვს სამადლობელი და სადღესასწაულო იმერეთის თავადაზნაურობას? ოქტომბრის მანიფესტი? ის 17 ოქტომბერი, რომლის ძალითაც და რომლის გამო ჩვენი ქვეყანა სისხლითა და ცრემლით მოირწყო? ის 17 ოქტომბერი, რომლის შედეგაც ჩვენი ქვეყანა სამაგალითოდ იქნება აოხრებული? ნუთუ ამდენად დაჰკარგა ყოველივე ყნოსვა პოლიტიკური, ყოველივე ზნეობრივი სიფაქიზე ამ წოდებამ, რომ თითქო ნიშნის მოსაგებად ამგვარ უცნაურ მადლობებისა და მუხლმოდრეკის განცხადება იკისრა? შარშან ამ დროს თავადაზნაურობამ თვისს წოდებრივ უფლებების უპირატესობის საუკუნოდ მოსპობაზედ მოაწერა ხელი და ამით სახელის მოხვეჭა შეეძლო, დღეს კი მან ხალხის და ქვეყნის ცრემლსა და ოხვრაზედ აღაგო თავისი სიხარული და აღტაცება, ხალხს ზურგი შეაქცია, საუკუნოდ თავისი თავი სამარცხვინოდ მოსპო, კეთილშობილურის აღშფოთებით აღსავსე წინადადება თავ. დ. მიქელაძისა უკუაგდო და ჩააფუჩეჩა და რაღაც უცნაურის ადრესებისა და მადლობების გამოცხობას მოჰყვა. მართლა, რა ოცნებაა და რა მემკვიდრეობითი გარდამოცემული გულუბრყვილობა და ბალღობა, ელოდე რაიმე ხეირს იმ წოდებისგან, რომელიც საუკუნის განმავლობაში ნიადაგ იმასა სცდილობდა, რომ მასხარას როლი ეთამაშა.

უსამართლობა იქნება, ესეც არ მივიღოთ მხედველობაში, რომ ის ოცდაათიოდე კაცი, რომელმაც ეს სამარცხვინო ისტორიული ნაბიჯი წარსდგა, სრულიადაც არ შეადგენს მთელს იმერეთის თავადაზნაურობას. ესენი გახლავან მოხელე ჩინოვნიკები , რომელნიც ქუთაისში სცხოვრობდნენ და მათშიაც იმათ ეჭირათ დირიჟორის როლი, რომლებიც სხვა დროს მზეზე გამოფენას ვერ

ბედავენ ხოლმე. დიაღ, ზოგიერთმა ვაუბატონმა იდვეს თავს ასეთი დანაშაული და მათ შეიყვანეს დანარჩენი 30 კაცი შეცდომაში, რომლის გამოსწორება ძნელი შესაძლებელია: თორემ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უმეტესობა იმ თავადაზნაურობისა, რომელნიც გაღატაკებულია და მოკლებული ყოველგვარ „მფარველობას", ხალხთან ერთად იტანჯება. საბედნიეროდ, თვით იმ კრებაში გამოჩნდენ ისეთნი, რომელთაც, თუმცა სუსტად (რაც გასაგებია ამისთანა დროებაში), მაგრამ აშკარად წინააღუდგნენ ამ სამარცხვინო კომედიას (თ. დ. მიქელაძე, დ.ლორთქიფანიძე და სვ. გ. წერეთელი. ამ ორმა უკანასკნელმა უარი განაცხადა იმ კომისიაში მონაწილეობის მიღებაზე, რომელსაც უნდა შეეთხზა მადლობები).

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უმეტესობა ჩვენის თავადაზნაურობისა აღშფოთებულია ამ არამკითხე მოამბეების მატრაკვეცობით და პასუხს მოსთხოვს, თავისს მსჯავრსა და განაჩენს დასდებს ამ ვაუბატონებს, რომელთაც ხელში იგდეს მარჯვე დრო და თავიანთი ქვენა გრძნობები გამოაფინეს და მთელს წოდებას ასეთი უცნაური ღალატი და სულმოკლეობა ჩაადენინეს."

●

მარტის ბოლოს ილია, მიხეილ გედევანიშვილი და ვლადიმერ მიქელაძე (ნიკო ნიკოლაძე უკვე პეტერბურგში იყო) ხმოსანთა სტატუსით მატარებლით მიემგზავრებიან პეტერბურგს.

1906 წლის 7 აპრილს ილია ჭავჭავაძე აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად. არჩეულ იქნა 61 ხმით 17-ის წინააღმდეგ. ეს შთამბეჭდავი შედეგი გახლდათ, რადგან ბევრმა მიიღო მასზე ნაკლები ხმები, ხოლო 7 კაცი იმ დღეს სულაც გააშავეს. ილიას არჩევას რუსები მერე კი ინანებენ, ილიას გამოსვლებს რომ იხსენებდნენ, ისე დამფრთხალნი იყვნენ, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, კარგა ხანს, სახელმწიფო საბჭოს ქართველი საერთოდ არ გააკარეს. იძახდნენ, ჭავჭავაძემ შეგვარცხვინაო (ეს შერცხვენა გამოიხატებოდა იმაში, რომ ილია ამ დამყაყებულ თავად-აზნაურობის შეხედულებებს პრინციპულად თითქმის არაფერში ეთანხმებოდა) იძახოდნენ, მუხრანსკი (ივანეს შვილს გულისხმობდნენ) ან ორბელიანი (ალბათ გრიგოლის ძმიშვილს გულისხმობდნენ) გამოგვიგზავნეთ და წერა-კითხვაც რომ არ იცოდნენ, მაინც სიამოვნებით ავირჩევთო. თუმც, უფრო მარტივად გადაწყვიტეს საქმე, – ილიას შემდეგ რამ-

დენიმე წლით სახელმწიფო საბჭოში საქართველოს ადგილი საერთოდ გააუქმეს...

ილიამ თავად-აზნაურთა მარშალს ალექსანდრე ორბელიანს დეპეშით აცნობა-არჩეული ვარ ხმათა უმრავლესობით 61 ხმით 17–ის წინააღმდეგო.

მეორე დღეს საქართველოდან მილოცვის მრავალი დეპეშა მიიღო. ილია იმთავითვე აღმოჩნდა პეტერბურგის გაზეთების ყურადღების ცენტრში. პეტერბურგში იმყოფებოდა ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), რომელიც წინა წელს ქუთაისის ვიცე გუბერნატორი იყო და გუბერნატორ სტაროსელსკისთან ერთად გადადგა ალიხანოვის მოქმედებათა გამო. (ეს გადადგომა იძულებით მოხდა. ბეწვზე გადარჩნენ ის და სტაროსელსკი დაჭერას). ალექსანდრე ყიფშიძე გახარებული წერდა:

„ილიამ ფურორი მოახდინა აქა".

10 აპრილს ილია საქართველოსკენ მოემგზავრება. სახელმწიფო საბჭოს პირველი სხდომა მალე, 7 მაისს იხსნება, მაგრამ ილია პეტერბურგში არ ყოვნდება, ჩამოდის რათა კიდევ ერთხელ გაიაროს კონსულტაციები სასულიერო პირებთან ავტოკეფალიის საკითხებზე. მოურავ მოსეს დაარიგებს, რომ გლეხებს დაუთმოს და კონფლიქტამდე საქმე არ მიიყვანოს, ხვდება მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს და მეუღლესთან ერთად (მათთან მგზავრობს ეპისკოპოსი კირიონი) 6 მაისს კვლავ პეტერბურგში ბრუნდება. წერილს წერს ალექსანდრე ყიფშიძეს: „ბატონო ალექსანდრე, ხელახლა მოვედი ამ ბედნიერს ქვეყანაში და პირველი ჩემი სალამი თქვენ უნდა მოგიძღვნათ, როგორც ჩემს კარგს თანამემამულეს. თუ არ დაიზარებთ და მნახავთ, დიდ სიამოვნებას მაღირსებთ. მე ჩემის კნეინით ვეახელ რუსეთის სატახტო ქალაქს".

წერილი დათარიღებულია 1906 წლის 6 აპრილით. ეს თარიღი უნდა გასწორდეს, რადგან 6 აპრილს ილია, მართალია, პეტერბურგს იყო, მაგრამ მაშინ მეუღლე თან არ ახლდა. ოლღამ სახელმწიფო საბჭოში არჩევის გამო თბილისიდან 8 აპრილს დეპეშა გაუგზავნა: „თავად ჭავჭავაძეს. 8 აპრილი, 1906 წელი, ტფილისიდან. გილოცავ გამარჯვებას, იცოცხლე ჩემდა გასახარად! ოლღა".

ილია პეტერბურგს ჩავიდა ოლღასთან ერთად 6 მაისს, აქედან გამომდინარე, ყიფშიძისადმი მიწერილ ბარათს უნდა ეწეროს 6 მაისი, ნაცვლად 6 აპრილისა. მეორე დღეს, 7 მაისს, ბანკიდან პენსიონერის ხვედრისთვის წასული ილია, დიდი პოლიტიკის ორომტრიალში აღმოჩნდა.

იმჟამად პეტერბურგში სათათბიროს პრესის საკოორდინაციო ბიუროს ხელმძღვანელი იყო ქართველი, **მალაქია ბოლქვაძე.** დიდი ილიას ფასი მან კარგად იცოდა. დაგვიტოვა მოგონებანი ჭავჭავაძის სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობის შესახებ. ეს მოგონებები დაიბეჭდა 1908 წელს. ჟურნ. „განათლებაში" №3-4.

ილიას სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობის ყველაზე სანდო წყარო ეს მოგონებები გახლავთ, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით.

ახლო წარსულიდან

ილია ჭავჭავაძე რუსეთში

(1906–1907წ.)

ილიას ჩამოსვლა

ილია ჭავჭავაძე პეტერბურგს ეწვია იმ დროს, როდესაც თითქმის მთელი საქართველო აწიოკებული იყო. ჩვენ გვახსოვს ის საშინელი ხანა და არც მალე დაგვავიწყდება.

პეტერბურგის მოწინავე საზოგადოება მოუთმენლად ელოდა ქართველი დეპუტატების ჩამოსვლას. ცოტა ხნის შემდეგ პირველი სათათბირო, ეს პირველი ისტორიული დაწესებულება, დაიწყებდა მუშაობას. დეპუტატებზე ადრე ილია ჩამოვიდა და თავად-აზნაურთა კრებაზე არჩეულ იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

ილიას ჩამოსვლამ (აპრილი 1906 წ.) პრესსა და საზოგადოება მეტად დააინტერესა. ჭავჭავაძეს თითქმის ყველა ჟურნალ გაზეთების წარმომადგენლები ეწვივნენ. ამით სურდათ გაეგოთ ილიას მიმართულება და საქართველოს ამბები. განსვენებულ პოეტის პასუხმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თამამი ხმა ყოველთვის არა ჩვეულებრივად მოქმედებს.

აი რა მითხრა ჟურნალისტმა შაუმიანმა.

„სხვათა შორის მეც ვინახულე თქვენი პოეტი. ყოველ კითხვაზე დაუზარებლად იძლევა პასუხს. საქართველოს აწიოკების შესახებ ნაღვლიან კილოთი მითხრა: „რაც რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა, ის სინამდვილეს მეასედია. ჩვენი ხალხის ცხოვრება ჯოჯოხეთად გარდაქმნეს. მე დარწმუნებული ვარ – ჩვენი დეპუტატები სათათბიროში ამ საგანზე აღძრავენ შეკითხვას. თუ სა-

ხელმწიფო საბჭოში მოხერხდა – იქ ვეცდები დაუფარავად დავხატო სრული და უტყუარი სურათი ჩვენი ქვეყნის ვაებისა“.

„ამის შემდეგ თავადი ჭავჭავაძე შეეხო სხვა კითხვებს. „სხვათა შორის საქართველოს ეკლესიის თავისუფლებას, რომელიც კანონიერ მოთხოვნილებად მიაჩნია. ისტორიულ საბუთებიც კი მოიგონა“. ბოლოს დინჯ ღიმილით შენიშნა: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავად აზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო აზნაურ-თავადთა საჭიროებებზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობდენ ზოგნი ჩემი ამომრჩეველნი აქაური რუსთა აზნაურნი – ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავად-აზნაურთა სახელით შევდივარ – ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ღონეს“.

აგრე, ასეთის ენით ელაპარაკებოდა ჩამოსვლის პირველ დღესვე ილია საზოგადოებას. აგრე დიდად თვლიდა თავის ახალს როლს და ვალდებულებას.

რამდენად გაამართლა პოეტმა თავისი სიტყვები და მოლოდინი ამაზე ქვემოდ გვექნება სჯა ჯერ საკმაოდ ჩავთვალოთ ის, რასაც ეხლა მოგახსენებთ. რუსეთის თავად-აზნაურთა უმრავლესობა (ამათ შორის სახელმწიფო საბჭოს წევრნი და ამომრჩეველნი) დღესაც დიდი საყვედურით იგონებენ ილიას. უკანასკნელ თავად-აზნაურთა არჩევნებზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ თავ ბაგრატიონ დავითაშვილი, ვ. მიქელაძე, სახელმწიფო სათათბიროს „ცნობილმა“ წევრებმა კრუპენსკიმ და მარკოვმა ბრძანეს: „ჩვენ ავირჩიეთ ილია ჭავჭავაძე. იმან მთელი თავადაზნაურობა შეგვარცხვინა, ის სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთ მიეკედლა. ჩვენ შევცდით და ვნანობთ. ეხლა თუ საიმედო კანდიდატს დაგვისახელებთ, ისეთს, როგორც გენერლები ორბელიანი და მუხრანსკია, თუნდ წერა-კითხვაც არ იცოდენ, დიდი სიამოვნებით ავირჩევთო“... ამათ სხვებმაც ბანი მისცეს.

ამიტომაც საქართველოს თავად-აზნაურთა წარმომადგენელი არ შეუშვენ სახელმწიფო საბჭოში. ამის მიზეზი ილია იყო. მაგრამ ღირსებათ უნდა ჩაეთვალოს ეს თუ ნაკლად ყველამ კარგად იცის. ეს ფაქტი ისტორიულია და ილიას სახელს მხოლოდ სხივს ჰმატებს.

ჩვენ არ ვამბობთ, ილია სოციალისტი იყო, არა. ეს არც რუსთა თავად – აზნაურთ აშინებდა. ამათთვის საკმაო იყო ის, რაც ერთ დიდი წიგნშია აღნიშნული თეთრზე შავად.

...„По аграрному вопросу готовъ на отчужденье, если таковое будетъ признано вопросомъ государственной необходимостию Князь является сторонникомъ широкаго местнаго самоуправленья, съ широкой законодательной местной властью".

მაშინ, როდესაც ილიას პოლიტიკური მიმართულება ასეთი სიტყვებით არის აღნიშნული, სხვა თავად-აზნაურთა წარმომადგენელ წევრების ვინაობის აღწერიდან იგებთ მხოლოდ ერთს: ისინი ეკუთვნიან ან ჭეშმარიტ რუსთ კავშირს, ან რომელსამე მემარჯვენე ჯგუფს. რა თქმა უნდა ასეთი განსხვავება კრუპენსკის და მის ამხანაგებს მეტად აღელვებდა.

„ილიას ესმოდა უკმაყოფილების ხმა (თავიდანვე), მაგრამ ის ასეთ ქცევას ღირსეულად აფასებდა. დამოკიდებულებას არ ამწვავებდა, თავის სიტყვას და გადაწყვეტილებას არ ღალატობდა, ჭკვიანურ მხედველობით უცქეროდა სინამდვილეს.

ილია თანდათან მჭიდროდ უახლოვდებოდა საბჭოს მემარცხენეთა გუნდს, რომელსაც შეადგენდენ რუსეთის მოწინავე საზოგადოების და მეცნიერების წარმომადგენლები. საკმაო იყო დაგენახათ ილია ამათ შორის სახელწიფო საბჭოს კრების დროს, რომ ჩვენთან ერთად გეთქვათ:

– ჩვენ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს და პოეტს ახალ პოლიტიკურ ასპარეზზეც უკვე მიუქცევია უცხო ამხანაგთა ყურადღება. ილია აქაც ილია არის.

აგრე და ასეთ პირობებში დაიწყო დაღლილ მოხუცებულმა ი. ჭავჭავაძემ თავისი ახალი მოღვაწეობა შორეულ ჩრდილოეთში.

ილია, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი

ილია ჭავჭავაძე არ ეკუთვნოდა სახელმწიფო საბჭოს წევრთა იმ ჯგუფს, რომელიც მხოლოდ დიდ ჯამაგირით არის დაინტერესებული. როგორც ვსთქვი–ილია მიეკედლა საბჭოს მემარცხენეთა პატარა წრეს. ეს მცირე გუნდი შეადგენდა განცალკევებულ კომისიას, და დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალს პირველ სათათბიროს ენერგიულ და გაბედულ მუშაობას. ეს წრე თავის კრებებზე არჩევდა იმ კითხვებს, რომელნიც სათათბიროში მზადდებოდა.

ასეთი დიადი კითხვები იყო – ამნისტია, სიკვდილით დასჯის მოსპობა, აგრარული კითხვა და სხვ. არც ერთ ამ კითხვისთვის არ

აუხვევია გვერდი ილიას. ის სიამოვნებით ესწრებოდა ყოველ კრებას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მსჯელობაში.

უკანასკნელ აზრის დასამტკიცებლად საკმაოა შემდეგი ორიოდე სიტყვა: სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილიამ იკისრა. ეს მოხსენება სახელმწიფო საბჭოში უნდა წაეკითხა.

თუ რამდენად გულწრფელად სურდა ილიას სასტიკ სასჯელის წინააღმდეგ გალაშქრება ნათლად და სავსებით გვიხატავს შემდეგი სცენა.

ილია თავის ოთახში იდგა. უმთავრესი მისი ფიქრი–აღნიშნული მოხსენება იყო. ამ დროს ეწვია ერთი პეტერბურგში მცხოვრები ცნობილი ქართველი, რომელთანაც ჭავჭავაძე ძალიან დაახლოებული იყო. ცოტა მასლაათის შემდეგ ილიამ გაიღიმა, შუბლზე ნაოჭი გაშალა და კმაყოფილ კილოთი წარმოსთქვა:

– გუშინ საღამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ დღეებში წავუკითხავ ჩვენს წრეს. მერმე–კი სახელმწიფო საბჭოს.

სტუმარმა სიჩუმით უპასუხა. ცოტა პაუზის შემდეგ ილიამ ისევ განაგრძო:

– მე ეს მოხსენება მეტად მაინტერესებს და დიდი სიამოვნებით დავიცავ. თუ გცალია, წაგიკითხავ.

– მე, სამწუხაროდ, შენი წინააღმდეგი ვარ, შენიშნა სტუმარმა.

– როგორა?!?...

– სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოს, რა თქმა უნდა, – მაგრამ, ერთი რამ არ მომწონს. რატომ მაინც და მაინც შენ ქართველმა, უნდა იკისრო სახელმწიფო საბჭოში ამ მოხსენების წაკითხვა? იქ რუსები განა ცოტაა? პროფესორები, მეცნიერები... რატომ ისინი არ იკისრებენ?... დარწმუნებული ვარ ასეთი დაუფიქრებლობით მთელ საქართველოს საქმეს ვაფუჭებთ... ისევ რუსმა წაიკითხოს.

– ერიჰა... საიდან სადაო...ამით რა საქმე უნდა წახდეს. მაგის ნუ გეშინია. აი, მოხსენებას წაგიკითხავ და მოისმინე. ჩემს აზრს და გადაწყვეტილებას არ გადავთქვამ.

– მე პრინციპიალურად არ მსურს მოგისმინო...

– როგორცა გსურს...

ასეთი ბაასი ილიას სხვა ქართველებთანაც ჰქონდა, მაგრამ იმათ სიტყვებს და შენიშვნებს ის მხოლოდ ისმენდა. მოხსენება ილიამ შეასწორა და თავის ამხანაგებს წაუკითხა. არ ვიცი სად

არის ამ ჟამად ეს ნაწარმოები. ალბათ ხელნაწერებში უნდა იყოს. საჭიროა ყურადღებით მოიძებნოს, რადგან მოხსენება მეტად შინაარსიანია.

ასე უცქერდა ილია საერთო–საქვეყნო საკითხს.

ყველამ კარგად იცის, რომ იმ ხანებში პოლონეთის დეპუტატები სათათბიროს უმრავლესობის დახმარებით თავიანთ ავტონომიის პროექტს ამზადებდენ. ჩვენი ქვეყნის ავტონომიის შესახებაც ითქვა ორიოდე სიტყვა, – კითხვა აღძრა დეპუტატ ლედნიცკიმ: ჩვენი წარმომადგენელნი ჯერ არ ჩამოსულიყვნენ.

ასეთი პირობები და ეს დიადი საკითხი ილიას გონებას არ ასვენებდა. გულ დასმით ათვალიერებდა თან ჩამოტანილ მასალას, მაგრამ ეს საკმაოდ არ მიაჩნდა.

– აქ, უმაღლეს დაწესებულებებში ბევრი საჭირო საბუთებია. უთუოდ ასლი უნდა გადმოვიღო. ვინმე საიმედო პირი ვიშოვნო, და მივანდო ეს საქმე, – ამბობდა მხცოვანი მგოსანი.

ასეთ საიმედო ვაჟბატონის ძებნას ორიოდე კვირა დასჭირდა.

ილიას ვრცელი სია ჰქონდა შედგენილი – სად, რომელ დაწესებულებაში რა საბუთები მოიძებნებოდა. სია შეიცავდა არა მარტო იმ საბუთებს, რომელნიც „ავტონომიისთვის“ იყო საჭირო, არამედ ისეთ მასალასაც, ურომლისოდაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე და აგრარულ კითხვაზე (ჩვენ ქვეყანაში) სჯა დიდად ძნელი იქნებოდა.

მარტო აგრარული კითხვა ვინ იცის რამოდენა შრომას ითხოვს. განსაკუთრებით ძნელი იყო ილიასთვის. სახელმწიფო საბჭოში მის მეტი ხომ არავინ კრინტს არ დასძრავდა საქართველოს მიწების მოწესრიგების შესახებ. რა თქმა უნდა ილაპარაკებდნენ, მაგრამ იმათი თვალთა ხედვის ისარი ჩვენთვის რა საპრიანოა! აგრარულ კითხვის გარჩევის დროს ილიას ვრცლად და სერიოზულად დასაბუთებული მოხსენება სურდა წარედგინა. ამისთვის უტყუარი ფაქტები, ცნობები და ხანგრძლივი შრომა იყო საჭირო.

– ეს მე არ მაშინებს, – იტყოდა ხოლემ ჭავჭავაძე.

მართალსაც ამბობდა. იგი მუშაობდა ნელა, აუჩქარებლად, მაგრამ გულწრფელად და სიამოვნებით.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, როგორც ვსთქვით, ილიას კანონიერად მიაჩნდა. ამას არსად არ ფარავდა–არც საბჭოს წევრთა შორის და არც სხვაგან. ამბობდნენ, ავტოკეფალიაზე სათათბიროში იქნება სჯაო.

– მაშასადამე საბჭოშიც გადმოვა, მეც ამიტომ ვაგროვებ მასალას და ვემზადები. არა უშავსრა ღმერთი მოწყალეა, – დინჯად წაილაპარაკებდა ილია.

მასალები საქართველოდანაც მოდიოდა.

პეტერბურგში, სინოდში მონაწილეობის მისაღებად გამოწვეულნი იყვნენ ჩვენი ეპისკოპოზები კირიონი და ლეონიდი. მათთან ერთად ვოსტორგოვიც ბრძანდებოდა. ჩვენი ეკლესიის ბედ–იღბალი წყდებოდა. საქმე მეტად გამწვავდა.

პროფესორმა ა. ცაგარელმა ილიას ყოველივე უამბო. აუხსნა საქმის მთელი ვითარება. ორთავემ დაუყონებლივ გადაწყვიტეს ენერგიულად ემოქმედათ. თუმცა ილია სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო და ზოგიერთ აზრით უნდა მორიდებოდა კერძო ვიზიტებს სხვა და სხვა საჭირო პირებთან, მაგრამ ასეთ ბიუროკრატიულ წესს ჭავჭავაძემ გვერდი აუხვია. მეორე დღესვე პროფესორ ცაგარელთან ერთად წავიდა პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონისთან. ორთავე ქართველმა ხანგრძლივ ებაასეს სინოდის თავმჯდომარეს ქართველთა ეკლესიის თავისუფლებაზე.

ამ ვიზიტის შემდეგ ილია უფრო არკვევდა საჭირო მასალებს, რასაკვირველია, მოხსენებისთვის. ზოგნი ეუბნებოდენ:

– ილია, წადი ამ და ამ ბიუროკრატთან, მოელაპარაკე ავტოკეფალიაზე.

– ვნახოთ. თუ საჭიროება მოითხოვს... ისმოდა აუჩქარებელი პასუხი.

„თუ საჭიროებას მოითხოვსო“ – ამბობდა ილია და მხოლოდ მოხსენებაზე ჰფიქრობდა. ცალკე ბიუროკრატებთან ვიზიტები შეაჩერა: ილიას სათათბიროს იმედი ჰქონდა, იგი სულ სხვას ამბობდა. ამიტომაც მთელს თავის ყურადღებას მომავალ მოხსენებას აქცევდა.

წინედაც და ეხლაც მესმის ხოლმე–ილია პეტერბურგში არაფერს არ აკეთებდაო. „თქმა ყოვლისა შესაძლოა“. რის აღწერაც მოვასწარ, აქედანაც უკვე ჩანს – რასაც აკეთებდა ილია ჩრდილოეთში. მართალი მოგახსენოთ, პირადად მე – არც ასეთ ენერგიას და შრომას მოველოდი: ილიას ავადმყოფობა ვიცოდით.

ილია და სახელმწიფო სათათბირო

ილია სახელმწიფო სათათბიროს კრებებს ძალიან ხშირად ესწრებოდა. ხალხის პირველ წარმომადგენელთა მუშაობა მისთვის

წმიდათა წმიდას შეადგენდა. ჭავჭავაძე ავად იყო ისეთის სენით, რომელიც მგოსანს აიძულებდა ხშირად დაეტოვებინა დარბაზი, მაგრამ ეს გარემოება მოხუცს არ აშინებდა.

როდესაც რომელიმე დეპუტატი ტრიბუნიდან წარმოსთქვამდა ძრიელს და თამამს სიტყვას, ილია საამოდ მოღიმარ სახით გამოვიდოდა სათათბიროს კულუარებში და აღტაცებით აღნიშნავდა ორატორის სიტყვის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას. არ იფიქროთ, რომ აღტაცება შეუგნებელი იყო. ილია ქება–აღტაცებასთან ერთად კრიტიკულადაც არჩევდა დეპუტატთა ნათქვამს. სათათბიროს ვრცელ და ლამაზ კულუარებში მაშინ სიცოცხლე სდუღდა და გადმოდუღდა. აქ დაუფარავად სცემდა ძლიერი მაჯა სახალხო წარმომადგენლებისა. კულუარებში ისმოდა გაცხარებული კამათი, პოლიტიკური შეტაკება, აგიტაცია და სხვა და სხვა. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, თითქოს ილია აქ ისვენებდა. ის დარბაზში მიღებულ შთაბეჭდილებას აქ უფრო ამაგრებდა. იქ დაწყებული სურათი აქ მთავრდებოდა.

ილიას მოსწონდა ნაბოკოვის, პეტრუნკევიჩის და ვინერის სიტყვები. მართლადაც ესენი თავიანთ მოქმედებით გამოცდილ ევროპის პარლამენტის დეპუტატს მოგაგონებდათ, შეიძლება თქვათ ჩამოთვლილნი პირნი კადეტები იყვნენ. რატომ უფრო მემარცხენენი არ მოსწონდა ილიასო? ეს აჩქარებული საყვედური იქნება. მგოსანს მემარცხენეთა შორის ჰყავდა „საყვარელნი“: ჟილკინი, ანიკინი, მღვდელი აფანასიევი და გლეხი ნაზარენკო („ტრუდოვიკები“). ალადინზე ჭავჭავაძე სულ სხვა აზრის იყო.

– კარგად ლაპარაკობს, კარგი ორატორია, – იტყოდა ხოლმე ილია – მაგრამ ნამეტანი გარდამეტებული კილო აქვს. მე სხვასაც ვფიქრობ: ალადინი უმეტეს ნაწილად გულწრფელი არ არის.

ვინც პირველ სათათბიროს ცხოვრებას და კერძოდ ალადინის მოღვაწეობას თვალს ადევნებდა ბოლომდის – ილიას სიტყვებს განიმეორებს და ადვილად მიხვდება – თუ რა სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ის სათათბიროს.

სათათბიროში ერთ ისტორიულ კრებაზე ნაბოკოვმა მთავრობის წინააღმდეგ სასტიკი სიტყვა წარმოსთქვა. იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ მოუფერებლად ეუბნებოდნენ: „როდისღა მოგვშორდებით!“ ყველა მინისტრები დარბაზში ბრძანდებოდნენ და ისმენდნენ მსუსხავ მსჯავრს. მე ჟურნალისტების ლოჟაში ვიჯექი. სახელმწიფოს საბჭოს წევრთა ლოჟა ჩვენ გვერდით იყო. აქ იყო ილიაც. ნაბოკოვის სიტყვის შემდეგ წამოდგა, ჩამოუარა ჩვენს

ლოჟას და ნელის ფეხის ნაბიჯით გასწია კულუარებისკენ. მაშინდელი მისი სახის გამომეტყველება არასოდეს არ დამავიწყდება. აქ იხატებოდა უსაზღვრო კმაყოფილება, სიამოვნება, ნეტარება, მტრის დამარცხებაზე აშენებული. ილიას სული და გული ღელავდა, მთელს სახეს ალმური მოდებოდა, ზღვა–თვალნი ბრწყინავდნენ.

– მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა...ნეტავ რა გუნებაზე არიან მინისტრები? ძლიერი მათრახია, ურყევ საფუძველზე აშენებული. ღირსშესანიშნავი აქ ის არის, რომ ნაბოკოვი მინისტრის შვილია. იცის მინისტრების სუსტი მხარე... ამბობდა ენერგია აღძრული და აღელვებული ილია.

ესეთი სცენის მოწმე ხშირად ვიყავი.

როგორც ხედავთ ილიას ოპოზიციიის სიტყვიერი გამარჯვებაც გულს უხარებდა ამას არავის არ უმალავდა და ხმამაღლა გაიძახოდა.

სათათბირო ერთ თვეზე მეტი მუშაობდა. დაგვიანებული არჩევნების წყალობით ჩვენი დეპუტატები არ ჩამოდიოდნენ. ჭავჭავაძე თითქმის ყოველ დღე იგონებდა პირველ დეპუტატებს. მას აინტერესებდა იმათი მომავალი საპარლამენტო პრაქტიკა, მომავალი შრომა და პირველი შთაბეჭდილება სათათბიროში.

სანამ ჩვენ დეპუტატების ჩამოსვლას შევეხებოდე, მოვიგონებ ერთ საყურადღებო ფაქტს.

იმ დროს, როდესაც ილია პირველად ესტუმრა სახელმწიფო სათათბიროს, მე იქ არ ვყოფილვარ. მასთან ერთად სათათბიროში წავიდა ცნობილი ქართველი მწერალი და მოღვაწე ა. ყ.(იგულისხმება ალექსანდრე ყიფშიძე, ნ.გ.)

– როგორ მოეწონა ილიას სათათბირო? – დავეკითხე საღამოს ბ. ყ.-ს.

– დღეს საინტერესო კრება იყო, ბევრმა კარგმა ორატორმა ილაპარაკეს, – ჩვენი მგოსანი კმაყოფილი დარჩა.

– თვითონ სასახლე მოეწონა?

ბ. ყ. გაკვირვებით შემომხედა და მხოლოდ ცოტა ხნის მერე მომცა პასუხი, რომელშიაც მთლად გამოიხატებოდა უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა ილიასადმი:

– რას ლაპარაკობ!... ასეთი კითხვით, როგორ შევაწუხებ მოხუცს...

ა. ყ. პასუხმა დამაფიქრა. ჭავჭავაძეს საქართველოში ორჯერ თუ სამჯერ შევხვედრივარ საზოგადოებაში. ბ. ყ. – კი თითქმის ყო-

ველ საქმეში ილიასთან იყო. მე ვიფიქრე, ალბათ ილიას ჯერ კიდევ ვერ ვიცნობ და მასთან სიფრთხილეა საჭირო. სულ სხვა ტიპი წარმომიდგა თვალწინ.

მესამე დღეს, სათათბიროს კულუარებში ამოჩნდა ილია. იმის ჩვეულებრივი ტამსაცმელი იყო შავი სერტუკი, ნაცრისფერი ზოლებიანი შარვალი, შავი ჟილეტი და გადმოკეცილი კრახმალიანი თეთრი საყელო. ეს გარეგანი ნიშნობლივობა ვიცოდი, ასე რომ ილიას სახე რომც არ დამენახა შორე მანძილიდან ვიცნობდი.

– მგონი ადრე მოველი? – მხიარულად დამეკითხა ილია.

– კრება ნახევარ საათის შემდეგ დაიწყება, – ვუპასუხე მე.

– შენობა მინდა დავათვალიერო, თუ დრო გაქვთ დამატარეთ, გეთაყვა. დარბაზი და კულუარები მომწონს, მაგრამ ეს ხომ მთელი შენობა არ არის.

ილიამ ხელი გამომდო (ეს ჩვეულებად ჰქონდა) და შევუდექით სასახლის დათვალიერებას. არც ერთი კუთხე არ დაგვიტოვებია, ყველაფერი ვნახეთ. მთელი დრო სასახლის არხიტექტურაზე და მოწყობილობაზე მელაპარაკა. ამის შემდეგ დიდად პატივცებულ ა. ყ. სიტყვები „ასეთ კითხვით როგორ შევაწუხებ მოხუცს" – არ მაშინებდა. ილიასთან ყველაფერზე შეიძლებოდა ბაასი. აგრე გაეცნო საყვარელი მოხუცი სათათბიროს შენობის ყოველ კუთხეს.

– ეხლა ყველაფერი შევისწავლე... რას იფიქრებდა პოტიომკინი – თუ მის სასახლეში პარლამენტი მოთავსდებოდა! ცხოვრება მირბის, ცვალებადობს... ასეთი სიტყვებით დაასრულა ილიამ სასახლეში სეირნობა.

ჩვენი წარმომადგენლებიც ჩამოვიდნენ: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ივანე გომართელი, იოსებ ბარათაშვილი, ჯაფარიძე, წერეთელი. ჩამოვიდნენ თუ არა იმ დღესვე სათათბიროს კრებას დაესწრნენ. ილიაც მოვიდა. განა შეეძლო მას ამ დღეს არ მოსვლა ! მოსვლისთანავე დამეკითხა – ილაპარაკებენ – თუ არა ჩვენებიო, მაგრამ ამის პასუხს თვით დეპუტატებიც ვერ იძლეოდნენ. დეპუტატებზე აქ გაკვრით ვამბობ, რადგან ამათზე სულ სხვა დროს და სხვა შრომაში მექნება ლაპარაკი. მე ჯერ ვიგონებ იმას, რაც ილიას ეხება.

ჭავჭავაძემ კრების დაწყებამდის სთქვა :

– ისიდორე რამიშვილი და ნოე ჟორდანია ნიჭიერი კაცები არიან. ისიდორეს სიტყვა მომისმენია. კარგად ლაპარაკობს, ქართული ენაც კარგად იცის. დანარჩენებზე რა მოგახსენოთ გარდა ი. ბარათაშვილისა, რომელიც კარგ ორატორად ითვლება.

ორიოდე საათის შემდეგ ისიდორე რამიშვილი უკვე სათათბიროს ტრიბუნაზე იდგა. წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, მაგრამ ეს ექსპრომტი იყო. იგი ლაპარაკობდა თავის პარტიის (სოც. დემოკ.) სახელით ხშირად იგონებდა **„великий русский народ“** – ს. რამიშვილის სიტყვა მეტად მკაცრი იყო. ილია რამიშვილის მთელს სიტყვას დიდი ყურადღებით ისმენდა, ხშირად სახის გამომეტყველება ეცვლებოდა.

მე ვჩქარობდი გამეგო ილიას აზრი. გამოვიდა თუ არა დარბაზიდან და დამინახა თვითონვე დაიწყო:

– ქართულად სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს რამიშვილის სიტყვა. ასეთ გამოთქმას არ არინა მიჩვეულნი რუსები. ჩემმა მეგობრებმა პირველ ხუთ წუთის განმავლობაში ვერა გაიგეს რა. ეს კიდევ არაფერია: რამიშვილი შეეჩვევა საპარლამენტო ორატორობას, მსმენელნი – ისიდორეს თავისებურ კილო-გამოთქმას. სიტყვა აზრიანი იყო, მაგრამ დალოცვილმა რა დაიჟინა ეს **„великий русский народ“**?! თითქმის მთელი სათათბირო, რუსების ინტერესებზე ლაპარაკობს, რაღა მაგის თავ-გამოდება ესაჭიროება რუსის ხალხს? მე არ მეგონა თუ ერთ სიტყვით არ მოიგონებდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. დაიჟინა **„великий русский народ“**... არა მგონია ბოლომდის გასტანოს ასეთმა ძახილმა...

რამდენად მართალი იყო უკანასკნელი აზრი სხვა დროს გავიგებთ.

დიდხანს დასეირნობდა ილია სათათბიროს კულუარებში. ძალა უნებურად ისმენდა დეპუტატთა აზრს რამიშვილზე. ისმენდა, მაგრამ მისი სული და გული ამ დროს სულ სხვაგან იყო. წარბშეკრული, მოღუშული სახე სავსებით ხატავდა მგოსნის ღრმა ფიქრს...

– შორს წავედი, – ცოტა სიჩუმის შემდეგ დინჯად ჩაილაპარაკა ილიამ, აზრთა ასოციაცია ასეთია. რამიშვილის სიტყვამ ჩვენში გადამაფრინა... ბარათაშვილიც იტყვის რასმე უეჭველია?

ილია ისევ დარბაზს დაუბრუნდა. მოლოდინი გაუმართლდა : ი. ბარათაშვილი ცქვიტად ავიდა ტრიბუნაზე და ლამაზ გარკვეულ ხმით, ქართველ ერის სახელით მიესალმა მთელს სათათბიროს. ილია მთლად გადასხვაფერდა. შუბლი საამოდ გადაეშალა, სახე იღიმებოდა და კმაყოფილად უცქერდა ხალხის წარმომადგენელთა კრებულს. ეს იყო ქართველ მგოსნის, ქართველთა დაღლილ მოღვაწის კმაყოფილება.

ქართველ დეპუტატთა ჩამოსვლამ ჭავჭავაძე სათათბიროს უფრო დაახლოვა. ავადმყოფობა თუ შეუშლიდა ხელს, თორე არც

ერთ კრებას არ გამოტოვებდა. არც სიშორე აშინებდა. სათათბიროდან ილია დაშორებით იდგა. მისი ბინა იყო მერვე როუდესტვენსკის ქუჩაზე. ჩვეულებრივ სათათბიროს კრებები თავდებოდა 6 ან $6^{1/2}$ საათზე. ხანდისხან დღეც და ღამეც 8–$12^{1/2}$ ს. მოხდებოდა კრება. დასუსტებული ილია, დაღლილობას არ უშინდებოდა და ღამის კრებასაც ესწრებოდა. სათათბიროს ასეთი მოყვარული სახელმწიფო საბჭოს წევრთა შორის რამდენიმე კაცი იყო. მახსოვს ისეთი კრებები, როდესაც საბჭოს წევრთა ვრცელ ლოუაში მარტოკა ილია იჯდა.

ივნისის შუა რიცხვები იყო, როდესაც მთელს პეტერბურგს მოედო ხმა, – „სათათბიროს მალე დახურავენო". ილიამ სახელმწიფო საბჭოს წევრთა შორის გაიგო დანამდვილებით მთავრობის აზრი და გადაწყვეტილება. სათათბიროს მომავალი დახურვა, მოხუცს მეტად აღონებდა. ის კარგად გრძნობდა – რა მოჰყვებოდა ასეთ სახელმწიფო აქტს. ის ნათლად ითვალისწინებდა საზოგადოდ მთელი სახელმწიფოს შავ დღეს და კერძოდ ჩვენი ქვეყნის ვაებას, იმ ვაებას, რომელსაც დღესაც ვერ ავშორებივართ.

პირველი სათათბიროც დახურეს. რეპრესიებმა, ახალ ასარჩევ კანონის გამოცემაც ბევრ დეპუტატების დატუსაღებამ, დასჯამ და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ახალმა პირობებმა ილიას გული გაუტეხა. რუსეთის აწმყოს გულდაწყვეტილი უცქეროდა და ახლო სანეტარო მომავალს აღარ ელოდა. ილიას სულის ვითარებას მიემატა ახალი ელემენტი – საზოგადოებრივი პესსიმიზმი.

მეორე სათათბიროში ილია უფრო ძვირად დადიოდა. ამას გასამართლებელი მიზეზებიც ჰქონდა. სახელმწიფო საბჭოს წევრებს პირველ სათათბიროში, როგორც ზემოდ შევნიშნე, დათმობილი ჰქონდათ ვრცელი ლოჟა დარბაზში დეპუტატებთან ერთად. ეს პრივილეგია მეორე სათათბიროში მთავრობამ წაართვა საბჭოს წარმომადგენლებს და გადაასახლა ზევიდ ქანდარაზე. ამ ახალ ცვლილების წყალობით ილიას არ შეეძლო ძველებურად დეპუტატებთან კულუარებში სეირნობა, მათთან ბაასი და სხვ. მთელი კრების განმავლობაში ქანდარაზე, დახუთულ ჰაერში უნდა გაეტარებინა. ასეთი მძიმე იყო ახალი პირობები, მაგრამ ილია საინტერესო კრებებს არ აკლდებოდა. მე მხოლოდ შორიდან შემეძლო ჩვენი მგოსნის დანახვა: დაბლა იმას არ უშვებდენ და ზევიდ – მე.

მეტად სასტიკად იმოქმედა ილიაზე მეორე სათათბიროს უკანასკნელმა დღეებმა. საზოგადოდ ილიას მეორე პარლამენტში არ

ემჩნეოდა წინანდელი აღტაცება და აღფრთოვანება. მას გულ გატეხილობა შემოპარვოდა. შექმნილი პოლიტიკური ატმოსფერა თავისას შვრებოდა. ხალხის წარმომადგენელთა დარბაზი ძველს იმედებს აღარ იძლეოდა. ნიადაგს იმზადებდნენ პურიშკევიჩები და „ზუბრები“.

ჩვენი ქვეყნის დეპუტატები ყველანი სოციალ-დემოკრატები იყვნენ. ისინი თავგამოდებულნი იცავდნენ თავიანთ პარტიულ პროგრამას. პოლონეთის ავტონომიაზე აღძრულმა მოხსენებამ სათათბიროში ვერ გამოიწვია უმრავლესობის თანაგრძნობა. ყველა ამ ახალმა პირობებმა ილიას გული აუტკივა. ამნისტიის, სიკვდილით დასჯის მოსპობის, ავტოკეფალიის, ავტონომიის, აგრარულ კითხვის ძველი გეგმანი განხორციელების ელფერს კარგავდნენ. ეს გულს წვავდა და ასეთი სულიერი მწუხარება ილიას ღრმა სიჩუმეში იხატებოდა.

სიმწარის ფიალა სათათბიროს დახურვამ და ყველა ქართველი დეპუტატების დატუსაღებამ აავსო. როდესაც ახალი კანონი გამოქვეყნდა და გამოირკვა, რომ მესამე სათათბიროში ქუთაისის და ტბილისის გუბერნიებს მხოლოდ ორი წარმომადგენელი ეყოლებოდა, ილიამ ნაღვლიანად სთქვა:

– ეს ახალი და დიდი უბედურებაა ჩვენებისთვის...ჰორიზონტი შავად იღრუბლება და ახლო მომავალი არას მპირდება. ჩემნი დღენი კარგს არას მოესწრება...

ასეთი იყო შხამით ავსილი ილიას უკანასკნელი ფიქრი და წინასწარმეტყველება.

ქართველი მხცოვანი მგოსანი ვერ შერიგებოდა იმ გარემოებას, რომ ისეთი ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი, როგორიც წერეთელი (მეორე სათათბიროს წევრი) და მასთან ერთად მისი ამხანაგები საშინელ სასჯელს მოელოდნენ და საზოგადოებას შორდებოდენ. ამ დროს ქართველის გული ლაპარაკობდა, პარტიული განსხვავება შორს იყო გადატყორცნილი.

მესამე სათათბიროს ვეღარ მოესწრო ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ეს ახალი, ხელოვნურად გამომცხვარი პარლამენტი მის დარდს არ აქარწყლებდა. ილია კარგს არას ელოდა...

– მესამე სათათბირო ჩვენ სახელწიფო საბჭოს არაფრით ჩამოუვარდება. განსხვავება მხოლოდ სახელში იქნებაო, – ამბობდა ილია.

ამ გვარ სულის კვეთებით განშორდა ჭავჭავაძე გაორკეცებულ ცხოვრებას.

ილია და ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირი პირველ სათათბიროში

მხოლოდ პირველ სათათბიროში არსებულ თავისუფლებას შეეძლო შეექმნა ისეთი კავშირი, სადაც ყველა უცხო ხალხთა, ეგრედ წოდებულ „ინოროდცების„ წარმომადგენლებს მოეყარათ თავი და თავრიდის სასახლეში დაუფარავად ეწყოთ მსჯელობა ავტონომია–ფედერაციაზე. მეორე სათათბიროში ასეთ კავშირს ადგილი არ ჰქონდა. მესამეში... მთლად მოუხერხებელია.

ავტონომისტ–ფედერალისტთა კავშირის წევრად ითვლებოდენ უკრაინის, პოლონეთის, ლიტვის, პრიბალტიის მხარის, მაჰმადიანთა, ოსმალთა, ებრაელთა, სომეხთა და სხვათა წარმომადგენელნი (დეპუტატები). ივნისში მიემატა იოსებ ბარათაშვილიც. კავშირის თავმჯდომარედ ითვლებოდა ცნობილი მოსკოველი ვექილი დეპუტატი ლედნიცკი. თუ რა მიზანი ჰქონდა კავშირს, რა საგანზე ჰქონდა მსჯელობა თვით მისი სახელი გვიჩვენებს.

როდესაც სათათბიროში შეიტანდნენ რაიმე ახალ კანონპროექტს, კავშირი საკუთარ თვალთა ხედვის ისარით გაარჩევდა ამ კანონპროექტს და საერთო დეპუტატთა კრებაზე ან სპეციალურ კომისიებში წარმოადგენდა თავის მოთხოვნილებათ. აგრარული კითხვა, ავტონომია, ადგილობრივი სასამართლოები, ენა, შკოლა და სხვ. აი კითხვები, რომელნიც დრო–გამოშვებით ირკვეოდა კავშირში.

ავტონომისტ–ფედერალისტთა კავშირმა ერთხმად გადაწყვიტა მოეპატიჟა ილია ჭავჭავაძე, როგორც სრულ უფლებიანი წევრი. ზოგნი ეჭვობდნენ, – ილია ამ კავშირში არ მიიღებს მონაწილეობას, მოერიდება აგრე ფარდა ახდილს პირდაპირს მუშაობასო, მაგრამ ასეთი აზრი არ გამართლდა. ილიამ დიდი სიამოვნებით მიიღო კავშირის წინადადება. კავშირის კრებები უფრო ხშირად საღამობით ხდებოდა. ეს ილიას არ აშინებდა და კრებებს ესწრებოდა.

– აქ ყოველ კითხვის შესახებ მოხსენების წაკითხვაა საჭირო, თორემ ყველა ეს ვაჟბატონები ჩინეთის იმპერიას უფრო იცნობენ, ვინმე ჩვენს ქვეყანას – პირველ კრების შემდეგ სთქვა ილიამ.

ასეთი იყო ილიას გადაწყვეტილება, მაგრამ ავტონომისტ-ფედერალისტთა კრებებზე მოხსენების წაკითხვას ან სიტყვის წარმოთქმას დიდი სიფრთხილე სჭიროდა, მიზეზი მეტად რთული იყო. ძალიან ხშირად თითქმის შეტაკება მოხდებოდა ხოლმე, განსაკუთრებით აგრარულ კითხვის დროს. პოლონელის სიტყვა (ლიტვაში

მცხოვრებ პოლონელის) ლიტველს არ ეპიტნავებოდა, უკანასკნელის – პირველს. უკრაინაში მცხოვრებ პოლონელს უკრაინელის და სხვ. რასაკვირველია ეს ხდებოდა, მაგრამ მორიგება შესაძლო იყო.

ეს გარემოება ილიასაც აფიქრებდა. განა შესაძლოა აგრარულ კითხვაზე მოხსენების წაკითხვა (საქართველოს შესახებ) ისე რომ სომეხთა როლს ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში არ შეეხოთ? არა. ილიას რომ მოუფერებლად და თავისებურად გამოეთქვა თავისი აზრი, რაღას იტყოდა კავშირის წევრი სომეხი დეპუტატი? ეს კითხვა თვით დროთა მსვლელობამ და ვითარებათა ცვლილებამ შეაჩერა.

ილია დაესწრო რამდენჯერმე კრებებს. მოისმინა უმრავლესობის აზრი თითქმის ყველა კითხებზე. შეიგნო ყველა სუსტი მხარე კავშირისა, მოუფერებლად და მიუდგომელად დააფასა წინააღმდეგობა წევრთა შორის. ასეთმა ანალიზმა ილია მიიყვანა არ სასიამოვნო დასკვნამდის და გაუქარწყლა დიდი იმედი.

ცოტა ხნის შემდეგ (ამ დროს იოსებ ბარათაშვილიც ესწრებოდა ავტონომისტთა კრებებს) აი რას ამბობდა ილია:

– ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირს სათათბიროში დიდი მნიშვნელობა ექნება, მაგრამ ჯერ-ჯერობით თვით ორგანიზაცია და მუშაობის სისტემა მეტად სუსტობს. არა მგონი რომ აგრე გასტანოს. აბა, კარგად დააკვირდით – კავშირის უზურპატორი–მეფე დეპუტატი ლედნიცკია. უმრავლესობა მის სიტყვას და წინადადებას წმიდათ წმიდათ იღებს და ეთანხმება. ეს აიხსნება მხოლოდ შეუგნებლობით. წევრთა უმეტესი ნაწილის აზრი ამა თუ იმ კითხვაზე არ არის საამდროვო. მე საქართველოში სოციალდემოკრატები რეტროგრადს მეძახიან, ესენი–კი–ჩემი მოხსენებანი რომ წავუკითხო–მგონი, რევოლუციონერს დამიძახებენ.

ილია ზოგიერთ კითხვებში ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირზე უფრო მარცხნივ იდგა. არც ეს გარემოება აშინებდა მაინც და მაინც ჭავჭავაძეს. ის ჯერ აპირებდა ისეთ მოხსენების წაკითხვას, რომელიც კავშირში აურზაურს და პროტესტს არ გამოიწვევდა.

ერთ მშვენიერ დღეს კავშირს ჩვეულებრივი კრება ჰქონდა. ლაპარაკი იყო აგრარულ კითხვაზე. კავშირს სურდა მალე შეეტანა თავისი წინადადება პარლამენტის აგრარულ კომისსიაში. ეს კრება ავტონომისტ ფედერალისტთა ცხოვრებაში სწორედ ისტორიულად უნდა ჩაითვალოს. უკრაინელებმა, პოლონელებმა, ბელოროსებმა, ლიტველებმა კინაღამ ურთ-ერთი შეურაცხყვეს... როდესაც კომისიის არჩევაზე მიდგა საქმე და კანდიდატად ილია და ბარა-

თაშვილიც დაასახელეს, წამოხტა დეპუტატი თოფჩიბაშევი და ხმა მაღლა დაიძახა:

– ჩვენი წარმომადგენელიც უნდა იქნეს არჩეული კომისიის წევრად. ქართველებს თუ ირჩევთ, ჩვენც უნდა აგვირჩიოთ. ქართველებს მიწის სოციალიზაცია სურთ, ისინი სოციალისტები არიან, ჩვენა-კი სულ სხვა პირობებში ვართ და სხვა მოთხოვნილება გვაქვს.

კრებამ თოფჩიბაშევი დააწყნარა. როგორც მახსოვს იმ დღესვე ისიც აირჩიეს კომისსიის წევრად. შემდეგ ნეტარხსენებულმა ილიამა სთქვა:

– არ გითხარ კონტრრევოლუციონერს დამიძახებენ მეთქი?! ჯერ კრინტიც არ დამიძრავს და თოფჩიბაშიევი სოციალისტს მეძახის... ნეტავი რის შაეშინდა?

უკანასკნელ შემთხვევას არავითარი სამწუხარო შედეგი არ მოჰყოლია. ვინ იცის მომავალში, სათათბირო რო არ დაეხურათ, შედეგსაც ამოეყო თავი პრინციპიალური შეტაკებაც მომხდარიყო.

– ეხლა მე რაღა საჭირო ვარ? ღიმილით შენიშნავდა ხოლმე ილია ბარათაშვილის ჩამოსვლის შემდეგ. რა-კი ბარათაშვილი აქ არის, უჩემოდაც დაიცავს ჩვენს ინტერესებს.

ჭავჭავაძის ასეთ აზრს ბარათაშვილი ენინააღმდეგებოდა. გარდა ამისა ილიას ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირში ყველანი უკვე კარგად იცნობდნენ, პატივს სცემდენ, როგორც მხცოვან და გამოცდილ შეჭაღარავებულ მოღვაწეს. ეს უკანასკნელი პირობა ილიას სულ სხვა ძალას აძლევდა. ამას თვითონაც გრძნობდა და მასთან ერთად ჩვენც. ამიტომაც კავშირიდან წასვლაზე ბოლოს არას ამბობდა.

– რასაც შევძლებ – აქაც გავაკეთებ.

ასეთი იყო უკანასკნელი სიტყვები მგოსნისა. ვამბობ უკანასკნელი, რადგან ერთი კვირის შემდეგ ტავრიდის სასახლე დაჰკეტეს – პირველი სათათბირო დაიხურა.

ილია და სოციალ-დემოკრატები (დეპუტატები)

ჩამოვიდნენ ჩვენი დეპუტატებიც, რომელთა შორის მხოლოდ ბარათაშვილი იყო არა სოციალ-დემოკრატი. ჩვენი ქვეყნის წარ-

მომადგენელთა ასეთმა ჯგუფმა პეტერბურგის ქართველი ინტელიგენცია და მასთან ერთად ილია დააფიქრა. მიზეზი საყურადრებო იყო. სათათბიროში მოელოდენ ავტონომიაზე მსჯელობას. ქართველთა მინდობილობით ლედნიცკიმ ჩვენების ჩამოსვლამდის პარლამენტის კომისიაში შეიტანა განცხადება საქართველოს ავტონომიის შესახებ, „ჩვენი სოციალდემოკრატები წინააღმდეგნი იქნებიან და ხომ არ შევრცხვით, განცხადება მაინც არ იყოს კომისიაშიო, "- აი რა ფიქრი ტრიალებდა ქართველთა შორის.

– „რამე უნდა ვიღონოთო"- ამბობდენ ილია და სხვანი.

რა უნდა ეღონათ? ამ დროს და წინედაც ს.დ. ჟურნალ-გაზეთებში ილიასთან საქმის დაჭერას, პურის მჭამელს და მოლაპარაკესაც ჯვარს აცვამდენ. ამიტომ პეტერბურგის ქართველთ შეუძლებლად მიაჩნდათ შეერთებულ საერთო კრების მოხდენა, თუნდაც ისეთი პატარა მსჯელობისა, რომელშიაც ქართველ დეპუტატ-სოციალ-დემოკრატებთან ერთად ილიას და სხვებს მიეღოთ მონაწილეობა.

ილია იმედს არ კარგავდა. პროფ. ცაგარელი ყოველ შეხვედრაზე გაიძახოდა: „უთუოდ უნდა შევხვდეთ სადმე, მოვილაპარაკოთ. ნუ თუ ასეთი პროტესტანტები არიან"...

მთხოვეს გამეგო დეპუტატების აზრი. ის. რამიშვილს, ნ. ჟორდანიას, გომართელს და სხვათ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და შესაძლოდ ცნობდენ მოლაპარაკებას. აქვე უნდა შევნიშნო, რომ მაინც და მაინც დიდს სარგებლობას არც ერთი მხარე არ მოელოდა. მოუხედავად ამისა ხშირად გაისმოდა: „ვინ იცის, იქნებ შევთანხმდეთ."

ველოდით შესაფერ შემთხვევას, რომ სადმე შეკრებილიყვნენ. ამასაც მოვესწარით.

პეტერბურგში ჩამოვიდა ცნობილი მდიდარი ქართველი დავით სარაჯიშვილი, რომელიც სათათბიროს კრებაზე წავიყვანე. კულუარებში სეირნობის დროს სარაჯიშვილმა შემდეგი წინადადებით მომმართა:

– მე მსურს ჩვენს დეპუტატებს და მათთან ერთად ზოგიერთ აქაურ ქართველებს სადილი გავუმართო. მომინდვია შენთვის, აარჩიეთ დრო, დანიშნეთ საათი, ადგილი და მე მზადა ვარ.

ეს მე ძლიერ გამიხარდა. სარაჯიშვილს ავუხსენ, რომ ასეთი შეკრება სწორედ გვინდოდა მეთქი. გადავწყვიტეთ ორ კურდღლის ერთად დაჭერა.

ერთი წუთით – მართალი გითხრათ – შევჩერდი. „ის. რამიშვილი და სხვანი რომ სადილად არ წამოვიდნენ" – გავიფიქრე, მაგ-

რამ დიდად შევცდი. ყველანი დათანხმდენ. ორივე კმაყოფილი დარჩა.

– რატომ არ წამოვალ?-გაიკვირვა ის. რამიშვილმა.

„ევროპის სასტუმრო"-ს ცალკე დიდ ოთახში შევიკრიბენით. სუფრის თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა ილიამ, და მთლად სმენად გარდაქცეული, ათვალიერებდა იქ მყოფთ. ისიდორე რამიშვილს მიუჯდა პროფ. ცაგარელი. სადილის გათავებამდის ლაპარაკს ნაწყვეტების ხასიათი ჰქონდა.

სანამ კრების მიზანზე ვიტყოდე რასმე, მსურს მოვიგონო ერთი მხიარული სცენა.

სადილის ბოლოს დავით სარაჯიშვილმა შამპანიურ ღვინით გაგვიმასპინძლდა. ავარდა პრობკა და აივსო ჭიქები შუშხუნა შამპანით.

ისიდორე რამიშვილმა არა ჩვეულებრივად შეათამაშა სახე, ულვაშებში ჩაიცინა და მოსვა შამპანიური ღვინო... დაცალა ჭიქა, და სიცილითა სთქვა:

– ძალიან გემრიელი ყოფილა შამპანიური. პირველადა ვსვამ. მშვენიერი ღვინოა. ამიტომ ვერ შორდება და იცავს თავის ცხოვრებას ბიუროკრატია და ბურჟუაზია. რა თქმა უნდა ასეთ ღვინის დაკარგვა ეძნელებათ.

ისიდორეს გულწრფელმა ირონიულმა სიტყვებმა საერთო სიამოვნება გამოიწვია. შამპანიური კიდევ დალიეს. ილია გამხიარულდა და გულ ახდილად შენიშნა:

– სოციალდემოკრატს შამპანიური გაუტკბილდა!

– ჩემს სიცოცხლეში არ დამილევია, მაგრამ, უარს ვერ ვიტყვი; მართლა ჩინებული რამ არის!

ხუმრობასაც ბოლო მოეღო. სადილს მორჩენ და შეუდგენ პოლიტიკას. ილიას ყველანი დიდი პატივის ცემით ეპყრობოდენ.

ნ.ჟორდანია და სარაჯიშვილი გერმანულად და ფრანგულად ლაპარაკობდენ. ისიდორე რამიშვილი პროფ. ცაგარელს მთელს ლექციას უკითხავდა. საგანი – კრების მიზანი, ანუ ავტონომიის შესახებ აზრის საბოლოოდ გამოთქმა. პროფ. ცაგარელის ენერგიულმა. განმტკიცებულ რწმენაზე აშენებულმა სიტყვებმა ვერ შეარყიეს ისიდორე. იგი წყნარად და ტკბილად ამბობდა:

– ჩვენ ეხლა ამ კითხვაზე სათათბიროში ლაპარაკი მეტად მოგვაჩნია, ჯერ სხვა, საერთო კითხვებია გასარჩევი...

ამას მოყვა ის, რაც უკვე ვიცით ჩვენ ესდეკების პროგრამიდან. ჩემზე – უნდა გამოვტყდე – ისიდორე რამიშვილის კილო და მეტად

ზრდილობიანი მოფიქრებული სიტყვა კარგად მოქმედებდა. ეს არაფრით არ გავდა იმას, რასაც პარტიულ პრესაში ამოიკითხავთ ხოლმე.

ილია ისეთის ყურადღებით ისმენდა რამიშვილის სიტყვას, თითქოს მოლაპარაკის ყოველივე სიტყვას რთულს ანალიზს უკეთებდა. მგოსანს ხშირად სახის გამომეტყველება ეცვლებოდა. ხანდისხან დარბაისლურად შეინძრეოდა, მაგრამ მსწრაფლ შესწყვეტდა მოძრაობას. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავს იჭერდა და საშუალებას აძლევდა რამიშვილს დაემთავრებინა თავისი სიტყვა.

დაასრულა ის. რამიშვილმა ვრცელი ლექცია. ილია ცოტახანს იჯდა და ყურს უგდებდა პროფ. ცაგარელის პასუხს. მერმე მრავალ მნიშვნელოვნად გადაჰხედა ყველას, ნელა წამოდგა და ღრმა ჩუმ ფიქრში გართულმა იწყო ოთახში სეირნობა.

ილიას გადმოხედვა, მიმოხვრა, უცაბედი შენიშვნა, შეჩერება ნათლად გვეუბნებოდა: „მე მაგათ ვერას შევაცვლევინებ. რაც ის. რამიშვილმა სთქვა, ის მაგათი მტკიცე გადაწტყვეტილებაა. ჩვენ სხვა რამ უნდა ვიფიქროთო."

ამიტომაც ვრცელი მსჯელობა ილიამ ალ. ცაგარელს დაუთმო.

ამ დროს ცოტა ხნით (ნახევარ საათით) მობაასეთ თავი დავანებე. რა მოხდა ამ დროს განმავლობაში დაწვრილებით არ ვიცი. როგორც მერმე გამოირკვა ილიას ვერ მოეთმინა და ლაპარაკში ჩარეოდა.

ღამის მეორე საათზე ერთმანეთს დავშორდით. შთაბეჭდილება საერთო კარგი იყო. ასეთი მშვიდი და წყნარი იყო სოციალ-დემოკრატთა კრება ილიასთან ერთად.

მეორე დღეს ილიას სათათბიროში შევხვდი, იმ წამსვე ვკითხე:

გუშინ ხომ არ დაღლილხართ?

– არა. გუშინდელი საღამო საინტერესოდ მიმაჩნდა, -თორემ იმდენხანს რა გამაჩერებდაო. რაც უნდა იყოს ჩვენმა შეკრებამ ერთი რამ აგვიხსნა: ეხლა ვიცი მაინც როგორ მოიქცევიან ჩვენი დეპუტატები, როცა ავტონომიაზე იქნება მსჯელობა.

– განა წინად არ იცოდით?

– ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგნი არიან. ეს ყველამ ვიცოდით. მაგრამ ის, რაც გუშინ გამოირკვა-ახალია. ამათთან, ბელადებთან, ისიდორესთან და ნოესთან შესაძლოა მოლაპარაკება, -სხვებთან კი ჩვენში... ფანატიკოსები არიან დალოცვილნი. შეიძლება ორს სხვა და სხვა უკიდურესს პარტიას ვეკუთვნოდეთ, მაგრამ ჩვენ ერთად ლაპარაკი უნდა შეგვეძლოს. მრწამს ცოტაოდენ სარგებლობას უთუოდ მო-

იტანს. ნაციონალური გრძნობა ძლიერ ღრმად არის ჩანერგილი, შესისხლხორცებული და თუ გაიძახიან „არაო"-ეს თავის მოტყუილებაა. კარგად ჩაიხედონ გულში... ეჰ, შორს წავედი. ისევ გუშინდელ დღეს დავუბრუნდეთ. „ჩვენ საქართველოს ავტონომიას არც დავიცავთ და არც წინააღმდეგ ვიტყვით არაფერს"- ეს დაპირებაც კარგია. მადლობა ღმერთს: მე არც ამას მოველოდი.

შემდეგ გამოკითხვამ დამარწმუნა, რომ ეს საყურადღებო აზრი ეთქვათ მაშინ, როდესაც მე არ ვიყავ ოთახში. ზოგიერთ შეშინებული გული ამ ამბავმა დაამშვიდა. პირადად ილია – როგორც იმის სიტყვებიდანაც ჩანს – კმაყოფილი იყო.

პროფ. ცაგარელი არც მაშინ იყო დამშვიდებული ასეთ პაწია დათმობით და არც მერმე. მას სურდა ავტონომიის კითხვაში სოციალ-დემოკრატებს ავტონომისტთა მხარე დაეჭირათ, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო მაშინ და შეუძლებელია დღესაც.

ერთხელ ავტოკეფალიაზეც გამოელაპარაკა ილია` ზოგიერთებს. გავიგეთ, რომ სიმონ წერეთელი (თვითონ სთქვა) საქართველოს ეკლესიის შესახებ და ავტოკეფალიაზე საკუთარ მოხსენების წარდგენას აპირებდა სათათბიროში. რასაკვირველია ამხანაგების ნება დართვით.

ამას არ მოველოდი.-ამბობდა ილია. ჯერ ესეც ვიკმაროთ. ეს დაპირებანი შეასრულონ. დამოკიდებულებას ნუ გავამწვავებთ. არა უშავს, რა...

აგრე მორბილდა მგოსნის გული დეპუტატ სოც. დემოკრატთა სიტყვებით. ყველანი ელოდა უმჯობესს მომავალს მთელ რუსეთში. საამო ახლო მომავალი ეხატებოდა ილიასაც, მაგრამ... ველარ განხორციელდა სოციალ-დემოკრატთა დაპირებანი, ვერა დასტკბა სურვილის ასრულებით ჭავჭავაძე და მასთან ერთად მთელი ქვეყანა: პირველი სათათბირო დახურეს.

მეორე სათათბიროში სულ ახალი პირობები იყო. ხელოვნურმა განსაზღვრამ, აღნიშნულ კითხვების გაქარწყლებამ, ახალმა სუსხიანმა ჩრდილოეთის პოლიტიკურმა ქარმა ილიას და ქართველ დეპუტატთა შორის დასაახლოვებელი ნიადაგი მოსპო.

ილია და პეტერბურგის ქართველები

ეხლა დავანებოთ თავი ილია ჭავჭავაძეს – როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს. აწ სხვა კითხვებს შევეხოთ.

ილია ჩამოვიდა თუ არა პეტერბურგში მოწადინებული იყო ყველა ადგილობრივი მოღვაწე ქართველი ენახა, გაეგო ქართველთა ცხოვრება და რამდენადაც შესაძლო იქნებოდა დაახლოვებოდა.

იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა დიდად პატივცემული ალექსანდრე ყიფშიძე, რომელთანაც ერთად ილია ხშირად რამდენიმე საათს ერთობოდა ამა თუ იმ საგანზე სერიოზულ ბაასში. არა ერთხელ შეხვდებოდით ორთავეს სათათბიროს კულუარებში. ა.ყიფშიძე დიდ დახმარებას უწევდა საყვარელს მგოსანს. მაგრამ ა.ყიფშიძე მალე წავიდა საქართველოში.

იტყვიან – თუ რისამე გაგება გულწრფელადა გსურს – მიზანსაც მალე მიაღწევ. ეს უტყუარი სიტყვები არა ერთხელ გამართლებულა.

ილიამ ცოტა ხნის შემდეგ პეტერბურგის ქართველთა მთელი ყოფა-ცხოვრება იცოდა – უმთავრესად ჭავჭავაძის ყურადღებას იქცევდა ქართველნი მოსწავლენი.

ივნისის უკანასკნელი რიცხვები იყო (1906წ.) ილიას სათათბიროში შევხვდი. მგოსანს სახე მოღუშული ჰქონდა, რაღაც ნაღვლიანობა გამოიხატებოდა. მე შემეშინდა, – ავად ხომ არ არის მეთქი.

– გუშინ ჩემთან ერთი ახალგაზრდა იყო, – გულ დაწყვეტილი დაიწყო ილიამ – ბევრი ცუდი რამ მიამბო. ნეტავ რამდენად მართალია ჩემი გუშინდელი სტუმარი?

– ძალიან დაუნაღვლიანებიხართ, როგორც ვატყობ.

– ძალიან მეწყინა... მაგრამ ყმაწვილის ნათქვამი გარდამეტებული უნდა იყოს. ქართველნი მოსწავლენი არას აკეთებენო, ქართული ენა სრულიად არ იციანო. თავისუფალ დროს მხოლოდ ბანქოს ანდომებენ, კლუბებში თამაშობენ. ამ ნიადაგზე ბევრს მეტად საზარელს და საძაგელ შემთხვევათ ჰქონდათ ადგილიო. ის სტუდენტები, რომელთაც ყველა მოსწავლეთა წრე საუკეთესოდ სთვლიან, კლუბებში ათენებენ და აღამებენ. ახლებს თითქმის ძალით აჩვევენ ბანქოს თამაშსო. ეს რა უბედურება დატრიალებულა? ნუ თუ მართალია?

– საზოგადოდ რა მოგახსენოთ, მაგრამ ეგ სენი მართლა რომ გავრცელებულია. ბანქო ბევრს ნიჭიერს და ენერგიით სავსე ახალგაზრდა მოსწავლეს უბნევს გზას და აკარგვინებს ძვირფასს დროს.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ილიას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ წარბები მოწყენით შეათამაშა.

– ეს უბედურობაა, – გაიმეორა ჭავჭავაძემ. მითხრა – ერთი ახალგაზრდა ჩამოვიდა საქართველოდან, თან ჩამოიტანა ორასი თუმანი, სურდა სწავლის შეძენაო. დღეს – კი არც ფული, არც ცოდნა, მხოლოდ ბანქოს თამაში და კლუბის ბინა ასწავლეს მეგობრებმაო. ეს სასტიკი დანაშაულია, – აამაღლა ხმა ილიამ.

– მეც მიამბეს. ეს ფაქტი – სინამდვილეა.

– მეტს ვერას ვიტყვი... ნამეტნავად გულს მიკლავს ასეთი ქცევა სტუდენტთა შორის. ქართველ სტუდენტთა შორის ასეთ საზიზღრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს...

ამ დროს ილიას თარხნიშვილის ქალები მიესალმნენ და სატყვა გააწყვეტინეს.

ხშირად უბრუნდებოდა ილია ამ საგანს. საშინელს მსჯავრს დებდა აქ მყოფ ახალ გაზრდობას, ხმა მაღლა, გასაგონად. საუბედუროდ მგოსანი მოგვშორდა, ეს სენი კი ისევ ძველებურად იზრდება ჩვენ ახალგაზრდათა შორის – როგორც თვითონ ახალ გაზრდანი ამტკიცებენ.

არც პეტერბურგში დარჩენილნი ქართველების ცხოვრება აკმაყოფილებდა ჭავჭავაძეს. იმის აზრით, ვინც რუსეთში რჩება, აქ ეკიდება ოჯახს და აქაურ საზოგადოებაში (რუსის) მოღვაწეობს – ის ჩვენი ქვეყნისთვის მაინც და მაინც დიდი საიმედო და გამოსადეგი არ არის. ამათ შორის სულ სხვა ფრივ უცქეროდა ქართველ პროფესორებს. დროებით დარჩენილი ქართველები, ილიას აზრით, ძალას იკრეფენ და რაც მალე წავლენ ჩვენში – მით უმჯობესია.

ჭავჭავაძეს გულს უკლავდა პეტერბურგის ქართველების დაქსაქსვა.

– ვერავითარ ერთობას ვერ ვხედავ აქ ქართველთა შორის. უმრავლესობა ერთმანეთს სრულებით ვერ იცნობს. რაღაც განცალკევებულ ცხოვრებას მისცემიან. მე არას ვამბობ იმათზე, რომელნიც მუნდირებში გახვეულან, აქაურ კუპჩიხები და მდიდარი ქალები შეურთავთ. არა, ამათ გარდა სხვანი, უფრო წმინდა ელემენტები რაღას შვრებიან? პროფ. ცაგარელსა ვკითხე – როგორ არის პეტერბურგელ ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების საქმე მეთქი. წევრებს თითქმის არ აინტერესებს ეს დაწესებულება, ფული არ შეუტანიათ და საზოგადოება არაფერს აკეთებს. ეხლა გადახედეთ პოლონელებს. გუშინ სახელმწიფო საბჭოს წევრი, პოლონელი, მიამბობდა იმათ საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიას... მართალი გითხრათ შემრცხვა.

აგრე ლაპარაკობდა მოხუცი.

ზოგნი ამბობენ: – „ილიას არ სურდა პეტერბურგელ ქართველებთან დაახლოვება, იმათი ვინაობის გაგება, გულგრილად უყურებდა იმათ ცხოვრებასაო." ეს სიტყვები გამიგონია ხშირად, უმრავლესობისათვის საკადრისი პასუხი გამიცია.

დღეს კი საჯაროდ ვაცხადებ, რომ ასეთი სიტყვები ილიას ხსოვნის შეუგნებელი შეურაცხყოფაა და სხვა არაფერი. ჩემ ნაამბობიდან მიხვდებით – რამდენად მართალნი არიან „ავ ენათა" პატრონნი.

ილიამ პირველ ორ-სამ თვეში შესძლო პეტერბურგის შესწავლა იმდენად კარგად, რომ უტყუარ აზრის წარმოთქმა თავისუფლად შეეძლო. ის არ იჯერებდა გაგონილ ჭორს, ის ითხოვდა საბუთს და გაგებულს სხვა საშუალებითაც იკვლევდა. ბევრი, თამამად შემიძლია ვსთქვა, უმეტესი ნაწილი პეტერბურგელ ქართველთა არ იცნობს თავიანთ აქ მყოფ მემამულეთა დაქსაქსულ კოლონიას ისე, როგორც ილია იცნობდა მათ; ჭკვა, ნიჭი, სწორი გათვალისწინება, ულმობელი კრიტიკა – ანალიზი ყოველთვის ასეთ ნაყოფს მოიტანს.

ილიას ქართველი საქართველოში უყვარდა, უყვარდა საქართველოს ტურფად მოხავერდებულ მდელო – მთებში, სადაც მუდამ ისმის ჩუმი და მძლავრი ხმა: „აქ უნდა შრომა, შრომას კი ძალთა შეკრება"

ეს კანონიერი ხმაა.

შიო ჩიტაძის პანაშვიდი

პირველ სათათბიროს უკანასკნელი დღენი იყო, როდესაც ტფილისიდან საშინელი ამბავი მოვიდა „შიო ჩიტაძე მოკლეს სათავადაზნაურო გიმნაზიაში". ვინ აღწერს იმ წუხილის ძლიერებას, რომელიც ასეთმა ახალმა სასტიკმა ცნობამ შეჰქმნა.

ილიას სიბრძნით სავსე თვალები ცრემლთა ზღვაში დასცურავდა, სახე სულის ტანჯვას და უსაზღვრო ნაღველს მოეცვა ჩიტაძის. ვერაგულად მკვლელობას მოხუც ქართველებზე მეტად ემოქმედა.

– რა უბედურება გვატყდება თავს?!... რას ვესწრებით? რას გვიშვრებიან?"... უთუოდ შეკითხვა უნდა შეიტანონ ჩვენმა დეპუტატებმა. რა ხდება?... გულმოკლული გაიძახოდა ილია.

როდესაც ჭავჭავაძემ გაიგო ქართველი დეპუტატები დღესვე აპირებენ შეკითხვის აღძვრასო – ცოტათი ვითომ დამშვიდდა, მაგრამ გულში ღრმად ჩასერილი ახალი არა ჩვეულებრივი შხამი თავისას შვრებოდა. შიო ჩიტაძის მკვლელობის გამო აღძრულ შეკითხვის გარჩევას სათათბიროში ილია დაესწრო. მოისმინა ჟორდანიას, ჯაფარიძის და ბარათაშვილის სიტყვები, განსაკუთრებით გული აუჩვილა უკანასკნელის სიტყვამ.

იმ დროს პეტერბურგში იყვნენ ჩვენი ეპისკოპოზები კირიონი და ლეონიდი. ადვილი მისახვედრია, როგორ მიეგებნენ ესენი გულ შემზარველ ამბავს. გადაწყვიტეს ალექსანდრე ნეველის ლავრაში პანაშვიდის გადახდა.

პანაშვიდი დანიშნული იყო დილის 11 საათზე. სამწუხაროდ, პეტერბურგელ ქართველთაგან ორიოდე კაცი დაესწრო. ამათ შორის პროფ. ცაგარელიც.

ილიას არ მოველოდი. მიზეზი: ავადმყოფობა და პანაშვიდის ადრე დანიშვნა. შევცდი. ილია ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ მაინც მოვიდა – როგორც მახსოვს – ყველაზე უფრო ადრე.

– რად დაიზარეს პანაშვიდზე დასწრება, – საყვედურის კილოთი ჩაილაპარაკა გაჯავრებულმა ილიამ. რა სუსტნი ვართ!...

აგრე გული დაწყვიტა მგოსანს პეტერბურგელ ქართველთა გულგრილობამ, ანუ უკეთ რომ ვთქვა სიზარმაცემ, მაშ რით უნდა აიხსნას პანაშვიდზე არ მოსვლა?

ასეთნი ბრძანდებიან ჩრდილოეთში დაბინავებულნი შვილნი საქართველოსი, რომელთ გონებას და გულს დღითი დღე უფრო ყინავს თეთრ ზღვიდგან გადმოვარდნილი ატმოსფერა.

დიდხანს, დიდხანს შერჩა ილიას უეცრივ აღმოცენებული შხამით აღვსილი ფიქრები. ყოველ შეხვედრაზე ჩიტაძის მხეცურ მკვლელობას იგონებდა. ისეთი აზრთა გამტაცი იყო ილიას დარდიანი შენიშვნები, რომ ძალაუნებურად თვალთ წინ მეხატებოდა ჩვენი ქვეყნის წითლად შეღებილი სურათი, რომელზედაც შავად ჩნდა მტარვალობის ნაბიჯი. მგოსნის მოკლე სიტყვები აგრე შორს გიტაცებდათ.

განა შეეძლო წარმოედგინა მხცოვან დაუღალავ მოღვაწეს – რა მოხდებოდა ერთი წლის შემდეგ? განა შეეძლო წარმოედგინა, რომ 12 თვის შემდეგ თვითონ დავარდებოდა უმწეო მსხვერპლად?

რასაკვირველია – არა... მაგრამ ეს უბედურობაც მოხდა და მეორე სამგლოვიარო პანაშვიდი გადაიხადეს...

რა სასტიკია ცხოვრება?!"

●

ილია ჭავჭავაძის ცხოვრების აღწერა ერთობ ნაკლული იქნება თუ ნიკო ხიზანიშვილის პიროვნებას არ გაითვალისწინებთ მის ბიოგრაფიაში. ნიკო და ილია განუყრელი მეგობრები იყვნენ. ერთმანეთთან დიდად შეხუმრებულნი. ნიკოს უზომო ჭამა უყვარდა, მარტო იმის გახსენება რად ღირს, ერთხელ ილიას სამზარეულოში რომ შეიპარა და მთელი შემწვარი გოჭიდან მალე მარტო ძვლები დატოვა. გოჭის შემოტანა რომ დაუგვიანდა მზარეულს, ილია თავად გავიდა მოსაკითხად და სამზარეულოში დარცხვენილ ხიზანიშვილს კი დაადგა თავზე, რომელიც ძვლებს დაჰყურებდა.

რაღას იზამდა, ბევრი იცინეს.

გერმანიაში რომ წაჰყვა ლეიდენთან სამკურნალოდ, შეუხედავს თუ არა ექიმს ნიკოსთვის, უთქვამს – ეს ჭამას თუ არ მოუკლებს, ვერაფერი უშველისო. ნიკო გაოცებულა, გერმანიაში ვიღამ გააგებინათ ჩემი მუცელღმერთობის ამბავიო.

ნიკო ძალიან ნიჭიერი კაცი იყო, კალმით თუ პრაქტიკული საქმით მუდმივ ილიას თანმდგომი და თანამებრძოლი. 1906 წლის მიწურულს ასეთი ახლო მეგობარი მოუკლეს ილიას. ხიზანიშვილი გამომძიებლად მუშაობდა. პასუხისგებაში მიცემულმა ხულიგნებმა, ძმებმა კასრაძეებმა მოკლეს ქუჩაში. მის დაკრძალვაზე კი ვიღაცეებმა პროკლამაციები გადმოყარეს, შენც მალე მოგიღებთ ბოლოსო – ილია იგულისხმებოდა.

საშინელი მუქარის წერილები მისდის ილიას დას ელისაბედსაც. იმას ფულს თხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ქიშმიშოვივით გაგისწორდებითო, იწერებიან.

ყვარელშიც ტრაგედია დატრიალდა. ადიდებულმა დურუჯმა 60 კაცი იმსხვერპლა. ილიამ მთავრობა ჩართო საქმეში და სოფლის თავში ჯებირები გააკეთებინა. ისეთი რამეებიც ხდება ამ 1906 წელს, რასაც ჯერ არა, მაგრამ ცოტა ხანში ილიას ცხოვრებასთან კავშირი ექნება. მაგალითად, პეტერბურგში კლავენ ერთ-ერთ გამოჩენილ დეპუტატს, ხოლო თბილისში ცოლს ირთავს ილიას ყოფილი ასოთამწყობი დიმიტრი ჯაში, რომელიც იმ სახლში ცხოვრობდა, სადაც მისი ნათესავი, სოციალ-დემოკრატთა ლიდერი ნოე რამიშვილი ჩაესიძება. ვნახოთ რა კავშირში აღმოჩნდება ეს ყველაფერი 1907 წლის მოვლენებთან და ტრაგედიასთან.

1907

ილია და ოლღა აივანზე საგურამოში

„ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
მოგკლეს უბრალო, ბრალითა
ქვეყანა შეარყიესო;
მზე დანაბნელეს, მთვარეცა,
ვარსკვლავნი დააფრქვიესო.
თავს კრეტსაბმელი განაპეს,
ბოლომდი შუა ხიესო".

დავით გურამიშვილი

ჩვენთვის ილია ჭავჭავაძე პოლიტიკური თვალსაზრისით კარგა ხნის მკვდარი იყო, ის აქტიურ ბრძოლებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აღარ ერეოდა და ჩვენ რატომ უნდა მოგვეკლაო, – ერთი არგუმენტი ესეც იყო, რაც სოციალ-დემოკრატებმა ილიას მკვლელობის შემდეგ უტიფრად განაცხადეს.

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ერთი წელიც არ ჩაუგდიათ გააფთრებული შეტევებისა. ისე, როგორც წინა წლები, 1907 წელიც ილიას ლანძღვით დაიწყეს.

1907 წლის გაზეთ „შუამავლის" პირველივე ნომერში დაბეჭდილია პაროდია იმ სიტყვისა, რომელიც ილიამ წინამძღვრიშვილის სკოლის გახსნის დროს წარმოთქვა.

მაშინ, როცა ილია თავის მოურავ მოსეს აფრთხილებს, – არ დაუშვას ეგზეკუციის ჩაყენება სოფელში, არ დაუშვას გლეხთა შევიწროება და რაც შეიძლება მომთმენი იყოს თუნდაც მათი უსაფუძვლო კაპრიზების მიმართ, -დროა ყველაფრის მკურნალიო, ხალხი ადრე თუ გვიან დამშვიდდება და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდებაო, იმავდროულად „ეშმაკის" ფსევდონიმით ქვეყნდება მორიგი მიზანმიმართული ცილისწამება ილიას მისამართით, თუ როგორ ჩაგრავს ის გლეხებს.

ეშმაკი ფსევდონიმი იყო ნესტორ კალანდაძისა, უფრო სწორად, რასაც ეს კალანდაძე კადრულობს, მის ნამდვილ ვინაობას

გვარი კი არა, ეშმაკის თიკუნი უფრო სწორად გამოხატავს. აი, ეს პაროდიაც:

სიტყვა
თქმული ილია ჭავჭავაძის მიერ ს.
გურამიანთ-კარში ეკზეკუციის მონიჭების დროს

(მიბაძვა სიტყვისა წინამძღვრიანთ-კარში თქმულისა)

„ხალხნო და ჯამაათნო! ნათქვამია: ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ „ჩვენს" მამულში დაიბღერტაო. შეხედეთ ამ ამწვანებულ ჯეჯილს, ამ ნორჩ ტყეს, ამ მოჩუხჩუხე არაგვს! ხალხნო და ჯამაათნო! ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედა-მიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი სიმდიდრე დასდვა, ეს არე-მარე მე მომიზომა და მითხრა: „ილიკო ჩემო! იშრომე, გაისარჯე, დედა-მიწას გული გაუპე, იქიდან სიმდიდრე ამოიღე და ისრგებლეო". ეს ნაჭერი, საყვარელნო ძმანო ჩემნო, გახლავთ საგურამო, დაწყებული წიწამურიდან ვიდრე ჯიღაურამდე, ხოლო ზედაზენიდან ვიდრე არაგვის ატეხილ ჭალებამდე.

„თუ ოდეს გლეხთა მასზე მოსახლეთა", განაგრძო უფალმა, „არა ისურვონ შრომა ბატონისა თვისისათვის, არა გარდაუხსნან პირი დედა-მიწასა და ამოღებულისა სიმდიდრისა სამი მეოთხედი არა მიუზღონ ბატონსა თვისსა, მაშინ(ბრძანებს უფალი), მოვლინებულ იქნან სოფლად სტრაჟნი და კაზაკნი, რათა ხმლითა და მათრახითა გარდაუხსნან ყმათა მათ ქალა თავისა და ამოიღონ მუნით ტვინი თავსა მას შიგან მდებარე".

ხალხნო და ჯამაათნო! წმინდა არს ნება უფლისა და შეურყეველ არს „ქვაკუთხედი" კერძო საკუთრებისა. მონიჭებული ღვთისა მიერ არ წაირთმევის ძალითა, რამეთუ მოქმედი მახვილითა, მახვილითავე მოკვდების. თუ ოდენ ქრისტე ღმერთმა კალთა თავისი უხვებისა აქ ჩვენს მამულში დაიბღერტა, ჯერ არს თქვენც, ძმანო ჩემნო, ჯიბენი თქვენნი სისაწყლისა ჩემს კალთაში ჩაიბღერტოთ ვიდრე უკანასკნელს გროშამდე.

ხალხნო და ჯამაათნო! თვით უფალმა ღმერთმა აკურთხა „ქვაკუთხედი" კერძო საკუთრებისა და ჯერეთ გამოუქვეყნებელ მეთერთმეტე მცნებაში (რომელიც არს გაგრძელება მეათისა) ღაღად ჰყო: „არა გული გითქმოდეს უღრანთათვის პატრონისა შენისა.

არცა მინდვრისა მისისა,

არცა ფიჩხისა მისისა,

არცა ქვიშისა მისისა,
არცა შეშისა მისისა,
არცა ღალისა მისისა,
არცა წყალისა წმინდისა,
არცა ბალახისა მისისა,
არცა ტალახისა მიწისა,
არცა ჯაგებისა მისისა,
არცა ძაღლებისა მისისა,
არცა ყოვლისა მისთვის
რაიცა იყოს ბატონისა შენისა."

ხალხნო და ჯამაათნო! აი ჭეშმარიტი სიტყვა უფლისა, რომელსაც სავსებით ვეთანხმები მეც, მონა მისი, და ბატონი თქვენი. თქვენ უმეცრებითა თვისითა დაარღვიეთ კანონი უფლისა და გასთელეთ ფეხთა ქვეშე თქვენსა ქვა კუთხედი იგი დღევანდელი სამართლიანობისა. ცოდვათა ამა, სჯულისათა საზღაურს მოგივლენთ თვით უფალი ღმერთი ჩვენი ჟამსა მას მეორეთ მოსვლისასა, ხოლო რაიცა შეეხება ცოდვათა თქვენთა მიწიერთა, ჩემდამო მიმართ მომართულისა, ამისათვის მე მოგივლინეთ თქვენ ხალხნი ესე ბატონისა ფრიად ერთგულნი, აქედან იწყება ხანა ეგზეკუციის ბატონობისა."

ის, რასაც ილია თავის მოურავს სწერდა, გლეხებთან, ეგზეკუციასთან დაკავშირებით, იყო კერძო წერილებით მიწვდილი აზრი და ეცნობოდა ერთი კაცი, მაგრამ ეშმაკის წერილის მსგავსი ინსინუაციები იბეჭდებოდა სოციალ-დემოკრატთა გაზეთებში და მათივე პროპაგანდისტების მეშვეობით ვრცელდებოდა ხალხში.

საზოგადოება მკვლელთა ბანდების მიერ ისეა დაშინებული, ილია არსებითად მარტო რჩება ამ კარგად ორგანიზებული ტერორისტების წინააღმდეგ. ილიაც აღარაფერს პასუხობს კალმოსან ქილურებს. „ნუთუ" მისი უკანასკნელი პასუხი იყო, რადგან კარგად ხვდება, ეს არ არის პოლემიკა, როცა ვინმეს მტყუან-მართალის გარჩევა აინტერესებს. ეს ომია, კლასობრივი ომი, სადაც იდეოლოგები სხვები არიან. პატარ-პატარა „ეშმაკები" კი მხოლოდ დაკვეთას ასრულებენ.

ასეთ დროს ადამიანები ან შეტევაზე გადასვლით შველიან თავს, ან ემიგრაციით, ან პოტენციურ მკვლელთან თუ თანამშრომლობაზე წასვლით არა, თავდაუსხმელობის პაქტის მიღწევით მაინც.

იმ დროისათვის თავადაზნაურობაში მშვიდად არავის სძინავს.

გაზეთები სავსეა მკვლელობათა ქრონიკებით.

ზოგს კლავენ აგრარულ ნიადაგზე. გლეხებს ცუდად ექცეოდა და არეულობის დროს ვიღაცამ ისარგებლა, არასასურველი ბატონი სიცოცხლეს გამოასალმა. გაიხსენეთ გურიაში ნაკაშიძის მკვლელობის საქმე, რომელიც არათუ მოკლეს, ჭირისუფლებს სამი დღე დამარხვის უფლებაც კი არ მისცეს და მიცვალებული შარაზე ეგდო.

ვიღაცას კლავენ იმისთვის, რომ ერთობის კაცების შემონათვალზე ფული არ გადაიხადა (ამიტომ უმეტესობა ფულს იხდის).

ზოგს კლავენ პირადი შურისძიების ნიადაგზე.

ზოგს კლავენ პოლიტიკური მიზნით. ამ ნიადაგზე რუსეთში სამი დეპუტატი იქნა მოკლული, მათგან ორი მთელს იმპერიაში ცნობილნი თავისი ავტორიტეტითა და აქტიურობით-გერცენშტეინი და იოლლოსი. არც ჟანდარმერიას სძინავს და მათი შეიარაღებული ბრბოები-ჭეშმარიტ რუსთა კავშირი, ასევე ხოცავს ხალხს, მაგ. ხუდადოვის მკვლელობა, შიო ჩიტაძის მკვლელობა და სხვა.

როცა ნიკო ხიზანიშვილი მოკლეს, ილიამ იგრძნო, ეს არ შეიძლებოდა მხოლოდ ორი ხულიგანი ძმის დაგეგმილი მკვლელობა ყოფილიყო. მან თავისი უახლოესი მეგობრის პანაშვიდზე მისულმა თქვა კიდეც, უარესს უნდა ველოდოთ, დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე უარესსო.

რამ ათქმევინა მას ეს სიტყვები? ცხადია, გაცილებით უარესი იქნებოდა დიმიტრი ყიფიანისთვის მტრის ხელს კი არა, მისივე თვისტომს რომ გადაეხსნა ტვინი. უარესში მხოლოდ ეს შეეძლო ეგულისხმა ილიას. მას ჰქონდა ერთგვარი წინასწარმეტყველის უნარი, ანდერძი ხომ სულაც 2 წლით ადრე დაწერა. დაწერა დაახლოებით იმ დროს, როცა მისი ფიზიკური ლიკვიდაცია არსებითად გადაწყვეტილი იყო. ჟურნალ „ერთობის“ 1909 წლის პირველ ნომერში ილიას ერთი გულშემატკივარი წერს: „ამ სამი-ოთხი წლის წინათ ერთმა ამათი ჯურის(სოციალისტებს გულისხმობს) წყეულმა დაურიდებლად წარმოსთქვა: „ჩვენ გადავწყვიტეთ ილიას მოკვლა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოგვიყვანია, რადგან ევროპა-რუსეთის საზოგადოებრივი აზრისა გვეშინოდაო... ეს აზრი ილიას იცნობს მხოლოდ როგორც დიდ პოეტს და არა როგორც გლეხის ჭამია ფეოდალსაო...

როგორც ამის წინააღმდეგ ლაპარაკი ვიწყე, მის მთქმელს თვალები სისხლით აევსო, სახე გაუფითრდა და მეტის სიბრაზისაგან კანკალი დააწყებინა.“

ეს ციტატი, იქნებ რომელიმე მკვლევარს ჰქონდეს კიდეც მოხმობილი, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურიდან მე ვერ ვიხსენებ. არადა, ძალიან მნიშვნელოვანია, ძალზე ყურადსაღებია, რაღა თქმა უნდა, თუ ავტორი სინამდვილეს წერს. ძნელია მის რეალურობაში ეჭვის შეტანა შემდეგ გარემოებათა გამო:

1. წერილი, როგორც ვთქვი, დაბეჭდილია 1909 წელს. ამ დროისთვის ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით პუბლიკაციებზე სახელმწიფო კონიუნქტურა ანუ სახელმწიფო შეკვეთები არ არსებობს. 2. პარტიული კონიუნქტურა ამ დროისთვისაც არსებობდა, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება – წერილის ავტორი პიროვნებას არ ასახელებს, ვისაც ილიას მოკვლის განზრახვაზე ბევრად ადრე უსაუბრია. ანუ განზრახი ცილისწამების მომენტი არ ივარაუდება.

ასე რომ, რაც ამ ციტატით არის გადმოცემული, სინამდვილე ჩანს.როგორია ეს სინამდვილე? რაკი წერილი 1909 წლის 1 იანვარს არის გამოქვეყნებული, ფრაზით 3–4 წლის უკან, ავტორი გულისხმობს იმ პერიოდს, როცა ილია სახელმწიფო საბჭოს წევრად ჯერ კიდევ არ არის არჩეული, მაშასადამე ილიას მკვლელობა მანამდე გადაუწყვეტიათ, მაგრამ სისრულეში ვერ მოვიყვანეთ, რადგან ევროპა-რუსეთის საზოგადოებრივი აზრის გვეშინოდა, ვინაიდან იქ მას როგორც დიდ პოეტს იცნობენ და არა გლეხების მჩაგვრელსო.

უცნობმა თავისი აღიარებით რამდენიმე ძვირფასი ცნობა მოგვაწოდა.

1) მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები ჩიტებივით ხოცავდნენ ყველას, ვინც თვალში არ მოსდიოდათ, მათ გაუჭირდათ ილიას მოკვლა, რადგან საკუთარ პრესტიჟს, როგორც პოლიტიკური პარტია, საერთაშორისო ასპარეზზე მაინც უფრთხილდებოდნენ. ამან კი უნებლიეთ ილია იხსნა.

2) საცნაური ხდება ის განუწყვეტელი, პერმანენტული კამპანიაც, რაც 1905 წელს ილიას წინააღმდეგ იქნა წამოწყებული. ილიას ყოვლის მხრიდან წაესევიან და მასზე წერს არა ერთი და ორი, არამედ მთელი ჯგუფი კალმოსნებისა, თანაც წერენ მხოლოდ და მხოლოდ როგორც ფეოდალზე, როგორც დიქტატორზე გლეხებთან თუ ბანკის თანამშრომლებთან მიმართებით. აშკარაა, ამ კამპანიის ინსპირატორს ერთადერთი მიზანი აქვს, – არა მხოლოდ საქართველოში, რუსეთსა და ევროპაში სახელი გაუტეხოს ილიას, როგორც ჰუმანისტს, როგორც დემოკრატს. ანუ მოხსნას

ის ბარიერი, ის საზოგადოებრივი აზრი, რაც მათი შავი ზრახვების განხორციელებას ხელს უშლის. ამით ორ კურდღელს იჭერენ – ქართველ გლეხებს მებატონეებისგან დამცველად ევლინებიან, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკურ წრეებს, დიქტატორი პოეტის მოწინააღმდეგედ.

მედალს კი ორი მხარე აქვს. იმ მორალური დარტყმების მიუხედავად, რაც მათ ილიას მიაყენეს, გარკვეულწილად, მათდა უნებურად, სახელწიფო საბჭოს წევრად არჩევაშიც მიეხმარნენ.

ილია რუსეთის თავად-აზნაურობამ უპრობლემოდ აირჩია. რატომ? იცოდნენ, რომ სოციალ-დემოკრატები საქართველოში ყველაზე გააფთრებით ილია ჭავჭავაძეს ებრძოდნენ, თანაც ებრძოდნენ, როგორც მემამულეს და დიქტატორს, რუსმა მემამულეებმა ეტყობა იფიქრეს, ეს ჩვენნაირი ყოფილაო და თითქმის ყველაზე იოლად აირჩიეს.

ცოტა ხანში, როცა ილია მემარცხენეთა ფრაქციაში ჩაეწერა, როცა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გაილაშქრა, როცა სახელწიფო საჭიროებისათვის კერძო საკუთრების იძულებით კონფისკაციასაც კი დაეთანხმა და, საერთოდ, როცა პირველი ავტონომისტი შერჩათ ხელთ, კი ამოირტყეს რუსებმა ცხვირში ხელი, მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენანი.

3) დაბოლოს, ზემოხსენებული აღსარებიდან, რუსეთისა და ევროპის საზოგადოებრივი აზრის შეგვეშინდა და ილია ვერ მოვკალითო, ერთი მთავარი საკითხი იკვეთება – ილიას ბედს ესენი ვერ წყვეტენ.

ამიტომ რამდენიც არ უნდა იეშმაკოს და იღლიცინოს ზემოხსენებულმა „ეშმაკმა", ეშმაკუნებმა თუ აქაურმა სატანებმა, ილია ჯიუტად მიჰყვება იმ გზას 24 წლის ახალგაზრდამ რომ განაცხადა, – ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს. საამისოდ პირველი ნაბიჯი საქართველოსთვის ავტონომიური უფლებების მოპოვება იქნება. იმპერიის მეორე სახელმწიფო საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მისაღებად ამ ფიქრით შეპყრობილი მიდის ილია ჭავჭავაძე.

სახელმწიფო საბჭოს მეორე სესია გაიხსნა 20 თებერვალს და იმუშავა 5 ივნისამდე.

●

სწორედ იმ დღეს, როცა ილია სახელმწიფო საბჭოს სესიაზე დასაწრებად, ოლღასთან ერთად პეტერბურგისკენ გაემგზავრა,

აკაკი წერეთელი მეტეხის ციხეში გაგზავნეს. არ ვხუმრობ, აკაკი ნამდვილად დააპატიმრეს და ბადრაგის თანხლებით მეტეხში მიავლინეს. თუმცა, რაც მანამდე და ამის შემდეგ მოხდა, შეუძლებელია იუმორის გარეშე გაიხსენო.

აკაკის ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეში ნამდვილად ბედი „სწყალობდა". ჯერ იყო და ფეხსაცმელები გაცვითა წინ და უკან სიარულში, თუ ინსტანციებში, თუ სპონსორებთან, გაზეთი „გზა" რომ გამოეცა. ვერ მოახერხა ვერც 70-იან და ვერც მეორე მცდელობისას – 80-იან წლებში.

შემდეგ „კვალის" გამოცემის ისტორია, რომელიც ბოლოს საანანებელი გაუხდა. 1905 წელს სულთან კრიმ გირეისთვის მიუმართავს, – იუმორისტული ჟურნალის – „ხუმარას" გამოცემის უფლება მომეციოთ. სულთან კრიმ გირეიმ, როგორც ლიბერალმა ჩინოვნიკმა, ეს უფლება არ დაამადლა, მაგრამ რად გინდა, ცოტა ხანში რევოლუცია დაიწყო , „ხუმარა" და ხუმრობა ვიღას ახსოვდა. 2 წლის შემდეგ კი, 1907 წლის 15 თებერვალს, აკაკის ჟურნალს დღის სინათლე ეღირსა, მაგრამ მხოლოდ ერთი დღით... იმ დროს უკვე ბეჭვდის ასეთი წესი იყო. ცენზორი მასალას წინასწარ არ კითხულობდა, მაგრამ თუ გამოცემული ბეჭვდითი ორგანო არ მოეწონებოდათ, – სამხედრო გუბერნატორს უფლება ჰქონდა გამოცემაც აეკრძალა და რედაქტორიც დაეჯარიმებინა, ან სულაც დაეპატიმრებინა.

ეს ბედი ეწია აკაკის და მის „ხუმარას". გამოცემიდან მეორე დღეს ჟურნალი აკრძალეს, ხოლო აკაკი მეტეხის ციხეში წაიყვანეს.

არადა, საშარო საქმემ „თავად მიაკითხა" აკაკის.

თბილისში ახლად დანიშნული იყო გუბერნატორი **რაუშ ფონ ტრაუნბერგი.** ეს გუბერნატორი ჭკუაზე ცოტა აფრაკად აღმოჩნდა.

ძალიან ჰყვარებია ღვინის სმა, მაგრამ შეუუჟუნების შემდეგ ჭკუას სულ კარგავდა. მცხეთაში, საგვარეულო სამარხში–სვეტიცხოველში, რომელიღაც ბაგრატიონი დაუკრძალავთ, შემდეგ წესისამებრ ქელეხი გამართულა. დამთვრალა ეს ჩვენი გუბერნატორი ქელეხში და შემოუძახნია – მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ, მრავალჟამიეროო... რა ექნა, უბედურს, უფიქრია, ქართველებს მრავალჟამიერი რაკი უყვართ, ალბათ ყველგან ამ სიმღერას მღერიან, ჭირშიცა და ლხინშიცო. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დღეში ჩავარდებოდნენ ჭირისუფლები...

ეს ამბავი დავიწყებული არ ჰქონდა ხალხს, რომ ძვირფას გუბერნატორს მეორე ფარსაგი საქმე შეემთხვა. თბილისში,

სამხედრო ტაძარში, იმპერატორის სახლეულის რომელიღაც მიცვალებულის პანაშვიდს იხდიდნენ. მთელი გენერლობა და დიდკაცობა იქ იყო. ასეთ შეკრებებზე თავად-აზნაურობის მარშალს უფლება ჰქონია პირველი მდგარიყო პუბლიკის წინ. დგას „წინა ხაზზე" მარშალი გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი. რაუშა გამოსწევს უკან და დაუდგება წინ. ბაგრატიონ-დავითაშვილი გადადგამს ნაბიჯს და კვლავ წინ მოექცევა. რაუშა თავისას არ იშლის – ისევ წინ აეტუზება. ბაგრატიონი არ თმობს კანონით მინიჭებულ პირველობას. ბაგრატიონი ისედაც გაცეცხლებული იყო ამ კაცზე, როგორია მისი ნათესავის ქელეხში მრავალჟამიერი რომ შემოსძახა? ამ უხმო ძიძგილაობის შემდეგ, დამშვიდობებისას, გუბერნატორს გამოწვდილი ხელი ჰაერში შეატოვა. ხელი არ ჩამოართვა. რუსის გუბერნატორი ამაზე გაცოფდა. საქმე ლამის დუელამდე მივიდა, მაგრამ ყოველივე ვარანცოვ–დაშკოვს გაუგია და რაუშა თანამდებობიდან გადააყენა. ამ გუბერნატორს ის „სიკეთეც" სჭირდა, რომ ქართველები არ უყვარდა. აკაკის ახლადდაბადებული ჟურნალისთვის ეს რაუშა პირდაპირ სასურველი მსხვერპლი იყო.

პირველი ნომრის გმირადაც სწორედ ის იქცა. კარიკატურისტმა გიგო ზაზიაშვილმა დახატა სახედარი, რომელიც „გამოაწყო" გუბერნატორის ტანსაცმელში, მარშალი ბაგრატიონი მას უსვამს ნიშადურს, ხოლო კინტო კვდება სიცილით. ამ კარიკატურას ახლავს აკაკის ეპიგრამა:

„დიდ ყურაანთ ყროყინას
ჩვენები ეჯავრება,
საიდანაც მოსულა,
იქით მიეჩქარება.
და ნიშადურს ულესავს
გულმოსული მარშალი,
რომ აქ აღარსად დარჩეს
იმ ვირს გზა და კვალი,
კინტო კი გაოცებით
შესცქერის ამ ამბავს
და ხმამაღლა იძახის:
ამოუსვით, რა უშავს!"

ამ მშვენივრად მიგნებულმა ომონიმმა ერთობ არასასიამოვნო ასოციაციები აღძრა მაღალჩინოსნებში. რაუშას საქმე განაზოგა-

დეს, სახელმწიფო მოხელის აბუჩად აგდებას არავის ვაპატიებთო და აკაკი დააპატიმრეს. იოსებ გრიშაშვილი აღნიშნავს – „საინტერესოა ერთი ეპიზოდიც: როცა აკაკი ციხეში მიიყვანეს, მთელი ციხე აფორიაქდა... პატიმრები განურჩევლად მათი დანაშაულებრივი ხასიათისა, დემონსტრაციულად გამოვიდნენ ეზოში, ჰყვიროდნენ, მთელ ციხეს აზანზარებდნენ და მოითხოვდნენ საყვარელი პოეტის დაუყონებლივ განთავისუფლებას. ეს პროტესტი სამხედრო გუბერნატორის ტიმოფეევის ყურამდე მივიდა. კანცელარიის გამგის ვასილიევის მოხსენებისთანავე ტიმოფეევმა გასცა განკარგულება აკაკის განთავისუფლების შესახებ. ქაღალდი დაბინდებისას მივიდა ციხეში, აკაკიმ არ მოისურვა ღამით გამოსვლა ციხიდან: „არა ქაჯან, ნუ მაწუხებთ, ამაღამ აქ დავრჩები და ხვალ დილით წავალო". და მეორე დღით გამოვიდა დიდის ზეიმზარით. ნამდვილად აკაკი კი სულ ერთი საათით იყო დაპატიმრებული".

ეს იქნება უკანასკნელი სახალისო სიუჟეტი რასაც ამ წიგნში შეხვდებით. როგორც ქვეყნის, ისე ილიას ცხოვრებაში დიდი ტრაგედია იწყება. ერთმანეთისგან სრულიად განცალკევებულად რამდენიმე მოვლენა ხდება, რომელთაგან ზოგი ფაქტი ერთი ჯაჭვის შემადგენელი რგოლია და ზოგი ფაქტიც სრულიად დამოუკიდებლად ხდება, მაგრამ ბუნებრივად იქცევა სასიკვდილო ყულფის ნასკვად.

●

როგორც სარაევოში დაცლილმა დამბაჩამ მსოფლიო არეულობა გამოიწვია და ვთქვათ, რომელიღაც ხევსური ჯურხას ბედზეც იმოქმედა, ასე ხდება ზოგჯერ ადამიანების კერძო ცხოვრებაშიც.

აბა ჯურხამ ან ხირჩლამ რა იცოდნენ, ან რა შუაში იყვნენ, თუ სადღაც სარაევოში, ვიღაცამ პრინც ფერდინანდს ესროლა და ამ საბაბით მსოფლიო ომი უნდა ატეხილიყო. რომ იქ დაცლილი დამბაჩის კვამლის სუნი მათ ხეობამდეც მიაღწევდა და ისინი ნანდაურს უნდა დამშვიდობებოდნენ, რათა ვიღაცის გამოსროლილი ტყვია მკერდით გაეცივებინათ.

ასე ხდება-მეთქი კერძო ცხოვრებაშიც. ორი კაცი სამკვდროსასიცოცხლოდ ერთმანეთს წაეკიდება და შესაძლოა ეს იმ მესამის ბედზეც აისახოს, ვისაც ამათ ჩხუბში ისეთივე წვლილი მიუძღვის, როგორც ქარიშხლის ამოვარდნაში ან ცად ცისარტყელის გამოსახვაში.

როცა ილია პეტერბურგშია და იქ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მოხსენების წაკითხვას აპირებს, საგურამოს მამულში მისგან დამოუკიდებლად და, სხვათა შორის, მისივე პოლიტიკური მტრებისგან დამოუკიდებლად ისეთი რამ ხდება, რაც საბოლოოდ მისი ბედის ნაწილად იქცევა. ილიას მოჯამაგირე, ყოველგვარი შეკვეთის, ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე, პირადი კონფლიქტის ნიადაგზე კლავს ილიას მოურავს.

თუ რა როგორ მოხდა, გადმოგვცემს ილიას მამულის მეფუტკრე დანიელ მასლოვი. მისი მოგონება მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ 1908 წელს დაბეჭდა დიმიტრი ჯაშმა. იმავ მასლოვის მოგონება დაიბეჭდა ათეული წლების შემდეგაც, კომუნისტების დროში. არსებითად თითქოს ერთი და იგივე მოგონებაა, მაგრამ ათეული წლების შემდეგ დაწერილი ფაქტების სიზუსტის მხრითაც ნაკლებად სანდოა და იმის გამოც, რომ უკვე ღრმად მოხუცი მასლოვი ამ მოგონებას შეკვეთით, კომუნისტების მიზანდასახული შეკვეთით წერდა. ამასთან, აღარც ერთი, ვისაც ეს მოგონება ეხებოდა, ცოცხალი აღარ იყო. ხოლო 1908 წელს, როცა დ. ჯაში ბეჭდავს მასლოვის ნაამბობს, ცოცხალია ყველა ის პირი, ვინც საგურამოს მამულის მოსამსახურეთაგან საშინელი მკვლელობის მონმენი გახდნენ.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ 1908 წელს გამოქვეყნებულ და 3 ათეული წლის შემდეგ ჩაწერილ მეფუტკრის მოგონებას შორის რაღაც სხვაობები არის. ზოგი შეგნებულად გაკეთებული და ზოგიც დიდი დროის გასვლის გამო. ამიტომ გთავაზობთ 1908 წელს დაბეჭდილ მოგონებას, რომელიც, ვფიქრობ, უფრო უტყუარად ასახავს მოჯამაგირის მიერ ილიას მოურავის მოსეს მკვლელობის ამბავს.

„განსვენებულ მოურავს მოსეს სასახლის ეზოს ყარაულად დაექირავებინა ახალსოფლელი, ახალგაზრდა გლეხი პავლე ფშავლიშვილი, იგივე აფციაური. ერთ საღამოს, შარშან მაისის შუა რიცხვებში, მოურავს მოსეს ღვინოები გაეყიდა, მენახშირეებისაგან ფული აეღო და მეხილესაგანაც ბლებისა, ალუბლისა და სხვა ხილის ფულიც მიეღო. ასე რომ, მეფუტკრე მასლოვის სიტყვით, ორას თუმნამდე მოჰგროვებოდა. მოსეს ფშავლიშვილი ყველგან თან დაჰყვებოდა, როგორც ყარაული, რომელმაც კარგად იცოდა, თურმე, რომ მოურავს მაშინ ბლომად ფული ჰქონდა შეგროვილი. ერთ საღამოს, როცა სასახლეში ყველას დაუძინია, ერთბაშად ატეხილა ძაღლების (ეკონომიაში სულ 14 დიდი ძაღლი იყო) გახშირებული ყეფა. ყველა-

ნი ფეხზე წამოცვენილან, გარეთ გამოსულან და ყური დაუგდიათ. მოურავ მოსეს შეუმჩნევია, რომ ყარაული ფშავლიშვილი ვიღაცას ჩუმად ელაპარაკებოდა და ეუბნებოდა: „ეხლა დრო აღარ არის, ძაღლებმა მთელი სასახლე ფეხზე დააყენეს: ეხლა წადით, თორემ ყველაფერს გაგვიგებენო." ამ ჩუმის ლაპარაკისათვის ყური მოუკრავს მოსეს და, როცა უცნობნი წასულ-წამოსულან, და იქაურობაც მიყუჩებულა, მოურავს დაუძახნია პავლე ფშავლიშვილისათვის და უკითხავს: – ვის ელაპარაკებოდი, ვინ იყვნენ ისინი, ან ამ დროს რა უნდოდათო? ფშავლიშვილს უთქვამს: „სტაროსელსკის სტრაჟნიკები იყვნენ და იმათ ველაპარაკებოდიო".

მოურავი მაშინ წასულა სტაროსელსკის სტრაჟნიკებთან და გამოუკითხავს მათთვის: მართლა თქვენ იყავით, ჩვენს ყარაულს რომ ელაპარაკებოდით წეღან, თუ არა, და თუ თქვენ იყავით, ამ დროს რა საქმე გქონდათო.

სტაროსელსკის სტრაჟნიკებს ეთქვათ, – ჩვენ არცა ვყოფილვართ და არც არა გვესაქმებოდა-რაო. მაშინ მოსეს ისევ დაუბარებია ფშავლიშვილი და დაბეჯითებით მოუთხოვნია, – ვინ იყვნენ ისინი, ვის ელაპარაკებოდი ამ შუაღამისას და ან რა საქმე გქონდა მათთანაო, მაგრამ ფშავლიშვილს მკვახედ ეპასუხნა: ვისაც ველაპარაკებოდი და რა საქმეცა მქონდა, მე ვიცი, შენი საქმე არ არისო!

მაშინ მოურავს მოსეს დაუჭერინებია პავლე ფშავლიშვილი და მამასახლისის ოქმთან ერთად მცხეთაში გაუგზავნია, საიდანაც, რამოდენისამე დღის შემდეგ, მცხეთის ბოქაულს დუშეთისაკენ გაუგზავნია მაზრის უფროსთან მაგრამ გზაში ფშავლიშვილი გაქცევია დარაჯებს და იმ დღიდან ტყეებში იმალებოდა. გზიდან გაქცევის დროს ფშავლიშვილი დამუქრებია მოსესა და მის ცოლს ევას, იმათ ცოცხალს არ გავუშვებ, რადგან ჩემი თავი დააჭერინესო. მალე სოფლებში ხმები გავრცელდა, რომ პავლე ფშავლიშვილმა ყაჩაღთა ბრბო შეადგინა და წინამურ-საგურამოს შუა დათარეშობს, ხოლო თავს კი ზედაზნის ტყეში იმალავსო.

ამის შემდეგ არ გასულა ორი კვირა, რომ შარშან, 1907 წლის 7 ივნისს, დილით, სასახლეს თავს დაესხა რამდენიმე შეიარაღებული თავ-პირ-ახვეული კაცი და მოურავი მოსე მემარნიშვილი და მისი ცოლი ევა საცოდავად ხანჯლით აჰკაფეს; შემდეგ შეცვივდნენ სასახლეში და, რაც კი რამ ფასიანი იხელთეს, ყველაფერი გაიტაცესო.

აი, ეს გვიამბო მეფუტკრე ბ-ნმა დ.გ.მასლოვმა".

●

5 ივნისს პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს მე-2 მოწვევის სხდომები დამთავრდა. ილია მეუღლესთან ერთად საზღვარგარეთ სამკურნალოდ ეპირებოდა გამგზავრებას, მაგრამ მოურავის მკვლელობა რომ აცნობეს, პირდაპირ საქართველოსკენ გამოეშურა.

პეტერბურგის ქართველობა, ახლობლები, გულშემატკივრები ევედრებოდნენ – საქართველოში ძალიან საშიში სიტუაციაა და დარჩი, ნუ წახვალო. ილიას პასუხი იყო: განა ილია ჭავჭავაძისთვის რუსეთში ყოფნა უფრო საშიში არ არის, ვიდრე მის სამშობლოშიო?

ეს კიდევ ერთხელ იმ რწმენის გამჟღავნება იყო, რომ, ყოველგვარი ლოგიკით, თუ მას მტერი უნდა ჰყოლოდა, უნდა ჰყოლოდა მათ შორის, ვისგანაც თავისი სამშობლოს გამოხსნას ცდილობდა, მაგრამ ბედის ირონიით რუსეთის იმპერიის მთლიანობის თავგამოდებული მომხრენი სწორედ თბილისში ბუდობდნენ სოციალისტების სახით.

შემთხვევითი არ იყო, ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს ღიად მოახსენებდა, რომ სხვა პარტიათა შორის მის პოლიტიკურ სიმპათიას სოციალ-დემოკრატები იმსახურებდნენ, რადგან ეს უკანასკნელნი იმპერიის მთლიანობის მომხრენი იყვნენ, რომ ისინი ყოველგვარი სეპარატიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ასე იყო თუ ისე, ილია მეუღლესთან და სტუდენტობის მეგობარ მიხეილ ჩიკვაიძესთან ერთად, რომელიც იქ კიბოს სამკურნალოდ იმყოფებოდა, პეტერბურგიდან,გამოემგზავრა და 12 ივნისს, მოურავის დაკრძალვას ჩამოუსწრო.

მამულს და მეურნეობას ახალი მოურავი სჭირდებოდა. ეს ახალი მოურავი აღმოჩნდა დიმიტრი ჯაში. თუ როგორ, რა პირობებში გახდა 23 წლის, მეურნეობისათვის სრულიად გამოუცდელი ჯაში ილიას მოურავი, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ილია ხუთშაბათ დღეს, 18 ივნისს ახალ მოურავთან ერთად საგურამოში გაემართა.

სოფელში ჩასულს შემზარავი სურათი დახვდა. ძველი მოურავის ოთახს ლუქი ახსნეს, ნახეს ოთახში სისხლის გამხმარი გუბე, მცირე ხნის წინ ნაავკაცარის უტყვი მოწმე. წამების კვალი. გადმონგრეულ-გადმოქოთებული ყველაფერი. ავიდნენ ილიას სახლში. იქაც ყველაფერი გადმონგრეული იყო და რისი წაღებაც შესაძლებელი – ყველაფერი წაღებული. გაეტანათ ილიას იარა-

ღიც. საკუთარი თოფი კი ყაჩაღებს იქ დარჩენოდათ... წაეღოთ ფულიც, დაემტვრიათ ჭურჭელი, დაეფხიწათ წიგნებიც, მაგრამ ილიას, ცხადია, თავისი მოურავისა და მისი მეუღლის ასე სასტიკად ამოხოცვა უკლავდა გულს. მათი სიკვდილის შემდეგ სახლთან მცველებად მაზრის უფროსს ხუთი სტრაჟნიკი დაეყენებინა ურიადნიკ ემეცის ხელმძღვანელობით, მაგრამ ილიამ ურიადნიკს გამოუცხადა:

– მე არა მსურს, რომ ჩემს სახლს სტრაჟნიკები იცავდნენ, ხვალვე ისევ თავიანთ ბინებს დაუბრუნდნენო.

ამაზე სოფლის თავკაცებს უთხოვიათ, თქვენ რომ ეგენი დაითხოვოთ, შინ კი არ წავლენ (სოფ. გალავანში ბინადრობდნენ), ჩვენ ჩამოგვეთესლებიან და რასაც თქვენთან ვერ ბედავენ, ჩვენ აღარაფერს შეგვარჩენენო.

თქვენთან თუ დარჩებიან, თქვენც ვერაფერს გაგიბედავენ და ჩვენთვისაც კარგია, რადგან ახლოს იქნებიან და ყაჩაღები ვეღარ შემოგვბედავენო.

გლეხებისვე თხოვნით ილიამ სტრაჟნიკები დაიტოვა და ბინაც მიუჩინა.

ამ კოშმარით დაიწყო პეტერბურგიდან დაბრუნებული ილიას უკანასკნელი დღეები საგურამოში. როგორ იცხოვრა ილიამ თავისი წუთისოფლის უკანასკნელი ორი თვე და თორმეტი დღე ამის წარმოსადგენად გაგაცნობთ ილიას უკანასკნელი მოურავის მეუღლის დარია ჯაშის მოგონებებს, რომელიც მას ჩაუწერინებია 1965 წელს და რომელიც ინახება საგურამოს სახლ-მუზეუმში. მოგონებებს გთავაზობთ მხოლოდ იმ დღემდე, ანუ 27 აგვისტომდე, როცა მან უკანასკნელად ნახა ცოცხალი ილია.

ილიას უკანასკნელი დღეები საგურამოში

დარია ნიკოლოზის ასული კოპლატაძე-ჯაშის
ნაამბობი, ხელით ჩაწერილი
1965 წლის 30 აგვისტოს

მას შემდეგ, რაც 1907 წლის გაზაფხულზე ილიას მოურავი, საგურამოში, მოსე მემარნიშვილი და მისი ცოლი წამებით მოკლეს საგურამოს ჩურტ-ყაჩაღებმა. ილიას დის ელისაბედ საგინაშვილის რეკომენდაციით, რომელიც გენერალ საგინაშვილის მეუღლე იყო. ილიამ ჩემი ქმარი დ. ჯაში მიიწვია მოუ-

რავად, მაშინ მე 18 წლის, ხოლო ჩემი ქმარი 23 წლის ვიყავით. ილია ჩემს ქმარს იცნობდა „ივერიის“ სტამბა–გამომცემლობიდან, სადაც ჯერ ასოთამწყობად, ხოლო შემდეგ კორექტორად მუშაობდა. საგურამოს მამულები ეკუთვნოდა ილიას მეუღლეს ოლღა გურამიშვილს, ხოლო უმეტესი ნაწილი ოლღას ძმას, რომელიც სულით ავადმყოფი იყო და ილია მას „აპეკუნობდა“. ილიას ცოლისდა სტაროსელსკის ცოლი იყო და ჰქონდა მამისეული მამულები. სტაროსელსკის ორი ვაჟი ჰყავდა, ერთ-ერთი მსახურობდა გენერალ ადუტანტის ჩინით მეფის ნაცვალთან, მეორე კი უმეტესად საგურამოში იყო ტიტიკო სტაროსელსკი, რომელსაც ებრაელი მილიონერის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად.

ჩვენ ჩავედით საგურამოში ზაფხულის დასაწყისს და მე პირადად თითქმის ყოველ დღე მიხდებოდა საუბარი ილიას მეუღლე ოლღასთან და თვით ილიასთანაც.

ჩასვლისთანავე ოლღამ გამომართვა ჩემი პირველი შვილი ოფელია, რომელიც მაშინ ხუთი თვის მყავდა, გულში ჩაიკრა და კოცნა დაუწყო, ბავშვმა ტირილი მორთო, ილიამ მესამე სართულიდან გადმომძახა:

–„გამოართვი შვილი, მაგას არ ესმის ბავშვის ტირილი და ბავშვის სიყვარულით კი გატაცებულია. ოლღას სმენა ბავშვობიდან ძალზედ დაზიანებული ჰქონდა და ახლოს ყურთან უნდა ჩაგეყვირა, რომ გაეგო თუ რას ეუბნებოდი.

ოლღამ ამიყვანა მეორე სართულზე, შევედით დარბაზში, გააღო კარები, იქ პატარა სუნდუკი გახსნა და ორი ოქროს თუმნიანი აჩუქა პატარა გოგონას თანაც დამილოცა ბავშვი, დამლოცა მეც და შუბლზეც მაკოცა.

მესამე დღეს ილიას მეუღლემ დამავალა წავსულიყავი და დამეთვალიერებია სტაროსელსკის სახლი, რომელიც წინად გურამიშვილს ეკუთვნოდა და სადაც ბავშვობა და ქალიშვილობა გაატარა ოლღა გურამიშვილმა.

საღამოს ილიას სახლის უკან კაკლის ხის ძირას ვისხედით ვახშამზე, მე ოლღას გვერდით ვიყავი. ვახშამზე იყო ილია, ზაალ ჭავჭავაძე – ილიას ბიძაშვილი და ჩემი ქმარი. საუბარი ზაალ ჭავჭავაძემ დაიწყო.

ერთ დროს ასეთი დაბურული ტყე ხომ თბილისის ეხლანდელ გახრიოკებულ მთების კალთებს ამშვენებდა, ეხლა კი ორ გადაფხეკილ გორებს შორის ქალაქის მოსახლეობა სიცხეში იხრაკე-

ბა, ასეთი ტყე, რომ იყოს თბილისის გორებზე ქალაქში სიგრილე და გრილი ნიავი იქროლებს.

დიახ, იყო კარგი ტყე თბილისის გარშემო, მაგრამ ქალაქის თავებმა, რომლებსაც, „საღი თავი" არ ჰქონდათ გააკაფიეს, ზოგი დაანახშირეს და ბაზარზე გაყიდეს, ხოლო ქალაქის ნიაღვარს, ქარს და სიცხეს ჩაუტიეს – და ამისათვისაა, თუ კაცი გინდა დასაჯო ივლისში და აგვისტო ქალაქში უნდა დატოვო სამუშაოდ.

– მაინც რატო მიიღეს ასეთი უგუნური გადაწყვეტილება? – შეეკითხა ზ. ჭავჭავაძე.

– აქაო და ტყეში ქურდ–ყაჩაღები აფარებენ თავს დღისითო, ღამით კი ვაჭრებს სძარცვავენო, თანაც მეფის ნაცვალმა თანხმობა მისცა ტყის აკაფვის.

– მგლის შიშით ცხვრები ვის ამოუწყვეტიაო, მაგრამ მათ ასე გაუკეთებიათ უთხრა ზ. ჭავჭავაძემ.

– ტყე, მცენარე, ვარდი, ყვავილი, ბალახი, ჭირნახული, ხეხილი, რომ არ გაეჩინა ღმერთს არც სისხლიანი ცხოველი და ადამიანი იქნებოდა. ტყე გვაწვდის სუფთა ჰაერს, წყალს, გვიცავს ქარისგან, ნიაღვრისგან, გვაძლევს შეშას, მასალას, იცავს სასარგებლო ნადირ – ფრინველს, აი რა მცირე მოვალეობა აკისრია გასაჩეხად გამეტებულ ტყეს, რომელიც ერთ დღეს მოიჭრება და ასი წელიც კი საკმარისი არ იქნება მისი აღდგენისთვის.

– იქნებ როდესმე ხელოვნურად აღადგინონ ტყე თბილისის გარშემო, ისე როგორც უწინ იყო – უპასუხა ზ. ჭავჭავაძემ.

– ეს უკვე ძნელია, ასი წელიც დამქანცველი მუშაობაც მთელი ქალაქის არ ეყოფა, რადგან ნიადაგი გადარეცხილია ნიაღვრების მიერ დინჯად უპასუხა ილიამ, ამ დროს სამზარეულოდან მზარეულმა ხარიტონმა გამოგზავნა შემწვარი წიწილები, მწვადები, თონიდან პურის მცხობელმა ქალმა სოფიო უნდილაშვილმა ცხელ–ცხელი შოთები მოგვართვა, მწვანილი, ყველი, ღვინო და სუფრა აივსო. სარდაფიდან ცივი ღვინოც მოიტანეს.

– ოლღამ მითხრა, რომ გოჭის ხორცი ილიას ეჯავრება და სუფრაზედ არასოდეს მოატანინებსო, თანაც ისიც მითხრა, რომ ილის უჩვეულო ჩვევა აქვს ოქროს ფულის მიმართ, როგორც კი დაინახავს მაგიდაზე, გაკრავს ხელს და გადააგდებსო. ამას ილია იმით ხსნიდა თურმე, რომ ოქრო ეს არის მაცდური ლითონი მას შეუძლია კეთილ ადამიანში ბოროტება თესოს, გახადოს ადამიანი სამშობლოს მოღალატე და გამყიდველი და ამის დასამტკიცებლად ილია ისტორიულ ცნობებს გაიმეორებდა ოლღას თქმით,

თუ სპარსეთის შახი, როგორ ყიდულობდა ქართველ მოღალატეებსო.

მთვარე კაშკაშებდა ცაზე, საუკეთესო ღამე იყო, ტყიდან დაბერილი საამო ნიავი სუნთქვას სასიამოვნოს ხდიდა. უეცრად ძაღლებმა ღმუილი მორთეს. ილიას საგურამოში რამოდენიმე კავკასიური ნაგაზი ჰყავდა, რომელსაც, ღამით აუშვებდნენ. მე დედაჩემისგან და ბებიაჩემისგან გაგონილი მქონდა გურიაში, რომ ძაღლების ყმული ცუდი ამბავის ნიშანია და ჩემდა უნებლიეთ შეშინებულმა წამოვიძახე:

– ვაი... ეს ძაღლების ღმუილი ხომ ცუდის ნიშანია? ასე იტყვიან გურიაში.

– როგორ გეკადრება შვილო, რა შუაშია აქ ცუდი, ძაღლები მოახლრებული ნადირის სუნს ყნოსვენ და ღმუიან. მეტი არაფერი– დინჯად და დამაჯერებლად მითხრა ილიამ.

ილიამ დამავალა, რომ რაც შეიძლება გამერთო ოლღა კარტის თამაშით. თურმე ილიას ეჯავრებოდა ოქროს ფული, მის მეუღლეს ძალიან უყვარდა და ხშირად ხუთ მანეთიან ოქროს ფულზე ვთამაშობდით. აღსანიშნავია, რომ წაგებას და მოგებას ერთნაირი რეაქციით შეხვდებოდა.

მას უყვარდა კარტის გაშლა ფატალური მოსაზრებებით, თითქოს კარტის გაშლაში ეძებდა მომავალ ბედისწერის ამოცნობას, მე ბევრი რამ დამამახსოვრდა, მისი კარტის თამაშის წესებისა და განლაგების მნიშვნელობის შესახებ.

ოლღა იყო მაღალი კულტურის ადამიანი. რუსულთან ერთად იცოდა ფრანგული ენაც, ძალიან უყვარდა „დუხი", მრავალი მარკის და ხარისხის „დუხები" ჰქონდა, მაგრამ მითხრა, რომ ზაფხულობით საგურამოში ვერ ვხმარობ იმის გამო, რომ ფუტკარი მაჯდება სახეზეო, ილიას კი საგურამოში 100-ზე მეტი ფუტკრის ბუკი ყავდა კარ–მიდამოში და მის მომვლელად სპეციალისტი დანიელ მასლოვი რომელსაც ხშირად სადილზე იწვევდა, ესაუბრებოდა სამეურნეო საქმეზე.

ილიას ყავდა ინგლისური ჯიშის ჯორი, მეტად თვინიერი ცხოველი, რომელიც ძალიან უყვარდა ილიას. დილით ადრე ადგებოდა, ხელში რამოდენიმე შაქრის ნაჭერს აიღებდა და ჯორისკენ მიდიოდა, რომელსაც ცალკე ბაზა ქონდა გაკეთებული. ჯორს სათითაოდ აჭმევდა შაქარს, კისერზედ ხელს დაუთათუნებდა, ალერსიანად გამოელაპარაკებოდა, გაეხუმრებოდა და ფერებით გულს, რომ მოიჯერებდა მწყემსებს ეტყოდა საძოვარზედ

გაუშვით აქვე ტყის პირასო, ჯორიც იმდენად შეეჩვია პატრონის პატივისცემას, რომ ილიას დაძახებაზე ყურდაცქვეტილი ნელი ნაბიჯით ნელ–ნელა მიუახლოვდებოდა, ალბათ კიდე ელოდა ილიასგან შაქრის ნატეხებს და აი სწორედ ილიას გულმოსაკლავად, გაბოროტებულმა და გამხეცებულმა ადამიანმა გაუგონარი სიმხეცით მოკლეს ჯორი. იგი დაეჭირათ, ფეხები თოკით შეეკრათ და უკანა ტანიდან მსხვილი პალო ურუოს დარტყმით შუა მუცლამდე შეეყარად და უცოდველი ცხოველი საშინელი წამებით მოეკლად, იცოდნენ, რომ ჯორი ძალიან უყვარდა, ილიას გულმოსაკლავად და მისი სულის ასაშფოთებლად ეს საშინელება გააკეთეს არაადამიანური გრძნობის ადამიანებმა. მეორე დღეს მკვდარი ჯორი ურმით მოიტანეს. დახედა თუ არა ილიამ, ის ძალზედ ცუდად გახდა, ფერი ეცვალა, შუბლზე სიმწრის ოფლი დაესხა, ოლღამ ტირილი მორთო, – „ვინ უღმერთომ ჩაიდინა ასეთი საქციელი“ ცრემლმორეული ამბობდა ოლღა. ილია კაკლის ხის ძირას იჯდა, სახე დაღვრემილი, წყალი მივაწოდე, შუბლი ოფლისგან მოიწმინდა, ხელი ჩაიქნია და თქვა:

აი ეს ჯორი, თავისი ცხოველური გრძნობით, ყოფაქცევით უფრო მაღლა არ იდგა, ვიდრე ამ საზიზღრობის ჩამდები ადამიანია? განა იმაზე მეტი საცოდაობა არ არის, რომ ამ ჯორს ცხოველს უწოდებდით და ამ ბოროტების ჩამდენს ადამიანს? ან რომელი ცხოველი ჩაიდენდა ასეთ ბოროტებას? ღმერთი ამისთანა საშინელების ჩამდენს რისხვით დაცქერის ციდან და მის თვალებს ვერ დაემალება ეშმაკი, ცბიერი, ბოროტი. ამ სამწუხარო სურათს, რომელმაც ყველა აღგვაშფოთა, მწუხარებით შევყურებდით ყველა იქ დამსწრენი. ილიამ დაავალა მოჯამაგირეებს ჯორი დაესაფლავებინათ ტყის პირას. თვით ილია ავიდა ნელი ნაბიჯებით საძინებელ ოთახში და მესამე დღემდე არ ჩამოსულა ეზოში.

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ განმეორდა მეორე შემზარავი ამბავი, რაც ერთიდაიგივე ბოროტმზრახველის მიერ იყო გაკეთებული. პირუტყვზედ უფრო დაბალი გრძნობის ადამიანის მიერ. ილიას ყავდა საჯიშედ გერმანული ჯიშის ძროხა, რომელიც დღეში 20 ლიტრამდე რძეს იწველიდა. თავისუფლად გაუშვეს რა საძოვარზე, დღის 12 საათზე მოირბინა ბღავილით და ადამიანური გრძნობით შველას ითხოვდა მისი მომვლელისაგან. ბოროტმზრახველს, ილიას გულმოსაკლავად ძუძუები მოეჭრა და სისხლისგან იცლებოდა. ერთ საათში ძროხა მოკვდა. საშინლად ეწყინა ილიას, ოლღას გული წაუ-

ვიდა, ცივი წყლის წვეთებით დაუფარე სახე, მოვეფერე, ვანუგეშე, მაგრამ სამი დღე ლოგინიდან არ ამდგარა.როგორც ადგილობრივი გლეხები ამბობდნენ, მათ შორის მოჯამაგირეები, ამ სისაძაგლეს აკეთებდა საგურამოს ყოფილი მამასახლისი ვანო ინაშვილი, რომელიც თაღლითობის, ქურდობის და გლეხებში მთელი რიგი უკანონო ძალმომრეობისათვის ილიამ მოახსნევინა დუშეთის მაზრის უფროსს.

– აბა რა უნდა მოეთხოვოს ასეთ ბოროტების ჩამდენს მხეცს, თუ კაცისათვის პირადი ანგარიში ვერ გაუსწორებია პირუტყვს უენოს, უბოროტო ცხოველს რას ერჩიან? გულმოკლული ამბობდა ილია.

მიუხედავად ასეთი ძალზედ უსიამოვნო ამბებისა ილიას სულიერი წონასწორობა არ დაუკარგავს, თუმცა მაშინ უკვე 70 წლის იყო, ავადმყოფობაც თანდათან ერეოდა, ხშირად უჩიოდა თავის ტკივილს, გულის აჩქარებით ცემას. უჭირდა ეზოს აღმართის ამოსვლა, ჰაერის უკმარისობას გრძნობდა. ამ დროისათვის ის ბევრს არაფერს წერდა: ოდნავ გადაათვალიერებდა პეტერბურგის გაზეთებს, გაზეთ „კავკაზს“ და ზოგიერთ ქართულ ჟურნალ–გაზეთებს, რაც მცხეთიდან მოჰქონდა ფოსტალიონს.

შემოდგომის თვეს ილია პეტერბურგში გასამგზავრებლად ემზადებოდა, უნდა ეტლით ვლადიკავკაზამდე ჩასულიყო, იქიდან კი მატარებლით, რაც მაშინდელ მატარებელს 2 დღეს დროით უგებდა.

●

ერთ დღეს მეორე სართულის აივანზე ვუსხედით ვახშამზე, საიდანაც გადავყურებდით საგურამოს ვრცელ ველებს. აქედან კარგა ამინდში კარგად მოჩანს კავკასიონის ქედების ნაწილი. ამჯერად ილიას ყავდა მისთვის მეტად საპატიო სტუმარი გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი. ქართული ენის მცოდნე, მაგრამ ილია მას უმეტესად რუსულად ესაუბრებოდა, მთელი კვირაობით რჩებოდა საგურამოში და ყოველდღიურად საუბარი ჰქონდათ, არტურ ლაისტი თარგმნიდა გერმანულ ენაზე ილიას, აკაკის და ზოგიერთ მწერლის ნაწარმოებებს, ილიას უთანხმებდა ტექსტის შინაარსს და ეძებდა პირდაპირი თარგმნის ხერხებს ქართულიდან, თვით ლეისტიც კი ბევრს უხსნიდა გერმანული ლიტერატურის ორიგინალური ტექსტის შინაარსს. ილია დიდ მატერიალურ დახმარებას

უწევდა და თბილისში მისი ეტლით უშვებდა სურსათ–სანოვაგით დატვირთულს. ერთხელ დავინახე გამგზავრების დროს, თუ როგორ ჩაუდო კოსტუმის ჯიბეში ეკატერინეს 500 მანეთიანი, ლეისტის მადლობა უსაზღვრო იყო. სანამ ეტლი დიდ აღმართს არ ჩაივლიდა ილია ხელს უქნევდა, ლეისტიც ესალმებოდა.

ლაისტს უჭირდა ქართული არახმოვნების გამოთქმა და სიტყვები გერმანულ აქცენტში ერეოდა. სუფრაზე იყვნენ ილია, ზ. ჭავჭავაძე, გ. სტაროსელსკი და ერთი თავადი ციციშვილი, ორი უცნობი, მე და ოლღა და ჩემი ქმარი. საკითხი ნამოიჭრა საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობის შესახებ. ყველა დიდი ყურადღებით ისმენდა ილიას დინჯ და დამაჯერებელ საუბარს. ის ნელა და შორსმჭვრეტელური აზროვნებით ლაპარაკობდა, სიჩუმეს მხოლოდ საგურამოს ტყიდან მონაბერი ნიავი თუ არღვევდა. აი, თქვა ილიამ, რაც კარგად დამამახსოვრდა:

– ქართველი ერის წელში გამართვისა და ჩვენში ხალხის წელში გამართვისათვის საჭიროა საქართველოს გამოუჩნდეს ადრე თუ გვიან „პეტრე დიდი" თუ არა „პეტრე მცირე" მაინც განათლება, წერა-კითხვა, მწიგნობრობა, ხელოსნობა, ოსტატობა, რომელ ხალხსაც სუსტი აქვს, ის ხალხი საცოდავია, საცოდავია არა მარტო ხალხი უცოდინარი, არამედ ამ ხალხის მცოდნე და განათლებული შვილები; აბა ბრმებს აუნთეთ ლამპა რა საჭიროა, ტყვილა გაირჯება მელამპე... ხალხს, რომ შენი ცოდნის ქადაგება გააცნო ამისთვის მათ უნდა შეეძლოს შენი ცოდნის, შენი აზრის დანახვა და გაგება, გონებრივი სიბრმავე ორთავ თვალის სიბრმავეზე უარესია; გონება ბნელი ადამიანი დაბალი სულის მატარებელია, მის სულში ადვილად იბუდებს ბოროტება და დანაშაულობა; მეორე მტერი ხალხის ეს ხომ სილატაკეა, როცა მარჯვენათი სილატაკეს შევებრძოლებით და მარცხენათი უცოდინრობას და გავიმარჯვებთ მაშინ ჩვენი ერი გამოვა საუკუნებრივი გაჭირვებიდან, ვერც გარეშე მტრები ითარეშებენ ჩვენს ქვეყანაში, სილატაკეზედ ამბობდა გოეთე: „კანონი ძლიერია, მაგრამ გაჭირვება მასზე უფრო უძლიერესიო". ამის თქმაზე ლეისტმა გაიღიმა და ილიას თვალებში ჩააცქერდა და აღტაცებულმა თქვა:

– ჩვენი გოეთე... გოეთე, დიდებული გერმანელი, უნივერსალი, ფილოსოფოსი, დიდი პოეტი, პოლიტიკოსი, მედიკი ვინ არ იცნობს მას ევროპაში, ბერლინში, ლეიპციგში, ბონში, პარიზში, ლონდონში, რომში.

ამ დროს ღვინით სავსე საშუალო ჭიქა აიღო შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა: თუმცა ღვინოს ოდნავ მოსვავდა და ისევ დადებდა მაგიდაზე.

– ამ სასმისით ვადღეგრძელოთ იმ დიდი ადამიანების იდეები, მათი ხსოვნისათვის რომლებმაც კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის უხვად დაგვიტოვეს თავიანთი ბრძნული გონების ნაყოფი და დღეს მათ მიერ თელილი გზით კაცობრიობის კულტურა, მეცნიერება–ტექნიკა ჩქარი ნაბიჯით მიიწევს წინ კაცობრიობის სასარგებლოდ, მათ უნდა უმადლოდეთ, ბატონო არტურ თქვენებური არ იყო ლეიბნიცი, რომელმაც მოხდენილად თქვა: „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა" – აბა როგორ გამოითქმის ეს გერმანულად, ლეისტმა დაუყოვნებლივ გაიმეორა ლეიბნიცის სიტყვები გერმანულად, როცა ქართული თარგმნის განმეორებას შეუდგა ილიას დახმარებით გაუჭირდა „აწმყოს" თქმა.

მოულოდნელად ტიტიკო სტაროსელსკიმ შეეკითხა ილიას.

– ილია გრიგორიჩ... თქვენი აზრით, ქართველი ახალგაზრდებიდან(ტექსტში შესწორებები არ შეგვაქვს, -ნ.გ.) ვინ მიგაჩნია კარგი ორატორი, კარგი მომზადებული, განსაკუთრებით პოლიტიკური მოღვაწეებიდან?

ილია ჩაფიქრდა და არც ისე დაყოვნებით უპასუხა-დინჯად.

– ასეთია აკაკი წერეთელი, რომელსაც ჯიბიდან სიტყვების ამოღება არ ესაჭიროება და აქვს სწრაფი და მოქნილი აზროვნების უნარი, თუმცა მის აზრებს მე ყველას როდი ვეთანხმები, მაგრამ კაცსა, რაც კარგი თვისება და უნარი გააჩნია მის ხაზგასმაზე გვერდის აქცევა რიგიან კაცს ურიგოდ ჩაეთვლება.

– მწერლობაში და პოეტებში რას გვეტყვი, რომ შენზედ არაფერი ვსთქვათ-შეეკითხა ზაალ ჭავჭავაძე.

– პოეტების გვირგვინი აკაკის ეკუთვნის, ნიჭიერია ჩვენში ვაჟაც, მაგრამ მისი კუთხურობის კილო ზოგიერთ ქალაქელებს არ მოსწონს. ვიტყოდი რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ბაირონს აჯობებდა, რომ იგი დიდი ერის შვილი ყოფილიყო, მეტად დაცლოდა და თავისუფალი წერის საშუალება ქონოდა.

ზაალ ჭავჭავაძე, ტიტიკო სტაროსელსკი და ორივე მათი მხლებელი (თავადი ციციშვილები) ოდნავ შეზარხოშდნენ, გემრიელმა საჭმელებმა, საუკეთესო ღვინომ მიმზიდველობის ძალა უჩვენა. ოდნავ ღიღინით წამოიწყეს რუსულ ტექსტზე „ალავერდი". ილიას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან სიმღერა და ცეკვა მისთვის თითქოს უცხო იყო, არასოდეს საგურამოში ყოფნისას მი-

სი სიმღერა ან ღიღინი არ გამიგონია- შესაძლებელია ეს ასაკობრივი მდგომარეობით ან არასახარბიელო ჯანმრთელობით იყო გამოწვეული.

ილია საერთოდ თვალს არიდებდა ქათმის ან ბატკნის დაკვლას, რადგან ასეთი სურათი მასზე ცუდ განწყობილებას იწვევდა და იგი ხშირად იტყოდა:

– ღმერთმა ყოველივე სულდგმული სიცოცხლის უფლებით აკურთხა და არ არის სამართლიანი სიცოცხლე წავართვად, ღმერთის ბოძებული სიცოცხლე, უმწეო და უდანაშაულო ცოცხალ არსებას, უსამართლობის სათავე და ძალმომრეობის საწყისი წყარო ადამიანში აქედან იწყება, აქაო და რომელ სამართალზეა ლაპარაკი, როცა ჩემი კუჭი უნდა გამიძღოს, აბა ერთი რა სამართალია, ოჯახში გაზრდილმა ძროხამ, რომელმაც გლეხს 5 შვილი რძით გამოუზარდა, ბოლოს დამსახურებისათვის ყასაბს მიუყვანენ დასაკლავად.

ილია იყო დიდი ჰუმანისტი, და შეიძლება ითქვას, ძლიერი თანამგრძნობი და შემცოდე, სენტიმენტალური მგრძნობელობის ამყოლი. მახსოვს ერთხელ ქვრივი ქალი მოვიდა, მოიყვანა 5 წლის ბიჭი, გამხდარი, გაყვითლებული.

– ბატონო ილია-არც ხატმა მიშველა, არც ღმერთის ვედრება, ეს ბიჭი მელუპება, შენ უნდა მიშველო, დამეხმარო, ეხლა შენა ხარ ჩემი ღმერთი, ჩემი მოწყალე.

– კარგი, კარგი, მოკლედ მითხარი, რა სენი აქვს ამ ბიჭუნას.

– მცხეთაში მყავდა ფერშალთან და მითხრა, რომ აქა მშვიდობა იყოს და „ჩიხოტკა" გაჩენიაო.

– წავიყვანოთ ტფილისში, იქ ექიმებთან მიდი, წამლებს მოგცემენ და დაგარიგებენ, შემდეგ თიანეთში წაიყვანე ან ფშავში, თუშური ძროხის რძე ასვი... ასე დანარჩენს ექიმები გეტყვიან.

– რითა შენი ჭირი მე შემეყაროს, აბაზიანიც კი არა მაქვს.

– აი 30 მანეთს გაძლევ. შემდეგ კიდევ მოურავს დავავალებ რომ სურსათით დაგეხმაროს.

ილიამ საფულე გახსნა. 1 ოცდახუთიანი და 1 ხუთ მანეთიანი გადასცა. ოცდახუთმანეთიანზედ მოსჩანდა იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს მამის სურათი მოთეთრო ფონზე.

გახარებული ქალი ილიას ფეხებში ჩაუვარდა, სიხარულისაგან დაემხო მის წინაშე. ამაზე ილია გაუჯავრდა.

– ყოველივე ეს რა საჭიროა ქალო, დროს ნუ კარგავ, ყმაწვილს ეხლავე მიხედე, ამას ძლიერი კვება უნდა. გამოუტანეს ერბო, კა-

რაქი, 30 ცალი კვერცხი, 3 ლიტრამდე თაფლი და 10 შოთის პური და კალათაში ჩაუწყვეს ქალს. აი, როგორი თანამეგობარი იყო გაჭირვებაში მყოფი ადამიანის ილია, – ამ სურათის მოწმე მე ვარ.

– თედო მომიყვანეთ, სად არის-თქვა ილიამ.

– აქა ვარ ბატონო!

– ეხლავე ეტლში ცხენები გაუბი და ეს ქალი და ბავშვი ამ საათში მცხეთაში ჩაიყვანე, რომ მატარებელს მიუსწრონ.

– კი ბატონო, ეხლავე- უპასუხა თედომ, ილიას მეეტლემ.

ასეთივე უსაზღვროდ კეთილი იყო ოლღა, იგი მე მპირდებოდა ქმართან ერთად პეტერბურგში წაგიყვან და მის შესანიშნავ სანახაობას დაგათვალიერებინებო, აგრეთვე ილია, მე და ჩემს ქმარს გვპირდებოდა, რომ სათავადაზნაურო ბანკიდან სოლოლაკში 12 ოთახიან ბინას გამოგატანიებ და 25 დესეტინა მამულს შეგაძენიებო გურამიანთ კარში, ან მუხრანშიო. მე, როგორც ახალგაზრდა დედას, ჩემი ოჯახის მომავლის ეკონომიკური ბაზის შექმნისათვის დიდი იმედით შევყურებდი ილიას და მისი მეუღლის დაპირებას და იგი ამას შეასრულებდა, რომ დაცლოდა.

●

ერთ კვირა დღეს ილიას სახლის ეზოში მოვიდა მოხუცი კაცი, ხელში სახრე ეკავა და მოურავი იკითხა, როცა მასთან მივედით მოსალაპარაკებლად, მან მოითხოვა ილიას ნახვა, მასთან სათხოვარი მაქვსო, მაინც რა გნებავსო, რომ შევეკითხეთ, მან გვიპასუხა, რომ ჩემი შვილია ტყეში გავარდნილი მემარნიშვილის მკვლელობაზე და თავდებში შვილი მაჩუქოს, რომ სახლში ღამის გათევა შეეძლოსო.

ილიას უკვე მესამე სართულის აივნიდან გაეგონა მისი საუბარი და მოულოდნელად გამოგვძახა:

მაგას გადაეცით, რომ ილია ჭავჭავაძე კაცის მკვლელს, ბოროტს და ავაზაკს თავდებად არ დაუდგება და ტყვილა ამ საქმეზე ნუ ირჯებაო.

ილიას პასუხიც მოხუცმა კარგად გაიგონა, შებრუნდა და ბუზღუნით წავიდა იქით, საიდანაც მოვიდა. ილიას ასეთი პასუხისათვის მართლაც ჰქონდა საბაბი, რადგან ამ მოხუცის შვილმა წამებით მოკლა წინანდელი მოურავი მოსე მემარნიშვილი მის ცოლთან ერთად „ოქრო სად გაქვთ დამარხული გვითხარიო“, ისინი კი არწმუნებდნენ, რომ არავითარი ოქროს ფული არ გვა-

ქვს დამარხული და სულ 500 მანეთი ქაღალდის ფულია და წაიღეთო.

როგორც ილია, ისე მეუღლე ძალიან თანამგრძნობი იყვნენ გაჭირვებაში მყოფი ადამიანების მიმართ, მაგრამ ილია კაცის მკვლელებს, მოძალადეებს კანონის მიხედვით პასუხობდა.

თავის დროზე, შესაფერ მომენტში ილია გულისხმობას და დიდ გულკეთილობას იჩენდა; მაგალითისათვის მე შემიძლია დავასახელო მაგალითი, როგორც უშუალო მოწმემ მოძღვრიშვილისადმი დიდი პატივისცემის, მან მისი მოსამსახურე მოძღვრიშვილი პატიოსანი სამსახურისათვის დაასაჩუქრა ორი დესეტინა მიწით და 300 მანეთი ფულით. ღარიბი გლეხი წელში გაიმართა, სახლი აიშენა, ცხენი იყიდა; უღელი ხარები და ჯამაგირი ქონდა წელინადში 100 მანეთი და უფასო ჭამა–სმა. სამწუხაროდ ეს მოძღვრიშვილი აიძულეს ახატნის ქურდ–ყაჩაღებმა ინაშვილმა, ბერბიჭაშვილმა ჩაეთრიათ ილიას მკვლელობაში წიწამურის გზაზე. გამიგონია მაშინდელი საგურამოელი გლეხების თქმა: სიკეთისათვის სიკეთე ვის გაუკეთებიაო, სწორედ ზედგამოჭრილი იყო მოძღვრიშვილზე.

ილია ბევრ საგურამოელ გლეხს ეხმარებოდა სურსათით, შეშით, პირუტყვსაც აძლევდა მოსაშენებლად. ილიაობის დღეს, როგორც გადმოცემენ, საუკეთესო სუფრას უწყობდა და საჩუქარს აძლევდა გლეხობას.

ილია იყო სამართლიანი კაცმოყვარე, ქართველი ერის დიდი მოყვარული და მოსარჩლე, ყველა ქართვლის წარმატება მას ახარებდა. იგი იყო საუკეთესო მრჩეველი მეგობრების, საგურამოელი გლეხების უფასო ადვოკატი, უწერდა ბევრს საკასაციო საჩივრებს და თხოვნებს. მის დაწერილს ყურადღებას აქცევდა ადმინისტრაცია და სასამართლოს ორგანოები. ამისათვის ყველას სურდა ილიას დაწერილი თხოვნა ან საკასაციო საჩივარი წარედგინა სასამართლოში. მაგრამ იგი იყო თავისებური პრინციპის და საქმეს თუ სიმართლის მხარე ეკავა აუცილებლად გაიმარჯვებდა. მას არ ახასიათებდა უკან დახევა და შეუპოვარი ბრძოლის უნარი ჰქონდა.

იმ დროისათვის უკვე 70 წელს მიღწეულზე ავბედის წყალობით თავის სიცოცხლეს ეთხოვებოდა და საუკუნო–უკუნეთში მიდიოდა, საქართველოში მისი ავტორიტეტის ტოლი პიროვნება არ მოიპოვებოდა. თუმცა ათჯერ უფრო მეტი მდიდრები იყვნენ მასზე, მაგრამ მათ ავტორიტეტს საზოგადოებრივი წონა არ ჰქონდა, ისეთი, როგორც ილიას. არავის მე–19 საუკუნის ქართულ

ინტელიგენციაში იმდენი საზოგადო ღვაწლი, დამსახურება არ მიუძღოდა, როგორც ილიას, განსაკუთრებით პრესის, ლიტერატურის, სამეურნეო საკითხებში და საგანმანათლებლო საქმეში. იგი იყო ჩვენი ერის დიდი ადვოკატიც, საქართველოს მთლიანობის მომხრე და ჩვენი ისტორიის და კულტურის დიდი დამცველი, იანოვსკების ლახვარის ჩამცემი, სომეხ შოვინისტების გამამათრახებელი და საქართველოს ბედნიერი მერმისის დიდი წინამძღვარი.

ჩემი სიცოცხლის მანძილზე მუდამ მახსოვდა ილიას დიდი დამსახურება გურიის გადარჩენისათვის. მეფის გენერალის ალიხანოვ–ავარსკის მხეცური დამსჯელი ექსპედიცია გურიაში, რომელიც პირდაპირ გენოციდს ითვალისწინებდა გურული ხალხის წინააღმდეგ და დაგეგმილი იყო სრული ფიზიკური განადგურება გურიის სამი რაიონის. ალიხანოვმა დაიწყო ნატანებიდან გურული გლეხების სახლ–კარის გადაწვა. სალდათები იცინოდნენ ისლიან სახლის დაწვაზე „ეს პირდაპირ ძალზედ ადვილია დასაწვავადო". როცა ამ შემზარავმა ამბავმა თბილისში ჩამოაღწია, ალიხანოვს უკვე სოფელ მერიამდე სახლები ცეცხლისათვის მიეცა. ილია ჭავჭავაძემ დიდი შთამაგონებელი ტელეგრამით მიმართა რუსეთის იმპერატორს ელვა დეპეშით. პეტერბურგში იმპერატორის ბრძანებამ აიძულა ალიხანოვი შეჩერებულიყო გურიაში და ამით მთელი გურია გადარჩა 1905 წელს, მათ შორის ჩემი მშობლების და უახლოესი ნათესავების სახლ–კარი სოფელ ბასილეთში. მხოლოდ ილიას შეეძლო იმპერატორი ასეთ საბედისწერო დროს დაერწმუნებია ამ ბარბაროსული მოქმედების შეჩერებაში და ამით მან დაამტკიცა მთელი ქართველი ერის დიდი მოამაგის და ქომაგის სახელი. ამ დროს ილია გურიის ხალხს პირდაპირ მფარველად მოევლინა და მისი მოქმედება და გამჭრიახობა ძნელი შესაფასებელია.

●

აგვისტოს დასაწყისში ილია თბილისიდან ახლად დაბრუნებული იყო. სანამ სადილს გავაწყობდით, საწოლზე ისვენებდა. თბილისიდან ჩამოსული ორი კაცი ახლდა და მეორე სართულის აივანზე საუბრობდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო იაკობ გოგებაშვილი. სოფიო უნდილაშვილის ქალმა მითხრა, რომ მზარეული სარდიონი ნამდვილ სასტუმრო სადილს ამზადებს და საათიც კი არ დაჭირდება სუფ-

რის გაშლასო. მებაღემ მთელი კალათი პამიდორი, კიტრი, ტარხუნა, მწვანილი მოიტანა და აქ ვნახე დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი პირველად, რომლის „დედა ენა" მართლაც აღმზრდელი იყო ქართველი ბავშვების. ილია და იაკობი რაღაცაზე კამათობდნენ, მეორე კაცის გვარი არ დამამახსოვრდა, ლაპარაკი რუსეთ-იაპონიის ომის შედეგებზეც ჩამოვარდა. მოულოდნელად მესამე პირმა ამბავი ვანო მაჩაბელზე ჩამოაგდო.

– ეს ჩვენი ვანო, დიდად განათლებული კაცი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ არ ვიცით – ნამდვილად წარმოსთქვა იაკობმა და განაგრძო – ნეტავ ისე მომკვდარიყო, რომ ქართველ ხალხს მისი საფლავი ქონოდა მაინც.

– ამოდენა კაცი ნემსივით დაიკარგა – დაუმატა მეორე სტუმარმა. რას არ მიედებ-მოედება ხალხი, რას არ ჭორაობენ, ზოგი რას ამბობს და ზოგი რას.

ილია საწოლიდან წამოდგა, საგურამოს ფერდობს გადახედა, შუბლი მოიწმინდა ოფლისგან და დინჯათ თქვა:

– როცა ხალხს საბუთი არ აქვს, საბუთებს ჭორებში ეძებენ, ზოგს გველის სისინი ბულბულის სტვენად მიაჩნია, ზოგს ყვავის ჩხივილი იადონის გალობად.

მიუხედავად ილიასა და ვანო მაჩაბლის დიდი უთანხმოებისა სათავადაზნაურო ბანკის შესახებ, სადაც ეს ორი დიდი ქართველი დაეტაკნენ ერთმანეთს ილია განიცდიდა დიდ წუხილს და სევდას ვანოს დაკარგვის გამო, როგორც შემდეგში მსმენია, მწერალ ცახელისა და ია ეკალაძისაგან, რომლებიც ჩვენში ოჯახის სტუმრები იყვნენ ხშირად მთაწმინდაში გოგებაშვილის სახლში, ვეძინსკის ქუჩაზე. ვანომ ბანკის ორგანიზაციულ მუშაობაში და მისი ოპერაციის წარმატებაში კიდევაც აჯობა ილიასო, მაგრამ მან ილიას ვერ დასძლია მისი საზოგადო და სამწერლო დიდი წონის ავტორიტეტის გამო და შეიძლება ვანომ ზედმეტი თავმოყვარეობის გამო თავის თავს ულმობელი განაჩენი თვითონ გამოუტანა და ადიდებულ მტკვარში დაიხრჩო თავიო.

მე ოლღასაგან ხშირად გამიგონია, რომ ილია ვანოს მოგონებას ძალზედ განიცდიდა, ილიას უთქვამს მე რომ მას წყალწაღებული დავენახე, ან მე დამენახა ჩვენ ერთმნეთს მაინც მივეშველებოდითო პეტერბურგელი მეგობრები, ჩვენ გვქონდა სადავო მხოლოდ ვინ უკეთ წარმართავდა ქვეყნის სამეურნეო საქმეს, მე ჩემი გამოცდილების მჯეროდა, ვანოს მისი ცოდნის და ასეთი რამ თუ მოხდებოდა ამას ვერ მოველოდიო.

იაკობმა იცოდა, რომ ილიას გულს უმძიმებდა ვანოს ამბავი და უეცრად საუბარი ამინდის შესახებ გადართო.

– ეს ერთი კარგი წვიმა ჭირნახულს მონათლავს...არა მკათათვეს ვერ დავენდურებით, მოსავლის აღება კარგად აცალა გლეხობას, მართალია ილია გრიგორიჩ რომ შიგა კახეთს სეტყვა დაატყდა თავს?

ყვარელს ვენახები დაზარალდაო? – შეეკითხა იაკობი.

– ილიამ მცირე პაუზის შემდეგ უპასუხა.

– ზარალი არის, მაგრამ არც ისე დიდი აქა იქ ჩაკრა სეტყვამ და სეტყვის მარცვალიც დიდი არ ყოფილა.

– მადლობა ღმერთს, თუ მშრომელი კაცის ნაშრომს ღმერთმა მადლის თვალი მოავლო– თქვა იაკობმა.

– მეორე დღეს დილით ათ საათზე ერთმა საგურამოელმა ილიას სანადირო ძაღლი მოუყვანა, რომელიც ერთი თვე დაკარგული იყო. ილიას ძალიან გაუხარდა, ძაღლს მოეფერა.

– სად იყო ეს ჩემი ძაღლი?

– არაგვის პირას ვიპოვე და როცა მითხრეს ილიასი არისო მოგიყვანეთ. ილიამ ქაღალდის 5 მანეთიანი ამოიღო და ძაღლის მომყვანს მიაწოდა.

– აი ესეც შენ და მადლობა მომიხსენებია – ჩემი ძაღლის მონახვისა და მოყვანისათვის.

– დღეგრძელი იყავით ჩემო ბატონო და დიდი მადლობა.

– მაშ რადგან ჩემი დღეგრძელობა გინდა, ეგ სიტყვა, რომ ენაზე არ გაგიშრეს ერთი ჭიქა ღვინო დაგვილიე.

მოსამსახურე ქალმა მოიტანა ღვინო, ყველი, ცხელი შოთის პური თორნედან და უცებ სუფრა გაიშალა–კაკლის ხის ძირში.

ძაღლის მომყვანს უნდოდა რაღაც ეთქვა ილიასათვის, მაგრამ ვერ გაუბედა, როცა მესამე ჭიქა გამოცალა, გაბედულობის ქულა შეემატა და უთხრა:

– ჩემო ბატონო ერთი კი მაქვს სათხოვარი თქვენთან, მაგრამ ვერ გამიბედია, რომ გითხრა და გთხოვო.

– თქვი რა გინდა, რისი გეშინია? – უპასუხა ილიამ

– აი იმისა თუ უარი მითხარით!

– მაინც რა გაქვს სათქმელი?

– მე ბატონო ილია მანჯურიის ფრონტზე ვიბრძოდი, 3 წლის წინ იაპონიის ომში და ორი ჭრილობა მაქვს, მარცხენა ხელ–იდაყვში ვერ ვმართავ და ერთი თქვენი მადლიანი „პრაშენია“ მინდა, რომ დამიწერო იქნებ 15 მანეთი პენსია მომცენ ან რამდენიც მეკუთვნის.

– ბიჭო, შენ იაპონელებს ებრძოდი მანჯურიაში და იმის არ შეგშინებია და ჩემი შეგეშინდა, მაგ საქმეზე თუ გინდა აი იაკობიც აქ არის და ის დაგიწერს „პრაშენიას“.

– არა თქვენი ჭირიმე, სად თქვენი კალამგასმული ქაღალდი და სად უბრალო „უჩიტელის“ დაწერილი.

– ბიჭო, შენ იცი ეს იაკობია?

– აბა რა ვიცი, მაგრამ მე ის კი ვიცი, რომ მთელი დუშეთის მაზრაში თქვენისთანა „პრაშენიას“ დამწერი არ მოიპოვებაო, მეორეც თქვენს დაწერილს ისეთი ძალა აქვს, რომ არ მეკუთნოდეს, რა მაინც საქმის გაჭრის ძალა აქვს.

ილიას გაეღიმა და იაკობს შეხედა, იაკობსაც გაეცინა.

– ხო კარგი, კარგი, დღეს სტუმრები მყავს ხვალ და ამ დროს მოდი. შენი თეთრი თუ ლურჯი ბილეთი მომიტანე და მე დაგიწერ „პრაშენიას“.

– დიდი მადლობელი ვარ ჩემო ბატონებო, დიდხანს მიცოცხლოს ღმერთმა თქვენი თავი, დიდი მადლობა პურმარილისათვის, – მოახსენა ილიას და ჩქარი ნაბიჯით დაღმართზე დაეშვა ნასალდათარი, გვარი არ მახსოვს მისი.

აი, ასეთი იყო ილია, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა და ადამიანის დიდი თანამგრძნობი, მას უთქვამს, რომ ვინაიდან ჩვენ ყველანი ადამის მოდგმისა ვართ, ჩვენც ყველა ადამიანს ადამიანურად უნდა მიუდგეთო...

მაგრამ სულ სხვა იყო სტაროსელსკის ოჯახი. სტაროსელსკის ერთ ვაჟს ცოლად ყავდა ებრაელი მდიდრის ქალიშვილი, რომელიც ცნობილი იყო თავისი კაპრიზებით. ამ ებრაელის ქალს გლეხებთან ავზნეობისათვის არ ელაპარაკებოდა ილია, არც მის ოჯახში დადიოდა. სტაროსელსკის ცოლი ნებას არ რთავდა საგურამოელ გლეხებს სახლის წინ ქუჩიდან გაევლო 12 საათამდე, რადგან ამ დრომდე სახლს მზე ადგებოდა და სტაროსელსკის ცოლს ფანჯრები ღია ჰქონდა, ხოლო 12 საათის შემდეგ ე.ი. როცა ფანჯრებს დაკეტავდა, მაშინ გლეხებს შეეძლო გავლა ქუჩაში სახლის წინ. ცუდად ჩაცმულებს და ბინძურებს ვერ ვიტანო ამბობდა სტაროსელსკის ცოლი, ხოლო ამ „კანონს“ საგურამოს გლეხობა ზუსტად ასრულებდა. ილია ამ საქციელს უწოდებდა ზნეობრივ შეშლილობას.

ის იყო დიდი დემოკრატი, სასტიკი მტერი უსამართლობის, დიდი მოყვარე სამართლიანობის, მაგრამ ყოველივე მისი ხელით უსამართლობის აღმოფხვრა მარტო, ის როგორც იტყვიან „ერთი მერცხლის ჭიკჭიკით გაზაფხულს ვერ მოიყვანო“. მიუხედავად ამისა მის წინა-

ალმდეგ წერდნენ ბევრს თავიდან ბოლომდე მოგონილ ცრუ ბარლ-დებებს, ცილს სწამებდნენ და ილიას ლანძღავდნენ, როგორც ვეისს უთქვამს: „უპირველესი იარაღი შურისა ცილისწამებაა, როგორც სულმდაბალი კაცის მკვლელი", მაგრამ ილიას ცილისდამწამებელნი სტყუვდებოდნენ იმაში, რომ ილია სულმდაბალი არ იყო და გამანად-გურებელ პასუხს აძლევდა მათ პრესაში.

მახსოვს ერთხელ ჩემს ქმარს საგანგებოდ დაავალა.

— წადი, აი იქ იმ ხის ძირას, ცივი წყარო მოჩუხჩუხებს და ამ კოკათი წყალი მომიტანე და დავლიოთო.

დაუყოვნებლივ წავიდა დიმიტრი კოკათი. სულ 120 მეტრი იქ-ნებოდა მითითებულ ხემდე, მაგრამ დაბრუნდა გაოცებული და ილიას შოახსენა:

— ილია გრიგორიჩ, იქ არავითარი წყარო არ არის, ტყეა მხო-ლოდ. ილიამ გაიცინა და უთხრა:

— ხო და მე ბრალი დამდეს პრესაში, რომ თითქოს იმ წყაროს წყალს არ ვაძლევდი გლეხებსო. ეხლა შენი თვალით ხომ დარწმუნ-დი, რომ არავითარი წყარო არ არის იქ და არც აკრძალვა შეიძლე-ბოდა. ვინ რას სწერს, რომ გროშები აიღონ და ცილი დამწამონ — ნერვები მომიშხამონ.

განსაკუთრებით სასტიკად გალანძღა ილია ერთ დროს ირონდი-ონ უვდოშვილმა, მასხარადაც აიგდო და ამ ჩვენი ერის დიდ ბურ-ჯს, წინამძღოლს, მფარველს ბაყ—ბაყ მდევი უწოდა. და სრულიად დაუმსახურებლად გლეხის ჭამია ფეოდალიც კი უწოდეს, რაც სი-ნამდვილეს სრულიად არ შეეფერებოდა და აშკარა მონაგონი რამ იყო. მახსოვს ერთხელ ამაზე ზაალ ჭავჭავაძემ უთხრა ილიას ვახ-შამზე:

— კი, მაგრამ ირონდიონ ხოსიტაშვილმა ბოდბის ხევში სხვა ვე-რაჯინ ნახა მასხრად ასაგდები და გასალანძღიო, რაღა შენ მოგად-გა — ესეც შენი „ზემლიაკი" — კახელი. ამაზე ილიამ ასე უპასუხა:

„როცა კაცს მკვახე და ჯერ კიდევ უმწიფარი ჭკუა აქვს ამას მისი ენის სიმწრით გამოიცნობო". ამის თქმაზე ყველას გაეცინა, ზ. ჭავჭავაძეს ხით—ხითი აუვარდა. ილიას არ გაუცინია და სალათას შეექცეოდა. ბოლოს ზ. ჭავჭავაძემ უთხრა:

— ილია გრიგორიჩ, ისეთი პასუხები იცი, რომ უპასპორტოდ რომ სადმე მოხვდე და შენს ვინაობას ეძებდნენ, შენი აზრით და სიტყვით მიხვდებიან, რომ შენ ნამდვილად ილია ჭავჭავაძე ხარო. ამაზედაც სიცილი გაისმა, მაგრამ ოლღამ იკითხა, რაზედ იცინი-თო.

ზ. ჭავჭავაძემ აქაც იხუმრა და ოლღას მიუახლოვდა და ყურში ჩასძახა.

– ხვალ ცაგარელის ქალი უნდა გვესტუმროსო – მოატყვილა.

– ოი, ბოჟე მოი, – თქვა ოლღამ. ახალგაზრდობაში ილიაზე და ცაგარელის ქალზე ეჭვიანობდა სულ ოლღა და მისი გახსენება ნერვებს უშლიდა. მართლაც შემდეგში იროდიონ ევდოშვილმა მწარედ მოინანია მისი ლანძღვანი ილიასადმი.

ერთხელ, როცა სასამართლო პროცესიდან ჩამოვედით გოლოვინსკის პროსპექტზე, ლაღიძის წყლის მაღაზიის კუთხეში შემხვდა და მითხრა იროდიონმა:

– ილიას სასიკვდილო ტყვიამ მეც გამიარა გულში და მონანიება, თუ საქმეს შველის, მე დამხობილი უხდი ბოდიშს ილიას მის საფლავზეო. ამის მოწმე იყო ჩემი ქმარი, იოსებ იმედაშვილი და სხვები.

ექვსი მარიობისთვე იყო ძველი სტილით, მარიობის დღესასწაულზე მოდიოდნენ მცხეთის ტაძარში. თედომ ცხენები შეაბა ეტლში (მისი გვარი ლაბაური იყო). მე ახალი კაბა ჩავიცვი, ქალბატონი ოლღაც გამოვაწყვე, სოფიო უნდილაშვილიც ჩვენთან წამოვიდა, ერთი სტრაჟნიკი გამოგვაყოლა შეიარაღებული ჩემმა ქმარმა. ილია, ჩემი ქმარი და ზ. ჭავჭავაძე სახლში დარჩნენ. მცხეთაში ჩავედით. ტაძართან დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. მცხეთის მაღაზიაში შევედით, რომელიც კერძო პირს ეკუთვნოდა. თუმნიანი დაახურდავებინა, მეც სამმანეთიანი დავახურდავე და პირდაპირ ტაძრისაკენ გავემართეთ, საიდანაც მშვენიერი საეკლესიო გალობა ისმოდა. ოლღამ და მე ძლივს გავარღვიეთ ხალხის შეჯგუფება. ხვთისშობელ მარიამის ხატს ვემთხვიეთ, ოლღამ ათმანეთიანი ოქროს ფული შესწირა ხატს, გალობა მოვისმინეთ, გამოვბრუნდით და დახურდავებული თუმნიანი – ზოგს ათ შაურიანი, ზოგს აბაზიანი ჩამოურიგა ეკლესიის მათხოვრებს ოლღამ. შეჩერდა ერთ ბრმასთან, სამ მანეთიანი ჩაუდო მუჭში, მეც მანეთიანი ვაჩუქე, გაისმოდა ჩვენს მიმართ ლოცვა და მადლიანი სიტყვები საჩუქრებისათვის.

გზაში ოლღამ მითხრა:

– წმინდა მარიამის ხატს შევევედრე ჩემი-ილიას ჯანმრთელობა და სიცოცხლე. მის შემდეგ ჩემი სიცოცხლეც გაქრება და არც მინდა ვიცოცხლო. თედომ ეტლი სამიკიტნოს წინ გააჩერა და ცხენების მოსართავს დაუწყო სინჯვა.

– რათ გააჩერე, ოლღამ უთხრა.

– ისე, რა, ცხენების მოსართავებს ვამოწმებ.

მაშინ ოლღამ მითხრა, მაგას სმა უყვარს და თუ არ დალია, არ იქნება, ფული არ აქვს ალბათ და აი ეს მანეთიანი მიეცი და დალიოს მაგანაც და სტრაჟნიკმაც. მე თედოს დაუძახე, მომიახლოვდა და უთხარი:

– რაღა ამ სამიკიტნოსთან გააჩერე, აი მანეთიანი ქალბატონმა მოგართვა და ორთავემ დალიეთ, მხოლოდ ჩქარა გამოდით, თანაც ბევრი არ დალიოთ.

– რას წუხდებოდა ქალბატონი – ფული საჩქაროდ გამოართვა და „კოზლადან" ჩამოახტუნა სტრაჟნიკი და თოფიანად და ფალიასკებიანად სამიკიტნოში შევიდნენ. დალიეს, მართლაც 5 წუთში გამოვიდნენ და ორი შეხვეული ვარდისფერი შაქრის „ყინული" გადმოგვცეს.

– ასე ტკბილად, გემრიელად გაცოცხლოთ წმინდა მარიამმა, გვითხრა თედომ.

ოლღას გაეცინა და უთხრა:

– გარეკე ცხენები, სადილობის დროც მოვიდა, ილია გველოდებაო. მართლაც მალე დავბრუნდით, ჩემი პატარა გოგონა ხელში ეკავა ჩემს მულს ნატალია ჯაშს და ჭიშკართან დამახვედრა. ოლღამ ბავშვი ჩაკოცნა და მერმედ მე გადმომცა.

●

ერთ დღეს ღამის 10 საათზე დიმიტრი შემოვიდა და რაღაც წერილს აღელვებით კითხულობდა. მე ბავშვი ახალდაძინებული მყავდა. დაუყოვნებლივ შევეკითხე წერილი სოფლიდან ხომ არ არის, ხომ მშვიდობაა... იქნებ შენ რამეს მიმალავ, მაგრამ წერილი მე არ მაჩვენა და ილიასთან მოინდომა ასვლა მესამე სართულზე. მე გზა გადავუღობე და უთხარი: ეხლავე მითხარი რა ამბავია, წერილი წამაკითხე.

– ეგ შენ არ გეხება – მიპასუხა.

– აბა ვის ეხება.

– მე მეხება და ილიას.

– მერე? შენ თუ გეხება, მე არ უნდა ვიცოდე?

დაბნეული, ფერმკრთალი მაგიდას მიუჯდა და ისე კითხულობდა, კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო და წევა დაიწყო. ოთახში მიდიოდ–მოდიოდა, აღელვება ეტყობოდა, მაშინ მიუახლოვდი და წერილი გამოვტაცე ხელიდან.

წინააღმდეგობა არ გაუწევია და წერილი წავიკითხე, რომელიც ძალიან მოკლედ იყო დაწერილი. შინაარსი ასეთი იყო:

მოურავ ჯაშს! სამი დღის განმავლობაში თუ არ დაგიტოვებია ილია ჭავჭავაძის სამოურავო მამული და სახლი, შენ ის დღე მოგელის, რაც პირველ მოურავს და მის მეუღლეს მოუვიდა.

წერილი იყო ანონიმური და ხელს აწერდნენ ვიღაც „ტამოჟნის მუშები", რაც აშკარად არავითარი მუშური ორგანიზაციის არ იყო. ეს იყო ისევ ვანო ინაშვილის და ბერბიჭაშვილის შანტაჟი, რაც სასამართლო პროცესზე გამოირკვა შემდეგ.

– ეხლავე აუტანე ილიას – ვუთხარი დიმიტრის. მას პასუხი არ გაუცია, თმა გადაივარცხნა და წავიდა ილიასთან ზევით, რომელსაც გადასცა ეს წერილი. ილიას წაუკითხია და უთქვამს:

– არაფერია, დიმიტრი სოფრომიჩ, აქაური ქურდ–ყაჩაღების ოინებია. ამისთანა მუქარები ათიოდე მეც მივიღე. აი ოთხი სტრაჟნიკი გყავს აქ. ვერავინ ვერაფერს გაბედავს – უთხრა დიმიტრის.

მთელი ღამე თეთრად გავათენეთ, არ გვიძინია. მე ვუთხარი დიმიტრის:

– წავიდეთ თბილისში, თორემ იქნებ ჩვენც ისე მოგვკლან, როგორც პირველი მოურავი და მისი ცოლი.

– მაშინ სტრაჟნიკები არ ყავდა ილიას, ეხლა კი სულ სხვა მდგომარეობაა.

– არა, აქ ისეთი მხეცი პირები არიან, ხომ გახსოვს, ძროხას და ჯორს როგორ მხეცურად მოექცნენ, როგორ უწამებიათ მოურავის ცოლი. თუ შენ არ წამოხვალ, მე ხვალ ბავშვი მიმყავს და მივდივარ. დიმიტრი ჩაფიქრებული იწვა, პაპიროსს აბოლებდა, ჭერს არ აშორებდა თვალებს.

მესამე დღეს პურის მცხობელი სოფიო უნდილაშვილის ქალი მოვარდა ჩემთან შეშინებული და შეშფოთებული და ასე უთხრა:

– ქალბატონო, ახატანში ვიყავი და ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა. იქაურ ბიჭებს ილიას სიკვდილი ჰქონიათ გადაწყვეტილი და მალე კნიაზს მოკლავენო, მთელი სოფელი ამას ლაპარაკობსო. თქვენაც დიდი სიფრთხილე გმართებთ. ხომ იცი რა უქნეს პირველ მოურავსო.

– მე დიმიტრის დაუყოვნებლივ ვუთხარი ეს ამბავი. მან მოიხმო სოფიო და ყველაფერი გამოკითხა, შემდეგ სტრაჟნიკების მეთაურს ესაუბრა და მთელი ღამე არ ეძინა არცერთ სტრაჟნიკს. მე დაჟინებით ვუთხარი, რომ ყოველივე ეამბნა ილიასათვის.

– უხერხულია, ვერ გავუბედავ, მუქარის წერილები მასაც მოდის „კაკო ყაჩაღის“, „განდეგილის“, „კაცია ადამიანის?!“, „ოთარაანთ ქვრივის“, „დიმიტრი თავდადებულის“ დამწერს, როგორ ვუთხრა ისიც ავადმყოფს, რომ მოკლას გიპირებენ და... ვერ გაუბედავ ამის თქმას, მითხრა დიმიტრიმ.

მაშინ სოფიო გავგზავნე ზ. ჭავჭავაძესთან, რომელიც მესამე ოთახში იწვა. ზ. ჭავჭავაძე შემოვიდა ჩვენთან და მე ვუთხარი აღელვებით:

– თუ ჩემი ქმარი ვერ უბედავს თქმას, რაც სოფიომ გვიამბო, რატომ თქვენს ბიძაშვილს თქვენ არ ეტყვით ყოველივეს – სოფიომ ყოველივე დაწვრილებით მოუყვა, ახატანის ბიჭები უკვე მზად არიან ილიას მოსაკლავადო. ზ. ჭავჭავაძე ჩაფიქრდა.

– შეიძლება სოფლის ჭორი იყოს, იმანაც თითქმის ჩემი ქმარივით თქვა.

– ვინ გაბედავს ილიას სიკვდილს, ამის თქმა მისთვის ძნელია, ნერვები აეშლება.

– შეუძლებელია, რომ რაიმე არ უთხრათ, რაიმე უბედურება რომ მოხდეს, მერე სამუდამოდ სანანებელი დარჩება. თქვენ თუ ვერ ეტყვით, დღეს ყველაფერს ვეტყვი ქალბატონ ოლღას ყოველგვარი მოფერების გარეშე.

– ეს კარგი იქნება და იგი ეტყვის მის ქმარს – მიპასუხა ზ. ჭავჭავაძემ, დიმიტრიმაც მოიწონა ჩემი გადაწყვეტილება.

– ილია ისეთი თავმოყვარე, პრინციპულია, რომ ჩვენ (იქნებ ჭორია) ვუთხრათ გაგვლანძღავს და სოფლის ჭორიკნებს აყოლიხართ მამაკაცებიო, გვეტყვის–გვითხრა ზ. ჭავჭავაძემ.

– როგორც იქნა ვიშოვე დრო და ოლღასთან შევედი ზალაში. შლეიფინი კაბას სინჯავდა სარკეში, მიუახლოვდი და ახლო ყურთან საკმაო ხმამაღლა უამბე ყოველივე. შეშფოთდა, შედრკა, ხელებმა კანკალი დაუწყო, მუხლები მოეკეცა, მდივანზე ჩამოჯდა, თან მარჯვენა ხელი მოხვეული მქონდა და რაც სოფიომ თქვა, ყველაფერი უამბე.

– დამიძახეთ სოფიოს – მითხრა. სოფიოს გადავძახე და ორ წუთში მოვიდა სოფიო.

– მართალია სოფიო ასე ამბობენ სოფელში!

– ჩემ ქალბატონს ვენაცვალე მართალია, ახატნელი ბიჭები ემზადებიან ილიას მოსაკლავად და ეს გადაწყვეტილი აქვთ, კნიაზს გადაეცი ყოველივე, უბედურება რომ არ მოხდეს. მართლაც, ოლღამ ყოველივე უამბო. ილიას ხელი ჩაუქნევია და უთქვამს ოლღასათვის:

– ნუ ტირიხარ, სოფლის ჭორიკნები ილია ჭავჭავაძეს ვერ შეაშინებენო და გაჩუმდი. დიდი ხანია მაშინებენ, მაგრამ ვერაფერს გაბედავენო.

●

1907 წლის 27 აგვისტოს ილია საქმეებზე მიემგზავრება თბილისში. დიმიტრი ფრთხილად და მორიდებულად მიუახლოვდა ილიას და უთხრა:

– ილია გრიგორიჩ! საჭიროა, რომ მცხეთამდე ჩვენმა სამმა სტრაჟნიკმა გაგაცილოსო.

ილიამ დაინახა სამი ცხენზედ შემომჯდარი შეიარაღებული სტრაჟნიკი, რომელიც დიმიტრის წინასწარ გაუმზადებია გასაცილებლად მცხეთამდე. ილიამ გადახედა თუ არა ერთგვარ დამცირებად იგრძნო და დიმიტრის უთხრა:

– ილია ჭავჭავაძეს მის სამშობლოში დამცველები არ ესაჭიროებაო და... თანაც პასუხის ტონი საკმაოდ მკვეთრი და მაღალი ტონის იყო.

დიმიტრი გაფითრებული უყურებდა. სტრაჟნიკებსაც ეწყინა. სხვათაშორის ორი აჭარელი იყო, კარგი მსროლელები, ახოვანი ახალგაზრდები, კარგი ცხენოსნები".

●

ჩემს სამშობლოში სტრაჟნიკებით როგორ ვიაროო – მკაცრად უთხრა ჯაშს. ამაყი იყო, თან არტურ ლაისტი ახლდა, ისიც მასთან ერთად მოდიოდა თბილისს. ამ გერმანელ კაცს, რომელსაც ილია ქართველების უგვირგვინო მეფედ მიაჩნდა, როგორ დაანახვებდა იმას, რომ ილიას საკუთარი სოფლის სანახებში სტრაჟნიკების თანხლებით ევლო. ამ გზაზე 40 წელზე მეტია მიდი-მოდის. თბილისიდან საგურამომდე, საგურამოდან თბილისამდე ლოდი არ გდია, ხე არ დგას, გლეხის მიწური თუ ვაჭრის ფარდული არ არის, რომელიც ძალიან ძალიან მშობლიური არ იყოს ილიასთვის. ამ ორმოცდაოთხი წლის მანძილზე კაცი გზად არ შეხვედრია, ქუდი არ მოეხადა, სახეგაბადრული არ მისალმებოდა. სულ ახალი სიძე რომ იყო, მაშინაც უკვე ცნობილი კაცი გახლდათ, მერე ხომ თითქმის აღმერთებდნენ. რა პროკლამაციებიც არ უნდა ერიგებინათ, რა ჭორებიც არ უნდა ეყარათ

სოფელში, ერთმანეთში საყაყანოდ იქნებ კიდეც ჰქონოდა გასავალი, მაგრამ ამ ჭორების შემთხზველი სოციალისტებიც კი, მასთან პირისპირ შეხვედრისას, მონუსხულივით ფარ-ხმალს ყრიდნენ, საკუთარ მეზობლებს რა ღრმა პატივისცემა ექნებოდათ, წარმოსადგენია. აი, იმ ხალხის დასანახად, ლაისტის თანხლებით, ცოლზე აღარას ვამბობ, ილია, თავის სიცოცხლეში პირველად, სტრაჟნიკებამომდგარი ეტლით უნდა დაშვებულიყო თავისი მამულის თავდაღმართში. ამის გაკეთებას მართლა სიკვდილი ერჩია. მიუხედავად იმისა, რომ გრძნობდა, გრძნობდა კი არა, უკვე იცოდა, სადღაც, შორს, მისი განაჩენი უკვე გამოეტანათ. თუ სად, თუ ვის, წიგნის უკანასკნელ თავში გიამბობთ, მაგრამ უეჭველად რომ იცოდა ფატალური ბედის ამბავი, ბარემ აქვე ვთქვათ: კი ამშვიდებდა მოურავს, მუქარის წერილები მეც მომდისო, კი არაფრად აგდებდა ოლღას ვიშვიშს, მაგრამ აგვისტოს ბოლო სამი კვირა იმ აივანზე, საიდანაც არაგვის ჭალების ყურებით მთელი ცხოვრება ტკბებოდა, აღარ გადიოდა, ან გავიდოდა ძალზე იშვიათად.

გუმანობდა, მკვლელი ჩასაფრებული რომ ჰყავდა. სხვას რას ნიშნავდა მისი საქციელი – თავის ნათესავს ზაალ ჭავჭავაძეს რომ ჰკითხა, იარაღი თუ გაქვსო. არა, – იმან უპასუხა. თუმცა თვით ზაალის სიტყვები ამოვნეროთ. ის რასაც იგი რამდენიმე დღის შემდეგ მოწმის სახით დაკითხვაზე იტყვის: „ილია ჭავჭავაძე მკვლელობის წინა კვირეებში ძალიან ფრთხილი იყო, წინათ მისი სასეირნო ადგილი იყო მისივე სახლის აივანი, რომელიც გადაჰყურებს არაგვის ხეობას. იქ მგოსანი მთელ საღამოებს ატარებდა ხოლმე. ბოლო დროს სულ აღკვეთა ამ აივანზე სეირნობა და ათასში ერთხელ თუ გავიდოდა. ვატყობდი მგოსანი რაღაც არა სასიამოვნო მომავლის მოლოდინში იყო, მაგრამ თქმით არას ამბობდა. ერთხელ მკითხა, იარაღი გაქვსო, და როცა ვუპასუხე არა-მეთქი, ჩაიცინა, ხუმრობით სთქვა, განა შენ სანადირო იარაღი არ უნდა გქონდესო და მაუზერის რევოლვერი გადმომცა. თუმცა მგოსანს არა უთქვამს რა ჩემთვის, მაგრამ ვატყობდი, რომ რაღაც იცოდა“. ვიმეორებ, ეს სიტყვები ეკუთვნის კაცს, რომელიც მთელი ზაფხული 1907 წლისა საგურამოში, ილიას სახლში ცხოვრობდა და დაბეჭდილია 1908 წელს, სასამართლო მასალების გამოქვეყნებისას. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ 1921 წლის შემდეგ საქართველოში გამოქვეყნებული, პრესაში დაბეჭდილი ყველა მასალა ნაკლებად სანდოა, ადრინდელი კი ნაკლებად გვაეჭვებს.

ვატყობდი, რომ რაღაც იცოდაო. ეცოდინებოდა, რადგან ბოლშევიკები მაინცდამაინც არც მალავდნენ იმას, რა გადაწყვეტილებაც, ჩემის ფიქრით, სწორედ აგვისტოში უნდა მიეღოთ. თბილისი პატარა ქალაქი იყო, ის რაც ზაქარია ჭიჭინაძემ ერთი საშინელი შემთხვევის წყალობით შეიტყო, რატომ სხვასთანაც არ იტყოდნენ? წარმოუდგენელი ის არის, ილიას ყურამდეც არ მისულიყო ის, რაც ვგონებ ყველა მუშამ იცოდა. ჭიჭინაძეს კი ასეთი ამბავი გადახდენია.

მიხეილ გაჩეჩილაძე იგონებს (იხ. „ლიტ. მატიანე", თბ. 1992წ. გვ.36–38):

„რევაზოვის ქუჩაზე ზაქარია ჭიჭინაძის სახლში ვცხოვრობდი. ერთ საღამოს ღამის ორ საათზე ზაქარია ნაცემი და თავპირდამტვრეული მოვიდა. თავი ორ ალაგას ჰქონდა გატეხილი და სისხლი სდიოდა. ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა. მთელი ღამე ბორგავდა და იტანჯებოდა.

მეორე დღეს როცა ზაქარია ცოტათი მომჯობინდა, მიამბო შემდეგი: საბაშვილის ღვინის სარდაფში ვიყავი პურის საჭმელად. ჩემთვის ცალკე ვიჯექი. მოვითხოვე ხელადა ღვინო, პური, ყველი. იქვე მეორე მაგიდაზე ახალგაზრდა ყმაწვილები ისხდნენ. სუყველა მუშები. სოციალ-დემოკრატები. ყველა ჩემი ნაცნობი...

რაღაც თათბირი ქონდათ. ჩემამდის გარკვეული ხმა ლაპარაკისა არ მოდიოდა. ერთხანს ვიყავი ჩემთვის გაჩუმებული. მერე გამიწყრა ღმერთი, მათი სადღეგრძელო დავლიე. იმათაც მიპასუხეს.

მერე კიდევ სადღეგრძელო დავლიე და ახლა უკვე შეზარხოშებულმა სოციალ დემოკრატებს მათრახი გადავკარი. არა, ვინ მკითხავდა, რას დავეძებდი, მგლის თავზე სახარება ვის წაუკითხავს. ამაზე აიმრიზნენ, აყვირდნენ და უშვერი გინებით მიპასუხეს... მაგრამ მაინც თავის ალაგას ისხდნენ.

ვიფიქრე, ვერას გამიბედავენ. მოდი ერთი ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელოს დავლევ...

ავიღე სტაქანი ღვინით სავსე, მივუახლოვდი იმათ მაგიდას და დავიწყე ილია ჭავჭავაძის ქება-დიდება. დიდხანს მაცალეს ლაპარაკი. აი შე ხულიგანო, შე არამზადა! როგორ ბედავ შავრაზმელ ჭავჭავაძის ქებას, ის სიკვდილის ღირსია და სულ მალე მოულებთ ბოლოსო. მომესიენ, მცემეს უზომოდ. უსათუოდ მომკლავდნენ, რომ საბაშვილის სარდაფის პატრონი არ ჩარეულიყო ჩვენს საქმეში. საბაშვილი ეხვეწებოდა მუშებს: „აქ ნუ კლავთ კაცს, თორემ

მე დავილუპებიო.“ მართლაც საბაშვილის ხათრით დამანებეს თავი(საბაშვილის სარდაფში ხშირად იმართებოდა მუშების საიდუმლო კრებები). ფეხზე ადგომა არ შემეძლო. ამწიეს ისევ მუშებმა და ამომიყვანეს სარდაფიდან და ქუჩაში დამაგდეს. აქაც წიხლები მითავაზეს და მიმატოვეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამოვიდა საბაშვილი, მნახა რომ ქუჩაში ვაგდივარ, ამიყვანა და ძლივს-ძლივობით სახლამდე მომიყვანა.

მითხრა: რა ღმერთი გაგიწყრა, რომ ჭავჭავაძის სადღეგრძელო დალიე. ჭავჭავაძე მაგათ ჭირივით ეზარებათ. სწორედ ჭავჭავაძის შესახებ ჰქონდათ ლაპარაკი, სანამ შენ მოხვიდოდი. ზაქრო! არ გამცე და ჭავჭავაძეს მოკვლას უპირებენ... ნამდვილად მოკლავენო. მადლობა ღმერთს, შენ გადარჩი. აპა, არ დამკლა და არსად არაფერი ილაპარაკო, თორემ ორივეს ანდერძს აგვიგებენო.

აი, შვილო, ახლა ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ჭავჭავაძეს მართლა მოკლავენ.

მინდა ვაცნობო, მაგრამ დამიჯერებს?

ზაქარია ისე იყო შეშინებული, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ხელახლა მეხვეწებოდა, არსად არაფერი თქვა, თორემ ნამდვილად მომკლავენო.

ეს შემთხვევა არ უნდა მეთქვა შენთვის თავიდანვე, მაგრამ სხვანაირად იფიქრებდი და მიტომ გითხარიო. აპა, შენ იცი, ჩემი სიცოცხლე შენს ხელშია... მევედრებოდა ზაქარია. სწორედ სამი კვირის შემდეგ ილია ჭავჭავაძე მოკლეს. ჩემს სტამბაში სადაც ჟურნალი „ნიშადური“ იბეჭდებოდა, მოვიდა დეპეშა რედაქციის სახელზე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ. დეპეშა ხელმოუწერელი იყო“.

მართალია ჭიჭინაძე დაფრთხა, ვერ გაბედა ილიას გაფრთხილება და ვინ იცის, რა სულიერი ტანჯვა აიკიდა მთელი სიცოცხლე ამ გულდედლობის გამო, მაგრამ ჩვენ ხომ რა საუბრებიც, რა ჩურჩულიც მაშინ იყო, ყველაფერი მოგონებების და ჩანაწერების სახით არ შემოგვრჩენია. ერთი ღვთისნიერი ადამიანი როგორ არ გამოჩნდებოდა ქვეყანაზე, ილიას ყურამდე რომ მიეტანა თუ რას უპირებდნენ. ჩანს გამოჩნდა კიდეც და ამის დასტურია ზაალ ჭავჭავაძის ის სიტყვები, რაც ზემოთ წაიკითხეთ. რატომ ივნისში, ივლისში არ ფრთხილობდა ილია ასე? მის სიფრთხილეს ხაზი სწორედ აგვისტოში ესმება, როცა ზაქარია ცემეს, და ეს მოხდა მგოსნის მკვლელობამდე 3 კვირით ადრე, სოციალისტი მუშებისთვის გა-

დაწყვეტილება უკვე ცნობილი იყო და სითამამესაც ეს გადაწყვეტილება ჰმატებდათ.

●

ყოველივე თქმულის მიუხედავად, 27 აგვისტოს დილას ილიამ მოურავს მკაცრად უთხრა, სტრაჟნიკები არ მჭირდებაო. სხვაა სიფრთხილე და სხვაა თავდაცვის დემონსტრირება...

წინა ღამით ქრისტემ იცოდა რაც მოხდებოდა, მაგრამ ქრისტე იყო და ისე მოიქცა, მოკვდავის ლოგიკა მის ფიქრს რომ ვერ ვასნ-ვდება.

ესეც ილია იყო. სხვაგვარად როგორ შეეძლო. ან შიში[illegible]და ეცხოვრა და სკუთარი თავის არაფრობის შეგრძნება გასჩეოდა სასტიკი ადამიანების ბრბოში, ან დარჩენილიყო იმ დევ-გმირად, რომლისაც ამ კაცუნებს სიცოცხლეშიც ეშინოდათ და ეშინოდათ მისი სიკვდილის შემდეგაც. რომლის სიდიადესაც გრძნობდნენ (სხვათა შორის ეს კაცუნებიც) მის სიცოცხლეშიც და გრძნობდნენ მისი სიკვდილის შემდეგაც.

თვით ილიას დაუძინებელ მტერს, ფილიპე მახარაძეს 6 წლის შემდეგ წასცდება-„ილია ჭავჭავაძე დამნაშავე არ არის იმაში, რომ მისმა თანამოაზრეებმა ვერ გამოიჩინეს **ხასიათის სიმტკიცე** და შეგვიძლია ვთქვათ პირდაპირ, **ისეთი რაინდული გამბედაობა, რომლებითაც იგი უკანასკნელ წუთამდე აღჭურვილი იყო.**“-ო.

აქ ფილიპეს მოუწია არა მხოლოდ აღიარება ილიას, როგორც მტკიცე ხასიათის და რაინდულად გამბედავი კაცისა და „მდევი მწერლის“ (მისი სიტყვებია) არამედ გაყიდა უნებლიედ წაცდენილმა სიტყვამაც – „რაინდული გამბედაობა, რომლებითაც იგი უკანასკნელ წუთამდე აღჭურვილი იყო“-ო. მართლაც რამდენიმე დღეში სულ დეტალებში შეიტყობს ილიას უკანასკნელი წუთების შესახებ ეს საუკუნის ბოროტმოსაქმეთა საჩინო წარმომადგენელი.

ახლა კი 27 აგვისტოა და ილია თბილისისკენ გამოემართა. მეეტლის კოფოზე კვლავ თედო ლაბაური ზის. წინა დღეებში მოსამსახურეებმა რომ გაფიცვა მოაწყვეს, გაფუჭებულ ხორცს გვაჭმევენო. თედო ლაბაური ამ გაფიცულთა შორის იყო. ილიას ყველას დათხოვნა უნდოდა, რადგან ხორცი გაფუჭებული კი არა, ახალი აღმოჩნდა, არაო, – ხორცის სიცუდეს არა, სიმცირეს ვჩიოდითო

– მერე ასე განმარტეს თავისი ბუნტის მიზეზი. ილიამ ყველას აპატია, მათ შორის ამ თედოსაც და ახლა ისევ ილიას ეტლში შებმულ სამ თეთრ ცხენს მიერეკება. ეტლში სხედან ილია, ოლღა და არტურ ლაისტი. ბარემ ისიც ვთქვათ, მკვლელობამდე სამი დღით ადრე, ანუ 27 აგვისტოს, თედო ჯერ კიდევ არ არის შეთქმულთა წევრი.

ილიამ მოურავს დაუბარა, – საღამოს ისევ საგურამოში დავბრუნდებიო. ეს დანაბარები დავიმახსოვროთ. ამ დღეებში ნათქვამ ყველა სიტყვას დიდი მნიშვნელობა მიენიჭება თვით ადამიანების ბედის გადაწყვეტის თვალსაზრისითაც კი. არტურ ლაისტი, ცხადია, უკანასკნელი მგზავრობის ამბავს ილიასთან ერთად შთამომავლობას დაუტოვებს:

„27 აგვისტოს, დილით, ილია, მისი მეუღლე ოლღა და მე ეტლით თბილისში წამოვედით. ღრუბლიანი დილა იყო, ჩვენი წამოსვლის შემდეგ დიდი წვიმაც წამოვიდა. ეტლს ჩარდახი არ ჰქონდა, ყველანი დავსველდით და წვიმამ ძალიან შეგვაწუხა.

იმ ადგილას, სადაც სამი დღის შემდეგ საშინელი მკვლელობა მოხდა, გზის ორივე მხარეს თხელი ტყეა. იქ რომ გამოვიარეთ, ტანში ურუანტელმა დამიარა, თუმცა მაშინ ფიქრადაც არ მქონია, რაიმე უბედურება: ილია ხომ ჩვენთან იყო, როგორ წარმოვიდგენდი, რომ მოხუც პოეტს, ქართველი ხალხის სიამაყეს, ხელს შეახებდა ვინმე? ილია ჩემ პირდაპირ იჯდა ჩაფიქრებული. ერთხელ თუ ორჯერ თქვა, გაციების მეშინიაო. ოლღას ფერი არ ედო, დაღონებული იყო. საზოგადოდ, უკანასკნელად მოწყენილად ვიმოგზაურეთ. როცა რკინიგზის ხიდთან მივედით, ამინდი გამოკეთდა და ჩვენც უკეთეს გუნებაზე დავდექით.

დიღმის დუქანში შევისვენეთ, რომ რამე გვეჭამა. ილია აქ ცოტათი გამხიარულდა და ლაპარაკის ხალისიც მიეცა.გამოჩნდა მზე და გაანათა ნაცნობი არემარე, სადაც ხშირად ერთად გვივლია. სახელდახელო სუფრას გახალისებულები მივუსხედით და წარსულიც მოვიგონეთ.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი, გულითადი საუბარი. იმ დროს, როცა ილია იღიმებოდა, მეგონა, მისი გულიც მისცემოდა ლხენას, თუმცა ძველებური გამბედაობით აღარა.

ერთი საათის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს დავშორდით ოლღას ქუჩაზე.

– ვნახავთ ერთმანეთს! – მითხრა ილიამ.

ადგილს ვერ მოვშორდი, რატომღაც დიდხანს გავყურებდი მიმავალს, ვიდრე ეტლი მთლად არ მიიმალა ვერის დაღმართზე... განა წინასწარ გრძნობდა ჩემი გული, რომ ამის შემდეგ ველარ ვნახავდი მას, ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა!

მშვიდობით, მშვიდობით, ძვირფასო, დაუვიწყარო მეგობარო!.."

ილია იმ საღამოს საგურამოში არ დაბრუნებულა. 27, 28 და 29 აგვისტო თბილისში გაატარა. სტუმრად ეწვია მარშალ ალექსანდრე ორბელიანს, მეუღლეს მარიამ ორბელიანისა. მიუხედავად იმისა, რომ მარიამის ძმა კოლა ორბელიანი ბანკობიადის დროს ილიას მოწინააღმდეგე იყო და ხშირად უკადრებელსაც იღებდა თავზე, ილიას მარიამ ორბელიანი განსაკუთრებით უყვარდა, ასევე – მისი მეუღლე. კოლა არც თავის ოჯახს არგოდა და თავის დროზე მამამისი, ილიას დიდი მეგობარი ვახტანგ ორბელიანიც გამწარებული ჰყავდა. ვახტანგის სიძისა და ქალიშვილის ოჯახში ილია სულიერად ისვენებდა. მარიამი მასზედ ფანატიკურად იყო შეყვარებული. ცოლ–ქმარმა რომ გაიგეს, ილია კვლავ საგურამოში გაბრუნებას აპირებდა, არათუ ისინი, ოჯახში ყველა ახალგაზრდა სთხოვდა, როგორც ალ. ყიფშიძე გადმოგვცემს, – ხელი აეღო განზრახვაზე. ამ საშიშ დროში გამგზავრებას მორიდებოდა. წარმოიდგინეთ, როგორლა შეეევედრებოდა ოლღა, – არ წასულიყვნენ საგურამოში.

მარიამ ორბელიანი იგონებს: „ილიამ საგურამოში საბედისწერო მოგზაურობის რამოდენიმე დღის წინ საღამო ჩვენთან გაატარა. ძლიერ დაღვრემილი იყო. საგურამოში ცოლის წაყვანა არ უნდოდა, მაგრამ მან, შესაძლებელია, პირველად თავის სიცოცხლეში, ისეთი დაჟინებით მოითხოვა თავისი სურვილის შესრულება, რომ ილია მოლბა და დათანხმდა. მათი გამგზავრების წინა დღეს, თითქოს რაღაცა წინათგრძნობის ძალით, მივედი მათთან გამოსათხოვებლად თბილისში, ანდრიას ქუჩაზე მდგარ ილიას საკუთარ სახლში. სასტუმრო ოთახში ოლღა თადეოზის ასული დამხვდა, ზეზე იდგა, აკანკალებული, აჩქარებით ქაღალდსა შლიდა (ეს მისი ჩვეულებრივი გასართობი იყო). როცა შევედი, მომესალმა და განაგრძო თავისი საქმე, თან თვალცრემლიანმა მითხრა: „რომ იცოდეთ, რა ცუდი ქაღალდი ამოდის, საშინელ ამბებს მიწინასწარმეტყველებს! ვეხვეწები ილიას, გადასდოს წასვლა, რადგან ვიცი, უბედურება მოხდება, მაგრამ ის ყურსაც არ მიგდებს!.."

საწყალ ქალს ქაღალდის სრული რწმენა ჰქონდა, კვნესოდა, ტიროდა, ვეცადე დამემშვიდებინა, მაგრამ ამაოდ!

ილია იჯდა სანერ მაგიდასთან თავის სამუშაო ოთახში, რომლის კარი ოდნავ გაღებული იყო. დამინახა და ჩემსკენ გამოეშურა. ველაპარაკე მისი საბრალო მეუღლის შიშზე, მინდოდა გადამედებინებია მოგზაურობა, თუნდაც მარტო მისი გულისთვის, მაგრამ ამაოდ".

ამაო აღმოჩნდა ილია წინამძღვრიშვილის რჩევაც, ოლღას წინათგრძნობა კი ნამდვილი.

როცა იქ, თბილისში, ილია ორბელიანებს სტუმრობს, სწორედ იმ დღეს, გურიის სოფელ ბახვში, ერთი წყაროს მიხედვით ვინმე ბერეჟიანის, ხოლო მორე წყაროს ცნობით ვინმე მახარაძის (ფილიპეს ნათესავის) ბინაში სოციალ-დემოკრატები შეკრებილან და ილია ჭავჭავაძის მოკვლის ორგანიზაციულ საკითხებზე მსჯელობენ.

●

სოფელ ბახვში ფერშალ პროკოფი ბერეჟიანის ბინაში 28 აგვისტოს თავი მოიყარეს გურიის სოც-დემოკრატებმა (ბოლშევიკებმა). თათბირში მონაწილეობდა 16-მდე კაცი. ერმილე და კალენიკე დოლიძეები, დიომიდე ბასილაიშვილი, კორნელი და ნიკო შავიშვილები, ილარიონ უჯმაჯურიძე, მარკოზ ჟღენტი, რაუდენ ვადაჭკორია (მეწაღე), მელქისედეკ მდინარაძე, ერმილე ანდღულაძე და ლადიკო ბერეჟიანი, აგრეთვე ორი უცნობი პირი (უცნობი ჩვენების მიმცემისათვის), რომელნიც ბათუმიდან იყვნენ ბახვში ჩასულნი.

იყო ერთი შავგვრემანი, ულვაშებიანი, წვერგაპარსული, დაბალი ტანისა, თავზე ჭაღარაშერეული თმით. მეორე – მაღალ–მაღალი ტანისა, გამხდარი, ჟღალთმიანი, წვერებიანი, წვეტიანი წვერით, თავზე უკან გადავარცხნილი თმებით, რაღაცნაირად მსგავსი ერმილე დოლიძისა. სწორედ ეს მეორე ბათუმელი სტუმარი გახლდათ კრების თავმჯდომარე. ასე დაწვრილებით ამ შეხვედრის შესახებ ყვება ვინმე გრეკოვი, რომელიც, როგორც სოციალ-დემოკრატი და წითელრაზმელი ესწრებოდა კრებას. ეს გრეკოვი, გაქართველებული უკრაინელი ყაზახი, სოფ. ნაგომარში მცხოვრები, 1907 წლის შემოდგომაზე დაუპატიმრებიათ ვინმე ალექსი გიორგაძის გაძარცვის გამო. პატიმარი გრეკოვი ციხეში

აღიარებს იმ ფაქტს, რომ იყო დამსწრე კრებისა, რომელზედაც ილიას მკვლელობაზე იმსჯელეს. ჩამოსული ამხანაგებისგან მიიღეს ცნობად, რომ ბოლშევიკების კომიტეტმა გადაწყვიტა ჭავჭავაძის მკვლელობა და მათ მკვლელები უნდა შეერჩიათ. გრეკოვი, ალბათ, ფიქრობდა, ამ ძვირადღირებული ინფორმაციის გამო გამოძიება სასჯელს შეუმსუბუქებდა და ასეც მოხდა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა ისიც მოკლეს და სახლ-კარიც გადაუბუგეს. ბახვის კრების თემა დაწვრილებით აქვს განხილული პროფესორ გურამ ყორანაშვილს წიგნში „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო". გთავაზობთ ერთ ამონარიდს: „კრებაზე „თავდაპირველად თავმჯდომარემ შეკრებილთ აუწყა გურიაში შექმნილი ვითარების შესახებ, შემდეგ განაცხადა, რომ თავადი ილია ჭავჭავაძე უნდა. მოკვდინებულ იქნას. ერთ-ერთი იქ მყოფთაგანის შეკითხვაზე თუ რატომ უნდა მოიკლას თავადი, თავმჯდომარემ უპასუხა: **„მან ჩვენ გვიღალატა!"** ამასთანავე თავმჯდომარის ახსნა-განმარტებიდან შეიძლებოდა გამოტანა დასკვნისა, რომ თავად ჭავჭავაძის მოკვლა ადრევე იყო გადაწყვეტილი **„ცენტრალური კომიტეტის"** მიერ და აქ კი კრებას მოეხსენა მხოლოდ როგორც უკვე მიღებული დადგენილება.

თავმჯდომარის ასეთი განცხადების შემდეგ რაჟდენ ვადაჭკორიამ, ლადიკო ბერეზლიანმა (ბერეჟიანმა, გ.ყ.) და ილარიონ უჯმაჯურიძემ კრებას წარუდგინეს ექვსი, განაჩენის სისრულეში მოსაყვანად დანიშნული ტერორისტი: ბასილაიშვილი, ერმილე და კალენიკე დოლიძეები, მელქისედეკ მუგენარიძე (მდინარაძე, გ.ყ.), ნიკო და კორნელი შავიშვილები (ეს უკანასკნელი ასისთავი იყო სოფელ ბახვში) და ვიღაც ლოდიკო (ალბათ ლადიკო, გ.ყ.) გაგუა. კენჭისყრით თავად ჭავჭავაძეზე განაჩენის აღსრულება ერგოთ ერმილე და კალენიკე დოლიძეებს და ბასილაიშვილს, რის შემდეგაც კრება დაიშალა. დამნაშავე თავყრილობის ყველა მონაწილე ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ამათგან ერმილე დოლიძე შეიარაღებული იყო სმითისა და ვესონის სისტემის რევოლვერით, ხოლო კალენიკე დოლიძე და ბასილაიშვილი რევოლვერებითა და ბერდანკებით; ამასთანავე უკანასკნელის ხელთ არსებული ბერდანკა ეკუთვნოდა ვიღაც ვანესა მახარაძეს. თვითონ პატრონი სახლისა, რომელშიც ეს თავყრილობა გაიმართა, ფერშალი ბერეზლიანი (ბერეჟიანი, გ.ყ.) კრებას არ ესწრებოდა, რადგან ავადმყოფი იწვა სახლის ერთ-ერთ დაშორებულ ოთახში.

განაჩენის აღმსრულებლები იმავე დღეს გაემგზავრნენ ბახვიდან. სამი დღის მერე კი დაირხა ხმები თავად ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ". ამრიგად, თუ ვიგულისხმებთ, რომ ჩვენების მიმცემმა მკვლელობის ამბავი შეიტყო მეორე დღეს – 31 აგვისტოს, აქედან გამომდინარე, ბახვის კრება თითქოს შემდგარა 28 აგვისტოს (ცხადია ძვ. სტილით)."

29 აგვისტო

29 აგვისტოს მოვლენების აღდგენა დაწვრილებით არის შესაძლებელი. ილია ამ დღეს საგურამოში აგზავნის თავის მსახურს, მის ხელში გაზრდილ და მის უაღრესად ერთგულ იაკობ თარაშვილს. იაკობმა თბილისში უნდა ჩამოიყვანოს მეეზოვე თან ზაალ ჭავჭავაძეს გადასცა, ასევე მოურავი ჯაში და მოსამსახურენი გააფრთხილა, ხვალ 30 აგვისტოს, ხუთშაბათს, სადილობის ჟამს ჩამოვა ილიაო. ეს ამბავი ყველამ შეიტყო, მათ შორის გიგოლა მოძღვრიშვილმა, რომელიც ილიას მამულში მუშად მუშაობდა. ამ გიგოლა მოძღვრიშვილზე ილიას ამაგი ჰქონდა. ორი დესეტინა მინა და 300 მანეთი აჩუქა სულ ცოტა ხნის წინათ. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს მოძღვრიშვილი შეთქმულთა წევრი ყოფილა. იმავე 29 აგვისტოს საღამოს ის მიდის მოურავ ჯაშთან და სთხოვს ფულს, – ძმამ ქალი უნდა დანიშნოს, სოფ. ბიწმენდში მივდივარ და დამითხოვეო. ჯაშს მიუცია ორი ხუთმანეთიანი და თან გაუფრთხილებია, აქ მოსვლა არ დაგვიანებოდა.

აი, ამ მოძღვრიშვილმა შეატყობინა მკვლელებს ილიას ჩამოსვლის სავარაუდო დრო. ბიწმენდში თუ წავიდა ძმის საცოლის დასანიშნად, რასაც მერე ამტკიცებდა და რამდენიმე მეზობელი მოწმედაც დაიყენა, საპატარძლოს სახლამდე როგორ ვერ მიაღწია? აი, რა ჩვენება მისცა მისი სარძლოს ძმამ, ვინმე მელიშვილმა: „ორი კაცი გამოეგზავნა მოძღვრიშვილს ჩემთან ჩემი დის დასანიშნავად. მამა ჩემი შინ არ იყო. მე უიმისოდ არ შემეძლო საქმის გარიგება და უარი შეუთვალე. მე გიგოლა მოძღვრიშვილი არ მინახავს და შეიძლება იმ დუქანში დარჩა, საიდანაც მე კაცები გამომიგზავნეს". ყველაფერი შეიძლება, ისიც, რომ რძლის დასანიშნად რატომღაც სხვები გაგზავნო და თავად დუქანში ქეიფი გააგრძელო, მაგრამ უარი რომ მიიღეს, მეორე დღემდე იმავ დუქანში რას აღნიშნავდა ეს მოძღვრიშვილი?

სასამართლოს უფრო მყარი საბუთებიც ექნებოდა, რაკი მოძღვრიშვილის ალიბი არ გაითვალისწინა. (სამწუხაროდ ის მასალები საბჭოთა ეპოქაში ფაქტობრივად გაანახევრეს და გააყალბეს).

ერთი სიტყვით, იმ საღამოსვე მკვლელებმა შეიტყვეს, რომ 30 აგვისტოს, ნაშუადღევს ილია საგურამოს მოდიოდა.

იმ ღამეს თბილისში ნახავენ თედო ლაბაურს, ამოწყვეტის მუქარით დაითანხმებენ, ხვალ ეტლი იქ შეაჩეროს, სადაც მოუნიშნავენ, ხოლო პოლიციაში მკვლელობის შემდეგ განაცხადოს, რომ თავს შავგვრემანი ხალხი დაესხა, რომელნიც სომხებს ჰგავდნენ...

როგორც ჩანს, 29 აგვისტოს საგურამოში ჩამოდის ვიღაც იმერელი, ვანო ინაშვილი ახალსოფლელია, გიგლა ბერბიჭაშვილი ახატნელი. ეს სოფლები საგურამოდან შორს არ არის. სასწრაფოდ მოინახულეს ერთურთი. ყოველ შემთხვევაში, იმავ 29 აგვისტოს ღამით ისინი იოლად ნახულობენ ძებნაში მყოფ პავლე ფშავლიშვილს, აუწყებენ, რომ ხვალ ილია ჭავჭავაძე უნდა მოვკლათო. ფშავლიშვილს, როგორც მერე თავად განაცხადებს, ჯერ თავი შორს დაუჭერია, მაგრამ როდესაც ინაშვილი და ბერბიჭაშვილი დამემუქრნენ, – მოგკლავთო, დავთანხმდიო. ამის შემდეგ ვიღაც იმერელი, ბერბიჭაშვილი, ინაშვილი და ფშავლიშვილი ახლა სოფ. წიწამურში, ვინმე გიორგი ხიზანიშვილს მიადგებიან, რომელსაც განუცხადეს: „სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა დაადგინა, მოიკლას ილია ჭავჭავაძე, იმისათვის რომ იგი გლეხებს ავიწროებსო. წიწამურში მათ დაჰყვეს მთელი ღამე". (იხ. „დროება" 1908წ. №11, №12)

მაშ ასე, სოფ. წიწამურში გ. ხიზანიშვილთან ათენებენ ღამეს ვიღაც იმერელი, გიგოლა ბერბიჭაშვილი, ვანო ინაშვილი, პავლე ფშავლიშვილი. მოძღვრიშვილის როლი იმით ამოიწურა, რომ მკვლელებს ილიას მოსვლის დრო შეატყობინა.

ახლა ის ვიკითხოთ, სად არიან გურიიდან გამოგზავნილი მკვლელები?

ბახვის კრებამ ხომ მკვლელთა ვინაობა და რაოდენობა განსაზღვრა? ისინი ხომ ბახვიდან წამოვიდნენ ამ სატანური საქმის ჩასადენად? ფაქტია, პატიმარ გრეკოვის ჩვენებაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ისე დაწვრილებით აღწერს იგი ბახვის კრების პერიპეტიებს. სოციალისტების მიერ გამართულ ამ კრების უტყუარობაში ეჭვი მხოლოდ 1941 წელს, ბერბიჭაშვილის პროცესზე

საბჭოთა სასამართლომ შეიტანა, ცოტა ადრე კი პ. გუგუშვილმა თავის უკულმართ ნაშრომში.

აბა რას იზამდნენ, ხომ არ დაადასტურებდნენ, რომ პარტიამ კრება გამართა ილიას მოკვდიანებასთან დაკავშირებითო. ადგნენ და, მარტივად, საერთოდ უარყვეს ბახვის კრების ჩატარების ფაქტი. საფუძვლად კი შემდეგი გარემოება დაუდეს ამ უარყოფას. გრეკოვმა ერთხელ მისცა ჩვენება, სადაც აღწერა ყოველივე ის რაც ზემოთ მოგახსენეთ, ნახევარი თვის შემდეგ, ისევ მისცა ჩვენება და ყველაფერი ზედმიწევნითი სიზუსტით გაიმეორა. მაგრამ როცა მის ოჯახს მიადგნენ გარეთ დარჩენილი ტერორისტები და გრეკოვის მამის გასაგონად ალაპარაკდნენ – აი სახლი დაიწობა, აი მოხუცი (მამა გრეკოვისა) მოკვდება და იმ გრეკოვსაც ზედ მივაყოლებთო, ამის შემდეგ მესამე დაკითხვაზე შეშინებული პატიმარი განაცხადებს, რაც აქამდე ვილაპარაკე, ყველაფერი ტყუილი იყოო. ტყუილი ყოფილაო, – დაასკვნა გუგუშვილმა, ტყუილი ყოფილაო, დაადასტურა საბჭოთა სასამართლომ და საბჭოთა ისტორიოგრაფიამ.

ერთ-ერთი ტერორისტის ერმილე დოლიძის სახლში რომ ილიას ჩემოდანი, – მისივე თეთრეულით, აღმოჩნდა, ჯერ კიდევ გრეკოვის დაპატიმრებამდე, რაც იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნდა, ამაზე სდუმან. უბრალოდ გაებუტნენ მათთვის არასასურველ ინფორმაციას.

მაგრამ საიდან მოხვდა დოლიძის ოჯახში ილიას ჩემოდანი? აქ წიწამურში ხომ სულ სხვა მკვლელები ათენებენ ღამეს მსხვერპლის მოლოდინში? ფაქტია, ბახვიდან წამოსულებს ილიას მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. სავარაუდოა, რომ 29 აგვისტოს ღამით ისინი თბილისში. იმყოფებიან მკვლელობის მთავარ ორგანიზატორებთან და მათგან ახალ დავალებას ღებულობენ.

საქმე ის არის, რომ ორგანიზატორებს საშინელი ჩანაფიქრი აქვთ, მათ ქართველებს არა მხოლოდ უგვირგვინო მეფე უნდა მოუკლან, არამედ მორალურადაც უნდა გაანადგურონ ილია.

ის უნდა მოჰკლან არა გურიიდან მოწვეულმა წითელრაზმელმა ტერორისტებმა, რაც პოლიტიკური მკვლელობა იქნებოდა, არამედ საგურამოელმა გლეხებმა.

გლეხები მას მოჰკლავენ როგორც მჩაგვრელ მებატონეს.

იმავდროულად ქალაქში გაიძარცვება მისი ბინა, როგორც „მდიდარი ბობოლასი". ანუ ქალაქიცა და სოფელიც ერთნაირად

ერჩის ილიას. რომ მას იმეტებენ უპოვარი, გამწარებული ადამიანები, როგორც თავადსა და ბურჟუას.

რაკი ილიას მკვლელი გლეხები საგურამოში ვერ მოძებნეს, მაგრამ თითო წითელრაზმელი ტერორისტი ყველგან ჰყავდათ, გლეხების სახელით ეს საქმე მიანდეს სოციალ-დემოკრატს, ახალსოფლის ყოფილ მამასახლისს და შემდეგ ტერორისტ ვანო ინაშვილს, სოციალ-დემოკრატსა და ტერორისტს ახატნელ გიგლა ბერბიჭაშვილს, ყაჩაღად გავარდნილ და წითელრაზმელად ქცეულ პავლე ფშავლიშვილს, ყაჩაღთუფროს ლადო ფეიქრიშვილს, წინამურელ გიორგი ხიზანიშვილს, ამასაც ცოლ-შვილის ამოწყვეტის მუქარით და კომიტეტიდან მოვლენილ ვინმე იმერელ ბიჭს. ამათ კოჰორტაში ჩართეს, ცხადია, ამოწყვეტის მუქარით, მეეტლე თედო ლაბაური და უმადურობის ნიმუში გიგოლა მოძღვრიშვილი. სხვათა შორის, მოძღვრიშვილებთან აღმოჩნდება ილიას სახლიდან ადრე მოპარული თოფი, ხოლო პავლე ფშავლიშვილი(აფციაური) იმ რევოლვერით არის შეიარაღებული, რომელიც მოურავ მემანიშვილის მოკვლისას წაიღო.

გურიიდან გამოძახებული მკვლელები უსაქმოდ რომ არ დარჩენილიყვნენ, მათ მეორე დღისთვის თბილისში ილიას სახლის გაძარცვა დაევალათ. წილი ნაყარია. თენდება 30 აგვისტო. იმ დილით წინამურის თავზე მზე არ ამოცურებულა. ტაროსიც კი აგვისტოს 30-ში ლიზღი და უჟმური იყო.

30 აგვისტო

გათენდა თუ არა, სოფელ წინამურიდან, გიორგი ხიზანიშვილის სახლიდან გავიდა ხუთი ცხენოსანი.

1) „იმერელი", გამოგზავნილი იყო სოციალ-დემოკრატთა კომიტეტის სახელით. მას არავინ იცნობდა გვარით და სახელით, ყველას წარუდგა როგორც იმერელი.

2) ივანე ინაშვილი, სოფ. ახალსოფლის და საგურამოს თემის ნამამასახლისარი, სოციალ-დემოკრატი, წითელრაზმელი, სოფ. ახალსოფლიდან.

3) პავლე ფშავლიშვილი ილიას მამულის ყოფილი დარაჯი, მოურავ მოსე მემარნიშვილისა და მისი მეუღლის მკვლელი, გაყაჩაღებული წითელრაზმელი, სოფ. ახალსოფლიდან.

4) გიორგი ხიზანიშვილი, ფშავლიშვილის ნათესავი, სოფ. წინამურიდან.

5) გიგლა ბერბიჭაშვილი, სოც-დემოკრატი, სოფ. ახატნიდან.

აი ეს ხუთი მკვლელი დილიდანვე ჩასაფრდა წინამურის ტყეში, იმ გზის გასწვრივ, სადაც ილიას ეტლს უნდა გამოევლო.

ჩასაფრების ორგანიზება გააკეთა ივანე ინაშვილმა. ის იძლეოდა ბრძანებებს, ვინ სად უნდა დამდგარიყო. გიორგი ხიზანიშვილი და პავლე ფშავლიშვილი გაუშვა მაღლა ტყეში, ერთი საგურამოს, მეორე მცხეთის მხარეს. მათ დაბლა ჩასაფრებულთათვის ეტლის დანახვისას ნიშანი უნდა მიეცათ სტვენით.

●

თბილისიდან საგურამოსკენ ილია დაახლოებით 10–დან 11 საათამდე გამოემგზავრა. ოლღა იმ დილითაც ეხვეწა, საშიშია, ნუ წავალთო, მაგრამ ილიამ გადაწყვეტილება აღარ შეცვალა. ეტლში ჩადეს პატარა ჩემოდანი, ღვინით სავსე პატარა ტიკჭორა, ორი საზამთრო. ეტლში სხედან ილია და ოლღა, კოფოზე მსახური იაკობ თარაშვილი(ეს კაცი სასამართლო მასალებში მოხსენიებულია როგორც ბითარაშვილი, პრესაში კი როგორც თარაშვილი) და მეეტლე თედო ლაბაური.

დიღმის გზაზე საშინელი ქარი ქროდა. ოლღას ქუდი წარსტაცა და შორს წაიღო. ოლღამ ქარისაგან დასაცავად თავშლით დაიფარა თავი.

ოლღას მოგონებიდან – „შუადღისას მივედით წინამურთან. აქ გზის პირათ იყო გრილი წყარო, რომელიც ილიას ძალიან უყვარდა. ისე არ გავივლიდით, რომ იქ არ ჩამოვსულიყავით და არ შეგვესვენა. ამ საბედისწერო დღესაც ჩამოვხტით. ჩვენ წყალი დავლიეთ. ილია გადიოდ–გამოდიოდა მწვანე მოლზე. მე ისევ ეტლზე ამოველ. მეეტლემ ცხენებს წყალი დაალევინა, შეაბა კიდეც, ხოლო ილია კი აღელვებული, გაფითრებული, ისევ ბოლთასა სცემდა. ყველა ვგრძნობდით, რომ რაღაც დაუტეველ ბოღმას თუ გრძნობას შეეჭიდა ილია და ვერავინ ვუბედავდით მისი დუმილი დაგვერღვია. ორმოც წუთზე მეტი ილია გარინდებული გადიოდ–გამოდიოდა სახედატანჯული, კარგა ხნის მერე ამოვიდა და ბიჭს უბრძანა გარეკეო“.

რა იყო ეს 40 წუთიანი ბოლთის ცემა და მღელვარება? ნუთუ, წინაუგრძნო გულმა, ნუთუ, გონების თვალს წარმოუდგა სულ რამდენიმე მეტრში ჩასაფრებულ ორფეხა ცხოველთა სისხლიანი ლაშები? ნუთუ, ქარის ზუზუნს ამათი კბილთა ხრჭიალიც შეერწყა და ზედ აყრიდა აქანავებულ ფოთლოვან ტყეს?

●

თერთმეტის ნახევარზე საგურამოდან გამოვიდა ურიადნიკი ემეცი, რომელსაც თან ახლდა ორი სტრაჟნიკი. წინა საღამოს ურიადნიკს მოურავმა ჯაშმა სთხოვა, ხვალ დილით სტრაჟნიკები გამაყოლე, წიწამურში მივდივარ ღალის ასაღებადო. ურიადნიკ ემეცს მცხეთაში საქმე ჰქონია და ესეც სტრაჟნიკებთან ერთად წამოსულა. ჯაში მოგვიანებით გამოვიდა მამულიდან და სტრაჟნიკებს გზაში წამოეწია. მალე ილიას ეტლიც უნდა გამოჩნდეს, სადილისთვის საგურამოში ამოსვლა დაიბარაო, – უთქვამს გზაში მოურავს ურიადნიკისათვის.

ან ამათ ეჩქარათ, ან ილია დაყოვნებულიყო სულ რაღაც 15 წუთი და დიდი ალბათობით, შესაძლოა, საუკუნის ეს ბოროტება აღარ შემდგარიყო. ზოგჯერ შემთხვევითობასაც შეუძლია ისტორიის ბორბლის წაღმა ან უკუღმა დატრიალება.

●

როდესაც ეტლი დაიძრა და საგურამოს გზაზე ეტლში შებმული სამი თეთრი ცხენი გამოჩნდა, ფშავლიშვილმა სიგნალი მისცა, დაუსტვინა. არ გასულა ხუთი წუთი, ტყიდან გამოცვივდნენ მკვლელები და იგრიალა თოფმა.

„რას სჩადიხართ“ – ეს იყო ილიას უკანასკნელი სიტყვები. რევოლვერის ამოღებაც მოესწრო, მაგრამ ტყვიას პირდაპირ გული გაეხვრიტა და ილია გულაღმა გადმოეშვა ეტლიდან.

მალევე ჩაცხრა თოფების ბათქაბუთქი. ქარი ზუზუნებდა წინამურის ტყეში, ქარი ყმუოდა, ქარი ღმუოდა, ქარიღა გოდებდა და თითქოს ზეციდან ჩამოჰქონდა ჯერაც სტრიქონებად არჩამოსხმული ვაება:

„გაიხარენით, ჩვენი ქვეყნის დამაწყევარნო,
გაიხარენით, ბიჭ-ბუჭებო, ნაძირალებო,
გაიხარენით, ხალხის მტრებო, ხულიგანებო:
მოჰკლეს ილია – საქართველოს ჭირისუფალი!

იცინეთ, მგლებო, კრავის ტყავით მოარულებო,
იცინეთ მხეცნო, კაცის სახის მატარებლებო,
იცინეთ, ბრიყვნო, დედის–ძუძუს უარმყოფლებო:
მოჰკლეს ილია, სამშობლოის მაღმერთებელი!

ტაში დაჰკარით, ითამაშეთ, ჩამოუარეთ,
გაინაწილეთ მისი ქურქი, მისი ქონება...
რაღას უყურებთ,
უწმინდურნო!
გაცივებულ გვამს
არც მკლავი უჭრის,
აღარც აზრი
და არც გონება!

მაშ, გაიხარეთ, ხომ გასთელეთ მურდალის ფეხით
მრავალ ტანჯულის საქართველოს თავმოყვარება?!
ხომ შეაგინეთ, ხომ წაბილწეთ, ხომ დაამცირეთ
ჩვენის მწერლობის დედა ბოძი და უკვდავება?!

სხვა რაღა გინდათ?! იცინეთ-მეთქი!
რკინის შანთებით დაგვისერეთ სული და გული...
ახია ჩვენზე – მცონარებზე! ერი ბედკრული
ღირსია მეტის წამებისა,
გათახსირების!

იქნებ ოდესმე მოიკრიბოს თვისი ძალ-ღონე
და შეებრძოლოს დამჩაგვრელებს,
იუდას კერძებს!
დედავ ქართვლისა!
ზიზღით დაჰგმე შენ შენი შვილი,
ჩოხის მაგიერ დიაცურად კაბა ჩააცვი,
თუ-კი იმდენად დაძაბუნდა
და დავაგლახდა,
რომ კუჭის გარდა
აღარაფერს
აღარ დაეძებს!!“
(ია ეკალაძე)

ზუსტი სურათი ასეთი იყო. მიუახლოვდა თუ არა ეტლი დათქმულ ადგილს, სადაც მკვლელები იყვნენ ჩასაფრებულნი, თედო ლაბაურმა, როგორც წინასწარ იყო მკვლელთაგან გაფრთხილებული, ეტლი შეაჩერა. გამოცვივდნენ ტყიდან „იმერელი“, ბერბიჭაშვილი, ინაშვილი, ფშავლიშვილი(იგივე აფციაური). პირველი ტყვია

ილიას ესროლეს. მგოსანმა იარაღის ამოღება მოასწრო და ერთი შესძახა – „რას სჩადიხართ". ტყვიამ შიგ გულში გაუარა და სამუდამოდ დახუჭა თვალი. შუბლი თოფის კონდახის ორჯერ დარტყმით ჩაუმტვრიეს.

ბერბიჭაშვილმა თოფის კონდახი ურტყა თავში ოლღას და იგი თავგაჩეხილი ეტლიდან გზის პირს გადავარდა. სუფრაჯი იაკობ თარაშვილი კოფოდან გადმოხტა, მკვლელებს რამდენჯერმე ესროლა, ბერბიჭაშვილი ფეხში დაჭრა და არაგვის მხარეს ტყეში გაიქცა, მაგრამ მკვლელები გაეკიდნენ და იაკობი ტყეში ჩაცხრილეს. 13 ჭრილობა ჰქონდა. 2 ტყვიით და 11 საფანტის თოფით. როგორც შემდეგ ექსპერტი იაშვილი ივარაუდებს, მისთვის იმავე თოფიდან უსვრიათ ტყვია, რომლითაც ილია მოკლეს...

კოფოზე ხელუხლებლად და არხეინად იჯდა მეეტლე თედო ლაბაური. მკვლელები თარაშვილის ჩაცხრილვის შემდეგ მობრუნდნენ. გაძარცვეს ეტლი, ჯიბეები ამოუქექეს უსულო ილიას, გაძარცვეს ოლღა, ჩამოგლიჯეს მედალიონი, რომელშიც ილიას სხვადასხვა დროის სამი სურათი იდო. ფეხსაცმელები გახადეს სუფრაჯ იაკობ თარაშვილსაც კი. რისი წაღებაც შეიძლებოდა, წაიღეს, იქვე ტყეში გაიყვეს ყველაფერი. მეეტლეს დაუბარეს, რაც უნდა ეთქვა და თან დაემუქრნენ, თუ ჩვენი ვინაობა წამოგცდენია, ოჯახიანად ამოგწყვეტთო.

წიწამურის ქედს მაღლა ზედაზენზე აუყვნენ და ტყე-ტყე გეზი ჯერ ავჭალისკენ, იქიდან თბილისისაკენ აიღეს. (ბერბიჭაშვილი წიწამურში დარჩენილა 2 კვირით ჭრილობის სამკურნალოდ)...

15 წუთში ტრაგედიის ადგილზე მივიდნენ ჯაში, ურიადნიკი ემეცი და ორი სტრაჟნიკი. სხეული ილიასი ჯერ კიდევ გაციებული არ იყო. ტყიდან ტირილით გამოვიდა მეეტლე თედო და შესჩივლა მოურავსა და თოფოსნებს, რაც მოხდა. ოთხი ყაჩაღი დაგვესხა, (ხიზანიშვილი ტყეში დარჩა.-ნ.გ.) ილიამ დამიძახა გარეკე ცხენებიო, მეც ავაჩქარე, მაგრამ დამეწიენ, ეტლი შეაჩერეს, ფერდში კონდახი ჩამცხეს და გადმომაგდესო.

ლაბაური ამ სისულელით გაიყიდა. უნახეს ზურგი და ფერდი, ნახეს რომ არსად კონდახის კვალი არ ეტყობოდა. ილიას და მსახურ იაკობის გვამები შემთხვევით გამომვლელ ურემზე დაასვენეს, სულთმობრძავი ოლღა ეტლში მოათავსეს და საგურამოს გზას გაუდგნენ.

ეს ტრაგედია დაწვრილებით და დეტალებში არის აღწერილი გაზეთ „დროებისა“ და „ისრის“ 1908 წლის დეკემბრის პუბლიკაციებში. დაპატიმრებული მკვლელები დაწვრილებით აღწერენ თავიანთ ნაავკაცარს.

მკითხველს ვთავაზობ ამ ისტორიულ დოკუმენტს:

სასამართლო

ილია ჭავჭავაძის მოკვლა

1907 წელს, 30 აგვისტოს, შუა დღის 12 საათზედ, სოფელ წიწამურასა და საგურამოს შუა, გზაზე, მოჰკლეს პოეტი ილია ჭავჭავაძე. თოფის კონდახებით სცემეს მის მეუღლეს ოლგა ჭავჭავაძისას და მოჰკლეს აგრეთვე ჭავჭავაძის მსახური ბითარაშვილი. მკვლელობის ადგილი 2 ვერსით არის დაშორებული სოფ. წიწამურას და 4 ვერსით სოფ. საგურამოს. აღნიშნული ადგილი წარმოადგენს ზედაზნის მონასტრის მთის ფერდობს და დაფარულია ბუჩქნარით. აი აქ ამ ბუჩქნარში 30 აგვისტოს ჩაესაფრნენ მკვლელები გზად მიმავალ მგოსანს. დაუშინეს თოფები და წუთი–სოფელს გამოასალმეს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გარჩევას კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო შეუდგა 28 ნოემბერს, დილის 10 ნახევარ საათზე სხდომის გახსნისას თავჯდომარემ მოიკითხა მოწმენი. 26-მდე მოწმიდან სამი–ოთხი არ გამოცხადდა, წაიკითხეს საბრალმდებო ოქმი.

როგორც საბრალდებო ოქმიდანა სჩანს, გამომძიებლის მოწვევით, ექიმს გაუსინჯია მოკლული ილია ჭავჭავაძე, იაკობ ბითარაშვილი და ძალზე ნაცემი 60 წლის მოხუცი ოლგა ჭავჭავაძისა. ჭავჭავაძეს გულში ჰქონია მოხვედრილი ერთი ტყვია, რომელიც ზურგში გავარდნილა; მეორე ტყვია მოხვედრია ფერდში, პირველი ტყვიის ცოტა ქვევით (ექსპერტი ადასტურებს მხოლოდ ერთ ტყვიას, ნ.გ.), შუბლის მარცხენა მხარეს აღმოაჩნდა ჭრილობა, შუბლის ძვალი ჩატეხილი ჰქონდა, მარჯვენა წარბს ზემოთ მეორე ჭრილობა ჰქონდა. ტყვიისგან მეხუთე ნეკნი ჩამტვრეული იყო, ტყვიას გაუვლია გულით, ქვედა– ნაწილი მარცხენა ფილტვისა და გასულა მარცხენა იღლიაში. კნ, ოლგა ჭავჭავაძისას თავზე აღმოაჩნდა რამოდენიმე ჭრილობა, როგორც ეტყობა რაღაც ჩლუნგი იარაღი დაერტყათ. იაკობ ბითირაშვილს რამოდენიმე სასიკვდილო ჭრილობა აღმოაჩნდა ლოყასა, გულსა, ბეჭსა, ყელსა და გვერდში.

როგორც საბრალდებო ოქმშია აღნიშნული, განსვენებულ ილიას 29 აგვისტოს უცნობებია საგურამოში მყოფ თავის ნათესავ თავ. ზაალ ჭავჭავაძისთვის, ხვალ, 30 აგვისტოს, სადილად მანდ ვიქნებიო. მკვლელობის დღეს, დილის 11 ნახევარს საათზე, საგურამოდან წინამურში ღალის ასაღებად წასულა თურმე მოურავი დიმიტრი ჯაში, მას თან ახლდა ურიადნიკი ემეცი და ორი სტრაჟნიკი. როცა ამათ 4 ვერსი გაუვლიათ, გზაზე დაუნახავთ ეტლი, რომელიც ილიას ეტლად უცნია, როცა მისულან, ბუჩქებიდან გამოსულა მეეტლე თედო ლაბაური და უთქვამს, ბოროტმოქმედებმა ილია ჭავჭავაძე მოჰკლესო. დ. ჯაშს და დარაჯებს უნახავთ ეტლი მარჯვნივ მიბრუნებული. იქვე გზაზე უნახავთ ილია ჭავჭავაძე და მისი მეუღლე. ორივე თავპირ ჩამოსისხლიანებული. შეუნიშნავთ, რომ ოლგა თადეოზის ასული ცოცხალი იყო. ეტლის გარშემო უნახავთ ორი საზამთრო. გაზეთების რამდენიმე ნომერი და ერთი წიგნი „ვესტნიკ ინოსტრანნოი ლიტერატურის". ეტლში აღმოჩენილი პატარა ტიკჭორა ღვინით. სხვა ნივთები – საათი, ქუდი, პიჯაკი, მოსახურავი, ოქროს სათვალეები, ოქროს „ზაპონკები", ქინძის თავი გალსტუკისა – წეელოთ. ჯიბეები ცოლ–ქმარს ამოქექილი ჰქონია.

თედო ლაბაურს იქვე უთქვამს: ტყიდან გამოვარდა ოთხი კაცი. დაგვიძახეს – შეჩერდითო. ილიას ბრძანებით, ცხენები გავაქანე, მაგრამ წინ დაგვიხვდა ბოროტ გამზრახველთაგანი, რომელიც მომვარდა მე, მკრა ზურგში თოფის კონდახი და კოფოდან ძირს ჩამომაგდო.ამის შემდეგ ბუჩქებში შევვარდი და აღარ მინახავს, რა მოხდა, მესმოდა მხოლოდ თოფების სროლა. შევნიშნე კი, რომ მკვლელნი თეთრსა და რუხ პაგონებიან კიტელებში იყვნენ გამოწყობილნი. შეიარაღებულნი იყვნენ ბერდნის თოფებით, იმ დროს, როცა მე ჩამოვედი მსახური იაკობიც გადმოხტა ეტლიდან, რევოლვერის სროლა ასტეხა ეტლიდან, რევოლვერის სროლა ასტეხა და თავდაღმა ბუჩქებისაკენ გაიქცაო.

როცა ურიადნიკს ემეცს გაუგია, რომ მკვლელობა ნახევარი საათის წინ მომხდარა და ისიც, რომ მკვლელნი წინამურისკენ წასულან, ერთის დარაჯით დასდევნებია, მაგრამ მალე უკან დაბრუნებულა. დაჭრილნი და მოკლულნი საგურამოში აუსვენებიათ. კნ. ილგა დიდს ხანს უგრძნობლად ყოფილა და როცა გამორკვეულა, უთქვამს: ძლიერი ქარი ჰქროდა, ამის გამო თავ–პირი შეხვეული ჰქონდა და არ ვიცი რა მოხდაო.

გამოძიებას შესდგომია მცხეთის ბოქაული გრიცინიუსი. როდესაც ლაბაურისაგან გაუგია, თოფის კონდახი დამარტყეს და

გადმომაგდეს, გაუსინჯნია იგი, მაგრამ არავითარი ნიშანი არ აღმოჩენია. მოწმეს თავ. ზაალ ჭავჭავაძეს განუცხადებია: 26 აგვისტოს მოურავმა მაცნობა, რომ მოსამსახურენი გაიფიცნენო. გამოირკვა, რომ ისინი კმაყოფილნი არ იყვნენ ხორცით. რადგან ხორცი კარგი აღმოჩენილა, ილია ჭავჭავაძეს უთქვამს მოურავისთვის, უკმაყოფილონი დაითხოვეო. შემდეგ გამორკვეულა რომ, ხორცი არ დაუწუნებიათ; უთქვამთ რომ ცოტა გვეძლევაო ამის გამო ჭავჭავაძეს უპატიებია ყველასათვის და, მათ შორის, თედო ლაბაურისათვისაც. მეორე დღეს თვით თედო ლაბაურს წაუყვანია ილია ჭავჭავაძე ეტლით თბილისში. იმავე მოწმეს თავ. ზაალ ჭავჭავაძეს განუცხადებია: ვერავითარს კავშირს ვერა ვხედავ ილია ჭავჭავაძესა და მის მოურავის მემანიშვილის მკვლელობას შორისაო. მემანიშვილის მკვლელობაში ეჭვი მიიტანეს იმ პირზე რომელსაც ქურდობისათვის სდევნიდა მოურავი. მოურავმა ქურდობისათვის იგი დააპატიმრებინა მაგრამ გზაზე დარაჯებს გაექცა. ამის შემდეგ გავიდა დიდი დრო და თავს დაესხნენ ჭავჭავაძის სახლს, მოჰკლეს მოურავი და გაძარცვეს სახლიო ილია ჭავჭავაძის მოკვლის ერთი კვირის წინათ, უთქვავს იმავე თ. ზაალ ჭავჭავაძეს, მივიდა მამა გაქცეულ პავლე ფშავლიშვილისა, როდესაც ილიამ ეს გაიგო, სთქვა, გადაეცით მამას რომ თუ იგი შვილის განსათავისუფლებლად მოვიდა, ტყუილად გარჯილა, რადგან მე ვერ ვიშუამდგომლებ ქურდის განსათავისუფლებლად, ხოლო თუ სხვა საქმეზე – მოვიდესო.

პირველად გამომძიებელს მეეტლე ლაბაურისთვის წაუვლია ხელი, მაგრამ მას თავი დამნაშავედ არ უცვნია, და განუცხადებია: მკვლელობის დღეს ტყიდან ოთხი კაცი გამოვარდა და შემოგვძახა – „შეჩერდითო“. ყველანი შეხედულებით სომხებსა ჰგავდნენ. ტანზე ეცვათ თეთრი პოგონიანი აფიცრის კიტელები და თავზე ეხურათ თეთრი ბუხრის ქუდები. ცხენით გავექანე, მაგრამ ერთი კაცი წინ გადაგვეღობა, მტაცა ხელი, გადმომათრია ეტლიდან და თან თოფის კონდახი ჩამკრა გვერდში. იმ დროს იაკობიც ჩამოხტა და მარცხნივ გადაირბინა გზაზე და ჩირგვენარში ჩაეშო. ბოროტმოქმედებმა მარცხნიდან მოგვიარეს, ერთი იაკობს გამოეკიდა, მეორემ ბერდანა ესროლა ეტლში მჯდომ ილიას, რომელიც მაშინვე გადმოვარდა. კნეინა ეტლში დარჩა, შემეშინდა, ცხენებს არ გაეტაცნა ისინი, მოუარე და აღვირით დავიჭირე ცხენები. ამ დროს მომესმა სროლა იქიდან, იაკობ ბითარაშვილი საითკენაც გაიქცა. არ დამინახავს როგორა სცემეს კნეინას. პატარა ჩემოდანი ერთმა

მკვლელმა წაიღო. ვნახე ისიც, რომ მკვლელებმა გაჩხრიკეს მოკლული ილია და მერე ტყეში შევიდნენ და მიიმალნენ. სანამ სახლში წავიდოდი ამ ამბის შესატყობინებლად, ტყეში შევედი საჭიროებისათვის, როდესაც გამოვედი, დავინახე ჯაში და სტრაუნიკებიო.

1907 წელს 12 სექტემბერს ლაბაურისთვის ხელმეორედ გამოუკითხავთ. მას უთქვამს: მე პირველ ჩვენებაზე არა ვთქვი რა იმის შესახებ, რომ ორ მკვლელს ვიცნობ. ერთი ილია ჭავჭავაძესთან ნამსახური პავლე ფშავლიშვილია, მეორე სოფ. ახატნის მცხოვრები, მაგრამ მისი გვარი და სახელი ვეღარ მომიგონია. იმ უკანასკნელმა გაისროლა პირველად თოფი და მოჰკლა ილია ჭავჭავაძე.

16 ნოემბერს მესამედ გამოუკითხავთ ლაბაური და მაშინ უჩვენებია: პირველ გამოკითხვაზე იმის შიშით, რომ ჩემი ოჯახი არ დაღუპულიყო, ვერა ვბედავდი სიმართლის თქმას. ვერა ვთქვი როგორ მოჰკლეს ჭავჭავაძე ან მისი მსახური, ვინ იყვნენ მკვლელები, ეხლა, მუქარის მიუხედავად, გადავსწყვიტე ყველაფერი ვთქვა. როდესაც გავიარეთ წინამური და ტყეში შევედით, პირველი გამოვარდა ახატნის მცხოვრები გიგოლა ბერბიჭაშვილი და შემომძახა გაჩერდიო. თავადმა მიბრძანა, ცხენები გამერეკნა. მეც შევუტიე, მაგრამ რადგან გზა ტალახიანი იყო და ცხენებიც დაიქანცნენ ბოროტმოქმედებმა წინიდან მოგვიარეს და გააჩერეს ცხენები. ამ დროს იაკობი, ეტყობოდა შიშით, გადმოხტა და არაგვისაკენ ბუჩქებში შევარდა. გიგოლა ბერბიჭაშვილმა პირველმა ესროლა ილია ჭავჭავაძეს თოფი. დაჭრილი ჭავჭავაძე მაშინვე ეტლიდან გადმოვარდა. ვინა სცემა კნეინას, ვერ შევნიშნე და აგრეთვე ისიც, ბერბიჭაშვილის გარდა, სხვა ვინმემ გაისროლა თუ არა თოფი. ბოროტ-მომქმედთა შორის, პავლე ფშავლიშვილისა და გიგოლა ბერბიჭაშვილის გარდა, იყვნენ აგრეთვე დუშეთის მაზრის ახალ სოფლის მამასახლისად ნამყოფი ვანო ინაშვილი და ჭავჭავაძის მსახურად ნამყოფი გიგო მოძღვრიშვილი. მკვლელობის შემდეგ ინაშვილმა და ბერბიჭაშვილმა კნეინას გულიდან „ბროშკა" ააცალეს. როდესაც ყველაფერს მორჩნენ, მითხრეს: თუ ვინმემ გკითხოს, სთქვი თავს თეთრ პაგონიან კიტელებსა და ბუხრის ქუდებში გამოწყობილი აფიცრები დაგვეცნენ-თქო. თუ გაგიმხელია რომ ჩვენ ვიყავით, სახლს დაგიწვამთ და ცოლ-შვილს ამოგიხოცავთო.

გამოძიებას გამოურკვევია, ამ მკვლელობაში პავლე ფშავლიშვილის მონაწილეობა. დაპატიმრებულ პავლე ფშავლიშვილს (იგივე აფციაური) სხვა და სხვა დროს განუცხადებია: ჩემთან მოვიდნენ ბერბიჭაშვილი, ვანო ინაშვილი, ვიღაც ერთი იმერელი და

მითხრეს, წამოგვყევი ჭავჭავაძის მოსაკლავად საგურამოშიო. მე ჯერ არ დავთანხმდი, მაგრამ როდესაც ბერბიჭაშვილი და ინაშვილი დამემუქრნენ, მოგკლავთო, დავთანხმდი. თავ-დაცემის დროს ფშავლიშვილი ტყეში იყო, არ გამოსულა იქიდან და ამის გამო არც უნახავს, როგორ მოხდა მკველელობა. მკვლელობის შემდეგ დავბრუნდი ინაშვილთან სხვადასხვა ნივთებით და დავიწყეთ ნივთების გაყოფა. მე არაფერი ამიღია და მალეც განვშორდი ამხანაგებს.

მცხეთის ბოქაულს დაუპატიმრებია წიწამურის მცხოვრები გიორგი ხიზანიშვილი, რომელსაც განუცხადებია: 1907 წლის აგვისტოში ს. წიწამურში ჩემთან მოვიდნენ ნამამასახლისარი ივანე ინაშვილი. პავლე ფშავლიშვილი, გიგოლა ბერბიჭაშვილი და ერთი იმერელი. **ფშავლიშვილმა სთქვა: სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა დაადგინა, მოიკლას ილია ჭავჭავაძე იმისათვის, რომ იგი გლეხებს ავიწროვებსო.** წიწამურში მათ დაჰყვეს მთელი ღამე. მეორე დღეს, 30 აგვისტოს, დილით წავედით ტყეში. ინაშვილმა გვიბრძანა მე და ფშავლიშვილს, დავმდგარიყავით ტყეში მაღლობზე და როცა გზაში გამოჩნდებოდა ეტლი ილია ჭავჭავაძისა ნიშანი მიგვეცა. მართლაც, ნიშანი ფშავლიშვილმა მისცა. როცა ჩასაფრებულებს ეტლი გაუსწორდათ ტყიდან გავარდა რამდენიმე თოფი და ილია ჭავჭავაძე ეტლიდან გადმოვარდა. გამოცვივდნენ ფშავლიშვილი, ინაშვილი, ბერბიჭაშვილი და იმერელი. ბერბიჭაშვილი მივარდა კნეინას, თოფის კონდახი თავში დაჰკრა და იქვე წააქცია. იაკობ ბითარაშვილმა ერთხელ გაისროლა რევოლვერი, მაგრამ გამოუდგნენ ინაშვილი და მისი ამხანაგები, რამდენჯერმე თოფი ესროლეს და ბუჩქებში მოჰკლეს. ამის შემდეგ გზაზე ამოვიდნენ. ბერბიჭაშვილი მივარდა კნეინას და ყურებიდან საყურეები ჩამოაცალა, ინაშვილმა თავადს საათი ააცალა. როცა ჩემთან მოვიდნენ, ხელში ჩემოდანი ეჭირა, მაგრამ რომელს, არ მახსოვს. მკველელებმა მიბრძანეს, არავის არაფერი უთხრაო და ზედაზნის გზისკენ წავიდნენო.

გიგოლა ბერბიჭაშვილი, ივანე ინაშვილი დაიმალნენ და დღემდე არსადა სჩანან. გიგოლა მოძღვრიშვილს უთქვამს: 1906 წელს სალდათობიდან დავბრუნდი და ილია ჭავჭავაძესთან შევედი სამსახურში. პირველად მეფუტკრეს მასლოვს ვეხმარებოდი; მკვლელობის სამი კვირის წინად ამ ადგილზე სხვა დაიჭირეს, მე კი ჭავჭავაძის ოჯახობაში ვმუშაობდი. 29 აგვისტოს ჩემმა ძმამ, სანდრომ, ნიშნობაში მიმიწვია. მე წავედი და როცა ორი დღის შემდეგ დავბრუნდი გზაზე გავიგე, რომ ჭავჭავაძე მოეკლათ.

გიორგი ხიზანაშვილს უთქვამს: ამ საქმისა მე არა ვიცი რა. 30 აგვისტოს ტყეში ვიყავი და ნახშირსა ვწვავდი. საღამოთი ნიწამურში დავბრუნდი და იქ გავიგე ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი. ბოქაულ მარკევიჩისათვის მკვლელობის შესახებ არა მითქვამსრაო.

პავლე ფშავლიშვილს მეორედ უთქვამს: მკვლელობაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. არავის ამ მკვლელობაში არ გამოვტეხილვარო. ფშავლიშვილი 1908 წლის 11 მაისს მეტეხის ციხიდან გაიქცა და დაიმალა.

ყოველივე ზემოთ მოხსენებულის გამო სასამართლოში მისცეს: დუშეთის მაზრის სოფ. საგურამოს მცხოვრებნი თედო ლაბაური(32 წლისა), სოფ. წიწამურის მცხოვრები გიგოლა მოძღვრიშვილი(27 წლის) და გიორგი ხიზანაშვილი(29 წლისა).

გუშინ უკვე გათავდა საქმის გარჩევა და სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა. სამშაბათს დავბეჭდავთ საქმის გარჩევის ანგარიშს, ეხლა კი მოვიყვანთ განაჩენს. განაჩენი გამოცხადდა 2 ნახ. საათზე. სასამართლომ დამნაშავედ იცნო თედო ლაბაური, გიორგი ხიზანაშვილი და გიგოლა მოძღვრიშვილი ილია ჭავჭავაძისა და მისი მსახურის იაკობ ბითარაშვილის მოკვლაში და კნ. ოლღა ჭავჭავაძის მოკვლის განზრახვაში და მიუსაჯა სამივეს ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და ჩამოხრჩობა". მოგვიანებით დაიჭირეს ინაშვილიც. სწორედ მისი საშუალებით მიაგნეს გაქცეულ ფშავლიშვილის საფარს, სადაც ის ორმხრივ სროლაში მოკვდა. ინაშვილი კი სხვებთან ერთად ჩამოახრჩვეს.

●

ეტლში ოლღასთან ერთად დიმიტრი ჯაში იმყოფებოდა. ოლღამ ჯაშს რომ შეხედა, რომელიღაც მკვლელს მიამსგავსა, ამოიკვნესა, ეს კაცი მომაშორეთო. ეს ჯაშის მეტს არავის გაუგია, თავად იტყვის ამის შესახებ. დიდი ხნის შემდეგ ერთ-ერთი არგუმენტი გახდება ეს სიტყვები მის დასადანაშაულებლად...

ნახევრად უგონო ოლღა სახლში შეიყვანეს. იგი უგრძნობლად იწვა. რამდენიმე ხნის შემდეგ თვალები გაახილა და თქვა: „იქ, კუთხეში ბამბა დევს, აიღეთ და მომწმინდეთ შუბლიდან სისხლი." შემდეგ იკითხა: „სად არის ილია?" ამის შემდეგ იმ დღეებში მისგან გონიერი სიტყვა აღარავის გაუგია. ჩამოიყვანეს თბილისში. დიდი დრო დასჭირდა მის გადარჩენას.

ილია ურმით მიასვენეს იმ სახლში, რომელიც სიბერის დღეთა მშვიდად გასატარებლად ააშენა. დაასვენეს მე-2 სართულზე, სადაც ცხედარი კი არა, საქართველოს გული ესვენა. ერმა ვერ გაიმეტა ჩვეულებრივ განსაშორებად. მთელი 11 დღე საქართველო უკანასკნელი პატივის მისაგებად ემზადებოდა. იქნებ ამით გამოესყიდათ ის უმადურობა, რაზეც მოხუცი მგოსანი სიბერეში ჩიოდა და რაც მის სიცოცხლეში მისმა სამშობლომ მიუსართა. გამოფხიზლებული ერი სინდისის ქენჯნით და თვითგვემის სურვილით შეპყრობილიყო, გარდა სამშობლოს უარმყოფელთა იმ წრისა, რომელთაგან ერთი, – ბოლშევიკი, პეტერბურგში განაცხადებს, მეორე, – მენშევიკი, თბილისში გაიმეორებს-როცა ტყეს ჭრიან, ნაფოტები სცვივაო.(პირველი იყო ვ. ჯუღელი, მეორე კი ნ. ჟორდანია) მაგრამ იმ დღეებში ესენი ვიღას დაკარგვოდნენ, საქართველო მიხვდა, რომ ილიას სახით მას ესროლეს.

ამ გულგაპობილი კაცის ცხედარს სული გასცლოდა და ახლა ეს სული ჭირსა და ლხინში სამშობლოს თანამდევ სულად ქცეულიყო. ეს ვაჟა ფშაველამ ორად-ორი სიტყვით გამოხატა – „ვერ მოჰკლეს!"

თავი II

„მთაწმინდა გულში
იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს“

ილია კუბოში



ეტლი რომელშიც მოკლეს ილია

თედო ლაბაური

დიდებულო ადამიანო, ივერიის ტანჯული ძევ, გვაპატიე აქ შეკრებილ სრულიად საქართველოს, რომ სწორედ იმ ადგილას მოგისპო სიცოცხლე ჩვენმა ზნეობით დაცემამ, სადაც შენ გულამოსკვნილი სტიროდი ბედსა ქართლისასა". გვაპატიე, რომ შენს შუბლს ტყვია ვარგუნეთ წილად დიდების გვირგვინის მაგივრად. გვაპატიე, რომ ჩვენ სატახტო ქალაქში ტრიუმფის მაგივრად სამგლოვიარო პროცესია გაგიმართეთ! გვაპატიე, – ეს შეეფერება შენ დიდ სულოვანობას! იქ, ზევით, პოეტთა მიერ შემკულ, მდებარე მთაწმინდა ზედ განგასვენებთ, ჩვენ მხცოვან, ტანჯულსა ისტორიულ დედა-ქალაქ თბილისს რომ ბატონობს იდუმალად! მაგრამ ვაგლახ ჩვენ, რომ იქიდან ველარ გადმოხედავ შენსა სამშობლო მხარეს და ტკბილის ჭიკჭიკითა ველარ დაატკბობ მის არემარეს". ველარ იხილავ მომავალში შენსა ივერსა, ფენიქსებრ განახლებულსა", თუ მომავალმა ეს ბედი კიდევ გვარგუნა. მაგრამ აწმყოში მაინც ბედნიერი იქნები, რადგან ვერ იხილავ აგრეთვე იმ სიწითლეს, სირცხვილს, რომელიც ან დაცემულმა ივერმა სჭამა შენი წამებითა და რომლის ჩირქსაც იგი დიდხანს ვერ მოიბანს!"

მიხაკო წერეთელი

როგორ შეხვდა საქართველო, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერი ილიას მკვლელობას?

ეს გრძნობა ლაკონურად ასე შეიძლება გადმოვცეთ: ხალხმა დაინახა –

კაცი რომელიც ყაჩაღისთვის ითხოვს შენდობას,
იმ ყაჩაღებმა ყაჩაღივით შარაზე მოჰკლეს.

ხალხმა დაინახა, რომ ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალებულიყო –

„ვერაფერს ვიტყვი, ენა სდუმს,
თავზე დაგვჩხავის ყორანი,
გაღმა გასვლისა მსურველთა
უკუღმა მიგვყავს ბორანი:

გაგვიბატონდა მგოსანო,
სირეგვნე შეუწონარი...“

ვაჟა ფშაველა

ერმა იხილა – თავისი ყველაზე დიდი შვილის ჯვარცმა მე-20 საუკუნეშიც განმეორდა.

„იესო როცა ჯვარს აცვეს,
ვერ სცნობდნენ ერთი მეორეს...
მეოცე საუკუნეშიც
ის ჯვარცმა გავიმეორეთ.“

სილოვან ხუნდაძე

ერი მრისხანებამ მოიცვა, რადგან საკუთარი თვისტომისგან ნასროლი ტყვია უფრო საშინელია.

„თავი დასდვა ქვეყნისათვის,
მიჰბაძა ძმებს თავდადებულთ:
მეფესა და ყიფიანსა...
იმ ორ ქართველს, განდიდებულთ!
მაგრამ ამათ სიკვდილშიაც
განსხვავება არის დიდი:
უფრო მწარე და მწვავეა,
როცა შენ გკლავს შენი ფლიდი!
მეფე მოჰკლეს მონღოლებმა,
დიმიტრიც მტრის მოკლულია!..
მაგრამ ნუთუ შინ ჩვენმავე
გამოგვტაცა ჩვენ ილია?!“

აკაკი

ერი თვითგვემამ შეიპყრო, რადგან აქამომდელი სიჩუმით ერთ პილატეთაგანად იგრძნო ყველამ თავი.

„ვაიმე! რაკი შენს მდევნელთ
ხმა არ გავეცით მხდალებმა,
იქნება მისთვის შეგახეს
ხელი შენ ნაძირალებმა“

იაკობ ცახელი

მაგრამ ერი გამოფხიზლდა კიდეც. გლოვამ მოიცვა მთელი საქართველო. გამოფხიზლდნენ ილიას ყოფილი იდეური მოწინააღმდეგენიც კი. რად ღირს ევდოშვილის მაგალითი. მას ბევრმა მიბაძა. სოციალ-დემოკრატიის რიგებს ხალხი ტოვებდა, პარტიულ მანდატებს ყრიდა. ბევრი მიხვდა, სადამდე მიიყვანა ხალხი სამშობლოს უარმყოფელთა მოძღვრებამ.

მიხაკო წერეთელი მოგვიანებით დაწერს: გონს მოვიდა ახალგაზრდობის ერთი ნაწილი, „რომელმაც არ იცოდა, რას როტავდა და რას ჩმახავდა 1905 წლის წინად, ამ წლის დღეებში და შემდეგაც. ღმერთმა იცის, ვის და რისი გავლენით. „რევოლუციონური ბრძოლით" გატაცებული ილიას მოკვლამ თვალი აგვიხილა, დავინახეთ რაშიგან ვართ." დავირაზმეთ ერის სამსახურისათვის. მივხვდით რა, რომ სხვა უდიდესი მოვალეობა ადამიანისათვის არ არსებობს". ყოფილ შეხედულებათა რევიზია ბევრში მოხდა.

მაგრამ კუზიანებს მხოლოდ სამარე თუ გაასწორებდათ.

ფილიპე მახარაძე და ძმანი მისნი იმ დღეებში ისევ იკბინებიან. მენშევიკები კი თავიანთი გაზეთებიდან თავს იცავენ. საერთო სახალხო გლოვაში ერთადერთნი ბოლშევიკები არ მონაწილეობენ. არ მონაწილეობას დადგენილებითაც კი გააფორმებენ. იურევის უმაღლესი სასწავლებლიდან სამძიმრის დეპეშის გამოგზავნაზე, სამოცდაათი სტუდენტიდან თითქმის ნახევარი იტყვის, პარტიული მოსაზრების გამო, ამ გადაწყვეტილებას ხელს ვერ ავუწევთო.

ასეთი ამბებიც იყო. ეს ის ხალხია, რომელნიც ილიას შემდეგ, 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს თავისუფლებასაც მოჰკლავენ. ილიას მოკვლა ამ დიდი ტრაგედიის დასაწყისი იყო.

ეს ერმა გუმანით იგრძნო და იმ დღეებში ფეხზე დადგა.

მაგრამ როგორც გვჩვევია, მხოლოდ იმ დღეებში...

●

სამგლოვიარო დღეები კი ასეთი გახლდათ:

ვინაიდან მთელ საქართველოს სურდა ილიას დაკრძალვაში მონაწილეობის მიღება, დამკრძალავმა კომისიამ ყოველი დღე საგანგებოდ გაწერა, ვიდრე 9 სექტემბრამდე. იმ დღეების შესახებ ზღვა ლიტერატურა არსებობს. უამრავი მოგონება, ჩანაწერი. იმდროინდელი გაზეთები. 1907 წელსვე საგანგებოდ გამოიცა წიგნი – „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება". აქედან

გაბომდინარე, ამ ზღვა მასალიდან რამდენიმე, ჩვენის აზრით, უფრო მნიშვნელოვან პუბლიკაციებზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

თავად-აზნაურთა კრებაზე, რომელიც დამკრძალავი კომისიის შექმნასა და ილიას დაკრძალვის ადგილს განიხილავდა, ერთი-ორი ბნელი კაციც გამორეულა, რაც ქვემოთ წარმოდგენილი მშრალი ინფორმაციიდან ჩანს:

თათბირი ილიას დაკრძალვაზე

პარასკევს, 31 აგვისტოს, მოხდა საგანგებო კრება ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში. კრებამ თათბირი იქონია ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე. წინადადება შეიტანეს, რომ ხარჯი და ზრუნვა განსვენებულის დასაკრძალავად საზოგადოებამ იკისროს, მაგრამ რადგან საზოგადოებას საერთო თანხა არ მოეპოვებოდა საზოგადო საქმისთვის, ამიტომ ფული უნდა გადასდოს თავად-აზნაურობამაო. კრებამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება. შემდეგ მცირე კამათი იქონიეს იმაზე, თუ სად დაკრძალონ გვამი. ზოგმა დიდუბე დაასახელა, ზოგმა ანჩისხატის ეზო, უმრავლესობამ კი მთაწმინდა. ბოლოს კრებამ მიიღო ეს უკანასკნელი წინადადება; ფული გადაიდება იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება. დასასრულ კრებამ აირჩია განსაკუთრებული კომიტეტი ექვსი კაცისაგან. კომიტეტი სხვა საზოგადო დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავებს დასაფლავების ცერემონიალს. კომიტეტმავე უნდა დანიშნოს დაკრძალვის დღე. განსვენებულის გვამს საგურამოდან საქართველოს სამხედრო გზით მოასვენებენ. როგორც განზრახულია, პროცესია გაივლის გოლოვინის პროსპექტით, მივა სიონის ტაძარში, სადაც გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. შემდეგ პროცესია მამადავითისაკენ გაემართება. დაკრძალვის დღედ განზრახულია დანიშნონ შაბათი, 8 სექტემბერი. დაწვრილებითი წეს-რიგი გასვენებისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული.

კალისტრატე სალიას მოგონებიდან:

„ვინაითგან საქართველოს ყოველი კუთხე, ყოველი ქალაქი, თითქმის ყოველი საფელი მოსურნე იყო დასაფლავებაზე მონაწილეობა მიეღო და ღირსეულად ყოფილიყო წარმოდგენილი, დამკ-

რძალავმა კომისიამ საჭიროდ სცნო დასაფლავების დღე გადაეწია და იგი მეთერთმეტე დღეს, 9 სექტემბერს დანიშნა. ხოლო საგურამოდან თბილისში ჩამოსვენება 7 სექტემბერს.

ამ ხნის განმავლობაში იმართებოდა მთელ საქართველოში საეკლესიო და სამოქალაქო პანაშვიდები. საქართველოს გლოვაში მონაწილეობას ღებულობდნენ, აგრეთვე, საქართველოში მცხოვრები სხვა ერები: სომხები, ბერძნები, თათრები, ებრაელები და სხვები. არ დარჩენილა არც ერთი ქართველი საზღვერგარეთ მყოფი, რომ არ გაეგზავნოს სამძიმრის წერილი და დეპეშა საქართველოში „სამშობლოს გლოვას ჩვენი ცრემლიც მიუმატეთ", „ნუთუ ილია და ამისთანა საზიზღრობა?" – წერდნენ ისინი. თვით ციხეებიდანაც კი მოახერხეს პატიმრებმა, შეერთებოდნენ საერთო გლოვას „არსებული უსამართლობით რკინის ჩარჩოიან კარ-ჩაკეტილ საკნებში მომწყვდეულნი, ილიას სიკვდილით გულდაკოდილნი, ვუძღვნით მას ცოცხალი ყვავილებით შემკულ გვირგვინს და ვატანთ ჩვენს გულწრფელ ხსოვნა-სიყვარულს". იუწყებოდნენ მეტეხის პატიმრები.

როგორც ზემოთ ვთქვით, საგურამოდან თბილისში ჩამოსვენება დაინიშნა 7 სექტემბერს. ამ დღისათვის საგურამოში ჩავიდნენ წარმომადგენელნი: წერა-კითხვის საზოგადოებისა, დრამატული საზოგადოებისა, თავად-აზნაურობის, სოც-ფედერალისტთა პარტიისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან, თბილისის დეპოს მუშათა და სხვა მრავალ ორგანიზაციათა, რომელთა ჩამოთვლა აქ შორს წაგვიყვანდა."

ეკატერინე გაბაშვილი:

„საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც შვიდ ენკენისთვეს ჩვენი ეტლი მიუახლოვდა ილიას სახლს საგურამოში.

გარეშემო ადამიანის ჭაჭანება არა სჩანდა, მხოლოდ ბუნება იყო მეფურად დიდებული და მთვარის მკრთალის შუქით განათებული არე–მარე ზღაპრულის საიდუმლოებით მოცული.

დიდროვანნი ხეების ჩრდილები, ახმახი მდევებივით წამომსხდარიყვნენ სახლის გარეშემო და შავ ჩადრებ წამოსხმულნი, შავის ფიქრებით მოცული მტრის ხელით გაგმირულ ილიას ცხედარს სდარაჯობდნენ; აქვე მათ შორს მჩქეფარე წყარო პოეტის დამსხვრეულ ჩანგს დასტიროდა.

ისედაც შავ ფიქრებით გულ დაკოდილნი, ამ ბუნების დიადმა მყუდროებამ მთლად შეგვბოჭა მწუხარებით.

ჩვენ ნელის ნაბიჯით, მოწიწებით, გულის დუღილით მივედით სახლის შესასვლელთან და გავჩერდით. ვიღაცამ, შავითმოსილმა, წმინდა სანთლით ხელში, კარი გაგვიღო და ხმის ამოუღებლივ, თავ–ჩაღუნული სახლში შეგვიძღვა.

სოფლის მოხუცებული მღვდელი პანაშვიდზედ იდგა. მონაზონთა გუნდი წყნარს სამგლოვიარო საგალობელს ჰგალობდა. ოთახი მხოლოდ წმინდა სანთლით იყო განათებული და მისის მკრთალი შუქი რამდენიმე ადამიანს, შავათმოსილს ანათებდა. შუა ოთახში, თეთრ ზეწარ გადაფარებულ სტოლზედ შავი რკინის კუბო იდგა და ზედ ძველი დიბის გადასახურავი ეფარა... ჩვეულებრივი სიკვდილის თანამგზავრი სურათი, არა ჩვეულებრივის მკვდრის გარეშემო...

წმინდა სანთლის სუნი, საკმევლის მძლავრი სურნელება, მგალობელთა ძარღვების ამშლელი სევდიანი კილო, მგლოვიარეთა გოდება საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ...გული შემისუსტდა. გონებამ რყევა დამიწყო, მგზავრობით დაღალულმა მუხლებმა მიღალატეს და ჩავიკეცე ძვირფასის ცხედრის ფერხთან და კუბოს ფიცარს თავი მივაყრდე...ფიქრებმა შემიპყრეს და სულ სხვაგან გადმიტაცეს გასაოცარის სინამდვილით, თვალთმაქცურის სისწრაფით ჩემ თვალწინ გაირბინა იმ ორმოცმა წელიწადმა, რომელთა განმავლობაში განუყრელად წინ მიმიძღოდა ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავი და ჩემის ქვეყნის ჩაბნელებულ მიდამოს მინათებდა.

ჯერ ისევ სკოლის სკამზედ მჯდომ მოწაფეს, ქართული ენის მასწავლებლისგან გავიგონე ეს დიდებული, მაღალი გრძნობით აღსავსე სიტყვები: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე? რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? შევძლებ რომ მას ღვიძლი სიტყვა უთხრა და იმ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გაუადვილო? შევძლებ გასაგონის სიტყვის თქმას?...

–გადავწყვიტე რო ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ, იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულს შვილი ყურს უგდებს, განა მარტო ყურით, გულითაც, რომლისთვისაც დუმილიც გასაგონია. ჩემს სიტყვასაც გაიგონებს, იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის...

ზეციური ზარივით გაიწკრიალეს, ამ მაღალმა: მამულის იმედის შვილის სიტყვებმა, ჩემ ყმაწვილ ნორჩ გულში და სულის სიღრმემ-

დინ ჩაიბეჭდნენ ჩემ არსებაში... „რას ვეტყვი ჩემს ქვეყანას და რას მეტყვის იგი მე?" ჩემის ცხოვრების ლოზუნგად შეიქმნენ...

...თვალი აღარ მომიშორებია ილიას ტრიუმფით მსვლელობისთვის ქართველთა საზოგადო ცხოვრების სათავეში.

ის გახდა ჩემთვის სინონიმად ჩემის ქვეყნისა. ჩემის ქვეყნის მაჯისცემის მაჩვენებლად, იმის მომაკვდინებელი ძილის გამფთხობად, იმის მომავლის შემოქმედათ და ჩემ კერპად გავიხადე. ჩემ გულში აუგე მას ტაძარი წმინდა და შიგ ხატათ დავისვენე. და ვინც ჩემი სარწმუნოების მრწმენელი არ იყო, ის მიმაჩნდა ქართველობის მგმობელად, ჩემის წმინდათა–წმინდის შეურაცხმყოფელად...

– ნეტა ვინ არის ეს ილია ჭავჭავაძე, რომ ასე მცხარედ იბრძვიან იმის გულისთვის? მკითხა ერთმა მანდილოსანმა, ბანკის კრებების დამთავრების შემდეგ ჩამოსულმა, მხოლოდ კენჭის ჩასაგდებად მოსულმა სოფლელმა.

– თქვენ არ იცით ვინ არის ილია ჭავჭავაძე?! შევუყვირე მე გულის წყრომით. ეს ისეთივე დანაშაულია ქართველის ქალისათვის, როგორათაც თვითეულის ქრისტიანისათვის იმის არ ცოდნა, თუ ვინ იყო ქრისტე!

– თქვენი რწმენა დიდია, როგორც სჩანს, დაცინვის ღიმილით მითხრა, იქვე ჩვენს ახლოს მჯდომმა მოხუცებულმა თავადმა, – მაგრამ შემცდარი ხართ, ქალბატონო! ილიაც ისეთივე ცდომილი კაცია, როგორც სხვა ყველა მოკვდავი.

– სხვა ყველა?! რას ამბობთ მაგას! არ იცით განა, რომ ილია მზეა და მხოლოდ შური სჩრდილავს! მაგრამ მზის სხივები მალე გაჰფანტავენ ღრუბლებს და ქვეყანა დაინახავს თავის მაცხოვარს!

– ხა, ხა, ხა! ნაძალადევის სიცილით გადაიხარხარა მოხუცმა – ეგეც კარგია, რომ ერთი მაინც თქვენი გვარი ფანატიკოსი მორწმუნე ჰყავს ილიას! აბა გადახედეთ ამ გაჭედილ დარბაზს, როგორ გგონიათ, ბევრნი არიან აქ თქვენი აზრის მომხრენი?!

– ხალხი, ბრბო თავის წინასწარმეტყველს ხანდისხან სდევნის, მძიმეთ ითვისებს იმის სწავლას, მცნებას, მაგრამ მოვა დრო და ისიც მიხვდება იმის ღვთაებრივ დანიშნულებას და თაყვანსა სცემს, გააღმერთებს...

– გაჩუმდი, დედაკაცო! ბევრს ნუ ჰყბედობ, შეჰყვირა მეორე გვერდზედ მჯდომმა ყმაწვილმა თავადმა და ხმალი მომიღერა...

– გავიდა დრო. ქართველთა მოწინავე, შეგნებულმა ნაწილმა მოინდომა ილიას სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეო-

ბის ორმოცი წლის იუბილეის გადახდა. ოცდა ათი კაცი ადგენდა პროგრამას, ემზადებოდა დიდებული დღესასწაული გადაეხადა თავის ქვეყნის საუკეთესო მამულიშვილისათვის. სხვათა შორის ქართული თეატრის სცენაზედ თითო თითო კუთხეში საქართველოს თითო კუნჭული უნდა ყოფილიყო ამართული და შვიდი მუზა, თავიანთი ალაგობრივის ტანთ ჩაცმულობით, დაფნის გვირგვინებით ხელში უნდა მიჰგებებოდა მგოსანს და შვიდის ნაწილიანის, მაგრამ ერთ სულოვანის საქართველოს სახელით შეემკოთ, თავი თვისის სახელოვანის მესვეურისა.

შემდეგ უნდა წამდგარიყვნენ ყველა წოდების და საზოგადოების წარმომადგენელნი თავთავიანთ სადიდებელის სიტყვით და გვირგვინებით. მეც მხვდა წილად დაფნის გვირგვინით დამედაფნა თავი ჩემის სათაყვანებელის მამულის შვილისა, მეთქვა ორიოდე გულიდან ამონახეთქი სადიდებელი სიტყვა.

აი გაისმა დიდებული მუსიკის ხმა, შეზავებული ეროვნულ საგალობელთან. ციური შუქი მოეფინა ჩემს გარეშემო და ვარდის ფურცლით მოფენილს სცენაზედ ნელის ნაბიჯით ფერ მკრთალი, მაგრამ ამაყი დამსახურებულის თაყვანის ცემით, ხალხს წარმოუდგა დიდი ილია, დიდი მგოსანი.

აღტაცებით და ნეტარებით აღვაპყარ ხელები ამ უდიდესის ხვედრის აღსასრულებლად და ილიას ნათელის შუბლის მაგივრად ცივ კუბოს ფიცარს შევახე მთრთოლვარე ხელი.

ილიუზია გაჰქრა... გამოვფხიზლდი... ვიღაცამ ხელი მომკიდა და ამაყენა. ჩემ წინ ესვენა გვამი იმ ძვირფასის საუნჯისა, რომლის თავის შემკობას დაფნის გვირგვინით ასე დიდხანს ველოდი და უგუნურის ხელით ჩახლართული ეკლის გვირგვინი ედგა და ნამებულ მშვენიერ სახეზედ სისხლის წვეთები სდიოდა.

– უფალო, უფალო! შევყვირე, ნუ თუ ეს არის ხვედრი ყოველის დიდებულის ადამიანისა?!"

ეკატერინე გაბაშვილთან ერთად იმ დღეს საგურამოში იმყოფება **ნინო ნაკაშიძე.** მის მოგონებაში ვკითხულობთ: „ილია იწვა კუბოში გამხდარი, ბაგეებჩაცვინული, შუბლზე, ცალ მხარეს, დაჭრილ ადგილას ყვავილები ეფარა, სახეზე რაღაც გაკვირვება აღბეჭდოდა... შიში კი არა, – ეს უნდა დავიხსომოთ, – მხოლოდ გაკვირვება".

• ჭირისუფლად იჯდა ილიას დაი, ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა. ილიას მეგობარმა, „ივერიის" ძველმა თანამშრომელმა დათა მიქელაძემ ელისაბედის წინ დაიჩოქა, თავი მის მუხლებზედ

დააყრდნო და დიდის ხმით და ქვითინით შესტირა ისეთი მწარე მოთქმით, რომ ირგვლივ ყველა ატირდა.

ზედაზნის ბერებმა ორჯერ გადაიხადეს პანაშვიდი. გალობდა მცხეთის დედათა მონასტრის გუნდი. ეზოში იდგა ილიასა და ოლღას სისხლშემხმარი ეტლი.

7 სექტემბერს საგურამოდან გამოსვენებას დაესწრო მთელი საგურამოსა და წიწამურის გლეხობა. ილიას კუბო გამოასვენეს არტურ ლაისტმა, ივანე რატიშვილმა, ვასო აბაშიძემ, ალექსანდრე მდივანმა, იაკობ ფანცხავამ და გიორგი ზდანოვიჩმა.

გაზეთი „ისარი" გვამცნობს:

სწორედ 8 საათზე რვა კაცმა ჭავჭავძეს კუბო ეზოში გამოიტანა. აქ მგრძნობიარე სიტყვები წარმოსთქვეს წ. –კ. საზ. წარმომადგენელმა რატიშვილმა და ეკ. გაბაშვილმა, მერე კუბო და სახურავი გლეხებმა აიღეს, ცხედარს გარშემო ერტყა შავებში გამოწყობილი საპატიო მცველთა რაზმი და ყველანი დაიძრნენ. სწორედ ამ დროს განსვენებულის სახლზე, რომელიც მთელ საგურამოს, არაგვის ხეობასა და მუხრანის ველს ზევიდან დასცქერის, უშველებელი შავი დროშა ააფრიალეს.

პროცესია მთელ ვერსზე გაიჭიმა. საგურამოს ბოლოში შემოგვიერთდნენ შავებში ჩაცმული სოფლელი დედაკაცები. ნახევარ საათის შემდეგ პროცესია გაჩერდა იმ ადგილას, სადაც განგმირულ იქნა ძვირფასი მგოსანი. ზედ შუა გზაზე, ორ ადგილზედ, შავად მოსჩანს სისხლი. გლეხებმა უმალ ეს ადგილი ქვებით შემოკირწყლეს, ევდოშვილმა მოკლე და კარგი სიტყვა წარმოსთქვა. მის კითხვაზე, თუ რა უნდა ეწოდოს მკვლელებს, ყველამ ერთხმად იგრიალა: „იუდა, იუდა!"შეჩვენდეს, დაიწყევლოს!"

ირ. ევდოშვილის სიტყვა

ქართველებო! აი, ამ ადგილას დახუჭა ქართველების დიდებულმა მწერალმა თვალები. აქ ამოიკვნესა უკანასკნელად მისმა გულმა.; ამ ადგილიდან უკანასკნელად შეჰხედა ილიამ თავისი სამშობლოს ცას... როგორი მადლიერიც იქნებოდა ის ამ დროს თავის ერისა – ამაზე მეტია ლაპარაკი... თქვენ, ამ არე მარე მცხოვრებნო, აქაურო ქართველო, დღეს ამ კუბოსთან და ამ გზაზე შემხმარ სისხლთან მარტო თქვენ არ შეკრებილხართ, აქა ვართ ქართველები, წარმომადგენლები საქართველოს ყველა კუთხიდან, მაშასადამე,

მიუხედავად იმისა, რომ ილია სცხოვრობდა თქვენში, იგი მხოლოდ თქვენ არ გეკუთვნოდათ. ის ეკუთვნოდა მთელ საქართველოს, მთელს ერს, ყველა ქართველს. იმან დაგვდო ამაგი ყველას, მთელს საქართველოს! მაშ რა ნება ჰქონდა იმ ხელს, რომელმაც მოჰკლა თქვენში ილია, იგი რომ თვითონ დაისაკუთრა, რომ იგი ანაცვალა თავის ქვებუდან გრძნობას? არავითარი! ვერაგმა ხელმა იგი წაგვართვა ყველას, მთელს ქართველობას! მან განგმირა მთელი საქართველოს მამა – მოძღვარი!

წელან ერთმა მოლაპარაკემ სთქვა: ამ ადგილას, სადაც ილია მოჰკლეს, უნდა ავაგოთ ძეგლი იმის სადიდებლად, მის სამახსოვროდაც. ეს ძალიან კარგი იდეაა. იყოს აქ ძეგლი ილიას სადიდებლად, მაგრამ აქავე, იმის გვერდზე ავღმართოთ ჩვენ სხვა ბოძიც, ბოძი სამარცხვინო, და ზედ დავაწეროთ: „აქ მოკლეს ილია, დიდი–მოძღვარი და საქართველოს მგოსანი"!

ძმებო! ყველა თქვენგანს ჰყოლია მამა, რომელიც გაცმევდათ, როცა გციოდათ, გაჭმევდათ როცა გშიოდათ. ეხლა დაბერდა ის, მაშ მიუშვირეთ თოფი და გაუგმირეთ გული! რომელია თქვენში ამ საქმის ჩამდენი, რომელი აიღებდა თქვენს მამაზე ხელს? არავინ?! მაშ რა ვუწოდოთ იმ კაცს. რომელიც ასე მოიქცევა, რომელიც ჩვენ წაგვართმევს ჩვენს სულიერ აღმზრდელს, ჩვენს სულიერ მასაზრდოებელს? დაუძახებთ თქვენ მას იუდას თუ არა? (ხალხის ხმა : იუდაა, იუდა!) იყოს წყეული თუ არა? (ხალხის ხმა: იყოს წყეული. იყოს წყეული!)..."

მცხეთის გამოლმა, ჯვრის მონასტრის ძირში, პროცესიას დაუხვდნენ მცხეთელები სამი მღვდლით, საეკლესიო დროშებითა და გვირგვინით, რომელსაც ეწერა: : ჩვენს მეზობელსა და დიდ მოღვაწე პოეტს ილია გრიგოლის ძეს მცხეთის საზოგადოებისაგან". მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა ჯალიაშვილმა.

მუხათ გვერდზე, რკინის ხიდთან მთელ ავჭალას მოეყარა თავი. ყველანი აქ იყვნენ: მოხუცი, ახალგაზრდა, სოფლის დედაკაცები, ინტელიგენტები, სასოფლო სკოლა ქალ. მასწავლებელ წვიმაძის მეთაურობით. იმათ ის იყო ზემო-ავჭალაში პანაშვიდი გადაეხადათ და ეკლესიიდან პირდაპირ მუხათგვერდზე ამოსულიყვნენ. მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ანდრო ადამიძემ, და პროცესია ისევ გზას გაუდგა.

დიღმის მინდორზე დიღმელი გლეხები დახვდნენ პურის თავთავების გვირგვინით, რომელზედაც ეწერა: „კაკო ყაჩაღის" დამწერს დიღმის გლეხებისგან" და ერთი კუპლეტი „კაკო ყაჩა-

ღი"-დან. აქაც მღვდელმა ივანე სოღოლაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა. ზოგი ტფილისიდან წამოსულიყვნენ და თეთრ დუქანთან დაგვხვდნენ იქიდან მოყოლებული ვერის ბაღამდე ხალხი გზა-გზა თანდათან გვემატებოდა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გვიხვდებოდა და პროცესიას უერთდებოდა. ჯერ ჯვართან არ ვიყავით მისული, რომ პროცესია რამდენიმე ათას კაცს აღემატებიოდა.

ტფილისში

ჯერ ისევ თორმეტი საათი იყო რომ ქალაქის სხვა და სხვა კუთხიდან, კანტი–კუნტად, ხალხი ვერისაკენ მოდიოდა. ამინდი ამ დღეს მშვენიერი იყო მხოლოდ ოდნავი ქარი ქროდა პირველ საათზე ვერისკენ უკვე მთელი ჯგუფი მიდიოდა, მიჰქროდა ეტლები, მიჰქონდათ ათასნაირი გვირგვინი. ორ საათზე ხალხით გაივსო მთელი გორაკები ვერის ბაღების თავზე. ოლღას ქუჩა, ჯვრიდან დაწყებული ზევით გავაკებამდე, ხალით იყო სავსე. ყველა საქართველოს სამხედრო გზას გაჰყურებდა. სამს ჩარექი აკლდა, როდესაც მოვიდა პროცესიის წინამორბედი ორცხენიანი სამგლოვიარო ეტლი.

სწორედ სამი საათი იყო. როდესაც პროცესია გამოჩნდა. წინ მოუძღოდა შავებში გამოწყობილი თხუთმეტიოდე ცხენოსანი. შემდეგ ბალდახინით მოჰქონდათ კუბო, რომელშიაც ესვენა ძვირფასი გვამი. კუბოს მისდევდა ორმოცამდე გლეხი, შემდეგ სამოცამდე ეტლი. პროცესიას, ხალხის გარდა ვერაზე დახვდა სამი ქართველი ეპისკოპოსი და დიდ-ძალი სამღვდელოება. მისვლისთანავე გადაიხადეს მცირე ლოცვა. შემდეგ დაიწყო სიტყვები წარმოსთქვეს მღ. თალაქვაძემ. ვლ. მიქელაძე, ილია ზურაბიშვილმა, სილოვან ხუნდაძემ (ლექსი), ჩვენმა თანამშრომელმა ბატონმა.

ამის შემდეგ დაიძრა პროცესია. სურათი საუცხოვო და დიდებული იყო, რომლის მაგვარი ტფილისს ჯერ არ უნახავს. წინ მიდიოდნენ დეპუტაციები და მიჰქონდა გვირგვინები. გვირგვინი უთვალავი იყო და ამასთან ათასნაირი. 8-9 ვერცხლის გვირგვინი იყო. ყველას ყურადღებას იქცევდა რამოდენიმე ცოცხალ ყვავილისაგან გაკეთებული გვირგვინი ტფ. ქართველ ქალთაგან. პროცესიაში მონაწილეობას იღებდა ხევსურების ოცამდე წარმომადგენელი.

ცხედარს ბალდახინით მიასვენებდნენ და უკან უამრავი, უთვალავი ხალხი მიდიოდა. სულ ცოტა სამოცი ათასი კაცი და ქალი იქნებოდა. გალობდა რამდენიმე გუნდი-ყმაწვილებისა, მოსწავლე ქალებისა და ვაჟების. მთელ გზაზე ჯვრიდან დაწყებული სიონამდე დუქნები და მაღაზიები სულ ერთიანად დაჰკეტეს, ტროტუარები ყველგან ხალხით იყო სავსე. სანახავი იყო პროცესია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გოლოვინის პროსპექტზე გაიშალა. პირველ გიმნაზიასთან ცხედარს სამგლოვიარო ჰანგით დაჰხვდა გიმნაზიის მემუსიკეების გუნდი. სამხედრო ტაძართან ცხედარს თავის ამალით დახვდა ნამესტნიკი და სასახლის ქუჩამდე გააცილა. წერა-კითხვის საზოგადოების სადგომი ქუჩის მხრიდან ძაძით იყო შემოსილი. შუა ადგილას განსვენებულ მგოსნის სურათი ეკიდა, სამგლოვიარო არშია შემოვლებული.

საუცხოვო სანახავი იყო ქუჩები ერევნის მოედნიდან დაწყებული სიონამდე, სადაც უმთავრესად სომხობა სცხოვრობს სახლები ყველგან სამგლოვიარო ძაძით იყო მორთული. თითქმის ყველა სახლიდან შავი დიდი დროშა იყო ჩამოშვებული. ამ სურათმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ პროცესიაზე. სიონის ქუჩაზე, მთელ ქუჩის სიგანეზე, გამართული იყო ყვავილების საუცხოვო კამარა. შუაზე განსვენებულის სურათი ეკიდა, ყველგან ამ ვიწრო ქუჩებში სახლის სახურავები უთვალავის ხალხით იყო გაჭედილი.

ასე დიდებულად მიასვენეს დიდებული გვამი სიონში. სიონში პროცესია მივიდა 5 საათზე. ტაძარში გადაიხადეს პანაშვიდი, რომლის შემდეგაც ეპისკოპოსმა ლეონიდმა სიტყვა წარმოსთქვა.

ამ პროცესში, საუცხოვო სურათმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. ბევრგან იმ დღეს წარმოთქმულ სიტყვებზე ქვითინი და ტირილი გაისმოდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად დიდ-ძალ ხალხისა, წეს-რიგი სამაგალითო იყო." ამ ინფორმაციას დავსძენ: როგორც გაზეთი „ჩვენი გზა"(№6) იტყობინება, პირდაპირ პროცესიიდან აუყვანიათ რამდენიმე ეჭვმიტანილი. მაგრამ ზოგი იმ დღეს, ზოგი მეორე დღეს გამოუშვიათ ბრალის დაუდასტურებლობის გამო.

●

იმ უამრავი წერილიდან და სიტყვებიდან, რომელიც ილიას დაკრძალვის წინა დღეებში და დაკრძალვის დღეს დაისტამბა და წარმოითქვა, მკითხველს მინდა გამორჩევით რამდენიმე შევთავაზო.

შერჩევას ვახდენ არა მხოლოდ ამ წერილებისა და ცხედართან წარმოთქმული სიტყვების თავისთავადი ღირებულების გამო, არამედ იმ ვითარების დასასურათებლადაც, რომელიც იმ დღეებში სუფევდა.

საზოგადოებრივი მაჯისცემა კი სხვადასხვაგვარი იყო.

უპირველეს ყოვლისა, დიდიან-პატარიანად, მთელი ერი, ნაფიცი ბოლშევიკების გარდა, როგორც ვთქვით, შეძრწუნებელია, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რამდენად დიდი გავლენა უნდა ჰქონდეთ სოციალისტებს, რამდენად დიდი შიში ჰქონდათ მათ ხალხში დათესილი, რომ ამ მძიმე დღეებშიც კი, ამ საყოველთაო აღშფოთების ჟამსაც კი, მათი პირდაპირ ხსენება გაბედულების დიდ გამოვლინებად ითვლება. მართალია, ჯერ მკვლელები არ არიან დაჭერილნი და არც მათი აღიარებითი ჩვენებები ხალხმა არ იცის, იქნებ ამიტომაც ფრთხილობენ პარტიას დაადონ ხელი, მაგრამ შინაგანი რწმენა ყველას აქვს, ყველამ კარგად იცის, ვის შეეძლო ეს უბედურება ჩაედინა.

მით უფრო, მკვლელობამდე, როგორც ზემოთ ვნახეთ, ისინი არც მალავენ თავის განზრახვას. გაიხსენეთ ზ.ჭიჭინაძის ცემის ეპიზოდი. ეპიზოდი ახატნელების მუქარისა. ბახვის კრება. მკვლელობის შემდეგ ჩაჩუმდნენ, როცა ხალხის რეაქცია ნახეს, რაც მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა...

წერილები და გამოსვლები პირობითად სამგვარ დამოკიდებულებას ასახავს.

1. მოღვაწეთა ერთი მცირე ნაწილი გაბედულად ამხელს სამშობლოს უარმყოფელთა კასტას. იმართება დისკუსია ფედერალისტებისა და სოციალისტების გაზეთებს შორის, განსაკუთრებით რადიკალი და გაბედულია ანარქისტი მიხაკო წერეთელი და ილიას თაბამებრძოლი ვალერიან გუნია.

2. მოღვაწეთა მეორე ნაწილი, ძველი თაობის ეროვნული ძალები, შიშობენ ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე არ მივიდეს, ამიტომ წყევლა-კრულვას უთვლიან რა მკვლელებს, მწარედ ახსენებენ რა რევოლუციას, რომლის სახელითაც ილია ჭავჭავაძე იქნა მოკლული, ამასთან, ითხოვენ არა შურისძიებას, არამედ ძე შეცთომილთა" გამოფხიზლებას და წაღმართ გზაზე დადგომას.

ეს სიფრთხილე ჩანს აკაკის, თვით ვაჟას წერილებში და გამოსვლებშიც.

3. მათი სიფრთხილე რომ უსაფუძვლო არ იყო, ჩანს ერთი გამოსვლიდან, მენშევიკი კარლო ჩხეიძე ილიას დაკრძალვის დღეს

სიტყვას წარმოსთქვამს მთაწმინდაზე. მართალია, ილიასადმი პატივისცემით გამსჭვალულ სიტყვას, მაგრამ ისეთი აქცენტებით, სოციალისტებთან დაპირისპირებული ძალებისადმი ისეთი მუქარის შემცველ სიტყვას, რომ იმ სიტუაციაში მისი წარმომთქმელი ან გიჟი უნდა ყოფილიყო, ან ტერორისტებით იმედმიცემული.

თუ ილიას ცხედართან, ზღვა ხალხში, თავხედურ განცხადებას გააკეთებდა, ადვილი წარმოსადგენია, რას უბედავდნენ ესენი ეროვნულ ძალებს მანამდე და მას შემდეგ, როცა ყველაფერი ჩაწყნარდა.

აი ამ სურათის დასახატად გთავაზობთ წერილებს პირობითი დაყოფით.

რადიკალების პოზიცია.

ზომიერების პოზიცია.

მენშევიკების ანუ თავხედური პოზიცია.

ბოლშევიკები, რომელთაც ქუდი ეწვოდათ, როგორც გითხარით, იმ დღეებში საჯაროდ არსად გამოჩენილან.

რადიკალების პოზიცია ყველაზე უკეთ ასახა მიხაკო წერეთელმა. მან სიტყვა წარმოსთქვა 7 სექტემბერს, საგურამოდან თბილსში ილიას ცხედრის ჩამოსვენების დღეს, მაგრამ უფრო საინტერესოა წერილი, რომელიც სტამბური წესით აეწყო და მთელ საქართველოში გავრცელდა ილიას დაკრძალვის წინა დღეებში. წერილი, რომელიც გაზეთებში არ დაბეჭდილა. ეს იყო გულანთებული მამულიშვილის ამოძახილი, რომლის ავტორი გ. შარაძის აზრით (რასაც თავადაც ვიზიარებ) **მიხაკო წერეთელი** უნდა იყოს.

აი, ეს ბრწყინვალე წერილი – მოწოდება:

მიხაკო წერეთელი

ქართველებო!

საქართველოს თავ-ლაფი დაასხეს! შერყვნეს და შელახეს მისი ღირსება, მისი თავ-მოყვარეობა! არც ერთი ფაქტი ჩვენის ცხოვრების უბედობის დამახასიათებელი ისეთი თავ-ზარდამცემი, ისეთი საზიზღარი, ისეთი სასირცხო არა ყოფილა საქართველოსათვის, როგორც ილია ჭავჭავაძის და მისი ოჯახის ამოწყვეტა. თავზარდამცემია ეს საშინელება, იმიტომ რომ ჩვენ მეორე ილია აღარ გვყავს და მგონი აღარც დაიბადოს გათახსირებულ ცხოვრე-

ბაში! საზიზღარია ეს მოვლენა, იმიტომ, რომ დიდებულ ადამიანს წარუტაცეს ავაზაკურად სიცოცხლე არა ყაჩაღებმა და ქურდებმა ანგარებით, არამედ, როგორც თვალ-ცხადათა სჩანს, ვითომცა და რომელიმე პრინციპის მქონე ჯგუფმა და ადამიანებმა, თავიანთ ვითომც და იდეის" განსახორციელებლად და ილიას დასამცირებლად! სასირცხოა იგი მთელი საქართველოს ერისათვის იმიტომ, რომ ილია მოკვდა საქართველოს მიწა-წყალზედ, სწორედ იმ ადგილას, რომელსაც მან მთელი თავისი სიყვარულის ძალითა და დიადი ნიჭით დაწერილი ლექსი უძღვნა, – იმიტომ, რომ ილია მოკვდა შეიძლება ქართველის ხელითაც!

როგორ! ილია ჭავჭავაძე, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში საქართველოსათვის შრომობდა, მღეროდა და სტიროდა, ილია, რომელსაც არც ერთი საქართველოს ჭირი არ გამოჰპარვია რომ არ აღენიშნა და ყოველთვის ბრძნული წამალი არ ენახა, ილია, რომელმაც მე-XIX საუკუნის რუსთაველი იყო საქართველოსათვის, რომლის ენითაც ლაპარაკობს მთელი საქართველოს მწერლობა, მთელი საქართველოს უბრალო წერა-კითხვის მცოდნე ხალხიც კი, ილია, რომელიც საუკეთესო დამამშვიდებელი, ბრწყინვალე გვირგვინი იყო ჩვენ ისედაც ღარიბ კულტურისა, – ეს ილია ჭავჭავაძე საქართველოშივე ქართველებმა მოჰკლეს?! ჰოი, უმადურნო, ბრმანო და საზიზღარნო! ნუ თუ მართლა ჩაიდინეთ ასეთი დანაშაული, – დანაშაული, რომლის მსგავსი მსოფლიო ისტორიას არ გაუგონია, დანაშაული, რომელიც მართლაც დაამტკიცებს მთელი ქართველობის მართლაცა და სრულ გადაშენებას?

სირცხვილი ჩვენთვის, ქართველებო, თუ მართლა გავხდით მონამენი ასეთის ჩვენის დამცირებისა, ჩვენი სასაცილოდ აგდებისა ჩვენივე თავის მიერ, სირცხვილი ჩვენ დამცირებულსა და ფეხ ქვეშ ჩგათელილ სამშობლოს, რომ ჩვენივე ხელით ტყვიებით დავხრიტეთ ჩვენი უპირველესი ადამიანი, როგორც უბრალო დამნაშავე ან ქურდი! სირცხვილი მთელ საქართველოს, თუ მან ისეთნაირად დაჰკარგა ყოველივე სინდისი და გრძნობა, რომ ხმა არ ამოიღო, არ მოიწმინდა ასეთი საშინელი შეურაცხმყოფი ჩირქი, რომელიც მას წასცხეს თავიანთმავე უბედურ შვილებმა! მაშინ მართლაც მთელი საქართველო ყოფილა ავაზაკური სულისა და გულის, ცინიკური რწმენისა და დაბნელებული გონების პატრონი! რასაკვირველია, მაშინ იგი სირცხვილის სინითლესაც ვეღარ იგრძნობს! მაგრამ თუ ჯერ ჩვენში სინდისი არ მომკვდარა, თუ კიდევ ცოტა რამ მაინც

შეგვრჩენია ადამიანობისა, თუ საქართველოში ყოველი ქართველი ჯერ კიდევ არ გამხდარა სულ მხეცად უგუნურად და გარყვნილად.

ქართველებო! ნუ ვაპატიებთ ნურავის ასეთ საშინელ შეურაცხყოფასა და უბედურებას, ნუ მოვიჭრით თავს ქვეყანაში! უგუნურმა ხალხმა ქრისტე ჯვარს აცვა, იუდის შური ქრისტეს მეგობრებმა ვერ იძიეს, მაგრამ ეს მოხდა ოცი საუკუნის წინად! ნუ თუ ეხლა მთელი საქართველო უნდა შეიქმნეს იმ ადამიანის ჯვარმცმელი, რომელმაც სამოც წელზედ მეტი იმსახურა, ნუ თუ მთელი საქართველო იუდათ უნდა გადაიქცეს?

ქართველებო! ხელი ხმალს, მოვიდა ჟამი ნამდვილი თავის დაცვისა ყველა ოხერთაგან, ციინიკოსთაგან, უნამუსოთაგან, კაცის მკვლელ ავაზაკთაგან, ჩვენ შეურაცხმყოფელთაგან და თავლაფ-დამსხმელთაგან! ხელი ხმალს და საშინელი სასჯელი მათ, ვინც უკანასკნელად ლაფში ამოსვარა მთელი საქართველოს სახელი! სადღა გამოვყოთ თავი სირცხვილით? ვიღას რა ვუთხრათ, – ან ახლო, ან შორეულ მეზობლებს? ქართველებმა ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს! – იცით, რას ნიშნავს ეს საშინელი სირცხვილი? – ეს ნიშნავს: რუსებმა ტოლსტოი მოჰკლეს, გერმანელებმა ჰეინე მოჰკლეს, ინგლისელებმა – ბაირონი, ფრანგებმა – ვიქტორ ჰიუგო! აი, რას ნიშნავს ეს, ვინაიდან ჩვენი ჰეინეც, ჰიუგოც, ბაირონიც, ტოლსტოიც, – ილია იყო. მისი გონების შემოქმედება იყო ჩვენი ერთად ერთი დიდება, სინტეზი ჩვენი ლიტერატურისა; ილია იყო ჩვენი პუბლიცისტი, ბელლეტრისტი, პოეტი, – ყოველისფერი, – თითქმის მთელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში! მაგრამ ფრანგებს ჰიუგო არ მოუკლავსთ, გერმანელებს – ჰეინე, ინგლისელებს – ბაირონი, რუსები ტოლსტოის არ მოჰკვლენ, – ჩვენ კი მოვკალით ჩვენი ილია, – ამით სამუდამოდ დავისვით შუბლზედ მთელმა საქართველოს ერმა იუდობის ბეჭედი და დავსწყევლეთ ჩვენივე თავი უკუნითი უკუნისამდე!

ქართველებო! მხოლოდ საშინელი შურის ძიებით შეიძლება ამ იუდობის ბეჭდის ჩვენი შუბლიდან მორეცხა! ხელი ხმალს იკარ, ქართველო, დღეს დამტკიცდება შენი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა, თუ დაიცავ შეურაცხყოფილსა და ლაფდასხმულ თავს მთელი შენი ახალი ისტორიისა და თავმოყვარობის წამბილწველთაგან!

მაგრამ თუ ჯერ კიდევ ისე არ დავცემულვართ ჩვენდა საბედნიეროდ, რომ ილიას სიკვდილი ჩვენი საკუთარი ხელიდან არ გამოსულა, თუ ქართული სინდისი ისე არ გამქრალა ჯერ, რომ ჩვენ

არ ჩაგვიდენია ეს საშინელი დანაშაული ჩვენივე თავის წინაშე, – თუ ილია სკვითთა მსხვერპლია, ისე, როგორც ჰერცენშტეინი და იოლლოსი.

ქართველებო! ნურც მაშინ შევაწევთ მტერს ასეთ დანაშაულს, ხელი ხმალს მაშინაც და ავინაზღაუროთ ის საშინელი დანაკლისი, რომელმაც ილიას სიკვდილით ყველა ჩვენ უბედურებასთან შედარებით გაცილებით უფრო გაგვანადგურა! იყო შავი დრო, როდესაც სკვითი უგვანო წარდგა მძინარე დიმიტრი ყიფიანის წინაშე და მირონცხებულ მოსუცსა" ავაზაკურად შეახო ხელი, და ნუ თუ ეხლაც, უარეს შავ დროს, ილიასაც შეახო სკვითმა თვისი უწმინდური ხელი?!...

ქართველებო! კმარა ამდენი მოთმინება! აღივსო მოთმინების ფიალა! ვინც უნდა იყოს მკვლელი, გარეული თუ შინაური, – დაჰკარ, ვაუკაცო, გულ-ცივად და შეუბრალებლად, ნათელი სინდისი გიძღოდეს წინ ამ სამართლიან შურის ძიების წმინდა საქმეში! დაჰკარ და გაუპე გული უწმინდურთა და უგვანოთა, რომელთაც დღეს სრულიად უმიზეზოდ გლოვის ზარით აამღერეს მთელი საქართველო, სამგლოვიარო შავი ზეწარი გადაჰხურეს მის ისედაც განადგურებულ, გადამწვარ, შეურაცყოფილს და გაუპატიურებულ მიდამოებას! კმარა ამდენი სილაჩრე აზრითა, მოქალაქეობრივობითა და იარაღითა! კმარა ქალაჩუნობა და მონურად ქედის მოხრა ყველა შინაურსა და გარეშე წუნკალ მტერთა წინაშე!

ქართველებო! ვინც უნდა იყოს დამნაშავე, – გარეშე თუ შინაური, – ერთნაირი შურის ძიება მათ, სასტიკი, ულმობელი და ღირსეული! ამაზე მეტი რაღა უნდა დაგვმართონ, რაღას ვიცდით?! ქართველებო! შემოკრბით საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩვენ სატახტო ქალაქში, თბილისში, განურჩევლად სჯულისა, რწმენისა და ადგილისა! მართლ-მადიდებელნო, მაჰმადიანნო და კათოლიკენო, – ქართლ-კახელნო, გურულ-იმერ-მეგრელნო, აჭარა-ქობულეთელნო, მესხნო და ჯავახელნო, – ყველანი შემოკრბით რომ ჩვენს საერთო მამასა და მასწავლებელს, ასე ვერაგულად წართმეულს, უკანასკნელი გამოსალმების სიტყვა ვუთხრათ! შეიძლება აქაც ვიღონოთ ჩვენ მტერთა აღმოჩენა და მათი დასჯა საერთო ძალით! ეს ხომ ბუმბერაზული ომი არ არის, ერთი იმ ომთაგანი, რომელსაც წინად ვეწეოდით ხოლმე ურიცხვ მტერთა მოსაგერებლად! ეს უბრალო თავის დაცვაა შეურაცხყოფისაგან, იმ ადამიანთაგან, რომელითაც მთელ საქართველოს ასეთი სასირცხვინო სილა გააწნეს საჯაროდ! გვიწვევენ? უნდათ ჩვენი გამოცდა? – მაშ

ნუ დავლაჩრდებით ნურაფრით, შევიყარნეთ და იქნებ გავიგოთ, ვნახოთ, ვინ არიან და როგორნი ჩვენზედ უკანასკნელად მოსულნი მტერნი! ქართველებო! თუ მთლად ერთიანად არ დავცემულვართ, აღვასრულოთ ეს მცირედი საქმე და მტრის სასაცილოთ ნუ გავიხდით თავებს ამ საშინელი შეურაცყოფის შემდეგ მაინც, თუ გინდ რომ ყველამ ვიხილოთ ჩვენი თავისვე მახვილით განგმირვა".

ასევე რადიკალური მოწოდებით გამოდის **იაკობ გოგებაშვილი.** ქართველთა განმანათლებელი ბნელეთის ნაბიჭვრებს უწოდებს ილიას მკვლელებს და აცხადებს, რომ არაფერს არ უნდა შევუშინდეთ. ცხადია, როცა ამას ამბობდა მკვლელობის შემსრულებელ ავაზაკთა შიში არ ჰქონდა მხედველობაში. დავიმახსოვროთ, რას წერს იაკობი ილიას მკვლელობის დღეებში, სულ მალე ის მკვლელთა მიმართ შენდობის მორალს იქადაგებს, რატომ? ამ კითხვაზეც პასუხი გვექნება გასაცემი. ახლა კი **იაკობის** წერილს გავეცნოთ.

შურის ძიება ისტორიისა

შეუდარებელი, უებრო შურის-ძიება იცის ისტორიამ. საუკეთესო ისტორიკოსები იმ აზრზე დგანან, რომ ქრისტიანობა პატარა, ადგილობრივ სარწმუნოებად დარჩებოდა, თუ რომ იესო ნაძირალა ებრაელებს ჯვარს არ ეცვათო. ამ უბედურებს ეგონათ, რაკი იესოს საზარელ სიკვდილს მივცემთ, მასაც საშინლად დავამცირებთ და მის სწავლასაც ამოვფხრით და გავაქრობთო. ნამდვილად კი სწორედ ამ საზარელმა სიკვდილმა, ამ ჯვარცმამ, გააღმერთა იესო, გახდა იგი საგნად უსაზღვრო თაყვანისცემისა, უმხურვალეს სიყვარულისა, მიანიჭა იმის სწავლას უძლეველი ძალა, მოჰფინა იგი კიდითი-კიდედ და ქრისტიანობა გარდააქცია მსოფლიო სარწმუნოებად; ჯვარცმულის ჯალათნი კი გააკრა კაცობრიობის თვალში სამარცხვინო ბოძზე უკუნითი უკუნისამდე.

სწორედ ესევე აცხადებდა (და უკვე ცხადდება) ჩვენს უნიჭიერესს პოეტსა და დიდ მამულიშვილზე, რომელსაც ეხლა გლოვობს უმაგალითო მგლოვიარობით მთელი ქართველობა, გარდა **ბნელეთის ნაბიჭვრებისა.** უსულ-გულო და უტვინო ორფეხა მხეცები ვერაგულად ჰკლავენ საშინელის სიკვდილით საუკეთესო შვილს საქართველოსას, რასაკვირველია, იმ განხრახვით და იმედით, რომ დაემცირებინათ მისი დიდებული სახელი მისი დიდი გავლენა ქართველობაზე. მაგრამ თავისისავე უგუნურის და წყეულის

თვალებით იხილავენ სრულიად წინააღმდეგს ნაყოფს თავიანთ საზიზღარ მკვლელობისას. ამ ვერაგულის მოკვლის შემდეგ ილიას სახელი მოიცვის დიდებულ მოწამის შარავანდედით, ერთი ასად იმატებს ის ღრმა პატივისცემა, ის თაყვანება, რომლითაც ყოველი ჭკუათა მყოფელი ქართველი გამსჭვალული იყო მისადმი; ერთი ასად გაიზდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც იმის ქმნილებებს ჰქონდა და ქართველობა ამ მის ქმნილებებს დაეწაფება სრულის გაუმაძღარობით. რაც ილიას დიდებას აკლდა სიცოცხლის ჟამსა, მის მკვლელობის შემდეგ უკლებლად შეივსება და იგი იწყებს ბრწყინვას, როგორც უდიდესი მნათობი საქართველოსი. მოკლე ხნის განმავლობაში მთელს საქართველოში აღარ დარჩება არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ ამშვენებდეს ილიას სურათი, როგორც უძვირფასესის და სათაყვანო ხატისა.

დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, რაც უფრო ზედმიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილს ილიას, შეიგნებს იმის დიდებულს და წმინდა ქართულს ენას, მისს მაღალს აზრებს, პროგრესიულს იდეალებს, მის დემოკრატიულს მიმართულებას, წმინდა ეთიკას სრულის ადამიანობისას, ამისათვის კი ყველაზე მეტად საჭიროა მოფენა კიდით-კიდედ მისი ქმნილებებისა, გავრცელება მისის თხზულებებისა მთელს ჩვენს ქვეყანაში.

ვინ უნდა იკისროს ეს დიდი საქმე? სათავად-აზნაურო ბანკმა და საქართველოს თავად-აზნაურობამ მათ ის პენსია, რომელსაც ილია იღებდა, უნდა წლითი-წლობით გადასდონ საგამომცემლო თანხად, იმის თხზულებების დასაბეჭდად, შეუკვეთონ ევროპის საუკეთესო მხატვრებს მათი დასურათება, ყოველი ქმნილება მისი, ჩინებულად დასურათებული, გამოსცენ ცალკე წიგნად, სულ მცირე ფასი დაადონ და მთელს საქართველოში მოჰფინონ.

ეს მოფენა ისეთს ნაყოფს გამოიღებს, რომელსაც ეხლა ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ. ილია იყო არა მარტო დიდი ნიჭის პატრონი, არამედ დიდად განვითარებული ინტელიგენტი, შემკული იშვიათის მხატრობითი ნიჭით და ნამდვილი ბრძენი. ამიტომ იმის ქმნილებათა მოფენა დიდ სარგებლობას მოუტანს ქათულს აზროვნებას და სიტყვიერებას.

როცა ქართველი გლეხობა გაიცნობს ილიას ნაწერებს, გადაიკითხავს იმის „კაცია ადამიანს", „გლახის ნაამბობს", „კაკოს" თავგადასავალს, იმის მუშას და სხვა დემოკრატიულს ქმნილებას, იგი ცხადად დაინახავს, თუ რა დიდი მოციქული იყო ილია გლეხთა განთავისუფლებისა და აღორძინებისა. მაშინ იგლოვს იგი იმის სიკვ-

დილს ბევრად უფრო მეტის მწუხარებით და ცრემლებით, ვიდრე ეხლა ჰგლოვობენ დაწინაურებულნი ნაწილნი ქართველი ერისა...

ეს იქნება საუკეთესო შურისძიება, ღირსი ჩვენის დიდებულის მიცვალებულისა...

ამასთან ჩვენ უნდა მხნედ შევუდგეთ დიაგნოზს იმ საზოგადოებრივის სენისას, რომელმაც ისე მხეცურად იმსხვერპლა მგოსანი. ჩვენ უნდა უსათუოდ აღმოვაჩინოთ მხეცი მკვლელები და მათი ხელმძღვანელნი, თუ ჰყავდათ. არაფერს არ უნდა შევუშინდეთ, არაფერი არ უნდა დავმალოთ, რადგან დამალვით სენი კი არა რჩება, ძლიერდება, ხრწნის საზოგადოებრივს ორგანიზმს და სიკვდილს უმზადებს ერს.

იაკობ გოგებაშვილი

ე.წ. რადიკალების პოზიციის ყველაზე უკეთ დაცვა სილოვან ხუნდაძემ მოახერხა. მან განმარტა, რომ ქრისტე პირადი მტრის შენდობისაკენ მოგვიწოდებს და არა მამულის მტრის შესაბრალებლად. ილიას მკვლელებს კი რომ შესძლებოდათ ხომ საქართველოსაც მოჰკლავდნენ? ს.ხუნდაძის წერილით ვასრულებ იმ ქართველების გულისთქმის გადმოცემას, რომელნიც შურისსაძიებლად მოუწოდებდნენ ერს.

ს. ხუნდაძის სიტყვა

საქართველოს მტერნო, ნუ გიხარიათ! ილია ჭავჭავაძე არ მომკვდარა, ის ცოცხალია – და მარადის ცოცხალი იქნება ქართველი ერის გულსა და გონებაში! საქართველოს მტერნო, ნუ გიხარიათ! ილია ჭავჭავაძემ თვისი მოწამებრივი სიკვდილით თვისი დიდებული სახელი კიდევ უფრო გაადიდა, კიდევ უფრო მკვიდრი, უფრო მშვენიერი ძეგლი დაიდგა! თქვენი საზარელი მკვლელობით თვით თქვენი თავი მოიკალით, თქვენი გული გამოიღადრეთ! ამიერიდან ქართველი ერი თქვენ საქმეებს დაგმობს, თქვენს სახელს ზიზღით მოიხსენიებს! ქართველო ხალხო, გონს მოდი, გამოფხიზლდი, გაარჩიე მტერი და მოყვარე! გარეშე მტრებმა ვერაოდეს ვერ შესძლეს შენი დამონება, შენი შერცხვენა, მხოლოდ შინაური მტრები შეიქნენ შენი შემრცხვენელნი! ქართველებო, ნუ დაივიწყებთ შოთას სიტყვებს: მოყვარე, მტერი ყოვლისა, მტრისაგან უფრო მტერიაო!".

●

მოჰკლეს, გაგმირეს მგოსანი,
ქვეყნისა მაშენებელი,
ქართველი ერის სახელის
დამცველი, დამშვენებელი!..

—

ვინ, ვინ არიან ეს მტერნი,
ეს საზიზღარი მკვლელები?
ხალხისა მტერნი, უგნურნი,
ეს შხამიანი გველები?!

—

არ გვეყო, გარეშე მტერნი
რომ გვაყენებენ დღეს შავსა?!
შვილებიც საფლავს უთხრიან
სამშობლოს ტანჯულს, ბეჩავსა?.

—

რა ამბავია, რას ვხედავთ?!
სად არის საღი გონება?!
თვით ჩვენვე დავგმოთ, შევმუსროთ
ჩვენი განძი და ქონება?!.

—

იესო როცა ჯვარს აცევს,
ვერ სცნობდენ ერთი მეორეს...
მეოცე საუკუნეშიც
ის ჯვარცმა გაიმეორეს?!.

—

გაგმირეს გული მებრძოლი,
ქვეყნისთვის აძგერებული!
გახვრიტეს შუბლი, ციური
მადლითა მირონცხებული.:.

—

სხვაგან – სიცოცხლით ძეგლს უგებენ
დიდებულ მამულიშვილსა, –
ჩვენში – სიცოცხლეს უსპობენ,
არც კი აცლიან სიკვდილსა?!.

—

მოძმენო, არა ილიას –
თვით ერსა კლავენ ბილწები...

ნუ თუ ყველანი დავყრუვდით,
რომ გვფლობენ ქუჩის ბიჭები?!.

—

ჩვენი ვალია – მოვსძებნოთ
ეს მაწანწალა გმირები,
ბრბო, ჩვენი ქვეყნის გამრყვნელი,
ერისა დამამცირები!.

—

მოვსძებნოთ – და ჯვარს გავაკრათ
მათთან, ვინც მათი მცველია,
ვინც ჩვენი ერის მომსპობი,
მდაგველი, ცეცხლითიმწველია...

—

მე მესმის ქრისტეს მოძღვრება:-
ნუროდეს ვსდევნით პირად მტერს, -
მაგრამ ქვეყნისა ორგულებს
ნუ ვაპატიებთ ნურაფერს!

●

პოზიცია, რომელიც ამ კონკრეტული შემთხვევისათვის ე.წ. ზომიერთა წერილებსა და გამოსვლებში იყო გამოხატული, გამოწვეული გახლდათ, როგორც ვთქვით, სამოქალაქო არეულობის შიშით. ყველა ერთბაშად მიმტევებლობის ვნებით იქნა შეპყრობილი, მათ შორის მოგვიანებით გონსმოსულ ოლღასაც მკვლელთა შეწყალების წერილზე მოაწერინებენ ხელს.

მესმის რომ ეს თამამი განცხადებაა, ალბათ არაპოპულარულიც, რადგან ოლღას ცნობილ წერილზე, რომლითაც ილიას მკვლელთა შეწყალებას ითხოვდა, ლამის მთელი მსოფლიო ალაპარაკდა, როგორც ჰუმანურობის უმაღლეს გამოვლინებაზე. ამასთან დაკავშირებით დაიწერა ლევ ტოლსტოის ახლო მეგობრის, მწერალ ივანე გორბუნოვ-პოსადოვის წერილი, რომელშიც იგი ამბობს – **„აქამდინ ვიცოდით, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდის; ახლა უნდა ვსთქვათ: ზნეობრივმა მზემ აღმოსავლეთიდან-საქართველოდან აღმოაშუქა".**

გორბუნოვის წერილის წყალობით ოლღას წერილის ტექსტს ლევ ტოლსტოიც გასცნობია – „ეს წერილი განსაცვიფრებელია, – უთქვამს ტოლსტოის, – იგი ასეთი პასუხია კითხვაზე: თქვენ რომ მოეკალით?"

სხვათა შორის, 1908 წლის სასამართლოს განაჩენი მართლაც შეჩერდა, მაგრამ ინაშვილის დაჭერის შემდეგ (1908წ. 14 დეკემბერი) კიდევ ერთი სასამართლო პროცესი შედგა 1909 წლის 10-11 აგვისტოს. პირველი განაჩენი ისევ ძალაში დარჩა და მკვლელები 21 აგვისტოს ჩამოახრჩვეს. ესენი იყვნენ ივანე ინაშვილი, თედო ლაბაური და გიორგი ხიზანიშვილი. როგორც ითქვა, ციხიდან გაქცეული ფშავლიშვილი 1908 წლის დეკემბერში მდევარმა მოჰკლა, ხოლო მოძღვრიშვილი ციხეში მოკვდა. ამ საკითხს ერთი გარემოების გამო მივუბრუნდი. მე-2 პროცესზე ოლღა არ მისულა და აღარც შეწყალების თხოვნა გაუმეორებია.

ჩემის ფიქრით, მიმტევებლობის საყოველთაო ქადაგებას იმ კონკრეტულ მომენტში სინამდვილეში ღრმა თეოლოგიურ-ფილოსოფიური საფუძველი არ უნდა ჰქონოდა. როგორც ილიას ჭირისუფლებს, ისე ილიას მკვლელთა ქომაგებს, უფრო სწორედ, ბოლშევიკების მრევლს, არსებული გარემოება კარნახობდათ მიმტევებლობის ქადაგებას. პირველნი იძულებულნი იყვნენ, იმის გამო, რომ შესანიშნავად იცოდნენ, ქვეყანაში რეალურ ძალაუფლებას ფლობდნენ სოციალისტები.

სოციალისტები, იმის გარდა, რომ ძალა ჰქონდათ, ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მხარდაჭერას გრძნობდნენ მეფის ხელისუფლების მხრიდანაც. დიდი ანგარიშით, სახელმწიფო საბჭოში რევოლუციის მოწინააღმდეგე თავადი ილია უფრო საშიში იყო, ვიდრე რუსეთის სათათბიროში ქართველებისგან არჩეული რევოლუციონერები.

რატომ? სოციალ – დემოკრატები იქ იბრძოდნენ მეფის ინტერესების წინააღმდეგ, მათ მონარქის შეცვლა სურდათ.

ილია კი იქ იბრძოდა, მთლად რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ. მას საქართველოს დამოუკიდებლობა ეოცნებებოდა და ამ ოცნების განხორციელების პირველ ეტაპად ქვეყნის ავტონომიური მოწყობა მიაჩნდა.

ბუნებრივია, რუსის სახელმწიფო ინტერესისთვის კავკასიის რევოლუციონერები ილიასთან, სამოციანელებთან, ფედერალისტებთან, თუ სხვა პარტიებთან შედარებით, რომელთაც ცენტრიდან მოწყვეტა სურდათ, უფრო ასატანნი იყვნენ. როგორც ადრე ვთქვი, სოციალ-დემოკრატებისადმი სიმპათია, რუსეთის ერთიანობისადმი აზრთა თანხვედრის გამო, კავკასიის მეფისნაცვალს სწორედ 1907 წელს აქვს გაცხადებული იმპერატორთან.

ყოველივე ზემოთქმულისა გამო, სოციალ-დემოკრატებს აქვთ სხვა პარტიებზე მეტი ძალა, ჰყავთ წითელრაზმელთა მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ფორმირებები.

წითელრაზმელებმა ილიას მკვლელობის შემდეგ, დუშეთის მაზრაში – საგურამოს სიახლოვეს, 31 აგვისოტს, 1 სექტემბერს და 2 სექტემბერს სამ სოფელში სამი გლეხი გამოასალმეს სიცოცხლეს.

30 აგვისტოს შემდეგ სამ დღეში სამი ტერორი, სამივე დუშეთის მაზრაში არ უნდა იყოს შემთხვევითი. თუ ეს მკვლელობები 30 აგვისტოს ტერორისტულ აქტს პირდაპირ არ უკავშირდება (ვთქვათ მოწმეთა თავიდან მოშორება), შესაძლოა ხალხის დაშინების მიზნით ყოფილიყო ჩადენილი, რათა ხმა არავის ამოელო.

ერთი სიტყვით, თუ რუსეთში საზოგადო მოღვაწეებს ჟანდარმერიის აგენტები – რუსთა კავშირის წევრები, შავრაზმელები, ე.წ. პატრიოტები ხოცავენ, საქართველოში ქართველ მოღვაწეთა წინააღმდეგ იმავე როლს ქართველი ბოლშევიკები, მათი წითელრაზმელები ასრულებენ.

ამ სფეროში ბოლშევიკთა აქტიურობა რუსის მთავრობას ძალიან არ უნდა სწყინდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისინი საშიში ხალხია არა მხოლოდ იდეოლოგიით, საშიშნი არიან ფიზიკურად. თუ მათ კედელთან მიაყენებ, შეუძლიათ სამოქალქო სისხლისღვრის მოწყობაც. ჩემის ფიქრით, მიმტევებლობის მაღალ იდეას სინამდვილეში საფუძვლად ეს შიში უნდა სდებოდა. ფიქრი იმაზე, რომ როგორმე თავიდან აეცილებინათ სამოქალაქო დაპირისპირება.

რაც შეეხება ოლღას, მოგვიანებით ის თავად მისწერს მარჯორი უორდროპს, რა გარემოებაში დავწერე ჩემი ქმრის მკვლელთა შეწყალების თხოვნა, პირადად გიამბობო, ხოლო ირროდიონ ევდოშვილის დაი, ბაბილინა ხოსიტაშვილი დიდი ხნის შემდეგ დასტამბავს: ოლღას რომ ილიას მკვლელთა შეწყალების ბარათი დააწერინესო...

როგორც ვთქვით, შეწყალების იდეა, პირველ რიგში, ბოლშევიკთა მრევლს აძლევდა ხელს მკვლელთა დასახმარებლად. ვთქვათ სასულიერო პირებს, ან აკაკის, ვაჟას, იაკობს, ნაკაშიძეებს და ოლღას მაღალი იდეალები აწუხებდათ, რომელი ტოლსტოველები ბათუმელი მუშები იყვნენ, ხუთასმა კაცმა რომ ხელი მოაწერა და თბილსში წერილი გამოგზავნა – ნუ დასჯით ილიას მკვლელებსო?

აი, ამ შესავლის შემდეგ, ვფიქრობ მკითხველი დაკვირვებით წაიკითხავს ამ კონკრეტული საკითხისადმი იმ ზომიერთა წერილებს, რომლებსაც სწორედ სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილების მიზანი უნდა ჰქონდეთ. ასევე გასაგები გახდება მოგვიანებით გოგებაშვილის რადიკალური პოზიციის შეცვლაც.

საბოლოოდ, ჩემი ფიქრით, მიმტევებლობის ერთბაშად აფეთქებულ კამპანიას მკვლელთა ორგანიზატორების მხრიდან აქვს კონკრეტული მიზანი, უშველონ იმათ ვინც მართლმსაჯულებას ვერ გაექცნენ. საზოგადოებას აქვს თავისი მიზანი – შეწყდეს ტერორი და არ გაღრმავდეს სამოქალაქო დაპირისპირება. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი აზრიც ითქვა, რომ ოლღას წერილი მკვლელთა შეწყალების შესახებ გამოწვეული ყოფილაო „მკვლელთა ორგანიზატორების მხრიდან ოლღას დაშინებით და იძულებით". დასტურად ავტორს მოჰყავს 1909 წლის 11 მარტს ოლღას მიერ მარჯორი უორდროპისადმი მიწერილი წერილი, სადაც სიტყვასიტყვით წერია: რაც შეეხება ჩემს წიგნს, რომელიც „დროებაში" იყო დაბეჭდილი (იგულისხმება 1908 წლის 13 დეკემბრის პუბლიკაცია ოლღასი მკვლელთა შეწყალების შესახებ) გარემოებამ მიხელმძღვანელა მეთხოვა პატიება. წერილით სავსებით ვერ გაგაგებინებთ, და თუ ღმერთი მაღირსებს თქვენ ნახვას, მაშინ ყველაფერს თქვენ თვითონ გაითვალისწინებთ".

ეს წერილი მინიმუმ იმ ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ ოლღას შეწყალების თხოვნა თავად არ მოსვლია აზრად, მაგრამ უფრო დაარწმუნეს ასეთი ნაბიჯი გადაედგა.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ილიას სიკვდილის შემდეგ, მას სიცოცხლე იმდენად აღარ უღირდა, რომ მუქარით ვერავინ ვერაფერს აიძულებდა. ცხადია, დაარწმუნეს მისთვის სანდო ადამიანებმა, რომ ქვეყნისათვის, მგლების ხროვის განეიტრალების მიზნით, ამ ნაბიჯის გადადგმა სჯობდა. შემთხვევითი არ მგონია, რომ შუამავალი, ვინც ოლღას წერილი მიიტანა გენერალ-გუბერნატორთან იყო გ.ყაზბეგი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალი თავმჯდომარე, რომელიც ამ პოსტზე აირჩიეს როგორც ილიას მიმდევრებმა, ისე სარევოლუციო პარტიების წარმომადგენლებმა...

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური სიტუაცია თვეების მიხედვით იცვლებოდა. მაგალითად, 1909 წლის შემოდგომიდან და განსაკუთრებით 1910 წლიდან სტოლიპინის მეცადინეობით ბოლშევიკებს და, საერთოდ, სოციალ-დემოკრატებს შავი დღე დაუდ-

გათ. მათ უკვე ბითუმად აპატიმრებდნენ. 1909 წელს მეორე სასამართლო პროცესზე ოლღას თხოვნა რომ აღარ განმეორდა და მიმტევებლობის კომპანიაც ჩაცხრა, ეს სწორედ ბოლშევიკთა საშიში ძალის შედარებით განეიტრალებას უნდა უკავშირდებოდეს. ისინი უკვე იმდენად დამფრთხალნი არიან დაპატიმრებების გამო, რომ ათი ათასობით ბოლშევიკი იმპერიაში ნებაყოფლობით ტოვებს პარტიის რიგებს.

ყოველივე ეს მოგახსენეთ იმ გარემოების გამო, რომ კიდევ ერთხელ ამოვიდეთ ეპოქის ქერქიდან და ამის გათვალისწინებით წავიკითხოთ ჩვენ მიერ პირობითად ამ სიტუაციისათვის პირობითად ზომიერებად მოხსენიებულთა სიტყვები და მათი მოწოდებები.

ვაჟა ფშაველა

ვერ მოჰკლეს

ილია რომ მოჰკლეს!" მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მწუხარე და თან გაკვირვების კილოთი.

თავზარი დამცა იმ ამბის გაგონებამ და ათასი კითხვგა აღმიძრა: ვინ მოკლავდა, ნეტავ, ილიას? განა შეიძლება ამისთანა ადამიანების მოკვლა? ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდადებულს, თავის ერისათვის მოჭირნახულე ადამიანს? იქნებ უცხოელებს შეჰშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთად-ერთი ბურჯი ჩვენის ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით? ათასი ამისთან კითხვა დამებადა თავში და დღესაც კი, დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება, არ ვიცი მიზეზი ილიას სიკვდილისა. ვიცით მე და თქვენ, მკითხველო, მხოლოდ ფაქტი რომ მოგვიკლეს საუკეთესო, პირველი ადამიანი, ჩვენის მწერლობის სულის ჩამდგმელი, მოღვაწე, დიდი მოამაგე ქართველ ერისა. რომელი ერთი ჩამოვთვალო ილიას ღვაწლთაგანი?! ეს ყველამ კარგად უწყის. საშინელი. მეტის-მეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში, არ მომხდარა და არც მოხდება. მხოლოდ საწყალს, უბადრუკის შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამისთან მკვლელობა რევოლუციის სახელით. საბრალო, საწყალო რევოლუციავ ჩვეს ხელში...

საზარელი ფაქტია, საზარელი მოქმედებაა, საშინელი აზრის პატრონნი უნდა იყვნენ ამ მკვლელობის ჩამდენნი. აშკარაა და აშკარად ვიტყვი: ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ.

აბა კარგად ჩაუკვირდით საქმეს, თუ ასე არ არის. დიაღ, ასეა და ეს არის კიდეც უბედურება, დიდი უბედურება, დიდი უბედურება, ჩვენს თავზე მოვლენილი. უგუნურთ ნუ თუ არ იციან, რომ საუკეთესო ადამიანების ხოცვა, კვლავ, მოკლვაა მთელის ქვეყნისა. სოფელი ვინ და ერთი კაციო. ნუ თუ იქამდის დავკარგეთ ადამიანობა, ნამუსი, დავიბრმავეთ გონება, რომ ამისთანა აზრები ღორძინდება საქართველოში? ნუ თუ ვისიმე ფანატიკოსებს ჰგონიათ, რომ ილიების ხოცვით მოჰკლავენ თვით იდეას, რომელიც უკვდავია და რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიანთ ემსახურონ და არა უძლურთ, უნიჭოთ უვიცთ და საზოგადოების ნაძირალებს. ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში, ხოლო ჩვენ კოცონზე ვწვავთ, ვკლავთ, როგორც ავაზაკებს... საბრალო ჩვენო თავო, საწყალო საქართველოვ!

რა ვთქვათ მკვლელებზე, ამ საცოდავს მეოცე საუკუნის ჰერორსტატებზე? რა ადამიანები უნდა იყვნენ ილიას მკვლელები? როგორ მოვიხსენიოთ ისინი? როგორც მოვექცეთ ამ უბადრუკებს? ნუ თუ ისე, როგორც გვირჩევს ამ დღეებში დაბეჭდილი მოწოდება ქართველთადმი – ცეცხლი და მახვილი მკვლელებსაო. ესღა გვაკლია, რომ

ბარბაროსობას კიდევ სხვა ბარბაროსობა დავურთოთ ზედ? დავერივნეთ ერთმანეთს, ვხოცოთ, ვჟლიტოთ ერთმა მეორენი და გავახაროთ ისედაც ჩვენის უბადრუკობით გალაღებული მტერი? ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთმა გფაშოროს ამისთანა საქციელი...

ნაღვლით და ბოღმით აღსავსე, მე ასე ვსჯი, რომ ილიას მკვლელნი შესაბრალისნი, ყოვლად საწყალნი, ყოვლად გამოთაყვანებულნი, უვიცნი, ზნეობით გათახსირებულნი და ბრმანი უნდა იყვნენ, სატირელნი და სავალალონი ჩვენ ქართველებისაგან.

სხვა რა ვთქვათ? სხვა რა ვიფიქროთ? სისხლი სისხლისთვის? ცოდვა მივუმატოთ ცოდვას? სირცხვილს სირცხვილი? განა იმათ ადამიანობისა ერთი ბეწო ნიშანწყალი რომ ჰქონდეთ, იზამდნენ ამას? მოჰკლავდნენ ამისთანა ადამიანს, რაც უნდა მისგან ნაწყენნიც იყვნენ? არა. არ არიან ისინი ადამიანები, უნდა შევრაცხოთ მხეცებად, პირუტყვებად და პირუტყვზე როგორ ვიძიოთ შური, ისე, როგორც ადამიანზე. ეს ხომ ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირებაა?!

მოჰკლეს ილია!... მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა! მისი ხსოვნა უკვდავია ვიდრე საქართველო იქნება. დიაღ, ვერ მოჰკლეს, რადგან თუ რამდენიმე, თითებზე დასათვლელი ადამიანი ხარობს ილიას სიკვდილით, ასი ათასი მისტირის ამ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს და რამდენიც ხანი გაივლის, მით უფრო, დაკლების მაგივრად, გრძნობა სიბრალულისა და სიყვარულისა მოიმატებს ერის გულში.

საწყალი ილია, საწყალი ილია!" მესმის გულ საკლავად წარმოთქმული აქეთ-იქიდან სიტყვები მამათა და დედათა მიერ. საწყალი ილია? არ არის ილია საწყალი, ვინაიდან მან აასრულა თავისი მოვალეობა წინაშე თავის ქვეყნისა, იბრძოლა, იღვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ – დაქანცული მიებარა ცივს სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი – დარდი თავის ქვეყნისა... გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ იმას გაუმასპინძლდით, – ჩვენ მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ყველა ეს ჩვენ მიერ მიძღვნილი სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჭკვიანია, რომ მამა-პაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს, არ გააჯავროს ჩვენზე ისინი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო იმედო, ჩვენო საყვარელო ილიავ!

აკაკი წერეთლის წერილი:

ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!

ბევრი ქვეყანა დამივლია, გავცნობივარ სხვა და სხვა ერებს, შემიდარებია ქართველობისათვის, მაგრამ ბუნებრივ გრძნობაგონების სისპეტაკეში უპირატესობა ჩვენზე არა მინახავს რა! და სწორედ ამით უნდა აიხსნას, უმეტესად, ის ისტორიული საკვირველება, რომელიც ჩვენ წინაპრებს გადმოუციათ ჩვენთვის: მაჰმადიანობამ მუსრი გაავლო ქრისტიანობას: დიდებული ვიზანტია სრულიად დაამხო, სლოვანთა ქვეყნები დაიპყრო და ევროპის კალთებს ზარი დასცა, მაგრამ ამ პატარა სამეფომ, ამ ერთმა მუჭა-ხალხმა კი გაუჭირვა საქმე, ყოველ კუთხით მომდგარმა თათრობამ დიდ გასაჭირში ჩააგდო საქართველო, მაგრამ იმან მაინც გაბედა გამკლავება. სთქვა: ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო" და სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო". ამით იმაგრებდა გულს. შეუკავშირა რჯული ეროვნებას. პირველი შე-

ადგენდა მის გონებას, მეორე გრძნობას. და ამ შეკავშირების მეოხებით მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე მოიტანა შეუბღალავად და მაშინ კი შეუერთა ამალად დიდ რუსეთს იმ უბედურმა.

ნუ თუ ამ გვარი ხალხი, ამდენ ტანჯვას გამოვლილი და ამდენის ამტანი, იმდენად დასცა ასმა წელიწადმა, რომ თავის მოღვაწეს, ახალ-მოძრაობის წინამორბედს, მესვეურს, რომელიც ყოველ საქმეს წინ უდგა, თავის ხელით გაიმეტებდა? არა! – ამას ვერ დავიჯერებ და ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!... მოღალატეები ძველ დროშიც ჰყოლია საქართველოს. მამელუკები და იანიჩრები უმეტესად გადარჯულებული ქართველები ყოფილან. ძირეულ თათრებზე ისინი უფრო ემტერებოდნენ საქართველოს, სდევნიდნენ რჯულსა და ეროვნებას, მაგრამ მითი საქართველო არ შებღალულა და ქართველობას სახელი არ გასტეხია!

დღევანდელ სკოლებშიც, რომელსაც ასე ებრძოდა განსვენებული ილია და ისე ალმაცერად შეჰყურებდა შეგნებული ქართველობა, სადაც ახალგაზრდობისათვის გმირები საბერძნეთიდან და რომიდან მოჰყავდათ სამოქმედოთ, აზეპირებინებდნენ ტაციტს და იმავე დროს ავიწყებინებდნენ ჩვენს ისტორიას, ჩვენს წარსულს, ქართველ გმირებს, ამისთანა სასწავლებელში, რომ ერთი ორი ჩვენი დროის შესაფერისი მამელუკ-იანიჩარი გამოვიდეს, ქვეყნის მტერი და მოსისხარი – რა გასაკვირვალია? და სწორედ იმათაც ჩაიდინეს ეს დღევანდელი საზიზღარი საქმე!... და არა გლეხობამ, ან რომელიმე დასმა, რომელზედაც სულ სხვა წარმოდგენა მაქვს და ტყვილა ნუ მიწამლავთ მოხუცებულს გრძნობას დდღევანდელ მითქმა-მოთქმით.

ეპისკოპოს ლეონიდეს სიტყვა

ზღვასავით ღრმა ილიას გულმა ორმოცდა ათი წელიწადი განუწყვეტლად აფრქვია თავის სამშობლოს ნიადაგზე ცხოველი სიყვარულის საღმრთო ცეცხლი, ორმოცდაათი წლის განმავლობაში ილიას მირონცხებულ ენას არ მოუსვენია ქართველი ერისადმი მხურვალე სიყვარულის ფერად-ფერადი ძვირფასი გვირგვინის თხზვა-ქარგვისაგან, ორმოცდა ათი წელიწადი ამისი დალოცვილი მარჯვენა უხვადა ჰსთესდა ყოველივე ქართველის გულში კაცთა გატანისა, სიბრალულისა და სიყვარულის საკუთარი თითით გარჩეულს , საღს და მაძღარ თესლს!

დღეს მოულოდნელად წაგვართვეს ეს საუნჯე! დაუძინებელმა მტერმა დაგვიხშო ზღვა ეროვნული თვით ცნობისა! ვერაგმა არსებამ ჩაგვიქრო მამულიშვილობის გაჩაღებული საღმრთო კერა! ბოროტმა სულმა დაგვინგრია მტკიცე ბეღელი ჩვენი სულიერი სიმდიდრისა! მოგვიკლეს ილია და მწარე მწუხარების ალში გახვეულებმა აღარ ვიცით საით გადავვარდეთ, რა მთას ვეცეთ, რა გზით მივაგნოთ ამ ჩვენი გულის გამპობელს და როგორ გაუსწოროთ მას ანგარიშები!

ამბობენ ქვეყანაზე მოიპოვება მეტად იშვიათი და ძვირფასი ლითონი, სახელად რადი, რომელსაც ისეთი თვისების სინათლე აქვს, რომ მისი სხივები თავისუფლად ატანენ ყოველ გვარ ფარდას, კედელს და სახურავს გარეთო. ამ კეთილშობილი ლითონის თვისებისაა სწორეთ ჩვენი ილიაც. ამ შავი და ბნელი კუბოდამაც ნათლად გამოსჭვივის ილიას მაღალი სული, ამ კუბოდამაც ყველას გვარწმუნებს: რომ გავცოცხლდებოდე ჩემი სათხოვარი და საველრებელი ღმერთთან ეს იქნებოდა:

მწყურს მე გამინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისცა, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: შეუნდე არ იციან ღმერთო, რას იქმან!"

მაშ, ამაოა ეს ზომა გარეშე ჩვენი შეზრზინება, უსარგებლოა ეს აწინდელი ჩვენი გულმოსულობა. ილიას დიდებული სულის შეურაცხება იქნება მისი მკვლელებისაგან ჩვენის მხრით რაიმე ანგარიშების მოთხოვნა.

უცხო ყოველი მტრობა და შურისძიებისაგან ილია გვთხოვს გონებამოკრებით ჩავიხედოთ ყველამ თავთავის გულში და ყურადღებით გამოვიკვლიოთ, ჩვენც ხომ არ გვიდევს წილი მის მკვლელობაში? ჩვენ ხომ არ შეგვიქმნია მისი სიცოცხლის მომსპობთა დაბადების ხელშესაწყობი პირობები, ვინაიდან ცნობილია, რომ მკბენარის მომრავლება პირდაპირი შედეგია ჭუჭყისა და უფაქიზობისა.

ჩვენ რომ ილია თავის დროზე გვეცნო, ჩვენ რომ ილიას ნამცნები მოძღვრება ურთ-ერთის სიბრალულ-სიყვარულისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და ქართველი ერის განვითარებისა მშობელი დედის რძესთან ერთად გვექცია ჩვენი არსებობის სისხლად და ხორცად, მაშინ არც დღევანდელი მარცხი შეგვემთხვეოდა. მაგრამ დამნაშავე ვართ ყველანი დიდიდან პატარამდე შენ წინაშე,

სულო მაღალო! არც კაცი და არც ქალი, არც სწავლული და არც უმეცარი, არც დიდი და არც პატარა არ გაფასებდით ღირსეულად, არ გესარჩლებოდით თავდადებულად და სწორედ ამან გახადა შესაძლო შენი ძვირფასი სიცოცხლის მოსპობა ვერაგი სულისაგან.

შენთვის ისიც დიდი გასახარელი და სანუგეშო იქნება, რომ ეხლა მაინც შევიგნოთ ჩვენი მძიმე დანაშაული, ეხლა, მაინც მივხვდეთ შენი მაღალი მოძღვრების მნიშვნელობას, ეხლა მაინც გავიხადოთ იგი ჩვენი მოქალქეობრივი არსებობის მტკიცე კანონად.

გლოვით შეპყრობილნო, საყვარელო თანამემამულენო! კავკასიონის ქედის მწვერვალზე მცხოვრებ ჩვენ ძმებს სვანებს ჩვეულებად აქვთ: თუ ვისმეს მათგანს უცაბედად კაცი შემოაკვდა, ნიშნად გულითადი სინანულისა გვერდზე იკიდებს მძიმე ლოდს. ჩამოვიკიდოთ ჩვენც დღეიდან მკერდზე ლოდი სინანულისა ამ ბრწყინვალე ცხედრის წინაშე ჩვენი პირადი ნებითი თუ უნებლიეთი დანაშაულისა და მივცეთ ჩვენს დიდებულ მიცვალებულს უტყუარი აღთქმა, რომ არ ჩამოიხსნით ამ ტვირთს, ვიდრე ჩვენც და ჩვენი შვილებიც არ შევითვისებთ სავსებით მისგან ანდერძად დატოვებულ მაღალ მოძღვრებას.

მშვიდობით, დაულალაო დარაჯო, უბადლო მოძღვარო, თითით საჩვენებელო ჩვენო მაღალო ჭირისუფალო, დაუვიწყარო ილიავ! უკანასკნელათ ვეამბორებით შენს გაცივებულ გვამს და გაძლევთ სიტყვას, რომ ხატად გვესვენება გულში კაცთა სიყვარულის შარავანდედით მოსილი შენი მაღალი გონების ცხადად გამომეტყველი პირის სახე. ამინ!

სამსონ ფირცხალავას სიტყვა:

მკვლელს

(ილიას დასაფლავების დღე)

დღეს ასაფლავებენ იმას, ვისაც შეახე უწმინდური ხელი და მოჰკალი ვერაგულად. მოუსპე სიცოცხლე, ვინც არასოდეს არ მოკვდება; დაადუმე ენა, რომელიც იმეტყველებს თავის ნაწერებით ქვეყნის დასასრულამდის; გაჰგმირე მრავალ და ჩააჩუმე გული, რომელსაც აუძგერებია ასი ათასის გული გაცისკროვანებულის აზრით და მაღალის ადამიანურის მისწრაფებით.

ასაფლავებენ მამულისშვილს, რომლის სიკვდილმა დააობლა ერი. მისი გვამის გარშემო შემოკრებილა მთელი საქართველო; მი-

სი კუბო მორთულია ცრემლებისაგან დანამებულის ყვავილებით, გზა იმის გასვენებისა ბრწყინავს დიდებითა და სიყვარულით.

უკანასკნელად ეთხოვება ქვეყანა დიდებულს ადამიანს, რომლის მსგავსი მეორე აღარა ჰყავს. ცივს მიწას უნდა მიაბაროს თავისი სიამაყე, თავისი ნიჭის სიძლიერე და შემოქმედების ძალა.

დღეს ასაფლავებენ ილია ჭავჭავაძეს – შენს მსხვერპლის... დღეს შენ უნდა წარსდგე სამსაჯულოს წინაშე: უნდა ამხილო შენი თავი, უნდა მოინანიო ცოდვა, აღიარო დანაშაული!

უკანასკნელად ხედავ შენგან განწირულს მამულისშვილს; მალე იგი განისვენებს საუკუნო სასუფეველში, გარდავა იმ ქვეყნად. წარსდეგ მის წინაშე. იგი სდუმს, მის სახეს არ აღელვებს არავითარი სიძულვილი, მკვდარია იმის გულში შურისძიება; აღარა აშფოთებს რა, წყნარია და მშვიდი. იგი გიწვევს შესარიგებლად.

რისთვის გაუპე გული და გადმოუნთხიე ტვინი?

გაწყენია პირადად რამე? თუ არ მოგწონდა ზოგი თვისება მისი საზოგადოებრივ ცხოვრებისა?... ყველაფერი ეს დღეს აღარ არსებობს: გაჰქრა, წაშალა უკვდავებამ. ეს წუთიერი, წარმავალი იყო; ძლიერი გული და ნიჭი დარჩა, უკვდავი მგოსანი, ადამიანი არ მომკვდარა. სხეული გაშრა, გაშეშდა მაგრამ სული კიდევ უფრო აღფრთოვანებული, აღტაცებული, გადიდებული შფოთავს და ღელავს სიცოცხლითა და ბრძოლით აღსავსე!

აი, მისი მირონცხებულის არსების გარშემო შემოკრებულან გაბრიელი, მისი მღვდელი, ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, კაკო, მუშა, გუთნის დედა, დედა და შვილი კიდეც სტირიან და კიდეც იცინიან. სტირიან, რომ პოეტი მოჰკლეს; იცინიან, რადგან სიკვდილიდან იწყება მის უფრო დიდებული ცხოვრება.

აი მყინვარის ძირში გამოქვაბული, საიდანაც გადმოიყურება ქვეყნის უარმყოფელი განდეგილი და მას ქვევიდან მიიწვევს ალერსით მომხიბლავი სიყვარული და სიცოცხლე.

აი, კუბოს გარს დახვევიან უკვდავნი სულნი და უგალობენ ციურს საგალობელს, თვით ჰაერს შეერთებია საგალობელი და ნიავთან ერთად ეალერსება ყურს.

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!...

ამ ხმას უერთდება მთელი ერის მწარე გლოვა, ტირილი და მოთქმა მდუღარე ცრემლებით. ყველაფერს თავს დასტრიალებს

იდუმალი სიჩუმე და უკვდავებით აღბეჭდილი გვამი დიდებულ ადამიანისა...

წარსდეგი მის წინაშე!

იგი მიგიწვევს შესარიგებლად.

ამხილე შენი თავი, აღიარე შენი მიუტევებელი ცოდვა, განაცხადე, რომ შენ წაართვი ქვეყანას საუკეთესო შვილი.

ნუ წამოდგები საჯაროდ, ნუ ეტყვი ხალხს შენს აღსარებას. არავის სურს შენი დასჯა, არავის სწადია შურის ძიება, შენი შეპყრობა.

არა! მხოლოდ შენის საკუთარ სინდისის წინაშე წარსდეგი, მხოლოდ საკუთარს თავს უთხარ, რომ დამნაშავე ხარ, დიდი დამნაშავე. მხოლოდ შენს სინდისს და შენს მსხვერპლს გაუმხილე ცოდვა, მოითხოვე პატიება, – და პატიებული იქნები.

დაიჩოქე დიდებულ ადამიანის გვამის წინაშე განსპეტაკებული, მონანიებული; აიღე ხელში დაფნის შტო და შეამკე კუბო. შენი ერთი ცრემლი დაეცეს იმის გვამს. ეს იქნება უსაყვარლესი გვირგვინი განსვენებულისათვის; ეს იქნება უძვირფასესი ცრემლი. სინანულის ცრემლი და პატიების შტო ყველაზე უფრო დიდი პატივისცემა იქნება მისთვის.

ეს ცრემლი, ეს სინანული შეგაერთებს მთელის ხალხის საერო მწუხარებასთან.

და ისიც გაპატიებს შეცოდებას.

წარსდეგი მოკლულის წინაშე და შენ თვითონ განსაჯე შენი თავი. მუხლი მოიდრიკე, უთხარი შენს თავს, რომ დამნაშავე ხარ და უთხარი ისიც, რომ კვლავ ადამიანი ხარ!...

●

ახლა კი იმ წერილს გთავაზობთ, რომელიც ზემოთ მენშევიკური თავხედობის ნიმუშად მოვიხსენიე. თუ სოციალ-დემოკრატების ერთმა ფრთამ – ბოლშევიკებმა, დადგენილება მიიღო და ილიას გლოვაში მონაწილეობაზე უარი თქვა (რომელთაც მოჰკლეს ისინი თავად რატომ იგლოვდნენ, ან რაც უხაროდათ იმის გამო ცრემლს რისთვის დაღვრიდნენ?), მეორე ფრთა მენშევიკების სახით უკანასკნელ სადგურამდე მიაცილებს მგოსანს. დაკრძალვაზე მენშევიკთა კვალობაზე შედარებით ნორმალური სიტყვა წარმოსთქვა მენშევიკმა ვლასა მგელაძემ. ეს ის ვლასა მგელაძეა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, 1918 წლის 26

მაისს, მამა-დავითზე რომ აიჭრა და მთაწმინდის სამუდამო ბინადართ ახარა ქვეყნის დამოუკიდებლობა.

მეორე მენშევიკმა, კარლო ჩხეიძემ კი კლასობრივი ბრძოლის თეორიის პროპაგანდას და ეროვნული ძალებისადმი მუქარას, როგორც ზემოთ ვთქვი, დაკრძალვის ცერემონიალზეც არ დაანება თავი. მენშევიკების პოზიციის ნიმუშად გთავაზობთ კარლო ჩხეიძის გამოსვლის ტექსტს:

სიტყვა კ. ჩხეიძისა

დროებით ჩვენ საზოგადოებას კვლავ გადაეფარა პოლიტიკური მწუხრის ზეწარი, კვლავ გამოტყვრნენ ბნელი ძალები უტიფრათ ცხოვრების მოედანზე, გამოფხიზლებული ხალხის მაჯის ცემა მოდუნდა, საერთო ჭირ-ვარამზე გაბედულათ აზრთა გაცვლა გამოცვლა შეწყდა, ხმა გავიკმიდეთ და დადუმებული ველოდებით უმჯობეს მომავალს. მიუხედავად ასეთი საერთო მდუმარებისა, მიუხედავად იმ ათასგვარი ბოროტებისა, რომელსაც სჩადის დღეს თავაღებული და წუთიერი გამარჯვებით გაამაყებული ბნელი ძალა, შენმა სიკვდილმა ყველა ძალზე ააღელვა და დაგვავალა სათანადო ანგარიში გაუწიოთ როგორც იმ ბოროტ-მოქმედებას, რომელმაც შენ გიმსხვერპლა, ისე იმ პირობებს, რომელთა გამო შესაძლებელი ხდება ჩვენში ასეთი ბოროტ-მოქმედება. თანაც ჩვენ მოწყურებული ვართ უკანასკნელი ამ ქვეყნიური პატივისცემა მოგაგოთ და ჩვენი შენდამი სიყვარული აღვნიშნოთ. მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც. საზოგადოება, რომელიც შემოკრბა დღეს შენი ცხედრის წინაშე, იმდენათვე სხვა და სხვა გვარია რამდენათაც მრავალ-მხრივი იყო თვით შენი წარსული. ჭეშმარიტებაზე ძლიერ შორს იქნება, თუ ვინმე იტყვის: თითქო, ჩვენ ყველანი ერთნაირათ უყურებდეთ შენს წარსულს, ყველანი ერთ რიგათ ვცემდეთ პატივს და ვაფასებდეთ შენს მოღვაწეობას. დაე, გიტიროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავად-აზნაურობამ, საზოგადოთ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც მშრომელ ხალხის შრომის ნამყოფით ცხოვრობს. დაე, მოვიდენ და პატივი დაგდვან შენ ძალა-უფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპის მომხრეს. დაე, გაქონ და გადიდონ შენ შოვინისტებმა როგორც მამულის შვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეუერთდებით ასეთე-

ბის ქებათა და მით უმეტესის სიცხადით აღვნიშნავთ იმას, რაც იყო ჩვენთვის ძვირფასი.

შენ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდი მაშინ, როცა რუსეთის ბნელი ცხოვრების საძირკველი მძლავრათ შეირყა, როცა ბატონ-ყმობის დახავსებული სიმაგრის ზღუდეებს ძლიერათ შეეჯახა ახალი ცხოვრების აზვირთებული ტალღები და როცა პირველათ მოისმა ხმა ძველი მონური ცხოვრების წინააღმდეგ. ჩვენში შენ ერთი პირველთაგანი იყავი, რომელიც ჩაები განახლებულ ცხოვრების ფერხულში და ჩადექი იმ მცირე რაზმში, რომელმაც იკისრა მეთაურობა მაშინდელი საზოგადოების, და შენი ნიჭის და პოეტური შემოქმედების საგნათ დაისახე დაგესურათხატებია ჩვენთვის ბატონ-ყმური ცხოვრების საზიზღროება. შენ დაასურათე უფსკრული და ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ბატონსა და ყმას შორის. შენ გესლიანი ენით დასცინე და სასიკვდილოთ მოშხამე ის, ვინც დიდებით და პატივით იყო წინეთ მოცული; შენ ჩვენ თვალ წინ საოცრად გადაშალე გონებრივი სიკოტრე, გონებრივი საიდუხჭირე, სრული არარაობა და პარაზიტობა ბატონის, იმ ბრწყინვალე წოდების, რომელიც ფუქსავატი, სიამაყით და მედიდურებით იყო აღსავსე; შენ დაგვიხატე ლუარსაბი და დარეჯანი, ეს ღვიძლი შვილები და ტიპიური წარმომადგენლები ჩვენი ბრწყინვალე წოდებისა. ამასთან ერთათ შენ იმ დროისთვის საუცხოოთ დაგვისურათე აგრეთვე უმწეო და უბედური მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა ლუარსაბების უღელში. გაბმული გლეხები, შენ დაუპირდაპირე ერთი-მეორეს თავადი დათიკო და გლეხი გაბრო და დაგვანახე, რომ მათი ერთათ არსებობა შეუძლებელია, რადგან პირველის ბედნიერება, მეორეს უბედურებაზეა აგებული, სადაც პირველი იცინის, იქ მეორე უნდა სტიროდეს, როცა ერთი მაძღარია, მეორეს უნდა შიოდეს, როცა დათიკოს თბილა, გაბროს ცივა, გულის სიღრმეში ჩაგვეჭრა ჩვენ ის სურათები; ჩვენ მაშინ დავგმეთ ძველი ცხოვრება და სიტყვა დავდევთ შეძლების დაგვარათ გავმკლავებოდით ბოროტებას, რომლითაც აღსავსე იყო ჩვენი ცხოვრება. ამრიგათ შენმა მგოსნურმა ნიჭის ნაწარმოებმა ხელი შეუწყო ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყო ახალთაობა, რომელმაც კლასთა ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ, მთავარ ღერძათ აღიარა. ამ ახალგაზრდობისათვის სხვათა შორის, შენი იმდროინდელი შემოქმედების ნაყოფი გახდა მისი გონებრივი და ზნეობრივი ზრდის პირველ საფეხურათ, რომელზედაც ეს ახალთაობა უნდა შემდგა-

რიყო, რომ გულმოდგინეთ შესდგომოდა იმ დიადი მოძღვრების შესისხლხორცებას და ჩვენ ცხოვრებაში გადმონერგვას, რომელიც გვასწავლის, რომ კაცობრიობის წინსვლის აუცილებელ და უდიდეს მიზანს შეადგენს სოციალიზმის დამყარება. ხოლო გზა, რომლითაც ამ მიზანს მიაღწევს კაცობრიობა, არის შეურიგებელი სასტიკი ბრძოლა კლასთა შორის. შენ თითონ მოწმე გახდი იმის, თუ რა ძლევა მოსილება შეისხა ამ სწავლა-მოძღვრებამ ჩვენში და რა ღრმა კვალი გაავლო მან ჩვენ ცხოვრებაში. რამდენათაც შენ შენი იმდროინდელი შემოქმედებითი მუშაობით ხელი შეუწყვე ჩვენი საზოგადოების თვითცნობიერებას, რომ ჩვენ შეგვეყვარებია აღნიშნული მოძღვრება, რამდენათაც შენ გააღვიძე ჩვენ ახალგაზრდა ბუნებაში გრძნობები, რომელნიც აუცილებლათ საჭირონი არიან, რომ ჩვენ გულწრფელად ვემსახუროთ სოციალიზმის დიად მომავალს, და აი, სწორეთ ამდენათ გვსურს ჩვენ უკვდავი იყოს შენი სახელი.

ჩვენი პროლეტარიატი საბედნიეროთ უკვე შესდგა განთვითარების ისეთ საფეხურზე, რომ ის გაციელბით უფრო ღრმათ და სავსებით აფასებს ხელოვნებების და შემოქმედებითი ნიჭის მარგალიტებს როგორც შინაარსით, ისე გარეგანი სახით, ვინემ დანარჩენი ელემენტები ჩვენი საზოგადოებისა და ვაი მას, ვინც განიზრახავს, რომ ეს მარგალიტები გასთელოს. ვაი თქვენ, ეტყვის იგი შენი ცხედრის წინაშე აგრეთვე იმათაც, ვინც შენი მოკვლის გაგონების შემდეგ ბუკსა და ნაღარას სცემენ ქვენა მიწრაფებით და მურტალი მიზნით, თითქო შენთან ერთათ მოიკლა მთელი ხალხი. ასეთები ვერა ხედავენ, რომ ამით ისინი ვერ აქარწყლებენ შენი ნიჭის საუკეთესო ნაყოფს, ვერა ხედავენ, რომ ის ხალხი, რომელმაც შეისისხორცა ის, რაც შენ მოღვაწეობაში საუკეთესო იყო უარჰყო ის, რაც მის საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგება შენ წარსულ მოღვაწეობაში, ასეთი ხალხი, ვამბობთ, უკვდავია და არც პასუხს აგებს, თუ მის შორის ვინმემ მტარვალობა ჩაიდინა.

ვაი მათ, იტყვის იგივე პროლეტარიატი და მთელი მშრომელი ხალხი, ვინც ლამის მართლა ავაზაკურათ ისარგებლოს შენი მკვლელობის შემთხვევით და ჩირქი მოსცხოს მშრომელ ხალხს და იმას, ვინც ხელმძღვანელობს მას. დღეს ჩვენში შურის ძიებისათვის მოწოდებას ჩვენ არ ვიკადრებთ ცხედრის წინაშე, მაგრამ სასტიკ ანგარიშს მოვთხოვთ მათ, ვინც ჩვენ სასიარულო გზაზე ეკალსა სთესს და შხამს ანთხევს."

მაშინ ტექნიკის თანამედროვე საშუალებები არ იყო. ცხადია, ჩხეიძის გამოსვლას პროცესიის მონაწილე 100 000 კაცი ვერ გაიგებდა, მაგრამ ეს იყო ერთგვარი რევერანსი მენშევიკებისა ბოლშევიკებისადმი. მაგალითად, მენშევიკთა გაზეთი „ჩვენი გზა" რომლის პირველი ნომერი ილიას მკვლელობიდან მე-3 დღეს, 2 სექტემბერს გამოიცა. დაგმობს ილიას მკვლელობას, მაგრამ ნახეთ, რა ოსტატურად გადაეფარებიან შემდეგ ისინი ბოლშევიკებს, რომელთაც სხვა საკითხებში ტყავს აძრობდნენ: „ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ანარქისტ-კომუნისტთა ადგილობრივი ჯგუფის ფურცელი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ გამოშვებული"-ო, ვკითხულობთ სარედაქციო წერილში.

რა ეწერა ამ პროკლამაციაში? აი, რა:

„ჩვენ არ შეგვიძლია სოც.დემოკრატებისავით, ან პეტრე მოციქულსავით უარი ვთქვათ თავის თავზე და ვთქვათ, რომ მესაკუთრეთა და უმწეოთა შორის გაჩაღებულ ბრძოლაში ჩვენ ვგმობთ უმწეოთა ბრძოლასო. არა და არა"(„ჩვენი გზა", №8)

როგორც ვხედავთ, ღიად, პროკლამაციის გავრცელებით, რომელიღაც პარტიას გაუმართლებია „უმწეოთა" მიერ „მესაკუთრე" ილიას მკვლელობა.

ვინ არის ეს პარტია? ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ანარქისტ მიხაკო წერეთლის პროკლამაციის სახით გავრცელებული მოწოდების დასაცინად ბოლშევიკები თავის პროკლამაციას ავრცელებენ სწორედ ანარქისტების სახელით. მენშევიკური გაზეთი კი ამ პროკლამაციას ისე ბეჭდავს, თითქოს მართლა სჯერათ, რომ მისი ავტორები თვით მათი განაყარი სოციალ-დემოკრატები არ არიან და სოციალ-დემოკრატებზე კბილის გაკვრით ალიბს არ იკეთებენ. ეს პროკლამაცია ფაქტიურად იმეორებს ფილიპე მახარაძის სიტყვებს, რომელიც ჯერ კიდევ ილიას დაკრძალვამდე ამბობდა – ჩვენ ვერ ვიგლოვებთ რევოლუციისგან განწირულთო. რევერანსები ბოლშევიკებისადმი დიდხანს გააგრძელეს, 1918-1921 წლებში, როცა თავად იყვნენ მთავრობაში. სასამართლოს მიერ დადგენილი მკვლელი, გიგლა ბერბიჭაშვილიც კი, არათუ დაიჭირა მათმა მეთაურმა ჟორდანიამ, არამედ დაჭერილი ციხიდან გააპარა. თუმცა ამაზე ქვემოთ, ახლა კი დავუბრუნდეთ დაკრძალვის პროცესიას.

პოლიტიკა პოლიტიკად, მაგრამ კახეთისა და ილიას მშობლიური ყვარელის მგლოვიარე ხმა ილია ზურაბიშვილმა მეტად ემოციური სიტყვით გადმოსცა.

ილ. ზურაბიშვილის სიტყვა

საქართველოს ჭირისუფალო ილიავ! შენმა ტურფა კახეთმა, რომელსაც ბედნიერ წილად ჰხვდა – თავის მხნე მკერდზედ, ნიადაგზე დაერწია შენი აკვანი, მოგვანდო ჩვენი თაყვანი ვცეთ შენს ძვირფას ნეშტსა და ვაუწყოთ ჩვენს ქვეყანას რა განუსაზღვრელი საეროვნო კაეშანი ჩააწვეთა ყოველის კახელის გულს შენმა მოწამებრივმა სიკვდილმა!

სულმნათო მგოსანო! კახეთი სტირს და ჰგლოვობს. მაგრამ მაინც არა სჯერა, რომ ეგ, საქართველოსათვის სამსხვერპლოდ ქცეული, გული საუკუნოდ მიყუჩდა და აღარ აძგერდება სამშობლოსათვის მტლედ დასადებად!

ჩვენის აზროვნების დიდო მესვეურო! ნუ თუ ეგ საამურად მეტყველნი ბაგენი სამუდამოდ დადუმდნენ და აღარ განიხვნებიან ზეაღმტაც სიტყვის სათქმელად?!

ცხოველმყოფელო ძეგლო ჩვენის დიდებისა! ნუ თუ ეგ, ღვთაებრივის იერით აღბეჭდილი შუბლი, აღარ გაისხნება, რომ ძველებურად ცხოველ აზრთა გუნდი გადმოაფინოს შენ თანამოძმეთ – ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ და ანდერძად საშვილიშილოდ გადასაცემად?!

საქართველოს სულიერო მეორე კახო! რას გვიბარებ? რა ვუთხრათ შენს მოდუდუნე ბედის მოჩივარ ალაზანს? რა ხმა მივაწვდინოთ შენს მშობელს ყვარელის მთებს? რით ვანუგეშოთ ბაღში ცრემლით ანატირი ობოლი ვაზი? რა ვუპასუხოთ მოჭირნახულე ლაბას, შენს ლაბას, როცა უენო, ვითა მეტყველი, თვალებით დაგვეკითხება?!

სდუმხარ? ! მაშ მართალია? !

თუ აგრეა – იგლოვეთ, იგლოვეთ მდუღარედ! შენ, ალაზანო, ზვირთი ზვირთზედ ააგორე, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს! თქვენ ყვარლის მთებო, ნისლით შეიბურედ მწვერვალები – ეგ იქნება თქვენი ძაძა! შენ, ობოლო ვაზო, აფრქვიე მწუხარე ცრემლი და ლაბავ, მორთე გულ საკლავი ბღავილი! აღარა გყავთ ზრახვათა მესაიდუმლე, აღარა გვყავს გრძნობათა მოენე !!. შენ-კი, საქართველოვ, ახლა მაინც მიჰხვდი რა ბედ-შავია შენი ხვედრი. დეე ამ დიადმა ნმინდა მსხვერპლმა მაინც შეაგნებინოს შენს შვილთ სამშობლოს განწირული მდგომარეობა და აღძრას მათში გმირის დამბადი დიდი საგანი."

დაკრძალვის დღის პროცესი დეტალურად აღწერეს კორესპონდენტებმა:

... 9 სექტემბერს დიდ ხანს არ დავიწყებენ დამსწრენი, ამ დღეს თითქმის პირველად შემოკრბა ქართველობა, იყვნენ ყველა მხრიდან: კახეთიდან, საინგილოდან, ფშავ-ხევსურეთიდან, ქართლიდან, იმერეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, სვანეთ-ლეჩხუმიდან, აფხაზეთიდან. აჭარა-ქობულეთიდან, ჯავახეთი-ახალციხიდან.

ამ დღეს დეპუტაციები და ხალხი დილის 7 საათიდანვე გაეშურა სიონის ტაძრისაკენ. წეს-რიგს იცავდნენ სტუდენტები, უფროს კლასების მოსწავლენი და სხვანი. მოწესრიგეებმა დილა-ადრიანვე გაინაწილეს საქმე და მაშინვე შეუდგნენ გვირგვინების და დეპუტაციების დამწკრივებას. წირვა სიონის ტაძარში დაიწყო 8 საათზედ. წირვა გადაიხადეს ეპისკოპოსებმა დიდ-ძალ სამღვდელოებითურთ. ჰგალობდა სამი გუნდი. წირვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დეკ. ტყემალაძემ, ხოლო პანაშვიდის შემდეგ – ეპისკოპოსებმა ალექსანდრემ და პეტრემ. გრძნობიერი სიტყვები წარმოსთქვეს. ვიდრე ცხედარს ტაძრიდგან გამოასვენებდნენ, წ. – კ. გამავრცელებელ საზოგადოებას" გამგეობის წარმომადგენელმა ივ.რატიშვილმა გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა.

პროცესია დაიძრა დილის 111/2 საათზე. მგოსნის გვამი ტაძრიდან ხელით გამოასვენეს ნ.ცხვედაძემ, ან.ფურცელაძემ, არტურ ლეისტმა, ქალაქის თავმა, ნამესტნიკმა ვორონცოვ-დაშკოვმა, გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილმა, დ.ნიჟარაძემ, ვ.ჭავჭავაძემ და სხვებმა. კუბო დაასვენეს სამგლოვიარო ეტლზე. წინ პროცესიას მიუძღოდა შავი დროშები ჯვრებითა და ხატებით. ამათ მიდევდნენ ამქრები თავიანთ დროშებით. შემდეგ რამდენსამე კაცს მიჰქონდა კუბოს თავი. ამათ მისდევდნენ საგურამოელი გლეხები ოცდა ათამდე კაცი. მერე მიდიოდა ას-ოთხმოცდა ხუთი დეპუტაცია საზოგადო დაწესებულებათა, რედაქციებისა და სხვათა. ორ-ორს გვირგვინები ჰქონდა, დანარჩენი დეპუტატები მათ მისდევდნენ. მგალობელთა რამდენიმე გუნდი რიგ-რიგით გალობდა. რიგ-რიგით უკრავდნენ სამგლოვიარო მარშს სხვა და სხვა სასწავლებლის მოსწავლენი თავიანთ დირექტორ-მასწავლებლებით იყვნენ. დეპუტაციებს მისდევდა სამღვდელოება, ამის შემდეგ მიდიოდა სამგლოვიარო ეტლი ცხედრით. ცხედრის გარშემო იდგნენ ივერიის" ყოფილი თანამშრომელნი. ცხედარს მისდევდნენ ნათესავ-ჭირისულფალნი და დეპუტატები წ.-კ. გ. საზოგადოებისა", დრამატიულ საზოგადოებისა, მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა, ტფილისისა; ქუთაისისა, ბათუმისა, ფოთისა, ოზურგეთისა, თელავის, გორის, სენაკისა, ზუგდიდისა და სხვა ქალაქის

თვის-მართველობათა, წარმომადგენელნი ფილარმონიულ, ქარ-
ველ საქველ-მოქმედო, სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა,
როგორც ტფილისისა ისე ქუთაისის, ნაფიც ვექილთა, ქართულ
ვაჟთა გიმნაზიისა და ქალთა გიმნაზიებისა, ყაზბეგის სკოლისა,
წინამძღვარიანთ კარის სკოლისა, ჭრა-კერვის სკოლისა, ქართველ
აფიცერთა, კახეთის" საზოგადოებისა, ძმობისა", გეორგიი-
სა", წვრილ ვაჭართა კავშირებისა, ნოქართა საზოგადოებისა, ამ-
ქართა კორპორაციათა და სხ. იყვნენ აგრეთვე წარმომადგენელნი
მაჰმადიანთა ახალგაზრდობისა. სიონიდამ ერევნის მოედნამდე
ცხედარი გააცილა მაჰმადიანთა უმაღლესმა სამღვდელოებამ.
იყვნენ დეპუტატები ოსებისა, სომხის სამღვდელოებისა, ქუთაი-
სის დრამატიულ დასის არტისტებისა, ფოთის მუშებისა, ფოთის
პროფესიონალურ ბიუროსა, რკინის გზის სახელოსნოების ს.-ფე-
დერალისტთა მუშებისა, შორაპნის სადგურის მუშებისა და მოხე-
ლეებისა, ბაქოს ს.-ფ. მუშებისა, ბაქოს ქართველ საზოგადოებისა,
ტფ. სავაჟო და საქალებო გიმნაზიებისა, სემინარიისა, სახაზინო
და საკონტროლო პალატებისა, ქუთაისის სახელმწიფო მამულე-
ბის სამართველოს მოხელეთა, ზოგიერთ სტამბების მუშათა, ფოს-
ტა-ტელეგრაფის მოხელეთა, სოფლების: ყვარელისა, ხორხელისა,
ოჟიოსა, ენისელისა, ახალ გავაზისა, ძველი გავაზისა, კოლორტი-
სა, კოჭატანისა, კონდოლისა, ნორიოსა, საგარეჯოსა, საბუესა,
ქვემო ხოდაშენისა, იყალთოსი, მცხეთისა, დიღმისა, ქ.თიანეთი-
სა, მითხოსა, ქისტაურისა, ხოვლესი, წინანდლისა ივან-წმინდისა,
ფოთისა, დაბა ხონისა, საჩხერისა, დ.ჭიათურისა და ზესტაფონისა.
ერთის სიტყვით, არ დარჩენილა არც ერთი კუთხე და დაწესებუ-
ლება, რომ არ გამოეგზავნოს დეპუტატები.

მოწესრიგე კომისიის თხოვნისამებრ, პოლიცია მაგრე რიგად
არ ჩარეულა საქმეში. აურიცხველ ხალხის მიუხედავად, წესრიგი
მშვენივრად იქნა დაცული.

სამგლოვიარო პროცესიამ გაიარა სიონის ქუჩა, რომელიც ძა-
ძებით იყო შემოსილი. ერევნის მოედანზე ზღვა ხალხი გაიშალა.
ქუჩებზე რომ ტევა აღარ იყო, ვინც მოახერხა, იდგა სახლებსა და
აივნებზე, საიდანაც შავი ბაირაღები გადმოეკიდნათ. ერევნის მო-
ედანზე ფოტოგრაფებმა რამდენიმეჯერმე სურათიც გადაიღეს,
მალე მთელი სასახლის ქუჩა ხალხით გაიტენა. ასე რომ მოძრაო-
ბა არ იყო. აქ ძაძებში შემოსილი წ.-კ. საზოგადოების სადგომი-
დან გადმოდგა რამდენიმე კაცის დახმარებით ამჟამად შეუძლოდ
მყოფი მცხოვანი აკაკი წერეთელი და განსვენებულს ილიას გამო-

სათხოვარის სიტყვით მიმართა. ავათმყოფობისაგან დასუსტებული მგოსანი ძლივს ლაპარაკობდა, მაგრამ როგორც მისი სიტყვები გაიგონეს, ქვითინი და ტირილი გაისმა. სიტყვა აკაკიმ ქვითინით დაათავა. ბედნიერი ხარ ძმაო ილია, რომ შენმა სახელმა შენდა სათაყვანებლად ამოდენა ხალხი შეჰკრიბა და თუ ქართველს ერს გადაშენება მოელის, მაშინაც ბედნიერი იქნები, რადგანაც ჩვენს უბედურებას შენის თვალით აღარ იხილავო", დაათავა პოეტმა. მცირე პანაშვიდის შემდეგ პროცესია ხელახლა დაიძრა.

დიდებული სანახავი იყო პროცესია გოლოვინის პრასპექტზე, როდესაც პროცესიის თავმა სახაზინო თეატრის პირდაპირ ჭავჭავაძის ქუჩაში შეუხვია, ბოლო ჯერ ისევ ერევნის მოედანზე იყო. თვალს იტაცებდა განიერ ქუჩაში გამწკრივებული სხვა და სხვა დეპუტაცია თავიანთ გვირგვინებით. ზოგს ვერცხლის გვირგვინები ეჭირა, ზოგს ცოცხალ ყვავილებისა. ბევრი მეტად ხელოვნური და შესანიშნავი გვირგვინი იყო. აღწერა ამ გვირგვინებისა ყოვლად შეუძლებელია.

გოლოვინის პროსპექტზედაც ისე, როგორც სიონისა, ერევნისა და სხვა ქუჩებზე, პროცესიას ათი ათასობით ემატებოდა ხალხი და მოწესრიგეებს, ცოტა არ იყოს, შიშს უბადებდა ამ მოზღვავებულ ხალხის ერთად გავლა, რადგან პროცესიაში აუარებელი ქალი და ბავშვი ერია. აივნები და ფანჯრები ყველგან ხალხით იყო გაჭედილი. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ კვირის პროცესიაში ასი ათას ქალსა და კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას. პროცესიამ გაიარა გოლოვინის პროსპექტი, აუხვია ჭავჭავაძის ქუჩაზე და ლაბორატორნი და მამადავითის ქუჩით გაემართა მთაწმინდისაკენ. ამ ვიწრო ქუჩებში ძალზე შექუჩდა ხალხი, მაგრამ წესიერება მაინც არ დარღვეულა პროცესია მამადავითის მოედანს ცოტათი ასცდა და იმ ადგილას, საიდანაც ცხედრის ეტლით წასვენება აღარ შეიძლებოდა, შედგა. აქ ათასობით თავმოყრილ ხალხის წინაშე დღის და მომენტის შესაფერი სიტყვები წარმოითქვა. პირველათ ხალხს სიტყვებით მიმართა ქალაქის მოურავმა ვ.ნ. ჩერექეზიშვილმა. სხვათა შორის, ორატორმა წარმოსთქვა: მწარეა ჩემთვის დღევანდელი სამწუხარო დღე. ქართველ ხალხს ილიას მოკვლით უბედურება დაატყდა მაშინ, როცა მე ვდგავარ ტფილისის თვითმმართველობის სათავეში. ტფილისის მცხოვრებნი აღშფოთებულნი ვართ ამ მხეცური მკვლელობით. ნუგეში ტფილისისათვის ისღაა, რომ ქალაქის საზღვრებში არ მომხდარა ეს უბედურება. აქ დამსწრენი, მიუხედავად ეროვნებისა, კლასისა და წოდებისა, აღშ-

ფოთებულნი არიან და საზოგადო შეჩვენებას უთვლიან საზიზღარ გამხეცებულ მკვლელებს. ბევრი არც-კი იცნობდა განსვენებულს, მაგრამ გაიგეს, იცნეს და მოვიდნენ მის სათაყვანებლად. ეხლა საკითხავია, ვისმა მურტალმა ხელმა ჩაიდინა ეს კაენის საქციელი, ვინ შეარცხვინა მთელს განათლებულს ქვეყნიერებასთან ქართველი ერი? ეს ჩაიდინა მან, ვინც არ იცოდა რას ჩადიოდა. განა ამ გვარათ არ გამოასალმეს წუთისოფელს მწერალი გრიბოედოვი და ბევრნი სხვანი? მიზეზი ამ საშინელებისა ხალხის შეუგნებლობა და სიბნელეა. არავინ ჩვენს გამოურკვეველს დროში არ არის უზრუნველყოფილი ამ გვარისავე უბედურებისაგან. რომ აღარ იყოს, უნდა მოწინავე ელემენტებმა თავს ვიდვათ ხალხის გამოფხიზლება, კულტურულად ამაღლება თავ. ჩერქეზიშვილმა ასე დაამთავრა სიტყვა: მივმართავ განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას, გულის ფიცარზე დაიწეროს ილია ჭავჭავაძის ანდერძი და მთელი თავისი მომავალი მოქმედება ხალხის გამოფხიზლებას მოანდომოს" დასასრულ ჩერქეზიშვილმა მიმართა თვით განსვენებულს და ცრემლ-მორეულმა უკანასკნელი სალამი უძღვნა.

შემდეგ მშვენიერი სიტყვები წარმოსთქვა სოსიკო მდივანმა და ვ.მგელაძემ. ქალთა თანასწორობის მოსკოვის საზოგადოების წარმომადგენელმა, ქ-მა მიროვიჩისამ პროტესტი განაცხადა ქალთა სახელით ასეთ საზიზღარ ბოროტების წინააღმდეგ. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ქართველ ქალთა მინდობილებით ნინო ნაკაშიძემ, ყვირილის საზოგადოების წარმომადგენელმა ტ.ხუსკივაძემ, ქართველ არტისტების მინდობილებით ი. ივანიძემ, ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელმა იაკობ ფანცხავამ, მშაკის" რედაქტორმა ქალანთარმა, ლექსი სთქვა მელიტონ გობეჩიამ, სიტყვა წარმოსთქვა ვაჟა-ფშაველამ. დიდათ იმოქმედა მსმენელებზე, როდესაც მოსწავლემ აღნიშნა თავისი უდიდესი სურვილი – რომ პოეტი ცოცხალი ენახა.

ამ სიტყვების შემდეგ განსვენებულის გვამი ეტლიდან გადმოასვენეს და მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ ხელით აასვენეს აღმართზე.

თუმცა უადგილობისა გამო მოსალოდნელ რაიმე უბედურობის ასაცილებლად, მამადავითის ეკლესიის გალავანში ბილეთებით იყო შესვლა, მაგრამ ბევრმა მოახერხა ასვლა, ასე რომ გალავანშიც ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი.

მცირე ლოცვის შემდეგ, სიტყვები წარმოწთქვეს: მღვდელმა მ.მაჭარაშვილმა, მ.კელენჯერიძემ, შემდეგ ნ.ზ.ცხვედაძემ, ი.მეუ-

ნარგიამ, კ.ერისთავმა, დ.ნახუცრიშვილმა, ოსების წარმომადგენელმა კოჩიევმა, ს.ქვარიანმა; რუსულად – ვ.ი.რცხილაძემ, ლექსები წაიკითხეს ფარეშიშვილმა, ს.ტარუაშვილმა, ნ.მერკვილაძემ, კ.დონდუამ, ი.იადუაძემ, ა.თანდოშვილმა, ი.ნოზაძემ, ი.გოგინაშვილმა, კ.ჩხეიძემ, მრ. დ.წულაძემ, ს.ჯორბენაძემ, გიორგი მეზვრიშილმა და სხვათა.

საღამოს 61/2 საათი შესრულდა. მაგრამ ხალხი მაინც არ იშლებოდა, ა. მდივნის მოწოდებით ხალხმა მუხლი მოიყარა უკანასკნელად თაყვანის ცემისა და გამოთხოვების ნიშნად.

საღამოს 7 საათი იყო, რომ ნელ-ნელა მთაწმინდა დაცარიელდა..."

●

იმ ზღვა ხალხში, რომელთაც ფეხაკრეფით მიატოვეს მთაწმინდაზე ახლად ამობურცული საფლავი, არ იყო ის ერთადერთი ადამიანი, რომელმაც წუთისოფლის ჭაპანი ილიასთან ერთად ზიდა.

რომელსაც ამ ცისქვეშეთში ყველაზე მეტად უყვარდა ილია. ის თავგაჩეხილი ანდრიას ქუჩაზე ილიას საწოლში იწვა და სამყაროს მოწყვეტილი, ვინ იცის, მერამდენედ კითხულობდა მასზე შეყვარებული ჭაბუკი ილიკოს პირველივე სატრფიალო ბარათის პირველ ფრაზას –

„მითხარით – სად შევხვდეთ, დროის გამო ნუ სწუხდებით, დროს ყოველთვის მოვნახავ".

ოლღა ახლა დროის გამო აღარ სწუხდა. დრო ილიასთვის და მისთვისაც გაჩერებულიყო.

საწოლში მისი დასახიჩრებული სხეული ჩანდა, თორემ არსი მისი თან გაჰყოლოდა ილიას წუთისოფლიდან უკვდავებაში.

თავი III

ვინ იყო ილიას მკვლელობის შემკვეთი, ორგანიზატორი და რისთვის?

*„არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს
და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს"*

(ლუკა 12,2)

გიგლა ბერბიჭაშვილი

გიგოლა მოძღვრიშვილი

პავლე ფშაველიშვილი (აფციაური)

გიორგი ხიზანიშვილი

ილიას მკველელობასთან დაკავშირებით, ოფიციალური სასამართლო პროცესი 3-ჯერ ჩატარდა.

პირველი და მეორე მეფის რუსეთის დროს 1908 და 1909 წლებში.

მესამე საბჭოთა კავშირის არსებობის დროს – 1941-42 წლებში.

სასამართლო პროცესის ჩატარებას აპირებდა მენშევიკების მთავრობაც მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის მონდომებით. რამიშვილმა დააპატიმრა ილიას მკვლელები – ფილიპე მახარაძე და გიგლა ბერბიჭაშვილი, მაგრამ ნოე ჟორდანიამ ისინი ციხიდან გააპარა. საკუთარი სახელმწიფო მანქანით წაიყვანინა ვლადიკავკაზამდე. ამ გამაოგნებელ ინფორმაციას მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის შვილი გვაწვდის.

„როდესაც ნოე რამიშვილმა დააჭერინა ილიას მკვლელობის შეთქმულების მონაწილეები, ფილიპე მახარაძე და ბერბიჭაშვილი და მკვლელობის გამოსაძიებლად საკითხი წარუდგინა დამფუძნებელ კრებას, გამოიყო საგანგებო კომისია. ამ დროს კი ნოე ჟორდანიამ ფარულად გამოაშვებინა ციხის უფროსს დამნაშავეები და თავის მძღოლს თავისივე სახელმწიფო მანქანით ჩააყვანინა ვლადიკავკაზში."(აკაკი რამიშვილი, ჩვენი შეცდომები, 1918-1921. თბ.2000 წ.გვ.91)

ილიას მკვლელთა შემკვეთებისა და ორგანიზატორების მხილებით მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე ხელისუფლება დაინტერესებული არ ყოფილა. მკვლელობის შემსრულებელთა დადგენის მიზნით ოპერატიული და შედარებით პატიოსანი გამოძიება ჩატარდა 1907–1908-1909 წლებში.

დადგენილ იქნა მკვლელობის ყველა მონაწილე.

1) ვინმე იმერელი
2) ივანე ინაშვილი
3) გიორგი (ლომა) ხიზანიშვილი
4) გიგოლა მოძღვრიშვილი
5) გიგლა ბერბიჭაშვილი
6) თედო ლაბაური
7) პავლე ფშავლიშვილი (აფციაური)
8) ლადო ფეიქრიშვილი

ამათგან ვერ დაიჭირეს ორი – გიგლა ბერბიჭაშვილი და ვინმე იმერელი. ასევე ციხიდან გაექცათ პავლე ფშავლიშვილი და ლადო ფეიქრიშვილი. ვინმე იმერელი იყო კომიტეტიდან მოვლენილი მკვლელი, მისი დაჭერა პარტიისათვის კატასტროფა იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ვერავინ იტყოდა, – გლეხებმა მოკლეს მებატონეო.

დანარჩენი ოთხიდან ერთი, – მოძღვრიშვილი განაჩენის აღსრულებამდე მოკვდა ციხეში.

სამნი – ლაბაური, ინაშვილი და ხიზანიშვილი ჩამოახრჩვეს 1909 წელს.

მაშინდელმა პოლიციამ ვერ დაიჭირა მთავარი ბოროტმოქმედი – ვინმე იმერელი, ამიტომ პროკურორმა კი თქვა სასამართლო პროცესზე, რომ ამ მკვლელობის უკან უნდა იდგეს პარტია, რომელსაც პოლიტიკური მიზანი ჰქონდაო, პატიმრებმა აღიარეს კომიტეტის დავალებით ვმოქმედებდითო, პრესაშიც ქვეყნდებოდა პუბლიკაციები, სადაც პირდაპირ ადებდნენ ხელს სოციალ-დემოკრატებს (ბოლშევიკების ფრაქციას), მაგრამ განცხადებაზე შორს პროკურორი და მით უფრო მოსამართლე ვერ წავიდნენ.

შესაძლოა იყო საიდუმლო მასალებიც, რომელიც მაშინდელ პრესაში არ გამოქვეყნებულა, პრესისთვის უცნობი მასალები რომ იქნებოდა სასამართლოში, ჩანს იქიდანაც, რომ ვალერიან გუნია დააჯარიმეს და რამდენიმე დღით დააპატიმრეს გ. ხიზანიშვილის ჩვენების სასამართლომდე გამოქვეყნების გამო. ასე, რომ, რომც ყოფილიყო ძიებისათვის ცნობილი, ვინ იყო იმერელი ბიჭი, ეჭვმიტანილის დაპატიმრებამდე პრესას არავინ აცნობებდა. იმ სასამართლოს მასალები კი მთლიანად ფალსიფიცირებულ იქნა საბჭოთა ეპოქაში. არ არის გამორიცხული მასალების ფალსიფიცირება მენშევიკების დროშიც. ჟორდანიამ თუ დაპატიმრებული ხალხის გაპარებაზე იზრუნა, ვითომ დოკუმენტების გაყალბებას, არასასურველი ჩვენებების მოსპობას რატომ არ იკადრებდა?

ფაქტი ერთია, მეფის სასამართლომ ცხელ კვალზე მკვლელები დაიჭირა. მრავალრიცხოვანი თხოვნების მიუხედავად, ილიას ხსოვნის პატივსაცემად სიკვდილით არ დაესაჯათ ისინი, მაინც დასაჯეს.

რა სამდურავი შეიძლება მეფის სასამართლოს მიმართ ითქვას?

უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებითად, მათ ვერ მოახერხეს მკვლელობის შემკვეთისა და ორგანიზატორებზე გასვლა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს:

1) ვინმე იმერელისა და ბერბიჭაშვილის გაქცევის გამო, შესაძლოა ბუნებრივად გაწყდა ის რგოლი, რომლითაც ძიება შემდეგ ეტაპზე გავიდოდა.

2) პოლიციელები და სასამართლოს მოხელენიც ადამიანები იყვნენ. ისინი შეაშინეს არ გაექექათ იმაზე მეტი, რაც დაჭერილმა გლეხებმა იცოდნენ. სოციალისტებს იმ დროს ნებისმიერი პირისთვის შეეძლოთ დაენიშნათ ტერორი და აღესრულებინათ კიდეც.

3) ნაკლებსავარაუდო მიზეზი მკვლელობის ორგანიზატორებზე არგასვლისა შესაძლოა ყოფილიყო პოლიტიკურ პარტიათაგან მთავრობის ყველაზე მეტი სიმპათია სოციალ-დემოკრატების მიმართ. ვინაიდან სოციალ-დემოკრატები რუსეთის იმპერიის ერთიანობას იცავდნენ, ვინაიდან მთავრობა ამ საკითხში მათ მიმართ სიმპათიას არც მალავდა, (ბოლოს ამიერკავკასიაში ძალაუფლებაც კი გადასცეს, როგორც იმპერიის ერთიანობის დამცველებს) ამ მიზეზის გამო შეიძლება მთავრობა მოერიდა პარტიულ ბოსებზე გასვლას და მათ დაპატიმრებას, მაგრამ ეს ვერსია, ვიმეორებ, ნაკლებსავარაუდოა.

ჩემი აზრით, დაშინებას უფრო ექნებოდა ადგილი, (უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება იმისა, თუ როგორ თანამშრომლობდნენ ბოლშევიკებთან მაშინდელი მაღალი თანამდებობის პირები სიკვდილის შიშით) იმ პერიოდისთვის ისეთი ქაოსი სუფევდა, ისე პანტაპუნტით ხოცავდნენ ადამიანებს, რომ იმაზე მეტს სასამართლო ძიებას ვერც მოვთხოვთ, რაც მათ შეძლეს. ჩამოგითვლით რევოლუციონერთა ხელით მოკლულ მხოლოდ თანამდებობის პირებს (რიგითი ადამიანების მსხვერპლი იყო ასეულობით).

მოკლულ იქნენ:

საქართველოს ეგზარხოსი ნიკონი;

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი;

რკინიგზის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი სტანო;

ჟანდარმთა როტმისტრი რუნიჩი;

გორის მაზრის უფროსი გუგუშვილი;

ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის უფროსი ჩიჟიკი;

15 „გოროდოვოი“
ათეულობით ბოქაული და უბნის ზედამხედველი.
თავდასხმის შედეგად სიკვდილს გადაურჩნენ:
გენერალი ალიხანოვ-ავარსკი, რომელიც ქუთაისში დაჭრეს;
თბილისის გენერალ გუბერნატორი ტიმოფეევი;
სამხედრო საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ვოლკოვი;
თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების უფროსი კარლოვი.

თავდასხმა მზადდებოდა ასევე მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვზე და გენერალ შირიკინზე, რომელნიც სიკვდილს გადაარჩინა იმან. რომ ბოლშევიკების იმ ჯგუფში, რომელიც თავდასხმას ამზადებდა, აღმოჩნდა აგენტი ვინმე პეტროვი, რომელიც მალე ბოლშევიკებმა ხანჯლით მოკლეს ბაქოში. რევოლუციონერებს თავი არც დაუმალავთ. პეტროვის სიკვდილის შემდეგ გაავრცელეს პროკლამაცია, რომ იგი მოიკლა პარტიის განაჩენითღალატისათვის.

ყველა ეს საქმე ძიებაში იყო. რიგ შემთხვევებში შემსრულებლები დაიჭირეს, ორგანიზატორები ვერა.

ბოდიშს ვუხდი მკითხველს ილიას სახელის გვერდით ამათი ხსენებისათვის, მაგრამ ფაქტია, თავის გენერლებზე თავდასხმის ორგანიზატორები ვერ აღმოაჩინეს, ასეთ დროს ცენტრში, ანუ პეტერბურგში, ილიას გამო თავს არავინ მოიკლავდა, ბოლოს და ბოლოს, მათთვის პოლიტიკურად არასანდო მოღვაწე იქნა მოკლული და მკვლელებმა მათ წისქვილზეც დაასხეს წყალი. ერთი სიტყვით, მეფის სასამართლომ ვერ შეძლო შემკვეთისა და ორგანიზატორების დაპატიმრება, მაგრამ დააპატიმრა მკვლელები და ძიება წაიყვანა სწორი მიმართულებით, ანუ პროკურორის განცხადების სახით მაინც მიანიშნა იმ პარტიაზე, რომელიც ერთმნიშვნელოვნად მკვლელად წარმოისახა საზოგადოებრივმა აზრმა. ამ მხრივ ყველაფერი კონცენტრირებულია ორ წერილში. პირველის ავტორი ყოფილი სოციალ-დემოკრატი **ირ**ოდიონ **ევ**დოშ**ვილი** გახლავთ, რომელმაც ილიას მკვლელობით შეძრწუნებულმა გამოუჯახუნა თავის პარტიას კარი.

მეორე წერილს კი აქვს ხელმოწერა ქართველი და მისი ავტორია **ვალერიან გუნია.** მოხდენილად თქვა გრიგოლ რობაქიძემ, თუ საქართველოს მოურავი ილია ჭავჭავაძე იყო, ილიას სახელის მოურავი ვალერიან გუნია გახლდათო.

გთავაზობთ ილიას თანამებრძოლის და ილიას ყოფილი ოპონენტის წერილებს ხსენებულ საკითხზე:

ვალერიან გუნია:

პოეტის მკვლელები

შვიდ თვეზე მეტია მას შემდეგ, რაც ქართველ ერს ზარდამცემი ამბავი ეუწყა: „მოკლეს ილიაო!“ გავიდა თითქმის შვიდნახევარი თვე იმ დღიდან, როცა დაობლებულმა საქართველომ მიაბარა მთაწმინდას დიდის ზეიმ–ზარით გლოვით თავის პირველი შვილი, შესანიშნავი მოამაგე და მოჭირნახულე ჩვენის ქვეყნის და ერისა.

ვინ იყვნენ ილიას მკვლელები? ვინ მოკლა დიდებული პოეტი? ვინ, რომელმა მხეცმა, რომელმა შმაგმა გარეწარმა აღმართა მახვილი ქართველი ერის ქება–დიდების წინააღმდეგ და მოაშორა წუთი სოფელს 70 წლის მოხუცი კაცი–ადამიანი? ვინ იყო ეს მეოცე საუკუნის ქართველი ჰეროსტრატე?

აი ის მწვავე კითხვა, რომელიც მაშინვე ჩაესახა გულსა და სულში ქართველ ერსა და საზოგადოებას და რომელიც დღემდე არ ასვენებს მის სინდისს. ზღვასავით აღელდა და აბობოქრდა ეროვნული გრძნობა: ეს მკვლელობა იმდენადვე ზარდამცემი იყო, რამდენადაც უკურნავი...

მკვლელები კი არსად სჩანდნენ. ჯოჯოხეთის მოციქულნი–კაენები მიიმალნენ, უჩინმაჩინის ქუდი ჩამოიფრატუნეს. შეიქნა ორ გვარი სასტიკი გამოძიება. მთელს ქვეყანას სწყუროდა შეეტყო, თუ ვინ მოსცხო მას მარადის წარუშლელი სამარცხვინო ჩირქი, მაგრამ... გაგვაჩუმეს! – „დაწყნარდით, დამშვიდდით, მოითმინეთ, თავის დროზე ყველაფერი გაიგება და გამოირკვევაო“, გვამშვიდებდნენ გაზეთები. – „ნუ გვიშლით ხელს, მოგვიცადეთ, ყველაფერს ავხსნით და გამოვააშკარავებთ!“ – გაიძახოდენ მთავრობის გამომძიებელნი, და სდუმდა დღემდე მრავალ მომთმენი ქართველი ერი, სდუმდა და გულში იკლავდა საშინელს შურს და ბოღმას. სდუმდა, მაგრამ იმავე დროს მისი ფიქრი და გონება გარს უვლიდა საზიზღარ მკვლელებს.

ქართველი ერი დღედაღამე ცხადლივ თუ სიზმრად ეკითხებოდა თავის თავს: ნეტა ვინ უნდა იყვნენ ეს ნაძირალანიო – ფსკერის ჯოჯონი და მახინჯებიო?!

მართლაც, ვის უნდა მოეკლა ერის დიდება, სახელოვანი ადამიანი? უბრალო ქურდებს, ყაჩაღ-ავაზაკებს? არა! ჩვენებური ავაზაკები არ ჰკლავენ კაცებს, მეტადრე მოხუცებულთ და დედაკაცებს; იმათ გულში კიდევ საკმაოდ ჰფეთქს კაცობრიული ნაპერწკალი. ყაჩაღ-ავაზაკებს ჰშიანთ და ამიტომ თუ ძარცვავენ მგზავრთ, კაცს კი იშვიათად ჰკლავენ!

ავაზაკები ჰკლავენ მარტო პირად მტრებს და იარაღით მოსეულთ... ქართველი ავაზაკები არ ასახიჩრებენ თოფის კონდახებით მოხუცებულ ქალებს, როგორც ეს დამართეს ილიას მკვლელებმა მის მოხუცებულ მეუღლეს.

არა, ილიას მკვლელები არ არიან უბრალო ავაზაკები!

მაშ ვინ არიან ილიას მკვლელები? ეგრედ წოდებული „ხულიგანები"? შეუძლებელია. ილია არ იყო რომელიმე მებრძოლ პარტიის წევრი და ბელადი; ის არ იღებდა მონაწილეობას პროპაგანდა–აგიტაციაში, იგი არ იდგა რევოლუციის ქარტეხილში წითელის დროშით ხელში; მან სანაქებოთ აასრულა თავისი დიადი როლი: 50 წლის განმავლობაში იგი დაუღალავად და თავდადებით ემსახურებოდა თავის ბედკრულ სამშობლოს და ქართველების გათვითცნობიერებას. ახლა კი, 70 წლის მხცოვანი და ღვაწლ-მოსილი, იგი სამართლიანად ეძებდა მყუდრო ცხოვრებას თავის მყუდროვე სავანეში, მაგრამ ველურების ტყვიამ ბოლო მოუღო ქვეყნისათვის გატანჯულს და მისუსტებულ გულის ძგერას.

არა, ილიას არ მოკლავდნენ „ხულიგანები"! (ხულიგნებით იმჟამად დაკომპლექტებული იყო მეფის მხარდამჭერი, ე.წ პატრიოტ რუსთა კავშირი. ვალერიან გუნია ან მათ გულისხმობს, ან ილიას მკვლელობის დროს ჩვენს მიერ მოტანილ ლექსში ნახმარ სიტყვა „ხულიგანებს", რომლის ავტორია ია ეკალაძე. ნ.გ.)

იქნებ პირადი მტრები ყავდა ილიას? არც ესაა მართალი. ილიას არასოდეს არ ყოლია პირადი მტრები გარდა იდეური მტრების – მოწინააღმდეგეთა. ხოლო ილიას მტრები და მკვლელები უსიკვდილოდ უნდა ყოფილიყვნენ და არიან კიდეც საქართველოს ორგულები და მტრები!.. იქნებ რომელიმე პოლიტიკური პარტია მტრობდა ილიას? შესაძლებელია, მაგრამ რამდენადაც ვიცით პარტიები, როგორც მაგალითად ქართველი ესერები, ანარქისტები და ესფერები, ნაციონალისტები და ავტონომისტები განუსაზღვრელ პატივსა სცემდნენ მხცოვან მგოსანს და ქვეყნის პროგრესიულ მუშაკს, მოჭირნახულეს, რაიც აშკარად დამტკიცდა საერთო გლოვა–ზარის დროსა და იმ დრომდე საქართველოში არ ნახული, დიდებული პოეტის დაკრძალვის დროს...

მაშ ვინ არიან ილიას მკვლელები? სად, რომელ პიროვნებაში, ან რომელ პარტიაში იმალება კაენის სახე?!

მრავალ ტანჯულ საქართველოს კიდევ ამ 15 წლის წინათ მოევლინა ერთი საშინელი სენი: აღვირ ახსნილ და ზნე გახრწნილ არსებათა ბრბო, რომელიც სოციალიზმის ნიღაბს ატარებს, მაგრამ

ფიქრობს მხოლოდ თავის კუჭსა და „არსების პურზე". ამ უგუნურთა და ფანატიკოსთა ბრბომ, თავიანთ დემაგოგ–ბელადების შთაგონებით იმ თავითვე უარყო ქართველი ეროვნება, დაგმო ქართული ენა და წარსული, დაგმო ქართველი ერი და მისი თავისუფალი მართვა-გამგეობა და გადიქცა სხვა ერის სოციალ-შოვინისტთა ლაქიებათ და ცენტრალიზმის სახელით ახალ მონობის მღაღადებლათ.

ამ ბრბომ თავი აღიარა „მუშათა პარტიათ", გააღო ფართოთ თავისი სამიკიტნოს კარები, დაატრიალა არღანი და შერეკა თავის დუქანში პარტიის წევრებათ კაცის მკვლელები, ჯიბგირები, მძარცველები, ქუჩის ბიჭები და სხვა ყოველ გვარი ნაძირალები. ამ უბადრუკმა ბრბომ თავის უნამუსო დამქაშებით დაიპყრო, დაბეგრა და დააფრთხო ისედაც დამფრთხალი ქართველი ხალხი, დააარსა სოფლათ და ქალაქათ კომიტეტები, გაავსო ქვეყანა თავხედ და უმეცარ აგენტებით და პარტიის სახელით ჩაიდინა საქართველოში აურაცხველი საზიზღარი ბოროტებანი, რომელთა აღწერას არ ეყოფა მთელი მრავალ ფურცლიანი წიგნები და რომლებიც აშკარავდება თან და თან და დღითი დღე.

აი ამ ქართველი ეროვნების უარ მყოფელმა ბრბომ იმ თავითვე შეიძულა საქართველოს მოამაგენი, წრფელი მოღვაწენი, უანგარო მუშაკნი და მათ შორის ყველაზე მეტად და უდიერად – ილია ჭავჭავაძე, რომელსაც გაუმართა გაზეთ „კვალსა" და „მოგზაურში" მწვავე ყალთაბანდური პოლემიკა და რომლის შესახებ მოჰფინა ხალხში საზიზღარი ჭორები და ცილის წამებანი.

ამ დაბრმავებულმა ბრბომ დასწვა მახათას ველზე ილიას უკვდავი ნაწერები; ამ ბრბომ დახია და დაგლიჯა ხალხის წინაშე ილიას სურათი; ამ ბრბომ შეაძულა ქართველ გლეხობას მისთვის თავ დადებული ადამიანი, მის ჭირ-ვარამის აღმნუსხველი მგოსანი, მისი მოამაგე და გულ–შემატკივარი... და სწორედ აი აქ იბადება უნებლიე კითხვა: ეს წარმოუდგენელი საზიზღრობა ხომ არ ჩაიდინეს ამ ბრბოს უვიც აგენტებმა?! იმათ ხომ არ მოკლეს ილია ჭავჭავაძე? ეს საშინელი ეჭვი, ეს ზარ დამცემი აზრი ცხოვლად წარმოუდგა ყველა ქართველს განსაკუთრებით „ისრის" № 44 ნაკითხვის შემდეგ.

– „ჩვენ მოვკალით ილია ჭავჭავაძე კომიტეტის განკარგულებითო", ეუბნება ბოქაულს გიორგი ხიზანაშვილი; – ილია მოკლეს ინაშვილმა, ბერბიჭაშვილმა, ფშავლიშვილმა და ერთმა იმერელმაო", ამბობს იგივე.

ნეტავ ვინაა ეს „კომიტეტი“, რომლის განკარგულებით მოქმედებდნენ ეს ცოფიანი ნადირები? ნეტა რომელი პარტიის კომიტეტი მოქმედობდა დუშეთ–საგურამოს რაიონში?!

მკვლელებს ისიც კი უკვირდათ, თურმე, რომ მათ წყევლა–კრულვით იხსენიებდა ქართველი ერი და ჟურნალ-გაზეთობა; მათ ეგონათ, რომ ილიას სიკვდილით სასახელო საქმე ჩაიდინეს, იხსნეს ქვეყანა მტარვალისაგან, ნამდვილად კი მკვლელები საუკუნოთ დაგმო ქართველმა ხალხმა.

ადვილი მისახვედრია, თუ ვინ ყოფილან ილიას მკვლელები. ესენი იყვნენ ბრმა იარაღნი იმ ნამდვილ მკვლელთა, რომელნიც თვალთმაქცურად პარტიის და კომიტეტის ფარდას ეფარებიან.

ახლა ვიკითხოთ, ნეტა ვინაა ეს სამშობლოს უარმყოფელნი, ქვეყნის ორგულნი და ქართველ მოღვაწეთა ჩამქოლავი, მკვლელნი, ხალხის იარა და მძარცველი ბრბო? პასუხი არაა საჭირო, ყველამ ვიცით ვინც ბრძანდებიან ეს რაინდები...

ვიკითხოთ ახლა, ვინ არ მიიღო მონაწილეობა ილიას დასაფლავებაზე? ვისი კომიტეტი გადგა განზე? ვინ აუკრძალა გლეხებს და მუშებს ილიას დაკრძალვაზე დასწრება? ვინ არა სცა პატივი ფეხზე წამოდგომით ილიას ხსოვნას და არ მოისურვა სამძიმრის დეპეშის გამოგზავნა პეტერბურგიდან? ვინ აღიარა გაზეთში უბრალო „ნაფოტათ“ ილია ჭავჭავაძე? (ვალერიან გუნიას მხედველობაში აქვს ნოე ჟორდანიას წერილი „ბნელი ძალები“ რომელიც 1907 წლის ნოემბერში დაიბეჭდა გაზ.“ჩვენ გზაში“. – ნ.გ.) ვინ გამოექომაგა ილიას მკვლელებს? რატომ? რისთვის?!..

კმარა!.. აქ ყველაფერი აშკარაა! აქ ყველაფერი ნათლად სჩანს, ყველაფერი ადვილად გასაგებია! (ჩვენ აქ ახალს არაფერს ვამბობთ, ყოველივე ეს უკვე გამოირკვა გაზეთებიდან).

მომწიფდა ჟამი, რომ ნიღაბი ავგლიჯოთ ხალხის ცრუ ბელადებს. დროა გაახილოს თვალი ჩვენმა ხალხმა და ახალგაზრდობამ! დროა გადაიძროს ლაჩრობის ჩადრი ჩვენმა ინტელიგენციამ და ზოგიერთმა გაზეთებმაც! დროა აღვიჭურვოთ მოქალაქობრივის გამბედაობით! დროა ვიცნოთ მგლები ბატკნის უმანკო ქურქში გახვეულნი და შევაჩეროთ მათი წრეს გადასული თარეში და ვერაგობა-ბოროტებანი!

არ გვინდა სისხლი, არ გვსურს შურის ძიება! საჭიროა გავიგოთ მხოლოდ სინამდვილე. საჭიროა მხოლოდ გაიკრას სამარცხვინო ბოძზე ილიას მკვლელნი და საქართველოს მოღალატენი. საჭიროა ისტორიამ და შთამომავლობამ ამიერიდგან სამუდამოდ გაიცნოს

ქართველი ერის და ქვეყნის მტერ–მოყვარეთა სულის სწრაფვა და განზრახვანი. აი ეს არის საჭირო, სხვა – არაფერი!

ქართველი.

იროდიონ ევდოშვილის წერილი სანდრო შანშიაშვილისადმი

ძმაო სანდრო,

მივიღე შენი წერილი, მივიღე და ძრიელაც გამიხარდა. საზოგადოდ ქართველი მწერლის მდგომარეობაში და კერძოდ ჩემს ახლანდელ ყოფაში ზნეობრივი თანაგრძნობა გაზაფხულის სხივია ზამთრის ყინვაზე დაშვებული. შენი წერილიც სწორედ ეს სხივი იყო ჩემთვის. მადლობელი ვარ მეგობარო, იმ ტკბილი წუთებისათვის, რომელიც მე ვიგრძენ შენი წერილის წაკითხვით. მადლობელი ვარ და გიგზავნი ჩემს გულმხურვალე სალამს. ამ მოკლე წერილით ვერ გამოვთქვამ ყველა იმას, რაც მე მინდოდა დიდი ხანია მეთქვა, რაც შხამის ტბად გრიალებს ჩემს გულში და ეს ტბა კი ჩემმა ნამეგობრალებმა დაატრიალეს. მართალს გწერ სანდრო, ვიცი, რომ იმგვარი გადამთხვეულები, რომლისთვისაც შენ კბილები მიგიმტვრევია ბევრნი არიან, მლანძღავენ, მჭორავენ. აქა ვარ, გამოვეცალე იქაურობას, მაგრამ ჩემს ლანდს მაინც უყეფენ და მოპარვით ზურგიდამ მჩხვლეტავენ. კარგა ხანია რაც ამ გველებმა სისინი დაიწყეს. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ამგვარმავე „გადამთხვეულებმა“ ილიას მოხუც, ნაჭირნახულევ გულს ტყვია დაახალეს. ეს ტყვია მეც მომხვდა, როგორც სამგლოვიარო სევდა. მე ხმა ამოვიღე, ლექსით, წერილებით და აქ გაწყდა ჩემსა და მათ შორის შემაერთებელი ძაფი, მაგრამ მე მართალს არ ვამბობ, ძაფი კი არა, ნამდვილი ჯაჭვი. ჯაჭვი, იმიტომ, რომ მათთან ვიყავ მე მიჯაჭვული მთელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში იდეურად. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ არავინ იცის, როდის დაიწყო ჩემს გულში ბრძოლა. ბრძოლა ორ აზრს შორის: რას ვემსახურო, საქართველოს ერს, როგორც პოლიტიკურად დაჩაგრულ ხალხს, თუ პროლეტარიატს, როგორც ეკონომიურად დაჩაგრულ კლასს, ორივე ჩემთვის ძვირფასი იყო და დღესაც ძვირფასია, მაგრამ როდესაც ქართველმა ესდეკებმა საქართველოს ხსენებაც კი სათაკილოდ გაიხადეს, როდესაც მისი აწინდელი კვნესა მომავალ სოციალიზმის შვებასთან დააკავშირეს და ცხონებას სიკვდილის შემდეგ დაჰპირდნენ, მაშინ

კი ჩემი აზრები ჩემმა გულმა გადაატრიალა მათ წინააღმდეგ. ეს მოხდა ჯერ ისევ 1903 წელს. მაშინ მივანებე კიდეც „კვალში“ თავი მუშაობას. ნელ-ნელა მიდიოდა ეს ნაკადული ჩემს გულში, ჩუმად, მარტოდ–მარტო ჩემს ფიქრში, ძნელი იყო თორმეტი წლის ნაჭედი ჯაჭვის გაწყვეტა და აი, ილია დამეხმარა მე თავის სიკვდილით. იმ დღიდან კი სამუდამოდ ვიბრუნე პირი ქართველ ესდეკებიდამ და თუ მოვბრუნდები დღეს მათკენ, მივბრუნდები მხოლოდ იმისათვის, რომ მივაფურთხო მათ. ვიმეორებ და შენს ყურადღებას მივაქცევ ორ სიტყვას: ქართველ ესდეკებისკენ-მეთქი. იმიტომ, რომ ასეთი უკულმართი შეხედულება, როგორც მათ აქვთ ეროვნულ საკითხზე, არც ერთი ქვეყნის სოც. დემოკრატს არა აქვს. დააკვირდი და ყურადღება მიაქციე ავსტრიის ესდეკებს, გერმანელებს და სხვა. მაგრამ თუ დღეს ქართველ მუშას ასეთი უკულმართი შეხედულება აქვს ეროვნულ კითხვაზე, ამაში რასაკვირველია ქართველი ესდეკი ინტელიგენციაა დამნაშავე. მეც ერთი მათგანი ვარ და მინდა ჩემი შეცდომა გავასწორო. მე ისიც კარგად ვიცი სანდრო, რომ ბევრს ამავე მიზეზის გამო შეგნებულ მუშას და ინტელიგენტს ესდეკს გადმოუბრუნდება ჩემსავით გული, მაგრამ ძრიელ ცოტანი ჰბედავენ მათში კერძო ლაპარაკის დროს თვის გულწრფელი აზრების გამოთქმას, წერვით რომ ეშინიანთ და ემალებიან იმ ზიზღს, რომელიც მე მდევს თან მათი ამხანაგებისაგან, მაგრამ შენ ხომ იცი პოეტის გული კალამს ვერ გაამრუდებს და მეც ვერ გავუძელ ჩემს გულისთქმას. ვამბობ და ვსწერ იმას, რასაც ჩემი გული მელაპარაკება. მათი ნესტრის ტრიალი შეეჯახა ქიზიყის ჯიუტ გულს და დღეს უნდა გითხრა, მე გამარჯვებული ვარ ამ გველებზე. მათი შხამიანი ისარი ვერ აღწევს მიზანს, თუმცა ძვირად კი დამიჯდა ეს სულიერი ბრძოლა. ბევრი ნაღველი გამოვიარე და ამ ნაღველმა სევდის ჩრდილი დაჰკრა ჩემს სულს, ეხლა კმარა ამაზე, რასაც გწერ, შემდეგ წერილებში უფრო უკეთესათ მოვილაპარაკებთ, მოგწერ ჩემი ახლანდელი მდგომარეობის შესახებ მოკლედ: სულის ობლობა, მატერიალური გაჭირვება... მენატრება ადამიანი, რომ ხანდისხან გულს შვება მივსცე მასთან გამოლაპარაკებით. ქონებრივი მდგომარეობა კი ისეთია, რო ხშირათ მენატრება „რჟანოის“ პური და თუ საკმაოდ ვიშოვე ხოლმე, ქადასავით შეევექცევი. ქალაქი ქალაქუშკაა. იწერები ქუჩის სახელი არ ვიციო და ამიტომ ადრესს კარგად ვერ ვაწერ წერილსო, აქედამ წარმოიდგინე რა ქალაქი იქნება, როდესაც აქ ქუჩით და სახლის ნომრით კი არ ეძებენ კაცს, არამედ ვის სახლში ცხოვრობს პეტროვთან თუ პახომოვ-

თან... როგორც მაგალითად ვსთქვათ ტლუშკაანში იციან ხოლმე ტყაჭაანთ სახლი, მუხრუჭაანთ ნაგომარიო და სხვა. ზაფხულს აქ არა უჭირს რა, უკეთესად ვატარებდი დროს, თითქმის ყოველდღე მივდიოდი მარტოთ–მარტო მდინარე ვოლგაზე ჩემი პატარა ქვაბით და ნემს–კავებით ვთევზაობდი, დროს ვატარებდი და ვიკვებებოდი, ზამთარი დაიწყო და ტანჯვაც გამიორკეცდა. გადმოსახლებულნი პოლიტიკურნი 25 კაცამდეა, მაგრამ მათთან ოფიციალური კავშირი მაქვს მხოლოდ. მათ შორის ოთხი ქართველი მუშა იყო, ეხლა ორიღაა, ორი წავიდა. უნდა გითხრა, რომ ოთხივე მუშა დიდად სიმპატიური ყმაწვილები იყვნენ. მათაც მოჰხვედრიათ საქართველოს სიყვარულის ფრთა და ხომ იცი, მე უფრო ხელს უწყობდი. ასე რო ორივ უკვე მონათლული გავისტუმრე აქედამ. აქ ორნიღა არიან და იმედი მაქვს, ესენიც ისე წავლენ აქედამ, როგორც მათი ამხანაგები. ეხლახან გადმოიყვანეს მეზობელ ქალაქიდამ ერთი ქართველი სტუდენტი – სარაჯევი. ქალაქში დაბადებული და გაზრდილი. ქართულს არ ლაპარაკობს, არ ვიციო. ჰმალავს, მიჰქარავს ეს ღორი. ქალაქში ე.ი. თბილისში გაზრდილმა ქართველმა ქართული არ იცის. შეიძლება, კაი ბიჭიც იყოს, ჯერ არ ვიცნობ კარგად, მაგრამ სამწუხაროთ ამ ერთადერთმა მიზეზმა უკვე შემაძაგა ეს გადაგვარებული თხა. შენი მოძღვნილი ლექსი ჩრდილოეთში წავიკითხე, მიჩვენა ერთმა ქართველმა მუშამ ობმოკიდებულმა მარქსისტმა, რომელსაც ცოტა ობი გადავაცალე, მაგრამ სამწუხაროდ მალე გაანთავისუფლეს და ჟანგი მაინც თან გაჰყვა. ასე, ჩემო სანდრო, უნდა ვისარგებლოთ ყოველი წუთით და ყოველი შემთხვევით. ამიტომ აი რას გწერ: არ დაჰკარგო ძვირფასი დრო ახალგაზრდობისა, ისწავლე, კარგად მოემზადე, ჩამოდი შეიარაღებული და შევუდგეთ ერთად რედაქციაში მუშაობას. მე თუმცა უკვე ცხოვრებამ მიმამტვრივ–მომამტვრივა, მაგრამ იმედი მაქვს კიდევ ერთი ათიოდე წელიწადი შემოგყვეთ როგორმე. ამ წუთას და კიდევ წელიწადნახევარი, ვიდრე გამანთავისუფლებენ, მე თავს მკვდარივით ვგრძნობ, გავცოცხლდები მაშინ, როდესაც კვლავ დავბრუნდები თბილისში. აბა შენ იცი როგორი შეიარაღებული ჩამოხვალ და გავწევთ ერთათ ჭაპანს. მწყურიან ბრძოლა, როგორც მკათათვეში ეხის წყალი! კარგა ხანია შენი აღარა წამიკითხავს რა. რას შვრები, რატომ აღარას ჰბეჭდავ. „სახ. გაზეთში" აღარ ვგზავნი ლექსებს. მაწყენინეს ძრიელ. რამდენიმე ლექსი ექვსი–შვიდი თვე ედვათ იქ და არ დაბეჭდეს. მართალია ცოტა სახიფათონი იყვნენ, მაგრამ საქმე ის არი რო მიზეზსაც კი არ მატყობინებენ რატომ არ ჰბეჭდავენ. მეც

აღარ ვუგზავნი და მივსწერე, რომ აღარც ის ლექსები დაბეჭდონ. ჯერჯერობით ასეა. ბეგლარა ხომ იცი, როც ჰსვამს არა სცალიან და როცა არ ჰსვამს ეძებს, რომ ისევ დალიოს, ამიტომ არც მაშინ სცალია წერილებისთვის."

23 ნოემბერი, 1911 წ.

მეორე წერილი ი. ევდოშვილისა იმავ ადრესატისადმი:

მივიღე შენი მეორე წერილიც, ვწუხვარ, რომ ჩემი პირველი წერილი არ მიგიღია, იმ წერილში ბევრ რამეს გწერდი, სახელდობრ ჩვენს ეგრეთ წოდებულ იმ „ესდეკებზე" რომელთაც „ესდეკობა" იმაში მიაჩნიათ, რო აგინონ ყოველივე ქართული და, მისი წარსული, მისი აწმყო და და მისი მომავალი იდეალი. ერთის სიტყვით, ყველაფერი, რასაც კი ქართული ელფერი აძევს. ეს ის ტიპნი არიან, რომელთაც თავისი ინტერნაციონალობა ჰსურთ თავის თავის დაკნინებით და უარყოფითად გამოხატონ და დაამტკიცონ. მათში ბევრი გულწრფელად აღიარებს ამ მცნებას, სჯერა თავისი კოსმოპოლიტობა, ამაში ჰხედავს თავის სიდიადეს და როგორც ჩინეთის მწირი ფრჩხილებზე შემდგარი დაპშტერებია თავის კუჭს, სადაც მისის აზრით ჰმარხია ქვეყნის მხსნელი იდეა. ბევრია მათ შორის ფლიდიც, რომელსაც ერთი მუჭა ღომი მთელს ევროპას ურჩევნია, მაგრამ მიუხედავად თავისი უტვინობისა, ეშმაკობა მაინც შესწევს, ეგლისება მუშებს და ატყუებს მათ. ხომ იცით ზერა-ქვერობა, ეს მუშებიც ჰბაძავენ მას სიტყვების რახა-რუხში, ყოყლოჩინობაში და კმაყოფილნი, რომ გამეცნიერდნენ, ასე უცებ დადიან გაბღენძილნი. ძნელია მათთან კამათი, -ძმურს სიტყვას გესლიანი ეჭვი უხვდება, მამულიშვილურ წმინდა გრძნობას ბრამინის კუჭი. ეს მზადაა გაგფატროს, შეგჭამოს, ოღონდ ნუ ჩამოაგდეფ იმ „ინტერნაციონალურ" ოჩოლფეხიდამ, რომელზედაც ის ასე ადვილად ავიდა. „თქვენ ნამდვილი ფილოსოფოსები ხართ"-ასე უთხრა ერთმა ჩვენმა ნიჭიერმა მარქსისტმა პუბლიცისტმა ერთხელ ქართველ მუშებს. ეს პირი კი მუშებს ისე სწამთ, როგორც მართლმადიდებელს ღმერთი, მოდი და ამის შემდეგ უთხარ ამ „ფილოსოფოსს", რომ „ისწავლე სწავლის მძებნელო, მიჰყე დავითის მცნებასათქო..." ამგვარ ნიმუშებს ბევრს შეჰხვდები ჩვენში. როდის დახალისდება ეს პარტია, როდის ეღირსება ქართველ პროლეტარს ჭეშმარიტი სიტყვა თავისი ბელადებიდან ნაციონალურ კითხვაზე,

ან თვით ამ ბელადებისთვის როდის გამოირკვევა იგი იმ პირობებში, რა პირობებშიაც უნდა პრაქტიკულად იმოქმედოს კაცმა წინამძღვარებულს იდეით სამწუხაროთ ვერ გამოვიცნობთ, უკეთ ვსთქვა, ეს მალე მაინც არ მოჰხდება. ამის შესახებ კიდევ მოგელაპარაკები შემდეგ წერილებში. ჩემს ახალ პოემაზე მწერ სინანულს და „სახალხო გაზეთისადმი" საყვედურს, რომ არ დაუბეჭდიათო. მართალი არა ხარ, მე მათთვის არ გამიგზავნია ეს პოემა, და არც მიფიქრია გამეგზავნა. მხოლოდ ნიკო კურდღელაშვილს მივსწერე შინაურულათ, რო მაქვს ერთი პოემა დათავებული მეთქი და იმან „ჩააგდო" გაზეთში ის, რასაც შენ წაიკითხავდი. ამ პოემის პირველი ნაწილი პროზითაა დაწერილი, მეორე ნაწილი ლექსად, მეორე ნაწილი ცალკე მთლიანს წარმოადგენს და ლ. ბოცვაძე დაჰბეჭდავს „განათლებაში", როგორც მწერს, იქნება ცალკე წიგნათაც გამოსცეს."

აქ შეგნებულად მოვიყვანე რადიკალურად განსხვავებული მსოფლხედვისა და ურთიერთდაპირისპირებული პარტიების 2 წარმონადგენლის წერილები.

ვალერიან გუნია ილიას მიმდევარი და მეაბჯრე იყო. ეროდიონი კი აქტიური რევოლუციონერი. რევოლუციონერი არა მხოლოდ კალმით, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც. ერთხანს მეფის ჯარში მსახურობდა, იქ ჯარისკაცთა შორის ეწეოდა რევოლუციურ აგიტაციას. შოულობდა იარაღს და მიჰქონდა თავისი პარტიულ ამხანაგებისთვის. სწორედ ეს საქმიანობა გაუხსენეს და 1909 წელს დააპატიმრეს. ეს წერილები სწორედ გადასახლებიდან არის გამოგზავნილი.

გუნიას თუ დააბრალებდნენ, რომ პარტიული ანგარიშით ამხელდა სოც-დემოკრატებს, ეროდიონს რაღა რჯიდა, კაცი ხომ რევოლუციონერობის გამო იყო დაპატიმრებული? ესეც არ იყოს, მთლად მეგობარი გახლდათ სტალინისა და გადასახლებაში 1 წელი ერთად ცხოვრობდნენ. ასე რომ, ევდოშვილის მიერ საკუთარი ამხანაგების მხილება ყველაზე ძვირფასი დოკუმენტია მეისტორიესათვის.

ზემოთ ვთქვი, ილიას მკვლელობის შემდეგ სოციალ-დემოკრატებზე პირდაპირ ხელის დადება დიდ გაბედულებად ითვლებოდა-მეთქი. ვალერიან გუნია გაბედული აღმოჩნდა. როგორც კი ხიზანიშვილის ჩვენება შეიტყო, პირდაპირ დაადო ხელი პარტიას, 1908 წელს. ზემოთ იმასაც ვამბობდით, თანდათანობით პოლიტიკურ ბაზარზე სოციალ-დემოკრატების ფასმა იკლო. განსაკუთრებით 1909-1910 წლიდან მა-

თი დაპატიმრებები ისეთი მასშტაბით წავიდა, მათი მხილება უკვე, ასე თუ ისე, შეიძლებოდა. ეს დროც დადგა.

●

ზემოთ ვისაუბრეთ ჟურნალ „მოგზაურში" გამოქვეყნებულ ვ-ნ-ს პუბლიკაციაზე. ილიას პასუხის „ნუთუ"-ს დაბეჭდვის დეტალებზე და გამოვაქვეყნეთ ფილიპე გოგიჩაიშვილის წერილი. ის რაც ფილიპემ ვერ სთქვა ვერც 1905 წელს და ვერც მომდევნო წლებში, დაბეჭდა 1913 წელს. „ივერიის" ყოფილი რედაქტორი განმარტებას აძლევს ია ეკალაძეს, მაგრამ არსებითად გადაუარა ფილიპე მახარაძეს. ამავე 1913 წელს ქვეყნდება **კიტა აბაშიძის წიგნი „ერთი პილატეთაგანი", გიორგი ლასხიშვილის** წერილი და სხვა ავტორებისა, რომელნიც ხელს ადებენ ფილიპე მახარაძეს და სოცდემოკრატებს. ფ.მახარაძე ამ დროს ბაქოშია და იქ წერს ფ.გოგიჩაიშვილის პასუხს. ეს წერილი ფართო მკითხველისთვის უცნობია, იმავდროულად სათაურში დასმული საკითხის კვლევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ისე როგორც ნოე ჟორდანიას ასევე 1913 წელს დაბეჭდილ პასუხს ფედერალისტებისადმი, ანუ ილიას ჭირისუფლებისადმი.

ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით ფ. მახარაძემ მკვლელობიდან 6 წლის შემდეგ ხმა ამოიღო. აი, მისი წერილი.

ფილიპე მახარაძე:

მეორე მხარესაც მოვუსმინოთ!

I

ჩვენ, ფედერალისტ-ავტონომისტებს თითქო სანატრელი დრო დასდგომიათ: თუ 1905-6 წლები მათთვის თავზარდამცემი იყო, სამაგიეროთ შემდეგ ხანაში ბურთი და მოედანი იმათ დარჩენიათ სანავარდოთ. ამ ხნის განმავლობაში იმათ არაფერი არ დაუზოგიათ, ოღონდ კი აბრუ გაეტეხათ ხალხის თვალში განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. სიმართლე და ჭეშმარიტება გაქელეს და სავსებით ანაცვალეს თავიანთი ჯგუფის ვიწრო ეგოისტურ ინტერესებს. ამის შემდეგ რაღა გასაკვირალი უნდა იყოს, თუ რომ ისეთ თავაშვებულ განგაშის დროს იმათ არ დაინდეს თავიანთ მოწინააღმდეგეთა პიროვნება, და აი, სწორეთ აქ, თავიანთ მოწინა-

აღმდეგეთა გაქელვა-გაბიაბურებაში გამოჩნდა იმათი ნამდვილი სულისკვეთება და შესაძლებელი შეიქმნა იმათი ნამდვილი სახის დანახვაც.

ერთ ასეთ პიროვნებათ გახდა თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე, ამ სტრიქონების დამწერი. ამ უკანასკნელ 6-7 წლის განმავლობაში ჩვენი ფედერალისტების პრესსა ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ჩემი პიროვნების დასამცირებლათ და ლაფში ამოსასვრელათ. რა ცილი გინდათ, რომ ჩვენთვის იმათ არ დაეწამებინოთ. მაგრამ ამ მხრით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო ჩვენსკენ წამოსროლილმა საზიზღარმა ჭორმა და ცილისწამებამ ყოველივეს გადააჭარბა. ჩვენ ყოველთვის ზედმეტათ მიგვაჩნდა ასეთ ყოვლად უაზრო ცილისწამებაზე პასუხი გაგვეცა. არის ბრალდება, რომელიც თავის თავად იმდენათ უგნურია, რომ იმის დარღვევა ყველა ჭკუაში მყოფ ადამიანისათვის სრულებით ზედმეტია. ერთ ამ გვარ „ბრალდებათ" უნდა ჩაითვალოს, რა თქმა უნდა, ის სამარცხვინო ჭორი, რომელიც ჩვენმა ავტონომისტებმა ილიას მოკვლის გამო შეთხზეს. ჩვენი შეხედულება ამ მხრით ოდნავადაც არ შეცვლილა, და თუ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ ახლა ხმას ვიღებთ ამ საგანზე, ეს სულ სხვა გარემოებით აიხსნება.

ამას წინათ ბ-ნმა ია ეკალაძე-ცინცაძემ ერთი მხრით, და ბ.ბ. ლასხიშვილმა და გოგიჩაიშვილმა მეორე მხრით, ისეთი რამეები გამოაქვეყნეს გაზეთებში, რის გამოქვეყნებას წინეთ ასეთი სითამამით და ასეთუ გულახდილობით ვერ ბედავდენ. აი, სწორეთ ამ გარემოებამ მაიძულა მე ხმა ამომეღო და ერთხელ და სამუდამოთ პასუხი გამეცა ფედერალისტთა კომპანიისთვის. მაგრამ თავდაპირველათ საჭიროა, ორიოდე სიტყვით მაინც, მოვიხსენიოთ საქმის ვითარება.

როგორც მოგეხსენებათ 1905 წ. დასაწყისში ქართლ-კახეთის სოფლებსაც მოედვა ის აგრარული მოძრაობა, რომელიც არსებითად ბატონყმობის ნაშთის წინააღმდეგ იყო მიმართული და რომელიც დასავლეთ საქართველოდან გავრცელდა. დღეს ბ-ნი გოგიჩაიშვილი მთელ ამ მოძრაობას „საერთო გაგიჟების ხანათ" (ხაზს ჩვენ ვუსვამთ) ნათლავს, მაგრამ ამით მხოლოთ თავის საკუთარ სულისკვეთებას გამოხატავს და არა მაშინდელ თუ დღევანდელ ობიექტურ პირობებს ახასიათებს. ვინ იტყვის, რომ ქართველი გლეხ-კაცობა, ერთხელაც იყო, თავისი აუტანელი მდგომარეობის გაუმჯობესებას შეეცადა, ამისთვის იგი დაგმობის და გაკიცხვის ღირსი უნდა ყოფილიყო? – ასე იყო თუ ისე, იმ ხანებში ყველა ადგი-

ლობრივ რედაქციებს, და მათ შორის ჟურნ. „მოგზაურის“ რედაქციასაც, აუარებელი წერილები და კორესპონდენციები მოსდიოდა საქართველოს ყველა კუთხიდან ამოძრავებული გლეხ-კაცობის შესახებ, და რამდენათაც ჩვენ ვიცით, თითქმის ყველა ეს რედაქციები და იმათ შორის ისეთებიც, რომლებიც დღეს ამ მოძრაობას ლანძღავენ და უშვერი სიტყვებით იხსენიებენ, ასეთ კორესპონდენციებს ბეჭდავდენ. მთელი ეს ისტორია დღეს აღარავის ახსოვს, ვინაიდან მისი მოხსენება ბევრთათვის არც ისე სასიამოვნოა. მაგრამ მოვა დრო, როცა ყველაფერი ეს დღის სინათლეზე იქნება გამოტანილი, და ვნახოთ, მაშინ რაღას იტყვიან ჩვენი დღევანდელი მგმობელნი!

ამ რეაქციონურ, ანუ როგორც ჩვენი ფედერალისტები იტყვიან – გამოფხიზლების ხანაში, მთელი იმათი ყურადღება მიქცეულია მხოლოთ ვ.ნ-ის წერილზე „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, რომელიც 1905 წლის „მოგზაურში“ იყო დაბეჭდილი: ეს იყო და ეს: გარდა საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოებისა ჩვენ თითქო არსაიდან კორესპონდენცია არ დაგვიბეჭდია, და საგურამოში და ჭოპორტის საზოგადოებაში მომხდარი და დაწერილი ამბები რაღაც გამონაკლისს შეადგენდენ იმ ხანებში. ნამდვილათ კი ყოველივე ის, რაც ხსენებულ წერილში იყო ნათქვამი, ჩვენში საყოველთაო და სრულებით ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენდა და დღესაც შეადგენს, არაჩვეულებრივი ამ შემთხვევაში იყო მხოლოდ ის, რომ იქ, სხვათა შორის, როგორც მემამულეზე, თ.დ. ილია ჭავჭავაძეზედაც იყო ლაპარაკი. როგორ უნდა მოქცეულიყო რედაქცია? ნუ თუ მარტო ის გარემოება, რომ წერილში მოხსენებული იყო სხვათა შორის ილია ჭავჭავაძე, საკმარის საფუძველს იძლეოდა იმისას, რომ მთელი წერილი არ დაბეჭდილიყო? ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ ასე კითხვის დაყენება უსამართლობას ნიშნავდა. რედაქციამ სულ სხვანაირათ დააყენა საკითხი: ჩვენ გვაინტერესებდა მხოლოდ მოთხრობილი ამბების სინამდვილე, და როცა ამ უკანასკნელში რედაქცია დარწმუნდა, ვ.ნ–ის წერილის დაბეჭდვაც თავად გადაწყდა.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ვ. ნ–ის კორესპონდენციაში მეტათ აღმაშფოთებელი ამბები იყო მოთავსებული, მაგრამ განა ეს იმის საბუთს იძლეოდა, რომ წერილი არ დაგვებეჭდა? პირიქით, რედაქცია მხოლოთ მაშინ იქნებოდა დამნაშავე, რომ ხსენებული წერილის გამოქვეყნებაზე უარი ეთქვა, სულ ერთია, მოკლებული იყო სინამდვილეს იმაში მოთხრობილი აღმაშფოთებელი ამბები თუ არა. და განა სცადა კი ვინმემ ან მაშინ, ან მას შემდეგ იმის დამ-

ტკიცება, რომ იქ მოთხრობილი ამბები განზრახ გამოგონილი იყ-ვენ? „ცნობის ფურცელმა“ და მაშინდელმა მისმა ხელმძღვანელმა, ბ.გ.ლასხიშვილმა, რომელიც ახლა დედაბრულ კილოზე გოდებს, სრულებით ხმა გაკმინდეს და კრინტიც არ დაძრეს არც ილიას სასარგებლოთ, არც „მოგზაურის“ წინააღმდეგ. სიმართლე მო-ითხოვს ვაღიაროთ, რომ ეს სიჩუმე, თავისებური ფარისევლობით და ლაქუც–მლიქვნელობით, რამდენიმეთ ბ. ფ. გოგიჩაიშვილმა დაარღვია. მან გაზ. „ივერიაში“ ამოიწერა „მოგზაურიდან“ ზოგი-ერთი აღმაშფოთებელი ამბები, როგორც ამას თვითონ ამბობდა, და ილია ჭავჭავაძე საპასუხოთ გამოიწვია, რომ მას დაემტკიცე-ბინა იმათი უსაფუძვლობა. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, ამას თურმე სრულებით არ მოელოდა. პირიქით, ილია ჭავჭავაძე თურ-მე ფიქრობდა, რომ მის დაცვას იკისრებდნენ მისი მეგობრები და თანამოაზრენი, ვინაიდან პრინციპიალურობით როგორც ის, ისე „ივერია“ – „ცნობის ფურცელი“ ერთ და იმავე ნიადაგზე იდგენ. ილია ჭავჭავაძის ასეთი ფიქრი უსაფუძვლო არ იყო. მას მეტათ სა-ღი მსჯელობა და ლოღიკა ქონდა. ბატონყმობის ნაშთების არსებო-ბა, ერთი მხრით, და მხსვილი მიწათმფლობელობა, მეორე მხრით, თხოულობდა ცხოვრებაში მისგან, როგორც კერძო მემამულისა-გან, იმგვარ ტაქტიკას, რომელსაც იგი ადგა. რა ვუყოთ, რომ იგი იმავე დროს „გლახის ნამბობის“, „კაკო ყაჩაღის“ და სხვათა ავტო-რი იყო? განა მისი მეგობრები და თანამოაზრენი, რომელთაც არ-ხეინათ მოეკალათებიათ „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“ რე-დაქციებში, იმავე ტაქტიკას არ ახორციელებდენ ცხოვრებაში? ეს ხომ კარგად იცოდა ილიამ?

ამიტომაც ვამბობთ ჩვენ, რომ ილიას სრული საფუძველი ქონ-და ეფიქრა, რომ მას გამოესარჩლებოდენ „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ მესვეურნი, მაგრამ ამაოთ. ამ უკანასკნელებმა ვერ გამოიჩინეს იმდენი გამბედაობა, რომ საქვეყნოთ განეცხადებინათ იმ დროს თავიანთი ნამდვილი გულის ზრახვანი. ილია ჭავჭავაძე დამნაშავე არ არის იმაში, რომ მისმა თანამოაზრეებმა ვერ გამო-იჩინეს ხასიათის ისეთი სიმტკიცე და, შეგვიძლია ვთქვათ, პირდა-პირ ისეთი რაინდული გამბედაობა, რომლებითაც იგი უკანასნელ წუთამდე აღჭურვილი იყო. მართლაც, სად ეს კაცუნები და სად ილია ჭავჭავაძე? ჭეშმარიტათ შესაბრალისია ეს მდევი–მწერალი ასეთ კაცუნების კომპანიაში. მაგრამ დავუბრუნდეთ საგანს.

ამნაირათ, ილია ჭავჭავაძე იძულებული შეიქნა თვითონ გაეცა პასუხი „მოგზაურში“ მოთავსებულ წერილზე. ვინც კი ეს პასუხი

წაიკითხა, ყველა კარგათ ხედავდა, რომ ეს პასუხი ოდნავათაც არ უარყოფდა ხსენებულ წერილში მოთხრობილ ამბებს. იგი მხოლოდ გვიხსნიდა, განგვიმარტავდა ზოგ რამეებს. კარგათ ხედავდა ამას თვით ბ. ფ. გოგიჩაიშვილიც, რომელმაც რამდენიმეთ თვით ამ პასუხის დაწერა გამოიწვია, ეს მან რამდენიმეთ, თუმც ძლიერ ბუნდოვანათ, აღნიშნა სარედაქციო შენიშვნაში, სადაც იგი, სხვათა შორის, ამბობდა: „ვბეჭდავთ დაპირებისამებრ თ–დ ილია ჭავჭავაძის წერილს, რომელშიაც ავტორი არჩევს (ხაზს ჩვენ ვუსვამთ) მის შესახებ „მოგზაურში" დაბეჭდილ კორესპონდენციასო. როგორც ხედავთ, აქ შენიშვნის ავტორი აშკარათ ამბობს, რომ ჭავჭავაძე „არჩევს" „მოგზაურში" მოთავსებულ წერილს და არა არღვევსო. და საქმე კი სწორეთ ამ დარღვევაში იყო და არა გარჩევაში. მე შემიძლია რომელიმე წიგნი ან ნაწარმოები გავარჩიო, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იმაში გატარებული აზრები და შეხედულებანი უარვყო ანუ დავარღვიო. ასე იყო ამ შემთხვევაშიაც და „ივერიის" ხსენებული შენიშვნაც სწორეთ ამას ამბობდა. მაგრამ ამას როდი ამბობდა „ივერია" ნათლად და გარკვევით. იგი თითქო ეჭვობდა, ვაი თუ ერთ დროს უკან დახევა დარჩეს საჭირო და ამიტომ ზურგს იმაგრებდა. გარდა ამისა, ბ–ნ გოგიჩაიშვილის ორგანო იმასაც უმატებდა, რომ „ზოგირეთ საზოგადო მოსაზრებაში პატივცემულ ავტორს ვერ დავეთანხმებითთო". აშკარაა, მთელი ეს შენიშვნა სრულებით არ უკრავდა კვერს ილიას პასუხს. დღეს კი ბ–ნი გოგიჩაიშვილი ყოველივე ამას ივიწყებს და ურცხვათ გაიძახის, რომ „შენიშვნაც სწორეთ ამ ორიოდე საზოგადო ადგილს (რომელი ადგილებია ეს, ავტორი ამას ახლაც უმალავს მკითხველს. ფ. მ.) შეეხებოდა და არა ილიას მიერ ბრალდების „ფაქტების დარღვევასო" („სახ. გაზ." № 871). როგორც ხედავთ, ბ–ნი გოგიჩაიშვილი ახლა გასავალ ანუ გასაძრომ ხვრელს ეძებს და ამიტომაც ღობე–ყორეს ედება. მაგრამ ასეთი ფანდებით იგი ახლა შორს ველარ წაგვივა.

II

ილია ჭავჭავაძის „ნუ-თუ"-ს გამოქვეყნების შემდეგ მდგომარეობა ასეთი იყო: „მოგზაურში" გამოყენებული ფაქტები დაურღვეველი დარჩენ: „ნუ-თუ"-მ ისინი ოდნავაც ვერ შეარყია. მეორე მხრით, თვით ილია სრულიათ გარიყული შეიქნა. პირველხარისხოვან მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში სათავეში ედგა ქართულ პრეს-

სას და ქართულ საზოგადოებრივ აზრს ხელმძღვანელობდა, თავის გარშემო აღარავინ გამოაჩნდა ისეთი ვინმე, რომელსაც მისი გამოსარჩლება საჭიროთ ეკისრა. იმავე დროს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ილიას „ნუ-თუ"-ში იყო ისეთი ადგილები, როგორც „მოგზაურის", ისე თვით ვ. ნ-ის შესახებ, რომლების უყურადღებოთ დატოვება არ შეეძლო არც „მოგზაურის" რედაქციას და არც ვ. ნ-ს. გარდა ამისა, „ნუ-თუ" შეიცავდა ისეთ განმარტებათ, რომლებიც ნათელს ფენდნენ ვ. ნ-ის წერილში გაკვრით აღნუსხულ ფაქტებს და რომლებიც უფრო „ნუ-თუ"-ს ავტორის წინააღმდეგ ლაპარაკობდენ, ვინემ მის სასარგებლოთ. კამათი პრესაში – ეს ხომ იგივე ჭიდილია, მხოლოთ იდეური, საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე, და, რა თქმა უნდა, ილიას მოხერხებულ კისრულებს ჩვენ გულზე ხელდაკრეფილი ვერ შევხვდებოდით. ერთი სიტყვით, პასუხი ჩვენგან აუცილებელი იყო.

ძველი ამბების განმეორების სურვილი არა გვაქვს, მაგრამ ყველა იმათ, ვისაც ჭეშმარიტების გაგება აინტერესებს, ჩვენ ვთხოვთ ერთხელ მაინც გადაიკითხონ ის, რაც თავდაპირველათ „მოგზაურში" (№ 13, 1905 წ.) იყო ნათქვამი ილია ჭავჭავაძის შესახებ და შემდეგ ის, თუ რა პასუხი გასცა ამაზე ილიამ („ივერია" N 68, 1905 წ.). ამნაირათ, პასუხის გაუცემლობა ჩვენგან შეუძლებელი იყო, და ეს პასუხი დაიწერა როგორც „მოგზაურის" რედაქციის, ისე ვ. ნ–ის მხრით (იხ. „მოგზაური", 1905 წ. №№ 18 და 19). ჩვენდა უნებლიეთ, ბრალდება ილიას წინააღმდეგ ახლა გაორკეცდა, ვინაიდან ამის საბუთი მოგვცა, ერთი მხრით, თვით „ნუ-თუ"-მ და, მეორე მხრით, ვ. ნ–ის დამატებითმა ცნობებმა. მაგრამ ახლა ხმა აღარავის ამოუღია. ვთქვათ, ილიამ თავის სათქმელი უკვე სთქვა თავის „ნუ-თუ"–ში, მეტის თქმა მას აღარ შეეძლო. მაგრამ რით აიხსნება დღევანდელ მის ქომაგთა და მოსარჩლეთა სამარისებური დუმილი, თითქო აქ არაფერი მომხდარიყოს? რით აიხსნება, გეკითხებით თქვენ, ის სამარცხვინო გარემოება, რომ ეს დუმილი ორი წლის შემდეგ პირდაპირ ველურ ვაკხანალიათ და განგაშათ შეიცვალა? შესაძლებელია, მკითხველმა იფიქროს, რომ „მამულიშვილთა" ბანაკმა ხმა გაკმინდა მაშინ ამ ინციდენტის შესახებ იმიტომ, რომ ისინი დარწმუნდნენ ილიას უმართლობაში, და ამიტომ იმათი დუმილი გულწრფელი იყოო.

რა თქმა უნდა, არაფერ მსგავსს ადგილი არა ქონებია. ილიას დამარცხება „მოგზაურთან" კამათში მათთვის გულში ლახვრის ჩაცემა რომ იყო, ეს მათ კარგათ ესმოდათ, მაგრამ არა თუ თვითონ ვერ ბედავდენ საჯაროთ მის გამოსარჩლებას, არამედ თვით

ილიას მიერ დაწერილი პასუხის დაბეჭდვაც კი თავის ორგანოებში ეძნელებოდათ. ამის თავი და თავი მიზეზი იყო შიში ამოძრავებული ხალხის წინაშე, და ამიტომ მათ არჩიეს ისევ გაჩუმება, ე.ი. მიმართეს მათ მიერ არა ერთხელ ნაცად იარაღს – გაიძვერობას და ფარისევლურ ტაქტიკას. თავის თავად იგულისხმება, რომ ფართო საზოგადოებას ამ უკანასკნელ დრომდე ყველა ამაში შეეძლო ეჭვი შეეტანა, ვინაიდან ყველა ამას ჩვენი ავტონომისტ–ფედერალისტები ბურუსში ხვევდნენ. ჩვენ კი სრული იმედი გვქონდა, რომ სიყალბისაგან აშენებული ხუხულა ერთხელაც არის ჩამოინგრეოდა და ჩვენი მოლოდინიც ჩქარა გამართლდა.

ჩვენი სასიქადულო „მამულიშვილების" ფარისევლობას და გაიძვირაობას, იმ საკითხში მაინც, რომელიც ჩვენ ახლა გვაინტერესებს, სავსებით ფარდა ახადა ბ–მა ია ეკალაძე–ცინცაძემ, ე.ი. თვით „მამულიშვილთა" შინაურმა კაცმა. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ბ. ეკალაძეც, ერთხელაც იყო, საკმარისათ ჩაიფლა იმ აშმორებულ წუმპეში, რომელსაც „მამულიშვილთა „ბანაკი ეწოდება, მაგრამ არ შეგვიძლია არა ვთქვათ, რომ იგი პატივისცემის ღირსი არ იყოს, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ერთხელ მაინც სიმართლე აღიარა გულახდილად. ჩვენ არ ვიცით, გრძნობდა თუ არა ბ. ეკალაძე, რომ ამ გულახდილი აღსარებით იგი სპობდა, აქარწყლებდა ფედერალისტებს. ვიცით მხოლოდ, რომ მის მიერ გამომჟღავნებული სიმართლე არაფრად ეჭაშნიკათ ბ.გ. ლასხიშვილს და ფ. გოგიჩაიშვილს. ამიტომ სრულებით გასაკვირალი არ არის, თუ ამ უკანასკნელებმა მოინდომეს ბ–ნ ეკალაძის სიტყვების მიფუჩეჩება და საქმე გადაიტანეს იმაზე, რომ ილიას პასუხის დაბეჭდვაზე თითქოს არც „ივერიას" უთქვავს უარი და არც „ცნობის ფურცელსო". არა. ბატონებო. საქმე ამაში როდია. საყურადღებო ბ–ნ ეკალაძის მხილებაში სულ სხვა რამეა. აი სიტყვა–სიტყვით რას ვკითხულობთ მის ახალ გამოქვეყნებულ წერილში. „მაშინ" (ე.ი. „ნ–თუ"–ს გამოქვეყნების დროს, 1905 წელს., ხაზს აქ ჩვენ ვუსვამთ ფ. მ.) – გვეუბნება ბ–ნი ეკალაძე – ყველა სოციალისტობდა (ხაზს თვით ავტორი უსვამს); დიდი განხეთქილებაც იყო ორ მოპირდაპირე დასს შორის და „ივერიელებიც" საგონებელს მიეცნენ, ზედ–მეტ აყალმაყალს ერიდებოდენ, რადგანაც ილიას წერილი აშენებულია წმინდა ეროვნულ და კერძო საკუთრების დროებით დაცვის საფუძველზე (ხაზი ეკალაძისაა, ფ.მ.). დიახ, საგონებელში იყო „ივერიის" მაშინდელი რედაქცია, მაგრამ მოჭირნახულე კაცისათვის რომ არ ეწყენინებიათ, გადასწყვიტეს „ნუ-თუ" დაებეჭდათ „ივერიის" ცალკე

დამატებათ, რაც ასრულებული იქნა. იმ დროს მე, – უმატებს ავტორი – მდივნათ გახლდით განახლებულ „ივერიის" რედაქციისა, და ეს ამბავი ძალიან კარგად მახსოვსო" (იხ.გაზ. „თემი") 1913 წ. № 118). ხოლო რაც შეეხება გაზ. „ცნობის ფურცლეში" „ნუ-თუ"–ს არ გაშვებას, ამაზე იგივე ავტორი აი რას ამბობს: „მე არ ვიცი, ვინ იყო იმ დროს „ცნ. ფურცლის" ნამდვილ გამგეთ, მაგრამ ის კარგათ ვიცი, რომ ილია ჭავჭავაძე ძალზე გულნაკლული იყო იმის გამო, რომ „ცნ. ფურცელში" ეს წერილი არ მიეღოთ. ამის შესახებ ბევრს ლაპარაკობდენ განახლებულ „ივერიის" რედაქციაში... ასეთია მხილება და მოწმობა იმ კაცისა, რომელიც საქმესთან მჭიდროდ დახლოვებული იყო.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ბ–ნ ეკალაძის მხილება არ ესიამოვნებოდა არც გ. ლასხიშვილს და არც ფ. გოგიჩაიშვილს: ავტორს ზევით ამონერილი, უბრალო და გულახდილი სიტყვები ამ უდროობის ორ გმირს პირდაპირ ასამარებს. რა თქმა უნდა, როგორც ერთი, ისე მეორე შეეცადა ბ–ნ ეკალაძის ჩვენების გაბიაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. ბ–ნი ლასხიშვილი აცხადებს რომ „ეკალაძის დაბეჯითებითი მხილება მარტოოდენ მით–მოთქმასა და ხმებზე უნდა იყოს დაფუძნებულიო (იხ. „სახ. გაზ." № 868) ხოლო რაც შეეხება ბ–ნ გოგიჩაიშვილს, იგი შეუდარებელი ურცხობით მოგვითხრობს: „ბ. ია ეკალაძის ნათქვამი: „ივერიელნი საგონებელს მიეცნენო", მართალი და სწორეა, აი, რა მხრით იმ დროში ფ. მახარაძის ლაშქარმა მემამულის ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ საშინელი ატმოსფერო შექმნა. იმდენ საშინელებას აბრალებდენ ილიას, რომ ზოგიეთ მის მეგობარსაც ცოტათი გულში ეჭვი ებადებოდა და ამბობდენ – ვაი, თუ მესამედიც მართალიაო" („სახ. გაზ." № 871). ყოველივე ეს მარტოოდენ უხერხული ფანდები და ლათაიებია.

ია ეკალაძე გულახდილათ ამბობს, რომ მაშინ ყველა სოციალისტობდაო და იმათ შორის „სოციალისტობდენ" „ცნობის ფურცელი" და „ივერიაცო". მაგრამ იმათი სოციალიზმი როდი ყოფილა ნამდვილი, არამედ იგი ყალბი იყოო. ბ. ეკალაძე არ უმატებს იმას, რომ ამ ყალბ „სოციალიზმს" ყალბი დემოკრატობაც თან ახლდა, მაგრამ ეს ხომ თავის თავად იგულისხმება. და თუ „ივერია" – „ცნობის ფურცელი" და მათი პატრონ–ბატონნი ილია ჭავჭავაძეს ვერ გამოექომაგენ თავის დროზე, ამის თავი და თავი მიზეზი ამ ვაჟბატონების ცრუ სოციალიზმი და ცრუ დემოკრატიზმი იყო და არა ის უაზრო ოინები და ხრიკები, რომლებსაც ახლა ისინი ასახელებენ. იმ გარემოებამ, რომ ილიას წერილი, რომელიც, ბ–ნ ეკა-

ლაძის თქმისა არ იყოს, „კერძო საკუთრების დროებით (ეს დროებით აქ სრულებით უადგილოა. ფ. მ.) დაცვაზე" იყო დამყარებული, ხსენებულ ვაჟბატონებს დავთარი აურია. და ისინი საგონებელში ჩავარდენ, არ იცოდენ როგორ მოქცეულიყვენ. იმათი ნამდვილი გულის ზრახვანი თხოულობდენ, ერთი მხრით, „მოგზაურის" წინააღმდეგ გალაშქრებას და, მეორე მხრით, ილიას გამოქომაგებას, მაგრამ, იმათ სავალალოთ, ის ყალბი სოციალისტური და ცრუ დემოკრატიული კილო, რომელიც მათ მაშინ აღებული ქონდათ, ამის ნებას როდი აძლევდა. ყოველივე ეს კი საჭირო იყო იმისთვის, რომ ხალხისთვის თვალები დაებრმავებინათ და იმას ელოდენ, თუ როდის შესძლებდენ დაუსჯელათ თავიანთ ნამდვილ მისწრაფებათა გამომჟღავნებას. ეს სანატრელი დროც ჩქარა დაუდგათ.

როცა რუსეთში გაბატონდა რეაქცია და ხალხის მოძრაობა დაეცა, ბ. ბ. გოგიჩაიშვილების ნავარდობა უზრუნველი შეიქნა, მაგრამ ეს კიდევ არ კმაროდა. საჭირო იყო ისეთი რამ, რასაც ძველი პოლემიკა გაეხსენებია. ჩქარა ამის საბაბიც იშოვნეს. თავზეხელაღებულმა ავაზაკებმა, ვინ იცის რა მოსაზრებით და რა ნიადაგზე, ილიას სიცოცხლე მოუსპეს. და აი, ქვემძრომებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით ჩვენს გასაბიაბრუებლათ, ნამდვილათ კი, მხოლოთ თვიანთი სიბინძურე სიწამხდრე დაანახვეს ქვეყანას. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ის უსასტიკესი დანაშაული, როგორც ილიას მოკვლა არის, ფედერალისტ-ავტონომისტებმა, არც იქით და არც აქეთ, პირდაპირ ჩვენ იდეურ ბრძოლას დაუკავშირეს ილიას წინააღმდეგ. „აბა ჩვენ რა ვიცოდით მაშინ – ასე ურცხვათ გაიძახის დღეს ბ. ლასხიშვილი – თუ, „მოგზაურის" საზიზღარ კამპანიას ილიას წინააღმდეგ ასეთი საშინელი შედეგი მოყვებოდა... მაშინ არც ჩვენ, არც ბ. დიასამიძეს და არც არავის ფიქრათაც არ მოგვსვლია, რომ გაჩნდებოდა ისეთი დეგენერატი, რომელიც **საზიზღარ ცილისწამებას** (ხაზს ჩვენ ვუსვამთ) დაუჯერებდა და რომლის ბნელ გულში ილიასადმი ისეთი ფანატიკური მძულვარება აღიზრდებოდა. ეს რომ გვგონებოდა, დარწმუნებული ვართ, სხვა რიგათ მოვიქცეოდით ისინიც, ვისაც გაზეთი გვქონდა და ისინიც, ვისაც გაზეთი არ ქონდაო („სახ. გაზ." №868)

აი, ნამდვილი საზიზღარი კამპანია და საზიზღარი ცილისწამებაც, თუ გნებავთ, სწორედ ამას ქვია! ძველი რომაელები ამბობდენ, რომ როცა ღმერთები ადამიანის გაუბედურებას მოინდომებდნენ, ჯერ მას ჭკუას დაუკარგავდენო. ვინ დაიჯერებს, რომ ზევით მოყვანილ სტრიქონებს სწერს ჟურნალისტი და ისიც გაზე-

თის ხელმძღვანელი. იცის კი მან, რასა სწერს? ზევით მოყვანილი ამონაწერის მნიშვნელობა და აზრი რომ ეცნათ, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ლიტერატურის ორი დარგი მაინც, სახელდობრ, პუბლიცისტიკა და პოლემიკა: ესენი ორივე უნდა გაუქმდენ, თუ ბ-ნ ლასხიშვილის, უკაცრავად პასუხია, ლოლიკას მივყევით. ეს ორი დარგია, რომლებშიაც იდეური ბრძოლა სწარმოებს ყოველგან, სადაც კი საზოგადოებრივი ცხოვრება, ცოტათი მაინც არის წარმატებული და განვითარებული: ჯერ არავის მოსვლია თავში იდეური ბრძოლის ფიზიკურ ბრძოლასთან დაკავშირება, და მართლაც რაღა ძალა და გამავლობა უნდა ქონდეს პირველს, თუ საქმე უკანასკნელით უნდა გათავდეს. ჩვენ გვაბრუნებენ ისევ ველურობის და ბარბაროსობის ხანაში.

ეს მართლაც საზიზღარი კამპანია, რომელსაც ეს ერთი ხანია ჩვენი მამულიშვილები ეწევიან ჩვენს წინააღმდეგ, შეჰფერით მხოლოდ სრულებით გამოთაყვანებულ და უგუნურ არსებათ. განა ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა არ იციან, რომ ჩვენ ვებრძოდით იდეურ ნიადაგზე არა მარტო ჭავჭავაძეს, რომ ჩვენ შედარებით ბევრი უფრო გამწვავებული ბრძოლა ამავე ნიადაგზე გვქონდა და გვაქვს სხვებთან? და განა რომელიმე მათგანი ამ ნიადაგზე ვინმემ როდესმე სიცოცხლეს გამოასალმა? ფიქრობთ ბატონებო იმაზე, თუ რას ლაპარაკობთ? ან შეიძლება, თქვენ ისე გაგიტაცათ თქვენი იდეურ მოწინააღმდეგეთა მოსპობის სურვილმა, რომ ჭკუა-გონება, საღი მსჯელობა დაკარგეთ? აგრემც ყოფილა!

სხვისა რა ბრალია, თუ თქვენ არ შეგწევთ არც მოქალაქეობრივი გრძნობა და არც გამბედაობა, თუ თქვენ, თქვენდა საუბედუროთ, იკისრეთ თქვენთვის სრულიად შეუფერებელი სოციალისტობა და დემოკრატობა. ჰე, მახლას! არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო! თქვენ, სულით და ხორცით უბადრუკნო, ხომ თავისივე ხელით იმათრახებთ დღეს თავის თავს? და ამის შემდეგ განა ღირს კიდევ თქვენთან ლაპარაკი?"

●

ფილიპე მახარაძემ თავის წერილში დაადასტურა ჩვენთვის საყურადღებო ორი მნიშვნელოვანი საკითხი. 1) 1905 წელს მათ უბატონოდ ხმას ვერავინ ვერ სცემს. დრო შეიცვალა და რისი დაწერაც 1913 წელს შეიძლება, ამას ვერაფრით გაბედავდნენ ანტიბოლშევიკები 1905-ში ან მომდევნო 2–3 წლის მანძილზე. 2) ამ მიზეზის

გამო ილია მარტო აღმოჩნდა მგლების ხროვაში, თუმცა მას უკან არც ერთი ნაბიჯით არ დაუხევია.

ფილიპეს წერილს მოჰყვა მეორე ფილიპეს, გოგიჩაიშვილის პასუხი. გოგიჩაიშვილმა 6 წლის შემდეგ ნამდვილად ღირსეულად გაუსწორა ანგარიში საუკუნის ამ ჰეროსტრატეს. გოგიჩაიშვილი რომ დიდებული პუბლიცისტი და პოლემისტი იყო, სხვაგვარად ილიას გუნდში მოხვედრა თავის დროზე გაუჭირდებოდა, ქვემოთ წარმოდგენილი საპასუხო წერილითაც დაამტკიცა. ამასთან ისიც აღიარა, რაც მანამდე არ უთქვამს. რაზეც ადრე ვწერდით, რომ ვერც მან და ვერც სხვებმა მე–3 დასელთა ზეობის ხანაში ვერ გაბედეს ილიას დაცვა.

გთავაზობთ **ფილიპე გოგიჩაიშვილის** საპასუხო წერილს ფილიპე მახარაძისადმი:

უკვდავი ბოროტება

იმ ხანებში, როცა ფ. მახარაძე „მოღვაწეობდა" გაზ „მოგზაურში", მას კეთილი რჩევა მივეცი გაზეთის საშუალებით. ალბად, „მოღვაწეობამ" მოგქანცა, – მიჰმართე ერთ-ერთ შესაფერ დაწესებულებას, საცა ნერვებს სწამლობენ, იაქიმე, იქნება შვება მოგცეს-მეთქი.

არ ვიცი, ყურად იღო თუ არა მან ეს ჩემი რჩევა და სცადა თუ არა ნაჩვენები საშუალება. თუ მართლა სცადა, – უნდა ვაღიარო, უსარგებლო რჩევა მიმიცია და უკურნებელისთვის ფუჭი იმედი გამიღვიძებია. ბაქოელ „ჩვენი წყაროს" უკანასკნელ ნომრებიდან ვტყობილობ, რომ ამ ჟამად იგი ამ ორგანოში ყოფილა მოკალათებული და მისი ნაწერით ვრწმუნდები, რომ მას „სტილიც" და შინაარსიც სავსებით ძველი შერჩენია.

ხსენებული გაზეთის № 5, 6 და 7-ში მოთავსებულია ფ. მახარაძის წერილი: „მეორე მხარესაც მოვუსმინოთ", სადაც ავტორი იმ საშინელსა და განუზომელ დანაშაულს ეხება, რომელიც მას მიუძღვის ილია ჭავჭავაძისა და მთელი ქართველი ერის წინაშე. ნაცვლად სინანულისა და პატიების თხოვნისა, იგი ხელახლა ადასტურებს ძველ ჭორებს ილიას შესახებ და ასე თავისებურად ულოცავს ქართველ საზოგადოებას ილიას ძეგლის კურთხევას, ხოლო „მამულიშვილებს" საერთოდ და მე და ბ. გ. ლასხიშვილს კერძოდ გვამკობს და გვამშვენებს მახარაძისებური მარგალიტებით. ჩვენ თურმე ვართ „უდროობის ორი დასამარებული გმირი", „ცილისმ-

წამებელი", „კაცუნები", „გამოთაყვანებული და უგუნური არსებანი", „ურცხვნი", „სულით და ხორცით უბადრუკნი", „ფარისევლები", და „გაიძვერები", „ლაქუცა – მლიქვნელები", „უტიფრები", „ქვემძრომები", „ბინძურები", „წამხდრები", და ვინ მოსთვლის კიდევ – რა.

უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მენელება ისეთი სურნელოვანებას მივეკარო და შევეხო, როგორიც ფ. მახარაძე ბრძანდება. მეძნელება არა იმიტომ, რომ ვითომ მისგან მოძღვნილს ან მოსაძღვნელ ლანძღვაგინებას ვერიდებოდე. არა, პირიქით: მე მაშინ ჩავთვლი ჩემ თავს დაკარგულად, თუ ოდესმე ღმერთი გამიწყრა და რისამე გამო მისგან ქება დავიმსახურე, – მისი მომასწავლებელი იქნება, რომ გონება ჩემი უკურნებელმა სენმა მოიცვა და სული ჩემი ბნელმა ბოროტებამ დაისაკუთრა. არა, მეძნელება მეთქი, რომ ვამბობ, ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თვით მკითხველისა მერიდება. აბა როგორ გავმართო საუბარი ისეთ არსებაზე, რომელიც უძირო ჭაობია და, როგორც კი შეეხები და ცოტათი ჩიჩქვნას დაუწყებ, მაშინვე აუტანელ სიმყრალეს ამოუშვებს და ადამიანს სუნთქვას შეუგუბებს. და დაგარწმუნებთ, – ფ. მახარაძის წერილებში მარტო ჩემი „ხოტბა" რომ იყოს და სხვა არაფერი, მე ხმას არ ამოვიღებდი და მკითხველს არ შევაწუხებდი. მაგრამ ამ წერილებში დამწერი ეხება ილია ჭავჭავაძესაც, იმ ილიას, რომლის ხსოვნა სათაყვანებლად არის გამხდარი ყველა ქართველისათვის, – გარდა მახარაძისებურ არსებათა, რასაკვირველია: იგი გამეორებით ადასტურებს იმ საზიზღრობას, რომელიც მან ჩაიდინა ამ დიდებული ადამიანისა და მთელი ერის წინაშე. ეს უკვდავი ჰეროსტრატე საქართველოსი კიდევა „სწერს" და „კამათობს" ალბად, ეშინიან, შთამომავლობამ არ დამივიწყოსო. და ჩვენ არა თუ იძულებულნი, ვალდებულნი ვართ, ამ ბედკრულ ჰეროსტრატეს შიში გაუქარვოთ და განმეორებით განვუმარტოთ, რომ იგი უკვდავია, რომ მისი სახელი არ მოკვდება და არ გაჰქრება საქართველოს ისტორიაში, – არ წარიხოცება, ვიდრე ცოცხალ იქნება ქართველი ერი და, მაშასადამე, ვიდრე დავიწყებას არ მიეცემა თვით დიდი ილიას სახელი.

მე მაინც ფ. მახარაძის ლათაიებს მოკლედ მოვჭრი, რათა ანგარიში გავუწიო მკითხველის ფაქიზ გრძნობას და მოთმინებას, მხოლოდ ისე კი, რომ არც ერთი მისი „აზრი" განუმარტებლად არ დავუტოვო შთამომავლობას.

აზროვნების იმ უდაბნოში, რომელსაც ფ. მახარაძის ახალი მწერლობითი ნაყოფი წარმოადგენს, თუ გარდა ლანძღვა–გინე-

ბისა. – გარკვეულის აზრისა და შინაარსის მსგავსი რამ შეიძლება ჰპოვოს ადამიანმა, იგი „რამ“ სამ თუ ოთხ სხვა და სხვა „აზრად“ გამოიხატება, რომელსაც ქვევით მოგახსენებთ.

ამათში პირველი „აზრი“ სრულად მოულოდნელი ძღვენია პირადა ჩემთვის. თურმე ნუ იტყვით, ჯერ კიდევ 1905 წელში რომაელ ღმერთებს ჩემთვის ჭკუა წაურთმევიათ და ფ. მახარაძის თანამოაზრედ გავუხდივარ. აი, რას უწერს იგი პასუხად „სახალხო გაზეთს“: „თქვენივე ბანაკის წევრის , თქვენივე მეგობრის, პოლიტ. ეკონომიის დოქტორის, ფ. გოგიჩაიშვილის უტყუარი მოწმობა გვაქვს („ნუ თუს?“ შენიშვნა), სადაც იგი აშკარად და ცხადზე უცხადესად ამბობს, რომ ილია ჭავჭავაძე თავის „ნუ თუ?“-ში არჩევს „მოგზაურის“ კორესპონდეციას და არა არღვევს მასო“.

უნდა მოგახსენოთ, რომ არასდროს, არც ძველად და არც ახლა, ფ. მახარაძეს ისე არ უხსენებივარ, რომ პოლიტ. ეკონომიის დოქტორობა არ წამოეძახნოს ჩემთვის. ეს, ალბად, ჩემს შემარცხვენელ მხილებას მოასწავებს. მართალია, ეს დოქტორობა მე (–ღმერთი! რჯული!–) არც მომიპარავს, არც ვისმესგან საჩუქრად მიმიღია, არც ექსპროპრიაციით მიმითვისებია, მაგრამ რას იზამთ, –ფ. მახარაძისებური მორალი ამას მაინც სამარცხვინოდ სთვლის და, მეტი რა გზაა, უნდა დავიჯერო. მე მზად ვარ, ეს დოქტორობა ფ. მახარაძეს მივართვა ძღვნად, – მეს ხელში, იქნებ, სასირცხვო და დასაცინი აღარ იქნეს, – ოღონდ ვიცოდე, რომ ამით მას მოემატება იმგვარი რამ, რასაც თურმე რომაელი ღმერთები წაართმევდნენ დასასჯელ ადამიანს.

როგორც „სახალხო გაზეთის“ №871-ში აღვნიშნე დაწვრილებით, – მინამ „მოგზაურის“ საპასუხოდ ილია ჭავჭავაძის წერილი დაიბეჭდებოდა „ივერიაში“, გაზეთმა აცნობა მკითხველებს, რომ ილიას პასუხი მოკლე ხანში დაიბეჭდებაო. თავის დროზე ეს დაპირებული წერილი „ივერიამ“ დაბეჭდა, სხვათა შორის, შემდეგის სიტყვების დართვით: „ვბეჭდავთ დაპირებისამებრ თ–დ ილია ჭავჭავაძის წერილს, რომელშიაც ავტორი არჩევს მის შესახებ „მოგზაურში“ დაბეჭდილ კორესპონდენციასო“. ბრძენ ფ. მახარაძეს ეს სიტყვები ამოუწერია, გვითითებს სიტყვაზე: „არჩევს“ და რიხით გვეუბნება: „აქ ხაზს ჩვენ ვუსვავთო“. ჩემის აზრით, ფ. მახარაძის უბედურებაც სწორედ ის არის, რომ იგი ასე უალაგო ალაგას „უსვებს“ ხაზს და ამიტომაც მის ნაცოდვილევში ყველაფერი უთავბოლოდ არის არეული. რახან შენ ამბობდი, რომ „ავტორი არჩევს „მოგზაურში“ მოთავსებულ წერილსო“ და არ დასძენდი, „არღვევსო“, ამიტომ ცხა-

დია, „მოგზაურის" ბრალდება ილიას წერილით შენ დარღვეულად არ მიგიჩნევია და ჩემი მედასტურე ყოფილხარო.

უნდა გამოტეხილად გითხრათ, ამაზე უარეს უბედურებას ჩემთვის ფ. მახარაძე ველარ მოიგონებდა, რომ მე ოდესმე ამ არსების მედასტურე ვყოფილიყო რამეში, მას შემდეგ, რაც თავი შემისნავლია. ეს ისეთი მოულოდნელი მეხია ჩემთვის, რომ სწორედ სასოწარკვეთილებას მივეცემოდი, რომ ეს მხილება მართალი იყოს და სინამდვილეს გამოხატავდეს. ფ. მახარაძის რაიმე „მოსაზრების" მედასტურეობა, – არა თუ მარტო ამ შემთხვევაში, არამედ საზოგადოდ, რაშიაც უნდა იყოს, – ისეთი „დიპლომია" ადამიანისთვის, რომ მას არა თუ დიქტორობა, პროფესორობაც ველარ უშველის და ყველა ღვთისაგან დასჯილ არსებად ჩაითვლება უკუნითი უკუნისამდე.

აბა ყური დაუგდეთ, როგორ შეუბრალებლად დამცინოდა და მაქარწყლებდა მე ბედკრულს 1905 წელში იგივე, დღეს საისტორიო პირად გამხდარი, ფ. მახარაძე სწორედ ილია ჭავჭავაძის იმ წერილის გამო, რომელიც მაშინ „ივერიაში" დავბეჭდე. „დემოკრატობით განთქმულმა „ივერიამ", – ამბობდა მაშინ განთქმული ფ. მახარაძე, – ძლიერ ეჭვის თვალით შეხედა „მოგზაურში" დაბეჭდილ კორესპონდენციას ილია ჭავჭავაძის შესახებ და თითქმის წინდაწინვე უარჰყო მისი საფუძველიანობა, და თვით ილიას მიჰმართა ნება. არაო, მოგიგებთ, ფ. მახარაძის უუსაღესი გონება, – რახან არ სთქვი, ილიამ „მოგზაურის" კორესპონდენცია „დაარღვიაო", მაშ ბრალდება დაურღვევლად გიცნიაო. მოდით და ასეთი ჯურის არსებას ელაპარაკეთ! მე ისიც არ მითქვამს, რომ ილიას პასუხი შედევრია პუბლიცისტიკისა. ეს უთქმელობა თურმე იმას მოასწავლებს რომ „ნუ თუ?" მე ნაჯღაბნად მიმიჩნევია და ფ. მახარაძის ნაცოდვილევი – გენიოსურ ნაწარმოებად. მე არც ის დამიწერია, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი ჭკუის პატრონი იყო, ხოლო ფ. მახარაძეს იმდენი ჭკუაც კი არა აქვს, რომ გაჩუმდეს, როცა დუმილი მისთვის საუკეთესო საშუალებაა. მერე რა? მერე ის, რომ, მახარაძის ლოლიკას თუ დავუჯერეთ, ეს თურმე იმას მოწმობს, რომ მე ილია სულელად მიცვნია, ხოლო ფ. მახარაძე – სალაროდ ჭკუისა და გონიერებისა. სწორედ სავალალოა, როცა ესოდენ ბრძენ არსებასთან უხდება კაცს ლაპარაკი. ფ. მახარაძემ გვამცნო თავის წერილში, რომ „როცა ღმერთები ადამიანის გაუბედურებას მოინდომებენ, ჯერ მას ჭკუას დაუკარგავენო". ნეტა ეს „ამბავი" მან წიგნით შეიტყო, თუ გამოცდილებით?

მე კი მგონია, რომ ეს ცოდნა მას „გამოცდილებით“ უნდა ჰქონდეს შეძენილი. აი, თქვენ თითონ გასაჯეთ. ეს თავზე ხელაღებული ვაუბატონი ჰბედავს აუარებელი სიბინძურე გადმოგვანთხიოს – და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ, – „მამულიშვილებმა“, – ილია ვერ დავიცვით მახარაძის ბოროტებისაგან. წარმოიდგინეთ სასამართლოში კაცის მკვლელი ყაჩაღი, რომელიც მოსამართლეს ეუბნება: „თქვენ, სულით და ხორცით უბადრუკნო, თქვენა! ფარისევლებო და გაიძვერებო. ცრუ დემოკრატებო, ლაჩრებო, ბინძურნო და წამადრებო! მე კაცი მოვკალი და თქვენ მასამართლებთ? რა უფლებით? თუ მკვლელობის წინააღმდეგნი იყავით, რატომ თავის დროზე არ დაიცავით ის კაცი ჩემის ტყვიისაგან, რატომ არ გადაარჩინეთ სიკვდილს? პირველ ხარისხოვან მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში სათავეში ედგა პრესსას და საზოგადოებრივ აზრს ხელმძღვანელობდა, თავის გარშემო აღარავინ გამოაჩნდა თხოვნით: დაამტკიცე იმის უსაფუძვლობაო. გავიდა ხანი, და ილიამაც შეუსრულა თხოვნა „ივერიას“, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლა, თითქო ძმარი ჩაუსხა ცეცხლში: ბრალდება არა თუ ვერ დაარღვია, არამედ კიდევ უფრო გაადიდა და ზედმეტი ფაქტები გადმოგვიყაჭა „ივერიისავე“ ფურცლებზე ახლა, _ დასძენდა ავტორი ირონიით, _ რაღას ფიქრობს ნეტა დინჯი და წინდახედული „ივერია“. ეტყობა, ძველი კერპების თაყვანისცემას იქ მაგრად აქვს ფესვები გამდგარი“. ამ გვარად, აქიდან ნათლად სჩანს, რომ მაშინ ფ. მახარაძე არ მოვლიდა იმ ბეზღობის მედასტურედ, რომელიც მან თავის სასახელოდ და უკვდავსაყოფელად, ილიას წინააღმდეგ შეხანხლა და რომელმაც შემდეგში ისეთი დიდებული ნაყოფი მოიტანა.

რა თქმა უნადა, ეს გარემოება არ კმარა ჩემ „გასამართლებლად“ და ფ. მახარაძეს მიერ ბოძებულ „დიპლომის“ გასაბათილებლად, და თუ მაინც მოვიხსენიე, – მარტოოდენ ცნობად მკითხველისათვის. რა ვუყოთ, რომ მაშინ არ მცნობდა მედასტურედ, – სამაგიეროდ ახლა მცნობს; იქნება მაშინ ვერ შენიშნა და სამაგიეროდ ახლა, 7 წლის შემდეგ, მიაგნო ჭეშმარიტებას. ამიტომ, მეტი გზა არაა, უნდა მივყვე მას კვალ და კვალ.

ჩვენი უებარი ავტორი თუმცა ხშირად „უშვებს“ და ხშირადვე გვეუბნება, „იქ ჩვენ ვუშვებთო“ ხაზს, მაგრამ შემდეგ მალე ავიწყდება და რამდენსამე სტრიქონს შემდეგ სულ სხვა რასმე გვეუბნება. იქნება მკითხველმა იფიქროსო, – სწერს იგი, – რომ „მამულიშვილთა“ ბანაკში დარწმუნდნენ ილიას უსამართლობაშიო, და

თვითონვე იძლევა პასუხს: „რა თქმა უნდა, არაფერს ამის მსგავსს ადგილი არ ჰქონებიაო".

მადლობა ღმერთს! ცოტა გულზე მომეშვა. აქედან სჩანს, რომ იმავე ფ. მახარაძის მოწმობით, „არაფერს იმის მსგავსს, რომ ვითომ ილიას უსამართლობაში დავრწმუნებულიყავი, ადგილი არ ჰქონებია", ე.ი., სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ილია მე მართლად მიმიჩნევია „მოგზაურის „ბრალდებაში. მაშ ცხადია, ბრალდების მედასტურე ვერ იქნებოდიო, _ იტყვის, ალბად, ყველასი საღი გონება. ისეთი ვინმე, რომელმაც მისი გამოსარჩლება საჭიროდ ეცნა და ეკისრნა ახლა მოსთქვამთ და სამართალს მიიჩნევთ? ვინ? თქვენ, უგუნური ლაჩრები? განა ჩემი ბრალის, თუ თქვენ არ შეგწევთ მოქალაქეობრივი გრძნობა და გამბედაობა? თქვენ რომ ის კაცი დაგეცვათ, ხომ ახლაც ცოცხალი იქნებოდა? მაშ ვინ არის დამნაშავე, ვინ არის კაცის მკვლელი, მე თუ თქვენ? აი, სწორედ ასეთი ჯურის ავაზაკი მოგვივლინა განგებამ ფ. მახარაძის სახით. და თქვენ გკითხავთ, მკითხველო: კაცი, რომელიც ისე „საღად" მსჯელობს და ამ თავის მსჯელობას ბეჭდავს კიდეც და ავრცელებს, არის თუ არა დასაბმელი?

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, აღარაფერმა არ უნდა გაგაკვირვოს ფ. მახარაძის წერილში. რა ვუყოთ მერეო, _ მოგვითხრობს ეს საღი მსჯელობის საღი ავტორი, – „მოგზაურში". ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ წერილი დავბეჭდე, მაგრამ განა სხვა მემამულეებზე კი არ დამიბეჭდიაო. „არა ჩვეულებრივი ამ შემთხვევაში იყო მხოლოდ, ის, რომ იქ სხვათა შორის, როგორც მემამულეზე, თავად ილია ჭავჭავაძეზეც იყო ლაპარაკიო".

ასეთი „დარბილებით" იწყებს თავისი დანაშაულის ისტორიას ჩვენი ბრალდებული. თურმე მას ისეთი წერილი დაუბეჭდია, სადაც „სხვათა შორის" ყოფილა ლაპარაკი ილია ჭავჭავაძეზე, „როგორც მემამულეზე". ნამდვილად კი, თუ 1905 წლის „მოგზაურის" '13-ს გადაშლით, იქ იპოვით ვ. ნ-ის წერილს: „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება", რომლის შინაარსის ცხრა მეათედი ილია ჭავჭავაძეს შეეხება და მხოლოდ ერთი მეათედი სხვა მემამულეებს, ასე რომ „სხვათა შორის" აქ ეს სხვა მემამულეები არიან მოხსენებულნი და უმთავრესად კი ილია ჭავჭავაძის გულქვაობაზე გახლავთ ლაპარაკი გამართული. ეს ერთი. მეორეც, იმავე „მოგზაურის" '18-ში დაბეჭდილია თვით ფ. მახარაძის წერილი, სადაც ავტორი სიტყვა-სიტყვით შემდეგს აღიარებს: „მოგზაურის" კორესპონდენტმა გამოაქვეყნა მხოლოდ რამდენიმე გულის ამმღვრევი და აღმაშფო-

თებელი ამბები, რომლებიც ახასიათებენ თავად ილიას არა როგორც კერძო მესაკუთრეს, არამედ როგორც ადამიანსო".

თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც მივყვეთ ჯერ თვით მახარაძეს. ილია ჭავჭავაძეს, – განაგრძობს იგი, – მეტად საღი მსჯელობა და ლოგიკა ჰქონდა (მართლა?! ფ.გ.) ბატონყმობის ნაშთების არსებობა ერთი მხრით და მსხვილი მიწათ-მფლობელობა მეორე მხრით თხოულობდა ცხოვრებაში მისგან, როგორც კერძო მემამულისგან, იმგვარ ტაქტიკას, რომელსაც იგი ადგა... ილია ჭავჭავაძე იძულებული შეიქნა თვითონ გაეცა პასუხი „მოგზაურში" მოთავსებულ წერილზე, (მაგრამ) ეს პასუხი ოდნავადაც არ უარჰყოფდა წერილში მოთხრობილ ამბებს... სცადეთ კი თქვენ, როდისმე ამ ფაქტების შემოწმება, რომ ისინი ოდნავადაც შეგერყიათ, თუ სავსებით ვერ დაარღვევდით მაინც?.. ყოველივე ის, რაც („მოგზაურის") წერილში იყო ნათქვამი, ჩვენში საყოველთაო და სრულებით ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენდა... იმ ხანებში ყველა ადგილობრივ რედაქციებს აუარებელი კორესპოდენციები მოსდიოდა საქართველოს ყველა კუთხიდან ამოძრავებულ გლეხკაცობის შესახებ... (მაგრამ მერე) როცა რუსეთში გაბატონდა რეაქცია და ხალხის მოძრაობა დაეცა, ბ.ბ. გოგოჩაიშვილების ნავარდობა უზრუნველი შეიქნა. მაგრამ ეს კიდევ არ კმაროდა. საჭირო იყო ისეთი რამ, რასაც ძველი პოლემიკა გაეხსენებია. ჩქარა ამის საბაბიც იშოვნეს. თავზე ხელაღებულმა ავაზაკებმა, ვინ იცის (ოჰო! ფ.გ.) რა მოსაზრებით და რა ნიადაგზე (ну! ну! ფ.გ.) ილიას სიცოცხლე მოუსპეს. და, აი, ქვემძრომებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით ჩვენ გასაბიაბრუებლად, ნამდვილად კი მხოლოდ თავიანთი სიბინძურე და სიწამხთრე დაანახვეს ქვეყანას. რაღა ბევრი გავაგრძელო, ის უსასტიკესი დანაშაული, როგორც ილიას მოკვლა არის, პირდაპირ ჩვენს იდეურ ბრძოლას დაუკავშირეს ილიას წინააღმდეგ."

ამგვარად, თქვენ ხედავთ, რომ ფ. მახარაძეს ილიასთან ჰქონია მარტოოდენ „იდეური" ბრძოლა, რომ ამ ბრძოლაში მახარაძე ჭეშმარიტებითა და სიმართლით აღჭურვილი ყოფილა და რომ ჩემისთანა „ქვემძრომ" და „წამხთარ" ადამიანებს მახარაძის მიერ ილიას წინააღმდეგ გამართულ „იდეურ" ბრძოლასთან დაუკავშირებიათ ილიას სიკვდილი.

თუ რა იდეურ ბრძოლას ეწევოდა მახარაძე და რა ჭეშმარიტებით იყო აღჭურვილი, ამას ახლავე დაგანახვებთ. ამისთვის საჭიროა სიტყვა სიტყვით ამოვწერო ადგილები მაშინდელ „მოგზაურიდან" და ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ იძულებული

ვხდები მისს ფაქიზს გრძნობასა და ბრწყინვალე ილიას სახელ შუა ფ. მახარაძის შავი აჩრდილი გავატარო ერთის წუთით.

ვინ იყო ილია ჭავჭავაძე?

ისმინეთ. პასუხი ფ. მახარაძეს ეკუთვნის:

1) ვაგლახი იდეოლოგი და გათახსირებული მწერალი: ილია „კერძო საკუთრების ვაგლახი იდეოლოგია". – იგი თავის პასუხში „თავის თავს მიწასთან ასწორებს და სამარეს უთხრის", -„მისი უშველებელი წერილი, „ივერიის" გულუხვი, გადაჭარბებული სტუმართ-მოყვარეობის წყალობით აღბეჭდილი, გამართლება კი არაა, არამედ უსასტიკესი საბრალმდებლო ოქმია თავისივე ხელით შედგენილი და ხელმოწერილი. ეს არის თავისივე ხელით თავის მოკვლა". – „ ილია მთელ 25 წელის განმავლობაში პრესსის დანიშნულებას იმაში ხედავდა, რომ სიმართლისათვის გზა აექცია; ჭეშმარიტება დაეფარა". – „ ჩემ გამოზრდაში ბევრი რამ წამიკითხავს, ბევრი სისაძაგლე მინახავს (ოღონდაც! ფ.გ.) ჩემი თვალით, ბევრი კიდევ სხვებისგან გამიგონია, მაგრამ ჩემ დღეში ამისთანა არც ჩემი თვალით მინახავს, არც სხვებისგან გამიგონია, (როგორც) თ-დ ილია ჭავჭავაძის საპასუხო წერილია, რომელიც გზ. „ივერიას" ცალკე გამოცემად დაუსტამბავს თავის სასახელოდ."

2) ბურჟუა: „ილიასთანა მსხვილი მემამულეების და ბურჟუა-კაპიტალისტების ხელში თანდათან გროვდება წარმოების საშუალებანი და იარაღნი".

3) პასუხისმგებელი სოციალურ უთანასწორობისათვის: ფ. მახარაძე გლეხების პირით მიჰმართავს მას ასეთი კითხვით, - „რა საბუთი გაქვთ, რომ თქვენ ჩაგიგდიათ ხელში ამოდენა სიმდიდრე, ამოდენა მინა-ადგილი, საცა ჩვენ ფეხის დასადგამი არ მოგვეპოვება?"

4) ადამიანი, რომელსაც კაცური კაცის სახელი ვერ ეწოდებოდა: „თ-დ ილია ჭავჭავაძეს ჩვენ აქამდისაც ვიცნობდით, თუ რა „კაცურიკაცი" ბრძანდება ის, რას ემსახურება, რა შეადგენს მის სულისკვეთების საგანს."

5) კაცი, რომელიც საკუთარის ნათლობის სახელით მოხსენების ღირსიც არ იყო: „რახან ილიკოს არა აქვს იმდენი გამბედაობა", სწერია შავბნელ „მოგზაურში". – „აი, კიდევ იმ მრავალ ოინთაგანი, რომლითაც ცნობილია ილიკო ჭავჭავაძე".

6) უზრდელი: „ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით, რომ საქართველოს სასიქადულო მწერალს, ან საგურამოს ცნობილ გმირს, ლანძღვა გინებაში, სხვისი პიროვნების გაბიაბურებაში ბადალი არ ჰყავდა."

7) ოინბაზი: „ილიამ ერთხელ კიდევ მისცა საზოგადოებას საშუალება თავის სულიერი ავლადიდების გათვალისწინებისა. პასუხი მისი ბრაზმორეული, მტყუანი კაცის ოინებს უფრო წააგავს... მაგრამ ეს ხომ „არ ახალია, ძველია" ილიას ოინბაზობაში... რა ქნას ქანც გამოლეულმა, მტყუანმა ადამიანმა, თუ ოინბაზობას არ მიჰმართა, მით უმეტეს, როცა კაცი შეჩვეულია ასეთ ადვილ ფანდებს... ამით უნდა შეავსოს ყოველივე ნაკლი... და მერე ინდოურივით გაიფუყოს" – „ილია თავისებურ ოინბაზურად ხსნის საქმეს, რადგან იგი „ზაკონ-კანონის" კაცია".

8) მაბეზღარი და ჯაშუში: „თ-დმა ჭავჭავაძემ გლეხები დააბეზღა, ჯაშუობა გასწია თავისი ნივთიერი ინტერესების გულისათვის" – იგი „მართლაც რომ მაბეზღარა თავადი არის". – „ჩვენ არ გვგონია, (რომ ილიაზე) მეტი ბეზღობა ოდესმე ჩაედინოს ბეზღობაში სახელგანთქმულ გრინგმუტს, მეშჩერსკის, კომაროვს და თუგინდ პალმს". – „ჯაშუშობის როლი მას ზედმინევნით აქვს შესწავლილი და შესისხლხორცებული." – ილია ჭავჭავაძე „ურცხვად და თავზე ხელაღებულად გვაბეზღებს და ბრალს გვდებს".

9) ურცხვი და საზიზღარი: „თ-დი ილია ჭავჭავაძე გამოდის და დაურცხვენლად ადამიანის ხელშეუხებლობაზე, პიროვნების პატივისცემაზე და სამართლიანობაზე ლაპარაკობს. ის, ვინც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ადამიანის პიროვნებას ფეხქვეშ თელავს და ჯიჯგნის, იმის პირიდან ასეთი სიტყვების წარმოთქმა ყველა პატიოსან ადამიანში მხოლოდ ზიზღს იწვევს." – „ნუ თუ ამის შემდეგ ოდნავ მაინც არ უნდა გაწითლდე?" – ეკითხებოდა „მოგზაური" ილიას.

10) ზნეობრივად მახინჯი: „ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი სიმახინჯე და აზრით ჩამორჩენა „მოგზაურის" და მისი კორესპონდენტების ბრალია?"

11) უსინდისო მესაკუთრე: ილია „მზადაა კერძო საკუთრების პრინციპს ანაცვალოს ყოველივე, დაჰკარგოს სინდისი, პატიოსნება... თუ გნებავთ ეს ერთნაირი რაინდობაა, მაგრამ რაინდობა დაბალ ხარისხის, რომელსაც მიზნად აქვს თავის პირადი სარგებლობა და სხვისი დაჩაგვრა".

12) თვითნება: „თუ ვინმეა ჩვენში ისეთი, რომელსაც სავსებით განეხორციელებიოს ცხოვრებაში ეს თვითნებობა, ერთი ამათგანი უეჭველად ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს."

13) ხალხის გამყვლეფ-გამტყავებელი: ილია „მთელ თავის სიცოცხლეში იმას ცდილობდა, რომ თავისი ბატონობა განემტკიცე-

ბია, რომ რაც შეიძლება მეტი წილი გლეხის ნაოფლარისა ჩაეგდო ხელში, რისთვისაც იგი გლეხკაცობას ყოველგვარ შევიწროებას აყენებდა, რისთვისაც იგი არაფერს ზოგავდა, ოღონდ კი თავისი მიზანი განეხორციელებია". – „გლეხობა მისთვის კარგი სათალი დუმაა". ილიას „ვერ გაუგია, რომ საღმა კაცმა (ესე იგი ილიამ) თუ სნეულის სახელით ავკაცობა ჩაიდინოს, ესე იგი სნეულს ამოეფაროს და ისე ატყაოს ხალხი, ეს იმ სნეულებაზედაც უარესი სნეულება იქნება. ვინ ატყავებს სნეულის წილ საგურამოელ გლეხებს, თუ არ ილია ჭავჭავაძე?" – „ამიერიდან მკითხველს საქმე ექნება არა ზევით დასახელებულ ნაწარმოებთა ავტორთან, არამედ ქართველ მემამულესთან, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე იმისათვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებია. ჩვენ არ გვგონია, საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე ულმიბელად მიჰყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა".

14) გულქვა და შეუბრალებელი: ნაავადმყოფარმა გლეხმა წყაროდან ორი კოკა წყალი წაიღო. დაედევნა ილიას მოურავი, „ორივე კოკა ზედ გადაამტვრია ნახევრად შიშველ გლეხს. ამ ამბავს ილია ჭავჭავაძე ბალკონიდან უყურებდა 400 მანეთიან ქურქში გახვეული, გულიანად იცინოდა თანაც აქებდა ერთგულ მოურავს, ყოჩაღ მემარნიშვილო, ყოჩაღ, ეგრე სუსხი უნდა მისცე, რომ თავზე არ წაგვასხდნენო. უბედური გლეხი ხელახლა გახდა ავად და ერთ კვირაზე გაათავა მრავალტანჯული და გაწამებული სიცოცხლე."

15) ბოროტი: გლეხებმა ილიას შეშა სთხოვეს ტყეში. „ილია შევიდა ხალხის მდგომარეობაში და დათანხმდა მხოლოდ ერთის ახირებულის პირობით. ნებას მოგცემთ გამოიტანოთ საწვავი შეშა, თონის ფიჩხი და იარაღი ურმის მასალად ზურგით და არა ურმით, ხოლო ისიც შორიდან და არა ახლოდანაო". – ილიას ყოველთვის „ბოღმა აწვება, როცა გლეხებს ესარჩლებიან გაუმაძღარ მემამულეების წინააღმდეგ".

16) ავაზაკი: „აშკარა საგულისხმოა, რაც გულში უდევს ილიას. სახელდობრ ის, რომ კაცმა შემთხვევით უნდა ისრგებლოსო, ე. ი. ილიას შემთხვევა ეძლევა თავისი ნებართვით და ბილეთით მენახშირეებზე გაყიდული ტყე, რომელიც მართლმორწმუნე მაჰმადიანის თავივით გაუპარსნიათ, გლეხებს გადააბრალოს და მკვდარი ცოცხალზე გაჰყიდოს". – „ილიას გულგასახეთქად და საგურამოს გლეხების სასახელოდ", ეს უკანასკნელნი თურმე ისე ძლიერ თავდაჭერილად მოქმედობდნენ. „ყარაულობდნენ მემამულეების ქო-

ნებას, რათა პატრონებმა“ (და მაშასადამე, მათ შორის ილიამაც) „არ გადაწვან და ჩვენ არ გადმოგვაბრალონო, მაგრამ აქაც გლეხებთან პირადი ანგარიში არ აძლევს ილიას მოსვენებას, მაშ რისი ბანკირია, თუ რწყილს არ გაატყავებს და შემთხვევით არ ისარგებლებს“.

17) უუსასტიკესი ადამიანი, რომელიც მოთხრობების მასალის მოსაპოვებლად სტანჯავდა გლეხებს: „ამრიგად ყვლეფავენ სათითაოდ ისედაც ტყავგამძვრალ გლეხებს. ასე იქცევა ცხოვრებაში ის ილია ჭავჭავაძე, რომელიც მწერლობაში თავს იწონებს, როგორც გლეხთა გაჭირვებაზე მოსაუბრე და მათი მეგობარი. ან კი რა ექნა და როგორ მოქცეულიყო: „ტემისთვის“ მასალა უნდოდა და ცხოველმყოფელი მწერალი თუ პოეტი ცხოვრებაში ეძებს მასალას. ილიამაც ჯერ ცხოვრებაში განახორციელა და მერე დასწერა ქაღალდზე გლეხთა გასაჭირი.“

18) შეუნდობელი დამნაშავე: ილიას „კიდევ შეუძლია თავის ნაწერებში გლეხებს გამოესარჩლოს, დაბეჩავებულ ცხოვრებაზე ცრემლები ღვაროს, თავისუფლებაზე იმღეროს? განა ეს არა არის დაცინვა?“ – „ნუ თუ სანტიმენტალური მოთხრობების დაწერა საკმარისია, რომ მის დამწერს ყოველივე სისაძაგლე ეპატიოს?“

და აკი „არ ეპატია“! აღსრულდა... პეროსტრატემ მიზანს მიაღწია და უკვდავ ჰყო სახელი თვისი!

აი, ამგვარ საზიზღრობას ადასტურებს მახარაძე დღესაც, როცა ამბობს: რაც დავბეჭდე ილია ჭავჭავაძის შესახებ, ყველაფერი ჭეშმარიტება და სიმართლე იყოვო. და ასევე სიმართლედ დარჩაო. ამგვარ სიფინთეს უწოდებს იგი „იდეურ ბრძოლას“. მთელი ერის წინაშე ღვწლმოსილსა და წარჩინებულ ადამიანს ყოველგვარი სისაძაგლე თავს მოახვია, სახელი გაუტეხა, ღირსება აჰყარა, ხალხის მჭამელად და მტრად გამოაცხადა, ჯაშუშობა და ყოველგვარი სიმდაბლე დასწამა, მთელი ქვეყნის უდიდეს ბოროტებად დაჰსახა, და მერე-როდის? იმ დროს, სწორედ იმ ხანაში, როცა ამ მანიაკს ბრბოზე განუზომელი ძალა და გავლენა ჰქონდა, როცა ეს ბრბო მას საერთო ბედნიერების მოციქულად რაცხდა, როცა მის სიტყვას, – საუბედუროდ, ოო, ჩვენდა საუბედუროდ! – ბევრ საბრალო კაცის თვალში ფასი ედვა და გასავალი ჰქონდა. და ბოლოს, მართლაც აღმოჩნდა ისეთი ბედკრული არსება, რომელმაც ფრიად მარტივის ლოღიკით სიტყვას საქმე შეუფარდა: რომელმაც ბოროტი სულის სიტყვა დაიჯერა, „მოძღვრება“ შეითვისა, ხალხის მხსნელობა იკისრა და გადასწყვიტა ეხსნა ქვეყანა ილია ჭავჭავაძისა-

გან, რომელსაც „მოციქული“ ისეთ აუტანელ ბოროტებად სთვლიდა ხალხისათვის, რომ დანაშაული არ უნდა ჰპატიებოდა. და აი, გავარდა კიდეც თოფი და გადმოინთხა ტვინი, ის ტვინი, რომლის ნააზრმა და ნამუშევარმა მთელს წერა-კითხვის მცოდნე საქართველოში მარტოდ-მარტო ფ. მახარაძეს, ამ ბუნებით ბოროტებად გაჩენილ არსებას, ვერა შესძინა რა გონებისა და სულის ასამაღლებლად.

და ამის შემდეგ ეს მიწის დამამძიმებელი ჰერასტრატე კიდევ ჰბედავს ჩვენსკენ სიბინძურე გადმოისროლოს! რად არ დაიცავითო. ვერ დავიცავით! ვერ შევეცადეთ იმდენად, რამდენადაც, თურმე საჭირო იყო. ეს ჩვენი სიგლახე და დანაშაული არის. მაგრამ ამით შენ რა, უკვდავო ბოროტებავ! განა ამით შენი დანაშაული მცირდება და შენს სულს შვება მიეცემა?

არა, ეს ფუჭი იმედია. შვებას ვერ იგრძნობ, ვიდრე ცოცხალ ხარ! ხოლო ცოცხალი იქნები მუდამ, ვინაიდან შენისთანა ბოროტება უკვდავ არს!“

●

ილიას მკვლელობიდან 6 წლის შემდეგ ფილიპე მახარაძის ძველ ჰანგზე ამღერებამ ბევრი აღაშფოთა, მათ შორის ეკატერინე გაბაშვილის შვილი, ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი რევაზ გაბაშვილი.

გარდა მახარაძისა, ამ პერიოდისათვის ილიას პიროვნებასა და შემოქმედებაზე წერს პეტრე გელეიშვილი. ეს გელეიშვილი მენშევიკი იყო, მერმე ბოლშევიკი გახდება. ის თითქოს აფასებს ილიას, როგორც შემოქმედს, მაგრამ პიროვნებას მიიჩნევს როგორც რეაქციონერს. გელეიშვილი ქუთაისში ერთი-ორჯერ მიტყეპეს კიდეც, ილიაზე პირმორღვეული ლექციებისათვის.

იაკობ ფანცხავას დაუწერია, „აჩრდილში „შრომის სუფევას უმღერს ილია, ანუ ილიას შემოქმედებაში სოციალიზმის ნიშნები არისო. ამას გელეიშვილი აღუშფოთებია. მათ შორის კამათი თითქოს ამ უწყინარ თეორიულ საკითხზე ატყდა, მაგრამ გელეიშვილს კამათში უნებლიედ წასცდა ის, რომ თუ ახალი თაობის იდეებს, ანუ სოციალიზმის იდეებს არ იზიარებდა კაცი, დატირების ღირსიც არ ყოფილა. თუმცა, სასურველია მკითხველი თვით ამ წერილებს იცნობდეს. ბოლშევიკ ფილიპესა და იმდროისათვის მენშევიკ გელეიშვილის საპასუხოდ დაწერილ წერილებს (იაკობ ფანცხავას წერი-

ლიდან მხოლოდ პირველ ნაწილს ვბეჭდავთ, რადგან მე-2 ნაწილი ჩვენი თემისთვის საინტერესო არ არის).

რევაზ გაბაშვილი:

ილია ჭავჭავაძე და ფ. მახარაძე

„სახელოვანი არ გვყავს პატროკლე,
სა ზი ზღარი კი თერსიტი მიწა ზედ დაიარება“.

„ილიადა“

ფილიპე მახარაძეს და მის ზნე-დაცემულ კომპანიას კიდევ ერთხელ მოუსურვებიათ გამომზეურება თავისი პილნი გულისა და ახლა მიუმართავთ ორიგინალურ საშუალებისათვის – შეცდომაში შეჰყავთ გულუბრყვილო, შეუგნებელი ხალხი, რომელიც ბრმად აჰყვება ხოლმე თავის გალაღებულ ბელადებს და აწერინებენ პროტესტებს. რასაკვირველია, სოცდემოკრატიული ბელადები დაჩვეულნი არიან დემაგოგიურ სიყალბეს, რადგან ხელობათა აქვთ გადაქცული ხალხის გაბრიყვება იქ, სადაც სიმართლით ვერას ხდებიან, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ მოკლული მგოსანი, რომელიც მსხვერპლად შეეწირა ფ. მახარაძისთანა ხალხის უვიცობას – დღესაც არ პოულობდეს მოსვენებას საფლავში.

ჯერ იმ შავბნელ დროს, როდესაც მთელი ერი აღშფოთებული იყო უმაგალითო, უმზგავს მკვლელობით, როდესაც მთელ საქართველოს ბინდი გადეკრა და გული დათუთქული ჰქონდა – გონება ვერ ურიგდებოდა იმ შემზარავ გარემოებას, რომ მოიპოვებოდნენ ისეთი პირები, ჯგუფები, რომელნიც ამართლებდნენ, ან უსიტყვოდ ურიგდებოდნენ ამ მკვლელობას. ჯერ მაშინვე გაისმოდა ხმები, რომ ეს პარტიული მკვლელობა იყო, მაგრამ არც ერთი შეგნებულ ადამიანს არა სჯეროდა ასეთი უხამსი ბრალდება მთელი პარტიისა და მაშინვე ცხადი იყო მხოლოდ, რომ შეუგნებელი ნაწილი ამ პარტიისა, ერთი ჯგუფი მისი, იზიარებდა ამ მკვლელობის ბრალსა. ეს ისეთი მეხის დატეხა იყო მაშინ, რომ შესაძლებელია, ბევრმა გადააჭარბა კიდეც თავის სიფიცხეში; მაგრამ როდესაც დღეს, შვიდი წლის შემდეგ, ფ. მახარაძე და მისი ამქარი იმეორებს იმავე ცილისწამებას ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, როდესაც დღესაც თითქმის ამართლებენ ამ საზიზღარ მკვლელობას – ჩვენ იძულებულნი ვართ ვიფიქროთ, რომ შექმ-

ნელნი ილიას მკვლელობი იდეისა და დამბადებელნი – სწორედ ს. – დ. იყვნენ.

რაღა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძე, როგორც კერძო საკუთრების პრინციპის მომხრე და მემამულე, დაიცავდა თავის მამულს, გაუმკლავდებდა იმ აზრის გამარჯვებას, რომელიც წინააღმდეგი იყო მისი შემეცნებისა, მაგრამ ჯერ არავის არსად დაუმტკიცებია, რომ ამ თავდაცვაში მას რაიმე სისასტიკე ჩაედინოს ან გლეხების დარბევა მოეწადინებინოს. ცილისწამება სწორედ ამაში არის და ფ. მახარაძის დაბეჭდილი კორესპონდენცია, საცა მას **ავაზაკად** გამოჰყავდა **იდეური** დამცველი კერძო საკუთრებისა – სწორედ ის სტიმული იყო, რომელმაც მოაკვლევინა დიდი ილია.

არც ერთი ადამიანი არ არის უნაკლო. დიდბუნებროვან ადამიანთ ხშირად დიდი ნაკლებიცა აქვთ, მაგრამ მათი დასჯა სიკვდილით არამცთუ ისეთივე უაზრო, მხეცური საქციელია, როგორც ყოველ უბრალო ადამიანისა, არამედ ერთი-ათად მეტი. ადამიანს უფლება არა აქვს შეგნებული, პრინციპიალური მოწინააღმდეგე დასაჯოს სიკვდილით რწმუნებისათვის და ამისათვის იბრძვის მთელი კაცობრიობა, მთელი ქვეყნის დემოკრატია, როცა მოითხოვს სიკვდილით დასჯის მოსპობას, – და რა იყო, თუ არ სიკვდილით დასჯა, ილიას მკვლელობა? არა, ეს დასჯა იყო, სიკვდილით დასჯა და აი რაში აქვს ბრალი ფ. მახარაძეს. იმ დროს, როცა ადამიანის სიცოცხლე გროშად ფასობდა, როდესაც კერძო საკუთრების ყველა მომხრე, იდეური თუ ანგარებითი, დამნაშავედ ითვლებოდა სოციალისტურ წრეებში გამოდგა მახარაძე და ამტკიცებდა, რომ ილია ჭავჭავაძე არა მარტო პრინციპიალური მომხრეა კერძო საკუთრებისა, არამედ სასტიკი, ბოროტი მისი დამცველი, ჯაშუში და ავაზაკი. რაღა თქმა უნდა, რომ შეუგნებელ ადამიანისათვის ეს საკმარისი წასაქეზებელი მიზეზია მკვლელობისათვის და ნამეტნავად იმ დროს, როცა მემამულის მოკვლა სიყოჩაღეთ ითვლებოდა. და იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მკვლელობა უბრალო კი არ იყო, არამედ შეგნებულად მომზადებული და „პოლიტიკური" ხასიათისა, რომ იგი დასჯა იყო იდეური მოწინააღმდეგისა – ისიც კმარა, რომ მკვლელები „შეწუხებული" გლეხები კი არ იყვნენ, არამედ ვიღაც სხვა, **გარეშე** წრეებიდან გამოსულნი. და მათი იდეური სულის ჩამდგმელი იყო ფ. მახარაძე.

ჩვენ იმასაც კი ვერ ვიტყვით, რომ ფ. მახარაძე შეუგნებელი დამნაშავეა, რადგან იმდენი ჭკუა თუ ჰქონდა მაშინ, რომ შეუგნებელ ბრბოს ხელმძღვანელობდა, ისიც კარგა უნდა ჰქონოდა გათ-

ვალისწინებული, თუ ისეთს მზაკვრულს ბრალდებას რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა. გარდა ამისა, განა ეხლანდელი განმეორება ცილისწამებისა, არ ამტკიცებს იმას, რომ ისინი დღესაც იმ აზრისანი არიან, რომ ილია სამართლიანად მოჰკლეს, მის მიერ ჩანადენ (?) დანაშაულისათვის? განა ის, ჭკუას და აზრს მოკლებული პროტესტები, რომლებსაც აწერინებენ ვიღაც გაქსუებულ მუშებს, არ ამტკიცებენ, რომ დღესაც მოიკვლებოდა ილია, რომ ამ მკვლელობის განმეორება შეიძლებოდეს? განა ისინი, ვინც მკვდარს არ ასვენებენ საფლავში, შესდგებოდნენ: შენ, მართალია, ადამიანური ნაკლები გაქვს, მაგრამ მაინც პატივსა გცემთ, როგორც ღირსეულს?

არა, ისინი დღესაც გაუგმირავდნენ მას გულსა, რადგან ფანატიკოსური შემეცნება, რომელიც მით უმეტესად იპყრობს ადამიანს, რაც უფრო დაბალ საფეხურებზედა სდგას იგი განვითარებისა და შეგნებისა, – დღესაც უკარნახებს: არავითარ საშუალებას არ მოერიდო შენი მიზნის მისაღწევად. და როდესაც ნამდვილი, ევროპული დემოკრატია მუხლს მოიდრეკდა დიდი მგოსნის წინაშე და ეტყოდა: მირონცხებულო, ნაკლნი შენნი ჰქრებიან შენის შარავანდედის ბრწყინვალებაში, ჩვენებური შეუგნებელი, გაბოროტებული და მარტო შურით აღჭურვილი „მუშათა პარტია" (აფსუს სახელო) ეუბნება მუშას: წვრიმალი მიზნისათვისაც კი არ დაინდო დიდებული ადამიანი. ეგრეც უნდა იყვეს: იდეა, სამუშაო იარაღსა ჰგავს – ჭკვიანის ხელში ხმარდება სასარგებლო საქმეს და ბრიყვნი ხელ-ფეხს წარიკვეთენ, ან სხვას დაასახიჩრებენ.

სხვასთან ერთად ჩვენც ვაცხადებთ ჩვენს გმობას და ზიზღსა იმ პირებისადმი, რომელნიც ილია ჭავჭავაძის წმინდა სისხლსაც არ ინდობენ და თავიანთ პოლიტიკური მლიქვნელობის იარაღადა ჰქმნიან.

ჟურნალი „კლდე"
№629, 1913ნ.

იაკობ ფანცხავა:

იძულებითი განმარტება

ამ დღეებში გამოვიდა ბ-ნი პ. გელეიშვილის წიგნაკი: „ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი". ეს წიგნაკი, თურმე, ის ლექცია არის, რომლის წაკითხვება ბ-მა პ. გელეიშვილმა

ვერ მოახერხა. ამ გარემოებამ წამახალისა და ეს წიგნაკი გამოსვლისთანავე პირწმინდათ თავიდან ბოლომდი წავიკითხე. როდი შევეხები ამ წიგნაკში გატარებულ იმ აზრებს, რომელნიც ბ. პ. გელეიშვილს სადღაც საეჭვო ადგილზე აუკრეფია. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა ამ უხეშ აზრებს შესაფერ ფასს დასდებს. აღვნიშნავ მხოლოთ ამ წიგნაკის იმ ადგილს, რომელიც პირდაპირ მე შემეხება, თუმცა ბ. პ. გელეიშვილს როდი უნებებია, ან ჩემი სახელი და გვარი დაესახელებიოს, ან ის ჩემი წერილი მოეხსენებიოს, რომელშიც ილ.ჭავჭავაძე დავახასიათე ისეთ პოეტათ, რომელმაც ჩვენს ლიტერატურაში პირველმა იქდაგა სოციალისტური აზრი. უეჭველია, ეს ბ. პ. გელეიშვილს შემთხვევით, ან უცაბედათ როდი მოუვიდოდა: იგი განგებ უმალავს მკითხველს ჩემ წერილს, რომ მკითხველმა იმ ჩემ წერილს ვერ მიაგნოს და ჯაჭვის რგოლებივით გადაბმული მთელი ჩემი არგუმენტაცია ვერ გაითვალისწინოს.

ეს კი ბ. პ. გელეიშვილისათვის ორგზით არის სასარგებლო: ერთი ის, რომ მკითხველს არ ეცოდინება, თუ რა ვთქვი მე. ამიტომ მას არც შეეძლება ჩემი აზრის მიღება: მეორეც ისა, რომ ბ. პ. გელეიშვილს ასეთ პირობაში ძალიან უადვილდება დამწამოს ის, რაც არც მითქვამს, არც ფიქრათ გამივლია, გადაამახინჯოს ჩემი აზრი და, ამნაირათ, მკითხველს თვისი აზრი მართალ აზრათ მოაჩვენოს, მე-კი რაღაც თვალთმაქცჯამბაზათ დამასახოს. ეს ორივეგვარი ხერხი დამახასიათებელია თვით ბ. პ. გელეიშვილის. მაგრამ ასეთი მისი და მისებრი მწერლების ოინი მე კალამს ვერ ამაღებიებდა.

ამ იძულებითი განმარტების დაწერა მაიძულა იმ გარემოებამ, რომ ბ-ნი პ. გელეიშვილი წარბის შეუხრელათ მწამებს, ვითომც **პოეტის მკვლელობაზე უმეტესი ბოროტება ჩამედინოს...** ეს კი, დამეთანხმებით, დიდი და ძნელი ბრალდებაა. ამიტომ მეც, რა ჯანი მაქვს, შესაფერი განმარტება უნდა მივცე მკითხველ საზოგადოებას, და არა ბ. პ. გელეიშვილს.

ჯერ, ნება მიბოძეთ, თვით ბ. პ. გელეიშვილის პირით და ენით გამოვთქვა ეს დიდი ბრალდება. ბ-ნი პ. გელეიშვილი წერს:

„მაგრამ არა გვგონია, რომ ისტორიამ აპატიოს ბრძოლის ველიდან გაქცეულ ილიას მოწაფეებს ის, რომ მათ თვით ილიას ცხედარს გაუბედეს სოციალიზმის წითელი დროშის გადაფარება... ჩვენ მოგახსენებთ იმაზე, რომ ილია მისი სიკვდილის დღეებშივე მისმა ვითომდა მოწაფეებმა სოციალისტათ გამოაცხადეს. მათ დაუწყეს ილიას კუბოსთან თავმოყრილ ხალხს მტკიცება: — ილი-

ამ ჩვენში პირველმა იქადაგა „შრომის სუფევა", ის სოციალისტი იყოვო.

მაშ ვის დაჭირდა ეს ილიას დამამცირებელი მასკარადი?

ეტყობა, ეს საჭირო ყოფილა თვითონ ილიას მოწაფეთათვის, რომელთაც იმ გამოცვლილ დროში ეშინოდათ – ილიაზე ტირილი ახალ მოძრაობას ღალატით არავინ ჩამოგვართვასო და თვითონ ილია მორთეს სოციალისტის სამოსელში.

სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ტრაღიკულათ დაღუპულ ილიას დროშა-ალამი სადღაც მიმალეს და მისი ჯერ კიდევ გაუცივებელ გვამს წითელი დროშა გადააფარეს.

ჩვენის გულითადის რწმენით ეს ისეთივე ბოროტება იყო, როგორც პოეტის მკვლელობა.

არა, ეს კიდევ მეტიც იყო... გამხეცებელმა ადამიანმა მოკლა პოეტი; მაგრამ ილიას სახელს ამით არაფერი (არ) დაკლებია. სრულიათ პირიქით. ილია უფრო გადიდა ამ ტრაღიკულმა სიკვდილმა, უფრო გააღრმავა იგი ჩამომავლობის ხსოვნისაში.

შვილებმა კი დაამდაბლეს და დაამცირეს დიდებული მამა, მათ თითქოს იუკადრისეს ილიას ძველებური ქართული ქულაჯა, სოციალიზმის სასიძო სამოსელით მორთეს იგი და მით ისტორიის წინაშე მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინეს"...

მე განგებ ამოვწერე ასე ვრცლათ ბ-ნი პ. გელეიშვილის ჩემზე გამოლაშქრება, რომ მკითხველმა თავიდან გაითვალისწინოს, თუ რა ბოროტი ბრალდებაა ეს ბრალდება, პ. გელეიშვილის მიერ ჩემდამი წამოყენებული. გარდა ამისა, თვით პ. გელეიშვილი და მისიანები ველარ გაბედავენ თქვან, რომ მე, ან რამე დამეფაროს, დამემალოს, ან გადამესხვაფერებიოს პ. გელეიშვილის აზრებსა და სიტყვებში. ახლა კი მკითხველს ვთხოვ, ყურადღებით მომისმინოს, რადგან დამეთანხმებით, ბ-ნი პ. გელეიშვილი დიდ დანაშაულობასა მწამებს და დიდათ ბოროტ ადამიანათ მსახავს. ამასთანავე ვთხოვ მკითხველს, კვლავ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჩემ მიერ ხაზ-გასმულ გელეიშვილის ფრაზებს და სიტყვებს.

ბ-ნ პ. გელეიშვილს ბრაზი მოდის დ ავერ გაუგია, როგორც გაბედეს ილიას ცხედარს „ვითომდა მოწაფეებმა" სოციალიზმის წითელი დროშის გადაფარებაო. ამის პირველი ჩემი გადაჭრილი პასუხი ის არის, რომ მტკიცეთ აღვიარებ, არას დროს ილია ჭავჭავაძის მოწაფეთ არ ვყოფილვარ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, მეთაკილებოდეს, ან მცხვენოდეს ილია ჭავჭავაძის მოწაფეობა. სრულიათაც არა, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეს უტყუარი ფაკტია

და, ჩემდა სამწუხაროთ, ჩემ სოფლმხედველობასა და აზოვნებაში სრულებით. არავითარი სხივფინარე აზრი. მოსაზრება და არგუმენტი არ შეუტანია არც ერთს ქართველ მწერალს. ეს სამწუხარო იმიტომ უფრო არის, რომ დარწმუნებული ვარ, სხვებსაც ასე ემართებათ. სწორეთ ეს იმ გარემოების უტყუარი აღმნიშვნელია, რომ ჩვენი მწერლობა ძალიან სუსტი იყო და არის, რომ ადამიანის, ფიქრისა და აზროვნების მიმდევარს, ეს წყურვილი ცოდნისა, ეს მხურვალე სურვილი მთელი სოფლმხედველობის შეძენისა დაუკმაყოფილოს. ამიტომ ქართველი ახალგაზდა იძულებულია, აღეძვრება მას სურვილი ცოდნისა და აზროვნებისა თუ არა, ღრმათ დაეწაფოს რუსულსა და უცხოურ მწერლობას და მხოლოთ იქ პოვოს თვისი გონებისა და ნიჭის შესაფერი საზრდო. აი, ამ მიზეზისა გამო, მეც ასე მოვიქეცი და, როცა წადილი და წყურვილი დამებადა, გამეგო დიადო ბუნების საიდუმლოებანი, გამერკვია ადამიანის ყოფა-ვითარება და გამეთვალიწინებია საზოგადოებათა რთული დამოკიდებულება ისტორიის ცვალებადი მსვლელობა, – მეც ქართულ მწერლობაში ვერაფერი ვიპოვე და რუსულ მწერლობას და უცხოელ მწერლებს მივმართე, მათ დავეწაფე. მხოლოთ ამის შემდეგ დავუბრუნდი ქართულ მწერლობას და მას აქით ეს მწერლობა ჩემთვის მასალას წარმოადგენს, რომელსაც ჩემი შეხედულებისა და ნიჭის მიხედვით ამათუ იმ ადგილს მივაკუთნებ ხოლმე. აქ, მაშასადამე, მოწაფეობაზე ის დაიწყებს ლაპარაკს, ვინც არც კი იცის, თუ რა არის მოწაფეობა, ვინს არც იძიებს, ვინა ხარ შენ, რა აზრისა და შეხედულებისა ხარ, არამედ ზერელე მაცქერალივით, ვით ეს შეფერის ზანტი გონებისა და ჩლუნგი აზროვნების პირს, ერთ ტომარში უკრავს ხოლმე თავს ყველას, ბრალიანსა და უბრალოს.

გარდა ამისა, რათ დასჭირდა ბ. პ. გელეიშვილს, რომ ჩემი აზრი ილ.ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათის შესახებ ასე გააფართოვა, ასე გაასაზოგადოვა? ილიაზე ჩემი აზრი მხოლოთ. ჩემი საკუთარი აზრია, და არც არავინ ჯერ-ჯერობით იზიარებს ამ ჩემ აზრს, რამდენათაც ეს ჩვენი ჟურნალ-გაზეთებიდან ჩანს. არც ერთი მომართულების ჩვენი გაზეთი ამ ჩემ აზრს მხარს არ უჭერს. გაზ. „ჩვენმა ერმა" ამ წლის მაისი ნუმრებში რამდენჯერმე საქვეყნოთ აღიარა, რომ ეს ჩემი აზრი სიმართლეს არ შეეფერებაო. გაზ. „იმერეთმა" ბ. ამირაჯიბის პირით ხომ აბსურდათ გამოცხადა ეს ჩემი აზრი. დასელების გაზეთებზე ხომ მეტია ლაპარაკი. ამას თვით პ. გელეიშვილის ზემო აღნიშნული სიტყვებიც ადასტურებს. მაშ რომელმა ღა მოწაფეებმა ჩაიდინეს ეს დიდი დანაშაული, პოეტის

მკვლელობაზე უაღრესი? ასეთი მონაფენი არც ყოფილან, არც არსად არიან. ეს მხოლოთ პ. გელეიშვილის მოსაზრების გამონაკვეთი საპნის ბუშტებია. ეს აზრი ილიაზე მხოლოთ ჩემი საკუთარი აზრია, ამიტომ მე ვარ სრული პასუხის მგებელიც. არც მეტი, არც ნაკლები. მაშასადამე, ფაკტიურათ დამტკიცებულათ უნდა ჩაითვალოს, რომ პ. გელეიშვილის დებულება – ილიას გაუბედეს მისმა ყოფილმა მოწაფეებმა სოციალიზმის წითელი დროშის გადაფარება – თაღლითი აზრია. არავის ჩემს მეტს ილიასთვის ეს არ გაუბედნია. ჩემი აზრის განსაზოგადოება კი პ. გელეიშვილს არ შეეძლო და მას ამის უფლებას ჩვენი მწერლობა არ აძლევდა. მაშასადანე, აქ პ. გელეიშვილი დიდ უკულტურობასა და თაღლითობას ჩადის.

მკითხველმა, უეჭველია, უჩემოთაც ყურადღება მიაქცია პ. გელეიშვილის შემდეგ ამაშფოთებელ სიტყვებს, ვითომც ვისმესთვის საჭირო იყო ილიას სოციალიზმის სამოსელში გამოხვევა იმიტომ, რომ „იმ გამოცვლილ დროში ეშინოდათ – ილიაზე ტირილი ახალი მოძრაობის ღალატათ არავინ ჩაგვითვალოსო". ამის არა თუ საქვეყნოთ გამოთქმა, გულში გატარებაც კი სასირცხო უნდა იყოს ყოველი პატიოსანი და გულწრფელი ადამიანისათვის. მართლაც. თაღლითი სულის პატრონის მეტს სხვა ვისმე განა შეუძლია ესა თქვას? არა თუ ილიასთანა ადამიანის, არამედ ბევრის. ათას საფეხურათ იმაზე ქვევით მდგარის ადამიანის დატირება განა არ შეიძლება სრულიათ გულწრფელათ და გულ-ახდილათ? აქ რა საჭირო იყო რაიმე სხვა გარეშე გარემოების მომიზეზება?!

ილია, თვისი ნიჭისა და შეხედულების მიხედვით, სრულებით გულწრფელათ და ალალ-მართლათ ემსახურა ორმოცდა ათი წელიწადი თვის საზოგადოებასა და მთელ ქართველობასაც. ესევე ილია ტრაღიკულათ იქნა მოკლული. განა ეს ორი გარემოება საკმარისი არ იყო, რომ მთელ ქართველ საზოგადოებას სრულებით გულწრფელათ დაეტირება ეს დიდი ადამიანი? ქართველობა მართლაც ასე მოიქცა. არც შეეძლო სხვაგვარათ მოქცეულიყო იგი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველობა ქვეყანაზე აღარ იქნებოდა, რასაც ასე დაჟინებით გაიძახის ეს ამდენი ხანია, პ. გელეიშვილი. მაგრამ სწორეთ ილიას ამ გულწრფელი დატირებით ქართველობამ აშკარათ ღადადჰყო, რომ დღემდე იგი, ქართველობა, არ მომკვდარა. სწორეთ ეს გარემოებაა თავი მიზეზი, რომელიც ბრაზსა გვრის პ. გელეიშვილს. სწორეთ ამიტომაც ეს მწერალი აშფოთებას გამოთქვამს იმაზე, ვინც კი ილია მართლა გულწრ-

ფელათ დაიტირა... ამიტომ მეც სრულებით გულწრფელათვე შეშეძლო ცრემლი დამეღვარა დიადი ადამიანის საფლავზე და არც მჭირდებოდა სხვა რაიმე, ჩემთვისა და სხვისთვის მოსატყუებელი მიზეზი გამომეგონებია, სიცრუე და სიყალბე ჩამედინა. არც შეეხამება, არც შეეფერება ასეთი სიყალბე და სიცრუე ჩემ ხასიათს, ჩემ ბუნებას. ასეთი სიყალბის, ასეთი სიცრუის ჩადენას სხვს ის დასწამებს, ვისი გული და სული მხოლოთ თვალთმაქცობასა და თაღლითობაში არის გავარჯიშებული. ზემომოყვანილ სიტყვებით პ. გელეიშვილი აშკარათ ამბობს, მაგრამ თვისი შეუგნებლობისა გამო – ამას ვერ ამჩნევს, – რომ **ილიას დატირება ახალი მოძრაობის ღალატათ ყოფილა მიჩნეული ვიღაცის მიერ...** ამას ახლა განმარტება როდი უნდა. მაგრამ **აქ უნებლიეთ ქართული ანდაზა მაგონდება: ჩემმა ენამ ტიკტიკამო, ყბაში ძლიერ მიტიკაო. და აქ პ. გელეიშვილმა არა თუ თვის თავს ძალიან-ძალიანი სტიკა, არამედ ამავე დროს მან თვისიანებს გვარიანი მათრახი გააწნა...** (ჟურნ. „განთიადი" №1, გვ.20-26)

●

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის მენშევიკებისა და ბოლშევიკების პარტია მთელს იმპერიაში დანასისხლად იყვნენ წაკიდებულნი, ნოე ჟორდანიამ ფილიპე მახარაძე მარტო არ დატოვა ეროვნულ ძალებთან ბრძოლაში. მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი 1913 წელსაც აი, რა წერილს წერს ილიას შესახებ.

ნოე ჟორდანია:

ჟურნალისტის შენიშვნები

„ინტელიგენცია პრაქტიკული ხალხი არ არისო – იტყვიან ხოლმე. ეს სწორეთ არ ითქმის ფედერალისტებზე. პირიქით, ისინი ყოველივე საქმეს ბაჯაღლო ოქროს გამოადენენ. ამ მიზნით ცოცხალთ რომ ამუშავებენ და აამუშავებენ, ეს დიდი არაფერია, აი საქმე კადრების ამუშავებაშია და ეს თილისმა დიდათ ეხერხებათ ფედერალისტებს. განსაკუთრებით სარფიანი შეიქნა მათთვის განსვენებული ილია ჭავჭავაძე. საკმარისია რომელიმე „ჯიბე ცარიელ–გოგრა ცარიელი" ამ მის ცხედარს ამოეფაროს, რომ

ბაჯაღლო ოქროები მისკენ სეტყვასავით წამოვიდეს. ამის ალღო ფედერალისტებმა კარგა ხანია აიღეს და მით ფართეთ სარგებლობენ. მათი წლევანდელი ჭავჭავაძის კამპანია დასრულდა ქუთაისის ბანკის აღებით. ჯერ კიდევ ბევრი ასეთი გამოსარჩენი სიმაგრეები აქვთ ასაღები და მაშასადამე კიდევ დიდხანს დასჭირდებათ ილიას დახმარება.

აი, ასეთი პრაქტიკული ხალხია ფედერალისტები! მართალია აქ მათ დიდი ორიგინალობა არ გამოუჩენიათ, აქ მათ წაბაძეს ერთი ჯურის ხალხს, რომელიც ვინმე თავისიანს ჯერ წმინდანათ გამოაცხადებს და მერე მისი სახელით სკივრებს ივსებს, მარა კაი წაბაძვა ნიჭის უტყუარი საბუთია. ხანდახან წამბაძველი წაბაძულზე უფრო შორსაც მიდის და ამ ხელობაში რაიმე თავისი წვლილიც შეაქვს. ჩვენი ფედერალისტები აქაც გამოირჩევიან ყველა ქვეყნის მოღვაწეებისაგან. ეს პირველი საერო პარტიაა, რომელმაც წაბაძა სასულიერიოს (!) და თავისი საკუთარი წმინდანი წამოაყენა. თქვენ შეგიძლიათ თავისუფლათ შეეხოთ ვისაც გსურთ, კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროთ მაგ. რუსთაველი, ბარათაშვილი, აკაკი, პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, შექსპირი, გიოტე – ყველა შინაური და გარეშე დიდებული მოღვაწენი. ამის უფლება არ გაქვთ მხოლოდ ერთი მოღვაწის შესახებ – ეს არის ილია ჭავჭავაძე. ის ხელშეუხებელი, ის მხოლოდ სათაყვანებლათ და პირჯვრის საწერათ არის კაი ხანია გამოცხადებული ფედერალისტების მიერ. ილიას ნაკლულევანება არა ქონდა რა, ის უპირველესი პოეტია, უპირველესი პუბლიცისტია, უმნიკვლო მემამულეა, ერთი სიტყვით მზესავით ნათელი და სპეტაკია. მისი კანონიზაცია უკვე მოხდა, ილიას ხატი უკვე დაიწერა, მისი ხატობა ხშირათ იმართება და კიდევ დიდხანს გაიმართება, ვინაიდან ეს ერთობ დიდი შემოსავლიანი საქმე შეიქნა.

რელიგია ჩვენ კაი ხანია კერძო საქმეთ გვაქვს გამოცხადებული და ამიტომ არც ფედერალისტების ხატობას შევეხებოდით, რომ ილიას ხატის ძვრა ყოველ წელიწადს საზიზღარი მანჭვა–გრეხით და აღვირწახსნილი ყბედობით არ იწყებოდეს და თავდებოდეს. ოქტომბრის დღეებში შავრაზმელები წინ ხატებს წაიმძღვარებდენ და მათი დროშების სახელით გამვლელ–გამომვლელთ ლანძღავდენ და ტყებდენ. მარა ეს ერთხელ მოხდა განსაკუთრებულ ისტორიულ პირობებში. ხოლო ფედერალისტები კი ამასვე ჩადიან ყოველ წელიწადს. გამართავენ თავის ხატობას და მოგვდგებიან ჩვენ, ე.ი. ყველა იმათ, რომელნიც ამ ხატობაში მონაწილეობას არ ვიღებთ

და მაყურებელთა რაზმს შევადგენთ და როგორც მაშინ ყველაზე უფრო მყვირალა შავრაზმელთ აჯილდოვებდენ, ისე დღეს ყველაზე უფრო მაგინებელ ფედერალისტს აჯილდოებენ. საპაგრომო ძალა ამათ არ შესწევთ, თუმცა ასეთი სურვილი მათგან არა ერთხელ გვსმენია, სამაგიეროთ ენაზე რაც მოადგებათ – გვიმასპინძლდებიან.

და აი, როცა დღეს ამ საზიზღარ ირიშს ყურადღება მიაქცია მუშახალხმა, როცა მისი პროტესტი გაისმა გაზეთების ფურცლებზე, როცა ხმა ერისა მოისმა, ფედერალისტებიც დაფრთხენ და გადაწყვიტეს ორღობეში გაძრომა. ახლა „სახალხო გაზეთი" წერს, რომ ისინი ბრალათ გვდებენ მხოლოდ ილიასთან პოლემიკაში მის უდიერათ მოხსენებას და არა სხვა რამეს (№945). ასე სურთ ახლა გადააფუჩეჩონ თავისი ექვსი წლის დემაგოგია, ილიას მკვლელობის გარშემო ატეხილი. ვინ სურთ ამით მოატყუონ? ვის არ ახსოვს მათი განგაში, ილია ს.დ–ბმა მოკლეს, ილიას მოკვლის ნიადაგი „ერთმა მიმართულებამ" მოამზადაო, „მოგზაურის" კორესპონდენციამ, გამოიწვიაო – ერთი სიტყვით ლიტერატურაში ატეხილმა კამათმა დაბადა ეს საზიზღარი დანაშაულობაო! ახლა? ახლა კი ფიქრობენ ეს ნაფურთხი ალოკონ და წყლიდან მშრალი ამოვიდენ. ეს მათი ქცევა მათვე ჰგავს, მარა ერთობ გვიანღაა, ძნელია მათი გასვლა იმ ღრმა ფონიდან, სადაც კაი ხანია მოემწყვდენ და საიდანაც ჯერ არავინ გასულა.

რაც შეეხება პოლემიკის ტონს, რისგანაც ახლა „სახალხოელნი" საბრალმდებლო ოქმს ადგენენ, უნდა ვთქვათ – ასეთი ოქმი რამდენიც გსურთ იმდენი დაიწერება თვით ილიას წინააღმდეგ. არავინ ისე უდიერათ არ ეპყრობოდა მოპირდაპირეს, როგორც ის და რომ ყველა მისი „ლამაზი" სიტყვები ამოვწეროთ მთელი ტომიც კი გამოვა. მარტო ივანე მაჩაბლის შესახებ ატეხილი კამათი საკმარისია ილიას „ტონისძ დასახასიათებლათ.

ჩვენ ამდენ ხანს ილიას შესახებ გაჩუმებული ვიყავით, მის წმინდანათ გამოცხადებას შორიდან ვუცქეროდით; ახლა ცხადია, რომ ეს ვერ შეიღირსიეს (!) ილიას ჭირისუფლებმა, მათ მადა თანდათან გაუდიდდათ და მივიდენ გოგიჩაიშვილ–ლასხიშვილის წერილებამდის. ამას იქით წასავალი აღარ არის. ახლა კი დროა ილიაზე ითქვას მართალი სიტყვა, ითქვას ის, რაც მის სიცოცხლეში თქმულა და მას ვერ დაურღვევია; გამოირკვას მისი შეხედულებები ბატონ–ყმობაზე, წოდებებზე, გლეხებზე და საზოგადოთ, ხალხზე, სხვადასხვა მოღვაწეებზე – ერთი სიტყვით ნათელი მოეფინოს მის პოეტურ სიტყვას და პროზაიკულ საქმეს, მის პუბლიცისტურ და

საზოგადო მოღვაწეობას. ხატობის ხანა ჩვენ გავიარეთ. ამას ახლა მკითხავები და სოფლის დედაბრები მეთაურობენ. მარტო ტრაღიკულათ გარდაცვალება არ კმარა წმინდანის გვირგვინის თავზე დასადგმელათ, საჭიროა ამ „წმინდანის" საქმეც გავიგოთ და მერე ავწონ–დავწონოთ მისი ღირსება და ნაკლულევანება. დროა ფედერალისტთა ხატობას ძირი გაესინჯოს და არმაზის ალაგას აღმართულ კერპს თავის ალაგი ეჩვენოს. ამ ვაჟბატონებმა იმდენი იყვირეს, იმდენი ილანძღეს, იმდენი ილოცეს თავის კერპის საღმერთებლათ, რომ საზოგადოება გააყრუეს, ბევრი დააჯერეს, ბევრს გზა კვალი აურიეს, ბევრი ჯვარადინა გზაზე გაათრიეს და იქ გააყეყეჩეს. ვისაც ილიობა შეეყრება, ის ძნელი მოსარჩენი ხდება.

მე ჩემდა თავათ დიდ პატივს ვსცემდი სიცოცხლეშივე ილიას გასნაკუთრებით იმიტომ, რომ ის ნამდვილი მებრძოლი იყო, შეუდრეკელი, პირდაპირი და ნიჭიერი. ის ამ მხრით ოდნავათაც არ გავდა დღევანდელ მის დაჩაჩანაკებულ ჭირისუფალთ, რომელთაც იმდენი გამბედაობაც კი არ აქვთ, რომ გუშინ ნათქვამი დღეს განიმეორონ. ილიაში იხატებოდა ერთ დროს ჩვენი საზოგადოების მთელი მდგომარეობა და მისი გავლენის დაცემა ერთნაირი საზოგადოებრივი რევოლიუცია იყო. ილიას დამარცხებამ მთელი ქართველობა შეანძრია, ისე როგორც დიდი ხის მოტკვლეცა მთელ ტყეს გააქანებს ხოლმე. საკვირველია, მუშა ხალხის პროტესტი ლიტერატურულ ეთიკის შესახებ ჩვენს მწერლობაში ორჯერ გაისმა. პირველათ, 1900 წელს ილიას პოლემიკურ წერილების გამო და მეორეთ ისმის ახლა, ფედერალისტების დემაგოგიის გამო იმავე ილიას შესახებ. ილია იქ, ილია აქ; ის კვდარიც კი ორათ ყოფს ჩვენს საზოგადოებას, ერთს მეთაურობს და მეორეს ებრძვის. ის იყო დროშა ძველი საქართველოსი სიცოცხლეშივე, ამავე დროშით რჩება ახლაც, ფედერალისტების მეფობაში... ამიტომ ვინც ილიას მოღვაწეობის შესახებ მართალი არ იცის, ის არ არის ცნობიერათ ჩახედული ჩვენს შინაურ ბრძოლაში.

ამბობენ: ილია პირველ ყოვლისა პოეტიაო, ეს მართალი არ არის. ილია პირველ ყოვლისა პუბლიცისტია, ის პოეზიაშიც პუბლიცისტათ რჩება. მან დიდი კვალი გაავლო ჩვენს საზოგადო ცხოვრებას არა პოეზიით, არამედ პუბლიცისტიკით, საზოგადო მოღვაწეობით. ილია ილიობდა როგორც სხვადასხვა ორგანოების რედაქტორი, როგორც ბანკის და სხვა დაწესებულებათა მეთაური, როგორც ინტელიგენციის და თავადაზნაურობის წინამძღოლი, როგორც მებრძოლი. მისი პოეტური ნაწარმოები იშვიათათ

თუ დაიბეჭდებოდა და ისიც ისეთ დრო გამოშვებით გამოცემებში, რომელთაც მეტათ მცირე მკითხველები ყავდათ. ზოგი მისი ნაწარმოები იბეჭდებოდა ნაწყვეტებათ რამოდენიმე წლის განმავლობაში (მაგ. „სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან" (!) და სხვ.). არა, ის გავლენას ახდენდა არა ამ დარგით, არამედ თავისი საზოგადოებრივი მოქმედებით. და აი სწორეთ ეს აქვთ სახეში ფედერალისტებს, როცა ილია განაწმინდანეს. სწორეთ ისინი შეიქნენ ილიას მიმართულების მემკვიდრე, ისინი მეთაურობენ ილიასავით ინტელიგენციას და თავადაზნაურობას, ისინი იბრძვიან, ილიასავით, საბანკო და სამარშლო ასპარეზზე, მათ სურთ ილიასავით ქართელების ერთი რაზმის, ერთი ჯარის შედგენა გაბატონებულთა წინამძღოლობით – ერთი სიტყვით მათი მიმართულება და ტაქტიკა ილიასია და ამიტომ როცა ილიას ასე აქებენ, აქებენ ამით თავისთათვს, თავის მოღვაწეობას. მათი საკუთარი ავლა–დიდება კატას აეკიდება და ამიტომ იძულებულნი არიან ხოლმე „დიდ კაცსძ აეკიდონ და მის მაღლა აწევას თითონაც აყვენ. ასეთი დიდი კაცია ილია და რაღა გასაკვირალია მის სახელს სექტანტური ფანატიზმით ებღაუჭებოდენ და მის წინაშე საერთო მუხლის მოყრას თხოულობდენ. მათ ეს ვერ შესძლეს ილიას სიცოცხლეში; გამოღვიძებულმა ხალხმა ისინი აიძულა დაშორებოდენ ილიას და ის განემარტოვებიათ. ეს იყო დაშორება არა მიმართულებით, არა სულითა და გულით, არამედ სილაჩრით გამოწვეული. ილია ამ მხრით დიდი მოქალაქე იყო, ის იდგა მაშინაც იქ, სადაც იდგა მთელ თავის სიცოცხლეში. მისი „ნუთუ" სწორეთ ამ მხრით არის საყურადღებო; ის არ უშინდება აზღვავებულ ხალხს, არ უფრთხის თავის განმარტოებას, თავის თანამოკალმეების მიერ მის მიტოვებას; ის საჯაროთ სწერს იმას, რაც მუდამ სწამდა. მისი მიმდევრები, სწორეთ ისინი, რომელნიც დღეს ილიას ხატზე ფიცულობენ, უცებ შორდებიან მას და, ასე განსაჯეთ, მისი წერილის დაბეჭდვასაც კი თაკილობენ! აი, ასეთი კაცუნები არგუნა ბედმა ილიას ჭირისუფლათ. ამათი დღევანდელი ისტერიული წრიპინი ცოდვილთა შენანებაა; მათ დიდი დანაშაული მიუძღვით ილიას წინაშე და ახლა ცდილობენ ეს მოინანიონ. მარა როგორ? ჩვენი ლანძღვა თრევით! სიტყვის ბანზე აგდება – უძლურთა საქმეა. მათ სურთ თავისი სილაჩრე ჩვენი ლანძღვით დაფარონ. ჩვენ ასეთი გამცემლობა არასოდეს არ მოგვიმოქმედია, ვისაც ვიცავთ – ვიცავთ ბოლომდის. მათ კი, როგორც დაატყვეს ზღვის ტალღათა აგორება, დატოვეს თავისი ხომალდი, ჩატოვეს შიგ ილია და თვითონ მოკურცხლეს ნაპირისაკენ. და ახლა სურთ

ეს დანაშაული შეიმსუბუქონ ილიას გახატებით! გვიანღაა! ჩვენ ილიაში ვაფასებთ მის კარგ მხარეებს; ფედერალისტები კი აფასებენ და ადიდებენ მის ცუდ მხარეებს. ჩვენ მისი პოეტური ნაღვაწი მიგვაჩნია დადებით მხარეთ, დანარჩენი ნაღვაწი კი საზარალოთ. დრო არის მისი კარგის კარგათ მიჩნევა და ავის ავათ.

პირუთვნელმა ისტორიამ უნდა გამოიტანოს თავისი განაჩენი...

ნარიძე

ნ. ჟორდანიას ფსევდონიმია

ჟორდანიას წერილის ამ პუბლიკაციით ვასრულებთ მეორე მხარის არგუმენტების წარმოდგენას. მიაქციეთ ყურადღება როგორც მახარაძის, ისე ჟორდანიას შემდეგ სიტყვებს. პირველი ამბობს, აქამდე ვსდუმდი, ილიას მკვლელობას რომ მაბრალებდნენ, ამ საზიზღარ ცილისწამებაზე პასუხის გაცემა არ ღირდაო. მეორე – „ჩვენ ამდენ ხანს ილიას შესახებ გაჩუმებული ვიყავით, მის წმინდანათ გამოცხადებას შორიდან ვუცქეროდით; ახლა ცხადია, რომ ეს ვერ შეიღირსიეს ილიას ჭირისუფლებმა".

ცხადია, როგორც ერთი, ისე მეორე ბელადის ექვსწლიანი დუმილის მათი არარსებული კეთილშობილებით ახსნა ძალიან გაგვიჭირდება. ან რა კეთილშობილებაა, მართალ კაცს მკვლელის იარლიყი მიანებონ და ის სდუმდეს, ემანდ ჭირისუფლებს არაფერი ეწყინოთო.

სინამდვილე სხვა გახლდათ. სდუმდნენ კი არა, ცხედარი სამარეში არ იყო ჩასვენებული, როცა კარლო ჩხეიძემ სწორედ მთაწმინდაზე განაცხადა, ჩვენს ცილისმწამებლებს სასტიკად მოვთხოვთ პასუხსო. ბობოქრობდნენ კიდეც, ვიდრე 1908 წლის თებერვლამდე. მაგ, 1907წლის შემოდგომაზე ნოე ჟორდანიას გაზ."ჩვენი გზიდან" გაცხარებული პოლემიკა ჰქონდა ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით ფედერალისტებთან. მერე დადუმდნენ და როგორც თავად აღნიშნავენ, ბელადებს ხმა აღარ ამოუღიათ. რატომ? გასაგები მიზეზის გამო – პატიმრებმა აღიარეს, რომ მკვლელობის ბრძანება კომიტეტმა გასცაო. ამ აღიარებების გამოქვეყნება დაიწყო 1908 წლის თებერვლიდან.

გავიდა 6 წელი. ბერბიჭაშვილიც გადახვეწილია და იმერელიც გაუჩინარებული, კომიტეტსაც გული მიეცა, კვლავ აყაყანდნენ.

ზემოთ წარმოდგენილი პუბლიკაციებიდან, სასამართლოს განაჩენიდან ორი უეჭველი დასკვნის გაკეთება შეიძლება.

ერთი, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლეს რსდმპ(ბ) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკების კომიტეტის განკარგულებით.

ამ დასკვნაში ახალი არაფერია, მაგრამ ვეცდებით თავი მოვუყაროთ არგუმენტებს დასკვნის უეჭველობის დასადასტურებლად.

1) მკვლელები ფშავლიშვილი, ინაშვილი, ბერბიჭაშვილი მათივე აღიარებით და მათი საქმიანობის გათვალისწინებით, უტყუარია, რომ იყვნენ ესდეკები. ფშავლიშვილი წითელრაზმელია, ანუ პარტიის შეიარაღებული ფორმირების წევრი. ინაშვილი ჯერ კიდევ მამასახლისად სოციალისტებმა დაანიშვნინეს. ბერბიჭაშვილი თავად ამტკიცებდა სასამართლოზე (1941ნ) რომ იმთავითვე პარტიის წევრი იყო.

2) პატიმართა ჩვენებით ვინმე იმერელი არის კომიტეტიდან მოვლინებული პირი.

3) ვინმე იმერელი ოფიციალურ დოკუმენტებში იხსენიება როგორც „ხროვის მეთაური და მთავარი ორგანიზატორი".

4) ეროდიონ ევდოშვილმა ილიას მკვლელობის გამო, ბრალი დასდო არა სხვა რომელიმე პარტიას, არამედ საკუთარ ბოლშევიკების პარტიას. ეს თითქმის სიკვდილზე ხელისმოწერას ნიშნავდა. რატომ უნდა ჩაეგდო თავი ასეთ ხიფათში ტყუილის მოგონებით, საკუთარი თავის მტერი იყო?

5) ბოლშევიკების პარტია იყო ერთადერთი, რომელმაც საყოველთაო გლოვაშიც კი მონაწილეობა დემონსტრაციულად არ მიიღო.

6) ილიას მკვლელობის ბრალდებით დაპატიმრებული ფილიპე მახარაძე და გიგლა ბერბიჭაშვილი, ჟორდანიამ ციხიდან გააპარა. ციხიდან გაპარება თუ შეეძლო, განა მართალ ხალხს სასამართლო წესით უფრო უპრობლემოდ არ გაამართლებინებდა თავს ქვეყნის პირველი პირი?

7) 1908–1909 წლებში სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილ და მართლმსაჯულებისაგან გაქცეულ გიგლა ბერბიჭაშვილს საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა თანამდებობები და პერსონალური პენსია, როგორც ძველ ბოლშევიკს.

8) ილიას მკვლელობისთვის სასამართლო განაჩენით დასჯილი ხიზანიშვილი, ინაშვილი და ლაბაური საბჭოთა ეპოქაში შეიტანეს რევოლუციისათვის წამებული რაინდების წიგნში.

9) გიგლა ბერბიჭაშვილმა 1942 წლის 5 იანვარს, სასამართლო პროცესზე ასეთი რამ განაცხადა: „დაიკვეხეთო, ილიას მკვლე-

ლობა, იმ დიდი ილიასი, რომლის სიდიადეც მე დღეს შევიგენი თქვენის დახმარებით. მე დღეს გავიგე, თუ ვინ იყო ილია ქართველი ხალხისათვის. თუ რა ღვაწლი მიუძღვის მას ქართველი ხალხის წინაშე. **ეს რომ დასაკვეხი ყოფილიყო, მე ვიცოდი, სადაც უნდა დამეკვეხნა და სადაც დამაწინაურებდნენ. მე თვით ჩვენ „სოვნარკომთან" – ვ.ბაქრაძესთან მიმუშავია და მასთან ან პურის ჭამაში, ან ღვინის სმაში როგორ არ წამომცდებოდა."**

ამ სიტყვებით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი.

10) ფილიპეს ბერბიჭაშვილის სასამართლოს წინ გულმა დაარტყა და მოკვდა.

ვილაცამ ჭკუა იხმარა, ფილიპეს განტევების ვაცად გამოყვანა ნიშნავდა იმას, რომ სულ მალე ფილიპეს პარტიული მეგობრების წრეში დაიწყებოდა ილიას მკვლელთა ძებნა და ბოლოს ვის შეაჩვენებდა ისტორია, ძნელი მისახვედრი არ იყო. თან კაცი მოკვდა და მკვდარს რაღა მოეკითხებოდა. წაიღეს და, ჰოი, ირონია ბედისა, თუ ქუჩას სადაც ილია ცხოვრობდა, სერგო ორჯონიკიძის სახელი უწოდეს, ფილიპე მახარაძის გვამი მთაწმინდაზე ილიას გვერდით დამარხეს.

ეს მხოლოდ სატანას შეეძლო მოეფიქრებინა.

11) დაბოლოს, ბოლშევიკებისგან გამართულ ბახვის საიდუმლო კრებაზე, სადაც ილიას მოკვლის შესახებ ინფორმაცია მიიღეს და მკვლელები აირჩიეს, ერთმა გულუბრყვილოდ იკითხა, რისთვის უნდა მოეკლათ ილია?

პასუხი ასეთი იყო: მან ჩვენ გვიღალატა. ეს დეტალი კარგად დავიმახსოვროთ.

ეს არის არასრული სია იმ არგუმენტებისა, რომელთა გათვალისწინებით ვამბობთ, ილია ჭავჭავაძე მოკლულ იქნა ბოლშევიკების მთავარი წარმომადგენლების დასტურით.

თუმცა დასტური გადაწყვეტილებას არ ნიშნავს. ამჟამად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ არც ფილიპეს და არც მის სხვა პარტიულ ამხანაგებს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლოთ. (ამ საკითხზე წიგნის უკანასკნელ თავში გვექნება მსჯელობა).

მეორე დასკვნა, რომელიც ზემოთწარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება გახლავთ ასეთი -

ილია ჭავჭავაძე არ მოუკლავთ „მოგზაურის" პუბლიკაციების საფუძველზე. ილია არ მოუკლავთ როგორც მჩაგვრელი მებატონე. როგორ საკვირველიც არ უნდა იყოს, ამ შემთხვევაში მახარა-

ძეც და ჟორდანიაც მართალს ამბობენ. (სხვა საკითხია, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს ასე მომხდარიყო, სხვა საკითხია, თუ მორალურად როგორ სჯიჯგნეს პოეტი).

არგუმენტები:

1. 1905 წელში ილიას იდეოლოგიურად თავს ესხმის არა მხოლოდ ფ. მახარაძე, ვასილ ნაცვლიშვილი და ძმანი მათნი, არამედ ნოე ჟორდანიაც.

ყოველივე ამის შემდეგ ილია პეტერბურგში (ზემოთ უკვე იყო აღწერილი), მენშევიკებს სუფრასთან ხვდება და პოლიტიკურ გარიგებასაც კი მიაღწევენ, რომ საქართველოს ავტონომიის საკითხზე სოც-დემოკრატებმა თუ დადებითი არა, უარყოფითი პოზიცია არ დაიჭირონ.

2. არაბუნებრივია ორი წლის წინ დაწერილი წერილები, რომელიც ღმერთმა იცის, რამდენ გლეხს ჰქონდა წაკითხული, 2 წლის შემდეგ გამხდარიყო მკვლელობის მიზეზი.

3. 1904 წლის შემდეგ მართალია გლეხთა მღელვარება დაიწყო, მაგრამ ეს იმაში გამოიხატა, რომ 2 წელი არ იხდიდნენ გადასახადებს. ასე ხდებოდა ყველა მამულში. რაც შეეხება მემამულეთა მკვლელობებს, ამას ყველგან წითელი ტერორისტები სჩადიოდნენ და არა გლეხები.

4. 1907 წლის აგვისტოში ილიას მამულის მოსამსახურეებმა მოაწყვეს გაფიცვა, რომელიც უცებვე ჩაცხრა, და პატიება აქეთ ითხოვეს.

5. 1907 წლის აგვისტოში ვინ ხოცავს ილიას საქონელს, ვერავინ გებულობს, რადგან ამას აკეთებენ არა ზოგადად გლეხები, არამედ ვიღაცა დაქირავებული პირი სჩადის. გასაგებია, მიიღეს რა აგვისტოში მკვლელობის გადაწყვეტილება, უნდა შექმნან ისეთი სურათი, თითქოს ილიას გლეხები ერჩიან და თითქოს მკვლელობაც აგრარულ ნიადაგზე მოხდება.

6. თუ გამწარებაა, საგურამოში გლეხები გამწარებული ჰყავს სტაროსელსკის, დიმიტრის შვილის ოჯახს, სასიკვდილოდ კი სტაროსელსკი ან მისი უცხოელი მეუღლე არავის გაუმეტებია.

7. ილიას მოკვლაში ნებაყოფლობით ვერ დაიყოლიეს არათუ გლეხები, არამედ ყაჩაღი და კაცისმკვლელი ფშავლიშვილიც კი.

ბანდა, ფაქტიურად, ამოხოცვის მუქარით შეიქმნა.

7 კაციდან 4 კაცს – თედო ლაბაურს, ხიზანიშვილს, მოძღვრიშვილს და თვით ყაჩაღ ფშავლიშვილს კომიტეტის სახელით, ოჯახის ამოწყვეტის მუქარით, აიძულებენ იმერელი და ინაშვილი, რომ

მკვლელობაში მონაწილეობა მიიღონ. სასამართლო მასალებიდან ეს კარგად ჩანს.

არც „იმერელი", არც ინაშვილი და არც ბერბიჭაშვილი არ იყვნენ მიწის მუშები. ერთიც ტერორისტი იყო, მეორეც და მესამეც, რომელთაც სხვა უამრავი ავკაცობა ჰქონდათ ჩადენილი.

ასე რომ, „მოგზაურის" კორესპონდენციების გამო, არავინ მისდგომია ილიას. მახარაძემ და „მოგზაურმა" სურვილის მიუხედავად ეს ვერ მოახერხეს. ამიტომ, სიკვდილის მუქარით აიძულეს სხვადასხვა სოფლებიდან ხსენებული პირები მძევლებად ქცეულიყვნენ.

8. მკვლელობის შემდეგ, როგორც გლეხთა მოგონებებიდან ჩანს, საგურამოსა და ახლომახლო სოფლების გლეხობა ყველაზე მეტად იყო შეძრწუნებული და დარცხვენილი.

ბერბიჭაშვილმაც კი არ იცოდა, ვის კლავდნენ და ვინ იყო ილია ჭავჭავაძე, (მხოლოდ ის ეგონა, რომ მებატონეს კლავდა), რაც თავის პირით აღიარა სასამართლოზე.

9. პირველივე ოფიციალური და საიდუმლო დეპეშა რაც საქართველოდან იმპერატორის კანცელარიაში გაიგზავნა, ცენტრს ატყობინებდა – ილია ჭავჭავაძე მოკლეს ადგილობრივმა ყაჩაღებმა სავარაუდოდ სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ძარცვის სიმულაციით.

10. ილიას მკვლელობაზე ლაპარაკია სოციალისტ მუშებში და გლეხებში მხოლოდ აგვისტოდან (ანუ ჯერ ზევით იქნა მიღებული გადაწყვეტილება). ასე რომ, ილია არ მოუკლავთ მისგან შეწუხებულ გლეხებს, აქედან გამომდინარე, მისი მოკვლის მიზანი ვერც მჩაგვრელის მოშორება იქნებოდა, მით უფრო, მჩაგვრელი, მისი სახით, არასოდეს არსებულა. ამდენად, ამ მკვლელობაში გადაჭარბებით იქნა შეფასებული მახარაძისა და „მოგზაურის" როლი. მორალური თვალსაზრისით კი „მესამე დასელთა" უგვანობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია.

ერთი სიტყვით, ილია ჭავჭავაძე ის კაცი არ იყო, მისი მოკვლის გადაწყვეტილება მახარაძის დონეზე რომ მიღებულიყო.

●

ილიას აჩრდილი ბოლშევიკებს მისი სიკვდილის შემდეგაც აშფოთებდათ. შიშობდნენ, რომ ადრე თუ გვიან ეს დანაშაული დაუსჯელად არ შერჩებოდათ. გრძნობდნენ, რომ ჰეროსტრატეს ბედი ელოდათ.

ჰეროსტრატე – ეს სახელი ფილიპე მახარაძის მისამართით ვაჟამ, აკაკიმ, ვალერიან გუნიამ იხმარეს. შემდეგ ბევრმა გაიმეორა – უკვდავი ბოროტება, უკვდავი ჰეროსტრატე.

ჰეროსტრატემ, განდიდების მიზნით შეპყრობილმა ჩვენს წელთაღიცხვამდე, 356 წელს ეფესოში არტემიდას ტაძარი გადაწვა. ერთ-ერთი საოცრება მსოფლიოს შვიდ საოცრებას შორის.

ჰეროსტრატე სიკვდილით დასაჯეს ბერძნებმა და მისი სახელის სამუდამოდ დავიწყებას განაჩენით ეცადნენ, მაგრამ არ გამოვიდა, სადაც ბოროტებას ახსენებ, ჰეროსტრატეც თავს ყოფს უფსკრულიდან...

ქართველების ოცნება თავისი მიზღოდა ქართველ ჰეროსტრატეს გამოიხატა ერთ სიმბოლურ მოთხრობაში, რომელიც დაიბეჭდა 1924 წლის ჟურნალ „დროშის" მე-6 ნომერში. ნუ გაგიკვირდებათ, ამ დროს მახარაძეზე ასეთი მოთხრობა როგორ დაისტამბაო (მოთხრობის ავტორია ეროდიონ სონღულაშვილი).

დაისტამბა იმის გამო, რომ მოთხრობა მთლიანად მითოლოგიზებულია და ძალიან დაკვირვებული თვალი სჭირდება, რომ იქ მახარაძის და ძმათა მისთა ნაავკაცარი ამოიცნოს. ამის გარდა ჰეროსტრატეს როლი, როგორც ძველთან მებრძოლის და ახალი სამყაროს შექმნის მეოცნებისა, იქნებ კიდეც მოსწონებოდა ადრესატს. ერთი სიტყვით, მოთხრობა მარტივი არ არის. ესეც არ იყოს, ვინ გაბედავდა ეთქვა, ჰეროსტრატე იგივ ფილიპე არისო. ამასთან იმ დროისათვის პრესაში ჯერ კიდევ იბეჭდება ისეთი მასალები, რომელთა დასტამბვა, ვთქვათ, 10 წლის შემდეგ წარმოუდგენელი იყო. ეს მოთხრობა არის ოცნება იმაზე, რა ბედი უნდა სწეოდა ქართველ ჰეროსტრატეს, მაგრამ ისე არ მოხდა, როგორც მოთხრობაშია. პირიქით ქართველ ჰეროსტრატეთა ხსენება კი არ აიკრძალა, ისინი მოვიდნენ ხელისუფლებაში და ილიას ხელმეორე მოკვლა სცადეს, ილიას სახელის აკრძალვაც მოინდომეს.

თავი IV

ვინ იყო ილიას მკვლელობის შემკვეთი, ორგანიზატორი და რისთვის?

ილიას მეორედ მოკვლის მცდელობა



ფილიპე მახარაძე

ვაჟა ფშაველას სიტყვები –.ილიას მკვლელებს რომ შესძლებოდათ, საქართველოსაც მოჰკლავდნენო, – საუბედუროდ ახდა. 2 წლის, 9 თვისა და 9 დღის საქართველოს თავისუფლება ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

ბედის ბორბალი უნუგეშოდ უკუღმა ტრიალდება.

ყაჩაღები ერის მამებად მოვლენილიყვნენ, ერის მამებს კი ეშეფოთისკენ მიერეკებოდნენ.

საბჭოთა საქართველოში უკვდავი ბოროტების, ჰეროსტრატეს სახელი აიკრძალა კი არა, ის უკვე ქვეყნის მესაჭედ და მზედ ქცეულიყო. 14 წლის წინ ფიზიკურად ხომ მოჰკლეს ილია, ახლა უკვე მისი სახელის აკრძალვაც უნდათ. ილიას სახელის დადებით კონტექსტში ხსენება არც მეტი, არც ნაკლები, საბჭოთა ხელისუფლების გინებასა და უარყოფას ნიშნავს.

როგორც ქართულ მიწა-წყალს ერთი სერგო ორჯონიკიძე ვერ გააჩუქებდა, ისე ილიას სახელს მხოლოდ ფილიპე მახარაძე ვერ აკრძალავდა, ეს მთელი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება იყო ილიასადმი.

იყო ერთი სწავლული კაცი-სეით დევდარიანი, რომელიც სულით და გულით მარქსისტი გახლდათ, თანამებრძოლი და ამხანაგი ძველი ბოლშევიკებისა, რომელსაც გულწრფელად სწამდა ოქტომბრის რევოლუციის იდეალებისა და სურდა, რომ ინტელიგენცია რევოლუციის სამსახურში ჩამდგარიყო. 1922 წელს ჯერ კიდევ გულუბრყვილოდ ეგონა, რომ გამარჯვებული ბოლშევიზმი ილიას სახელთან ანგარიშსწორებას აღარ დაიწყებდა, მოულოდნელად კი აი, რა მიიღო.

„ამ ორი წლის წინეთ (1922 წელს გულისხმობს) იატაკ ქვეშეთიდან ლეგალურ პრესაში ("კავშირი") მე მოვათავსე ვრცელი წერილი ილია ჭავჭავაძის შესახებ მისი სიკვდილის შემდეგ 15 წლის შესრულების გამო. ერთ თავის მოხსენებაში მუშების კრებაზე მამია ორახელაშვილმა დაასახელა ეს წერილი, როგორც ერთ-ერთი მაგალითი იმის საჩვენებლათ, რომ ქართველი ინტელიგენცია ვერ ურიგდება საბჭოთა ძალაუფლებას. წერილში იყო ქება ი.ჭაჭავაძის, როგორც უდიდესი მხატვრული მწერლის. მამია ორახელაშვი-

ლის დაფასებით ილია ჭავჭავაძე იყო მწერალი ნაციონალისტი და მისი ქება მიაჩნდა საბჭოთა ხელისუფლების გაკიცხვათ".

ს.დევდარიანი „ოქტომბერი და ინტელიგენცია"

ჟურნ. „მნათობი" 6, გვ.15

აი, ასე დაიწყო ილიას სახელთან ბრძოლა, საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებიდან.

განსაკუთრებით ფხიზლობდა ფილიპე მახარაძე.

როცა ზოგიერთმა კრიტიკოსმა ილიას სახელის პატივისცემა იმით მოინდომა, რომ ილიას შემოქმედებაში სოციალისტური პათოსის ძებნა დაიწყო, აქაოდა, საბჭოთა ხელისუფლებას რატომ ეწყინება, თუ ამ ბუმბერაზ მწერალს მათიანად გამოვაცხადებთო, ფილიპემ მრისხანედ დაულრინა ამ ეშმაკ ლიტერატორებს.

მათ ჯერ კომკავშირელი კრიტიკოსები მიუქსია, რომელთაც ქვა-ქვაზე არ დაუტოვეს ქართველ კლასიკოსებსა და მათ დამცველებს. გამოსცეს პატარა ბროშურა „ბრძოლა კლასიკოსებისათვის", შემდეგ თვით მახარაძე ჩაერთო ამ საქმეში და მე-4-დი საუკუნის შემდეგ კიდევ ერთხელ გაუსწორა ილიას ანგარიში.

ეს წერილი დაბეჭდილია გაზეთ „კომუნისტში" 1931 წლის 15 სექტემბერს.

ეს წერილიც უნდა დარჩეს ისტორიის ფურცლებზე დასაგვირისტებლად.

ფილიპე მახარაძე: მდგომარეობა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში:

უნდა ითქვას, რომ ეს მდგომარეობა ვერაა მაინც და მაინც დამაკმაყოფილებელი. მე ეს-ეს არის გავეცანი, სხვათაშორის, ახალგაზრდა პროლეტარულ ავტორების წერილებს, რომლებიც მოთავსებულია კრებულში სახელწოდებით: **„ბრძოლა კლასიკოსებისათვის"**. ფაქტები, რომლებიც გამომჟღავნებულია დასახელებულ წერილებში ერთ და იმავე დროს აღმაშფოთებელიცაა და სამარცხვინოც. სხვანაირად შეფასება ამ ფაქტებისა შეუძლებელია. როგორც გნებავთ შეურიგდეთ იმ გარემოებას, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა თითქმის სავსებით ჩაბარებული აქვთ მუშათა კლასისათვის სრულიად უცხო ელემენტებს, რომლებიც რა თქმა უნდა, მტრულად არიან განწყობილნი, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ისე მით უფრო სოციალიზმის მიმართაც. საკმარისია გადაიკითხოთ ზევით დასახელებული წიგნის 9-10 გვ., რომ რამდენიმედ მაინც წარმოიდგინოთ ეს

სავალალო მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება დღეს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლა და კრიტიკა. აშკარაა, რომ მათ, ვინც სათავეში უდგანან დღეს ამ საქმეს, არ შეუძლიათ არა, თუ მარქსისტულად მიუდგნენ და გააშუქონ ქართული ლიტერატურის კლასიკოსები, არამედ იმათ არ ძალუძთ, დაიცვან მცირეოდენი ობიექტურობაც კი ისტორიულ სინამდვილის მიმართ, ე.ი. რამდენიმედ მაინც მოუდგომლად განმარტონ და გააშუქონ ისტორიული ფაქტები. ეს ის ხალხია, რომელიც ჩვენ ბოლშევიკ-ლენინელებს იდეოლოგიურ ფრონტზე წარსულშიც გვებრძოდნენ, და როგორც სჩანს, ახლაც გვებრძვიან იმ განსხვავებით, რომ წინად ისინი გვებრძოდნენ ნაცინალ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტების და მენშევიკების პარტიების სახელით, ახლა კი იმავე როლს წარმატებით ასრულებენ გარეგნულად, თითქოს, როგორც ყოველივე პარტიის გარეშე მდგომნი. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ აქ რამდენიმე ფაქტი.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მეფის რეჟიმის დროს ზოგიერთმა ქართველმა პუბლიცისტებმა თავადაზნაურული წრიდან და შემდეგ სოციალ-ფედერალისტების პარტიამ /გ.მაიაშვილი, არ.ჯორჯაძე და სხვები/ შეთხზეს ზღაპარი, თითქოს ისინი ვინც ჩვენში, საქართველოში, პირველად განაცხადეს ენერგიული პროტესტი და აღიმაღლეს ხმა ბატონყმური მონობის წინააღმდეგ. იყვნენ მესამოცე წლების მოღვაწენი, ე.წ. – თერგდალეულები. საერთოდ და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე, რა თქმა უნდა, აქ ჭეშმარიტების ნამცეციც არ იყო. მართალია იყო მხოლოდ ის, რომ ეს ვაუბატონები, ყველანი წარჩინებული წოდების წარმომადგენლები გაცნობილი იყვნენ იმ კამათთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ დროს რუსეთში ბატონყმობის გაუქმების ირგლივ. შეიძლება მესამოცე წლების მოღვაწეები რამოდენიმედ იზიარებდნენ რუსეთის განმანათლებლების /ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი და სხვ./ ზოგიერთ შეხედულებებს, მაგრამ, რომ იმათ საჯაროდ არასოდეს არ გამოუცხადებიათ რაიმე პროტესტი ბატონყმობის წინააღმდეგ, სანამ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არსებობდა, ეს ურყევი ფაქტია. ყოველ შემთხვევაში არ არსებობს ისეთი დოკუმენტები, რომელიც ამის წინააღმდეგ ამტკიცებდეს. და სხვაფერ შეუძლებელიც იყო. თავადები და მემამულეები, რომელთა არსებობის ერთად-ერთ და უმთავრეს წყაროს დამონებული გლეხების ექსპლუატაცია შეადგენდა. შეიძლება ბატონყმურ ურთიერთობათა ზოგიერთ უხეშ ფაქტების წინააღმდეგი ყოფი-

ლიყვნენ, მაგრამ ისინი თავისი ნებით მაინც არ მოსჭრიდენ იმ ტოტს, რომ რომელზედაც თვითონ ისხდენ და ვაუბატონები ხანდახან არ ერიდებოდნენ ლიბერალურ ფრაზების ხმარებას, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ყოვლად უაზრო ლაყბობა. ასეთ ლიბერალ თავადებს დ.ჭონქაძემ ძალიან მოსწრებულად კნიაზ კნიაზ ლიბერალები უწოდა.

რაც შეეხება ილიას, ყველა მისი ნაწერების და ყველა იმ დოკუმენტების და მასალების მიხედვით, რაც მისი ცხოვრების შესახებ მოიპოვება, მუდამჟამ ტიპიური თავადი და მემამულე იყო. თავიდანვე და ბოლომდე ასეთივე დარჩა.

შეიძლება ჩვენ შეგვეკითხონ: რას იტყვით ჭავჭავაძის პოემაზე: „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდანო". – დიახ, აქ არის პროტესტი ბატონყმობის წინააღმდეგ, მაგრამ მერე რა? ჯერ ერთი: როგორც ყველამ იცის, ეს პოემა გამოქვეყნებული იქნა იმ დროს, როცა ბატონყმობა უკვე დიდი ხნიდან გაუქმებული იყო და, მაშასადამე, მისი ავტორი უკანა რიცხვით უცხადებდა პროტესტს ბატონყმობას, რომელიც უკვე აღარ არსებობდა. მეორე: ხსენებული პოემის ავტორი დიდი ხნის განმავლობაში თავის მაგიდის უჯრაში ინახავდა მას, რაც იმას ამტკიცებს, რომ ავტორს ეშინოდა მისი გამოქვეყნების რაიმე უსიამოვნების მოლოდინში და გამოაქვეყნა იმ დროს, როცა ასეთ შიშს უკვე არავითარი საფუძველი აღარ ქონდა. ეს იყო და ეს. ილია ჭავჭავაძეს თავისი საკმარისად ხანგრძლივი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე ერთხელაც არ მოუცია ჩვენთვის საბუთი იმისათვის, რომ იგი იბრძოდა ბატონყმობის წინააღმდეგ ან სიტყვით, ან კალმით. პირიქით ამის საწინააღმდეგო მასალა მოიპოვება, რამდენიც გნებავთ, ისევე, როგორც აკაკი წერეთლის, ორბელიანის და იმ დროის სხვა მრავალ თავადაზნაურულ მწერლობის შესახებ.

თქვენ იკითხავთ: მაშ, თუ ასეა, რისთვის შეიქმნა საჭირო ამ ზღაპრების შექმნა. ამ სიცრუის გამოგონება? ეს ადვილი გასაგებია. დადგა ისეთი დრო /მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის დასაწყისი/, როცა ეს საჭირო შეიქმნა. საქმე იმაშია, რომ ამ დროს მესამოცე წლების მოღვაწეების ავტორიტეტი ქართველ ხალხის მშრომელ მასებში მნიშვნელოვნად შეირყა. ახლა უკვე აღარ იყო საკმარისი ლაპარაკი ისეთ განყენებულ რამეებზე, როგორც მაგალითად „კაცურ კაცობაზე" და „ადამიანობაზე". ავტორიტეტის მოსაპოვებლად საჭირო იყო რაიმე ნამდვილი დამსახურება წარ-

სულ მოღვაწეობაში და აი ამ ნიადაგზე რეაქციონულ მწერლობის მომხმარეებმა შეთხზეს თერგდალეულებზე საერთოდ და ი.ჭავჭავაძე განსაკუთრებით ის ზღაპარი, რომელზედაც მე ზევით ვლაპარაკობდი, მაგრამ ეს არ კმაროდა: რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო ეს ფაქტი, ამ ვაჟბატონებს ამ მიზნით უნდოდათ დაემალა მკითხველებისათვის ის პირი, ვინც ჩვენში მართლაც პირველად აღიმაღლა ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ, ვინც პირველად საჯაროდ, მწერლობაში უშიშრად და გაბედულად დაგმო ბატონყმობა და გაილაშქრა ამ სამარცხვინო წესწყობილების წინააღმდეგ. დღეს ყველამ იცის, რომ ეს დანიელ ჭონქაძე იყო. ეს შეურყეევი ჭეშმარიტებაა, ვინაიდან ეს ფაქტია. საკვირველია ის გარემოება, რომ ის ავტორები, რომლებიც სრულიად უსამართლოდ და უსაბუთოდ ჭავჭავაძეს აწერენ ამ დიდ დამსახურებას, ერთი სიტყვითაც არ იხსენიებენ დ.ჭონქაძეს.

ერთ დროს თითქმის ყველა ქართველი მწერლებს პირი ქონდათ შეკრული ჭონქაძის მიმართ, რომ იგი სრულებით არ ეხსენებინათ...

როგორც იცით, ეს სიჩუმე უკვე დიდი ხანია დაირღვა. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის პირველ წლეებშივე დ.ჭონქაძის ღვაწლი და დამსახურება ქართულ ლიტერატურაში ცნობილი და სათანადოთ დაფასებული იქნა. ისიც ცნობილია, რომ დ.ჭონქაძის სახელის აღდგენა ქართულ მწერლობაში და მისი ღვაწლის დაფასება საესებით მხოლოდ მარქსისტების საქმე იყო. ასე, რომ ეს საკითხი ჩვენთვის მარქისისტებისათვის, უკვე თითქოს სამი ათეული წლების უკან გადაჭრილი იყო. მიუხედავად ამისა, დაძველებულ და ყალბ შეხედულებას თერგდალეულების და იმათ რიცხვში ი.ჭავჭავაძის შესახებ ახლაც ყოლია მომხრეები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ ზოგიერთები მიდიან უფრო შორს. აი, მაგალითად კ.კაპანელის აზრით, ილია თურმე ყოფილა „ქართულ ლიტერატურაში ჭეშმარიტ მღაღადებლად თავისუფლებისა, თანასწორობისა, ადამიანობისა, შრომის, პატივისცემისა, რევოლუციისა და სოციალიზმისა". /"ბრძოლა კლასიკოსებისათვის" გვ.31/ მე ვერ გამიგია ეს. უნდა მიეწეროს ასეთ ყოვლად უსაფუძვლო მტკიცება არცოდნას, უვიცობას თუ შეგნებულ სიცრუეს?

აბა ერთი წუთით შეეცადეთ წარმოიდგინეთ ილია ჭავჭავაძე „რევოლუციონერი და სოციალისტი". ჭეშმარიტად, როგორც ამბობენ: ქაღალდი ყველაფერს აიტანსო. აი თურმე რა სიყალბეს უნერგავენ თავში ეს ვაჟბატონები ჩვენს მუშურ-გლეხურ ახალ-

გაზრდობას. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ალბათ გათამამებული კაპანელის მაგალითით მიდის იქამდის, რომ აცხადებს „ჩვენი თერგდალეულები სოციალისტებიც იყვნენო". ამითაც არ კმაყოფილდება ეს მოქალაქე: იგი თურმე სწერს თავის „ისტორიაში" შემდეგს: „ბატონყმობის წინააღმდეგ თქმა პირველად ალ.ჭავჭავაძეს ეკუთვნისო". ასე გაბაიბურება ისტორიის მეჯერ არ მინახავს. ესაა დაცინვა და არა ისტორია და ათასჯერ მართალნი არიან ამხანაგები, როცა ისინი აყენებენ საკითხს ასე: „ვის ხელშია კლასიკოსებიო"? მე ამას ვუმატებ კიდევ ასეთ საკითხს: ვის ხელშია მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის აღზრდა? ვის ხელშია ნამდვილი სოციალისტური კადრების მომზადების საქმე? მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ უბრალო შეცდომასთან არ გვაქვს საქმე. ეს ვაუბატონები ამახინჯებენ სინამდვილეს. ისინი რყვნიან ისტორიას. ეს აშკარაა, რადგანაც გიჟის ან სულელის მეტი არავინ დაიჯერებს თერგდალეულების სოციალისტობას, რა თქმა უნდა, ასეთი სისულელე არ სწამთ იმათაც, ვინც ამაზედ ლაპარაკობს. ესენი არც ისე სულელები არიან. მაშ რაშია საქმე? შეიძლება ვისმეს ჰგონია ეს ამ ვაუბატონებს რევოლუცია და სოციალიზმი უყვართ და ამიტომ გამოყავთ რევოლუციონერებად თერგდალეულები და ჭავჭავაძე? არა, იმათ მთელი არსებით სძულთ სოციალიზმი და რევოლუცია და თუ იმათ ილია ჭავჭავაძე და ძმანი მისნი გამოყავთ რევოლუციონერებად და სოციალისტებად, ამას ისინი სჩადიან მხოლოდ იმ მიზნით, რომ რევოლუციის სახელი დასცენ მკითხველის თვალში. მართლაც რა ფასი რა მნიშვნელობა უნდა ექნეს რევოლუციას და სოციალიზმს, როდესაც როგორც ერთის, ისე მეორეს მებაირახტებად გამოდიან ისეთი რეაქციონური და მონარქისტური მწერლები, როგორც იყვნენ ჭავჭავაძეები და ძმანი მისნი?

აი თურმე ვის ჩაუყრია საძირკველი საქართველოში სოციალიზმისათვის /აი როგორ იწერება ისტორია/ ვინ მოიგონა მარქსი ენგელსი, ლენინი/ ვინ მოიგონა მთელი თაობის განწირული ბრძოლა. საპყრობილეები, კატორღა, რევოლუციას თურმე ამზადებდნენ რეაქციონერები და მარქსისტული მწერლები. თურმე ისინი სწირავდნენ თავს/.

არა, ეს არ გაგივათ, პატივცემულო მოქალაქენო, კოტეტიშვილებო, კაპანალებო და სხვანო, ამას ბოლო უნდა მოეღოს და ამის ნიშნები უკვე არის. ერთი ამის ნიშთაგანი არის თუნდაც ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლობის პირველი გაბედული ნაბიჯი,

რომელიც იმათ დადგეს ზევით დასახელებული კრებულის გამოცემით. მართალია, ამ ამხანაგების ჯგუფი ჯერ მცირეა /დ.ბენაშვილი, შ.შავგულიძე, ფრ.ნაროუშვილი, ალ.ქიქოძე/ ეს ჯგუფი ჩქარა გაიზრდება.

დიდი სიძნელე დგას იმათ წინაშე, ამაზე გვითითებენ კრებულის ახალგაზრდა ავტორები. საქმე იმაშია, რომ ძველი რეაქციონური და კონტრრევოლუციური მწერლობის გამოძახილს ჩვენ ვამჩნევთ ზოგიერთ შემთხვევაში თვით კომპარტიის შიგნითაც. აი, რას ამბობენ ამის შესახებ ჩვენი ავტორები: „ასეთი გამოძახილის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს სიმონ ხუნდაძე, რომლის მთელი რიგი ისტორიულ-ლიტერატურული შრომები წარმოადგენენ თანამედროვე პირობებში იმ პროგრამის გამოძახილს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებში, რომელიც წამოაყენეს ნაციონალისტ „ხალხოსნებმა" და ბოლოს სოციალ-ფედერალისტებმა. ამგვარი მოვლენა თავის თავად სამწუხაროა, რადგანაც ეს ხდება კომუნისტური პარტიის შიგნიდან და მკითხველ.საზოგადოებაში ანტიმარქსისტული და ანტიბოლშევიკური აზრით მარქსიზმ ლენინიზმით საღდება".

„სიმონ ხუნდაძე-განაგრძობენ ჩვენი ავტორები, - მკაცრ პროტესტს აცხადებს იმ „უსამართლობის" წინააღმდეგ, რომლის მიხედვით ჩვენში ჭავჭავაძე და საერთოდ თერგდალეულები არ იყვნენ ცნობილნი, როგორც ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფი: ჩვენში, ამბობს იგი, გავრცელებული არის ყალბი შეხედულება, თითქოს ჩვენი სამოციანი წლების ინტელიგენცია არავითარ ბრძოლას არ აწარმოებდა ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ, რომ ისინი ბატონყმობის მოსპობას არ მოითხოვდენ, არამედ შეკეთებას და სხვა. უნდა ვთქვა, რომ ასეთი შეხედულება გაუგებრობაზე არის აღმოშენებული, იგი საკითხების უცოდინარობის ნაყოფი უფრო არის, ვიდრე ობიექტური მსჯელობაო" და შემდეგ ისინი ეკითხებიან ს.ხუნდაძეს: „რომელ ყალბ" შეხედულებაზე ლაპარაკობს ხუნდაძე? ვის აზრს უწოდებს ავტორი სიყალბეს, გაუგებრობისა და უცოდინარობის ნაყოფს? ვისზე მოაქვს იერიშები: ჩვენთვის ნათელია, რომ ეს რისხვა მიმოთვლა მარქსიზმის და ბოლშევიკების წინააღმდეგ, ასეთი იერიში მარქსისტების მისამართით გამოხმაურებაა ჯორჯაძის შეტევებისა" /იხილეთ დასახელებული კრებული გვ. 81-82/.

ეს გარემოება თავისთავად იგულისხმება, მეტად სამწუხაროა როგორც დავინახეთ ზევით მარქსისტებმა უკვე სამი ათეული

წლების წინათ გამოამჟღავნეს ის სიყალბე, რომელსაც მაშინ ავრცელებდა ქართულ მწერლობაში ფეოდალური სულით გაჟღენთილი რეაქციონური ინტელიგენცია, რაც თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის ინტერესების აშკარად დაცვის მიზნით იყო გამოწვეული და რაც იმათთვის საჭირო იყო. ნამდვილ რევოლუციონერების და სოციალისტების წინააღმდეგ, მხოლოდ ერთის განსხვავებით წინათ თუ თერგდალეულები და ჭავჭავაძე გამოყავდათ ლიბერალებად და დემოკრატებად, ახლა ეს უკანასკნელები გამოყავთ უკვე „სოციალისტებადაც". აი როგორ ახასიათებს ხუნდაძე ჭავჭავაძეს.

„ძველი სოციალური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში მეთაურობა უცილოდ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, რომელმაც გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ძველ საზოგადოებასო", მაგრამ ამას არ ჯერდება ხუნდაძე. გამარჯვების წყურვილით გატაცებული საჯაროდ ამტკიცებს:

„ილიას ნაწერებში ჩვენ ვხვდებით სოციალისტური აზროვნების ელემენტებსო", /იხ. დასახელებული კრებული გვ. 83/.

რა არის ეს? დაცინვა და გამასხარავება ყველაფრის. ვის „ყალბ შეხედულებაზე ლაპარაკობს" როცა იცავს მესამოცე წლების მოლიბერალ-ნაციონალისტურ ინტელიგენციას და ასე ხელაპყრობით იჩოქებს მის წინაშე? აშკარაა მას მხედველობაში აქვს ჩემი შრომა „დ.ჭონქაძე და მისი დრო", რომელიც 1903 წელს დაიწერა. მაგრამ მას არ ყოფნის გამბედაობა დაასახელოს ეს შრომა. ყველამ იცის, რომ ის შეხედულებები, რომლებიც მე იქ მაქვს გამოთქმული, დასაბუთებული იყო დოკუმენტებით. ხუნდაძეს ჯერ უნდა დაერღვია ის საბუთები, რომლებიც დასახელებულია აქ და მხოლოდ შემდეგ ამისა გამოეყვანა თავისი დასკვნა, მაგრამ ეს მას არ შეეძლო, რადგანაც ამისათვის საჭირო იყო ჩემ შრომაში დასახელებული საბუთების უარყოფა. ეს არც ისე ადვილი საქმეა. განა სასიამოვნო იყო რეაქციონურ თავადაზნარულ და ფედერალისტურ ინტელიგენციისათვის ყოვეილვე ის, რასაც მე იქ ვამბობდი? ვფიქრობ, რომ არა, მაგრამ რაღას იზამდნენ.

ჩვენმა მოწინააღმდეგებმა მაშინ ხმა გაკმიდეს. მოხდა საკვირველი ამბავი: თითქოს ახლა ახლდება მარქსისტების კრიტიკა. ამ საკითხში, თითქოს ახლა იწყება მაშინდელი მარქსისტული კრიტიკის რევიზია და ეს ხდება მარქსისზმისა და ლენინიზმის დროშის ქვეშ. ეს უნდა აღმოვფხვრათ. მოიგონეთ რუბინი და ძმანი მათნი, რომლებიც ანტიმარქსისტული და ანტილენინურ შეხედულებებს

მარქსიზმის სახელით ასაღებდნენ. ხუნდაძე ჩვენში ცდილობს გაა-ცოცხლოს რეაქციონელური შეხედულებები გადაგვარებულ „ნა-როდნიკების" ა.ხუნდაძე მოექცა ერთი მხრივ არ.ჯორჯაძის და მაიაშვილის, კოტეტაშვილის და კაპანელის გავლენის ქვეშ. ხუნ-დაძემ, როგორც მარქსისტმა აქ გამოიჩინა არა მარტო უტაქტობა, არამედ სრული უპრინციპობაც. შეუთვისებლობა მარქსიზმსა და ლენინიზმსა. ეს პატარა შეცდომა არაა, მაგრამ მისი გამოსწორება შეიძლება. ხუნდაძეს შეუძლია და ვალდებულიცაა თავისი შეცდო-მის გამოსწორებისა. ჩემი წერილის მიზანიც სწორედ ესაა.

ეს ამხ. ხუნდაძის შესახებ, სამწუხაროდ ხუნდაძე ამ მხრით მარტო არ არის, გვერდით ჰყავს-ბენიტო ბუაჩიძე – იგი კომუნის-ტია და პროლეტარული მწერლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მას მეტი მოეთხოვება. ზოგიერთ მის მიერ წარმოთქმულ სიტყ-ვებს და მის მიერვე დამუშავებულ რეზოლუციების მიხედვით ბუ-აჩაძის მემარჯვენეობაში ეჭვს ვერავინ შეიტანს. პირიქით, ამხ. ბუაჩიძე ქართული მწერლობის საკითხებში მეტ წილად უფრო მე-მარცხენე ხასიათის გადახრებს იჩენდა, ვინემ მემარჯვენე ხასია-თისას. ამიტომ მით უფრო გასაკვირალია მისი მიდგომა მესამოცე წლების მწერლობისადმი ი.ჭავჭავაძის მეთაურობით. ეს მიდგომა მართლაც რომ მემარჯვენე ოპორტინისტულია და გამოთქვამს ფედერალისტების შეხედულებებს და არა მარქსისტულ შეხედუ-ლებებს.

ამას წინად სრულიად შემთხვევით მე წავაწყდი ბუაჩიძის ნა-წერების ზოგიერთ ადგილებს, სადაც იგი იძლევა ილიას და მისი ჯგუფის მწერლების დახასიათებებს. მის ნაწერებში ვკითხულობთ „მესამოცე წლების ქართული ლიტერატურის ძლიერი ნაკადი ხელს უწყობდა იბრძოდა /??/ ბატონყმობის წინააღმდეგ" ლიტ. და თანა-მედროვეობა 1927წ. გამოცემა, გვ. 14/.

მკითხველი მიხვდება, რომ ზევით მოყვანილ სიტყვებში, თუმცა ბუნდოვნად გამოთქმულია სრულიად არა მარქსისტული შეფასე-ბა მესამოცე წლებისა. ჯერ ერთი ის, რომ აქ აღებულია მესამოცე წლების მთელი ქართული ლიტერატურა. გამოდის, რომ მაშინდელ ქართულ ლიტერატურაში სრულიად არავითარი განსხვავება არ იყო, არ იყო დაყოფა, თითქოს იყო ერთი მთლიანი ლიტერატურა, რომელიც იბრძოდა ბატონყმობის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ასე არ იყო სინამდვილეში, ამხ. ბუაჩიძის მტკიცება სრულიად განყე-ნებული მსჯელობაა და სინამდვილის დამახინჯება. შემდეგ იმა-ვე წერილში ავტორი ამბობს: „ე.ნინოშვილმა ღირსეულად შესძლო

ილიას მემკვიდრეობა და ცხოვრების მსვლელობასთან ერთად შესაბამისი ახალი კუთხით." /აქვე გვ. 63/.

ზევით მოყვანილი სიტყვები ამტკიცებენ, ჩვენი აზრით, ერთ რამეს, ამხ. ბუაჩიძე არ იცნობს იმ საგანს, რაზედაც სწერს, თორემ ასეთ ველურ რამეს არ დასწერდა. **ეგნატეს, რომ შეეძლოს ამ სიტყვების მოსმენა, ხომ საფლავშიც გადაბრუნდებოდა.**(ხაზი ყველგან ჩემია, – ნ, გ,) ჯერ ერთი, რა მემკვიდრეობაზე შეიძლება ლაპარაკი ნინოშვილის მხრით ჭავჭავაძის მიმართ, არც წარმოშობით და მდგომარეობით, არც იდეურად ნინოშვილს და ჭავჭავაძის შორის მემკვიდრეობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ასეთი მტკიცება არსებითად წარმოადგენს აშკარა რეაქციურ შეხედულებას; ეს მტკიცება მთლიანად ეწინააღმდეგება მარქსიზმის და ლენინიზმის პრინციპებს.

ნინოშვილი იყო ღარიბი გლეხის შვილი, სოფლის მასწავლებელი, ქარხნის მუშა, ნამდვილი პროლეტარი და რევოლუციონერი. და იგი შეიქმნა მარქსისტი. **ილია კი იყო წარჩინებული თავადის შვილი მემამულე და გლეხების მებატონე. იგი იყო მუშების და გლეხების ექსპლოატატორი. როგორც მწერალი-რეაქცნიონერი მემამულეების ინტერესის უერთგულესი დამცველი, ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი, რომელიც მსხვერპლი გახდა მის მიერ ექსპლოტირებულ გლეხების.**

რა არის საერთო ამ ორ პიროვნებას შორის? ან რა მემკვიდრეობის მიღება შეეძლო ნინოშვილს ილია ჭავჭავაძისაგან? არავითარი: არ ვიცი გრძნობს თუ არა ბუაჩიძე იმ უხერხულობას, რომელშიც იგი ჩავარდა, და თუ როგორც ამცირებს იგი ეგ. ნინოშვილს, ხომ ხორცი და სისხლია მუშათა კლასის, იგი ხომ წინამორბედი იყო ჩვენში მარქსიზმის, პროლეტარული რევოლუციის, კომუნიზმის? ვინღა იყო ილია ჭავჭავაძე? ეს ხომ მთელმა ქვეყანამ იცის: რეაქციონერი. მას ვერ იხსნის ასეთი სიტყვების წამოსროლა, როგორც მაგალითად: თავისუფლება, სამშობლო და სხვა.

ამაზე შეიძლება ბუაჩიძემ გვიპასუხოს, რომ იგი ადარებს მხატვარ ჭავჭავაძეს მხატვარ ნინოშვილთან. მაგრამ მწერალის გაორება არ ხდება. ეს შეუძელბელია. დაუშვათ, რომ დავეთანხმოთ ბუაჩიძეს, თითქოს მას ზევით მოყვანილ სიტყვებში მხოლოდ ამ ორი მწერლის მხატვრული მხარე ქონდა მხედველობაში, განა ეს დამაჯერებელ საბუთად ეწოდება? რა, საერთოა ამ ორ მწერალს შორის, რომ ე.ნინოშვილი ჭავჭავაძის მემკვიდრედ და ისიც ღირსეულ მემკვიდრედ გამოვაცხადოთ? პირველი საფეხურის სკოლის

მოწაფეც კი მიხვდება, რომ ამ ორი მწერალის ერთმანეთთან შედარება შეუძლებელია, რადგანაც ისინი, როგორც მხატვრები, სრულებით სხვადასხვა მისწრაფებებს, სრულებით სხვადასხვა იდეალებს გვიხატავენ.

საინტერესოა, ვიცოდეთ, რა მიზანი ქონდა ბუაჩიძეს ამ შემთხვევაში? ერთი კი ითქმის: ნებით თუ უნებლივათ ობიექტურად ამხ. ბუაჩიძე ზევით მოყვანილ ამონაწერებში არსებითად აკეთებს ძველი ხალხოსნების და სოციალ-ფედერალისტების საქმეს, ე.ი. იგი სახელს უკეთებს და ავტორიტეტს უქმნის ქართულ ლიტერატურაში რეაქციონალურ მწერლებს, და იმათ ბურჯს ჭავჭავაძეს. ეს უნდა ითქვას კატეგორიულად მთელი სიმკვეთრით და ეს მით უმეტეს, რომ ამხ. ბუაჩიძე კომუნისტური პარტიის წევრია. პარტია ვერ მისცემს მას უფლებას პარტიის შიგნით ხელი შეუწყოს ჩვენი პარტიის ძველი და ახალი მოწინააღმდეგენის შეხედულებათა გავრცელებას...

ამხ. ბუაჩიძე სხვა წერილშიც იმეორებს თავის შემცდარ შეხედულებას. ასე მაგალითად, წერილში „ქართული მწერლობა 1929 წელს" ჰმნათობი 1930წ. გვ. 13 იგი სწერს: „ილია ჭავჭავაძე ისეთი სიძლიერით ებრძოდა ბატონყმობას, თანამედროვე მწერალს ჯავახიშვილს რათ უნდა გაუჭირდეს ბატონყმობის ნამდვილ ურთიერთობის ასახვაო".

აქ პირდაპირ შეუსაბამისობაა, წინააღმდეგობაა პირველ ნახევრსა და მეორეს შორის: ჭავჭავაძე ებრძოდა ბატონყმობას, ჯავახიშვილს რაღა დაემართაო. აქ არავითარი ლოგიკა არაა.

ვთქვათ ივანეს შეეძლო ბრძოლის წარმოება, მაგრამ აქედან ჩვენ ვერასოდეს ვერ დავასკვნით, რომ პავლესაც უნდა შეძლებოდა ასეთი. მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ამხ. ბუაჩიძე მაშინ საშინლად ცდება, როცა ამტკიცებს, რომ ილია ჭავჭავაძე ბრძოლას აწარმოებდა ბატონყმობის წინააღმდეგ.

ეს მართალი არაა. ეს სიცრუეა. ამ ზღაპარს ბოლო უნდა მოეღოს. ეს ძირითადად უნდა აღმოიფხვრას, საბჭოთა საქართველოს მწერლობიდან, ეს უნდა მოახდინონ კომუნისტ მწერლებმა. ამ ყალბი შეხედულების გაზიარება აუცილებელი შედეგი იყო მარქსიზმისა და ლენინიზმიდან გადასვლისა ერთი მხრით და ბოლშევიზმის ტრადიციების დავიწყების მეორე მხრით. ამიტომ აუცილებლად საჭიროა დიდი მუშაობის ჩატარება, რათა ზოგიერთი კომუნისტი – მწერლები უფრო ბეჯითად დაუკვირდნენ იმას, რასაც ამბობენ

და პირველყოვლისა, რასაც სწერენ. ჩვენს პროლეტარულ მწერლობას მეტად დიდი ამოცანები აქვთ გადასაჭრელად, რა თქმა უნდა, არა მარტო რეზოლუციების გამოტანით ან არა მარტო რადიკალური და რევოლუციონური ფრაზეოლოგიის საშუალებით. არამედ თვით ლიტერატურის დაუფლებით. ბრძოლას კლასიკოსებისათვის აქვს უფრო ღრმა და უფრო ფართო მნიშვნელობა, ვინემ ეს პირველი წარმოდგენით ეგონა ზოგიერთებს.

დასასრულს არ შემიძლია კიდევ და კიდევ აღტაცებით არ მივეგებო ამ ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლების ნაბიჯს, რომლებმაც იკისრეს ზევით დასახელებული კრებულის გამოცემა. ვფიქრობ, რომ ეს პირველი ნაბიჯია, რომელსაც შემდეგი, უფრო ნაყოფიერი ნაბიჯები მოყვება. მეტია ლაპარაკი, რომ ეს ახალგაზრდები სწორ მარქსისტულ – ლენინურ პოზიციაზე დგანან და ბოლშევიზმის ერთგული დამცველები არიან. შეიძლება იმათაც მოუვიდეთ შეცდომები, მაგრამ ეს სრულიად სხვა ხასიათის შეცდომები იქნება, რასაც ისინი სულ ადვილად გამოასწორებენ.

ვუსურვოთ მათ წარმატებით განაგრძნონ თავისი ნაყოფიერი და საჭირო მუშაობა."

ამ ახალგაზრდა, დამწყებ ჰეროსტრატეებს, რევოლუციის ხათრით დედ-მამის მიხრჩობაც რომ არაფრად მიაჩნდათ, ბელადის ეს წერილი ისე მიიღეს, როგორც ბრძოლის წინ მთავარსარდლისაგან სასიგნალო მაშხალის გასროლა. მთელი შეგნებით გადაეშვნენ ბრძოლაში ილიას სახელის საბოლოოდ ამოსაძირკვად.

●

ბელადის მიერ პროლეტკულტელების შექებას და მათგან ზოგიერთის კრიტიკას, როგორც ვთქვი, უკვალოდ არ ჩაუვლია.

ფილიპე მახარაძის წერილის დასტამბვის შემდეგ პროლეტარული მწერლობის კალმოსნები პაჭანიკებივით შეესივნენ კლასიკოსებს და უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძეს.

მაგალითად, პლატონ ქიქოძემ ჩათვალა, რომ კლასიკოსი მწერლებიდან, რომელნიც უარყოფითად მოქმედებენ პროლეტარებზე, განსაკუთრებით საშიშროებას წარმოადგენს ილია ჭავჭავაძე, ამიტომ მავნე ზემოქმედების შესუსტების მიზნით საჭიროა მისი მტკიცედ მხილება.

რამდენიმე თვეში მახარაძის წერილის დაბეჭვიდან ილიას წინააღმდეგ ლაშქრობას კამპანიური ხასიათი ეძლევა.

1932 წელს ილიას ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად ამხელენ. „სალიტერატურო გაზეთის" 11 თებერვლის ნომერში იბეჭდება დ.ბენაშვილის, გ.ნატროშვილის, ბ.ჟღენტის ერთობლივი წერილი.

იგივე ავტორები 21 თებერვალს იმავ „სალიტერატურო გაზეთიდან" მოითხოვენ **ს.გაჩეჩილაძის** (მამა პროფ. გიორგი გაჩეჩილაძისა) სახელმძღვანელოს – „სამუშაო წიგნი ლიტერატურაში"-ს აკრძალვას, ვინაიდან ამ „მავნე" წიგნით ხელი ეშლება ჩვენი ახალგაზრდობის კლასიკურ აღზრდას. ხოლო ხელი იმიტომ ეშლება, რომ წიგნში შექებულია ილია ჭავჭავაძე.

ცნობილი და ძველი ბოლშევიკი, ძველი ტერორისტი, ბარონ ბიბინეიშვილი მეოთხედ გამოსცემს წიგნს – „კვალი" და „კამათი ი. ჭავჭავაძესთან". თავის დროზე „კვალის" პასუხისმგებელი მდივანი ფილიპე მახარაძე იყო. გასაგებია რაზეც იქნება ამ წინგში ლაპარაკი. ცხადია, იმაზე, რომ ილია ჭავჭავაძე ხელს უშლიდა ახალი ცხოვრების დაწყებას.

ძალიან საინტერესოა, რას იტყოდა პროლეტკულტელთა ხელმძღვანელი. ნაფიცი კომუნისტი ბენიტო ბუაჩიძე, რომელსაც ილიაზე ორიოდე დადებითი რამ წამოსცდა, რას იტყოდა მახარაძის კრიტიკის შემდეგ? ბენიტომ ძალიან „ივარგა"... ის ჯერ სიტყვით გამოვიდა 1932 წლის იანვარში საქართველოს პროლეტმწერალთა VI პლენუმზე და ქვა-ქვაზე არ დაუტოვა, მაგალითად სიმონ ხუნდაძეს – ილიას მსოფლმხედველობა სწორად არ გესმისო. ეგ არაფერი, მის სიტყვაში „ლირიკული" შეძახილიც გაისმა: – **„რეაქციონერ მწერლებთან ბრძოლა იყო და არის ჩემი მუშაობის უდიდესი საგანი"-ო.**

კი მაგრამ, ფილიპეს რომ არ მოეწონა მისი ადრინდელი წერილი?

განა ბენიტომ არ დაწერა **ილია ბატონყმობას ებრძოდაო?**

ეს საკითხიც მოაგვარა, პლენუმიდან 10 დღის შემდეგ მახარაძის კრიტიკას გამოეხმაურა და დაწერა: **„ილია ჭავჭავაძე არ იყო მებრძოლი ბატონყმობის წინააღმდეგ,** არამედ ის იყო თავად-აზნაურობის მოწინავე, ჭკვიანი წარმომადგენელი, ე.ი. ყველაზე ძლიერი და მძაფრი რეაქციონერი".

1932 წელს ილიას გარდაცვალებიდან 25 წელი შესრულდა. „სალიტერატურო გაზეთს" ერთი სიტყვითაც კი ილია ჭავჭავაძე არ უხსენებია. კი, მსჯელობდნენ ილიაზე როგორც რეაქციონერ მწერალზე. აქა-იქ ვიღაცა, ისევ ძველი თაობიდან, კარგსაც დაწერდა, მაგრამ ილიას მკვლელობის თემას, როგორც გითხარით, ტაბუ

ედო. მიხეილ ჯავახიშვილი მოქალაქეობრივ გაბედულებას გამოიჩენს და ქართველი საბჭოთა მწერლების პირველ პლენუმზე სიტყვით გამოსვლისას იტყვის – „25 წელი შესრულდა ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან. გაზეთს ეს არ აღუნიშნავს, ორი სიტყვითაც არ უხსენებია. შეიძლება ეს მომხდარიყო რომელიმე რესპუბლიკაში?

... მე რომ თქვენს ადგილზე ვიყო – კავშირის ხელმძღვანელებს მიმართავს, – დავწერდი წერილს... ილიაზედაც დავწერდი. თუმცა მასაც რეაქციონერს ეძახით, მაგრამ მის ლექსებზე ახალგაზრდობა იზრდება".

დაწერა კიდეც, წერილი არა, პოემა დაწერა ილიაზე კომკავშირელმა და პროლეტკულტელმა პოეტმა ფრიდონ ნაროუშვილმა.

ცხადია, ის ჯავახიშვილს არ აჰყოლია, შეკვეთა ამ ახალგაზრდა კაცს ფილიპე მახარაძემ მისცა. ჩვენ ახლა ილიას წინააღმდეგ ბრძოლების, ვგონებ, ყველაზე კურიოზულ ფაქტს გავეცნობით.

ბელადის დავალების შესრულება ისე აღტკინებულმა მოინდომა ნაროუშვილმა, კინაღამ თავიც დაიღუპა და ფილიპესაც ჩრდილი მიაყენა.

ილიას მკვლელობის საქმეს ტაბუ ედო. პრესაში ილიას მკვლელებს აღარ ახსენებდნენ. პირდაპირ ანეკდოტური ამბავია ის, რაც ამ კომკავშირელს დაემართა. კაცმა ფილიპეს სიამოვნებისათვის, ისეთი ზიზღი აფრქვია ილიას, თვით მახარაძე და ძმანი მისნიც გაჰკვირდნენ. ამნაირი თავადაც არაფერი დაეწერათ და არც წაეკითხათ, მაგრამ რად გინდა, ტემლაკების ნაცვლად, პოეტმა კინაღამ ციმბირს გამოჰკრა ხელი.

მართალია ბრჭყალებში ჩასმით, მართალია ზოგადად, მაგრამ ნაროუშვილმა, მისდა უნებურად, ტაბუ დაარღვია. ის ილიას მკვლელობას შეეხო. თან მასების ბელადები ახსენა. პატივცემულმა ფრიდონმა, როგორც ადრეც ვთქვი, დაწერა პოემა – „პოეტი სამხეცეში", მერე ეტყობა, გადაათქმევინეს და სხვა სათაურით დაბეჭდა – „თავადი ილია ჭავჭავაძე".

პოემის ერთი ნაწილი ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაშია" დასტამბული (1932წ. 1-2 გვ. 148-149), ნაწილი კი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" იმავე 1932 წლის 3 თებერვალს. „ახალგაზრდა კომუნისტში" დაბეჭდილ ნაწყვეტს, როგორც უფრო სენსაციურს, ცოტა ქვემოთ გაგაცნობთ. ჯერ ის თავი ვნახოთ, სადაც ნოე ჟორდანია და ილია ერთად ჰყავს გალანძული. (მით უფრო, - პოემის ეს ნაწილი ფართო მკითხველისათვისაც დღემდე უცნობია)

გული როგორ არ დაგიღონდება,
როცა მძინვარებს შავი სახადი;
სომხებთან ომი მოგაგონდება,
როგორც აშკარა „ქვათა ღაღადი“.
იგი არ არის ისე წყვდიადი,
როგორც წარწერა ქვაზე ლურსმული,
იგი ღაღადებს ისე „დიადი“ –
როგორც ქართული, როგორც რუსული.
იგი აროდეს არ იუფლება
გიპოტეზების გაუვალ ნისლით,
ვით ჟორდანიას ხელისუფლება
შეღებილია სომხების სისხლით.
ხოცვა-ჟლეტაში შენ თუ ერიე,
რაა, უარს თუ მაინც ვერ იშლი,
ფაქტების ხმალს ვერ მოიგერიებ –
ხმალზე მჭრელია მის იერიში.
მთავრობა ომში წაგებულია,
მაინც მძინვარებს შავი სახადი;
მორჩა, წაკითხულ-გაგებულია
ცხრაას თვრამეტ წლის „ქვათა ღაღადი".
წამოდგა ნოე, როგორც ილია,
ფოილოს გაღმა მიწა-წყლის მდომი,
„დემოკრატიულ" კავკასიაში
ჭავჭავაძური ატეხა ომი.
ხოცვის და სისხლის წყურვილი მყისვე
გამეფდა, როგორც შავი სახადი;
ომობდა ნოე სომხებთან ისე,
როგორც ილიას ქვათა ღაღადი.
დგამდა საზიზღარ ომს რეჟისორი,
ყავდა გვარდია და „მძიმე ჯვარიც",
და შოვინიზმის ბებერი მძორით
სომხეთისაკენ დაიძრა ჯარი.
კაუცკის მიერ ნებადართული,
ვით ტრაგედია სისხლიან მკაში,
ქვათა ღაღადი იქნა დადგმული
„დემოკრატიულ" რესპუბლიკაში:

ყუმბარა გლეჯდა ხეს, თხრიდა მიწას,
ტყე მღელვარებდა ხოცვა ულეტაში,
დახოცილ ტყეში ცხედრები იწვა
და პარლამენტში ისმოდა ტაში...
მღერის გვარდია... პრეზიდენტს ესმის
„დემოკრატიულ" მთავრობის ლექსი.
ქადაგებს ნოე: „საომრად,
გმირო. ლაშქარი დასძარი,
„ქართველო ხელი ხმალს იკარ" –
სომხებს დაეცი თავზარი!
სავსეა იმავ შხამით და გესლით
დაშნაკელების მთავრობის ლექსი.
და პრეზიდენტი იმავე ფერის
იმავ სიმღერას სომხურათ მღერის:
ქალაქ ტფილისში თავს იკრავს
ჩვენი სამშობლოს საზღვარი;
სომეხო, ხელი ხმალს იკარ
„ვრაცებს" დაეცი თავზარი...
ზღვარი წალეკილ და წაშლილია,
როგორც ძმებს შორის სხვადასხვა ძეთა, –
ასე გადიქცა ნოეთ ილია
და ჟორდანია ჭავჭავაძეთა.

რა არის ცხოვრება, ემიგრაციაში მყოფ ჟორდანიასთვის კი სასიამოვნო იყო, თუკი ილიას გვერდით, თან მის თანამოაზრედ მოიხსენიებდნენ, მაგრამ მახარაძე, რომლის შეკვეთითაც ეს პოემა იწერებოდა ხომ ჟორდანიას სიამოვნებაზე არ ფიქრობდა. პირიქით, 35 წლის შემდეგ გაიხსენეს „ქვათა ღაღადი" და ქართველ-სომეხთა ომის ინსპირატორადაც დიდი ხნის გარდაცვლილი ილია მოსძებნეს.

ზედ ჟორდანიაც მიაყოლეს. ახლა გაიხსენეთ 1907 წელი, ჟორდანიას წერილი, დაბეჭდილი გაზეთ „ჩვენის გზის" 28-ე ნომერში. „ვთქვათ, ყველა ეს მართალია, ვთქვათ, სოციალ-დემოკრატების მიერ მომზადებულმა ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა. მერე ამისთვის დასაგმობია თვით ნიადაგი? ამ ნიადაგმა დაბადა ის დიდებული მოძრაობა, ის გონებრივი და პოლიტიკური გადასხვაფერება, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცადა და დღე მუდამ განიცდის. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, მთელი ახალი ის-

ტორია, და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუაგდოთ და გმობთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა. დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკოსი ლაუაზიე, მარა ამიტომ თვით რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა". ხედავთ, როგორც დაუდგა გვერდზე მკვლელობის პირველსავე დღეებში ჟორდანია მახარაძეს და ბოლშევიკებს?!

გაიხსენეთ, ზემოთ წარმოდგენილი, 1913 წელს დაწერილი ჟორდანიას წერილი, სადაც ასევე კბილებით იცავდა ილიას მკვლელებს. დაბოლოს, გაიხსენეთ ჟორდანიას მიერ მახარაძისა და ბერბიჭაშვილის ციხიდან გაპარება.

ახლა თავისი ყოფილი პარტიული ამხანაგებისაგან მადლობის ნაცვლად მისი ძიძგნის დრო დამდგარა. ესენი საკუთარი ჯიშის ჟორდანიას არ ინდობენ, ტახტიდან გაქცეულსაც ებრძვიან და ილიას მოასვენებენ საფლავში?

აი, პოემის მეორე ნაწყვეტი, რაც ნაროუშვილმა „ახალგაზრდა კომუნისტიდან" ილიას უძღვნა.

თავადი ილია ჭავჭავაძე

„ამიერ-იმერეთის ქართველთ გარდა ბევრ სხვადასხვა მილეთის ხალხთან მქონია საქმე, ბევრი სომეხი, რუსი, თათარი მებაღეებად, მწყემსებად, მოსამსახურეებათ მყოლია... ბევრჯერ გავჯავრებულვარ და დამიტუქსავს კიდეც". (წერილიდან „ნუთუ?")

ი.ჭავჭავაძე

„სახელ განთქმული თავადი ილია,
მამულითა და ყმებით მდიდარი
მთაწმინდის ლოდ ქვეშ მარად მძინარი
გლეხების სისხლით შეღებილია.
ზეცით დანიშნულ ხმებმა თავადის
ცა ფეოდალის გადიმქუხარეს, –
მზე ჩაესვენა მისი მარადის
მაგრამ ვინ დაღვრის ცრემლებს მდუღარეს?
ბევრი აგინა მან მშობელ მამას,
მაგრამ არ იყო მამის „ყასაბი"...
და ვეღარ მიხვდა ველური მამა,
როგორ უყვარდა შვილს ლუარსაბი.
ფეოდალ კლასიკს ქონდა მამული,

მეტყველ პირუტყვებს აძრობდა ტყავსაც,
ქონდა გლეხების მას სიყვარული,
ვით ხარი უყვარს ჯანიერ ყასაბს.
იყო მგოსანი ცრემლ დანამული
სამეფო გვარის ბედის ტრიალით.
როგორც მემკვიდრეს მშობელ მამულის
განუზომელი ქონდა ტრფიალი.
მზა-მზარეული მამულის ხილი
ტკბილი იყო და მწიფე მზიანი. –
გლეხების სისხლით გულგაპოხილი
ლექსებში იყო „ადამიანი".
ატრიალებდა მათრახს მგოსანი,
ვით მემამულე მუხის ფესვებით,
„ჯანდაბას მისი კალმის მოსმანი", –
ყმებს რათ უნდოდათ მისი ლექსები.
საგურამოში რა სხივოსანი
ქონდა დარბაზი სისხლით ნაკირი,
რა დიდებული იყო მგოსანი,
რა დიდებული იყო ბანკირი!!
მთაწმინდის ლოდს ქვეშ იხრწნება ლომი,
პოლემიკოსი და ენამჭევრი, –
მთავარსარდალი შავრაზმულ ომის,
„მესამე დასის" მოსისხლე მტერი.
მას რა ლომურად უღრიალია,
გადაულახავს წლების მანძილი,
მისი პოემა მწუხრიანია,
ვერ გაუფანტა „მამულს" მან ძილი.
ვერ გახდა გლეხი თავადის სიძე,
ვერ ეძმობილა მშიერს გამძღარი,
ვეღარ ჩააქრო ნამუსის სიბრძნემ
ჩატეხილ ხიდის მზე და ხანძარი.
თვითონ ილია მხნე და გულადი,
ნინოშვილების გულსისხლის მდომი,
ყვარელის მთიდან წიწამურამდე
ღრიალებს როგორც ფეოდალთ ლომი.
მგოსანის ყმები, როგოც ნახირი
დაყურებს მიწას ცრემლიან თვალით,
მზე და მათრახ ქვეშ გმინავს ნახირი

„რადგანაც ზეცა წაართვეს ძალით".
შენ პირუტყვი ხარ, შენ გულკეთილი
შენ გზები ყველგან გაქვს ჩაკეტილი;
შენი ბატონი განათლებული
თავად მგოსანი და მჭერმეტყველი.
„შენ ვერ მიხვდები მეტყველის ტანჯვას"
მგოსნის მამულებს უვლი გაშლილებს, –
მგოსანის დროშკა მოქრის და ალბათ...
ბატონის რისხვა ვერ შეგაშინებს.
„ოხრად დაგრჩება შენი მამული
უკანასკნელად რომ გაგივლია", –
თოფივით სჭექდა ხმა ვერაგული
და „ბრბომ" ვერაგულ მოკლა ილია.
ვინ იყო ის „ბრბო" დაუნდობელი,
ვინც ჩაულეწა ფეოდალს ზურგი,
მოკლა, „ვერაგულ" ქართლის მფლობელი
თვითონ ჩაიცვა წყვდიადის ქურქი?
ვინ იყო ის „ბრბო", რომელმაც ჩასცა
მამულის გულს მახვილი ბასრი.
და მკვლელი დღემდე ვერავინ გასცა:
– იმ დროინდელი მშიერი კლასი.
იმდროინდელი ატირდა პრესა:
„მარქსიზმმა ჩასცა მახვილი მგოსანს",
და ეს ლეგენდა გრძელდება დღესაც,
და სინამდვილეს წყვიდადში მოსავს.
დღესაც სიმწუხრის ეხვევა ნისლი
თავადის „ქვრივებს" დალალ გაშლილებს,
უთუოდ მართებთ ილიას სისხლი
ტყეში გახიზნულ ბლაჭიაშვილებს".

ამაზე დიდი სიბინძურე რაღა უნდა დაეწერა ამ ნაროუშვილს, ძნელი წარმოსადგენია, არადა, რომ ეგონა ჯილდოზე წარმადგენენო, კინაღამ გააფუჭეს კაკალი კაცი. ერთდროულად მას მთელი შემოქმედებითი ჯგუფი, მისივე ტოლ-ამხანაგები, კომკავშირელი მწერლები დაესხენ თავს.

საღი გონება იფიქრებს, ახალგაზრდა შემოქმედნი ალბათ გადაჭარბებულმა წყევლა-კრულვამ აღაშფოთა და კოლეგას ზომიერებისაკენ მიუთითესო.

არა, ნაროუშვილს, ამ პოემის ავტორს, ბრალად მერყეობა და ფედერალისტების იდეური თანამზრახველობა დასდვეს, რაკი პოემაში ილიას მკვლელობის თემას, მისდა უნებურად, ტაბუ ახსნა.

ესეც არ იყოს, პოემას უწუნებენ იმ გარემოების გამოც, რომ კიდევ უფრო დიდი მასშტაბის მძარცველად არ გყავს გამოყვანილი ილიაო.

მოკლედ გამყიდველი ფარსადანის არ იყოს, ამ კაცმა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ტემლაკების ნაცვლად პანჩური მიიღო.

რაც მართალი, მართალია, არ შეპუებია, დაუმსახურებელიაო, იფიქრა და კამათი ანუ იმის მტკიცება გააგრძელა, თუ როგორ სძულს ილია.

ჯერ ვნახოთ მისი მოწინააღმდეგე, კიდევ უფრო მტკიცე მარქსისტების პოზიცია.

ვისია ეს აზრები?

„ახალგაზრდა კომუნისტი"-ს 3 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია ამხ. ფრ. ნაროუშვილის ლექსი „თავადი ილია ჭავჭავაძე". მისასალმებელია, რომ პოეტი შეეცადა მოეცა გლეხების მყვლეფელ მემამულისა და ბანკირის ნამდვილი სახე, გადმოეშალა მისი თავადური დაუნდობლობა და მრისხანება, ყმა გლეხებთან ურთიერთობაში, მაგრამ იწყება სერიოზული...

ფრ. ნაროუშვილი იოლად და სათანადო სიღრმის გარეშე „უსწორდება" ილია ჭავჭავაძეს. მყვირალა და „ბჭყვიალა". „მემარცხენეობა" აქ გადაჯჭვულია ნაციონალისტურ ცილის-წამებასთან, ი.ჭავჭავაძე თავად-აზნაურობის ინტერესებისათვის მებრძოლი რეაქციონერი იყო. სასტიკად სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ილია ჭავჭავაძე მხოლოდ და უმთავრესად პრაქტიკულ საქმიანობაში იყო ასეთი. ილია ჭავჭავაძე მემამულე იყო არა მარტო საკუთარ ყმებთან ურთიერთობაში, არამედ მწერლობაშიდაც. ის თავის კლასის მოწინავე წარმომადგენელი იყო, უპირველეს ყოვლისა ლიტერატურულ-პოლიტიკურ მოღვაწეობით იბრძოდა იმისათვის, რომ თავადობას შეენარჩუნებინა ბაბატონებული მდგომარეობა. ამ მიზნით ის კლასიურ თვითკრიტიკაზე დაყრდნობილი, ამჟღავნებდა, ამხელდა მებატონეების ზოგიერთ ნაკლოვანებებს, მებატონეთა მდგომარეობის გაუმჯობესების, განმტკიცების და არა ბატონყმობის მოსპობის მიზნით. ილია ჭავჭავაძე მემამულე და ილია ჭავჭავაძე მწერალი ერთი და იგივე იყვნენ.

როგორც ბევრი სხვებიც, ისე ფრ. ნაროუშვილიც ფიქრობს, რომ ილია ჭავჭავაძე: „გლეხების სისხლით გულგაპოხილი, ლექსებში იყო „ადამიანი".

„ატრიალებდა მათრახს მგოსანი".
„ყმებს რათ უნდოდათ მისი ლექსები".

აქედან აშკარად სჩანს, რომ ნაროუშვილის წარმოდგენაში (ადამიანის წინწკლებში ჩასმა საქმეს ვერ შველის) ერთია ჭავჭავაძე მათრახით ხელში, და მეორეა ჭავჭავაძე კალმით ხელში. ნაროუშვილს არ ესმის, რომ ჭავჭავაძე, როგორც მწერალიც, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება თავის კლასს. ამიტომ არის, რომ ნაროუშვილი უმთავრესად მათრახს აწვება და დამფრთხალი თვალებით ხატავს ილია ჭავჭავაძეს სურათს.

მათრახის ტრიალი გულსისხლის თქვეფა, გახრწნილი ლომი, აი პრიმიტიული, ველური, პატარა და განსაზღვრული ილია ჭავჭავაძე, ნაროუშვილის გადმოცემაში.

ილია ჭავჭავაძე არ იყო ისეთი პატარა მემამულე, მხოლოდ და მხოლოდ მათრახის უსტაბაში და სისხლით ულვაშებ გაღებილი, როგორც ეს ნაროუშვილის „მემარცხენე" და გულუბრყვილო სურათშია დახატული. თავისთავად ცხადია ის, რომ:

„ფეოდალ კლასიკს ჰქონდა მამული,
მეტყველ პირუტყვებსაც აძრობდა ტყავსაო".

დიახ, ტყავსაც აძრობდა ჯიუტი, დაუნდობელი, მოქნილი, ყოველმხრივი ექსპლოატაციით, მაგრამ ეს არ ამოსწურავს ჭავჭავაძის კლასიკურ ბუნებას. კიდეც, რომ მოენდომებია ერთი მათრახით ის მრავალი ყმის ზურგს ვერ გასწვდებოდა. ეს მხოლოდ ნაროუშვილს ჰგონია. მემამულე ჭავჭავაძის ხელი იყო ყვლეფის მთელი სისტემა – აპარატი, მეფის ჩინოვნიკები, სასამართლო, საკუთარი მოურავები, ჩაფრები და სხვა. როგორც მემამულე სანტიმეტალურ გულჩვილობით არ ხასიათდებოდა, მაგრამ შეცდომაა ილია ჭავჭავაძის მემამულეობა განვსაზღვროთ საგურამოს მასშტაბით. არ კმარა მას ხელში მათრახი მივცეთ, სასადილო ჯამში გულსისხლი ჩაუდოთ, კისერზე გააფთრებული ლომის ფაფარი მოვფინოთ და ქუჩა-ქუჩა ვატაროთ. ილია ჭავჭავაძის ამგვარი შეფასება წვრილი ბურჟუას-რადიკალიზმია. სავიტრინო პოზაა და სხვა არაფერი. ეს არის ილია ჭავჭავაძის კლასიკური მოღვაწეობის, ბრძოლის, შემოქმედების ვერ გაგება, მისი კლა-

სიური მნიშვნელობის დამცირება, მთავარის მიჩქმალვა და რაც არსებითია, ი.ჭავჭავაძე მოხსნა, როგორც თავად-აზნაურობის იდეოლოგისა. ამას ამტკიცებს ი.ჭავჭავაძის მხოლოდ საგურამოს მათრახებამდე დაყვანა. სინამდვილეში კი ი.ჭავჭავაძის მასშტაბი გაცილებით დიდი იყო.

ილია ჭავჭავაძე, როგორც მწერალი, პუბლიცისტი, სახელმწიფო კაცი, მემამულე, საზოგადო მოღვაწე (აქ არის მთლიანობა ავტ.) თავად-აზნაურობის იდეოლოგი იყო, მისი მოწინავე, საუკეთესო, ჭკვიანი და მოხერხებული მებრძოლი. ეს კი ნიშნავს, რომ ის მძაფრი რეაქციონერი იყო. ცხადია, როგორც ფ.მახარაძე ამბობს, სწორედ ამ თვისებით (რომელითაც აზრი საკუთარი კლასის, თავად-აზნაურობის ინტერესებისათვის ბრძოლაში გამოიხატება – ავტ.) იყო ის რეაქციონერი.

ამიტომ არაა საჭირო საქმის გაუბრალოება, გაიოლება და სანიმუშო ზერელეობა.

დავკმაყოფილდეთ ამ გაკვრითი შენიშვნებით, რადგან ამჟამად ჩვენთვის ფრ.ნაროუშვილის ლექსში ილია ჭავჭავაძის სიცოცხლის საკითხი არ არის იმდენად საინტერესო, რამდენადაც მისი სიკვდილის. აი როგორ სჭრის ნაროუშვილი ილია ჭავჭავაძეის სიკვდილის საკითხს:

„ვინ იყო ის „ბრბო" დაუნდობელი,
ვინც ჩაულეწა ფეოდალს ზურგი,
მოკლა „ვერაგულ" ქართვლის მფლობელი,
თვითონ ჩაიცვა წყვდიადის ქურქი,
ვინ იყო ის „ბრბო" რომელმაც ჩასცა
მემამულის გულს მახვილი ბასრი.
და მკვლელი დღემდე ვერავინ გასცა:
„იმ დროინდელი მშიერი კლასი".

ჩვენ არამც თუ ვეთანხმებით ამხ. ნაროუშვილს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ასეთ ახსნაში, არამედ სულ რბილად ვამბობთ, რომ ეს არის დიდი, მიუტევებელი და დაუშვებელი მიქარვა. რომ საფუძვლიანად გავსინჯოთ ფრ.ნაროუშვილის ბრბოს რევოლიუციონური წიწწკლები, აღმოჩნდა სწორედ ყველა ჯურის ნაციონალისტების ძველი და ნაცნობი ჩხავილი, მათი ისტორიული, თავხედური და ბოროტი ცილისწამება მუშათა კლასის მშიერთა კლასის მებრძოლ პარტიაზე და მის ბელადებზე. ფრ.ნაროუშვილი შეუგნებლად იმეორებს მებრძოლი შოვინისტური პარტიების

გესლიან პროვოკაციას. სწორედ ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები, პროლეტარიატისადმი კლასიკური ზიზღით აღსავსენი ამტკიცებენ, რომ „ერის ბელადი" ილია ჭავჭავაძე მოკლეს მარქსისტებმა, მშიერ კლასის ბელადებმა. ნაროუშვილმა ამ ცილისწამებას „რევოლუციონური" ნიღაბი ჩამოაფარა, ბევრი არ იფიქრა, გულზე ხელების ბრაგუნი დაიწყო და მშიერი კლასის „სახელით" ამაყად განაცხადა: დიახ, ეს ჩვენ გახლავართ, ნახეთ რა ბიჭები ვართო!

„ვინ იყო ის „ბრბო", რომელმაც ჩასცა
მემამულის გულს მახვილი ბასრი.
და მკვლელი დღემდე ვერავინ გასცა,
იმ დროინდელი მშიერი კლასი".

იმ დროინდელი მშიერი კლასი იყო მუშები და ღარიბ-ღატაკი გლეხობა. ეს კლასი კი მოქმედებდა და მას ხელმძღვანელობდა მებრძოლი პარტია. ეს მშიერი კლასი და მისი პარტია არ იყვნენ თავად ი.ჭავჭავაძის მოყვარენი. პირიქით, მათ გამწვავებული იდეური ბრძოლა ქონდათ. ისინი სხვადასხვა კლასის წარმომადგენელნი კლასიური მტრები იყვნენ. მაგრამ იმ დროინდელ მშიერ კლასს და მის პარტიას თავად მწერლისათვის ბასრი მახვილი ფიზიკურად არ ჩაუცია. იგი ზურგს უკან არ მოუკლავს. აღმაშფოთებელი ის არის, რომ დღეს 1932 წელს, ამ ამბის მტკიცება გვჭირდება პროლეტარულ პოეტისათვის.

ქვემოთ ნაროუშვილი ცდილობს მიაჩუმათოს ამ უხამსო რეციდივის წარმოების კვალი და ამ ნიშნით მორცხვად და გაურკვევლად გვიამბობს:

„იმ დროინდელი ატირდა პრესა,
მარქსიზმმა ჩასცა ლახვარი მგოსანს".

და ეს ლეგენდა გრძელდება დღესაც, ეს გაურკვეველი, განყენებული და უსისხლო მიდებ-მოდება საქმეს სრულიად ვერ შველის. მარქსიზმი განყენებული დანით ხელში არასოდეს არ დასეირნობდა და იმ დროინდელ პრესასაც ასეთივე განყენებული ცილისწამება არ წამოუყენებია, არამედ უფრო კონკრეტული ენით ლაპარაკობდა. მშიერი კლასის იდეოლოგია იყო მარქსიზმი. ნაციონალის-რეაქციონერის შხამიანი ლაყბობა „ამტკიცებდა", რომ ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს მარქსიზმის კონკრეტულმა მატარებელმა, მშიერმა კლასმა, მისმა პარტიამ და ბელადებმა. სწორედ

ამ საზიზღარ ლეგენდას იმეორებს ნაროუშვილი, როდესაც ამაყად სწერს, მემამულის გულში მახვილის ჩამცემი იყო:

„იმ დროინდელი მშიერი კლასი"-ო.

ლექსის ბოლოს ნაროუშვილი კიდევ ცდილობს კვალის აბნევას და ამ საკითხებში თვით იკარგება, საბოლოოდ ის სწერს:

„დღესაც სიმწუხრის იხვევა ნისლი
თავადის „ქვრივებს, დალალ გაშლილებს
უთუოდ მართებთ ილიას სისხლი
ტყეში გახიზნულ ბღაჭიაშვილებს".

დღეს, ტყეში რამ გახიზნა, ბღაჭიაშვილი? დღეს ისინი ტყეში არიან, თუ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებია? თუ ეს ბღაჭიაშვილები ჩოლოყაშვილების ბანდიტებია?

ყველაფერი ეს ამტკიცებს მას, თუ რამდენად საჭიროა ჯერ გაერკვე საკითხში და შემდეგ პოემა დასწერო.

„ახალგაზრდა კომუნისტი"-ს ამავე ნომერში დაკანონებულია ერთი თეთრი „მარგალიტი" ნაროუშვილისავე სხვა პოემიდან. მოთავსებულია „ლიტერატურული შენიშვნა", სადაც ლაპარაკია პროლეტარულ პოეტის პოლიტიკურ სიმახვილეზე. დიალექტურ მატერიალიზმზე და ამის სანიმუშოდ ფრ.ნაროუშვილის პოემიდან მოყვანილია სტრიქონები შემდეგი კომენტარებით:

„პროლეტარული პოეტი ისაა, რომელიც შეუდრეკლად იცავს მუშათა კლასის ინტერესებს სოციალიზმისათვის ბრძოლაში და ამ ბრძოლაში პარტიის ხაზს ლენინურად ატარებს. ფრ.ნაროუშვილმა „პოლიტიკური პოეტის დეკლარაციაში" კარგად მოხაზა ეს მომენტი:

შენ პოეტი ხარ – პოლიტიკური
შენი ველების – შენი მთებისა,
შენ რესპუბლიკის მკვლელის მკვლელი ხარ
როგორც ჯალათი – ჯალათებისა"

ამ სტრიქონებში ნაროუშვილს ლაპარაკი კი აქვს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოზე: პროლეტარული პოეტი პროლეტარული რევოლუციის გუშაგს ახასიათებს ამ აღმაშფოთებელი სტრიქონებით.

„შენ რესპუბლიკის მკვლელის მკვლელი ხარ
როგორც ჯალათი-ჯალათებისა"

პირველი სტრიქონი ბუნებრივია და სწორია, მაგრამ უდიდესი დანაშაული საზ. პოლიტ. სამმართველოს ჯალათის წოდებაშია, ჩვენ არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ეს სიტყვა ეკუთვნის ჩვენ კლასიკურ მტრებს, გაცოფებულ ბურჟუაზიას. ეს უდაოა. ჯალათი საზიზღარია, ჯალათი ფულით ნაყიდია, ჯალათი მხოლოდ ბურჟუაზიას ყავს.

პროლეტარული მწერალი ნაროუშვილი დაუშვებლად მოსტყუვდა, არ იცოდა სიტყვა ჯალათის საზიზღარი შინაარსი. მას უნდა გამოესწორებია ეს შეცდომა, მაგრამ აღმაშფოთებელი ის არის, რომ ამ გამოთქმის მკაცრი კრიტიკის შემდეგაც ხელმეორედ კანონდება კლასიური მტრის ეპიტეტი და თვით ფრ.ნაროუშვილიც ჯიუტობს.

რა გასაკვირია, თუ ეს გავრცელებას პოულობს? რა გასაკვირია ის, თუ ფოთის ბეჭვდითი ორგანოში (გაზ. „ფოთის მუშა" 4, 28 იანვარი) ვინმე ლომიძე ლუღლუღებს:

„ფრ.ნაროუშვილი როგორც პროლეტარული პოეტი კლასიური მორალის საფუძველზე სდგას.

იგი მიმართავს გ.ჰ.უ.ს.

„შენ რესპუბლიკის მკვლელის მკვლელი ხარ
როგორც ჯალათი ჯალათებისა".

დიდებული თქმაა. დასძენს ეს ყოვლად საეჭვო კომენტატორი. ასე ნავარდობს კლასიური მტრის „მარგალიტი" ზოგიერთი ამხანაგების პოლიტიკური სიბეცის გამო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უპირველეს ყოვლისა, ეს სისაძაგლე უნდა აღიკვეთოს და თვით ავტორმა ყოველგვარი ჯიუტობის გარეშე თვითვე დაგმოს თვისი უხეში შეცდომები.

ბენიტო ბუაჩიძე, ალიო მაშაშვილი,
კონსტანტინე ლორთქიფანიძე, პ.მ. საყვარელიძე.

●

მაშ ასე, ეს პატივცემული ხელმომწერნი ეჯიბრებიან ნაროუშვილს ილიას სიძულვილში, თან დემაგოგიას მიმართავენ, გინდა თუ არა, ილიას მკვლელობაში მარქსისტებს ადებ ხელსო. დემაგოგია ეგრე არ უნდაო, ნაროუშვილმა თავის ამხანაგ კომკავშირლებს მოუყარა თავი. თან ფილიპეს შეკვეთილი პოემა გაუკრიტიკეს, ხომ? ამიტომ მახარაძის წყალობით გულმიცემულმა, ისეთი

პასუხი გაუშანშალა ილიას სიძულვილში გაჯიბრებისა, რომ ყველამ ერთად, იმათაც და ამათაც კაციჭამია ვირთხების ორკესტრი შექმნეს. დემაგოგიით ამ კომკავშირლების წერილი ზემოთ ხელმომწერების წერილს აღემატება კიდეც. ახლა ამათ დასდეს ბრალი იმათ, ჩვენ კი არა, - ილიას მკვლელებად მარქსისტები თქვენ გამოგყავთო. ქურდს რომ უსმინო, დღეში ცხრაჯერ გამოტყდებაო, ისეა ამათი საქმე. სიძულვილის ხარისხზე რა გითხრათ, კომკავშირელთა ორივე ბანაკი ილიას სიძულვილში ერთმანეთს ტოლს არ უდებენ. აი, ეს პასუხიც:

ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში

დოკუმენტი პირველი: „უკანასკნელ დღეს ისევ ამხედრდენ ბარბაროსები; მოდიან იერიშით, რათა ცეცხლით გაანადგურონ ჩვენი ეროვნული სახე, აღმოფხვრან ჩვენი გულიდან ილიას მცნება – „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდვნოდეს"-ო. კმარა, ამხანაგებო, რაც ჩვენი სულთასწრაფვა გაათახსირეს! კმარა, რაც სჯიჯგნეს ჩვენი ეროვნული გრძნობა! მაშ შევებრძოლოთ შინაურ დაუძინებელ მტერს, გავცეთ შესაფერი პასუხი მათ ასეთ საქციელზე – მათ საზიზღარ თავხედობას".

დოკუმენტი მეორე. ამხედრებულა „ყოვლად საეჭვო კომენტატორი" „ფოთის მუშიდან", „სწორედ ამ საზიზღარ ლეგენდას იმეორებს ნაროუშვილი", „ეს არის მიუტოვებელი და დაუშვებელი მიქარვა". „ჩვენ ვფიქრობთ, რომ უპირველეს ყოვლისა ეს სისაძაგლე უნდა აღიკვეთოს"...

დოკუმენტი მესამე: „ქართულ ცხოვრებას აძრობენ ხალათს და ტანთ აცვავენ სხვა ხალხის აზრებს" „არ გვინდა-ვინმეს ჯერ თავზე უწინ სხვისი ხსენება-რომ ვაპატიოთ", „მაგრამ იცოდეთ ამ ქართულ მიწას სხვის ნაფიქრალში ნუღარ დამალავთ! საკუთარ სახეს, ვინც კი დაიცავს ის მსოფლიოში შევა თამამად".

ვისია ეს სამი დოკუმენტი?

პირველი დოკუმენტი სოციალ-ფედერალისტების მოწოდებაა, რომელიც დაწერილი იყო მარქსიზმის წინააღმდეგ, ილია ჭავჭავაძის მიმართ წარმოებული ბრძოლის საპასუხოდ და მოყვანილია პეტრე გელეიშვილის წიგნში ილიაზე.

მეორე დოკუმენტი იმავე საკითხზეა დაწერილი, მაგრამ არა სოციალისტურ რევოლუციამდე, არამედ დღეს, ჩვენს სინამდვი-

ლეში, და ხელმოწერილია სამი ჩვენი პარტიის წევრის (ბ.ბუაჩიძის, ა.მაშაშვილის და პ.მ. საყვარელიძის და ერთი უპარტიოს კ.ლორთქიფანიძის) მიერ (იხ. „მუშა", 6 მარტი).

მესამე დოკუმენტი იმავე მაშაშვილის ლექსია.

ილია მოითხოვდა „ჩვენი თავი ჩვენვე „გვეყუდვნოდეს"-ო, პროლეტარული პოეტი მაშაშვილი კი მოითხოვს არ ჩავიცვათ „სხვა ხალხის" აზრები და აუცილებლად დავიცვათ საკუთარი ეროვნული სახე".

ფედერალისტები ყვიროდნენ მარქსისტული „ბარბაროსების" „საზიზღარ თავხედობაზე" ილიას მიმართ და უშვებდნენ პროკლამაციებს მათ წინააღმდეგ, ვინც „ჩვენი ეროვნული სახის განადგურებას" მოითხოვს. ყოფილი სოციალ-ფედერალისტი, მისი (ფედერალიზმის) რეციდივების მატარებელი ბენიტო ბუაჩიძე, მეტად უხეში ნაციონალისტურ გადახრების მატარებელი პროლეტარული პოეტები კი – ლორთქიფანიძე-მაშაშვილი, დღეს აყვირებულან იმავე ფედერალისტურ თემაზე და კილოზე, თითქოს ნაროუშვილის მიერ დაშვებულ „სისაძაგლეებზე" ილიასადმი, ისევ იმ ილია ჭავჭავაძის და მის დამცველ ფედერალისტების მიხედვით მაშაშვილი მოითხოვდა ეროვნული „საკუთარი სახის" დაცვას.

შემთხვევითია განა ყოველივე ეს?

არა და არა!! (აქ არ არის საგაზეთო ტექნიკური შეცდომები. ასე სწერენ, ნ.გ.)

შემთხვევითი არ არის ეს გამოსვლაც და ჩვენ ტყუილად არ მოვიგონეთ ფედერალისტების პროკლამაცია მარქსისტების წინააღმდეგ.

მკითხველმა კარგად იცის ბუაჩიძის ფედერალისტური, უკრიტიკო და ბრმა მიდგომა ილიასადმი და საერთოდ კლასიკოსებისადმი. ერთ ადგილას ის აყენებს გაზეთ „პრავდას" ერთ-ერთი კინოსადმი მიძღვნილ მოწინავის მიერ რეაქციონურ ლოზუნგად აღიარებულ ერმოლოვისებურ მოწოდებას ექსპლოატატორული კლასების ლიტერატურისადმი „დაწევისა და გასწრების" შესახებ.

„ჩვენ გვჭირია, - ამბობს ბუაჩიძე – არა მარტო დავეწიოთ, არამედ გადავასწროთ კიდეც ბურჟუაზიულ ლიტერატურასო"

და მართლაც, განა არ „დაეწიენ და გადაასწრეს" კიდეც ზოგიერთ საკითხებში ჩვენმა ამხანაგებმა არამც თუ ბურჟუაზიულ, არამედ ფეოდალურ კლასიკოსებსაც კი?! განა მაშაშვილს არ ეკუთვნის დამპალი შოვინისტური სტრიქონები:

„შევწირავთ იმედს და თავდადებას, ოქტომბრის დროშას ცეცხლად ახრილსა, კვლავ რაინდულად ამოვარდება ტანმოგრეხილი ხმალი კახისა".

განა ლორთქიფანიძე არ იყო, რომ მოითხოვა ბოლშევიკების მიერ ხმოვანი ასოების თანხმოვანებით შეცვლა, (ე.ი. კლასობრივი ზავის დამყარება), რომელმაც უარი სთქვა „ცეკას დადგენილებათა ან კომპარტიის დირექტივების" „უშნოდ გადამღერებაზე" (ლექსი „შესავალი" წიგნი „ახალი"), რაც სამართლიანად და მკვეთრად გააკრიტიკა თავის დროზე ამხ. კახიანმა.

განა იმავე ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველასადმი ფედერალისტურ მიდგომაში ბუაჩიძესთან ერთად სათანადო წილი მაშაშვილს ლორთქიფანიძესაც არ მიუძღვით (კალაძეც და ვაკელიც ამ შემთხვევაშიც ე.ი. ნაციონალისტური გადახრების საქმეში წინ მიუძღოდათ მათ). აი მაგალითი ბუაჩიძის ფედერალისტურ რეციდივების პოეტური გადამღერებისა მაშაშვილის მიერ, რომელიც მოცემულია პოემა „მე და ბარათაშვილში".

„საუკუნეებზე დიდხანს, ივლიან, ვინც ხალხის გულში დადგა კარავი, სცოცხლობს აკაკი, ვაჟა, ილია წარსულის ფერფლით დაუფარავი".

„ხალხის" (საერთოდ „ხალხის" !) **გულში საუკუნოებით წარსულის ფერფლით დაუფარავი კარავი დაუდგამს თურმე ილიას და დღესაც ილია, ვაჟა და აკაკი ყოველმხრივ და ყოველნაირად „სცოცხლობენ" და მისაღები ყოფილან!!**

აკაკისადმი მიმართვის ფორმებში კი ლორთქიფანიძე ლაპარაკობს:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტის სევდათა მოწამე აჩრდილო, რა გითხრა რა! გინდა საქართველოს გულზე მოგათავსებ, ტკბილია; ვერ იგრძნობ „ეკალს და ნარს".

დღეს საქართველოში ყვავილიც აღზრდის პოეტსო – ამბობს ის მეორე ადგილას. ამ ფედერალისტური სქემის თანახმად საქართველოში აბსოლუტური სიტკბილე და მშვიდობიანობა დამყარებულა, აღარც კლასობრივი ბრძოლაა და ყვავილებიც კი აღარ ითელება – ერთი სიტყვით, საბჭოთა ქვეყანას აკაკის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტის სევდათა" ნაციონალისტური ზრახვები განუხორციელებია და ა.შ.

და განა ყოველივე ამის შემდეგ აუცილებელიც არ იყო ამ ამხანაგობის მიერ ილია ჭავჭავაძისადმი დღეს გამოსარჩლება და მისდამი ჭირისუფლობა?!

სულ რამოდენიმე დღეა, რაც ამ ილიასადმი გამოსარჩლებითი წერილის ერთ-ერთ ავტორმა (ბუაჩიძემ) თვითონვე დეკლარატიულად სცნო თვისი ფედერალისტური რეციდივები. მაშაშვილი და ლორთქიფანიძე ასეც არ მოქცეულა.

სამწუხაროდ, პოეტები ჯერ-ჯერობით რაღაც განსაკუთრებულ „მირონცხენებულ" ადამიანებად მიაჩნია ზოგიერთებს, თითქოს მათაც ბოლშევიკური პასუხი არ უნდა მოეთხოვოს.

რა უნდა ექნა ამ ამხანაგებს პირველ რიგში? პირველ რიგში ისინი თავიანთივე ნაციონალისტურ შეცდომების გაშლილი კრიტიკით უნდა გამოსულიყვნენ და მაშინ როდესაც მათ ჯერ კიდევ არ უთქვამთ სიტყვა თავის ნაციონალისტურ გადახრებზე – ისინი უკვე გამოდიან წერილით ნაციონალიზმისა და ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ საფუძველში სწორად დაწერილ ლექსის დემაგოგიურ კრიტიკით. მართალია, ამ ლექსში ადგილი აქვს ცალკე გადაღუნვებს, მაგრამ ამით, ამხანაგო ჭირისუფლებო, თქვენ, როგორც რუსები იტყვიან, ფედერალისტურ ქურქს ვერ შეკერავთ.

ჭირისუფლები აცხადებენ: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეს სისაძაგლე (ე.ი. ნაროუშვილი-ავტორები) უნდა აღიკვეთოს". აი თურმე ნაციონალისტურ შეცდომებით დამძიმებულ ხალხს რა მიაჩნია მთავარ საშიშროებათ? არა ნაციონალიზმი, არამედ ნაროუშვილი ყოფილა მთავარი საშიშროება! გამოდის, რომ ბუაჩიძემ თვალთმაქცურად სცნო შეცდომები მხოლოდ იმისათვის, რომ მეორე დღესვე „აეღო სისხლი" და „გადაეხადა ვალი" ერთ-ერთ იმ ამხანაგისათვის, რომელიც საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთოდ ფედერალიზმთან და, კერძოდ კი, ფედერალისტურ-ნაციონალისტურ რეციდივებთან წარმოებულ ბრძოლაში.

ამ ლექსის წინააღმდეგ ამხედრდა, როგორც ოდესღაც მარქსისტული კრიტიკის წინააღმდეგ, ნაციონალიზმის მთლიანი ფრონტი გამსახურდია-ჯავახიშვილიდან დაწყებული მენშევიკებით და ფედერალისტებით გათავებული. და მართლაც, ილიას ჭირისუფლებო, „ვისია ეს აზრი?" ვის ემსახურებით და ვისი ბრმა რუპორი ხართ?

თქვენ ებრძვით ცალკე გადაღუნვებს, რომელთაც ფედერალისტურ კონტრაბანდასთან ბრძოლის პროცესში, სამწუხაროდ, ჰქონდა ადგილი? მაშინ მონახეთ ეს გადაღუნვები თქვენივე წერილის ავტორებშიც (ბუაჩიძე კი თავის წერილში „კომუნისტი"-ს რედაქციისადმი 60-იანი წლების ყველა მოღვაწეებს იხილავს

როგორც ერთ მთლიან ორგანიზმს და, მაშასადამე, დანიელ ჭონ-ქაძესაც რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის „მხოლოდ მახინჯ" სახეთ სთვლის, რაც, რა თქმა უნდა მესამოციანეთა მიმართ „მე-მარცხენურ" ნიგილისტურ მიდგომას წარმოადგენს).

მეორე მხრივ, თქვენ არ გაქვთ უფლება ამ გადაღუნვებზე ისევ და ისევ ძველი ფედერალისტური პოზიციებიდან იბრძოლოთ. თქვენი მთავარი ბრალდება იმაშია, თითქოს ილიას მკვლელობა ლექსის ავტორმა მარქსისტებს დაწამა. ეს მტკნარი სიცრუეა!!

რაშია საქმე?

ლექსში (რომელიც, სხვათა შორის, დაუმთავრებელი პოემის ნაწყვეტის სახითაა დაბეჭდილი), მოცემულია ილიას სახე, რო-გორც ტიპიური ფეოდალის, რომელსაც, როგორც სასტიკ ფეო-დალს ჰკლავენ. რა თქმა უნდა, არა მარქსისტები, არამედ მის მიერ დაჩაგრული გლეხების (ბღაჭიაშვილების) „ბრბო". „ეხლა პიო-ნერებშიც კი იციან, ამბობდა ამხ. კ.გორდელაძე თბილისის პარ-ტაქტივის კრებაზე, რომ ი.ჭავჭავაძე მოჰკლეს 1905 წლის რევო-ლუციის პერიოდში მისივე მამულის გლეხებმა"-ო. აქვს თუ არა პროლეტარულ პოეტს უფლება მხატვრულად მოგვცეს გლეხების მიერ თავისი მყვლეფელი რომელიმე (ამ შემთხვევაში ილიას) ფე-ოდალის მოკვლის სურათი?! და მიუხედავად იმისა, რომ ინდივი-დუალური ტერორი რევოლუციის გზა არ არის, (თუმცა ლენინი აბსოლუტურად არ უარყოფდა ტერორს, თუ კი იგი მასიურ მოძრა-ობის დამხმარე და მასზე დამორჩილებული ფაქტორია). მიუხედა-ვად ილიას, როგორც მწერლის გრანდიოზულობისა – აქვს თუ არა პროლეტარულ პოეტს, უფლება უთანაუგრძნოს არა ფეოდალს, არამედ გლეხებს?!

ლექსში გარკვევით არის თქმული, რომ „გლეხებმა და ისიც გლეხების „ბრბომ" მოჰკლა ფეოდალი ილია ჭავჭავაძე". პროლე-ტარულ მწერალს აქვს სრული უფლება და ვალდებულია (რად-გან არ შეიძლება ილიას გაორება „პოლიტიკურად" და „პოეტად") ჭავჭავაძის ფეოდალური იდეოლოგიის კრიტიკისას მოიგონოს და დაუკავშიროს ეს კრიტიკა მის გლეხებისადმი მოპყრობას და იმას, თუ როგორ უპასუხეს ამას რევოლუციონურ სიმაღლემდე ჯერ კი-დევ ვერ ასულმა, სტიქიურად ამბოხებულმა გლეხმა.

ამასთანავე ერთად ლექსში ხაზგასმითაა თქმული, რომ ბღა-ჭიაშვილების ეს მკვლელობა მაშინდელმა პრესამ მარქსიზმს შეაწამაო. ლექსში ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ ეს ამბა-ვი ლეგენდაა – მოჭორილი და საზიზღარი! ვიმეორებთ, ლექსში

ზუსტადაა დასახელებული მკვლელის ვინაობა: მკვლელი ბღაჭიაშვილებია.

რით უპასუხებენ ყოველივე ამაზე ილიას დღევანდელი ჭირისუფლები? ისინი გაიძახიან, რომ ბღაჭიაშვილებს ე.ი. სტიქიურად აღელვებულ გლეხებს არ მოუკლავთ ილიაო... მაშ ვინ მოკლა? მაშ ვინ თუ არა თქვენ, პატივცემულო ჭირისუფლებო, უწყობთ ხელს იმავე ფედერალისტური ჭორის გავრცელებას, თითქოს არა ბღაჭიაშვილებმა, არამედ მარქსისტებმა მოჰკლეს ილია.

ვიმეორებთ: ლექსში მითითებულია მისამართი მკვლელისა: ბღაჭიაშვილი! თქვენ ამ ნამდვილ მისამართს იწუნებთ და ხსნით. მაშასადამე, ადასტურებთ მეორე „ვარიანტს" ილიას მკვლელობას მარქსისტების მიერ.

თქვენი ლოგიკა ასეთია: თუ მაშინდელმა „მშიერმა კლასმა" მოჰკლა ილიაო, როგორც ეს ლექსშია ნათქვამი, მაშასადამე, მუშათა კლასს მოუკლავსო, მაგრამ განა ლექსში აბსოლუტურად გარკვევით არ არის თქმული, თუ რომელმა „მშიერმა კლასმა" მოჰკლა ილია?! ამ „მშიერი კლასის „გვარიცაა იქ დასახელებული: ბღაჭიაშვილები!. მაშასადამე, თქვენ პროვოკაციულ ცილს სწამებთ ავტორს, და აშკარაა ისიც თუ რა მიზნებისათვის გჭირიათ ეს პროვოკაცია!

ამ პროვოკაციის დასამტკიცებლად თქვენ არჩილ ჯორჯაძის ფედერალისტური თეორიაც აღადგინეთ კლასების შესახებ. „იმდროინდელი მშიერი კლასი, – სწერთ თქვენ, იყო მუშები და ღარიბლატაკი გლეხობა. ეს კლასი კი მოქმედებდა და მას ხელმძღვანელობდა მებრძოლი პარტია (რომელი პარტია?). ეს მშიერი კლასი და მისი პარტია არ იყვნენ თავად ი.ჭავჭავაძის მოყვარულნი" და სხვა.

ამრიგად: მუშები და გლეხობა თურმე ერთ კლასს წარმოადგენენ და მათ თურმე თავისი მუშურ-გლეხური მებრძოლი პარტია ყოლიათ. რომლებიც (კლასი და პარტია) „არ იყვნენ თავად ი.ჭავჭავაძის მოყვარულნი". რომელ მუშურ-გლეხურ მთლიან კლასზე და მის ერთადერთ მებრძოლ მუშურ-გლეხურ პარტიაზეა ლაპარაკი? თუ ფედერალისტურ პარტიაზეა ლაპარაკი, მაშინ სთქვით საჯაროთ და აშკარად, რომ ის თქვენ ასე ვთქვათ „მუშურ-გლეხურ" კლასის მებრძოლ პარტიად მიგაჩნიათ! თუ ბოლშევიკურ პარტიაზეა ლაპარაკი, მაშინ საქვეყნოდ მოგიწერიათ ხელი იმ აშკარა ანტიპარტიულ, რეაქციონურ დებულებაზე, თითქოს ჩვენი პარტია მუშურ-გლეხური პარტიაა.

რატომ ამოტივტივდა ერთხელ კიდევ ეს ფედერალისტური თეორია?

აქ საქმე მეტად უბრალოა!

ლექსი ამტკიცებს: სტიქიურად აღელვებულმა გლეხების (ბღაჭიაშვილების) მშიერმა კლასმა მოჰკლა ილიაო. მაგრამ თუ ეს ასეა, განაგრძობენ ილიას ჭირისუფლები, მაშასადამე, გამოდის, რომ მართლაც მუშათა კლასს და მის იდეოლოგებს – მარქსისტებს მოუკლავთ ილია, რადგან, ჩვენი ძველი ფედერალისტური თეორიის თანახმად გლეხობა და მუშათა კლასი და მათი პარტია ერთი მუშურ-გლეხური კლასი და პარტიაა.

ამრიგად, გამოდის ისევ და ისევ ძველი ფედერალისტური სიმღერა: თითქოს მაშინდელი ბღაჭიაშვილების საქციელზე სავსებით და აბსოლუტურად ბოლშევიკები აგებენ პასუხს.

მართლაც, ბოლოს და ბოლოს, ამხანაგო ჭირისუფლებო, სთქვით საქვეყნოდ: „ვისია ეს აზრები?"

და თუ თქვენ გაგიჭირდებათ თვითონვე უპასუხოდ ამ კითხვას, მაშინ წაიკითხეთ ამ წერილის დასაწყისში მოყვანილი ადგილი ფედერალისტების ძველი მოწოდებიდან და გაიგებთ:

რომ თქვენ აგრძელებთ ძველ ბრძოლას ახალ ფორმებში.

რომ ამ ბრძოლაში თქვენი აზრები კონტრ-რევოლუციონური ფედერალიზმის რესტავრაციის კიდევ ერთ აშკარა ცდას წარმოადგენს.

ნოე ზომლეთელი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, პლატონ ქიქოძე, გრიგოლ ბუხნიკაშვილი, ფრიდონ ნაროუშვილი, გიორგი ნატროშვილი, ივანე ჯაფარიძე, გოგი ლომიძე, დიმიტრი ბენაშვილი, შალვა შავგულიძე, გიორგი მდივანი.

შესაძლოა მკითხველმა დასვას შეკითხვა, ნუთუ ილიას თანამოაზრენი აღარ ჰყავს, ნუთუ 1921 წლიდან. სულ რაღაც 10-11 წელიწადში ისე გადაუტრიალეს ყველას გონება, რომ ილიას ხელმეორედ მოკვლის მცდელობასაც ეგუება ხალხი. ნუთუ ილია მკვდარი ლომივით ისე გამხდარა ამ პროლეტკულტელი ტურების საძიძგნი, რომ ერთი კაციც არ აღმოჩნდა საქართველოში ამათ დასაფრთხობად ხმა აღემაღლებინა?

ნუთუ მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას გალაშქრება ნაროუშვილის პოემის წინააღმდეგ (პრესას არ მიაკარეს, ცხადია) იყო საკმარისი?

ვინც წაიკითხავს 1932 წელს გამართულ ქართველ მწერალთა თითქმის 10 დღიანი თათბირების სტენოგრამებს, მსგავსი კითხ-

ვა აღარ დაებადება. 1932 წლის აპრილში ჩატარდა მწერალთა სხდომები, რომლისთვისაც პროზის საწარმოო თათბირი დაურქმევიათ.

ამ თათბირების გენერალური ხაზი სწორედ იმ მწერალთა მხილებაში მდგომარეობდა, რომელთა შემოქმედებაშიც ნაციონალისტურ მოტივებს ხედავდნენ. განსაკუთრებით აიჩემეს სამი-ნიკოლოო მიწიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია.

ამათ სწორედ ილიას იდეებიდან ვერ გამოსვლას დაჰკიჟინებენ. ამათ კი ისიც გმირობად უნდა ჩაეთვალოთ, რასაც პასუხობენ. უტრირებულად თუ ვიტყვით, მათი პასუხები დაახლოებით ასეთია – რა ვქნათ, ისეთ გარემოში გავიზარდეთ, წარსულის ცოდვები ჯერ კიდევ მოგვყვება, ჩვენი უეცრად გარდაქმნა ძნელია, დაგვეხმარეთ, მტრები არა ვართ, ნუ აგვიკრძალავთ წერას, ნუ დაგვხოცავთ. ერთი ნაბიჯი თქვენც გადმოდგით ჩვენსკენო. მოკლედ, საკუთარი თავი აქვთ დასაცავი და არა მხოლოდ იდეოლოგიური თავლსაზრისით.

სატირალი რომ არ იყოს ეს ვითარება, ღიმილის გარეშე ვერ წარმოიდგენ სურათს, როგორც იმართლებენ თავს კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი და ნიკოლოო მიწიშვილი ამ გამგელებული, წერა-კითხვის მცირემცოდნე ნაროუშვილებისა და ძმათა მისთა წინაშე.

ძალიან ბევრი იყო, მაგრამ რამდენიმე ბრალდება ამოვწერეთ ამ ცოცხალი კლასიკოსების მისამართით გამოთქმული, შემდეგ გაგაცნობთ მათ პასუხებს:

ალი არსენიშვილი: „გაზვიადებულად მიმაჩნია ის ყურადღება, რომელიც თათბირმა გამოიჩინა მიხ. ჯავახიშვილისადმი. ჯავახიშვილი არ არის, ისეთი დიდი მწერალი, რომ საჭირო იყოს ამდენი ლაპარაკი მის შემოქმედებაზე. ჯავახიშვილის შემოქმედებაში არის ორი პერიოდი. ერთი რევოლუციამდე, მეორე რევოლუციის შემდეგ. ჯავახიშვილი სავსებით დარჩა იმ დონეზე, რომელიც მას ახასიათებდა თავის შემოქმედების პირველ პერიოდში. ჯავახიშვილი ეხლაც იმ მეშჩანურ წუმპეში ცურავს, რომელიც გაბატონებული იყო მის პირველ მოთხრობებში". სამწუხაროა ალი არსენიშვილის ასეთი ცვლილება, ის ყოფილი ცისფერყანწელია

ფრ.ნაროუშვილი არ ზოგავს ბესო ჟღენტსაც კი, რომელსაც უფიქრია, რომ ჯავახიშვილის გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება... „რაც შეეხება ბ.ჟღენტს, მისი მოხსენება აშკარა მემარჯვენე მოხსენება იყო. ჟღენტმა წამოაყენა მიხ. ჯავახიშვილის გარდაქმ-

ნის, მისი საბჭოთა მწერლობაში შეზრდის თეორია. ჯავახიშვილი რეაქციონერი მწერალია, ამიტომ არ შეიძლება დაისვას საკითხი მისი გარდაქმნის შესახებ.

რასაკვირველია ჯავახიშვილს არა აქვს აღკვეთილი შესაძლებლობა დასწეროს რევოლუციონური ნაწარმოები. მაგრამ მისი შემოქმედების დღევანდელ გზას გაგრძელება აღარ შეუძლია."

კ. მელაძე: „ჯავახიშვილი არ სდგას ჩვენს მსოფლმხედველობაზე, ამიტომ ის არ არის ჩვენი მწერალი."

პ. ჩხიკვაძე: „არსენა" არის აშკარა ნაციონალისტური ნაწარმოები, ნაციონალისტურ ნაწარმოებს კი თანამგზავრულად ვერ ჩავთვლით".

ციტირება რომ არ გამიგრძელდეს, ვიტყვი მოკლედ, თითქმის ყველა პროლეტკულტელი ნაციონალიზმის ბრალდებით ურტყამს ზემოდასახელებულ სამ მწერალს, სხვებსაც, მაგრამ ამ სამს განსაკუთრებით. დაჭრილ-დანაკუწებულ სტენოგრამაში მოჰყავთ მათივე პასუხები. პასუხები, ცხადია, მხოლოდ ნაწყვეტს წარმოადგენს გამოსვლისა, კომენტარები კი არ დანანებიათ.

ნ. მიწიშვილი: ჩვენი საწარმოო თათბირების მიზანი უნდა იყოს გაუადვილოს მწერალს დიალექტური მატერიალიზმის მეთოდის შეთვისება. ამ მეთოდის დასაუფლებლად კი საჭიროა გწამდეს თვითონ ეს მეთოდი. მწერალს თუ არ სწამს ეს მსოფლმხედველობა, ის ვერ შესძლებს მის გამოყენებას.

ჩემზე აქ ბევრს ლაპარაკობენ, მე მიწოდებდნენ მემარჯვენე, რეაქციონურ მწერალს. აქ ისიც იყო ნათქვამი, რომ მე დავცინი რევოლუციას. მაგრამ ეს არ არის სწორი. მე მთელი ჩემი პრაქტიკული და მხატვრული მუშაობით რევოლუციასთან ვარ. მაგრამ არის მთელი რიგი საკითხები, რომლებზედაც მე ჩემი შეხედულება მაქვს. ეს საკითხები ჩემს გარდა სხვა ქართველ მწერალსაც აწვალებს.

ამ „მთელ რიგ" საკითხებზე ნ.მიწიშვილი არსებითად რეაქციონურ, აშკარა ნაციონალისტურ შეხედულებათ ანვითარებს, - წერს კომენტატორი, - მისი გამოსვლა სამართლიანი გულისწყარომით იყო შეფასებული და კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარებული თათბირის მიერ.

ეხება რა მწერლობის იმ ნაწილს, რომელიც არ არის დარაზმული პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ირგვლივ, მიწიშვილი ამბობს, რომ ამ მწერლობამ დღემდე ვერ მოძებნა ეპოქისათვის შესაფერი ენა. ამავე დროს ვერც პროლეტარულმა მწერლობამ შექ-

მნა ღირსეული ტილოები, პროლეტარულ მწერლობაში, რომელიც წამყვან როლს უნდა თამაშობდეს, ხელმძღვანელობის საკითხში ადგილი ჰქონდა შეცდომებს. ამ შეცდომების გამო მისი წამყვანი როლი ვერ განმტკიცდა. პროლეტარულ მწერლობაში იყო ორი ფრთა: ერთის მხრივ პ.ქიქოძის და მეორეს მხრივ ბ.ბუაჩიძის ჯგუფი. გამოირკვა, რომ პ.ქიქოძეც და ბ.ბუაჩიძეც ორივე ცდებოდნენ. ეხლა საბჭოთა მწერალმა აღარ იცის, ვის დაუჯეროს, ვის ნაყვეს (ამხ. დ.ბენაშვილი ადგილიდან პარტიას უნდა დაუჯეროს). ამ მიზეზით პროლეტმწერლობის იდეოლოგიური ზეგავლენა ჩვენზე სუსტია.

აქ გამოსული პროლეტარული მწერლები სხვადასხვა იარლიკებს აკერებდნენ მწერლებს, იძლეოდნენ რეცეპტებს, თუ როგორ უნდა სწეროს მწერალმა. ისინი გვიკიჟინებდნენ, რომ ჩვენ ვერ მოვიმარჯვეთ დიალექტური მატერიალიზმის მეთოდი, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ეს მეთოდი გამზადებული არ დევს სადმე კუთხეში.

კ. გამსახურდია: აქ ზოგიერთ არასაკადრის გამოთქმებს ჰქონია ადგილი ჩემს მიმართ. მე მგონია მწერლის შეფასების დროს საჭიროა ერთგვარი ობიექტურობა. მე ათი წელიწადია საბჭოთა ხელისუფლებასთან ვმუშაობ. ერთგვარი წვლილი მეც შემიტანია ქართულ კულტურის საქმეში.ამიტომ არ შეიძლება ჩემი დახასიათება ისე, თითქოს მე შინაგანი ემიგრანტი ვიყო. მე შეიძლება აუარებელი შეცდომები დაუშვი. მე არ ვფიქრობ მე წმინდათა წმინდა ვიყო. მე რომ გამოვასწორო ჩემი შეცდომები, ამისათვის საჭიროა მომეცეს ამის საშუალება. მე არ ვმალავ, რომ მე მაქვს გურამიშვილიდან, ჭავჭავაძიდან, ორბელიანიდან და აზნაურობიდან გადმოყოლილი ცოდვები, ჩემთვის ძნელია ამ ცოდვებიდან თავის დაღწევა. მე აღვიზარდე ისეთ წრეში, რომ ჩემი ერთბაშად გარდაქმნა ძნელია. მე ძალიან მიჭირდა ამ სასახლეში შემოსვლა მას შემდეგ, რაც ფედერაციიდან გამომრიცხეს. მაგრამ მე ეხლა მინდა მივიდე საბჭოთა ხელისუფლებასთან. თქვენ ამაში ხელი უნდა შემიწყოთ. მე ვხედავ, რომ მსოფლიოში ორი ბანაკი იბრძვის მე მძულს ბურჟუაზია. მე თქვენთან ვარ. მინდა თქვენთან ვიმუშაო.

შალვა რადიანის კომენტარი: ჩვენ აქ მოვისმინეთ ზოგიერთების სიტყვები, რომელნიც გამოხატავდენ რეაქციონურ-მემარჯვენე აზრებს. ავიღოთ ნ.მიწიშვილი, რა ნაირადაც არ უნდა ვუცქიროთ ჩვენ მას არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, რომ მისი გამოსვლა იყო ანტისაბჭოთა. მან გარკვეულად გაილაშქრა პარტიის ხაზის

წინააღმდეგ არა მარტო ლიტერატურაში, არამედ პოლიტიკაშიც. მის სიტყვას უშუალო კავშირი არ ჰქონდა ჩვენ საწარმოო თათბირთან, ის უფრო ზოგადი დეკლარაცია, ზოგადი სამოქმედო პროგრამა იყო, რომელიც შეიცავდა მძიმე ბრალდებებს უპირველეს ყოვლისა პარტიის მიმართ. ასეთი სიტყვა არ შეიძლება წარმოეთქვა იმ მწერალს, რომელიც პროლეტარულ რევოლუციასთან არის. ეს სიტყვა უფრო მოწინააღმდეგე კლასის ჩამოყალიბებული, გარკვეული და მტკიცე იერიშებია. მან დაიწყო იქიდან, რომ დღეს ყველა ლაპარაკობს მწერლობაზე. ის აღელვებულია, რომ მწერლობა აღარ არის მარტო „რჩეულების" საქმე, რომ ის გადაიქცა მასიურ მოძრაობად, რომ მის განვითარებაში მონაწილეობას იღებენ მუშები და კოლმეურნეები. მან ცილი დასწამა უკრაინის კომპარტიას, თითქოს ის ნაციონალისტური უკრაინისათვის იბრძოდეს და შემდეგ განაცხადა, რომ ჩვენში კი გამეფებულია „ფულის ენაო", ე.ი. რუსული, თითქოს ტფილისში მიდიოდეს რუსიფიკაცია. ასეთი მოსაზრებების წარმოთქმა შეუძლია მხოლოდ კლასიურ მტერს. მიწიშვილი აღნიშნავდა, რომ ბ.ბუაჩიძე და პ.ქიქოძე სცდებოდნენ და ეხლა ჩვენ არ ვიცით ვის მივყავთ, ვის დაუჯეროთო. უნდა მოვახსენოთ მიწიშვილს, რომ მართალია ბუაჩიძეს და ქიქოძეს ქონდა ცალკეული შეცდომები, მაგრამ ძირითადში ისინი პარტიის ლიტერატურულ პოლიტიკის გამტარებელნი იყვნენ. მაგრამ მიწიშვილისათვის ბუაჩიძე და ქიქოძე საფარია, მათი კრიტიკით მან გაილაშქრა პარტიის ლიტერატურულ-პოლიტიკური ხაზის წინააღმდეგ.

მიწიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში პროლეტარული მწერლობა ძლიერ სუსტია და ის ვერ იქნება წამყვანი. ჩვენ არ ვამბობთ, რომ მივაღწიეთ ჰეგემონიას, მაგრამ აღვნიშნავთ ჩვენს დიდ მიღწევებს და ზრდას, რაც სრულ ულფებას გვაძლევს იმისას, რომ სულ მოკლე ხანში მოვიპოვებთ შემოქმედებით ჰეგემონიას.

მიწიშვილმა გაილაშქრა თანამგზავრ და მოკავშირე მწერლების წინააღმდეგ. ეს მისი შეხედულება უთუოდ შემცდარია, მას მხედველობაში ჰყავს, ალბათ გ.ტაბიძე, სიმ.ჩიქოვანი, რ.გვეტაძე და სხვ. მაგრამ ვინ იტყვის, რომ სიმ. ჩიქოვანი, რომელიც იზრდება და გვაძლევს მნიშვნელოვან პროდუქციას, იყოს სუსტი პოეტი, ისევეა რ.გვეტაძე, რაც შეეხება გ.ტაბიძეს, უდაოა, რომ მან უკანასკნელ ხანებში მოგვცა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოები (თუმცა მხატვრული ჩავარდნებიც აქვს მას).

საერთოდ მიწიშვილმა განავითარა ისეთი აზრები, რომელიც შეეძლო ეთქვა მხოლოდ ჩვენს მოწინააღმდეგეებს.

შემდეგ ამხ. რადიანი შეეხო მიხ. ჯავახიშვილის გამოსვლას და აღნიშნა, რომ ამ გამოსვლაშიც ის ატარებდა გარკვეულ რეაქციონურ აზრებს. მისი სიტყვა ჩემი მოხსენების ირგვლივ ("თანამგზავრობის და მოკავშირეობის" შესახებ) გაშლილი რეაქციონური პროგრამა იყო. ამ სიტყვაში ჯავახიშვილი ლაპარაკობდა: „მე დატვირთული ვარ ძველი კულტურით, რომელიც ხუნდებივით მადევს და მისი დამსხვრევა არც იმდენად ადვილი საქმეა და, შესაძლებელია არც იმდენათ სასარგებლო საქმე იყოს ჩემთვის იმიტომ, რომ შესაძლებელია ერთი ახირებული კაცის ამბავი დამემართოს, რომელმაც თავისი ძველი ტანისამოსი ბუხარში შეაგდო და ახალიც ვერ იშოვა."

ამგვარად ნათელია, რომ ჯავახიშვილი ძველ ქვეყანასთან რჩება. ამასთანავე ჯავახიშვილმა გაილაშქრა მწერლობაში შემოქმედებითი მეთოდის ძიების წინააღმდეგ. ამით კი იგი ცდილობდა მოვლით გაემართლებია თავისი რეაქციონური ნაწერები.

კ.გამსახურდიას გამოსვლის შესახებ ამხ. შ.რადიანი ამბობს, რომ ამ სიტყვებშიც მან ბევრი რეაქციონური დებულებები წამოაყენა. ის ამ მოსაზრებით ვერ მოვა ჩვენთან. ის გვეუბნება ერთ ბიჯს მე გადმოვდგამ, მეორე თქვენ გადმოდგითო. ეს ჩვენთვის მისაღები არაა. პროლეტარიატი არავითარ იდეურ კომპრომისებზე არ დათანხმდება, არ წავა.

ამხ. სანდრო ეული ეხება კ.გამსახურდიას, მ.ჯავახიშვილის და ნიკოლოზ მიწიშვილის გამოსვლებს. აღნიშნავს, რომ კ.გამსახურდიას არაფერი ახალი არ უთქვამს, გარდა იმისა, რომ მან წამოაყენა ახალი თავისებური საკითხი „ხელისუფლების მიერ მასთან ზავის ჩამოგდების შესახებ". ჩვენ კი ვეტყოდით კ.გამსახურდიას, ამის შესახებ ცდება, თუ მას ჰგონია, რომ ჩვენი ხელისუფლება რაიმე დათმობაზე წავა მასთან. რაც შეეხება იმას, რომ მას მიეცეს საშუალება ლიტერატურული მუშაობისა, ასეთი საშუალება მას ჰქონდა და აქვს.

მიხ. ჯავახიშვილის შესახებ უნდა შევნიშნო ზოგიერთ ამხანაგებს შემდეგი: მ.ჯავახიშვილის მემარჯვენე მწერლად გამოცხადება შეცდომაა, მ.ჯავახიშვილი უსათუოდ მემარჯვენეზე მემარჯვენე მწერალია, რომელიც არ ემსახურება სოციალისტურ მშენებლობას თავისი შემოქმედებით, ის არ არის თანამედროვე მწერალი.

ნიკო მიწიშვილი მუდამ ორჭოფობს ლიტერატურულ-პოლიტიკურ საკითხებში , რის დასამტკიცებლად მას მოჰყავს მთელი რიგი

ადგილები მისი წერილიდან „ფიქრები საქართველოზე". მას მიაჩნია მიწიშვილის გამოსვლა და მისი შეხედულება ქართული ენისა და პროლეტარულ მწერლობის როლის შესახებ რეაქციონურ გამოსვლათ.

●

1932 წლის 24 აპრილის „სალიტერატურო გაზეთიდან" მოტანილი ეს ამონაწერები, ვფიქრობ, ნათელ წარმოდგენას ქმნის ილიას თავგამოდებული დაცვა კი არა, საკუთარი სიცოცხლე აქვს დასაცავი ნამდვილ მწერალს. რა ხერხს არ მიმართავენ, (თუმც მათი სიტყვების შინაარს კომენტარების წყალობით ვგებულობთ) რომ ამ მგლებს თავის არ შეაჭმევინონ, მაგრამ რა... 5 წელიწადში ამ სამიდან ორი- ჯავახიშვილი და მიწიშვილი დახვრიტეს. ბევრი პროლეტკულტელიც ზედ მიაყოლეს... იმ 1937-ში ხდება ერთი გასაოცარი რამ:

ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, 17 წლის მანძილზე, ილიას სახელის აკრძალვის მცდელობები, მახარაძისა და მისი პროლეტკულტელების სრული ფიასკოთი დამთავრდა. თუ ადრე ილიას დადებით კონტექსტში ხსენება საბჭოთა ხელისუფლების მტრობას ნიშნავდა, სადღაც, ვიღაცის მიერ ისეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ ახლა უკვე ილიას აუგად მოსხენიება ნიშნავდა საბჭოთა ხელისუფლების მტრობას. სად და ვინ მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას ნაწილობრივ 1934 წელს და საბოლოოდ 1937 წელს, დიდი კვლევა არ სჭირდება. ეს გენერალურმა მდივანმა სტალინმა გააკეთა. პროლეტკულტელები, ვინც 1937 წელს რეპრესიებს გადარჩენოდნენ და თბილისში მჯდომი ჰეროსტრატე, ალბათ პირდაბჩენილნი კითხულობდნენ ამ განცხადებას:

ილია ჭავჭავაძე

გარდაცვალების დღიდან 30 წლისათვის გამო

ოცდაათი წლის წინათ 1907 წლის 12 სექტემბერს ტრაღიკულად დასრულდა საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მწერლის, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლის ილია ჭავჭავაძის ცხოვრება. საქართველოს ნაციონალურ – გამანთავისუფლებელი მოძრაობის უთვალსაჩინოესი მოღვაწე, ბატონყმობის და თვითმ-

პყრობელობის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი მზაკვრულად მოჰკლა დაქირავებულ ბანდიტთა ხროვამ.

ილია ჭავჭავაძე ეკუთვნოდა საუკეთესო წარმომადგენლებს მოწინავე ქართული ინტელიგენციისას, რომელიც გასული საუკუნის სამოციან წლებში გაერთიანდა ბრძოლისათვის რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა ქართველი ხალხის დამონებას.

მაშინდელ საქართველოში მძვინვარებდა ბატონყმობა, ერთი მხრით მეფის კოლონიზატორების სატრაპთაგან. მეორე მხრივ „მშობლიურ" არისტოკრატიისაგან ილაჯგაწყვეტილი ხალხი გმინავდა. ემყარებოდა რა რეაქციულ ქართველ თავად-აზნაურობას, ცარიზმი ანმტკიცებდა თავის ბატონობას კავკასიაში, დაუნდობელად ახშობდა რა გლეხობის სტიქიურ აჯანყებებს.

ამ ატმოსფეროში წარმოიშვა ჭავჭავაძის ოცნება თავისი მრავალტანჯული სამშობლოს ნაციონალურ აღორძინებაზე. ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, როცა მან ზურგი შეაქცია თავისი წრის შეხედულებებს და ტრადიციებს, გადასწყვიტა რა მიეძღვნა თავისი სიცოცხლე ბრძოლისათვის სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ხალხის ბედნიერების მოსაპოვებლად, რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ბელადების – ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, გერცენის ზეგავლენით, რომელთა იდეებს ჭავჭავაძე გაეცნო პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნის დროს, განმტკიცდა მისი სიძულვილი ექსპლოატატორული წყობილებისადმი, ჩამოყალიბდა მისი შეხედულებები მწერლობასა და ხელოვნებაზე.

1861 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჭავჭავაძე სათავეში ჩაუდგა ახალ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მიმართულებას, რომელმაც თავის დროშას დააწერა ნაციონალური განთავისუფლების იდეები.

ჭავჭავაძე იყო არა მარტო პოეტი. შემოიკრიბა რა თავის გარშემო მაშინდელი საქართველოს ყველა ახალგაზრდა, ყველა პატიოსანი და მოწინავე ძალები, იგი იყო შესანიშნავი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ისტორიკოსი, მეცნიერი, რომელსაც მცირე როლი არ უთამაშია ქართული კულტურის გავითარებაში.

როგორც ბელეტრისტი და პოეტი, ილია ჭავჭავაძე ეკუთვნის იმ კლასიკოს მწერალთა რიცხვს, რომლებითაც ამაყობს ქართველი ხალხი. ჭავჭავაძის ლირიკასა, პოემებსა და მოთხრობებში უმკვეთრესი მხატვრული განსახიერება ჰპოვეს ბატონყმობის

ბორკილებისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებმა.

ჯერ კიდევ თავის ადრინდელ პოემაში „აჩრდილი" ჭავჭავაძემ ხმა აღიმაღლა ჩაგრული გლეხობის დასაცავად. აღსანიშნავია ის, რომ საბჭოთა საქართველოს თხუთმეტი წლის თავზე სტალინისადმი გაგზავნილ მიმართვაში ქართველი მშრომელნი ახასიათებდნენ თავისი ქვეყნის შავბნელ წარსულს ამ პოემის სტრიქონებით. პოემა „კაკო ყაჩაღში", რომელიც უმღერს ნაციონალურ გმირს არსენას. მოთხრობებში „გლახის ნაამბობსა" და „კაცია ადამიანში" ჭავჭავაძე თავის ნიჭის მთელი სიძლიერით სამარცხვინო ბოძზე აკრავს ბატონყმურ ჩაგვრის და მემამულეთა წოდების პარაზიტიზმს. 1871 წელს, როცა პოეტის ყურამდე მიაღწია ცნობამ პარიზის კომუნის განადგურების შესახებ, იგი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მას ლექსით, რომელშიც პოეტმა უმღერა ფრანგი კომუნარების გმირულ ბრძოლას.

მწერლობაში ახალი თემების და სახეების შეტანით, პოლიტიკური ლირიკის საუცხოვო ნიმუშების შექმნით ჭავჭავაძემ საფუძველი დაუდვა რეალისტურ მიმართულებას ახალ ქართულ ლიტერატურაში. დახვეწილ ლირიკოსს ჭავჭავაძეს ქონდა უნარი შეეთავსებინა თავისი ნაწარმოებთა უაღრესად ინტიმური მოტივები პოეტ – მოქალაქის პათოსთან. პატარა ლირიკული ლექსი „გაზაფხული" წარმოადგენს ამგვარი ლექსის ნიმუშს:

„ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.
აყვავებულია მდელო
აყვავებულან მთები,
მამულო საყვარელო
შენ როს-ღა აყვავდები?".

მხურვალე სიყვარული მშობლიური ხალხისადმი ყოველთვის წარმოადგენდა ჭავჭავაძის პოეტურ შთაგონებათა წყაროს. მას მტკიცედ სწამდა, რომ დადგება დღე, როცა მისი სამშობლო გადააგდებს მჩაგვრელთა უღელს, გაშლის თავის დიდ ძალას და აყვავდება. ცნობილ ლექსში „ბაზალეთის ტბა" პოეტმა გამოსთქვა თავისი ხალხის მისწრაფება მომავალ თავისუფლებისადმი. საქართველოსადმი მიმართულ ლექსში „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ

მოგიწყენია" და „ქართველ სტუდენტთა სიმღერაში" მოისმის იგივე შეუდრეკელი იმედი ნათელი მომავლისა, რომელსაც ბრძოლით მოიპოვებენ ქართველი ხალხის ფოლადი შვილები.

ჭავჭავაძის ოცნება ახდა. მისი საყვარელი სამშობლო, რომელსაც მან მიუძღვნა თავისი სიცოცხლე, თავისი სიმღერები, აყვავდა, თავისუფალი ქვეყანა გახდა.

ახალ საბჭოთა საქართველოს უყვარს თავისი დიდი მგოსანი. იგი იცნობს მას. ჭავჭავაძე უყვართ და მას იცნობს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი.

„პრავდა" 12/IX-37წ.

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია, მაგრამ მაინც ორიოდე სიტყვით – ილიას მთავარი მკვლელი, ახლა ყველაზე დიდ ბელადად ქცეული, დარწმუნდა, რომ ისტორია მას ილიას მხრებზე მდგომს უფრო დიდ ადამიანად მიიჩნევდა, ვიდრე მის მკვლელად თუ არა, მოწინააღმდეგედ მონათლულს. ამიტომ „პრავდის" ამ განცხადებით ძველი ბოლშევიკებიცა და ახალნიც, ყველანი სახტად და პირშიჩალაგამოვლებულნი დატოვა. პირიქით, აქეთ დაამუნათა, თქვე უტვინოებო, ილიას „ნამდვილი" მკვლელი როგორ ვერ მოგიძებნიათო. თქვენ უმწიკველო სახელი და დიდება შეირგეთ, თუ მოკვდებით, მთაწმინდაზე ილიას გვერდით საფლავსაც გაგიჭრით, მკვლელები კი ნიკოლოზის მთავრობაში ვეძებოთო.

ასე დაიწყო ილიას ცხოვრების, შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის სრული ფალსიფიკაცია.

თავი V

ვინ იყო ილიას მკვლელობის შემკვეთი, ორგანიზატორი და რისთვის?

მოჰკლა თუ არა ჟანდარმერიამ ილია?

საბჭოური სასამართლო

ილიას მოურავი მოსე მეუღლესთან

დიმიტრი ჯაში

მკვლელობიდან 30 წლის შემდეგ, ხოლო ილიას დაბადებიდან საიუბილეო, მე-100 წლისთავზე, მისი სახელი იმავ პარტიამ აღადგინა და მთელს საბჭოეთში გადაუხადა იუბილე, რომელმა პარტიამაც იგი ჯერ ფიზიკურად მოჰკლა და შემდეგ 30 წლის მანძილზე მიცვალებულსაც დაუნდობლად ებრძოდა. რა მოხდა?

გვთავაზობენ სხვადასხვა ვერსიებს:

1) ყველაზე გულუბრყვილო ვერსია გახლავთ ის, რომ კარგმა, სამართლიანმა სტალინმა, ცუდი ფილიპესა და სერგოს საწინააღმდეგოდ, როცა ამისთვის მოიცალა, ილიას სათანადო პატივიც მიაგო.

ამ ვერსიით გამოდის, რომ სტალინი 16 ან მინიმუმ 13 წელიწადი, მწერალთა საკავშირო პირველ ყრილობამდე, ჭურში მჯდარა და წარმოდგენა არ ჰქონია რა ხდებოდა საქართველოში ილიას სახელის გარშემო. ამ ვერსიაზე სერიოზული სჯა არ ღირს.

2) ითქვა ასეთი აზრიც, რომ გებელსი საბჭოთა კავშირის აღების შემდეგ იმუქრებოდა ილიას მკვლელთა გასამართლებით.

ეს მართალიც რომ იყოს(გერმანელებს ქართული იმიგრაციისაგან შესაძლოა სცოდნოდათ 1907 წლის 30 აგვისტოს მომხდარი სინამდვილე), არანაირი კავშირი ილიას სახელის აღდგენასთან და ბერბიჭაშვილის პროცესთან არ აქვს, რადგან ილიას იუბილეს აღნიშვნა მთელი საბჭოეთის დონეზე 1937 წელს მოხდა. ამ დროისათვის გებელსის რაიმე მუქარაზე საუბარი ასევე გულუბყვილობაა.

3) შესაძლოა ილიას ფენომენზე და საკუთარი როლის უცოდველად დატოვების განზრახვაზე სტალინმა იფიქრა უცხოეთში 1931 წელს იოსებ ირემაშვილის წიგნის გამოსვლის შემდეგ, რომელშიც ბავშვობის მეგობარი ირემაშვილი სტალინს ირიბად ილიას მკვლელობაში ადანაშაულებდა.

4) უფრო სარწმუნო კი არის ის ცნობები, რაც ამ წიგნის ავტორს სტუდენტობის დროს მოუსმენია ხანდაზმული ლექტორებისაგან, მაგ. ს. ხუციშვილისაგან. კერძოდ, ის და, შემდგომი თაობის ლექტორებიც (ლადო მინაშვილი, იუზა ევგენიძე); ხაზს უსვამდნენ, ხოლო იმ ამბების უშუალო მონაწილე ირაკლი აბაშიძემ დაწერა კიდეც, რომ 30-იან წლებში საზღვარგარეთ იწერებოდა სტალინის

მიმართ დამამცირებელი წერილები. დედამიწის ერთ მეექვსედს მართავსო მეწაღის შვილი, უკულტურო და უწარსული ერის წარმომადგენელი და ა.შ. მწერალთა ყრილობისათვის წინასწარ გაეცნო რა სტალინი მალაქია ტოროშელიძის მოხსენებას, რომლითაც ბოლშევიკების წესისამებრ ქართული მწერლობის ისტორია ნინოშვილით იწყებოდა, ეს მოხსენება დაიწუნა.

ამის შემდეგ სტალინი იბარებს ქართველ სწავლულებს და ავალებს საკავშირო მწერალთა პირველი ყრილობისთვის დაწერონ მოხსენება, რომელშიც ქართული მწერლობის ათვლა ეგნატე ნინოშვილიდან კი აღარ დაიწყება, არამედ სათანადო პატივი მიეგება ქართველ კლასიკოსებს (ახალი მოხსენების დაწერაში მონაწილეობა მიაღებინეს უკვე თვით პავლე ინგოროყვასაც).

ალბათ იყო ფსიქოლოგიური მომენტიც. თუ ვინმეს აშინებდა ილიას აჩრდილი და ჰეროსტრატეს როლი ისტორიაში, ფილიპეზე მეტად ეს სტალინი იქნებოდა. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ გიამბობთ.

ილიას სახელის აღდგენა კი გადაწყდა, მაგრამ პარალელურად უნდა ეზრუნათ მკვლელობის ახალი ვერსიის შეთხზვაზე.

რა გამოდის? ბოლშევიკები მთელი საბჭოეთის მასშტაბით იუბილეს უხდიან ილიას, იმავდროულად, ამ იუბილემდე, საქართველოში ილიას მკვლელებად მიჩნეულნი არიან მხოლოდ ბოლშევიკები.

ვიმეორებ, 1907 წლიდან 1937 წლამდე, არც ოფიციალურ მიმოწერაში, არც 1908-1909 წელს გამართულ სასამართლო მასალებში, არც პრესაში, საუკუნის ამ მკვლელობაში, ბოლშევიკების გარდა არასოდეს, არავინ, არც ერთი პარტია, არც მეფის მთავრობა ეჭვმიტანილი არ ყოფილა. მხედველობაში არ მაქვს თვით სოციალ-დემოკრატთა მიერ ჩატარებული „საშინაო" ძიებები და 1921 წლის შემდეგ დაფიქსირებული მათი მოსაზრებები.

კი, თავიდან იყო 2 დღიანი ჭორები. მაგალითად, ლაბაურის ნათქვამის გამო, მკვლელები სომხებს ჰგავდნენო. თუმცა, ამ ჭორმა მხოლოდ რამდენიმე დღე იარსება. ნოე ჟორდანიამ ფედერალისტებს დააბრალა, დასელთა სახელის გასატეხად მკვლელობა სწორედ ნაციონალისტებმა ჩაიდინესო, მაგრამ ეს ჭორიც უდღეური აღმოჩნდა.

ქართველ ხალხს მთელი 30 წლის განმავლობაში სჯეროდა, რომ ეს ბოროტება ბოლშევიკების ჩადენილი იყო. არგუმენტებზე ზემოთ უკვე მოგახსენებდით. შეგახსენებთ, რომ პატიმრებმა ხელი კომიტეტს დაადეს, როგორც ილიას მკვლელობის ბრძანების გამცემს.

ამიტომ, ვინც ილიას 100 წლისთავის იუბილე მოიფიქრა, პირველ რიგში იზრუნა იმაზეც, რომ მკვლელობა ვიღაც სხვას უნდა დაბრალებოდა და თან ოფიციალურ დონეზე. სხვაგვარად იუბილეს აღნიშვნა აზრს კარგავდა. აქედან გამომდინარე, მოხდა ის, რომ 1937 წელს აღინიშნება ილიას იუბილე და იმავდროულად იწერება პრესაში მასალები ილიას მკვლელობის შესახებ. ეს ვიღაც სხვა, ვინც ილია მოჰკლა „აღმოჩნდა" მეფის მთავრობა. ადრესატი საუკეთესო იყო მოძებნილი. აღარც მეფე გახლდათ ცოცხალი, აღარც მისი მთავრობა არსებობდა, არც გულშემატკივარი და დამცველი იმ მთავრობას აღარ აღმოაჩნდებოდა. ბოლოს და ბოლოს მეფის მთავრობა ხომ ილიას არ წყალობდა. სახელმწიფო საბჭოს წევრიც კი ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, ყველაფერი დანარჩენი კი ტექნიკის საქმე გახლდათ.

1937 წელს „ლიტერატურული საქართველოს" მე-20 ნომერში ილიას საიუბილეო მასალებთან ერთად დაბეჭდილია **პაატა გუგუშვილის წერილი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა". პირველად 50 წლის მანძილზე, სახელმწიფო შეკვეთით, წყაროებზე დაყრდნობით ამ წერილში ითქვა, რომ ილია მეფის „ოხრანკამ" მოკლა.** ეს აზრი, მართალია, უფრო ადრე შეიმუშავეს, მაგ. დაბეჭდეს 1925 წელსაც, მაგრამ მაშინ თავადვე უარყვეს ბოლშევიკებმა, რის მიზეზზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

გასაგებია, რომ გუგუშვილმა მიიღო დავალება, მაგრამ ეტყობა იმდენად ჩქარობდნენ, რომ 1937 წ. დაბეჭდილ გუგუშვილის წერილში, იმის გარდა, რაც სასამართლოს პუბლიკაციებიდან ჩვენთვის უკვე ისედაც ცნობილია, გუგუშვილს ახალი ცნობების მხრივ მხოლოდ სრული უაზრობები დაუმატებია. სამწუხარო ის არის, რომ ეს უაზრო ნაშრომი ნახევარი საუკუნე სამაგიდო წიგნად აქციეს და დღესაც რამდენიმე მეცნიერი, ვინც ილიას მკვლელობაზე იმუშავა, გუგუშვილის მთავარ სიყალბეს, ვითომდა ჟანდარმერიისაგან ილიას მოკვლას, კვლავაც ბაჯაღლო ჭეშმარიტებად ღებულობს.

მეცნიერთა მეორე ნაწილი კი ფიქრობს, ილია სოციალისტებმაც მოკლეს და ჟანდარმერიამაც, შეთანხმებითო (ამ მხრივ ყველაზე შრომატევადი კვლევა ჩაატარა გურამ ყორანაშვილმა).

ილიას მკვლელობა, რა თქმა უნდა, შეეძლო ჩაედინა მეფის მთავრობას იმავ ჟანდარმერიის ხელით, მაგრამ, ჩემი აზრით, ასე

არ ეთითება საქმე. ეს წყეული ჟანდარმერია, საბჭოური დავალებით გუგუშვილმა გაიტეხების ვაცად აქცია.

დიახ, გუგუშვილის ნაშრომი პარტიული ბოსების ან მათი აგენტურის დაკვეთით იწერებოდა. მეცნიერი შეიძლება ცდებოდეს, მაგრამ რა რჯის, როცა შეგნებულად ჩქმალავს ფაქტებს და როცა შეგნებულად თხზავს ტყუილებს, თუ მას ასეთი დაკვეთა არ აქვს? თან გაითვალისწინეთ, რომ ლაპარაკია 1937 წელზე, როცა იძულებით თითქმის ყველა ყველაფერზე ხელს აწერდა.

გუგუშვილს იმდენად სწრაფად აქვს დავალება შესასრულებელი, რომ ელემენტარული შეცდომებით ყიდის თავს და მისი დამკვეთიც იოლად იკვეთება.

1) ასე, მაგალითად, 1937 წელს დაბეჭდილ წერილში იმ იმედით, რომ შეპასუხებას ვერავინ გაუბედავს, სასამართლო ჩვენებებიდან მთლიანად ამოუღია ყველა დეტალი, სადაც სოციალ-დემოკრატების კომიტეტის დავალებაზე ლაპარაკობდნენ პატიმრები. როგორი საქმეა, სასამართლოზე მიცემულ ჩვენებებს აქვეყნებდე და პატიმრის ჩვენებიდან არ ბეჭდავდე მთავარს, ვის დავალებას ასრულებდა მკვლელი? შეიძლება ასეთი ისტორიკოსის ნდობა?

2) სამაგიეროდ მკვლელთა შორის მთლად ორგანიზატორად ილიას მოურავი ჯაში გამოუყვანია(ეს ჩანაფიქრი პარტკომისიას ადრეც ჰქონდა, მაგრამ, როგორც ვთქვით, თავადვე აიღეს ხელი). რატომ? მკვლელთაგან ყველა ან სოციალისტი იყო ან უბრალო გლეხი.

საჭირო იყო ჟანდარმერიის აგენტის მონაწილეობა მკვლელობაში. სხვა მკვლელთა პარტიულობის მიჩქმალვა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ილია ჟანდარმერიამ მოკლა. ასეთ აგენტად იმ დროს, როცა გუგუშვილი თავის ნაშრომს წერდა, ცნობილი იყო ჯაში, ახლა მისი მკვლელად გამოყვანა გახდა საჭირო და სოციალისტები სუფთაზე რჩებოდნენ. აგერ კაცი, ილიას მოურავად ნამსახური. ჟანდარმერიის აგენტად ნამყოფი. მრავალჯერ დაპატიმრებული, მათ შორის პირველად დაპატიმრებული 1907 წელს, სწორედ ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით. მშვენიერი მასალაა მკვლელობის დამაჯერებლად აღსაწერად.

გუგუშვილმა, როგორც ჩანს, ჯერ დავალება მიიღო, საგაზეთო წერილი გამოაქვეყნა, ჯაშის მკვლელად წარმოჩენის არგუმენტების ძებნა კი შემდეგ დაიწყო და ამ „არგუმენტებს" თავი მოუყარა 1938 წელს გამოცემულ წიგნში – „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა". თავიდან მას რომ წარმოდგენა არ ჰქონდა თემაზე, რაზეც წერდა, ჩანს მარტივად.

1937 წელს დაბეჭდილი წერილის მიხედვით გუგუშვილს ჰგონია, რომ დ. ჯაში, როცა ილიამ მოურავად აიყვანა, იყო „წვრილცოლშვილიანი ადამიანი". ტყუილია, ჯაში ამ დროს იყო 23 წლის, ჰყავდა მეუღლე და ერთი თოთო ბავშვი(რომელიც მალევე გარდაიცვალა). თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ ერთზე მეტყველებს, გუგუშვილი ჯერ გაცნობილი არ არის ჯაშის ბიოგრაფიასაც კი.

„მკვლელობის ხელმძღვანელები არიან ჯაში და ლავრენტი ასათიანი – წერს გუგუშვილი – ამათ ფშავლიშვილი და შერმადინი წინასწარ გაგზავნეს თბილისს, რათა გაეგოთ, თუ როდის დაბრუნდებოდა ილია, რომ გზაზე ჩასაფრებოდნენ". გუგუშვილი ჩქარობს დავალების შესრულებას. ამ ციტატიდანაც ჩანს, რომ სრულიად არ იცნობს ვითარებას, ამიტომ მისი შეთხზული და რეალობა ერთმანეთს არ ემთხვევა. მკითხველმა უკვე იცის, რომ ილია 27 ივლისს წავიდა საგურამოდან თბილისს და ჯაშს დაუბარა საღამოსვე დავბრუნდებიო. ვერ დაბრუნდა. 29-ში კი მსახური თარაშვილი ჩავიდა საგურამოს და მან უთხრა ჯაშს, ხვალ ნაშუადღევს ილია მობრძანდებაო. ასე რომ, ჯაშს არავის გაგზავნა არ სჭირდებოდა ქალაქში ილიას ჩამოსვლის დროის შესატყობად.

ჯაშს თანაც ფშავლიშვილი გაუგზავნია თბილისში. ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ეს ფშავლიშვილი ჯაშს თვალით არ ჰყავდა ნანახი არასოდეს.

გუგუშვილი წერს: „მკვლელობის დღეს დილით ჯაში საგურამოს გზაზე შეხვდა თბილისიდან წამოსულ 4 კაცს." გუგუშვილს წარმოდგენა არ აქვს, რომ მკვლელობის დღეს დილით ჯაში იმყოფება საგურამოში და წიწამურისკენ გაემართა ურიადნიკთან და 2 სტრაჟნიკთან ერთად. არც ერთი მათგანი 4 კაცთან შეხვედრაზე არაფერს ამბობს.

გუგუშვილი – „იმავე დილით თბილისიდან გამოვიდნენ პ. აფციაური (ფშავლიშვილი) და ს. შერმადინი". გუგუშვილს ბოლომდე არ აქვს წაკითხული სასამართლო ჩვენებებიც კი. ფშავლიშვილი იმ ღამეს წიწამურში იყო ხიზანიშვილთან.

„გაჩხრეკილ იქნა ჯაშისა და მისი ნათესავების ბინა, სადაც აღმოაჩინეს ილიას ტანისამოსი და სხვადასხვა საოჯახო ნივთები, რომელიც ილიას მოკვლის შემდეგ გაუტანია ჯაშის ცოლს დარიას".

ეს რომ ასეც იყოს, განა ჯაშის მკვლელობას ამტკიცებს?

ოჯახიდან გატანილი ნივთები, თუნდაც ილიას ტანისამოსი და მკვლელობის ადგილიდან წაღებული ნივთმტკიცებები განა ერთ-

ნაირი სამხილია? ორიდან ერთია, ან დარიამ მკვლელობის შემდეგ ოჯახიდან ხელს გააყოლა ნივთები ან მანამდე ოლღამ და ილიამ თავად აჩუქეს ესა თუ ის ნივთი თუ ტანსაცმელი ახალგაზრდა ცოლქმარს. დარია ჯაში კი წერს, რომ ოლღა დიდად გულუხვი იყო მის მიმართ. რა გასაკვირია, ილიას მოურავისთვის რაიმე ეჩუქებინა, თუნდაც ტანსაცმელი. ჩვენ ზუსტად ვიცით მკვლელობის ადგილიდან რა იქნა წაღებული. ჯაშის ოჯახში, ცხადია, მკვლელობის ადგილიდან წაღებული არაფერი უნახავთ.

„სულ მალე ჯაშის გათავისუფლების შემდეგ საქვეყნოდ ცნობილი შეიქმნა, რომ იგი, დ. ჯაში ოხრანკის აგენტი ყოფილა".

ესეც ტყუილია: „ოხრანკაში" თანამშრომლობდა 1909-1911 წლებში და ეს ცნობილი გახდა არა სულ მალე, არამედ მხოლოდ მენშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როცა მათ აგენტების სია გამოაქვეყნეს.

„ლოგიკური" მსჯელობის იშვიათი ნიმუშია გუგუშვილის ასეთი ბრალდებაც:

„ბრალდებულებს ხომ ერთი სიტყვაც არ ათქვმევინეს დ. ჯაშის შესახებ. ამიტომ ციხიდან განთავისუფლების მერე მათ ენას კლიტეს ვიღა დაადებდა? ხოლო ჯაშისთვის ნიღაბის ახდა კი იგივე იქნებოდა რაც „ოხრანკის", ჟანდარმერიას და მაშასადამე მთელი თვითმპყრობლობისათვის ნიღაბის ახდა". ამიტომო, ასკვნის გუგუშვილი, შეწყნარება მკვლელებს (არ შეუწყნარებიათ, განაჩენის აღსრულება შეაჩერეს) ჩამოხრჩობით შეუცვალესო. ხედავთ, რა მომხდარა? ილიას მკვლელები დაუსჯიათ ჯაშის გამო, რათა გარეთ გამოსულებს მათ არაფერი დასცდენოდათ. ციხეში კი მკვლელებს ჯაშზე არაფერი ათქმევინეს. კი მაგრამ, როცა სასამართლო დაიწყო, მკვლელთაგან 5 გარეთ იყო, მათ ვინ აუკრავდა პირს?

ესეც არ იყოს, თუ თვითმპყრობელობის ბედი ამ ერთ ჯაშზე ეკიდა, არ ერჩიათ სხვა მკვლელებთან ერთად ესეც ჩამოეხრჩოთ და მშვიდად ყოფილიყვნენ?

23 წლის უპოვარ ახალგაზრდას ასე რატომ უფრთხილდებოდნენ, ერთი აგენტის შემცვლელს ვეღარ იპოვიდნენ?

პატიმრები – ერთმანეთის ნათესავები, ერთმანეთის მეზობლები ერთურთს ამხელდნენ, ხოლო ამ უცხო კაცზე, ჯაშზე ხმას არ იღებდნენ? ჩამოხრჩობა რომ მიუსაჯეს, მერე რაღამ გააჩუმათ? მთელი 6 თვე განაჩენის აღსრულებამდე ამ ჯაშს რომ ხელი დააფარეს, არც ერთს არ გაახსენდა მათი დამღუპველი, მკვლელობის ორგანიზატორი?

აი, ის არგუმენტები, რომელიც გუგუშვილის წერილშია წარმოდგენილი და რომელთაგან თითოეული უბრალოდ სიცრუეს ეფუძნება. ჯაში უკვე 15 წლის გარდაცვლილი იყო, ხმას ის ვეღარ ამოიღებდა, იმ ამბების მომსწრენი კი იმას დაწერენ, რასაც გუგუშვილის „ასისტენტები", ანუ ბერიას დავალების შემსრულებელნი უკარნახებენ. ასე შეიქმნა მითი ილიას მეფის მთავრობისაგან მოკვლის შესახებ და აუცილებელი რგოლი რომ გამოენახათ, ასე დაბრალდა მკვლელობა, მერე და ვისი, დ. ჯაშს, რომელიც დღემდე მთელ საქართველოს სძულს, თუმცა, ჩემი აზრით, უსაფუძვლო ბრალდების გამო. ის უფრო საბჭოთა სუკის და მისგან დაქირავებული კალმოსნის მსხვერპლია, ვიდრე თავისი ავკაცობისა. ამ საქმეში მართალი ჩანს, თუმც მამაძაღლობა არ აკლდა. არც მთლად სანდო კაცი უნდა ყოფილიყო, თუ ვინმეს მისი მკვლელად მიგზავნა შეეძლო, ესენი სწორედ სოციალ-დემოკრატები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მათთან ჰქონდა ახლო კავშირი(მისი ძმა როგორც მესტამბე, ბოლშევიკებს ემსახურებოდა)... რაც ქვემოთ წარმოდგენილ შესავალ ნაწილში დაუფარავად არის გამჟღავნებული, მაგრამ მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, სჯობს მკითხველი თავად დარწმუნდეს, რისი ჩადენა შეეძლო მოურავს და რისი არა, მაგრამ ჯაშის მკვლელად გამოყვანით სასიცოცხლოდ იყო დაინტერესებული საბჭოთა იდეოლოგია.

იყო თუ არა ჯაში ილიას მკვლელობის ორგანიზატორი, ამაზე არის დამოკიდებული, ღებულობდა თუ არა „ოხრანკა" ილიას მკვლელობაში მონაწილეობას.

ღმერთმა მაპატიოს, თუ დამნაშავის ადვოკატობა გამომდის. ახლა, 100 წლის შემდეგ, დარწმუნებით ლაპარაკი, ასე იყო თუ ისე, ძნელია, მაგრამ მე წარმოვადგენ არგუმენტებს, დანარჩენი კი მკითხველმა განსაჯოს.

პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ ილიას მკვლევართაგან არც აკაკი ბაქრაძეს, არც გურამ შარაძეს, არც ალექსანდრე შუშანაშვილს, ხოლო 1937 წლამდე ილიაზე დაწერილი წიგნის არც ერთ ავტორს ჯაში მკვლელად არ გამოუცხადებია. ეს არ არის უმნიშვნელო ფაქტი. (სხვა საკითხია, რომ მითქმა-მოთქმა ადრეც იყო)

თუმცა ახლა უკვე არის საკმაო სამხილებიც. მართალია, გუგუშვილმა თავიდან იჩქარა და უაზრობები ჩაწერა თავის წერილში, მაგრამ ერთ წელიწადში თავი მოუყარა მასალებს, მოგონებებს. ამ მოგონებების მიხედვით, ჯაში ეჭვმიუტანლად მკვლელი გამოდის. მაგრამ ქვემოთ ვეცდები მკითხველს დავუხატო სრული სურათი,

როგორ შეიძლება შეთხზული ჭორებით სამუდამოდ მკვლელის სახელი აჰკიდო ადამიანს. შევეცდები ვაჩვენო, თუ რა ფასი აქვს იმ მოგონებებს, რასაც ჯაშის შესახებ გუგუშვილის შეკვეთით წერდნენ. სიმართლის გარკვევას ვიწყებ, თვით ჯაშის დაუსრულებელი მემუარების გამოქვეყნებით. ეს ჩანაწერები დაიბეჭდა 1908 წლის 25 სექტემბერს გაზეთ „სავაჭრო გზაში". ხაზს ვუსვამ 1908 წლი 25 სექტემბერს.

მოურავი ჯაში

ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი დღეები ჩემი შთაბეჭდილებანი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

რაღაც სასწაულთ-მოქმედებას უნდა მიეწეროს, რომ ამ ჩემს სტრიქონებს ბეჭდურ ფურცლებზე გამოსვლა ეღირსა!

მთელი წელიწადია თითქმის, სულ ჩემის თვალით მინახავს, რაც გარდამხდია, რის მოწამეცა ვარ და ვიყავი – აღმეწერა, დამებეჭდა და მით საშუალება მიმეცა ფართო საზოგადოებისათვის, რომ ახლო გასცნობოდა ჩვენის დიდებულის მგოსნის უკანასკნელ დღეების შინაურ ცხოვრებას, მისს ავსა და კარგსა, მისს დადებითს და უარყოფითს მხარეებსა, მაგრამ როგორ უნდა მოვქცეულიყავი? მე იმდენი შეძლება მომეპოვება, რომ ჩემს ხარჯზე მხოლოდ ამ ჩემის საკუთარის შთაბეჭდილების დასაწერად ქაღალდი მეყიდნა, ხოლო საზოგადოებისთვის, მის ფართო ნაწილისათვის რომ გადამეცა ბეჭდვითი სიტყვის შემწეობით, – ეს კი ჩემთვის შეუძლებელი გახდა, ვინაიდან საკუთარი გაზეთი ან ჟურნალი მე არა მქონდა, ხოლო სხვა გაზეთებში მოთავსება კი ყველა ამაებისა შეუძლებელი გახდა შემდეგის მიზეზების გამო: ჯერ ერთი, რომელ გაზეთისთვის უნდა მიმემართნა, რომ ერთ-ერთის რომელისამე მოწინააღმდეგე ბანაკის ხალხისთვის საწყენად არ დარჩენილიყო: თუ „ისარ"-"ამირანში" მოვათავსებდი, სოციალ-დემოკრატიული ორგანოები, იქნება, მისაყვედურებდნენ:

– „ისარ"-"ამირანთან" კავშირი როგორ დაიჭირეო!

და თუ სოციალ-დემოკრატიულ ორგანოებს მივმართავდი, მაშინ ეჭვს გარეშე, „ამირან" – ისრელები" მისაყვედურებდნენ:.

– ვერ უყურებთ, დიმიტრი ჯაშმა სოციალურ-დემოკრატების კალთის ქვეშ იპოვნა მფარველობის კედელი და იქიდან გვიზიარებს თავის „ტენდენციურ" შთაბეჭდილებასაო.

ყველაზე უფრო დასაჯერებელი კი ის არის, რომ არც ერთი ხსენებული ორგანოები არ დაგვითმობდნენ თავიანთ ფურცლებს ამ წერილებისათვის: იქნება მათი შინაარსი არც ერთ ხსენებულ ორგანოს გუნებისად არ ყოფილიყო დაწერილი და ზოგ-ზოგი ადგილები ამოეშალათ. მე კი ამას თავის დღეში ვერ დავთანხმდები: მე მინდა მკითხველს სავსებით უკლებლივ გადავსცე ის, რაც მე მინახავს ჩემის თვალითა, რაც მე გამომიცდია, გამომიკითხავს, გამომიძიებია, და შემდეგ ყველა ამაების შესაფერისად, საკუთარი დასკვნა გამომიყვანია.

წინდაწინვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩემს წერილებში იოტის ოდნავადაც არ იქნება გატარებული რაიმე ლარი და ხაზი, რომელიც ამა თუ იმ პარტიულ თვალსაზრისიდან მომდინარეობდეს; პირიქით, ჩვენ ვეცდებით მიუდგომლად, დამოუკიდებლად აღვნიშნოთ ყოველი წვრილმანი, რაც კი ჩვენს განკარგულებაშია. ავს დავარქვათ ავი, სიცრუესა და სიყალბეს – სიყალბე, ხოლო სიმართლეს, ჭეშმარიტებას კი – მისი ნამდვილი სახელი.

ამისთვის ნურავინ დაგვემდურება, და თუნდა დაგვემდუროს კიდევაც ვინმე, – ჩვენ რა გვენაღვლება: ჩვენ ოღონდ კი სინდისი წმინდა გვქონდეს, და დეე, პირი იმას დაეწვას, ვისაც ნიორი უჭამია!

ისეთს დიდსა და ჯერ კიდევ საკმაოდ ბნელით მოცულს საგანში, როგორიც არის დიდებულ მგოსნის ილიას საზარელი მოკვლა, ჩვენთვის არ არსებობს არც სოციალ-დემოკრატიული და არც სოციალ-ფედერალისტური, არც სოციალ-რევოლუციონური და არც ანარქისტული ბანაკი, – და ამ ბანაკების შესაფერად ვიწრო ჩარჩოებში ჩამოყალიბებული მსჯელობა.

პირიქით, ჩვენი ვალია გზადაგზა გაკვრით აღვნიშნოთ ნებსითი თუ უნებლიეთი შეცდომა, როგორც ერთისა, ისე მეორეშიც, – თუნდაც ეს შეცდომა თვით საკუთარი ჩვენი ჩანადენიც იყოს!

ჩვენ არა გვწამს ისეთი კერპები, ავტორიტეტები, ვინც უნდა იყვნენ ისინი, რომ მათი ნათქვამი რაგინდ კოჭლობდეს, „უცოდველ" და „შეუმცდარ" რომის პაპის ლიტონ ჭეშმარიტებად ვაღიაროთ! არა, ჩვენ მუდამ იმას ვიტყვით, თუნდა ამისთვის ჯვარზედაც გვაცვან, რომ საცა სიმართლეს შევნიშნავთ, რომელ ბანაკსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, თამამად ვთქვათ: „აი, ეს სრული სიმართ-

ლე და ჭეშმარიტებაა-თქო", და თუ სადმე სიცრუის ნაგლეჯს წავანყდებით, მაშინაც კიდევ იერიქონის საყვირით აღვიჭურვებით და საქვეყნოდ, ხმა-მაღლა, ყველას გასაგონად ვიტყვით: „ეს კი ყველაფერი მტკნარი სიცრუეა–თქო!"

აგერ წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც მგოსნის უმანკო სისხლი მანკიერებმა თავიანთ ჭუჭყიან ხელით დაპლვარეს, და დღემდე, რამდენადაც თვალ-ყურს ვადევნებთ ჩვენსს პრესსას, ისეთი არა დაბეჭდილა-რა ამ საგანზე, რომ შიგ ესა თუ ის პარტიული გესლი და შხამი არ იყოს ჩანთხეული.

და ეს კი ფრიად სამწუხაროა, სავალალო, სატირელი! როცა მხოლოდ სამწუხარო ფაქტი უნდა აღინიშნოს ამ თუ იმ გამოჩენილ ადამიანთა ავადმყოფობაზე, გარდაცვალებაზე ან ნაძალადევ სიკვდილზე, ჩემის მტკიცე რწმენით, ამ შემთხვევაში სრულიად ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ პოლიტიკურ სარჩულის ხსენებას, ყოველ შემთხვევაში – მანამდე მაინც, ვიდრე საქმე გამოირკვევოდეს; ჩვენში კი საქმე იქამდისაა მისული, რომ ჩქარა იმასაც ნახავთ, რომ ავადმყოფთან ექიმის მოწვევის დროსაც კი პოლიტიკურ ადლით ზომვას მოჰყვებიან! და ნუთუ ეს სავალალო და სავაგლახო არ არის? ნუთუ ამას ის არა სჯობიან, რომ სნეულს საჩქაროდ ექიმი მივგვაროთ და მოვარჩინოთ, იმისდა გამოუძიებლად, თუ ექიმი ან მისი პაციენტი რანაირის მიმართულებისანი არიან!?

დიდი მგოსანი ილია მოჰკლეს! ამ მკვლელობის პოლიტიკურ ნიადაგზე გადატანით ვერც ერთი ჩვენი ხსენებული რაინდები ვერ ამჩნევენ, რომ ამის გამო ატეხილ მეტად ჭუჭყიან კამათით დიდს შეურაცხყოფას აყენებენ დიდებულ მგოსანს, და ილიას კი იმდენი ღვაწლი მიუძღვის თავის სამშობლოს ხალხის წინაშე, რომ ჭუჭყიან და მგოსნის შეურაცხმყოფელ კამათით გაკაპასებულ რაინდებს საფლავიდან ამოსძახოს:

– „ბატონებო, მაკმარეთ! ნუ შეურაცხმყოფთ თქვენის დათვურის მეგობრობით!"

დიდი ხანია დრო იყო, რომ საზოგადოება გასცნობოდა საზარელ მკვლელობის სისწორ-სინამდვილით, მიუდგომლად აღწერას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამისი მსგავსი რამ ჩვენ არ გვინახავს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ დაიწერა როგორც გაზეთებში, ისე კანტი-კუნტად ბროშურებშიაც, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის როგორცა ვთქვით პირველობა დათმობილი ჰქონდა მხოლოდ პარტიულ სიმძულვარეს, პირადის ანგარიშების გასწორებას, ერთიმეორის ლანძღვა-გინებასა და მცირებას, – და ყველა ეს ხდებოდა

ნეტარხსენებულ მგოსნის გაციებულ ცხედრის გარშემო. ზოგმა ილიას სახელით საკუთარ თავის ამაღლებასა და ერთიორად დაფასებასაც კი მიჰყო ხელი ისე, რომ წარბიც არ შეუხრია.

გადაიკითხეთ, მაგალითად, ბ-ნის სილოვან ხუნდაძის წიგნაკი „მკვლელები და მცველები", რომელშიაც ის, ვითომც იცავს ილია ჭავჭავაძეს, და თქვენ დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეში.

გადაათვალიერეთ აგრეთვე ცნობილი „პატარა ყარამანიანები" ბ-ნ იროდიონ ევდოშვილისა ჯერ „კვალში", მერე „მოგზაურში" და სხვაგანაც. ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ სარკასტიულად დასცინოდა და მიწასთან ასწორებდა სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძეს ბ-ნ იროდიონ ევდოშვილი! მაგრამ ეს ხომ, შედარებით შორი ამბავია, და, სჯობს, ისევ უფრო ახალი ამბავი გავიხსენოთ:

შარშან, 1907 წელს, მეორე სახელმწიფო სათათბირო მოიწვიეს 20 თებერვალს. სწორედ ამ დღიდან ტფილისში გამოვიდა ახალი გაზეთი „ჩვენი ცხოვრება", რომელშიც თანამშრომლობდა ბ-ნი ევდოშვილი. ჩქარა ეს გაზეთი ადმინისტრაციის განკარგულებით დაიხურა, და მის მაგივრად მალე გამოვიდა გაზეთი „დრო".(როგორც პირველ, ისე მეორე გაზეთის გამომცემელი და რედაქტორი იყო სტალინი, ამ გაზეთებში წერდა „კო"-ს ფსევდონიმით, იგივე კობა. ნ.გ.) აი სწორედ ამ გაზეთ „დროს" ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ბ-ნ ევდოშვილის ფელეტონი-პამფლეტი, სადაც გამოყვანილი იყვნენ: პრემიერ-მინისტრი პ.ა. სტოლიპინი, ფინანსთა მინისტრი ვ.ნ. კოკოვცევი, ილია ჭავჭავაძე და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, უკვე კარგა ხნით ადრე მკვდარი კ.პ. პობედონოსცევი. (პობედონოსცევი მოკვდა 1907 წლის მარტში, ნ.გ.) ავტორი თავშეუკავებლად დასცინის ყველა მათ და სტოლიპინ-კოკოვცევ-პობედონოსცევის თანამოძმედ და თანამოაზრედ გამოჰყავს..., ილია ჭავჭავაძე! ავტორი ამ პამფლეტისა, ბ-ნი ირ. ევდოშვილი, სხვათა შორის, სწერს (მომყავს ზეპირად, როგორც მახსოვს):

„ილია ჭავჭავაძე. აქ, ჩემო ძმებო და მეგობრებო,
არ იშოვება სადმე არტალა?" და სხვა.

და როდესაც თავზარდამცემი მკვლელობა მოხდა, მაშინ ყველაზე უფრო მგლოვიარობა და ჭირისუფლობა გამოიჩინა სწორედ იმ იროდიონ ევდოშვილმა, რომელმაც მგოსანი სიცოცხლეში ათასჯერ ცილისწამებისა და შეურაცხყოფის ჯვარზე გააკრა!

ალბათ, ბ-ნი ი. ევდოშვილს დავიწყებია, რომ „კალმით დაწერილს ცულით ვერ ამოსჭრი!"

ეხლა ორიოდე სიტყვა „მოგზაურის" ეხტიბარ გატეხილ კორესპონდენციებზე, რომელიც საგურამოდან იყო გამოგზავნილი (1905წ.) და რომელზედაც ხელს აწერდა ვიღაც ვაუბატონი ვ.ნ. ამ კორესპონდენციებზე დაემყარა ბ-ნი ფილიპე მახარაძე და იმავე „მოგზაურში" ჯვაროსნული ომი გამოუცხადა ილია ჭავჭავაძეს, რომელზედაც რაინდმა პუბლიცისტმა გაჰბედა და საქვეყნოდ დასწერა: ილია ჭავჭავაძე მთავრობის ოფიციალური ჯაშუშიაო!

მართალი იყო ყველა ეს? სინამდვილეს იწერებოდა ვითომდა საგურამოელი კორესპონდენტი? მართალს ამბობდა ბ-ნი ფილიპე მახარაძე? სანახევროდ და სამეათედოდ მაინც მართალი იყო კორესპონდენციებში მოთხრობილი „ფაქტები"? – ყველა ამას ჩვენ ქვევით გავარჩევთ სათითაოდ და მუხლ-მუხლად აღვნიშნავთ ყოველივეს, მხოლოდ აქ კი არავის არ მოვერიდებით და საქვეყნოდ ვიტყვით, რომ „მოგზაურის" კორესპონდენტისაგან აღნიშნული 'ფაქტები" – უსირცხვილო ცილისწამება იყო და სხვა არაფერი. და რომ ეს ასეა, ამას ქვევით დაწვრილებით დაინახავს პატივცემული მკითხველი.

საგურამოში წასვლამდე

შარშან ზაფხულში, ივნისის პირველ რიცხვებში, როდესაც მეორე სახელმწიფო სათათბირო ახლად გარეკილი იყო და სახელმწიფო საბჭოს მოქმედებაც უმაღლესის ბრძანებით, პირველ ნოემბრამდე, მესამე სათათბიროს მოწვევამდე, უნდა შეჩერებულიყო, ჩვეულებრივ შევიარე განსვენებულ მგოსნის დასთან პატივცემულ ქ-ნ ელისაბედ გრიგოლის ასულ საგინაშვილთან, რომელთანაც ბავშვობიდანვე ნაცნობობა მქონდა და რომლის თვალწინაც თითქმის ბალღი გამოვიზარდე. შესვლისთანავე ქ-ნ ელისაბედ გრიგოლის ასულმა, ჩვეულებრივ მისალმების შემდეგ, მკითხა:

+ ეჰ, ეს რა ამბავი მოხდა? დუმაა, რაღაც ჯანაბა, კიდევ გაურეკიათო, ჰო? მართალია?

მართალი გახლავთ, ოფიციალური დეპეშაა მეთქი, – ვუპასუხე, და მერე ვკითხე, – ალბად ილიაც უთუოდ ჩქარა დაბრუნდებამეთქი.

– ილიასაგან გუშინ-წინ დეპეშა მომივიდა, მატყობინებს: შეიძლება მე და კნეინა აქედან პირდაპირ საზღვარგარეულ წავიდეთ საექიმოდაო.

ამის შემდეგ არ გაუვლია სამ-ოთხ დღეს, რომ გაზეთებში წავიკითხე ახალი ამბავი: საგურამოში ავაზაკებს მოეკლათ ილიას მამულების მოურავი მოსე მემარნიშვილი თავის ცოლიანად შიგ სასახლეში და თვითონ სასახლეც გაეძარცვათ. მაშინვე დაუყოვნებლივ ნაველ ელისაბედ გრიგოლის ასულთან დაწვრილებით ამბების გასაგებად, მაგრამ არც მგოსნის დასა სცოდნოდა იმაზე მეტი, რაც გაზეთებში ეწერა. ახალი ის გავიგე მხოლოდ, რომ ქ-ნ ელისაბედს პეტერბურგში ილიასთვის დეპეშა გაეგზავნა და მკვლელობის ამბავი ეცნობებინა, და ილიასაც დეპეშითვე ეპასუხნა – მოვდივართო.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ პეტერბურგიდან დაბრუნდნენ ილია, კნეინა ოლღა და ილიას სიყრმის ამხანაგი, წელს მოსკოვში გარდაცვალებული განსვენებული მიხეილ ფილიპეს ძე ჩიკვაიძე, რომელსაც იმ წინაზე ენის ძირში კიბო გაუჩნდა და პეტერბურგს გაემგზავრა საექიმოდ. ჩამოსვლის მეორე დღესვე ვინახულე განსვენებული მიხ. ჩიკვაიძე, რომელმაც მითხრა ქ-ნ ელისაბედთან ერთად:

– მე ილიას მოვაგონე შენს შესახებ, ველაპარაკე მამულების მართვა-გამგეობაზე და მე და ელისაბედ გრიგორიევნამ ვურჩიეთ, რომ უთუოდ შენ წაგიყვანოს მოურავად.

ვუთხარით, – თუ გახსოვს, შენთან რომ პატარა გურული ბიჭი ამოცუნცულდებოდა, „ივერიაზე" რომ მუშაობდა, დიმიტრი ჯაში, ახლა დავაჟკაცებულია, დაცოლშვილებული, და საგურამოში უეჭველად ის წაიყვანე-თქო მამულების მოურავად. ამაზე ილიამ ჯერ სიცილით გვითხრა: კაცო და, ანარქისტი კი არ გამომიგზავნოთო, და მერე სთქვა, ძალიან კარგი, მოვიფიქრებო. ილია წინამძღვრიშვილს უთქვამს ილიასთვის – ჩემს დაუკითხავად მოურავად არავინ წაიყვანოო, და ხვალ დილით წინამძღვაროვსაც მოელაპარაკება ამაზე. ილიას გაუკვირდა შენზე რომ გავახსენეთ, და სთქვა, – ნუთუ ის პატარა ბიჭი ასე იმოდენა ვაჟკაცი გახდა, რომ დაცოლშვილებულა კიდეცაო?

მართალი გითხრათ, იმჟამად ქონებრივად ძლიერ ცუდს მდგომარეობაში ვიყავი, რადგან უსაქმოდ დავეხეტებოდი და ოჯახი კი სარჩენი მყავდა. ქ-მა ელისაბედ გრიგოლის ასულმა და ბ-მა მიხ. ჩიკვაიძემ კარგად იცოდნენ ჩემი ასეთი ქონებრივი გაჭირვება და შეძლებისდაგვარად ყოველნაირად მეხმარებოდნენ, მანუგეშებდნენ, მამხნევებდნენ..

როდესაც საგურამოს მამულების მოურაობა მითხრეს ქ-მა ელისაბედმა და ჩიკვაიძემ ცოტათი დავფიქრიანდი, რადგან ეს

ფრიად რთული საქმე იყო და მე კი – სრულიად გამოუცდელი ამ საქმეში თუმცა გამოტეხილი უნდა გითხრათ, საკუთარის შრომის მოყვარეობისა და გარჯილობის იმედი კი დიდი მქონდა. ყოველ შემთხვევაში, რასაკვირველია, უარს როგორ ვეტყოდი, პირიქით გამიხარდა კიდეც, რომ ილიასთან, ილიას გვერდით, მისს მახლობლად მომელოდა ყოფნა! და განა მარტო ეს ჩემთვის ცოტა იყო!

გუშინდელ დღესავით მახსოვს, ჯერ 9-10 წლის ბიჭი ვიყავ და ჩოხატაურის პირველ დაწყებით სამონასტრო სკოლის სკამზე ვიჯექი, რომ პირველად აღმეძრა გულში ნატვრა: „ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, რომ ჩვენი პოეტები ჩემის თვალით არა ვნახო-მეთქი!"

ჩემი ნატვრა არამც თუ აღმისრულდა, პირიქით მოლოდინსაც გადააჭარბა: მე ვნატრობდი, რომ ჩემის თვალით მენახა ჩემი პოეტები, და ბედმა კი პირადად მათთან ზოგიერთთან გაცნობაც მარგუნა. ახლა ამას ზედ დაურთეთ ისიც, რომ ხვალ-ზეგ მომელის ილიასთან, ილიას გვერდით ყოფნა, მისი საუბრის და დარიგების მოსმენა!..

ჯერ კიდევ კარგად არა მქონდა აწონილ-დაწონილი და მოფიქრებული საგურამოში წასვლა, რომ მეორე დღესვე შემდგომ ბ-ნ ჩიკვაიძისა და ქ-ნ ელისაბედ საგინაშვილთან ლაპარაკისა, შუადღისას, ილიას ჩემთან სახლში გამოეგზავნა თავისი სუფრაჯი, ან მასთანავე ვერაგულად მოკლული, იაკობა ბიტარაშვილი, რომელმაც მოკლე ბარათი გადმომცა შემდეგის შინაარსისა:

„ბ-ნო დიმიტრი, ლიზამ და ბ-ნ მიხეილმა მირჩიეს უთუოდ შენ წაგიყვანო საგურამოში მოურავად. ამ საღამოსვე გამოდით ჩემთან, მიხეილთან შეიარეთ და ის წამოგყვებათ, უნდა მოვილაპარაკოთ პირობებზე. მამული უპატრონოდ არის მიგდებული, მალე უნდა წავიდე და თან წაგიყვანო. ილია."

თუმცა გულში კი მქონდა, მაგრამ თუ ასე ჩქარა გადაწყდებოდა, არ მეგონა. იმ საღამოსვე შევიარე მიხეილ ჩიკვაიძესთან და ელისაბედ გრიგოლის ასულთან; ქ-ნმა ელისაბედმა, გახარებულმა, მომილოცა და მითხრა: აბა, შენ იცი, თუ არ შემარცხვენ ჩემს ილიასთანო. მაშინვე განსვენებულ მიხეილს ილიას ბარათი ვაჩვენე, ისიც წამოდგა და გავსწიეთ ილიას სახლისკენ, ანდრეევის ქუჩაზე.

მგოსანი ძალიან კარგს გუნებაზე დაგვიხვდა და, მისალმების შემდეგ მითხრა:

– ბიჭოს, ეს თქვენა ხართ ი პატარა ბიჭი, ჩემს „ივერიაზე" რომ მუშაობდით. მაშინ მიწაზე არც კი სჩანდი და ეხლა რამოდენა გამხდარხართ! აგრე მგონია, თითქო გუშინ იყოო.

– ეხლა დაცოლშვილებული კაცია, ორი თვის ქალიცა ჰყავს! ჩაერია მიხეილი.

– ოჰოო, მერე ჯერ რა დროს თქვენი ცოლი იყო? განა ვერ მოესწრობოდით! – მითხრა ილიამ და შევუდექით „საქმეს".

– ჩემი არჩევანი თქვენზე დადგა. მართალია, ჯერ გამოუცდელი იქნებით მეურნეობის საქმეში, მაგრამ ამ ზაფხულს მეც თქვენთან ვიქნები, გამოგაჩვევთ, შეგასწავლით ყოველივეს, და მერე კი, თუ უნარს გამოიჩენთ, იქნებ, კაი აგრონომსაც აჯობოთ! იმედი მაქვს, რომ მოსესავით გლეხებთან საქმეს არ გაამწვავებთ. უნდა იცოდეთ, რომ მამულში მოურავი ყველაფერია. მე მთელის წლობით, თითქმის, იქ არა ვარ, და ყველაფერი თქვენ გებარებათ: ავად მოიქცევით, ცუდს სახელს დასტოვებთ იქაურობაში, – და უნდა იცოდეთ, კაცურ კაცისათვის სახელი ყველაფერია? კარგად მოიქცევით – გლეხებიც მადლიერნი გეყოლებათ, თქვენი თავიცა და მეც! გარდა ამისა, უნდა იცოდეთ, რომ პატარ-პატარა ქურდობა და ტაციაობა საშინლად გავრცელებულია, მაგრამ ამას ისე უნდა უყუროთ, თითქო ვერ ამჩნევთ, თორემ თუ გამოეკიდეთ კვალში, მხოლოდ ამას მოუნდებით და სხვას კი ვერაფერს გააკეთებთ! მაგრამ ამით იმას კი არ გეუბნებით, რომ ცხენებისა და კამეჩ-ძროხების ქურდობა თუ მოხდა, იმასაც ყურადღება არ მიაქციოთ!

მოვისმინე მგოსნის ტკბილი, მამაშვილური საუბარი და ბოლოს ვუთხარი:

– თქვენც იცით, გამოუცდელი ვარ ამ ახალ საქმისთვის, ასე ხელად გადაწყვეტა არ შემიძლიან, მე ოჯახში ამხანაგიცა მყავს, იმასაც უნდა მოველაპარაკო-მეთქი. მაგრამ ილიამ გადაწყვეტით მითხრა:

– არა, ახლავე უნდა გადავწყვიტოთ: ჰო თუ არა!

და ეს ისეთის გამომეტყველებითა სთქვა, რომ, ვინც უნდა ყოფილიყო, ისე მოაჯადოვებდა, რომ თუნდა სასიკვდილო განაჩენსაც კი დასთანხმდებოდა!

გადაწყდა! და მეორე დილით ილიასთან მეც საგურამოსკენ უნდა გავმგზავრებულიყავი.

როცა გამოვეთხოვე და შინ მივდიოდი, ილიამ მითხრა:

– კარგად ჩაიბეჭდეთ გუნებაში, რაც გითხარით. სხვაფრივ კი იმედი მაქვს, რომ კეთილ'სინდისიერად მოიქცევით, რაკი ჩემი დაი ლიზა და მიხეილ ფილიპჩი გიწევენ რეკომენდაციასო.

მეორე დღეს დილით საგურამოსკენ წასასვლელად მოვემზადე და ადრიანად ილიას სახლში გავჩნდი.

საგურამოში პირველად

ხუთშაბათი დღე იყო. ივნისის 18 თუ 19 რიცხვი, რომ დილითვე, მცხეთამდე მატარებლით გავსწიეთ საგურამოსკენ: ილიამ, მისმა სუფრაჯმა იაკობამ, ილიას დიდი ხნის შინაკაცმა მოხუცმა სტეფანემ (ტომით სომეხია, დღესაც ცოცხალია) და მე. მცხეთაში ილიას მიეგებნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და ახალი ამბავიც უამბეს: წინა ღამით წიწამურსა და საგურამოს შუა სტრაჟნიკებს გზად შეჰხვედრიათ ორი ავაზაკთაგანი. მცხეთელებისაგან გავიგეთ, რომ სოფლებ წიწამურსა და გურამიანთ კარს შუა, ტყეში, ავაზაკებს დაუბუდნიათ და სძარცვავენ ყველას, ვინც კი გზად შეეჩეხებათ, ასე გასინჯეთ, ქალაქისკენ მომავალ და იქიდან მიმავალ მენახშირე მეურმეებს ფარაჯებსაც კი ართმევენო.

ამ ამბებმა ცუდად იმოქმედა მგოსანზე და საგურამოს მიახლოვებამდე არც ერთხელ პირზე ღიმილი არ მოსვლია. როცა წიწამურის ბაღთან ეტლი გავაჩერეთ, მგოსანი გადმოხტა ჭიშკარში ჩავედით და მითხრა: აი, ეს ბაღი ჩემია, აქ ხშირად მოგიწევთ გადმოსვლა და გზაში ფრთხილად იყავით, მოკლე საცხენოსნო გზით ნუ ივლით (ეს გზა ტყეში გადასჭრის), დიდის შარით იარეთ მუდამ და არ დაივიწყოთ ხალხური ბრძნული ანდაზა: „შორს მოუარე, შინ მშვიდობით მიდიო".

ვერ გამეგო, რა აზრით მეუბნებოდა მგოსანი ამ სიტყვებს, რადგან იგი შიშს არასოდეს არ შეიმჩნევდა. უნდა ითქვას, რომ განსვენებული სწორედ იმ ადამიანთაგანი იყო, რომელმაც არ იცოდა, შიში რა იყო! მატარებელში სულ ამას მეუბნებოდა: პირველი საქმე ის არის, რომ მუქარამა და ქადილმა ვერ შეგაშინოთო.

თვითონ მგოსანი კი უცბად გზაში ისე გამოიცვალა, რომ ერთხელ პირზე ღიმილი არ მოსვლია და ბოლოს გაფრთხილება და დარიგებაც კი დამიწყო.

შუადღის ასე 12 საათი იქნებოდა, რომ მივედით საგურამოში, აქ დაგვიხვდა მაშინდელი დუშეთის მაზრის უფროსი ბ-ნი ე.ი. შმერლინგი და მცხეთის ბოქაული ს.ი. გრიცუნასი. ილიამ მაზრის უფროსს გამოჰკითხა დაწვრილებითი ამბავი წინა ღამინდელ ავაზაკთა და. სტრაჟნიკთა შორის მომხდარ შეტაკებისა და მცხეთელების ნაამბობი მართალი გამოდგა. ამასთან ერთის მოკლულთაგანისთვის სტრაჟნიკებს ჯიბიდან ამოეცალათ სხვადასხვა წერილები, ქართულს ენაზე დაწერილი. მაზრის უფროსმა შმერლინგმა ერთი ასეთი წერილი მე გადმომცა და მითხრა: აქ ვერავინ

გაარჩია ეს წერილი და იქნებ თქვენ წაიკითხოთო. როგორც ამ წერილიდან სჩანდა, მოკლული იყო ქუთაისის გუბერნიის მუხაყრუის საზოგადოების მცხოვრები ვიღაც ჩაჩუა (სახელი აღარ მაგონდება); ამ წერილში, სხვათა შორის, ეწერა: „...დანარჩენი ყველაფერი პავლემ იცის და ის გეტყვის, როგორც იყო ჩვენი საქმეო". ამაზე მაზრის უფროსმა ბ-ნმა შმერლინგმა ილიას უთხრა: აქ უთუოდ თქვენს ნამოჯამაგირევ ბიჭზე, პავლე ფშავლიშვილზეა ლაპარაკიო.

ამ ფშავლიშვილზე მაშინ სოფელში ხმები დადიოდა, რომ ავაზაკთა ბრბო ჰყავს შედგენილი და საგურამოს მიდამოებში დათარეშებსო, მაგრამ სინამდვილეში არავინ იცოდა. თვითონ შმერლინგმაც, მაზრის უფროსმაც, ასე გვითხრა. ხოლო ამის შემდეგ კი ილიამ სახლში შესვლის უმალ გამოჰკითხა სასახლეში მომხდარ უბედურ შემთხვევის დაწვრილებითი ამბავი მეფუთკრეს ბ-ნ დანიელ გაბრიელის ძე მასლოვს (დღესაც საგურამოში მსახურობს), რომელიც ეზოში შემოგვეგება, და უკანასკნელმა გვიამბო შემდეგი: განსვენებულ მოურავს მოსეს სასახლის ეზოს ყარაულად დაექირავებინა ახალსოფლელი ახალგაზრდა გლეხი პავლე ფშავლიშვილი, იგივე აფციაური. ერთ საღამოს შარშან მაისის შუა რიცხვებში, მოურავს მოსეს ღვინოები გაეყიდნა, მენახშირეებისაგან ფული აეღო და მეხილესაგანაც ბლებისა, ალუბლებისა და სხვა ხილების ფულიც მიეღო. ასე რომ, მეფუტკრის მასლოვის სიტყვით, ორას თუმნამდე მოჰგროვებოდა. მოსეს ფშავლიშვილი ყველგან თან დაჰყავდა, როგორც ყარაული, რომელმაც კარგად იცოდა თურმე, რომ მოურავს მაშინ ბლომად ფული ჰქონდა შეგროვილი. ერთ საღამოს, როცა სასახლეში ყველას დაუძინია, ერთბაშად ატეხილა ძაღლების (ეკონომიაში სულ 14 დიდი ძაღლი იყო) გახშირებული ყეფა. ყველანი ფეხზე წამოცვივნულან, გარედ გამოსულან და ყური დაუგდიათ. მოურავს მოსეს შეუმჩნევია, რომ ყარაული ფშავლიშვილი ვიღაცას ჩუმად ელაპარაკებოდა და ეუბნებოდა: „ეხლა დრო აღარ არის, ძაღლებმა მთელი სასახლე ფეხზე დააყენეს; ეხლა წადით, თორემ ყველაფერს გაგვიგებენო." ამ ჩუმის ლაპარაკისათვის ყური მოუკრავს მოსეს და, როცა უცნობნი წასულ-წამოსულან და იქაურობაც მიყუჩებულა, მოურავს დაუძახნია პავლე ფშავლიშვილისათვის და უკითხავს" – ვის ელაპარაკებოდი, ვინ იყვნენ ისინი, ან ამ დროს რა უნდოდათო? ფშავლიშვილს უთქვამს: „სტაროსელსკის სტრაჟნიკები იყვნენ და იმათ ველაპარაკებოდიო".

მოურავი მაშინვე წასულა სტაროსელსკის სტრაჟნიკებთან და გამოუკითხავს მათთვის: მართლა თქვენ იყავით, ჩვენს ყარაულს რომ ელაპარაკებოდით წეღან, თუ არა, და თუ თქვენ იყავით, ამ დროს რა საქმე გქონდათო.

სტაროსელსკის სტრაჟნიკებს ეთქვათ, – ჩვენ არცა ვყოფილვართ და არც არა გვესაქმებოდა-რაო. მაშინ მოსეს ისევ დაუბარებია ფშავლიშვილი და დაბეჯითებით მოუთხოვნია, – ვინ იყვნენ ისინი, ვის ელაპარაკებოდი ამ შუაღამისას და ან რა საქმე გქონდა მათთანაო, მაგრამ ფშავლიშვილს მკვახედ ეპასუხნა: ვისაც ველაპარაკებოდი და რა საქმეცა მქონდა, მე ვიცი, შენი საქმე არ არისო!

მაშინ მოურავს მოსეს დაუჭერინებია პავლე ფშავლიშვილი და მამასახლისის ოქმთან ერთად მცხეთაში გაუგზავნია, საიდანაც, რამოდენისამე დღის შემდეგ, მცხეთის ბოქაულს დუშეთისაკენ გაუგზავნია მაზრის უფროსთან, მაგრამ გზაში ფშავლიშვილი გაჰქცევია დარაჯებს და იმ დღიდან ტყეებში იმალებოდა. გზიდან გაქცევის დროს ფშავლიშვილი დაჰმუქრებია მოსესა და მის ცოლს ევას – იმათ ცოცხალს არ გავუშვებ, რადგან მე დამაჭერინესო. მალე სოფლებში ხმები გავრცელდა, რომ პავლე ფშავლიშვილმა ყაჩაღთა ბრბო შეადგინა და წინამურ-საგურამოს შუა დათარეშობს, ხოლო თავს კი ზედაზნის ტყეში იმალავსო.

ამის შემდეგ არ გასულა ორი კვირა, რომ შარშან 1907 წლის 7 ივნისს, დილით, სასახლეს თავს დაესხა რამდენიმე შეიარაღებული თავ-პირ-ახვეული კაცი და მოურავი მოსე მემარნიშვილი და მისი ცოლი ევა საცოდავად ხანჯლით აჰკაფეს; შემდეგ შეცვივდნენ სასახლეში და, რაც კი რამ ფასიანი იხელთეს, ყველაფერი დაიტაცეს.

აი, ეს გვიამბო მეფუტკრემ ბ-ნმა დ.გ. მასლოვმა.

ამ ამბავმა, შთაბეჭდილება მოახდინა ილიაზე, დაძმარებული წამოდგა, შევიდა სახლში და თან შევყევი მე, მაზრის უფროსი და ბოქაული.

ცოტაოდენის საუზმის შემდეგ მაზრის უფროსი და ბოქაული გამოგვეთხოვენ და თავიანთს გზას გაუდგნენ, ხოლო ჩვენ კი, მეფუტკრის დ.გ. მასლოვის წინამძღვრობით, შევუდექით სახლის დათვალიერებას, მაგრამ რას ვხედავთ:

ჭურჭლები დამსხვრეულ-დამტვრეული, წიგნები ფურცლობით დაფხრეწილი და აქეთ-იქით მიყრილ-მოყრილი, ხალიჩები გატაცებული, კარები ჩამტვრეული და სხვა ამისთანა სურათი წარმო-

უდგა ჩვენს თვალებს. მგოსანი ერთიორად კიდევ უფრო იმ გარემოებამ დააღონა, რომ ყველა უბედურებასა და კაც-კვლას გარდა, მისი საყვარელი და განუშორებელი წიგნები, მთელი მისი საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა – სულ განადგურებული, დაფლეთილი და მიყრილ-მოყრილი ნახა!..

არსად არ აღმოჩნდა აგრეთვე არც ერთი გროში იმ ორასი თუმნიდან, რომელიც იმ წინაზე მოურავს მიეღო. ხარჯები კი ყველა ხელუხლებლად დაგვიხვდა. ეჭვი არ იყო, რომ ფულიც ავაზაკების მიერ თავდასხმის დროს იყო გატაცებული. მაგრამ მგოსანი ფულზე სრულიადაც არა სწუხდა, მას ის გარემოება უფრო სტანჯავდა, რომ ორი სული ადამიანი დაიღუპა და სასახლეც ასე უღმერთოდ დაერბიათ. თანაც ავაზაკებს სწორედ იმისთანა დრო ამოერჩიათ, როცა მოჯამაგირეები მინდორში სამუშაოდ იყვნენ წასულნი, სოფლელები კი არა ჰმალავდნენ და პირდაპირ აცხადებდნენ ეჭვს, რომ მოურავი მოსე და მისი ცოლი ევა-ფშავლიშვილის ბრბოს მოკლულიაო. (კვლავ შევახსენებ მკითხველს, როცა ეს წერილი იბეჭდება, ფშავლიშვილი ციხიდან გაქცეულია და დაყაჩაღობს. გუგუშვილის აზრით კი ილიას მკვლელობა მას ჯაშმა დაავალა. თურმე ფშავლიშვილის ნაავკაცარზე წერს მისთვისვე მკვლელობის შემკვეთი, თან საქვეყნოდ გამოაქვს ფშავლიშვილის მიერ ცოტა უფრო ადრე ჩადენილი ბოროტმოქმედების ამბავი. ფშავლიშვილი რომ დაღუპული ან ციხეში ყოფილიყო, კიდევ შეიძლებოდა ამის დაწერა, მაგრამ მკვლელი გარეთ არის, ორგანიზატორი მას ამხელს, ლოგიკა აღარ არსებობს ამ მეცნიერის არსენალში? ნ.გ.)

მკვლელობის შემდეგ, მაზრის უფროსის განკარგულებით სასახლისთვის მცველად მიეჩინათ ხუთი სტრაჟნიკი ურიადნიკის ვას. ემეცის მეთაურობით.

რამდენისამე დღის შემდეგ მგოსანმა დაიბარა ურიადნიკი და გამოუცხადა:

– მე არა მსურს, რომ ჩემს სახლს სტრაჟნიკები იცავდნენ. ხვალვე ისევ თქვენ-თქვენს ბინებს დაუბრუნდითო.

მალე გურამიანთ-კარელებმაც გაიგეს, რომ ილია სტრაჟნიკებს ითხოვს სასახლიდანო, და მაშინვე აირჩიეს რამოდენიმე კაცი და ილიასთან მოჰგზავნეს სათხოვნელად, რომ სტრაჟნიკები ისევ დაეტოვებინა თავის სახლში.

როცა მგოსანმა ამისი მიზეზი გამოჰკითხა, სოფლის რწმუნებულებმა უთხრეს:

– ბატონო, ეგენი რომ თქვენ აქედან დაითხოვოთ, გალავანში კი არ დაბრუნდებიან (სოფ. გალავანი წინად სტრაჟნიკების ძველი საბინადრო ალაგი იყო), არამედ ჩვენ, სოფლის გლეხკაცებს, ჩამოგვეთესლებიან და რასაც თქვენთან ვერა ჰბედავენ, ჩვენ ადვილად გაგვიბედავენ: დაგვარბევენ, აღარაფერს შეგვარჩენენო. აქ რომ დარჩეს კი, თქვენ ვერაფერს გაგიბედავენ და ჩვენთვისაც კარგია, რადგან ახლო იქნებიანო.

მაშ კარგი, ისევ აქ დავსტოვებ და, სანამ მე აქა ვარ, თქვენ ნუ გეშინიანთ, ვერაფერს გაჰბედავენო.

ამის შემდეგ მგოსანმა სტრაჟნიკებს გამოუცხადა ისევ დარჩენილიყვნენ სასახლეში, და ბინაც მიუჩინა.

ახალ ბინაზე

თუმცა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, თვითონ მგოსანი ძლიერ ცუდს გუნებაზე იყო. ყველა უკვე ნაამბობ და გაგონილ ამბების შემდეგ, მაგრამ წამდა-უწუმ ჩვენ, მე და მეფუტკრეს ბ-ნ დ.გ. მასლოვს, გვამხნევებდა, ნუგეშსა გვცემდა და დარიგებას გვაძლევდა...

ცოტა ხნის შემდეგ ილიას მოაგონა მეფუტკრემ მასლოვმა, რომ ის ოთახი, სადაც მოურავი მოსე და მისი ცოლი ევა მოჰკლეს, ლუქით დაბეჭდილიაო და საჭიროა მამასახლისის მოწვევა, რომ გაღებაზე დავისწროთო. დავუძახეთ მამასახლისს იობა ლაბაურს, გავტეხეთ ბეჭედი და შევაღეთ კარები. შედგა თუ არა კარებში ფეხი პირველმა, მგოსანს უცბად.სახე მოეჭმუხნა და კინაღამ უკანვე გაბრუნდა. მიზეზი ის იყო, რომ ორი კვირის წინად მომხდარ სისხლის ღვრის სურათი ნათლად წარმოგვიდგა: თითქმის მთელი იატაკი სისხლით იყო შეღებილი, და გამხმარი სისხლი შავად გამოიყურებოდა!.. სკივრები, ყუთები, მაგიდის უჯრები, კალათები, ჩემოდნები, შკაფი – ყველაფერი აფუნგული იყო, აწეწილ-დაწეწილი, გულ-ასამღვრევლად მიყრილ-მოყრილი და ერთმანეთში არეული. ეტყობოდა, ავაზაკებს კარგა ხანს გულ-დასმით უძებნიათ თავიანთი დავლა. გავსინჯეთ სხვადასხვა წერილები, რომელიც მომეტებულად ილიასაგან იყო მოწერილი მოურავ მოსესთან ზოგი ტფილისიდან, და უფრო კი პეტერბურგიდან. ეს წერილები მგოსანთან ერთად თითქმის სათითაოდ გადავიკითხეთ და ზოგი მათგანი ილიამ ცალკე გადამაწყობინა, დამალაგებინა და შემანახვინა. მგოსანი სწერს საზოგადოდ მამულების მართვა-გამგეობაზე და

გლეხებთან გამწვავებულ მდგომარეობაზე. მომეტებულ ნაწილად წერილები შეეხება 1905-1906ნნ. შინაარსი თითქოს ყველასი კარგად მახსოვს. მხოლოდ სიტყვა-სიტყვით მოყვანა კი შეუძლებელია ამჟამად, ნამდვილის ხელთ უქონლობის გამო. ხოლო თუ ის წერილები, – რისიც დიდი იმედი აქვს, – დაცულია დღესაც, აუცილებლად საჭიროა მისი ყველასი დასტამბვა და გამოქვეყნება, რადგან მხოლოდ და მხოლოდ იმ წერილებიდან შეიძლება გაიგოს კაცმა ნამდვილი აზრი და შეხედულება მგოსნის მაშინდელის გლეხთა მოძრაობაზედ! ადვილი საქმე არ არის ადამიანს პირდაპირ გაუკითხავად უკიდურესი რეტროგრადი და რეაქციონერი დაუძახო, რუსის „მთავრობის ოფიციალური ჯაშუში" და „უსასტიკესი მემამულე თავადიშვილი მთელს საქართველოში" მხოლოდ იმიტომ, რომ პეტრესი თუ პავლესი ზოგი რამ უკეთური ნამოქმედარი ერთი ასად გააზვიადო, შემდეგ თავს მოახვიო იმავე პეტრესა თუ პავლეს პატრონს, – ვთქვათ, თუნდა, ვინმე ივანეს, – და ამ უკანასკნელის ნამოქმედარის სახით გამოაქვეყნო, – ვერა ხედავთ ამ თქვენს ივანეს რა ვაჟბატონი ბრძანებულაო?! ახლა ამას ზედ დაურთეთ ისიცა, თუ ეს ივანე თავადიშვილიც არის, და მორჩა, გათავდა: რაკი აზნაური ან თავადიც ყოფილა და ცოტა მემამულეც – ადვილი წარმოსადგენია, რაცა და ვინც იქნებაო, – ასე სჯის ზოგი გულუბრყვილო მკითხველი, რომელსაც ფაქტების შემოწმებისათვის არა სცხელა!

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ წერილებს. გაგაცნობთ შეძლებისამებრ დაახლოვებით მათს შინაარსს ზეპირად, საკუთარის მეხსიერების საშუალებით, ვინაიდან, ვიმეორებ, ნამდვილი ახლა ჩვენ ხელთ არა გვაქვს. როგორც ერთის ამ წერილიდანა სჩანს, იგი პასუხია მოურავის მოსეს წერილისა. უკანასკნელი ატყობინებს მგოსანს, რომ სოფელი აირია, გლეხობამ ძბუნტი" დაიწყო, მამულებს დაუკითხავად ხნავენ, ღალას არ იძლევიან, აღარაფრის მორიდება არა აქვთო, და სხვ., და ბოლოს სთხოვს აცნობოს რზოგორ და რა რიგად მოიქცეს. თავის მხრივ კი მოურავს საჭიროდ მიაჩნია ისეთ ღონისძიებას მიმართოს, რომ შემდეგაც გლეხებმა მსგავსი ვერა გაბედონ-რა. ამაზე მგოსანი, დაახლოებით, შემდეგსა სწერს: „მოსე, მივიღე შენი ბარათი, რომლითაც მატყობინებ მანდაურ გარემოებას (ილიას საპასუხო ბარათში ჩამოთვლილია მუხლ-მუხლად ყველა ზემოყვანილი ცნობები), და ძლიერ გამიკვირდა, რომ მოკლე ხანში მამულების მოვლისათვის, ეტყობა თავი მიგინებებია და აგრე ერთბაშად პოლიტიკას გამოსდგომიხარ, რასაც შენ იწერები, ეგ

მარტო საგურამოში როდია, აგრეა ყველგან მთელს საქართველოში და რუსეთშიაც, გლეხების მოძრაობა... შენ კი ტყუილადა გგონია, რომ გლეხების მოძრაობა მარტო საგურამოში იყოს, აგრეთვე მთელს ქართლში, კახეთში, გურია-სამეგრელოსა და იმერეთში. და თუ შენ ეს არ იცი, ეგ იმისი ბრალია, რომ შენს თვალს იქით ვერაფერს ხედავ, ქვეყანაზე რა ხდება არა იცი-რა, და ესეც კიდევ იმისი ბრალია, რომ გაზეთების კითხვა გეჯავრება... შენ თვითონ იმერელი ხარ და ნუთუ შენის სამშობლო სოფლიდან მოკითხვის წერილები მაინც არ მოგდის და არა გწერენ, რაები ხდება იქა? ჩვენ ათასი თოფ-ზარბაზნებითაც რომ ვიბრძოლოთ, ვერას გავხდებით და მხოლოდ წყლის ნაყვა იქნება, რადგან გლეხების, როგორც შენ იწერები, „ბუნტი" – საზოგადო ქარტეხილია, და ამ ქარტეხილს ისეთი ჯიუტი ხასიათი აქვს, რომ ვერც ტყვიებითა და ვერც ზარბაზნებით ვერას დააკლებ, სანამ თვითონვე არ მოისურვებს და თავისთავად არ დაცხრება. ჩვენ ისეთი არა მოგვივა-რა, რაც სხვასაც არ მოუვიდეს. და საცა სხვები, ჩვენც იქა. თუ ვინმემ თავის ნებით რამე მოგიტანოს, გამოართვი, ძალადობას კი არამც და არამც მიმართო... სადმე მთელს უბანს რომ ცეცხლი მოედოს და ამ უბედურების დროს შენი სახლიც შიგ გამოიწოს, დასანანი არაა, რადგან ის უფრო დასანანი იქნებოდა, რომ ყველას სახლკარი ცეცხლმა გაანადგუროს და შენი კი გადარჩეს. სხვა არა იყოს-რა, დაზარალებული მეზობელი შურით მაინც არ შემოგხედავს, რა კი ეცოდინება, რომ შენც იმის ტაფაში იწვი. ეცადე გლეხებთან საქმე არ გაამწვავო, ზრდილობიანად, თავდაჭერილად მოექეცი, ყველაფერში დაუყვავე. სთხოვე ყველას ჩემს მაგივრად, რომ ბაღებში საქონელი ან ღორები არ ჩარეკონ. კიდევ გიმეორებ ყოველ შემთხვევისათვის – არამც და არამც პოლიციას არ მიმართო დახმარებისათვის, რაც გინდა „ბუნტმა" იმატოს. თუ მიწები უკი.ხავად მოხნან, შენ ხელს ნუ შეუშლი. მანდაური ამბები მალი-მალ მომწერე.

ილია ჭავჭავაძე".

მეორე წერილი რამდენისამე ხნის შემდეგ გამოგზავნილია ტფილისიდან შემდეგის შინაარსისა: „მოსე, ჩვეულებრივ „გამარჯობას" არა გწერ, რადგან შენზე ძლიერ გაჯავრებული ვარ. ამ წინაზე ორი უსახელო საჩივრის ქაღალდი მომივიდა შენზე – თურმე გლეხებს დამუქრებიხარ. ჩვენზე თუ კნიაზთან გიჩივლიათ, ვაი თქვენი ბრალიო. ახლა კიდევ სოფლის დავალებით ხუთიოდე საგურამოელი ბიჭი მოვიდა ჩემთან და შემატყობინეს, რომ სოფელ-

ში ეგზეკუცია ჩაუყენებიათ, რამაც ძლიერ ამაშფოთა... ეს არის გუბერნატორთან ვიყავი და ვთხოვე ბრძანება გაეცა, რომ ეგზეკუცია გაიყვანონ; მცხეთის პრისტავთან საგურამოელ ბიჭს ჩემს ბარათს ვატან და გუბერნატორის ბრძანებას ვატყობინებ, რომ ეგზეკუცია გაიყვანონ. თუ პრისტავმა დღესვე თავისით არ გაიყვანოს ეგზეკუცია, შენ თვითონ მოკურცხლე დუშეთში უეზდის ნაჩალნიკთან და სთხოვე, რომ საჩქაროდ მოაშოროს კაზაკები და სტრაჟნიკები. გაიგე, – საჩქაროდ წადი დუშეთში, თორემ გუბერნატორის განკარგულებამ იქნება ძლიერ დაიგვიანოს, რადგან არც რკინის გზა და არც დეპეშები ახლა არ მოქმედობს, ყველაფერი შეჩერებულია.

ილია".

კიდევ ბევრი სხვა საგულისხმიერო წერილები ვნახეთ მგოსნის მინერილი, მაგრამ მათი შინაარსი აგრე რიგად აღარ მახსოვს. ხოლო ეს წერილები კი შემდეგ იმდენჯერ გადავიკითხე, რომ თითქმის ზეპირადაც კი დავისწავლე, ამსთანავე, ეს წერილები ისეთ საგანს ეხებოდა, რომლის გამოც იმდენი მითქმა-მოთქმა და აურზაური ასტყდა იმ დროს. იქნება დღესაც ბევრმა არ იცის, – ტფილისში მგოსანმა როცა გაიგო სოფლად ეგზეკუციის ჩაყენების ამბავი, მანამ არ დაწყნარებულა, ვიდრე იგი თვითონ არ აახსნევინა; მაგრამ მგოსანს ჩვეულებად არა ჰქონდა საქვეყნოდ ეყვირა: შემომხედეთ, რა საქმეებს ვაკეთებო! ხოლო სხვაგან კი არავის არსად ერთის სიტყვითაც არ აღუნიშნავს ეს ფაქტი; სამაგიეროდ, ის კი ხელად ქვეყანას ემცნო, – საგურამოში ეგზეკუცია ჩააყენეს და, რა თქმა უნდა, უთუოდ ილია ჭავჭავაძე ჩააყენებდაო, თუმცა, მგოსანმა ტფილისში არც კი იცოდა, თუ საგურამოში რაიმე ეგზეკუცია იყო. მაგრამ ასეა ყოველთვის: ჩვენში კარგი არავისი არა სჩანს, და მით უფრო თუ ეს კარგი საქმე რომელსამე

თავადს ეკუთვნის, ხოლო საზოგადოებაში ცნობილ ამა თუ იმ კაცზე ავის სათქმელად კი სიცრუის შეთხზვასაც არ უკადრისობენ, და ეს სიცრუე დღევანდელს ბაზარზე კი ლიტონ ჭეშმარიტებად გადის...

დიმიტრი ჯაში.

მოგონებები აქ წყდება. სავარაუდოა ჯაშს სოც-დემოკრატებმა „ურჩიეს" თავი დაენებებინა ამგვარ მოგონებათა წერისთვის...

●

საგულისხმოა, რომ დ.ჯაშის ზემოთწარმოდგენილი წერილი ერთი სიტყვითაც არ აქვთ მოხსენებული, გუგუშვილიდან მოყოლებული, იმ ავტორებს, რომელთაც შექმნეს მითი ილია ჭავჭავაძის მოკვლაზე მეფის ოხრანკისა და მისი აგენტის ჯაშის მიერ. თითქოს ეს წერილი ბუნებაში საერთოდ არ არსებულიყო.

რამდენად სანდოა მეცნიერი, რომელიც მკვლელობიდან 30 წლის შემდეგ ჯაშზე ნათქვამსა თუ დაწერილ ყოველ სიტყვას დაწვრილებით აანალიზებს, ხოლო თვით ჯაშის დაწერილ სტატიას, დაბეჭდილს მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ, საერთოდ არ ახსენებს? ის მაინც ეთქვათ, ტყუილები დაწერა და ამ სტატიის ნდობა არ შეიძლებაო. ვერ იტყოდნენ, რადგან იმ დროს, როცა ეს წერილი დაიბეჭდა, ილიას, მსახურ იაკობისა და მიხეილ ჩიკვაიძის გარდა, ცოცხალი იყო ყველა, ვინც ჯაშის წერილშია მოხსენიებული, ან ვინც ამ წერილით იგულისხმება. ილიას მეუღლე, ილიას და, მამულის მსახურები, ნოე რამიშვილი, რომელთანაც ერთ სახლში ცხოვრობდა ჯაში საგურამოში გამგზავრებამდე და რომელიც იგულისხმა იმ ამხანაგში, რომელსაც უნდა დაჰკითხოდა, წაჰყოლოდა თუ არა ილიას მოურავად (ისინი ერთმანეთის ნათესავები იყვნენ და გურიაში დაწყებით სკოლაში ერთად სწავლობდნენ). სხვათა შორის, რამიშვილს არ ურჩევია ილიას მოურავად წასვლა. წახვალ და შენც წინა მოურავივით მოგკლავენო – უთქვამს.

რაც მთავარია, ცოცხლები იყვნენ ის მკვლელები, რომელთა ორგანიზატორი თურმე ჯაში იყო და რომელთაც ასე ლანძღავს ზემოთწარმოდგენილ წერილში.

. კი მაგრამ, მკვლელობის ორგანიზატორი კაცი გარეთ არის, მკვლელებს ლანძღავს, მკვლელებს ჩამოხრჩობა აქვთ მისჯილი და ხმას არ იღებენ, არ ასახელებენ, ერთგულად უნახავენ ნამუსს, რითი შეიძლება ეს აიხსნას? კარგი, ვთქვათ, მკვლელებს ციხეში ეს გაზეთი არ წაუკითხავთ, ან ამხილეს კიდეც, მაგრამ ჟანდარმერიის დავალებით ისინი გააჩუმეს. გარეთ დარჩენილი მკვლელებისაგან მხილებისა ან სამაგიეროს გადახდის არ ეშინია ჯაშს? ვთქვათ იცის, რომ სუფრაჯ იაკობის ტყვიით ფეხში (ერთი ვერსიით მხარში) დაჭრილი ბერბიჭაშვილი 2 კვირის მკურნალობის შემდეგ (წიწამურში რაჭველ მენახშირე გლეხებთან იმალებოდა) ბაქოში და იქიდან სპარსეთში წავიდა, მაგრამ ფშავლიშვილი ხომ ციხიდან არის გაქცეული და ტყე-ტყე დახეტიალობს, ინაშვილი ხომ ჯერ საერთოდ არ დაუჭერიათ? ასევე არ დაუჭერიათ „იმერელი“. რომ

მიადგეს ან ერთი, ან მეორე, ანე მესამე, ან მეოთხე და შუბლი გაუხვრიტოს, შენ არ იყავი ორგანიზატორი, ახლა რომ მამა-აბრამის ბატკანივით უცოდველად მოგაქვს თავიო, – ამაზე არ ფიქრობს?

მით უფრო, ამ უბირმა ფშავლიშვილმა რომ ნახა, რა ამბავი ატყდა ილიას მოკვლის გამო, რომ გაიცნობიერა, თურმე ვინ მოუკლავს. რა ეროვნული დანაშაული ჩაუდენია, გამწარებული იმუქრებოდა, ინაშვილმა შემაცდინა და სადაც გადავეყრები ჩავაძაღლებო.

აქაც ის მეორდება, რაც რუსეთში დეპუტატ გერცენშტეინის მკვლელობისას. ვიღაც მუშამ (სხვათა შორის, სოციალ-დემოკრატმა) რომ გაიგო გაზეთებიდან, რა დიდებული კაცი მოუკლავს, გამწარებულმა შემკვეთი ტყეში წაიყვანა და ახლა ის გააგორა.

მოკვლით ემუქრებოდა ფშავლიშვილი ინაშვილსაც. ამ ხმებმა ეტყობა ინაშვილამდე მიაღწია. ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ 1908 წლის დეკემბერში, როცა ინაშვილი დაიჭირეს, მან მოაძებნინა პოლიციას ის საფარი, სადაც ფშავლიშვილი იმალებოდა.

ფშავლიშვილი არ ჩაბარდა. ორმხრივ სროლაში ის მოკლეს. წარმოიდგინეთ, ესენი ერთმანეთს რომ არ ინდობენ, სასიკვდილოდ იმეტებენ და ამ დროს მათთვის სრულიად უცხო ჯაშს, რომელიც მათ ავკაცობას, ფშავლიშვილის მიერ ადრე ჩადენილ ბოროტმოქმედებასაც კი, დეტალებში ამხელს, რატომღაც იფარავენ. თვითონ მკვლელობის ორგანიზატორია და ვითომც არაფერი. მკვლელები არათუ კლავენ, საიდუმლოსაც კი ბოლომდე უნახავენ.

ახლა კი დაწვრილებით ჩამოვწეროთ იმ ბრალდებათა ნუსხა, რომელიც ჯაშის მიმართ წამოაყენეს და რის გამოც ის და მისი სახით „ოხრანკა" იმხილება ილიას მკვლელობაში.

ეს ნუსხა ორ ნაწილად უნდა გაიყოს:

I. ის ბრალდებები, რომელნიც ჯაშის მიმართ გაჩნდა ილიას მკვლელობიდან 30 წლის შემდეგ, ანუ 1937 წლიდან.

II. ის ბრალდებები და ეჭვები, რაც ჯაშის მიმართ იყო ილიას მკვლელობის პირველივე დღიდან.

დავიწყოთ 30 წლის შემდეგ გაჩენილი ბრალდებებით:

ყველა ეს ბრალდება, რომელიც აქ გვექნება ჩამოწერილი, ვიმეორებ, ჩნდება XX საუკუნის 30-იან წლებში. ბერიამ ჯერ კიდევ 1931 წელს შექმნა ილიას მკვლელობის საგამოძიებო კომისია. კომუნისტებისათვის ინფორმაციას ორგვარი დანიშნულება ჰქონდა. ერთი შიდამოხმარებისათვის და მეორე საზოგადოებისათვის. შიდამოხმარებისათვის ბერიას ნამდვილად აინტერესებდა, ვინ იყო

ილიას რეალური მკვლელი, მაგრამ ეს ინფორმაცია აინტერესებდა იმდენად, რამდენადაც ხელისუფლების შიდასამზარეულოში მუდმივი ურთიერთბრძოლების დროს ყოველთვის უნდა ჰქონოდა ხელთ კომპრომატები საკუთარ თანაპარტიელებზე. თვით ილიას მკვლელობის ფაქტი და სიმართლე ამის შესახებ, სამართლიანობის აღდგენის მიზნით, მას არ სჭირდებოდა და არც კრემლის ჰეროსტრატე მისცემდა ამის გამოქვეყნების უფლებას.

ბერიას, უბრალოდ, სძულდა როგორც ფილიპე მახარაძე, ისე თავისი ოდინდელი პატრონი სერგო ორჯონიკიძე. ამიტომ, ვინ იცის, როდის და რაში წაადგებოდა მათ წინააღმდეგ ილიას მკვლელობის ფაქტი.

1931 წელს კომისია ილიასადმი გულდამწვარი გრძნობით რომ არ შექმნილა, ჩანს იქიდანაც, რომ ამ წლებში ილიას სახელს პარტია გააფრთებით ებრძვის, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი.

კომისია შეიქმნა საზოგადოებისათვის იმის სათქმელად, რომ ილია ბოლშევიკებს არ მოუკლავთ, რომ ილია მეფის „ოხრანამ" მოკლა. ეს საკითხი აქტუალური გახდა 1937 წელს, როცა კრემლმა მთელს საბჭოეთში ილიას დაბადებიდან 100 წლისთავის გრანდიოზულად აღნიშვნა გადაწყვიტა. მიზეზებზე უკვე მოგახსენებდით.

და აი, დაიწყო მასალების შეგროვება ჯაშის წინააღმდეგ. დაიწყო მემუარების წერა იმ პირთა მიერ, რომელთა მოგონებები სანდო იქნებოდა, რაკი მომსწრენი და მონაწილენი იყვნენ 900-იანი წლების ბატალიებისა. ამ მოგონებების საფუძველზე აიკინძა ბრალდებები ჯაშის მისამართით. თვით ჯაში უკვე გარდაცვლილი იყო. როგორც უკვე იცით, 1922 წელს მაისში, იმსხვერპლა ჩხუბის დროს ცოლის ძმის მიერ ნასროლმა ტყვიამ. ტყვია მუხლში მოხვდა. ბევრი სისხლი დაკარგა და საავადმყოფოში ოპერაციამ ვეღარ უშველა. დაახლოებით 1 თვეში გარდაიცვალა. დააპატიმრეს მისი ცოლის ძმა, პოლიციელი კოპლატაძე, რომელიც ასევე ციხეში გარდაიცვალა სახადით.

მოგონებები, რომელიც იმ დროისათვის ჯაშზე იწერება, იწერება მთავრობის შეკვეთით და იწერება სიყალბე.

ის, რომ შეკვეთა მთავრობისგან მოდიოდა, ჩანს ჯაშის მეუღლის მოგონებებში. მასთან მიდის გუგუშვილის ორი ასისტენტი და ეუბნებიან. ჩვენ ვიცით, რომ ჯაშს ილია არ მოუკლავს, მაგრამ ბერიას დავალებაა. პოლიტიკა ასეთია, უნდა ვამხილოთ თქვენი მეუღლე. ის გარდაცვლილია. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მოგ-

ვცეთ სათანადო ჩვენება, რისთვისაც მიიღებთ ოროთახიან ბინას და კარგ პენსიას. თქვენს შვილებს ეს უფრო წაადგება, ვიდრე ჯიუტობაო.

ქალის უარის შემდეგ მას ართმევდნენ იმ ერთოთახიან ბინასაც, სადაც ცხოვრობდა. ბინის გადაცემა უნდოდათ ერთი კომუნისტი მწერლისთვის.

დარიამ ფილიპე მახარაძესთან იჩივლა და ბინა შეუნარჩუნეს. ეს მოგონება რომ ნამდვილია, ყოველ შემთხვევაში, იმ ნაწილში მაინც, სადაც დარია ამბობს, რომ ორი ასისტენტი მიადგა მთავრობის დავალებით, ადასტურებს თვით პაატა გუგუშვილი, რომლის საუბარიც ხსენებულ საკითხზე მოგვიანებით ჩაუწერია საგურამოს სახლ-მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელს შალვა მარკოზაშვილს.

(იხ. მისი წიგნი „ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი მოურავი" თბ. 2004ნ.).

მოგონებები რომ მიზანმიმართულად ჯაშის წინააღმდეგ იწერებოდა და ყალბი იყო, ჩანს ორი გარემოებით: 1) მოგონების ყველა ავტორი იხსენებს ილიას მკვლელობას და არაფერს ამბობენ სასამართლოს მიერ დადგენილ მკვლელებზე, მაინცდამაინც, ყველას ჯაშის ესა თუ ის ქმედება ახსენებდა.

და მეორე, 1941 წელს გამართულ ბერბიჭაშვილის პროცესზე ეკითხებიან დიმიტრი ჯაშის ძმას, უშანგი ჯაშს – როგორ მოეწყო თქვენი ძმა ილიასთან მოურავადო. ის კი პასუხობს, როგორ მოეწყო, არ ვიცი, მაგრამ ცხადია, შანტაჟის გზით მოეწყობოდაო.

არა მგონია, ძმას საკუთარი სურვილით ეთქვა ასე – შანტაჟის გზით მოეწყობოდაო. ძმა თუ დავალების გამო ძმას იხსენებს აუგად, სხვები რატომ გასწირავდნენ თავს ვიღაც ჯაშისათვის, რომელთაგან ზოგს პირადი მტრობაც ჰქონდა ამ უკანასკნელთან?

და მაინც, ეს ყველაფერი ზოგად განცხადებებად რომ არ ჩაგვეთვალოს, ამდენი ხნის შემდეგაც კი არის შანსი იმისა, რომ ყალბი და ნამდვილი ერთმანეთისგან გავარჩიოთ.

ავიღოთ, მაგალითად, რას წერს 1937 წელს, ვთქვათ, პოეტი სანდრო შანშიაშვილი ილიას მოურავზე:

„იმ დროს მე დარჩიაშვილების ოჯახში ვცხოვრობდი (გულისხმობს ილიას მკვლელობას.- ნ.გ.). დარჩიაშვილები ჩემი პაპიდაშვილები იყვნენ. ეს ისეთი ოჯახი იყო, სადაც ბინას პოულობდნენ არალეგალურად მომუშავენი. იქ ხშირად კრებას მართავდნენ და მე, მონაფეს, მზვერავად მაყენებდნენ. ჰექტოგრაფზე დასაბეჭდი

პროკლამაცია ჩემთვის გადაუწერინებიათ, რადგან კარგი და სუფთა ხელი მქონდა.

იქვე გავიცანი ირეოდიონ ევდოშვილი.

ამ საღამოს ისიც გულმოკლული მოვიდა. შემთხვევით იმ დღეს დარჩიაშვილების ოჯახში რამდენიმე მენშევიკი იყო. ევდოშვილმა მე ყურადღება არც კი მომაქცია, მათთან შევიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მესმის ხმამაღალი ლაპარაკი. ევდოშვილი ყვირის, ჩხუბობს. შემდეგ მიაჯახუნა კარი და გაბრაზებული წავიდა. თურმე, შეწუხებული ევდოშვილი მასხარად აიგდეს, ეთქვათ: რა გაგიხდა თავადი ილია, როცა ხეს ჭრიან, ნაფოტი ცვივაო! ასეთი სიტყვების შემდეგ ნოე ჟორდანიამ ვრცელი ფელეტონი დაბეჭდა, და ვხედავ, რომ ნოეს წერილზე ზოგიერთები აღშფოთებულნი არიან. აგინებდნენ ნოე ჟორდანიას და ბარბაროსობად თვლიდნენ იმ წერილის დაბეჭდვას. **ეს ამხანაგები, თურმე, ბოლშევიკები ყოფილიყვნენ.**

სკოლაში გაკვეთილებზე აღარ წავედი, რედაქციაში ვიყავი. მოდიოდა ხალხი ამბის გასაგებად, კამათობდნენ, ჩხუბობდნენ: ვინ მოჰკლა ილიაო, მხოლოდ ამის გარშემო იყო დავა.

იმ დღესვე გავრცელდა ხმა, რომ ილიას მოკვლის მომწყობი არის მისივე მოურავი დიმიტრი ჯაშიო, რომელმაც, თურმე, ილიას თავი მოაბეზრა, სანამ მოურავად მიიღებდა.

ვინ იყო ეს ჯაში?

ზოგი ამბობდა: „ოხრანკის" აგენტი, ზოგიც – მენშევიკიაო.

დიდ პროვოკაციაში გაება მაშინდელი ინტელიგენცია.

ჯაშს აგვიწერდნენ რაღაც საზიზღარ პიროვნებად. გარეგნულად დაბალი, მწითური, პირნაყვავილარი და მსხვილკბილება იყო. და, მართლაც, როცა პირველად ვნახე, უფრო საზიზღარი შთაბეჭდილება დატოვა.

რედაქციაში შეიკრიბნენ: გიორგი ლასხიშვილი, გიგო რცხილაძე, ლადო ლორთქიფანიძე, ილია ნაკაშიძე და სხვანი მრავალნი.

გიგო რცხილაძე ამტკიცებდა, რომ ილია მოჰკლა მეფის ჟანდარმერიამ:

– ამ ზაფხულს ილიამ სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გაილაშქრა, მიწის საკითხში მხარი დაუჭირა რევოლუციონერებს, აღძრა ავტონომიის საკითხი და პატარა ერების უფლებაზე ხმა აღიმაღლა. ცარიზმმა ეს არ აპატია და პეტერბურგიდან დაადევნეს მკვლელებიო.

ამ აზრს იზიარებდნენ ლასხიშვილი და ილია ნაკაშიძე.

დიმიტრი ჯაში ვითომც დაიჭირეს კიდეც, მაგრამ გაანთავისუფლეს მიუხედავად იმისა, რომ საქმის ვითარება უჩვენებდა მკვლელობაში მის აშკარა მონაწილეობას.

რამდენიმე წლის შემდეგ (1913წ.) საზღვარგარეთიდან ორი თვით საქართველოში დავბრუნდი. მე და შალვა დადიანი მუშტაიდის მახლობლად ბაღში ვვახშმობდით. აუარებელი ხალხი იყო, ხოლო მოშორებით მარტო იჯდა ჯაში. და ან ვინ მიეკარებოდა! მას ზურგს აქცევდნენ, ჯაშუშს და მკვლელს ეძახდნენ.

ტკბილი ლაპარაკი გვქონდა მე და შალვას, ვუამბობდი საზღვარგარეთის ამბებს.

უცბად ჩვენთან თავხედურად მოვიდა დიმიტრი ჯაში და აღელვებულმა შალვას დაუწყო ლაპარაკი.

აი, აქ ვნახე პირველად ჯაში. გარდა გარეგნული სიმახინჯისა, ლაპარაკის დროს პირი უქაფდებოდა, წინა კბილებს ღორის ღოჯებივით გადმოჰყრიდა ხოლმე.

რაში იყო საქმე. რას ედავებოდა?

თურმე შალვა დადიანს ქუთაისში მოხსენება გაუკეთებია და აზრი გამოუთქვამს, რომ უშუალო მკვლელიც და ორგანიზატორიც დ.ჯაშიაო.

შალვა დადიანს უსაყვედურებდა: მკვლელობას მე რას მაბრალებო, და ბოლოს დაუმატა:

– მე მაქვს მემუარები, იმას გამოვაქვეყნებ და მაშინ გაიგებთ, მკვლელი ვინ არის.

მე მოურიდებლად პირში მივახალე:

– მკვლელად დღეს შენ გთვლიან და თუ სხვა რამ იცი, რატომ ამ ბრალდებას თავიდან არ მოიცილებ-მეთქი.

დაიღმიჭა, ნიკაპი გვერდზე მოექცა. მაგიდაზე დაყრდნობილს ხელი დაუცდა, ერთხელ კიდევ შემომხედა და წავიდა.

მე და შალვამ ლაპარაკი განვაგრძეთ.მე ხელში ჭიქა მეჭირა და უცბად რაღაცამ იქუხა.

თურმე, ზურგიდან მომპარავია ჯაში და ყურის ძირში ისე მძლავრად გამარტყა, რომ რამდენსამე წამს გონს ვერ მოვედი.

როდესაც გონს მოვედი და უკან მოვიხედე, ვხედავ: ხალხს ჯაში წაუგდია ფეხქვეშ, უწყალოდ სცემენ და უნდათ შუა გაგლიჯონ, შემოუძარცვენიათ ტანსაცმელი.

ცოცხალს არ გაუშვებდნენ, მაგრამ უცბად, თითქოს იქ ჩასაფრებული ყოფილიყვნენ, გაჩნდნენ „გოროდოვოები", იშიშვლეს რევოლვერები და ხალხს ხელიდან გამოჰგლიჯეს.

შევადგინეთ ოქმი, მაგრამ ის ოქმი დაიკარგა და ჯაში თავისუფლად დადიოდა.

ამის შემდეგ გაიარა 7-8 წელიწადმა. მე უკვე სოფლის მეურნეობას ვეწეოდი.

ერთ დღეს, წისქვილიდან წნორის-წყალზე ამოვიარე. სასტუმროში ვნახე ჯაში.

გაყვითლდა, გაფითრდა.

შემთხვევით ჯიბეში ჩავიყავი ხელი... წამოხტა, დაიჩოქა და იყვირა:

– ნუ მომკლავ, მაპატიე დანაშაული...

მას ჰგონებია, თითქოს, მე ჯიბიდან რევოლვერს ვიღებდი. მივაფურთხე და გამოვბრუნდი."

●

„შემთხვევამ ისე მოიტანა, რომ ილიას სამუშაო კაბინეტში მე ვცხოვრობდი 1920 წლამდე, – განაგრძობს თხრობას ს.შანშიაშვილი, – მაშინ ილიას და, ელისაბედი, ჯერ კიდევ ჯანმრთელად იყო. ბევრი რამ მიამბო ელისაბედმა ილიას ოჯახური ცხოვრების ირგვლივ და ის ამბავიც, თუ როგორ მოაბეზრა თავი ჯაშმა, სანამ ილია მოურავად მიიღებდა. იგიც სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ჯაში ილიას მიუჩინეს, რათა ბოლოს შავი ზრახვები სისრულეში მოეყვანა მეფის მთავრობას. ელისაბედმა მისახსოვრა ილიას ნაქონი მოზრდილი ხელთნაწერი კრებული, სადაც შეკრებული იყო ძველი მგოსნებისა და აშუღების ლექსები. ჩემი მხრით ეს კრებული გიორგი ლეონიძეს ვუსახსოვრე, ხოლო მას მწერალთა მუზეუმისთვის გადაუცია.

●

ილიას მოკვლის წელს თუ ცოტა შემდეგ (მეექვსე კლასის გიმნაზიელი ვიყავი) ჟანდარმებმა გამჩხრიკეს. მიპოვეს მოწაფის არალეგალური ჟურნალი, ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი, რომელსაც მე ვრედაქტორობდი, მიპოვეს აგრეთვე პროკლამაციები, არალეგალური ლიტერატურა და ჩემი ლექსი „მტარვალს". წამაბრძანეს მეტეხის ციხეში. მაშინ უკვე 18 წლის ვიყავი. პოლიტიკურმა ტუსაღებმა გაიგეს თუ არა, დამიწყეს გამხნევება. ამ დროს მოიყვანეს ერთი ტუსაღი, რომელიც ისევ მალე წაიყვანეს ჩვენგან და მისი

გვარი აღარ დამამახსოვრდა. მან გვიამბო, რომ ილია ჭავჭავაძის ერთი მკვლელი გაიქცა და უნდოდა ერთ-ერთ „ტყის ძმას" შეფარებოდაო. დიდი ძებნის შემდეგ, თურმე, შეხვდა ერთ პოლიტიკურად დევნილს და ტყეს შეფარებულს. გვარი აღარ მახსოვს. თურმე, „ტყის ძმამ" **ჰკითხა: ვინ ხარ, რისთვის მოსულხარო, როდესაც გაიგო, რომ მასთან მოსული იყო ილია ჭავჭავაძის** მკვლელი, იშიშვლა რევოლვერი და უთხრა: **„შენ კაკოს ავტორი მომიკალ, განა კაკო მაგას გაპატიებსო"**, და იქვე დასცა".

ახლა ვნახოთ რამდენი გამიზნული სიცრუეა ამ პატარა მოგონებაში (რომელიც სწორედ 1937 წელს, ჩემის ფიქრით, წინასწარი განზრახულობით და შეკვეთით დაიწერა):

1) "აგინებდნენ ნოე ჟორდანიას და ბარბაროსობად თვლიდნენ იმ წერილის დაბეჭდვას. ეს ამხანაგები თურმე ბოლშევიკები ყოფილიყვნენ".

ვინც ეს წიგნი წაიკითხა, მიხვდება თუ რა ურცხვ ტყუილს წერს ავტორი. იროდიონ ევდოშვილი ილიას მკვლელობის გამო სალაპარაკოდ და საჩხუბრად ვიღაც მეათეხარისხოვან პარტიულ ამხანაგებს არ შეუვლიდა ხომ?

თურმე ბოლშევიკ ამხანაგებს ჟორდანია ულანძღავთ, სულ ბარბაროსი უძახიათ მისთვის. ავტორი ამას იმ ბოლშევიკებზე წერს, რომელთაც ილიას გლოვაში მონაწილეობაზეც კი დემონსტრაციული უარი სთქვეს. მაგრამ ახლა 1937 წელია. ავტორი თუ ბოლშევიკებისათვის სასარგებლო რამეს დაწერს, შედავებას ვინ გაუბედავს. ამიტომ წერს ურცხვად მამალ ტყუილს.

2) ეს მოგონება იწერება არა მხოლოდ ბოლშევიკების კაი კაცობის დასადასტურებლად, არამედ უმთავრესი მიზანი სხვაა – უნდა გამოჩნდეს, რომ ილია ჟანდარმერიამ მოკლა და უნდა წარმოჩინდეს ჯაშის როლი.

მეორე მამალი ტყუილი: გიგო რცხილაძე ამტკიცებდა, რომ **„ილია მოჰკლა მეფის ჟანდარმერიამო... ამ აზრს იზიარებენ ლასხიშვილი, ილია ნაკაშიძე".**

არადა ლასხიშვილისა და ილია ნაკაშიძის სიტყვები, წერილები იმდროინდელ პრესაში დაბეჭდილია. მეფის ჟანდარმერიას კი არა, სწორედ ბოლშევიკებს ადებდნენ ხელს. ყველა ესენი ფედერალისტები იყვნენ. სწორედ ფედერალისტების გაზეთებმა პირველივე დღიდან მესამედასელებს დასცხეს ილიას მკვლელობის გამო. რას ვერწმუნოთ, 1907 წელს და შემდგომ წლებში ამ პირთა წერილებს თუ 30 წლის შემდეგ პარტიული კარნახით დაწერილ

მოგონებას, რომელშიც პოეტი სულ სხვა რამეებს ალაპარაკებს ცნობილ ფედერალისტებს?

3) კიდევ ერთი მამალი ტყუილი: **ციხიდან გაქცეულ ილიას მკვლელს ყაჩაღმა ტყვია დაახალა და იქვე დასცა, „კაკოს" ავტორი როგორ მოჰკალო.** ციხიდან ფშავლიშვილი გაიქცა და ის პოლიციამ მოჰკლა. ამ უტყუარ ფაქტსაც კი იდეოლოგიური მოსაზრებით „ალამაზებს" შანშიაშვილი. რომ ეთქვა, პოლიციამ მოჰკლაო, რაღაც არ გამოდიოდა. პოლიციაც და ჟანდარმერიაც ხომ მეფის მთავრობისა იყო? ის, რომ მეფის მთავრობამ მოსპო თავის მიერ მოსყიდული მკვლელი, ლოგიკაში არ ჯდებოდა, ადგა და ისე მოიგონა ეს ამბავი, როგორც უფრო ლოგიკური იქნებოდა ბოლშევიკებისათვის.

ამ ტყუილების შემდეგ ძნელია ენდო მოგონების ავტორს, რაც შეეხება ჩხუბის ეპიზოდს, თემისთვის ნაკლებად საინტერესოა, რას წერს ავტორი მართალს და რას არა, ფსიქოლოგიურად უფრო ის სურათი იხატება, როცა ცილისწამების გამო გამწარებული კაცი წონასწორობას კარგავს.

მაგრამ შთაბეჭდილებები სუბიექტურია და არანაირი დასკვნის საფუძველს არ იძლევა. რაც შეეხება ხალხისგან ჯაშის ცემას. ჩხუბამდე ის არავის უცემია და თუ ჩხუბის დროს წამოაძახეს ეს ილიას მკვლელიაო, -ბუნებრივია ხალხის რეაქცია.

ჯაშზე რომ ასეთი ჭორი აგორებული იყო, ფაქტია და ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

რაც შეეხება ილიას დის სიტყვებს, „თუ როგორ მოაბეზრა ჯაშმა თავი, სანამ ილია მოურავად მიიღებდა" და რომ იგი „სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ჯაში ილიას მიუჩინეს, რათა ბოლოს შავი ზრახვები სისრულეში მოეყვანა მეფის მთავრობას", ესეც სიცრუეა, თან შეურაცხმყოფელიც ილიას დისთვის. ჯაშის მოგონებებს 1908 წელს არ გამოეპასუხა – ტყუილებს წერო, მერეც არაფერი ამ საკითხზე არ დაუწერია და 1920 წელს შანშიაშვილს უთხრა სიმართლე? ან ეს „სიმართლე" შანშიაშვილმა მხოლოდ 1937 წელს გაიხსენა?

ჯერ-ჯერობით ჩვენ მხოლოდ ერთ საკითხზე ვმსჯელობთ, იწერება თუ არა 1937 წელს აშკარა ტყუილები.

ამ ერთ პატარა მოგონებაში რამდენიმე ეპიზოდი რომ აშკარად გამიზნული სიცრუეა, ვფიქრობ, ფაქტია. მეცნიერი ამ მოგონებას რომ უტყუარი ისტორიული წყაროს კლასიფიკაციას მისცემს, მას ან ლოგიკა ღალატობს, ან შეგნებულად თავადაც სიყალბის გზაზე დგას.

მეორე მოგონება, რომელიც ჯაშს ამხელს, გახლავთ ფილიპე გოგიჩაიშვილის ზემოთ ჩვენს მიერ დაბეჭდილი წერილი „როგორ იწერებოდა ნუ თუ?"

უკვე ვთქვი, რომ არც ამ წერილში, როცა ის 1913 წელს გამოქვეყნდა და არც 1913 წელს დასტამბულ გოგიჩაიშვილის მეორე წერილში – „უკვდავი ბოროტება". ჯაშის ხსენება არ არის. ავტორი ლანძღავს ფილიპე მახარაძეს. 1937 წელს კი ქვეყნდება გოგიჩაიშვილის იგივე წერილი – „როგორ იწერებოდა ნუ თუ?" სადაც ხსენება აღარ არის ფილიპე მახარაძისა, სამაგიეროდ ლაპარაკია იმაზე, რომ ჯაში წინააღმდეგი იყო 1905 წელს „ივერიაში" ილიას პასუხის დაბეჭვდისა, რომ ის სტამბის მუშების გაფიცვით იმუქრებოდა, რომ მან ადრე გაფიცა სტამბის მუშები და სხვა.

არ არის გასაკვირი, თუ ჯაშის ცოლს მიუგზავნეს გუგუშვილის ასისტენტები, ქმარზე ასე და ისე თქვიო, თუ იტყვი, აგაშენებთ, თუ არა და დაგაქცევთო. ეს „ასისტენტები" რატომ ფილიპესაც არ მიადგებოდნენ? რატომ ფილიპე გოგიჩაიშვილს? იმის გამო, რომ მის სიტყვას განსაკუთრებული ფასი ჰქონდა, სწორედ გოგიჩაიშვილის სტუდენტი იყო პ.გუგუშვილი, აქედან გამომდინარე, სანდო ხდებოდა თვით გუგუშვილის ნაშრომიც. ალბათ ბევრი რამ თავისი მასწავლებლისაგან, „ივერიის" ყოფილი რედაქტორისაგან იცის ილიას მკვლელობის შესახებო – იფიქრებდა ხალხი.

ის, რომ ცნობა, ჯაშის ვითომდა „ივერიაში" ილიას საწინააღმდეგოდ მუშაობის შესახებ ყალბია, ჩანს იქიდან, რომ 1908 წელს როცა ჯაშმა აღწერა როგორ მოხვდა „ივერიაში" და შემდეგ მოურავად, მას არავინ გამოპასუხებია. სტამბის მუშებიდან დაწყებული, რედაქტორით დამთავრებული. აბა წარმოიდგინეთ, ჯაში, ასეთი საქმეების მომქმედი, ილიაზე, 1 წლის შემდეგ გარდაცვალებიდან, თბილ წერილს აქვეყნებს და არავინ ხმას არ იღებს, მაშინ, როცა ჯაშს კი არა, უკვე თვით პარტიას უბედავენ მხილებას. მაგრამ კიდევ უფრო უტყუარი დოკუმენტი არსებობს.

1924 წელს, როცა ილიას ლანძღვა სანაქებო საქმედ ითვლება, დიმიტრი ჯაშის ძმა უშანგი ჯაში, ჟურნალ „ჩირაღდანში" (№12-13) გამოაქვეყნებს მოგონებას – „ცოტა რამ პირველი გაფიცვების შესახებ თბილისის სტამბებში".

უშანგი ჯაში ამ მოგონებას აქვეყნებს ილიას ლანძღვის მიზნით და ბოლშევიკების დროში ხალხს შეახსენებს იმათ დამსახურებებს, ვინც სტამბებში გაფიცვებს აწყობდნენ, ანუ ვინც ახალ დროში გმირებად ინათლებოდნენ. ამ მოგონებაში ერთი სიტყვიც

კი არ არის ნათქვამი საკუთარი ძმის, დიმიტრის „გმირობის" შესახებ. თუ დიმიტრი ჯაში „ივერიაში" ობსტრუქციებს აწყობდა, ძმა რატომ დაუკარგავდა ახალი დროისათვის აწ უკვე სანაქებო საქციელს? დიმიტრი მაშინ გარდაცვლილი იყო და არც ილიას მკვლელობაში სდებდა ვინმე ბრალს.

აი, ეს მოგონება:

ცოტა რამ პირველი გაფიცვების შესახებ თბილისის სტამბებში

პირველად მუშათა გაფიცვა ტფილისში დაიწყო მაქსიმე შარაძის სტამბაში; ეს სტამბა ეკუთვნოდა ბერებს, რომლებიც სცემდენ სხვადასხვა „წმინდანების" წიგნაკებს და ხალხში ავრცელებდენ; აქ იბეჭდებოდა გაზეთი „ივერიაც". აუტანელ პირობებში იყო გაზეთზე მუშაობა; ხშირად მუშები 18 საათსაც კი მუშაობდნენ. ამ აუტანელმა მუშაობის პირობებმა გამოიწვია გაზეთ „ივერია"-ზე გაფიცვა 1898-1899 წლებში, რამაც ორი კვირა გასტანა.

ამ გაფიცვას მაშინ ხელმძღვანელობდენ გარედან ერასტო ჩანტლაძე, ვლასა მგელაძე და ვალერა ბილანიშვილი. იმ ხანებში მათი მეთაურობით ტფილისში აქა იქ იმართებოდა მუშათა წრე. ამ წრეში დადიოდენ ისეთი ამხანაგები, როგორც სოსო ჯუღაშვილი, სევერიან ჯუღელი და სხვ.

ერთი ასეთი წრე შარაძის სტამბაში მუშებისათვის მოწყობილი იყო არსენალის ქუჩაზე ყაზარა მეარყიშვილის სახლებში, სადაც მას მაშინ პატარა საწვრიმალო დუქანი ჰქონდა. მის სახლებშიც იმ დროს ბლომათ ცხოვრობდენ შარაძის სტამბის მუშები; აქ ინახებოდა, სხვათა შორის, შარაძის სტამბაში აწყობილი შრიფტი, რომ მისგან შინაური საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო საჭიროების დროს მისი ბეჭდვა. მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა აწყობილი პროკლომაცია აქ იბეჭდებოდა, თუმცა ცუდათ, მაგრამ მაინც გამოდიოდა საღებავით გასვრილი. ეს ხდებოდა ბოლომდე ზვიადაძის ოთახში, მას ამაში ეხმარებოდა ერასტო ჩანტლაძე.

ამ სახლებში ხშირად დაიარებოდა სოსო ჯუღაშვილი, რომელიც პროპაგანდას უწევდა უმეტესად მარტო სტამბის მომუშავეს. მას მოჰყავდა მდაბიო და ჩვენთვის გასაგებ ენაზე მაშინდელი გერმანიის მუშების ეკონომიური მდგომარეობა; ის ეხებოდა გერმანიის მუშათა კლასიურად დარაზმვას და სოციალ-დემოკრატების მაშინდელ ხელმძღვანელობას.

კარგად მახსოვს, როცა ს. ჯუღაშვილი შეეხო გერმანიის რკინის გზის განვითარებას და მოიყვანა მაგალითი ბერლინის შესახებ, რომლის მიდამო რკინის გზის ქსელით არის დახლართულიო.

ასეთი წრეები ხშირად იმართებოდა ტფილისის სხვადასხვა რაიონებში, სადაც დაიარებოდენ მოწინავე ინტელიგენტები და მუშებში შეგნება შეჰქონდათ. ეს იყო 1898-1899 წლები.

ამ წრეების საშუალებით მუშებიც იწაფებოდნენ და ემზადებოდნენ მომავალი ბრძოლისათვის. ამის ზეგავლენით მოხდა გაზეთ „ივერია"-ზე გაფიცვა, რომელიც მაშინ გაუგებარი იყო ქართველი მოღვაწეებისათვის. ამ გაფიცვამ ძლიერ გააბრაზა ილია ჭავჭავაძე, როგორც ქართველ თავად-აზნაურთა იდეოლოგი; მან ველარ მოითმინა მუშების ასეთი „თავხედობა" და პოლიციას მიმართა, რომ მას ზომები მიეღო „ურჩების მოსაჭკვიანებლად". „ივერიის" რედაქციაში იმ დროს და შემდეგაც მდივნის თანამდებობას ასრულებდა არტემ ახნაზაროვი, რომელიც სრულის ნდობით იყო აღჭურვილი ი.ჭავჭავაძის მიერ. აი ამ არტემ ახნაზაროვმა შეადგინა განცხადება და მიმართა პოლიციას მუშების დასამორჩილებლად, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი, და „ივერიის" ასოთ-ამწყობები პოლიციაში დაიჭირეს. როგორც ფაქტი, ეს უნდა აღინიშნოს ა.ახნაზაროვის წარსული „მოღვაწეობიდან". აქ საკვირველია ერთი რამ, ი.ჭავჭავაძეს საზოგადო სომხის ერი ძულდა, მაგრამ, როგორ მოხდა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით და ნდობით უყურებდა ა.ახნაზაროვს, როგორც სომეხს, და მთელი რედაქციაც მის სრულ განკარგულებაში იყო იმ ხანებში, ეს რაღაც გაუგებრობას იწვევს...

შემდეგ ტფილისის სტამბებში გაფიცვებმა ხშირი ხასიათი მიიღო. ერთი ასეთი გაფიცვა ქართველთა ამხანაგობის სტამბაში მოხდა დიდი ვანქის ქუჩაზე 1901 წელს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვანო ბოლქვაძე, ვ.ბილანიშვილი, ერასტო ჩანტლაძე და სხვ.

ეს გაფიცვა ეკონომიური მოთხოვნილებით დაიწყო და პოლიცმეისტერთანაც კი წავიდნენ მუშები, რომ საქმე მშვიდობიანად დამთავრებულიყო. მუშები ითხოვდნენ 9 საათის სამუშაო დღეს, 11-ის მაგივრად, რაც მოიგეს კიდეც.

ამ სტამბას განაგებდა ალ. ჯაბადარი; ის „ქართველ მოღვაწედ" ითვლებოდა და არ მოეწონა თავისი სტამბის მუშათა გაფიცვა. მას სირცხვილად მიაჩნდა განსაკუთრებით ქართველი მუშის გაფიცვა; ამას ის სთვლიდა „ღალატად" ქართველი ხაზეინების წინაშე.

მას კვერს უკრავდა მისი სტამბის უფროსი ასოთ-ამწყობი დიომიდე კილაძე და ყოველივე ზომას ხმარობდა ქართველი ასოთ-ამწყობების მიმართ, რომ ისინი არ აყოლოდენ „ბუნტოვშჩიკებს". თითო-ოროლას მეტი მას ყურადღება არავინ აქცევდა.

დიომიდე კილაძე დაბეზღებასაც არ თაკილობდა და ხშირად ჯაბადარს უთითებდა ამა თუ იმ მუშაზე, რომელსაც ის ამოიჩემებდა.

ერთ ასოთ-ამწყობს ვანო ბოლქვაძემ დაავალა ასოების გამოტანა სტამბიდან საიდუმლო სტამბისათვის 1901 წელს. ეს მუშა ღამე გაზეთ „ცნობის ფურცელზე" მუშაობდა და მოსახერხებელიც იყო ასოების გატანა, რაც იმ ხანებში ხშირად ხდებოდა ტფილისის სტამბებში და საიდუმლო სტამბებისათვის ასოები ამნაირად გამოჰქონდათ, მის კომპლექტს ავსებდენ ასეთი მოხერხებით.

როცა ამხანაგმა დრო შეურჩია და მიადგა ასოების უჯრედებს მისი ჯიბეში ჩასაყრელად, ამ დროს ის შემჩნეული იქნა დიომიდე კილაძის მიერ. თუმცა „ცნობის ფურცელს" დ.კილაძე არ აწყობდა, ის მხოლოდ გაზეთის მეტრანსპაჟობას ეწეოდა. ის მაშინ მხოლოდ ჟურნალ „მოამბეს" აწყობდა. გაზეთის აწყობამდე ის ღამის 1-ლ და ორ საათამდე „მოამბე"-ზე მუშაობდა, შემდეგ გაზეთის გვერდებს ჰკარავდა და ყველაზე ბოლოს თვითონ მიდიოდა სტამბიდან სახლში.

მის მიერ შემჩნეული ამხანაგი მეორე დღეს დაიბარა ალ.ჯაბადარმა და მას ანგარიში.მისცა და სტამბიდან დაითხოვა, თანაც დაუმატა, რომ მას ქართველთა ამხანაგობის სტამბაში მეტი ფეხი აღარ შეედგა. ამ ამხანაგის დათხოვის მიზეზი იყო დიომიდე კილაძე მის მიერ შემჩნეულ ასოების გატანაში, რაც მან ჯაბადარსაც შეატყობინა.

საზოგადო, ქართველ ნაციონალურ ბურჟუაზიას ძლიერ უყვარს თავისუფლებაზე ყვირილი და თავის თავს „რევოლუციის" მოღვაწედაც კი ასაღებდა ერთ დროს ხალხის თვალის ასახვევად მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, მაგრამ საქმით ყოველთვის სდევნიდენ მუშებს, რომელნიც კი გაბედულად გამოდიოდნენ და მართლა სისხლს ღვრიდენ ქუჩებში ნიკოლოზის ჯალათებთან.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ალ.ჯაბადარს ყოველი პროკლამაციის ქუჩებში გავრცელება აცახცახებდა: „ვაიმე, ჩემი სტამბა არ დამიკეტონ; ვაიმე ჩემს სტამბაში დაბეჭდილი არ ეგონოს ჟანდარმერებსო" და სხვ. იქ მართლა შემდეგ წლებში ხშირად იბეჭდებოდა

ჩუმ-ჩუმად პროკლამაციები პოლიტიკური ხასიათის სხვადასხვა ენებზე.

აი ასეთ პატარა გაფიცვებით იზრდებოდა დიდი რუსეთის რევოლუცია, რომლის სათავე დღეს მხოლოდ მის ნამდვილ მესვეურს – კომუნისტურ პარტიას – უპყრია ხელში და მუშისა და გლეხის ნამდვილი ნებისყოფის გამომხატველი თვითონ არის.

ასოთ ამწყობი უშ. ჯაში

ამ მოგონების ავტორი ილიას მოყვარული რომ არ ჩანს, ფაქტია, სოციალისტების დაქირავებული რომ ჩანს, ესეც ფაქტია (ან მამალ ბოლშევიკს რა დაქირავება სჭირდებოდა?). სურათსაც შეგნებულად ამუქებს, ილიას სტამბის მუშები არავის დაუჭერია, ისინი მხოლოდ დაკითხვაზე ჰყავდათ (მათ „ივერიიდან" შრიფტი მოიპარეს). არც ჯაბადარს ჩაუდენია დანაშაული, თუ საკუთარი სტამბიდან შრიფტი არ მოაპარინა მუშას, მით უფრო, იგი კი არ დაუჭერინა, დაითხოვა. მაგრამ ჩემი მიზანი არ არის ძმებ ჯაშების კაი კაცობა ვამტკიცო. რაც ძნელი ამოცანა იქნება, როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ.

ვერსად ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ ოლღამ სასამართლო პროცესზე მისცა ჩვენება, სადაც ამბობს, ილია მწერდა, ჯაში თაღლითი აღმოჩნდა და მალე შემცვლელი უნდა ვიპოვოო.

ჩემი ამოცანაა, გაირკვეს სიმართლე. იყო თუ არა ჯაში გარეული ილიას მკვლელობაში, ანუ იყო თუ არა მეფის მთავრობა ილიას მკვლელობის შემკვეთი.

ფაქტია, ჯაშს როგორც ასოთამწყობს „ივერიაში" მუშაობა მართლა ილიას საწინააღმდეგოდ რომ გამოეყენებინა, სპეციალურად ამ თემაზე დაწერილ წერილში ძმა „დამსახურებას" არ დაუკარგავდა.

ზემოთ აშკარა სიყალბის რამდენიმე მაგალითი მოვიტანე. კიდევ უფრო სასაცილოა სხვა არგუმენტები, რომელნიც საბჭოთა ისტორიკოსებმა მიაწოდეს ხალხს და რასაც აჰყვა ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსიც.

●

ბერიას შეკვეთის შემდეგ ილიას ყოფილი მოურავის წინააღმდეგ იმდენი „სამხილი" იქნა მოგროვებული, ყველა მათგანი ერ-

თად რომ გამოაქვეყნოს კაცმა, მოზრდილი ტომი შეივსება. ყველაფერს მოცულობის გამო ვერც წარმოგიდგენთ და არც ამის საჭიროება არ არის, რადგან მთელი ეს ბრალდებები, დომინოს პრინციპით, ერთი მთავარი არგუმენტით ხუხულასავით ირღვევა.

ვიდრე ამ მთავარ არგუმენტზე მოგახსენებდეთ, ნიმუშისათვის წარმოგიდგენთ იმ „წყაროებს", რომელთა მსგავსია ყველა დანარჩენი, რაც ითხზვებოდა ბოლშევიკების დროში და რასაც დღესაც სანდო წყაროებად იშველიებენ.

ერთ-ერთ ნაშრომში ვკითხულობთ:

„ლევან ბოძაშვილი მოგვითხრობს, რომ დუშეთის რაიკომში პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგედ მისი მუშაობისას დუშეთში გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარედ ზემდგომი ორგანოების რეკომენდაციით (ცხადია, უპირველესად ვისი!) ჩამოვიდა ვინმე ბერბიჭაშვილი. რაიკომში მთხრობელისა და აგრეთვე პირველი და მეორე მდივნისათვის უკანასკნელს ჩვენთვის საინტერესო ამბები მოუყოლია. უღიარებია, რომ მისთვის და მისი „ამხანაგისათვის" დაუვალებიათ ილიას მოკვდინება, „მოვემზადეთ, ვნახეთ პირადად ილიას მოურავი. მასაც შევატყვეთ, რომ კმაყოფილი არ იყო. იმ დროს ილია ქალაქში ყოფილიყო წასული და დაებარებინა მალე დაბრუნება. ჩვენ შევთანხმდით მოურავს გაეგო, ილია როდის დაბრუნდებოდა და სასწრაფოდ ჩვენთვის შეეტყობინებინა. მოურავი ადვილად დაგვეთანხმა, მან სამყოფელი ადგილი იცოდა, ერთხელ ჩვენთან მოიჭრა და გვაცნობს **ილია ზეგ აუცილებლად** მოვაო". ამის შემდეგ რაც მოხდა, ეს კარგად არის ცნობილი.

მაგრამ ჯაშის არამზადობას ილიას მკვლელობის საქმეში კიდევ უფრო აეხადა ფარდა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე (1941-1942 წლებში). მსჯავრდებულმა თავის ჩვენებაში განაცხადა, რომ „მკვლელობის წინა დღეს საგურამოს თავზე ამოვიდნენ ჯაში, ვანო ინაშვილი და თედო ლაბაური. იგივე აღიარა ხიზანიშვილმაც. სოფლიდან ამოიყვანეს „დროული", ე.ი. ჭარმაგი, ხნიერი კაცები, დაახლოებით 12-13. ასე რომ, სულ შეკრებილან 19-20-მდე. „ინაშვილმა და ჯაშმა ამოიტანეს თან გაზეთი და დაინყეს ლაპარაკი მემამულეებზე. განსაკუთრებით ლაპარაკი იყო მწერალ ილია ჭავჭავაძის შესახებ" – აღიარებდა ბერბიჭაშვილი. ჯაშს, ჩანს, საგურამოელ გლეხკაცთა წასვლის შემდეგ, უთქვამს: „მე დღეს თუ არა, ხვალ უნდა წავიდე აქედან. მაგრამ თქვენ თუ არ მოიშორეთ,

გახარება არ გექნებათო". ბერბიჭაშვილს იგივენაირი აზრი ამ სახითაც განუცხადებია: „ჯაშმა და ინაშვილმა თქვეს, ჩვენ რა გვიჭირს, ჩვენ მოსამსახურე ხალხი ვართ და ვაი თქვენი ბრალიო, რომ თქვენ, გლეხები მაგათ ხელში იქნებით"-ო. აქედანაც ჩანს ჯაშის საძრახისი როლი ილიას მკვლელობის საქმეში.

მოგახსენებთ ერთ ფაქტსაც, – განაგრძობს მკვლევარი, – რომლის შესახებ წყარო დაცულია ალ.კოჭლავაშვილისეულ ფონდში და რომელიც დღემდე უცნობია საზოგადოებისათვის. მთხრობელი ალ. კოჭლავაშვილი, რომელიც პირადად დაჰკითხავდა ბერბიჭაშვილს, გადმოსცემს ერთ-ერთი უკანასკნელი დაკითხვის ამბავს: „ილია ჭავჭავაძის მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე დიმიტრი ჯაშს თავისთან დაუბარებია გიორგი ბერბიჭაშვილი. უკანასკნელი მისულა ჯაშთან და საუბარში კარგად (!) შემოღამებიათ. ჯაშს ვახშამი მოუწყვია და შემდეგ უთქვამს: ახლა უკვე გვიან არის და სადღა მიდიხარ, აქვე დაიძინეო. მართლაც გიგლა ბერბიჭაშვილი იმ ღამეს (!) იქ დარჩენილა, ხოლო მეორე დღეს მეორე ნახევრამდე ხან ბაღში, ხან სად გაყოლია ჯაში და შემდეგ ჯაშს, შებინდების წინ უთქვამს: მცხეთაში მივდივარ და გამომყევიო. ისიც წაყოლია. მცხეთაში ბერბიჭაშვილი ერთ ადგილას გაუჩერებია და სადღაც წასულა: დაახლოებით ორი საათის შემდეგ დაბრუნებულა და გიორგისთვის უთქვამს: – წავიდეთ, შენც გეძახიანო. გიორგი უსიტყვოდ გაყოლია ჯაშს და მცხეთის პოლიციის უფროსის ოთახში ერთად შესულან. უფროსს ისინი კარგად მიუღია და შემდეგ გიორგისთვის უთქვამს: – რასაც ეს გეტყვის შეასრულე და შემდეგ კიდევ მოგელაპარაკებითო. „მე ხმა არ ამომილია. თავი დაუკარი და ორივენი გამოვბრუნდით. გზაში ვკითხე ჯაშს : რა უნდა გავაკეთო მეთქი? ჯაშმა მიპასუხა გეტყვიო. მართლაც რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დამიძახა, ილიას სახლის ზევით ავედით და აქ სხვებიც იყვნენ – ინაშვილი, ლაბაური, ფშავლიშვილი და ფეიქრიშვილი. აქ ჯაშმა სთქვა: ამ დღეებში თავადი თბილისში წავა და იქიდან რომ დაბრუნდება, თავიდან უნდა მოვიშოროთო. სირცხვილია, სხვაგან ბატონები მოჰკლეს და ჩვენ კი ხელს არ ვანძრევთ. იქიდან აღარ დავშლილვართ. ხან ჯაშს, ხან ინაშვილს ჩვენთვის საჭმელი მოქონდათ და რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ილიას დაბრუნება გავიგეთ, ტყე-ტყე წავედით წიწამურისკენ და იქ ჩავუსაფრდით".

ასევე ერთ-ერთი ბოლო დაკითხვისას ბერბიჭაშვილს ალექსანდრე კოჭლავაშვილისათვის უთქვამს: „აძაღლდეს ჯაში და მცხე-

თის პოლიციის უფროსი"-ო (ეს ალექსანდრე კოჭლავაშვილს შემდგომ არაერთგზის გაუმეორებია ვიწრო წრეშიც)".

შევადაროთ მკვლევარისგან მოხმობილი ეს სამი წყარო ერთმანეთს და მივიღებთ, უკაცრავად პასუხია, სრულ აბდაუბდას (ავტორს აქ არა და სხვაგან ვასახელებ, რადგან მისი წიგნის სხვა თავები სერიოზული შრომის ნაყოფია).

პირველი მთხრობელი – ბოძაშვილი ჰყვება, რომ რაიკომში რაიონის პროფკავშირის ხელმძღვანელად ზემდგომი ორგანოებისგან მოვლინებულ ბერბიჭაშვილს „უღიარებია", რომ ილიას მოკვდინება მისთვის დაუვალებიათ, მას კი დახმარებისათვის მიუმართავს ჯაშისათვის (ამ დროს ილია ქალაქში ყოფილა წასული). ჯაში დათანხმებულა, მათი სამალავი ადგილი სცოდნია. როცა ინფორმაცია მიიღო მისულა და უთქვამს, „ილია ზეგ აუცილებლად მოვაო".

ამ მოგონებიდან იმის გარდა, რომ ბერბიჭაშვილი რაიკომის მუშაკებთან ტრაბახობს ილიას მკვლელი ვარო, ყველაფერი არის სიყალბე..

1) ილიამ ჯაში საგურამოში წაიყვანა 1907 წლის ივნისში, მას შემდეგ თბილისში წავიდა მხოლოდ ერთხელ, 27 აგვისტოს. დაიბარა, ამ საღამოსვე დავბრუნდებიო. თუ მაინცდამაინც იმ დღეს ნახა ბერბიჭაშვილმა ჯაში, ილიას ჩამოსვლის დროს იქვე გაიგებდა.

2) თუ 28 აგვისტოს ნახა, მოურავი ვერ ეტყოდა, როდის ბრუნდებოდა ილია, რადგან წინა საღამოს არ დაბრუნდა და აღარც ჯაშმა იცოდა, კონკრეტულად რომელ დღეს ავიდოდა ილია საგურამოში.

3) თუ 29 აგვისტოს მივიდა ბერბიჭაშვილთან მოურავი, არ ეტყოდა ილია ზეგ ბრუნდებაო. უნდა ეთქვა ხვალ დაბრუნდებაო, რადგან მხოლოდ მკვლელობის წინა დღეს შეიტყო, რომ ილია 30 აგვისტოს მოდიოდა.

იქნებ ეს უმნიშვნელო დეტალია, ვთქვათ სიზუსტით ვერ გადმოსცემს მთხრობელი, აერია „ხვალ" და „ზეგ" ერთმანეთში ან იქნებ სულაც ჯაშმა 28-ში სხვა წყაროდან შეიტყო, რომ ილია ზეგ დაბრუნდებაო? ამ მოგონებიდან ერთი რამ მკაფიოდ ჩანს. ჯაშისათვის ილიას მოკვლის საიდუმლო მკვლელობამდე მხოლოდ 3-4 დღით ადრე გაუმხელიათ (ილიას ქალაქში ნასვლის შემდეგ). ისიც ბერბიჭაშვილს და მხოლოდ ის დაუვალებია, ილიას მოკვლის დრო გაეგო. კი მაგრამ, ბერბიჭაშვილი სოციალ-დემოკრატი იყო და არა ჟანდარმერიის აგენტი. საიდან ჩანს აქ ან ჟანდარმერიის ან მოურავის ხელმძღვანელი როლი მკვლელობაში?

ამ მოგონებიდან ჩანს პირიქით, ჯაში სოციალ-დემოკრატებს ჩაურთავთ მკვლელობაში.

ან ეს ფრაზა როგორ ყიდის მოგონების ავტორს. „ერთხელ ჩვენთან მოიჭრა და გვაცნობა ილია ზეგ აუცილებლად მოვაო". „ერთხელ" კი არა, ან იმ ღამეს ან მეორე დღესვე უნდა მიჭრილიყო, მაგრამ მთხრობელმა უბრალოდ არ იცის, რაზე ილაპარაკოს, მის ნაცვლად სხვა მოგვითხრობს.

ახლა მეორე სიუჟეტი ვნახოთ, თან რომ მოსდევს პირველს.

საიდან ჩანს ჯაშის საძრახისი როლი მკვლელობის საქმეში? აი, საიდან: თურმე მკვლელობის წინა დღეს საგურამოს თავზე ასულან ინაშვილი, თედო ლაბაური და ჯაში, თან ილიას საწინააღმდეგო გაზეთები აუტანიათ. იქ ყოფილა 12-13 საგურამოელი ხანდაზმული გლეხი. ილიას მკვლელობაზე მსჯელობენ. ამას იგივე ბერბიჭაშვილი 1941 წელს სასამართლო პროცესზე ჰყვება. იგივე უღიარებია ხიზანიშვილსაც. ჯაში ამ შეკრებაზე განსაკუთრებით აქტიურობს: მე რა მიჭირს, აქედან წავალ, თქვენ თუ თავადი არ მოჰკალით, რა გეშველებათ მაგის ხელშიო.

ახლა ეს სიუჟეტი გავჩხრიკოთ ახლოით.

დავიწყოთ იმით, რომ ხიზანიშვილს იგივე არსად არ უღიარებია, ის მკვლელობის შემდეგ დააპატიმრეს და მის ჩვენებებში მსგავსი არაფერია.

ამ საიდუმლო სერობაზე სულ 19-20 კაცი ყოფილა შეკრებილი, აქედან 12-13 საგურამოელი მოხუცი. კარგი, ეს მოხუცები 1941-1942 წლის სასამართლო პროცესის დროს ცოცხლები აღარ იქნებოდნენ, მაგრამ ყველა ერთბაშად ხომ არ ამოწყდებოდა 1908-1909 წლის სასამართლო პროცესის დროს? ილიას მკვლელობის შემდეგ, სექტემბრის თვიდანვე დაპატიმრებულ იქნა მზარეულიდან დაწყებული, ეჭვმიტანილი გლეხებით დამთავრებული მრავალი ადამიანი. ზოგი დაიკითხა მოწმის სახით, ზოგი ეჭვმიტანილის სახით. თვით მოურავი 3 თვე იყო სხვებთან ერთად დაპატიმრებული და დაჰკითხეს მოწმის სახით. ამ 12-13 გლეხიდან, რომელთაც 29 აგვისტოს ილიას მკვლელობა გადაუწყვეტიათ, ნუთუ არავინ დაიჭირეს და ნუთუ ერთმაც არ გასცა ჯაში, - საიდუმლო შეკრებას ისიც ესწრებოდაო? ამათ თავი დავანებოთ. ჩამოხრჩობამისჯილმა პატიმრებმა, ვთქვათ, ჯაში არ გასცეს, როგორც ოხრანკის აგენტი (შიში ჰქონდათ ან მისგან შველის მოლოდინი), ის 12-13 ხანდაზმული გლეხი შეეცოდათ და არცერთი არ გასცეს?

თურმე იმ შეკრებას თედო ლაბაურიც ესწრებოდა, – მეეტლე. ე.ი. თბილისიდან მკვლელობის წინა დღეს საგურამოში ასულა, შეკრებას დასწრებია და მერმე უკანვე გაბრუნებულა. დილით მან წამოიყვანა ილია, ხომ?

რაში სჭირდებოდათ მეეტლის თათბირზე დაბარება? ან იმ ჩვენებას რა ვუყოთ, მეეტლე წინა ღამეს სწორედ თბილისში რომ ნახეს და დაემუქრნენ, ხვალ ამ და ამ ადგილზე ეტლი უნდა გააჩეროო? რა ჰქონდა დასამუქრებელი ლაბაურს თუ ასე საიდუმლო თათბირებზე დარბოდა დიდი აქტივისტივით? და თუ მეეტლე იმ შეკრებას ესწრებოდა, მან ხომ მკვლელები პირველმა გათქვა, სწორედ თედო ლაბაურისგან გაიგეს მკვლელთა ვინაობა, კაცისმკვლელი ყაჩაღების დასახელების არ შეეშინდა, უფრო სწორად, იძულებული გახდა დაესახელებინა და ამ 12-13 მოხუცებულიდან როგორ არავინ ამხილა?

ახლა ბერბიჭაშვილის მესამე „ჩვენება" ვნახოთ, რომელიც ისტორიკოს კოჭლავაშვილს „ჩაუწერია": ილიას მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე დიმიტრი ჯაშს ბერბიჭაშვილი თავისთან დაუბარებია. საუბარში კარგად შემოღამებიათ. ჯაშს ვახშამი გაუმართავს მისთვის. იქვე დაუძინებია. მეორე დღეს ილიას ბაღში უსეირნიათ. შემდეგ ჯაშს ის მცხეთაში წაუყვანია. ორი საათი საღღაც უყურყუტებია, მერე მობრუნებულა და უთქვამს, – წავიდეთ შენც გეძახიანო. მიუყვანია პოლიციის უფროსთან. იმას კი ბერბიჭაშვილისთვის უთქვამს, რასაც ჯაში გეტყვის, – ის გააკეთეო.

ჯაშს იმჟამად არაფერი უთქვამს, რამდენიმე დღის შემდეგ კი დაუბარებია ინაშვილი, ლაბაური, ფშავლიშვილი და ფეიქრიშვილი, მათთან ერთად ბერბიჭაშვილიც. აი, აქ გაუმხელია ჯაშს – „ამ დღეებში თავადი თბილისში წავა და იქიდან რომ დაბრუნდება თავიდან უნდა მოვიშოროთო. სირცხვილია, სხვაგან ბატონები მოჰკლეს და ჩვენ კი ხელს არ ვანძრევთ"-ო.

ეს „ჩვენება" არა მარტო სიყალბის, მისი შემქმნელის ჭკუასუსტობის გვირგვინიც არის.

აბა გაიხსენეთ ზემოთ რას „ამბობს" ბერბიჭაშვილი, ილია ქალაქში იყო წასული და მე მივედი ჯაშთან, გავენდე და დავავალე თავადის ჩამოსვლის დრო რომ შეეტყობინებინაო.

ახლა პირიქით არის საქმე, ჯაში იბარებს ჯერ კიდევ ილიას ქალაქში წასვლამდე ბერბიჭაშვილს, ილიას მამულში ტოვებს, ავახშმებს, დააძინებს, დილით ბაღში ერთად დასეირნობენ. სხვათა შორის, მთელმა საგურამომ იცის, ვინც არის ეს ახატნელი ბერბი-

ჭაშვილი, რომ არის ცნობილი ყაჩაღი, ტერორისტი, რომ სწორედ ახატნელების ნათქვამია მისული ილიას ყურამდე. – ამ დღეებში თავადი უნდა მოვკლათო.

ამის მიუხედავად, მოურავი ჯაში არხეინად დასეირნობს ბერბიჭაშვილთან ერთად ილიას მამულში.

სასამართლო პროცესზე კი ამ ფაქტს ძეხორციელი ვერ იხსენებს...

„ხან ჯაშს, ხან ინაშვილს ჩვენთვის საჭმელი მოჰქონდათ". ინაშვილი ამ ყაჩაღებში მთავარი ყაჩაღი იყო, ჯაში კი ილიას მოურავი. თურმე საჭმელს მეეტლესთან და სხვებთან მოურავი და ყაჩაღთუფროსი ეზიდებოდნენ...

ერთი სიტყვით, ერთ წიგნში, ერთმანეთის გვერდიგვერდ მოტანილი სამივე სიუჟეტის „ერთი კაცის პირით" მონათხრობი, არა მხოლოდ სასაცილოდ ყალბია, არამედ პირველი მეორეს გამორიცხავს, მეორე პირველს და მესამე ორივეს.

ამ აბსურდს კი „მეცნიერული წყაროების" ფუნქცია დაეკისრა სქემაში – თვითმპყრობელობა – ოხრანკა – ჯაში – მკვლელობა.

ყველაზე გასაოგნებელი ის არის, რომ სინამდვილეში (და ეს არის მთავარი არგუმენტი) ჯაში არ იცნობდა აქ დასახელებულ პირთაგან არავის, მეეტლე ლაბაურის გარდა. ჯაში არ იცნობდა არც პავლე ფშავლიშვილს, არც გიგოლა ბერბიჭაშვილს, არც ვანო ინაშვილს. ეს კარგად ჩანს როგორც სასამართლო მასალებიდან, ისე ჯაშის ზემოთწარმოდგენილი მოგონებებიდან. გიგლა ბერბიჭაშვილმა 1941-1942 წლების სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ იგი დიმიტრი ჯაშს არ იცნობდა. ამ პროცესს ესწრებოდნენ მწერლები, მათ შორის გალაკტიონი და ლეო ქიაჩელი. პროცესს ესწრებოდა ჯაშის მეუღლე, დარია კოპლატაძე-ჯაში. იგი თავის მოგონებებში წერს: მიუხედავად იმისა, რომ ბერბიჭაშვილმა პროცესზე განაცხადა ჯაშს არ ვიცნობდიო, მოსამართლე ოდიშვილმა გამოაქვეყნა ილიას მკვლელობაზე წიგნი, სადაც ბერბიჭაშვილს ალაპარაკებს ჯაშზე იმას, რაც სურს. ამის გამო დარია ჯაშს უჩივლია ოდიშვილისთვის და წიგნის მეორე გამოცემა თვით პროკურატურის ბრძანებით ჩაშლილა. ბერბიჭაშვილი რომ ჯაშს საერთოდ არ იცნობდა, მის ამ განცხადებას პროცესზე ადასტურებს პროცესის სხვა დამსწრეც, მაგ. აკაკი ძიძიგური.

ერთი სიტყვით, ბოლშევიკების დროში გამოქვეყნებულ უკლებლივ ყველა მასალას, რომელიც ილიას მკვლელობაში ჟანდარმერიისა და მისი აგენტის ჯაშის როლს უსვამს ხაზს, ის ფასი აქვს,

რაც ზემოთწარმოდგენილ ვითომდა ბერბიჭაშვილის „მოგონებებსა" და „ჩვენებებს".

ბერბიჭაშვილი, რომელიც ჯაშს არ იცნობდა, როგორ მისცემდა ისეთ ჩვენებებს, რაც ზემოთ წარმოვადგინეთ? ეს ჩვენებები სხვადასხვა პირთა მიერ შეითხზა, ვითარცა ბერბიჭაშვილის ნაამბობი, ამიტომ არის ასეთი არადამაჯერებელი, ერთმანეთის საწინააღმდეგოც კი.

მაგალითად, თუ კაცს, სპეციალურად არ ჰქონდა ნაკვლევი ილიას მკვლელობის გარემოებები, მას საიდან უნდა სცოდნოდა მკვლელობის წინა დღეს სად იყო, ვთქვათ, მეეტლე ლაბაური? ამიტომ, ადგა და თბილისში მყოფი კაცი, ტყეში დაუსვა შეთქმულებს.

მაგალითად, თუ კაცმა არ იცოდა, რომ 27 აგვისტომდე ილიას საგურამოდან ფეხი არ გაუდგამს, არ იცოდა, რომ მის მამულს ორი სტრაჟნიკი და ერთი ურიადნიკი დარაჯობდა, იოლად დაწერდა ჯაშმა და ბერბიჭაშვილმა ილიას ბაღში ისეირნესო. მან ისიც არ იცოდა, ბერბიჭაშვილი ტერორისტი რომ იყო, რაც მთელმა საგურამომ უწყოდა.

ამ მოგონებების ავტორებისთვის მთავარია მოურავი და ბერბიჭაშვილი ერთმანეთს დაუკავშირონ, მიდავებით იმ დროში არავინ მიედავება. პარტიულმა მუშაკებმა დეტალები არც იციან. მკვლელთა ბიოგრაფიული დეტალები კი არა, „ასისტენტებმა", ანუ საშუალო რგოლის პარტიულმა მუშაკებმა და სუკის აგენტურამ თვით ილია ვინ იყო, ისიც კი არ უწყიან.

დეტალების არ ცოდნაზე მათ რა უნდა ედავო, როცა თვით მეცნიერთა ნაწილმა ზემოხსენებულ „ჩვენებებს", როგორც უტყუარ წყაროებს, ისე შეხედეს, ყოველგვარი კრიტიკული თვალის გარეშე.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, მათ შორის, ვინც ილიას მკვლელობაში 1937 წელს ხაზი გაუსვა ჟანდარმერიისა და ჯაშის როლს, შეხვდებით ისეთ დიდ მწერალსაც, როგორიც მიხეილ ჯავახიშვილი იყო და შეხვდებით მკვლელობის საქმის პირველ გამომძიებელს, 1907 წლისათვის დუშეთის მაზრის უფროსს ყარამან ფაღავას. ამ ორი კაცის სიტყვას სხვა ძალა ჰქონდა. ჯერ ერთი, მიხეილი დიდი ავტორიტეტია და მეორე, ჯავახიშვილი ჯაშს პირადად იცნობდა. ისინი ერთად მუშაობდნენ „ივერიაში". ჯაში სტილისტად იყო დაწინაურებული, მიხეილს კი ერთხანს რედაქტორის ფუნქციაც ჰქონდა.

როგორც დარია ჯაშის მოგონებებიდან ჩანს, მათ იმთავითვე არ უყვარდათ ერთმანეთი. რასაც ჯავახიშვილი 30 წლის შემდეგ წერს, წერს ან თავის შინაგან რწმენაზე დაფუძნებულ აზრს ჯაშის მიმართ, ან პრინციპით – „რაც არ უნდა იყო გმირი, სული მაინც არის ტკბილი". ბუნებრივია, მიხეილს როგორც „ივერიის" ძველ თანამშრომელს ბერიას კუდები მოსთხოვდნენ დაეწერა ის, რისი მოთხოვნაც არ გაუჭირდათ თვით ჯაშის ცოლისადმი და რა მოთხოვნითაც საკუთარი ძმა გაალანძღინეს უშანგი ჯაშს.

ის რომ მიხეილი ჯაშს და ჟანდარმერიას სდებს ბრალს, 30-იანი წლების კონიუქტურის შედეგია. მასზე, როგორც „ივერიის" ყოფილ თანამშრომელზე, უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული იძულება, მიხეილი ხომ ამ წლებში საშინელი წნეხის ქვეშ არის და არსებითად ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძვის. ჯავახიშვილს თვით ჯაში მართლა არ უყვარდა და არც ის არის გამორიცხული, რომ მას მართლა თვლიდა მკვლელობის მონაწილედ, მაგრამ ჟანდარმერია და მეფის მთავრობა რომ არაფერ კავშირში იყო, ეს მიხეილმა ყველაზე უკეთ უწყოდა. ილიას მკვლელობის შემდეგ მას ადამაშვილის ხელმოწერით ერთ-ერთ პირველს აქვს გამოქვეყნებული წერილი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

მიხეილი ფედერალისტთა პარტიაში იყო, ბეჭდავდა ფედერალისტთა გაზეთებში. ყველაზე მძიმე ცეცხლი სწორედ მათ გაუხსნეს ილიას მკვლელობის გამო სოც-დემოკრატებს. 1907 წელს, როცა ყველაზე გაბედულად დაესხა თავს სოც-დემოკრატებს, მიხეილს ჯაში არ გახსენებია...

1937 წლამდე ჯავახიშვილს სხვა პოზიცია არც ჰქონია, მაგრამ მიხეილზე იყო ყველაზე დიდი წნეხი, რაც იმავე წელს მისი დახვრეტით დამთავრდა.

რაც შეეხება ყარამან ფაღავას, ის უშუალოდ იძიებდა საქმეს და დიმიტრი ჯაშზე ეჭვი სწორედ მან მიიტანა, მისი მცდელობით იქნა ჯაში დაპატიმრებული, მაგრამ ფაღავამ ყველაზე უკეთ იცოდა, სასამართლოს უკანონო მოტივით არავინ გარეთ არ გამოუშვია. ვინც გაათავისუფლეს, გაათავისუფლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ნახეს სამხილები მათ დასაკავებლად, ამათ შორის იყო დ. ჯაშიც.

ასე რომ, ჯაშს 3-ჯერ მოუწია ილიას მკვლელობაზე პასუხისგება. პირველად 1907 წელს, მეორედ მენშევიკების დროში (თუმც მენშევიკებს ამის გამო არ დაუჭერიათ, მაგრამ ამ საქმეზეც დაკითხეს).

მესამედ გარდაცვალების შემდეგ 1941-1942 წელს. ის სამივეჯერ გამართლებულ იქნა. ყოველ შემთხვევაში, სსრკ-ს პროკურატურამ ორჯერ გასცა საბუთი, რომ ჯაში მკვლელობის თანამონაწილე არ არის. 1941 წლის სასამართლო მხოლოდ ფარსი იყო. მათ ძიების შედეგი კი არა, საზოგადოებრივი აზრის შექმნა აინტერესებდათ, – რომ ილია ჟანდარმერიამ მოკლა ჯაშის მეშვეობით. სასამართლო სტენოგრამა, ჩვენებები, სრულყოფილად არ გამოაქვეყნეს. სასამართლო დახურული იყო. საზოგადოებრივი რეზონანსი კი შექმნეს და სხვადასხვა პუბლიკაციებით მათთვის საჭირო შედეგიც მიიღეს.

სასამართლოს რომ ილია კი არა, ბოლშევიკებისათვის მკვლელთა ლაქის ჩამორეცხვა აინტერესებდა მხოლოდ, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ორი სასამართლოს მიერ ორგზის დადგენილ მკვლელს, გიგლა ბერბიჭაშვილს საჯაროდ დახვრეტა გამოუტანეს, სინამდვილეში კი არაფერიც არ დაუხვრეტიათ.

დახვრეტა 10-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს. ერთი ვერსიით, მაშინდელი ცეკას მდივნის კანდიდ ჩარკვიანის თქმით, 5 წლის შემდეგ აქვე, საქართველოში მომკვდარა. მეორე ვერსიით, რასაც მასთან მჯდომი პატიმარი ყვება, 1942 წლის ზაფხულშივე ციხის საავადმყოფოში გადაუყვანიათ. იქ ამ პატიმრის დედის მიერ მიტანილ საჭმელს მიასკდა ნაშიმშილევი და ჭამით მოკვდა... კი, ჭამით მოკვდებოდა!

ჩვენ არ გაგვიცია პასუხი რამდენიმე კითხვაზე, კერძოდ, მთავარი სქემა ჟანდარმერიის მკვლელობის ორგანიზატორად გამოყვანის საქმეში არის ასეთი.

ჟანდარმერიამ მოაკვლევინა მოურავი მოსე მემარნიშვილი. თავისუფალ ადგილზე შეუგზავნა ილიას ახალ მოურავად თავისი ჯაშუში. დანარჩენი იყო ტექნიკის და დროის საქმე.

ვფიქრობ, ჯაშის ჩანაწერების ნაკითხვის შემდეგ ეს სქემა მთლიანად იშლება. 1) მოსე მემარნიშვილის მკვლელობა არანაირად არ ჩანს, რომ იყო შეკვეთილი. ეს მკვლელობა მოხდა ყოფით ნიადაგზე. მოსემ დააჭერინა დარაჯი პავლე ფშავლიშვილი. ეს პავლე გაექცა პოლიციას და შურისძიების ნიადაგზე მოკლა მოურავი. ეს რომ შურისძიება იყო და არა შეკვეთილი მკვლელობა ჩანს იმ ფაქტიდანაც, რომ მკვლელი წამებით ხდის სულს მოურავსაც და მის ცოლსაც. ფშავლიშვილს რომ თვით ილიას საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და იმჟამად ილიას მოკვლა გუნებაშიც არ გაუვლია, ივარაუდება იქიდან, რომ ტყეში ყაჩაღად გაჭრის შემდეგ ეს

ფშავლიშვილი მამას მიუგზავნის ილიას თხოვნით, – უთავდებოს მის შვილს.

უთხარით მაგას, ილია ჭავჭავაძე კაცის მკვლელებს არ მფარველობს-ო. იყო ილიას მკაცრი პასუხი.

ბოლო მომენტშიც კი ფშავლიშვილი მხოლოდ ოჯახის ამოწყვეტის მუქარით დაითანხმეს ილიას მკვლელობაში მონაწილეობაზე.

მაშასადამე, წინა მოურავის შეკვეთით მკვლელობა წინასწარ განზრახულად, - ილიასთან ჯაშუშის შეგზავნის მიზნით, არის უსაფუძვლო.

სხვათა შორის, სასამართლო პროცესზე ეტყობა მსგავსი კითხვა დაისვა, რასაც ვგებულობთ ილიას ნათესავის, ზაალ ჭავჭავაძის პასუხიდან – მემარნიშვილის მკვლელობას არავითარი ლოგიკური კავშირი ამ მკვლელობასთან არ აქვსო.

შეაგზავნა თუ არა ჯაში ჟანდარმერიამ?

არანაირი საბუთით, არანაირი ლოგიკით ეს არ ჩანს.

ჯერ ერთი, თუ ჯაში მენშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამხილეს, რომ ის 1909-1911 წლებში ჟანდარმერიის აგენტი იყო და ამის გამო დაიჭირეს კიდეც, რატომ არ ამხელდნენ მას, თუ ჟანდარმერიასთან ილიას მკვლელობის დროსაც თანამშრომლობდა?

მენშევიკების მეთაურმა ჟორდანიამ ნამდვილი მკვლელები მახარაძე და ბერბიჭაშვილი ციხიდან გააპარა. ე.ი. მისთვისაც უპრიანი იქნებოდა, თუ მკვლელობა მის ყოფილ მეგობრებს კი არა, სწორედ ჟანდარმერიას დაბრალდებოდა, მაგრამ ეს ვერსია არც განხილულა.

ასე რომ, რასაც ჯაში ყვება თავის ჩანაწერებში, რომ მას რეკომენრაცია გაუწია ილიას დამ, დის მოურავმა მიხეილ ჩიკვაიძემ, რომელიც ილიას სტუდენტობის მეგობარი იყო (თავის მხრივ, რეკომენდაცია გაუწია სტეფანე ჭრელაშვილმა, რომელიც ილიას თანამებრძოლი იყო) ჩანს, არის მართალი და შეგზავნას წინასწარი განზრახვით ადგილი არ ჰქონია.

ბოლოს და ბოლოს, როცა ჯაში აქვეყნებს თავის ჩანაწერებს, სადაც იმაზეა ლაპარაკი, რომ ყოყმანობდა წასულიყო თუ არა ილიასთან და თვით ილიამ დააჩქარა ეს საქმე, რეკომენდატორები, ერთის, ჩიკვაიძის გარდა, ცოცხალნი იყვნენ.

რაც შეეხება ფაღავას სიტყვებს, რომ ჯაში ჯერ კიდევ ილიას სიცოცხლეში ჟანდარმერიიდან გამოსული უნახავს და კითხვაზე, ამას აქ რა უნდაო, ჟანდარმს უპასუხებია – ეს ჩვენთან მუშაობსო, ესეც თეთრი ძაფით ნაკერია.

თუნდაც მაზრის უფროსს, არც ერთი ჟანდარმი საიდუმლო აგენტზე ასეთ ცნობას არ მისცემდა.

დარია ჯაში განმარტავს, ჩემი ქმარი შეეძლოთ ენახათ ჟანდარმერიიდან გამოსული, რადგან მუქარის წერილების მიღებასთან დაკავშირებით ილიამ გაგზავნაო.

საერთოდ, ფაღავას ჩვენებები ბერბიჭაშვილის პროცესზე, მიუხედავად იმისა, რომ მან ბევრი გააკეთა თავის დროზე ძიების სწორ კვალზე დასაყენებლად, ანგარიშგასაწევი აღარ არის. 83 წლის მოხუცს ასეთი მამალი ტყუილიც კი ათქმევინეს, – ილიას მკვლელობის გამო სოციალისტმა პატიმრებმა ციხეში გაფიცვა მოაწყესო...

მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც.

ილიას თანამებრძოლებმა ურთიერთობა გააგრძელეს ჯაშთან. თვით აკაკიმ, ვაჟა- ფშაველამ, ია ეკალაძემ, სოფრომ მგალობლიშვილმა. რა გამოდის? ეჭვი ჰქონდათ და სდუმდნენ?

ერთი სიტყვით, სქემა, თითქოსდა ჟანდარმერიამ შეგზავნა ჯაში ილიასთან, არის შეთხზული.

მეორე კითხვა, რატომ არ გაემგზავრა ჯაში დროულად ილიას შესახვედრად. რას მიძვრებოდა კაკალზე? დროზე რომ გამოცხადებულიყო წიწამურში, იქნებ ეს ტრაგედიაც აღარ დატრიალებულიყო.

ამაზე ისე სერიოზულად მსჯელობენ ცალკეული მეცნიერები, გაოგნდები. განსაკუთრებით 23 წლის ახალგაზრდის კაკალზე ასვლის თემა, ლამის დიდი საბრძოლო სტრატეგიის მთავარ საკითხად გამოცხადდეს.

საქმე ის არის, რომ სინამდვილეში მოურავს არც არსად ეჩქარებოდა, არც არსად არავის არ უნდა შეხვედროდა.

ილიამ შემოუთვალა, ზეგ ნაშუადღევს ამოვალო, ეს იყო და ეს.

დამხვდიო, არ შემოუთვლია. სტრაჟნიკები წიწამურში დამახვედრეო, არ შემოუთვლია და საიდან უნდა სცოდნოდა მოურავს, ზუსტად რომელ საათზე უნდა ყოფილიყო ილია წიწამურში? ან საიდან უნდა სცოდნოდა, რა ადგილზე დახვდებოდნენ მკვლელები?

საკუთარი ინიციატივით, ილიას სტრაჟნიკებს წიწამურში ვერ დაახვედრებდა, რადგან 27 აგვისტოს, როცა ილია თბილისისკენ გაემართა, მოურავმა სთხოვა, საშიში დრო არის და თან მცველები წაიყვანეთო. ილიამ მკაცრად უპასუხა: ჩემს სამშობლოში მე სტრაჟნიკებით არ ვივლიო. იგივე ილია 30-ში ამ სტრაჟნიკებს წიწამურში დაიბარებდა?

საქმე ასე იყო. წინა ღამით მოურავი აპირებდა წიწამურში წასვლას ღალის ასაკრეფად. გადაათქმევინეს, ხვალ დილით წადიო.

მეორე დღეს ურიადნიკს 2 სტრაჟნიკი სთხოვა, ღალის ასაკრეფად გაეყოლებია წიწამურში. ურიადნიკმა, მეც საქმე მაქვს მცხეთაში და ერთად წავიდეთო. სტრაჟნიკები წავიდნენ. ჯაში მათ დაეწია და ერთად განაგრძეს გზა.

მართალია ის ილიას არ დაუბარებია წიწამურში, მაგრამ დრო ხომ საშიში იყო, ხომ შეეძლო თავად ეფიქრა სტრაჟნიკებით ადრე წასვლასა და დახვედრაზე, თუნდაც მგოსნისგან საყვედური მიელო? ნეტამც, ეფიქრა ასე, მაგრამ ეს ხომ ბრალდების საფუძველი არ არის. ილიას საგურამოში გარე ბიძაშვილი ზაალ ჭავჭავაძე ელოდა, ყოფილი სამხედრო პირი, იგივე ბრალდება ამ ლოგიკით მასაც შეიძლება წამოვუყენოთ. მაგრამ ვინ იცოდა, ბედი რას უმზადებდა იმ დღეს წიწამურთან საქართველოს?!

რაც შეეხება 1921 წლამდე არსებულ ბრალდებებს ჯაშის მიმართ. ეს იყო სამი სახის:

1) გლეხები, ილიას მეზობლები უთითებენ მაზრის უფროსს ყარამან ფალავანს – ხმამაღლა ვერ ვიტყვით, დაწერით ვერ დაგიწერთ, მაგრამ ჩვენი რწმენით მოურავი გარეულია მკვლელობის საქმეშიო.

2) ურიადნიკმა ემეცმა ჩვენებაში თქვა – უცნაურად მომეჩვენა, მოურავმა ოლღა რომ ნახა, მითხრა – მადლობა ღმერთს, კნეინაც მოუკლავთო.

3) ზაალ ჭავჭავაძეს სასამართლოში უთქვამს – ელისაბედს, ილიას დას, მუქარის წერილები მისდიოდა და ჯაშს მოურავად იმიტომ გაუწია რეკომენდაცია, რომ ეს წერილები შეწყვეტილიყო და მართლაც შეწყდაო. ეს ელისაბედმა სასამართლოზე უარყო და ზაალ ჭავჭავაძემაც განაცხადა, ასეთი რამ არ მითქვამსო.

4) ეჭვობდნენ, რომ ჯაში ილიასთან სოც-დემოკრატებისგან იყო მიგზავნილი.

5) 1920 წელს ჯაში დახვრეტას ფილიპე მახარაძემ გადაარჩინა.

6) ოლღამ სასამართლოზე განაცხადა, ილიამ მომწერა, რომ ჯაში კეთილსინდისიერი არ გამოდგა და მალე ახალ მოურავს მოვძებნიო.

ჯაში ჟანდარმერიის აგენტი არ იყო 1907 წელს და ილია ჟანდარმერიას არ მოუკლავს, რაც, ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ რა შეღავათია, თუ

ის როგორც სოციალ-დემოკრატი ან მათი თანამგრძნობი იღებდა მონაწილეობას ამ ტრაგედიაში?

დავიწყოთ პირველი და მთავარი საკითხით.

1) ყარამან ფაღავა მართლაც სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული დიდი ილიას მკვლელები ეპოვა. მას მთელი ქართველობა შეჰყურებდა. ჯაში მართლაც არ უყვარდათ გლეხებს თავისი ფეთქებადი, ნერვიული ხასიათისა და, სხვათა შორის, მომთხოვნელობის გამო. მოურავად არც უცხო, მათი ფიქრით გადამთიელი კაცის მიყვანა ეამებოდათ გლეხებს, თან ასეთი ახალგაზრდის...

ფაღავამ ის ჯერ შორიდან ზვერა, ცნობები აგროვა, შემდეგ დააპატიმრა და სამი თვე ჯაში მეტეხის ციხეში იჯდა, მაგრამ ძიების დასკვნა და, რაც მთავარია, თვით ფაღავას დასკვნა, იყო ასეთი: გლეხების აზრი ჯაშზე ეფუძნებოდა მხოლოდ მათ რწმენას. ვერავითარი სამხილი ვერ ნახეს. გლეხები ასევე უთითებდნენ სხვა პირებზეც, გლეხებზე, რომელნიც ასევე უბრალონი აღმოჩნდნენ.

2) ურიადნიკი ემეცის ჩვენება შეუძლებელია იყოს მოგონილი, მაგრამ ისიც შეუძლებელია, ჯაშს, თუ ის მართლა იყო ამ საშინელებაში გარეული, საკუთარი თავი თავად გაეცა და მკვლელის პოზიციიდან ეთქვა ოლღაზე – მადლობა ღმერთს ესეც მოუკლავთო. ეს ფრაზა რუსისთვის იქნებ გაუგებარი, ქართველისთვის ასეთნაირად გასაგებიც არის – მადლობა ღმერთს, ამის ცოცხლად დარჩენას, ისევ სიკვდილი სჯობდაო.

სხვაგვარად გამოდის, რომ მოურავს ურიადნიკისათვის მკვლელობის ადგილზე აღიარებითი ჩვენება მიუცია.

3) ზაალ ჭავჭავაძემ, მიუხედავად იმისა, რომ უარყო ეს არ მითქვამსო და ელისაბედიც უარყოფდა, ჯაშისთვის რაიმე მიზნით არ გამიწევია რეკომენდაციაო, შესაძლოა ზ.ჭავჭავაძის პირველად ნათქვამი (თუ მართლა თქვა) სიმართლეც იყოს. რატომ? პასუხი ასეთია:

4) სოც-დემოკრატებს ჯაში მოურავად არ მიუგზავნიათ. ყოველ შემთხვევაში, მენშევიკებს ილიას მოკვლის გეგმა არ ჰქონიათ. ჯაშის ცოლი, პირიქით, ხაზს უსვამს, ნოე რამიშვილი, რომელიც, ვიმეორებ, ჯაშის ნათესავი, ბავშვობის ამხანაგი და თანასკოლელი იყო (სოფ. სურებში) და რომელთანაც ერთ სახლში ცხოვრობდა თბილისში, ნოე რამიშვილის სიმამრის სახლში, დამუქრებია, თუ ილიასთან წახვალ, ჩემთან კავშირი გაწყვიტეო.

ეს დასაჯერებელია, რადგან ნოე, მას როგორც ახლობელს აძლევდა რჩევას. ეშინოდა და აფრთხილებდა, წინა მოურავივით შენც მოგკლავენო. გასათვალისწინებელია ის, რომ ნოე რამიშვილს, რომელიც მენშევიკებში სოლიდური სახე იყო (1918-1921 წლებში მთავრობის პირველი თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი), ილია არ სძულდა ბოლშევიკებივით ან ზოგიერთი მენშევიკივით. ნოესგან ჯაში მთელ სოც-დემოკრატთა ელიტას იცნობდა, აქედან გამორიცხული არც ის არის, რომ მან ტერორისტებს წერილების წერა შეანყვეტინა ელისაბედთან. ეს მხოლოდ ჩემი აზრია.

მაგრამ სოც-დემოკრატებთან მისი სიახლოვე მისგან მკვლელობაში გარევის არგუმენტი რომ არ იყო, ჩანს იქიდან, რომ ის არ ინდობს ფილიპე მახარაძეს, ანუ სოც-დემოკრატების მეორე ფრთას, რომელთაც მოკლეს ილია.

არათუ 1908 წელს გამოქვეყნებულ წერილში, არამედ 1913 წელსაც აი, რას ამბობდა იგი ფილიპე მახარაძის შესახებ:

დიმიტრი ჯაშის მოხსენება

დ. სამტრედია

შაბათს, 10 აგვისტოს ადგილობრივ საკრებულო დარბაზში ილიას ნამოურავალმა ბ. დიმ. ჯაშმა მოხსენება წაიკითხა ილია ჭავჭავაძის შესახებ.

მოხსენების შესავალში ბ. ჯაშმა აღნიშნა, რომ ის მიუდგომლათ ასწერს ორივე მიმართულების საქციელს ილიას გარშემო ატეხილი განგაშის გამო და წინდაწინ ბოდიში მოიხადა, თუ დამსწრეთაგანი ორივე მიმართულებისა მათთვის არასასიამოვნო რაიმეს გაიგონებდნენ.

მოხსენება იმით დაიწყო, თუ როგორ დაუახლოვდა დიდს ილიას, როგორ მოხვდა მასთან მოურავათ და უარყო ის ხმები, ვითომ ილიასთან რომელიმე მიმართულების საშუალებით დამდგარიყოს.

შემდეგ კვალდაკვალ ახსნა, თუ როგორ მომზადდა ნიადაგი ილიას მოკვლისა და აღნიშნა, რომ ილიას ორი წლით ადრე უნდა მოეკლათ, მაგრამ რაღაც განგებით გადარჩაო; და მისი გადარჩენა უსათუოდ უნდა მიეწეროს იმას, რომ იმ უკანასკნელ ორ წელს სახ. საბჭოს წევრათ იყო და მეტ წილათ პეტერბურგში ცხოვრობდა.

აღნიშნა – როგორ ააწიოკეს მგოსნის ოჯახი, მოურავი მოსესა და მისი ცოლის სიკვდილით. მგოსნის წინააღმდეგ ფილიპე მახარაძის წერილები „მოგზაურში" აღიარა სრულ ჭორათ და სთქვა, დროს ალღო ვერ აართვა, ან განგებ ჩაიდინა ასეთი საქციელიო. ბ. ჯაშმა აღნიშნა როგორ ეპყრობოდა მგოსნის მოურავი მემარნიშვილი გლეხებს; სთქვა, რომ მგოსანს უნდოდა მოურავის დათხოვნა და მეგობრებმა არ დაითხოვეს მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ეცოდებოდათ და სხვა.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე იმ დროის გაზეთებში მოთავსებული წერილები; მაგ. შეეხო ი. ევდოშვილის წერილებს. მომხსენებელმა სთქვა, რომ ევდოშვილმა აღიარა თავისი წერილების სიყალბე მგოსნის ცხედრის წინაშეო.

მოხსენება ორ ნახევარ საათს გაგრძელდა. ბოლოს ასეთი დასკვნა მისცა:

მგოსანი ილია ჭავჭავაძე ასე ვერაგულათ არ იქნებოდა მოკლული:

ა) რომ ფ. მახარაძის მოჭორილი წერილები არ დაბეჭდილიყო „მოგზაურში"; ბ) რომ მგოსნის მოურავი მოსე და მისი ცოლი ეკა არ მოეკლათ და; გ) რომ მგოსანს დაეჯერებია და მოურავი ადრე დაეთხოვა სამსახურიდან.

მოხსენება შინაარსიანი გამოდგა.

დამსწრე

გაზეთი „იმერეთი", 1913წ. N124, 15 აგვისტო

10 დღის შემდეგ დ. ჯაში უკვე გურიაში კითხულობს ლექციას ილიას შესახებ. აქ მან უარყო ის, რასაც სამტრედიაში ამბობდა და განაცხადა, რომ ფილიპე მახარაძის წერილებს არ გამოუწვევია ილიაზე თავდასხმა. ეს თავისთავად ვერ მოხდებოდა. ის რასაც ჯაში ლაპარაკობდა 6 წლის განმავლობაში, გადათქვა გურიაში ლექციის დროს.

როგორც ჩანს, ის ან შეაშინეს, ან დაიახლოვეს.

5) ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ის ფაქტი, რომ მას შემდეგ ფილიპე მახარაძე ჯაშს სწყალობდა და როცა მენშევიკებისაგან სურსათის შემოსატანად გაგზავნილი 1920 წელს საინგილოში დაიჭირეს და როგორც „თეთრს" „წითლებმა" დახვრეტა გადაუწყვიტეს (საინგილოში ქართველებთან პატრიოტული გამოსვლები ჰქონდა), ბაქოში მყოფმა ფილიპემ ის დაიხსნა და სურსათ-სანოვაგით საქართველოში გამოუშვა.

6) რაც შეეხება ოლღას სასამართლოზე ჩვენებას, ილიამ მომწერა, ჯაში არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდა და ახალ მოურავს ვეძებო, ეს ასეც მოხდებოდა, რადგან ეს კაცი იყო ნიჭიერი, მაგრამ ნერვიული, გაუწონასწორებელი და არ არის გამორიცხული, მეურნეობისა და ცხოვრების ისედაც გამოუცდელმა, გლეხებთან ყველაფერი აურ-დაურია.

ანუ ის ბრალდებები, რაც ობიექტურად არსებობდა ჯაშის მიმართ, არ ნიშნავს იმას, რომ მას საუკუნის ცოდვა ჰქონდეს აკიდებული.

ჯაში ილიას მკვლელად თვით კომუნისტებსაც არ მიაჩნდათ, ვიდრე ეს დღის წესრიგში არ დადგა. ამის დასტურია ერთი ფაქტიც. დარია ჯაშის მოგონებიდან – „1928-33 წელს ჩემი უმცროსი ვაჟი სწავლობდა საქ. სას. სამ. ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე – მაშინ შეიქმნა ისეთი აზრი, რომ ჩემს შვილზე დაეყენეს სტიპენდიის მოხსნის საკითხი, ვინაიდან მისი მამა ფეოდალს ემსახურებოდაო, გლეხების ექსპლოატაციაშიო. ამის გამო გადავეცი განცხადება საქ. ცაკის თავმჯდომარესთან ფ. მახარაძესთან. ფილიპემ მოიგონა ძველი ამბები და მითხრა:

– ბავშვები რა შუაშია, ისე კი შენმა ქმარმა ავტორიტეტი გაიფუჭა. იგი არ უნდა წასულიყო ილიასთან მოურავად, – მაგრამ ასევე გაიხსენა, რომ დ. ჯაში შემდგომში კარგი კორესპონდენტი და ჟურნალისტი იყო და რომ მან ერთგვარი როლი ითამაშა მეფესთან ილიას მიერ ტელეგრამის გაგზავნაში, რომლის დროს ერთ-ერთი წავიდა ილიასთან სათხოვნელად ამ საქმეზეო".

აქ იგულისხმება ილიასგან იმპერატორისათვის გაგზავნილი დეპეშა, რომლის წყალობით გურია გადაურჩა ალიხანოვ-ავარსკის მიერ სრულ გადაწვას.

ერთი სიტყვით, ეს ჯაში ნამდვილად რთული პიროვნება ჩანს, მაგრამ ყოველივე ზემოთქმული, განსაკუთრებით ის გარემოება, რომ ის მკვლელობის არც ერთ შემსრულებელს არ იცნობს, გარდა მეეტლისა, და მას ხელს არ ადებს არც ერთი ბრალდებული, მაძლევს უფლებას დასკვნისა, – არც ჯაში ყოფილა მკვლელი ილიასი და არც მეფის ჟანდარმერია. ილია მოკლეს ბოლშევიკებმა. მკვლელობის პირველ დღეებიდანვე ეს იცოდნენ არა მხოლოდ საქართველოში, იცოდნენ მთელს იმპერიაში. პეტერბურგში გამოქვეყნებულ უამრავ ნეკროლოგთაგან ერთ-ერთი გაზეთმა „როსიამ" ასე დაასათაურა – **„რევოლუციონერთა მსხვერპლი".**

●

დაბოლოს, ზემოთ ავღნიშნეთ, რომ ბოლშევიკებს ილიას მკვლელობის დაბრალება მეფის მთავრობისათვის ადრიდანვე, ჯერ კიდევ 20-იან წლებში სურდათ, მაგრამ ეს ვერსია მაშინ თავადვე უარყვეს, ამას ძალიან საინტერესო მიზეზი ჰქონდა.

ბოლშევიკები ფიქრობდნენ, რა გამოდის? თუ ვიტყვით, რომ ილია მეფის მთავრობამ იმსხვერპლა, მგოსანს როგორც ნაციონალური მოძრაობის ლიდერს ვადგამთ სამშობლოსათვის წამებულის გვირგვინს. მაგრამ თუ ვიტყვით, რომ ილია მისივე გლეხებმა მოკლეს, მაშინ ვკლავთ მის სახელსაცო.

ბოლშევიკებს ხომ ილიას არა მხოლოდ ფიზიკური სიკვდილი სურდათ. ამიტომ, ვიდრე ილიას სახელის აღდგენა დიდ ბელადს არ დასჭირდა, მთელი 30 წლის მანძილზე ისინი ავრცელებდნენ მეორე ვერსიას – გლეხებისაგან მებატონის მოკვლა.

ბოლშევიკები ასე ფიქრობდნენ – მეთქი, როცა ვამბობ, ფასდაუდებელ დოკუმენტს ვეყრდნობი. საზოგადოდ, დამნაშავის აღიარება ყველაზე დამაჯერებელ საბუთად ითვლება. წარმოგიდგენთ 1925 წელს გამოქვეყნებულ მასალებს. ეს მასალები მითითებული არ არის ილიაზე გამოცემულ არათუ ცალკეულ ავტორთა, არამედ ილიაზე გამოცემულ თითქმის ყოვლისმომცველ ბიბლიოგრაფიაშიც კი. ეს ბუნებრივიც არის. ბოლშევიკების ჟურნალ „რევოლუციის მატიანეში" (1925წ. №3) ორი ძველი ბოლშევიკი ერთმანეთს ეკამათებოდა პარტიის ისტორიის საკითხებზე, ვის მოუვიდოდა აზრად, რომ ამ ნაფიცი კომუნისტების პოლემიკაში (ორივე ომ დროის გამოჩენილი იდეოლოგი იყო), ჩვენთვის საინტერესო საკითხზე აღიარებით ჩვენებებს წააწყდებოდა? ყურადღებით წავიკითხოთ პარტიის არქივის ხელმძღვანელის ამხანაგ სევასტი თალაკვაძის ეს ამონარიდი:

„ამხ. რაჟდენ კალაძეს უნდა დაარწმუნოს ვინმე, რომ ილია მოკლა თვით მონარქული მთავრობის „ოხრანულმა" ორგანიზაციამ, გაუგონია „ყურნაკრული" ამბავი ვიღაციდან და ის უნდა ჭეშმარიტებად გაასაღოს".

ტყუილია ეს!!!

აბა ვის მოუვა აზრად ის, რომ იმ დროს, როცა ღელავდა და ბობოქრობდა რევოლუციონური მშრომელი ხალხი, დღე-დღეზე ემუქრებოდა რუსეთის რევოლუციონურ ხალხთან ერთად მონარქიული მთავრობის წაქცევას, როცა ილია ჭავჭავაძე, როგორც მემამულე თავადი, მქონებელ კლასის ბანაკში მყოფი – ობიექტურად

ხელს უწყობდა მთავრობას თავისი ანტი-რევოლუციონერობით და მშრომელ ხალხის მებაირახტრე-სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოძულეობით, როცა იგი, როგორც ნაციონალისტი, როგორც ქართველი სეპარატისტი, ქართველ ხალხში გაბატონებულ ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლაში დასუსტებული იყო, ნაშლილი იყო მისი როლი უკვე და რუს შოვინისტებისათვის არავითარ საშიშარ ძალას არ წარმოადგენდა, იმას მოჰკლავდა მონარქული მთავრობის რუსი აგენტები, მათი ორგანიზაცია?!

ეს მხოლოდ ქართველური ნაციონალისტური ახსნაა

გარემოების,

ეს მხოლოდ ნაციონალისტური მიდგომაა საკითხზე.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. რაჟდენ კალაძე ხშირად იფლობა ამ წუმპეში. ფაქტია ის, რომ ილია ჭავჭავაძე მსხვერპლი გახდა აგრარულ ნიადაგზე თავისი სოფლის გლეხობისა. ამ აგრარულ მოძრაობის მონაწილე და **ამ მკვლელობის ამბვის კარგად მცოდნე დუშეთელ ამხანაგებს ვიცნობთ ჩვენ – ისინიც ადასტურებენ ამას.**

ილია ჭავჭავაძე გახდა მსხვერპლი, როგორც მემამულე, გამწარებული, უმიწაწყალო ქართველ გლეხობისა – **გაუსვათ უნდა ამას ხაზი და დავიმახსოვროთ.**

ასე შევა ეს ისტორიაში, ვინც და რამდენიც არ უნდა ეცადნონ მის შეცვლას, შელამაზებას".

რის სამტკიცებლადაც ჩვენ ამდენი შრომა გავწიეთ, რომ ილია მეფის მთავრობას არ მოუკლავს, ალალად დაგვიდასტურა თვით ბოლშევიკთა იდეოლოგმა.

გარდა იმისა, რომ ეს კაცი, ფილიპე მახარაძის ამხანაგი და ძველი თანამებრძოლი, ილიას მკვლელობაში მეფის მთავრობის როლს უარყოფს, იმასაც არ მალავს, რატომ აკეთებს ამას (არ ემეტება ილიასთვის მტრისაგან წამებულის შარავანდი), მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა მისი ერთი ფრაზა – „ამ მკვლელობის ამბვის კარგად მცდონე **დუშეთელ ამხანაგებს** ვიცნობთ ჩვენ." ეს ფრაზა დავიმახსოვროთ. ეს კაცი, მისდა უნებურად, ერთი საიდუმლოს გასაღებს გვაწვდის.

სევასტის ოპონენტი, ასევე ძველი ბოლშევიკი ამხ. რაჟდენ კალაძე, სტალინის მეგობარი 1898 წლიდან, **კიდევ უფრო დიდ საიდუმლოს ხდის ფარდას.**

თავი VI

ილიას მკვლელობის პარტიული დადგენილება

აკაკი წერეთელი დაკრძალვაზე

შესაძლოა მკითხველს გაუკვირდეს, მაგრამ სოციალ-დემოკრატები გადაწყვეტდნენ რა ტერაქტის მოწყობას, ამ გადაწყვეტილებას პარტიული დადგენილებით აფორმებდნენ.

1907 წლის მაისამდე დადგენილების გამოტანა პარტიის რაიონულ კომიტეტს შეეძლო როგორც ზემოდან კარნახით, ისე დამოუკიდებლადაც. 1907 წლის მაისის შემდეგ კი რაიონული კომიტეტი დამოუკიდებლად ამას ვეღარ გააკეთებდა, თუ რატომ, ქვემოთ გიამბობთ.

სოციალ დემოკრატებს შედგენილი ჰქონდათ მკვლელობის ასეთი სტრუქტურა.

არსებობდა მთავარი საიდუმლო კომიტეტი.

არსებობდა რაიონული ორგანიზაციები, რაიონული კომიტეტები.

თითოეულ რაიონულ ორგანიზაციას ჰყავდა რამდენიმე ტერორისტული ჯგუფი, ე.წ. წითელრაზმელები, ანუ დრუჟინები. „ფრაქციულ სამხედრო ორგანიზაციას „დრუჟინა" ერქვა, რომელიც ტერორისტულ აქტებსაც ახდენდა". (ამას წერს კოტე ცინცაძე, 900-იანი წლების მთავარი ტერორისტი, ხოლო 1921 წლის შემდეგ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე).

თითოეულ დრუჟინას ჰყავდა თავისი მეთაური.

დადგენილებას ტერორისტული აქტის შესახებ ღებულობდა ის რაიონული კომიტეტი, რომელსაც დაავალებდა ცენტრი ტერიტორიული პრინციპით ან თავის ინიციატივას შეუთანხმებდა ცენტრს. შემსრულებელნი იყვნენ რაიონული კომიტეტის „დრუჟინები", პასუხისმგებელი კი რაიონული კომიტეტი.

აი, ასეთი იყო ის სქემა, რომლითაც ხდებოდა ტერორისტული აქტები. ეს სქემა არავისთვის საიდუმლო არ იყო. პირიქით, ტერორისტები მათ მიერ ჩადენილ „საგმირო" საქმეებზე გულწრფელად ყვებიან 20-იან წლებში, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. მათ შორის დასავლეთ საქართველოს ტერორისტების (დრუჟინების) უფროსი ბარონ ბიბინეიშვილი და საქართველოს ტერორისტების უფროსი, სახელგანთქმული კამოს სიძე, კამოს დის არუსიაკა პეტროსოვას ქმარი კოტე ცინცაძე (სამივე- კამოც, ბიბინე-

იშვილიც და ცინცაძეც, იმთავითვე სტალინის ქვეშევდომნი და უახლოესი ადამიანები, ასრულებდნენ მის ბრძანებებს).

ასეთი ამბების მოყოლა 20-იან წლებში შეიძლებოდა. მერე აკრძალეს და, უფრო მეტიც, 1937 წელს ბიბინეიშვილიცა და ცინცაძეც დახვრიტეს. (კამო უფრო ადრე თბილისში მოძრავ ერთადერთ მანქანას დაეჯახა და მოკვდა)...

ეს მცირე გადახვევა იმისთვის დაგვჭირდა, რომ მკითხველმა იცოდეს, ზემოხსენებული სტრუქტურის შესახებ თვით ძველი ბოლშევიკები ჰყვებიან.

რაც შეეხება პარტიულ დადგენილებებს, შეგვიძლია ნიმუშად წარმოვადგინოთ რამდენიმე დადგენილება.

მაგ. თბილისში სასტუმრო გრანდ ოტელში დააპატიმრეს გენერალ შირიკინზე თავდასხმის განმზრახველთა ჯგუფი. გაჩხრიკეს ნომერი, სადაც დიდძალ იარაღთან ერთად აღმოჩნდა შირიკინის სიკვდილის განაჩენის ორი ცალი. განაჩენი იყო ასეთი: **„სოც. რევოლუციონერების ტფილისის მებრძოლი ორგანიზაცია გენერალ-მაიორ შირიკინს უსჯის სიკვდილით დასჯას. სტამბა სოც-რევოლუციური პარტიისა“**. ამ წარწერას აზის ბეჭედი ტვიფარით – სოც. რევოლუციონერების **პარტიის მებრძოლი** ორგანიზაცია.

ზემოთ ვთქვით, გენერალ შირიკინზე თავდასხმა გაამჟღავნა ვინმე პეტროვმა (გერმანელი სტუდენტის პარტიული მეტსახელია). როცა პეტროვი დასაჯეს რევოლუციონერებმა, მათ დაწერეს – პეტროვი მოკლულ იქნა **პარტიის განაჩენით** ღალატისთვისო.

ძველი ბოლშევიკი სერგო ქორიძე 1928 წელს წერს: „გადავწყვიტე 1906 წელს შემოდგომაზე ბოლშევიკურ პარტიაში ჩაწერა. გავხდი რა პარტიის წევრი, ვღებულობ მონაწილეობას **პარტიის დავალებით** ტერორისტული აქტების შესრულებაში“.

იგივე ქორიძე ერთ ძალიან საინტერესო და ტრაგი-კომიკურ ამბავსაც ყვება. პარტიის დადგენილება სოც-დემოკრატებს ხატის სასწაულმოქმედი ძალის წინააღმდეგაც კი გამოუტანიათ.(?) „1903 წლის ივნისის შუა რიცხვებში გასცეს პროპაგანდისტი იასონ მეგრელიძე, ს. კალანდაძე, თ. ჟღენტი (ყველა რევოლუციონერები იყვნენ, – ნ.გ.) გაცემა მოხდა ლომისკარელის ხატზე ხალხის დაფიცებით. ლომისკარელი იყო ხატი, რომელსაც ორი შეიარაღებული კაცი დაყვებოდა. ეს ისეთი ძლიერი ხატი იყო, მაშინდელი წარმოდგენით, რომ ვინც მასთან ტყუილის თქმას გაბედავდა, ის იქნებოდა სასტიკად დასჯილი ხატის მიერ და სიმართლეს მაინც გამოათქმევინებდა ხატი. ეს ხატი ესვენა სურებში ერთ-ერთ ეკლესიაში და

ამით აბრმავებდნენ ისედაც დაბრმავებულ ხალხს. შემდეგში ეს ხატი იქნა მოტაცებული ბათუმ-გურიის კომიტეტის გადაწყვეტილებით". (იხ. „რევ. მატიანე", 1928ნ. №2)

თუ ხატი არ დაინდეს, ვთქვათ გენერალ გრიაზნოვზე რა დადგენილებას გააშანშალებდნენ, ძნელი მისახვედრი არ არის.

გრიაზნოვის მკვლელის არსენა ჯორჯიაშვილის მოსაგონარში ვკითხულობთ: „მეორე რაიონის (ეს ავლაბრის რაიონია, – ნ.გ.) „მუშათა მებრძოლი დრუჟინის (სოც-დემ) დადგენილებით 16 იანვარს გენ. გრიაზნოვის სახით მან გაანადგურა... სულთამხუთავი".

ერთი სიტყვით, პარტია ძირითადად ტერორს ნიშნავდა შესაბამისი რაიონული რგოლის საიდუმლო ბეჭედდარტყმული დადგენილებით. სხვათა შორის, მსხვერპლის შერჩევისას წინასწარ პარტიული დადგენილების გამოტანის შესახებ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის მოგონებებშიც წაიკითხავთ, რომ 1905 წელს ასეთი დადგენილება დეკანოზ ვოსტორგოვისათვისაც გამოუტანიათ, რაც ვოსტორგოვმა შეიტყო და საქართველოდან გაიპარა.

ილიას მკვლელების ჩვენების გამო – ილია კომიტეტის დავალებით მოვკალითო, მკითხველი იფიქრებს, რომ ეს დავალება ზეპირი იყო და საუკუნის ჰეროსტრატენი ილიაზე მაინც ბეჭედდარტყმულ ქაღალდს არ შექმნიდნენ.

შეუქმნიათ!

ამის დასტურს ზემოხსენებული ამხანაგი რაჟდენ კალაძე წარმოგვიდგენს, რომელსაც ბოლშევიკების პარტიის ისტორიის შემქმნელი ჯგუფის ხელმძღვანელობა ჰქონდა დავალებული და რომელიც ილიას მკვლელობის პარტიული, საშინაო „ძიების" დოკუმენტებს იცნობდა. სხვათა შორის, განათლებული კაცი იყო, (მამა პოეტ კარლო კალაძისა) და ვინ იცის, მთლად გულუბრყვილოდაც არ გაამჟღავნა ის, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ.

ეკამათება რა ს. თალაკვაძეს, ილია გლეხებს არ მოუკლავთო, კალაძე შავით თეთრზე წერს:

„გლეხებს საქართველოს ეს დიდი მწერალი არ მოუკლავთ. ეს ბრალდება ჩვენს გლეხებს უნდა მოვხსნათ. გარდა ამისა, როგორც ვიცით, დიდი ჭორი და ცილისწამებაა გავრცელებული ჩვენს ნაციონალისტურ ინტელიგენციაში ილია ჭავჭავაძის მოკვლის გამო. იმდროინდელ თბილისის ს.დ. ორგანიზაციაზე და იმდროინდელ ბოლშევიკური ფრაქციის ერთ ლიდერთაგანზე. ჩვენი ვალია ეს ჭორი და ცილისწამება ეხლა მაინც გავაქროთ...

... ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მომწყობი იყო თვით ილიას გაიძვერა – გაქნილი მოურავი დიმიტრი ჯაში, რომელსაც რაღაცნაირი მიზნით ამოქმედებდა ჯერ ისევ გამოუცნობ-გამოურკვეველი ჯგუფი; ხოლო მკვლელობის ჩამდენი, იმდროინდელი **„წითელი რაზმები“**, რომლებიც რეაქციის დაწყების გამო ტყეში იყვნენ გახიზნულნი, ხსენებულმა ჯაშმა და მისმა მომავლინებელმა უცნობმა ჯგუფმა, **ს.დ. ყალბი დოკუმენტის ყალბი მიწოდების საშუალებით შეცდომაში შეიყვანეს, მოჰკლეს ილია.**

...ხოლო მკვლელობის მომწყობი მოურავი ჯაში დაუსჯელი დარჩა. ეს გარემოებაც აშკარად მოწმობს იმას, რომ ილიას მკვლელობაში მთავრობის და „მაღალ სფეროს“ პირებიც მონაწილეობდნენ. იქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ს-დემოკრატიული (მენშევიკური) ორგანიზაციის მიერ იმ ხანებში შედგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც ამ საქმის გამორკვევა ჰქონდა მინდობილი და რომლის ორი წევრი ჩვენ შორის იმყოფებიან. მათ ამ საქმეს გამოსარკვევად საკმაო მასალა აქვთ შეკრებილი.

როგორც ირკვევა **ს-დ. რაიკომის ბეჭედდარტყმული „ქაღალდი“ ყალბათ არის შედგენილი „ტყის ძმების“ ხელმძღვანელის შეცდომაში შეყვანის მიზნით. ვინ შეადგინა სახელდობრ ეს ყალბი „ქაღალდი“, ან ჰქონდა თუ არა ამ სიყალბესთან რაიმე კავშირი რომელიმე სოციალ-დემოკრატს, ეს დღესაც გამოურკვეველია.** ყოველ შემთხვევაში ის კი აშკარაა, (ჩვენ აქ ავღნიშნავთ ფაქტს) რომ ამ მკვლელობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მიწის მუშას, გლეხს“. (იხ. „რევოლუციის მატიანე“, 1925წ. №3)

ვიმეორებ, ამ სტრიქონებს წერს კაცი, რომელიც იმდენად დამსახურებული და ავტორიტეტული ბოლშევიკია, რომ თალაკვაძესთან ერთად აკრიტიკებს თვით ფილიპე მახარაძეს. რაც მთავარია, მთელი საარქივო მასალა მის ხელშია გავლილი. ჩამოაცილეთ ახლა ამ ამონარიდს მისი იდეოლოგიური მოსაზრებები და დატოვეთ მხოლოდ ფაქტები. რა ფაქტებზე მოგვითხრობს ამხ. რაჟდენი?

სტალინის ძველი თანამებრძოლი აღიარებს, რომ **მკვლელები გლეხები კი არა, ტყეში გახიზნული „წითელრაზმელები“ არიან.**

რომ არსებობდა სოციალ-დემოკრატების დოკუმენტი, (მისი აზრით ყალბი) **რომ ის „ყალბი“ დოკუმენტი მიაწოდეს „წითელრაზმელებს“, მათ მეთაურს და მოაკვლევინეს ილია.**

რომ სოციალ-დემოკრატთა რაიკომის ის დოკუმენტი იყო ბეჭედდასმული.

ვიმეორებ, ამას ყვება სოც-დემოკრატთა მიერ ჩატარებული საშინაო გამოძიების მასალების მცოდნე კაცი. სხვა საკითხია, რა სქემა მოიფიქრეს, თანაც უნიჭოდ, სოც-დემოკრატებმა საკუთარი თავის გასამართლებლად.

განა რა ლოგიკაა იმაში, რაიკომის ბეჭედდარტყმული ქაღალდი ყალბი იყო და „წითელრაზმელები" შეცდომაში შეიყვანესო. ამ „შეცდომას" საუკუნის ტრაგედია მოჰყვა, და თუ მართლა შეცდომა იყო, ბოლშევიკები მცირე გადაცდომაზე სიკვდილით სჯიდნენ შემცდართ და სასამართლოსგან დადგენილ მკვლელს, ბერბიჭაშვილს თანამდებობებს რაღად აძლევდნენ?

ერთი სიტყვით, ამ დოკუმენტის გამოქვეყნება, ქვეშეცნეულად, იგივე აქტი იყო, მკვლელი რომ თავის ფეხით დაბრუნებულიყო მკვლელობის ადგილზე. რას ნიშნავს „სოციალ-დემოკრატთა რაიკომის ბეჭედდარტყმული" ქაღალდი?

როგორც ვწერდით, პარტიული ტერორისტული აქტების შაბლონი ასეთი იყო. დადგენილება ტერიტორიული პრინციპით უნდა მიეღო შესაბამის რაიონულ კომიტეტს.

საგურამო, წიწამური, სადაც ტერაქტი მოხდა, შედიოდა დუშეთის მაზრაში. ბოლშევიკებს დუშეთში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პარტიული და ტერორისტული ორგანიზაცია ჰქონდათ.

რაიკომის ბეჭედდარტყმული ქაღალდი ამ შემთხვევაში მექანიკურად ნიშნავს დუშეთის ს.დ. რაიონული კომიტეტის ბეჭედდასმულ ქაღალდს.

დაკითხვისას, როგორც კი ხიზანიშვილმა კომიტეტი ახსენა, მიუხედავად იმისა, რომ დუშეთის კომიტეტიო, არ უთქვამს, მაშინდელ პრესაში მყისიერად დაისვა კითხვა – „ნეტა ვინაა ეს კომიტეტი, რომლის განკარგულებით მოქმედებდნენ ეს ცოფიანი ნადირები? ნეტა რომელი პარტიის კომიტეტი მოქმედებდა **დუშეთ-საგურამოს** რაიონში?!" ამის დამწერმა სტრუქტურა იცის. იცის პარტიას დადგენილება ტერიტორიული პრინციპით რომ გამოაქვს. არცაა გასაკვირი, ამ სიტყვების ავტორი თავადაც პარტიულია, სოც-ფედერალისტების წევრი.

ზემოთ ისიც მოგახსენეთ, დავალების შესრულებაზე პოლიტიკურად პასუხისმგებელი რაიონული კომიტეტი იყო, პრაქტიკულად კი ტერაქტს ახორციელებდა ამ რაიკომის დაქვემდებარებაში არსებული „ტყის ძმების", ანუ „წითელრაზმელების", ანუ „დრუჟინის" წევრები. ვფიქრობ, ნათელია რატომ წერდა ს. თალაკვაძე – „ამ მკვლელობის ამბვის კარგად მცოდნე **დუშეთელ ამხანაგებს** ვიცნობთ ჩვენ"-ო.

უშუალო მკვლელები – ინაშვილი, ბერბიჭაშვილი და ფშავლიშვილი (აფციაური) სწორედ დუშეთის ს.დ. კომიტეტის „წითელრაზმელები" იყვნენ. ამ კონტექსტში ძალიან საინტერესოა, ვინ იყო და საიდან მოვიდა მე-4 მკვლელი, დანარჩენთა უფროსი და ორგანიზატორი „ვიღაც იმერელი"? ცალკეულ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით მეც ვფიქრობდი, რომ ის სერგო ორჯონიკიძე იყო და ასეც ვწერდი გაზეთ „24 საათში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში. ორჯონიკიძეს იმდენი და ისეთი დიდი ცოდვები აქვს საქართველოს წინაშე, რომ ვერც ვერაფერს დაუმძიმებს და ვერც შეუმსუბუქებს კაცი, მაგრამ კვლევამ დამარწმუნა, რომ დიდი ალბათობით ამ ოთხ მკვლელში ორჯონიკიძე ვერ იქნებოდა. უფრო მეტიც, პირველწყაროებზე მუშაობისას თანდათანობით გამოიკვეთა პარტიიდან გამოგზავნილი „ვიღაც იმერელის" პიროვნება, რომელიც დღემდე იდუმალებით არის მოცული. ვინ იყო „ვიღაც იმერელი?" ამაზე ქვემოთ მექნება მსჯელობა. წინასწარ ერთს დავსძენ, ის იმ დროისათვის სერგო ორჯონიკიძეზე უფრო დაუნდობელი და მეტი წონის ტერორისტი გახლდათ.

თავი VII

ვინ იყო იდუმალი „იმერელი” ანუ ილიას უშუალო მკვლელთა მეთაური?

სერგო ორჯონიკიძე

სერგო ორჯონიკიძე
ახალგაზრდობაში

ის, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი დეტექტიურ ჟანრს გაახსენებს მკითხველს, მაგრამ რასაც თქვენ წაიკითხავთ, დაემყარება მხოლოდ დოკუმენტებს.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ილიაზე უშუალო თავდამსხმელები ოთხნი იყვნენ: 1) ბერბიჭაშვილი 2) ფშავლიშვილი 3) ინაშვილი 4) ვიღაც იმერელი

ამათ გარდა მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ მეეტლე ლაბაური, ხიზანიშვილი და მოძღვრიშვილი. მოგვიანებით მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილე კიდევ რამდენიმე გვარი იქნა დასახელებული, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ.

ერთადერთი უშუალო მკვლელი, ვინც არათუ დაისაჯა, არამედ მისი ვინაობაც კი ვერ დადგინდა, იყო ვიღაც იმერელი.

ვიღაც იმერელი იდუმალებით არის მოცული მთელი ამ ასი წლის მანძილზე. რაც ვერ დაადგინა მაშინდელმა სასამართლომ, გაურკვეველი დარჩა შემდგომ დროშიც, ამ გაურკვევლობის გამო კი სხვადასხვა დროს ჩამოყალიბდა სხვადასხვა ვერსიები.

ვიღაც იმერელზე მსჯელობას აქტუალობა არ დაუკარგავს ამ ასი წლის მანძილზე დროის არც ერთ მონაკვეთში, რადგან, მოგეხსენებათ, ის რაც მძაფრი ინტერესის საგანია, სიცარიელეს ვერ იტანს და ივსება ან ჭორით, ან ლოგიკური ვერსიებით.

ვიღაც იმერელი უშუალო მკვლელთა შორის ყველაზე მძაფრი ინტერესის ობიექტი იყო, რადგან ძიებამ, პატიმართა ჩვენებებზე დაყრდნობით, სწორედ ის ჩათვალა ბანდის მეთაურად. სწორედ ის იყო კომიტეტიდან გამოგზავნილი ტერორისტი, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა საშუალო რგოლის შემკვეთთან, ანუ რაიონულ კომიტეტთან, ან შესაძლებელია უფრო მაღლაც. ცხადია, მისი დაჭერით ძიება იმედოვნებდა შემკვეთბზე გასვლას.

„ვიღაც იმერელი" რომ ბანდის მეთაური იყო, ეს დაფიქსირებულია ძიების მასალებში. 1908 წლის 19 დეკემბერს დუშეთის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი კალინინი საიდუმლოდ მიმართავს ძიებას: **„ხელისუფლების მიერ იძებნება უცნობი იმერელი, რომელიც წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის მკვლელთა ბანდის მეთაურს"**-ო.

როგორც ვხედავთ, უცნობი იმერელი ბანდის მეთაურად მოხსენიებულია მკვლელობიდან წელინადისა და თითქმის ოთხი თვის შემდეგ.

კი, მაგრამ მანამდე არ დაინტერესდა მისით ძიება?

პასუხი ასეთია. ყოველ შემთხვევაში, 1908 წლის თებერვლამდე ვერ დაინტერესდებოდა.

რატომ?

იმის გამო, რომ 1908 წლის თებერვლამდე ძიებას მკვლელობის ზემოჩამოთვლილ უშუალო მხილველთაგან დაპატიმრებული ჰყავს მხოლოდ მეეტლე თედო ლაბაური. მეეტლეს გულითაც რომ სდომოდა, ვილაც იმერელს ვერ დაასახელებდა. ტყიდან გამოცვენილი ოთხი კაციდან მეეტლე ცნობდა საგურამოს თემის მაცხოვრებლებს – ფშავლიშვილს, ინაშვილს, ბერბიჭაშვილს. ისინი დაასახელა კიდეც, მაგრამ მეოთხე მისთვის უცხო იყო. თქვა, რომ ოთხი კაცი დაესხათ თავს, მაგრამ მეოთხეს, გვარ-სახელით ვერ დაასახელებდა, ვერც იმას იტყოდა, ვილაც იმერელი იყოო, რადგან ყველაფერი სწრაფად დამთავრდა. მეეტლე არხეინად კი იჯდა კოფოზე და რაც ხდებოდა, საკუთარი თვალით ხედავდა, მაგრამ უცხო კაცი თოფების ბათქაბუთქში მასთან ხომ არ გამოცხადდებოდა და ვინაობას გაუმხელდა, ან მასთან დიალოგს შეჰყვებოდა?

მეეტლე რომ „ვილაც იმერელს" არ იცნობდა და მასთან შეხება არ ჰქონია, ლოგიკის გარდა დოკუმენტითაც დასტურდება.

მოგვიანებით, სხვა მკვლელთა დაჭერის შემდეგ, სოფელში ხმა გავარდა, ბერბიჭაშვილიც დაიჭირესო. ბერბიჭაშვილის ბიძას უთქვამს – **გიგოლა რომ დაიჭირეს, რატომ სანდრო ოზიევს (ოძიშვილი) არ იჭერენ, იმერელი სწორედ ის არისო.** (ეს დოკუმენტი გამოქვეყნებულია ა. შუშანაშვილის წიგნში), ხოლო პ. გუგუშვილთან მეორე დოკუმენტსაც ნახავთ. **„1908 წლის დეკემბერს დუშეთის მაზრის უფროსს, რომელიღაც მემამულემ, რომლის დასახელება მაზრის უფროსს არ შეუძლია, რადგან პატიოსანი სიტყვა ბორკავს, აჩვენა, რომ ის „იმერელი", რომელიც მონაწილეობდა მკვლელობაში არის ს. ოზიევი"** (გვ. 23)

როგორც ვხედავთ, ძიების მასალებით ორი სხვადასხვა წყაროს მიერ დასახელებულია „ვილაც იმერლად" ყაჩაღი სანდრო ოძიშვილი. ძიებამ ეს ვერსია არ გაიზიარა და ოძიშვილი გაუშვეს, მაგრამ მთავარი ამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა გახლავთ. ოძიშვილი ამოსაცნობად წაუყენეს მეეტლეს. ლაბაურს უთქვამს – **„ვერ ვიცნობ და რომც ყოფილიყო სახეზე არ მინახავს"**-ო.

თუ ამ ჩვენებას დავიჯერებთ და ლოგიკურად ასეც უნდა ყოფილიყო, მეეტლე იმერელს ვერ დაასახელებდა, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ყველაზე დიდი შიში მისი ექნებოდა, არამედ იმიტომაც, რომ არ იცნობდა. მაშ როდის იხსენიება იმერელი ძიებაში პირველად?

მხოლოდ 1908 წლის თებერვლიდან.

თარიღებისა და რიცხვების გამოკიდებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის დასადგენად, თუ რატომ ვერ მოახდინა ძიებამ იმერელის გაშიფვრა.

ვის შეიძლებოდა ან გვარით, ან მეტსახელით, ან სახით სცნობოდა „იმერელი"? ცხადია, იმათ, ვისთანაც წინა ღამე გაატარა იმერელმა ტერაქტის მოლოდინში. ესენი იყვნენ ბერბიჭაშვილი, ინაშვილი, ფშავლიშვილი და ხიზანიშვილი. ამ სამთაგან პირველად იჭერენ ფშავლიშვილს 1908 წლის 10 თებერვალს. გთავაზობთ დოკუმენტს, სადაც „იმერელი" პირველად არის მოხსენიებული.

კიდევ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ

პოლიციამ ნადიროვის მამულში, ალექსი მზელურის სახლში დააპატიმრა **პავლე ფშავლიშვილი** და **ლადო ფეიქრიშვილი,** რომელთაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობას აბრალებენ.

... როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ გზაზე **ლადო ფეიქრიშვილი** გამოსტეხია ბოქაულს და უთქვამს: **პავლე ფშავლიშილმა** მიამბო, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში, მონაწილეობა მიიღეს საგურამოში ყველასაგან ცნობილ მამასახლისად ნამყოფ **ვანო ინაშვილის მეთაურობით** პავლე ფშავლიშვილმა (აფციაური), გიგლა ბერბიჭაშვილმა და ერთმა იმერელმა, რომლის გვარი არც პავლემ იცოდა.

დუშეთის მაზრის სამმართველოში რამდენისამე კაცის თანდასწრებით...

მაზრის უფროსის შეკითხვაზე პავლე ფშავლიშვილი გამოტეხილა და უთქვამს, ის რაც ფეიქრიშვილს გზაში ბოქაულისთვის უამბნია. ფშავლიშვილს ისიც გამოუცხადებია, რომ მე და ჩემი ამხნაგები ჩაუსაფრდით ი. ჭავჭავაძეს 30 აგვისტოს 1907 წელს სოფელ წიწამურის მახლობლად. მეო, - უთქვამს ფშავლიშვილს, მაღლობზე ვიდექ და ვდარაჯობდი როდის გამოივლიდა ილია ჭავჭავაძის ეტლი. მოგვიახლოვდა, მე დავუსტვინე, ინაშვილი და სხვები დაემზადნენ. ეტლი შეაჩერებინეს და პირველად ჭავჭა-

ვაძეს ინაშვილმა დაახალა. მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო გიგლა ბერბიჭაშვილმა და ერთმა იმერელმა, რომლის გვარი არ ვიცი. ვიცი კი, რომ ის იმერელი ამ რამდენიმე ხნის წინათ ტფილისში რევოლვერის ტარებისათვის დააპატიმრეს და გადაასახლეს რუსეთში. მკვლელობის შემდეგ ავედით ტყეში, გადავიარეთ ტყეზე ზედაზნის მონასტრის გვერდით და შემდეგ სოფელ ავჭალაში ჩავედით. აქედან კი ტფილისს მივაშურეთ და ნაძალადევში ვცხოვრობდით."

„ისარი", 13 თებერვალი, 1908ნ.

ეს არის პირველი ჩვენება, სადაც „ერთი იმერელი" იხსენიება. ეს ჩვენება ძვირფას ცნობებს გვაწვდის. პირველს იმას, რომ ფშავლიშვილი აშკარად არ ინდობს ინაშვილს, ის გამოჰყავს ბანდის მეთაურად და აფიქსირებს, რომ ტყვია ილიას ინაშვილმა ესროლა, (ისინი უკვე წაკიდებულნი არიან ერთმანეთზე, რაზეც ზემოთ გვქონდა ნათქვამი და ამის შედეგსაც ვნახავთ) და მეორე, ფშავლიშვილთან ერთად დაჭერილი ფეიქრიშვილი ახსენებს იმერელს. ძიებისათვის ჯერ უცნობს. ფშავლიშვილი თავის მხრივ იმასაც დასძენს, ეს ის კაცია, რომლის გვარ-სახელი არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ამას წინათ იარაღის ტარებაზე დაიჭირეს და რუსეთში გადაასახლესო.

ამ სიტყვებიდან გამომდინარე, დიდი შერლოკ ჰოლმსობა არ სჭირდებოდა იმის ამოცნობას, რომ ეს უბირი ფშავლიშვილი, მისდა უნებურად, თავს ყიდდა. მან მშვენივრად იცოდა, ვინ იყო „იმერელი", გვარ-სახელით თუ არა, სხვა ნიშნით, ვთქვათ, მეტსახელით მაინც, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ შეეძლო ეთქვა – ვიცი, რომ ეს ის კაცია, რომელიც ამას წინათ იარაღის ტარებაზე დაიჭირეს და რუსეთს გადაასახლესო.

მივაქციოთ ერთ გარემოებას ყურადღება, თუ ფშავლიშილი მართალს ამბობს, იმერელის ვინაობის დადგენა ძიებისათვის სრულიად იოლი ხდება. მკვლელს იჭერენ, რომელიც აღიარებს, გვარსახელი არ ვიცი, მაგრამ ჩემთან ერთად ის კაცი იყო, ამას წინათ რომ იარაღის ტარებაზე დაიჭირეს და რუსეთს გადაასახლესო.

ეს ამბავი 1908 წლის 10 თებერვალს ხდება, ამას წინათ ნიშნავს კვირასაც, ერთ თვესაც, სამ თვესაც, მაგრამ 1907 წლის 30 აგვისტომდე უფრო ადრინდელ თარიღს ხომ არ ნიშნავს?

განა ძნელი დასადგენი იყო ის, თუ ამას წინათ ვინ იქნა დაპატიმრებული იარაღის ტარებაზე და რუსეთს გაგზავნილი?

ფაქტი ერთია, ან ძიებას არ სურდა „იმერელის" დაჭერა, რასაც წინარე თავების წამკითხველი, ვგონებ, გამორიცხავს, ან ფშავლიშვილიცა და ფეიქრიშვილიც „იმერელთან" დაკავშირებით შეგნებულად მამაძაღლობენ.

რატომ აღიარებენ ბრალს და ასახელებენ ეს ცნობილი ყაჩაღები, „წითელრაზმელები" დაჭერის პირველსავე დღეს მკვლელობის ორივე თანამონაწილეს? მათ შესახებ ძიებამ, ლაბაურის წყალობით, ყველაფერი უკვე იცის. ძიებამ არ იცის ვინ იყო მეოთხე, ფაქტია, რომ ოთხნი იყვნენ. ფეიქრიშვილიცა და ფშავლიშვილიც იძულებულნი არიან აღიარონ ის, რაც ისედაც ცნობილია, ამ ფონზე ადასტურებენ მეოთხის არსებობას, ისედაც ცნობილ ფაქტს, მაგრამ მალავენ მის ვინაობას, რადგან ის მეოთხე ბანდის მეთაურია. მეთაურის გაცემა კი მათი და მათი ოჯახის ამოწყვეტის უდავო წინაპირობაა. ამიტომ, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი კვალზე კი არ აყენებენ, არამედ თითქოსდა ისეთ გულწრფელ აღიარებაში ისეთ ტყუილს გამოურევენ, ძიება რუსეთში გაგზავნილი რომელიმე პატიმრის კვალზე რომ უნდა დააყენოს.

ვიმეორებ, თუ მართლა „იმერელი" ტარებაზე დაიჭირეს და რუსეთში გაასახლეს, მისი ვინაობის დადგენა სულ რამდენიმე დღის საქმე იყო. იმჟამად იარაღის ტარების გამო რუსეთში არავის ასახლებდნენ. იარაღის ტარების გამო იჭერდნენ, შემდეგ საქმეს უმძიმებდნენ და მერე კი შეეძლო სასამართლოს გადასახლება მიესაჯა. განა რამდენი კაცი ჰყავდათ დროის მოკლე პერიოდში შედარებით მსუბუქი ბრალდებით – იარაღის ტარების გამო, დაჭერილი, შემდეგ საქმედამძიმებული და სასამართლო წესით რუსეთს გადასახლებული, რომ ილიას მკვლელთა ბანდის მეთაური ვერ დაედგინათ?

ფშავლიშვილისა და ფეიქრიშვილის დაჭერიდან 7 დღის შემდეგ დააპატიმრეს ხიზანიშვილი. მას სროლაში მონაწილეობა არ მიუღია. გვიან გამოვიდა ტყიდან. ის ასევე ახსენებს იმერელს, რომელსაც ორლულიანი ხვოსტონიანი თოფი ჰქონდა ხელთ. ფშავლიშვილს რევოლვერი, ბერბიჭაშვილსა და ინაშვილს კი ბერდანკის თოფიო. (იხ. „ისარი" №44, 1908წ.) თუმც ეს ჩვენება არ არის ზუსტი. ბერბიჭაშვილს საფანტიანი თოფი ეჭირა, „იმერელს" კი ბერდენკა.

„იმერელზე" ხიზანიშვილი სხვას ვერაფერს ამბობს, რადგან ხიზანიშვილს მეეტლე ლაბაურის არ იყოს, არც შეიძლებოდა იმერელზე რამე სცოდნოდა. მკვლელობაში მონაწილეთაგან წითელრაზმელები, ანუ ტერორისტები არ იყვნენ ლაბაური, ხიზანიშვილი

და მოძღვრიშვილი. ეს გლეხები ტერორში წითელრაზმელებმა ჩაითრიეს, ამიტომ, გასაკვირი არ არის, გლეხებს ბანდის მეთაური თუ მართლაც არ ეცოდინებოდათ ვინ იყო.

დანარჩენები – ინაშვილი, ბერბიჭაშვილი, ფეიქრიშვილი და ფშავლიშვილი იყვნენ ყაჩაღები, წითელრაზმელები, ტერორისტები, ამიტომ დიდი ალბათობით ბანდის მეთაურის ვინაობა ყველამ ან რომელიმე მათგანმა იცოდა, მაგრამ ფაქტია, იმერლის ვინაობა საიდუმლოდ დარჩა. თუ რატომ, ან ვინ შეიძლებოდა ის ყოფილიყო, ჩვენს მოსაზრებას ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი მათ შესახებ, ვინც დღემდე მოიაზრებოდა „ერთ იმერელში".

ვერსია №1

მკვლელთა ჩვენებების დაკვირვებით ნაკითხვა ერთ უეჭველ დასკვნას გამოგვატანინებს. მკვლელები ხელს ერთმანეთს იმის მიხედვით ადებენ ან არ ადებენ, ვინ ვისი ახლობელი, ნათესავი ან ვისგან განსაკუთრებით დაშინებულია.

მაგალითისათვის: თავიდან მეეტლემ სხვებთან ერთად ხელი დაადო მოძღვრიშვილსაც და ინაშვილსაც.

პირველთან პირადი ურთიერთობა და მეგობრობა ჰქონდა. მოძღვრიშვილიცა და ლაბაურიც ილიასთან მუშაობდნენ, იყვნენ მეზობლები; მეორისა კი, როგორც ტერორისტისა, ჰქონდა შიში, ჩემი ოჯახი არ ამოაწყვეტინოსო. ალბათ ამ მიზეზების გამო, როცა განაჩენი უკვე დადგენილი ჰქონდათ, ლაბაური მოითხოვს ხელახლა დამკითხეთო და განაცხადებს: ძალიან კარგად ვიცი ნამდვილ მკვლელთა ვინაობა. ესენი არიან პ. ფშავლიშვილი, (იმ დროს 1909 წლის 27 იანვარს, როცა ეს დაკითხვა მოხდა უკვე მოკლულია) გ. ბერბიჭაშვილი, (ვერ უპოვნიათ) ლ. ფეიქრიშვილი (ვერ უპოვნიათ, დაიჭირეს მაგრამ გაიქცა) და იმერელი, (ამ დროს უკვე იცის რომ იქ ვიღაც იმერელი იყო, ვინაობა დაუდგენელია) **გ. მოძღვრიშვილი და ვ. ინაშვილი უბრალონი არიანო.**

კიდევ ერთი ფაქტი. დაპატიმრებულ ინაშვილს ალიბს უქმნიან ვინმე ილ. გურამიშვილი და ა. წინამძღვრიშვილი. ისინი ამტკიცებენ, რომ მკვლელობის დროს ინაშვილი იყო მათთან ერთად თავად ციციშვილის ოჯახში.

წარმოიდგინეთ, თავადები, ილიას ნათესავები იცავენ იმ მკვლელს, რომელმაც დიდი ალბათობით პირადად ესროლა მგოსანს. ამ საშინელებას ისინი ტერორისტ ინაშვილის ხალხისაგან დაშინების გარეშე რატომ ჩაიდენდნენ?

ჩანს მაზრის უფროსი ყარამან ფაღავა ხედავდა, რომ პატიმრებს ჩვენებების მიცემისას ეს მოტივები – შიში ან ახლობლობა ამოძრავებდათ, იფიქრა, ფშავლიშვილი მეგობრობს მოძღვრიშვილთან, მას არ უნდა გასცეს მოძღვრიშვილი და დაასახელოს როგორც მკვლელობის მონაწილე. ამიტომ იმ ოთხ კაცში ერთ ასახელებს ვილაც იმერელს, ამით კი მოძღვრიშვილს უქმნის ალიბსო.

ასე რომ, პირველი ვერსია „უცნობი იმერელის" შესახებ ეკუთვნის მაზრის უფროს ფაღავას. **ის თავიდან ფიქრობდა, რომ იგი მოძღვრიშვილი იყო,** მაგრამ ძიებამ ეს არ დაადასტურა. მოძღვრიშვილი კი ჩაითვალა მკვლელობის თანამონაწილედ. მაგრამ არა „ვილაც იმერლად".

ვერსია №2

უკვე ითქვა, რომ „ვილაც იმერლად" ბერბიჭაშვილის ბიძა და ერთი თავადი ყაჩაღ სანდრო ოზიევს (ოძიშვილს) ასახელებდნენ. ძიებამ ეს ვერსიაც შეამოწმა და უარყო, ოძიშვილი გაამართლეს და გაუშვეს.

ვერსია №3

„ვილაც იმერლად" საბჭოთა სასამართლო პროცესზე გიგლა ბერბიჭაშვილმა დაასახელა ლადო ფეიქრიშვილი. ფეიქრიშვილს ილიას მკვლელობაში რაღაც ფორმით მონაწილეობა მიღებული ჰქონდა, რაც ჩანს იქიდან, რომ ის ფშავლიშვილთან ერთად სწორედ ილიას მკვლელობის გამო იქნა დაჭერილი. ფეიქრიშვილი რომ რაღაც ფორმით იმ საქმეში გარეული იყო ჩანს ერთი ყაჩაღის ვინმე ფილიპე მაძმანაშვილის ჩვენებიდან, რომელიც ილიას მკვლელობის გამო იყო აყვანილი და რომელმაც გამოძიებასთან საიდუმლოდ ითანაშრომლა. ფეიქრიშვილმა სთხოვა ფშავლიშვილს ილიას ნაძარცვი ოქროს სათვალეები თავისი ცოლისთვის ბეჭდის გასაკეთებლადო. განაჩენის გამოტანის შემდეგ, 1909 წელს ფეიქრიშვილს უკვე მეეტლეც დაასახელებს. რაკი იმ ოთხ კაცში ფეიქრიშვილი არ იყო, სავარაუდოა, რომ მეეტლეს ის წინა დღეს შეხვდა და მუქარით აიძულა გაეკეთებინა ის, რაც მეეტლე ლაბაურმა ჩაიდინა.

სავარაუდოა, რადგან ლაბაურთან ისეთი კაცი უნდა მისულიყო, რომელსაც ის შიშით ვერ გასცემდა. საგურამოს ტყეში დაბანაკებული ყაჩაღების უფროსი (ჰყავდა 12 კაციანი რაზმი) ფეიქრიშ-

ვილი იყო. იქაურობას სწორედ ის სცემდა შიშის ზარს. ამ ნიშნით ფეიქრიშვილს ჰქონდა მთავარი მონაცემი საიმისოდ, რომ ილიაზე თავდამსხმელთა ბანდის მეთაურად სწორედ იგი შეერჩიათ. მაგრამ მის „ვიღაც იმერელთან" იდენტიფიცირება მაინც არ დაუშვა მაშინდელმა სასამართლომ. ალბათ სამართლიანადაც, საქმე ის არის, რომ ლაბაური ბოლო ჩვენებაში ფეიქრიშვილს კი ასახელებს, მაგრამ მასთან ერთად ასახელებს იმერელსაც.

ცხადია, თეორიულად შეიძლება დავუშვათ ზემოთჩამოთვლილი ნებისმიერი ყაჩაღის იმერელთან იდენტიფიცირება, მაგრამ ყველა ისინი მაშინდელ ძიებას დაპატიმრებულნი ჰყავდა და ეს გამორიცხა თვით ძიებამ.

ყაჩაღი ფეიქრიშვილის გამოსარიცხად, როგორც „ვიღაც იმერლისა", მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საბჭოთა სასამართლომ ბერბიჭაშვილს სწორედ ის დაასახელებინა – იმერელი ფეიქრიშვილი იყოო. საბჭოთა სასამართლოს მიზანი ის იყო, რომ დაემალა ნამდვილი „იმერლის" ვინაობა, ვინაიდან „იმერელი" იყო ბოლშევიკების კომიტეტიდან მივლენილი ბანდის ორგანიზატორი. საბჭოთა სასამართლოს განაზრახით „იმერელი" ბოლშევიკი არ უნდა ყოფილიყო, ამიტომ „იმერლად" დასახელდა ლადო ფეიქრიშვილი, რომელიც ბოლშევიკების პარიტასთან არ ასოცირდებოდა.

ვერსია №4

ალ. შუშანაშვილს ჰქონდა მოსაზრება, რომ იმერლის არსებობა მითია, თეორიულად ესეც დასაშვებია, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ უშუალო თავდამსხმელებად ყველა ოთხ კაცს ასახელებს, სამი ვიცით, მეოთხე არა. რისთვის შეკრა ყველამ ერთად პირი და გამოიგონა არარსებული მეოთხე მკვლელი?

ცხადია, ის მეოთხე წარმოშობით იმერელი შესაძლოა სულაც არ ყოფილიყო და ეს იმერლობა ბანდის მეთაურის გასასაიდუმლოებლად მოიფიქრეს მკვლელებმა და იმერლად მონათლეს, ვთქვათ, ვინმე მცხეთელი ან საგურამოელი, ან სხვა ვინმე. მაგრამ ფაქტია, მეოთხეს ვინაობა, რომელიც რეალურად არსებობდა, გასაიდუმლოებული დარჩა.

ვერსია №5

ყველა ის პირი, ვინც ზემოთ იქნა შესაძლო იმერლად დასახელებული – მოძღვრიშვილი, ოზიევი (ოძიშვილი) თუ ფეიქრიშვილი ფიგურირებს ილიას მკვლელობასთან დაკავშირებულ იმჟამინდელ

მასალებში, მაგრამ დღეს არც სამეცნიერო წრეები და არც ფართო მკითხველი მათ იდენტიფიცირებას იმერელთან არ ახდენს, შესაძლოა ბევრს პირველადაც ესმის ეს გვარები.

სამაგიეროდ, დღეს თითქმის მთელი საქართველო დაჯერებულია, რომ ვილაც იმერელი იყო სერგო ორჯონიკიძე.

არადა, სერგო ორჯონიკიძის ვინაობა ილიას მკვლელობასთან მიმართებაში, როგორც „ვილაც იმერლისა" მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე არსად, არც პრესაში, არც მემუარებში, ცხადია, არც სასამართლო მასალებში, არ გაჟღერებულა.

რა მოხდა? ნუთუ ილიას მკვლელობიდან თითქმის 30 წლის შემდეგ მართლა დადგინდა „ერთი იმერლის" ვინაობა, დადგინდა ის, რასაც თავი ვერ მოაბა მეფის სასამართლომ?

უცნაური კია, მეფის მთავრობამ ვერ ამხილა თავისი რეჟიმის მტერი, უპოვარი და არალეგალურად მცხოვრები 21 წლის ტერორისტი, ძებნაში მყოფი სერგო ორჯონიკიძე და იგივ ორჯონიკიძე მხილებულ იქნა სწორედ მაშინ, როცა დედამიწის ერთი მეექვსედის მცხოვრებთა მიერ ლამის ბელადად შერაცხულ იყო?

იმდენად არის ჩვენს საზოგადოებაში გამჯდარი აზრი ილიას მკვლელ „იმერელსა" და ორჯონიკიძის იგივეობის შესახებ, რომ ეს მეც ასე მწამდა და უკრიტიკოდ ვიღებდი ცალკეულ მეცნიერთა ნაშრომებს, რომელშიც „იმერელი ბიჭისა" და ორჯონიკიძის იგივეობაზეა საუბარი. მაგრამ კვლევამ დამარწმუნა, რომ ორჯონიკიძისა და „ერთი იმერელის" იდენტურობა ფრიად სათუო რამ გახლავთ.

სერგო ორჯონიკიძემ საქართველო დაიპყრო, მის პარტიულ ძმასთან სოსო ჯუღაშვილთან ერთად საქართველოს კარაქივით ჩამოსჭრა ძირძველი ტერიტორიები, იმდენი ცოდვა და სისხლი ადევს კისერზე, ან რაღა გარეცხავს, ან რაღა გააშავებს, მაგრამ ისტორია ჩვენი სიმპატია-ანტიპატიებით არ იწერება.

ორჯონიკიძე, როგორც ძველი ბოლშევიკ-ტერორისტი ერთ-ერთი შეუცვლელი კანდიდატია საიმისოდ, რომ ილიას პირისპირ ბერდანკით ხელში მდგარიყო, მაგრამ თუ არ ჩანს რომ ეს ასე იყო?

ამ მხრივ ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტები მოიყვანა განსვენებულმა ისტორიკოსმა შოთა ბადრიძემ.

ვიდრე შოთა ბადრიძის არგუმენტებს მოვიშველიებთ, იმ წანამძღვარზე ვისაუბროთ, თუ რამ გამოიწვია ესაოდენ იდუმალებით მოცული საკითხის ასე მარტივად გადაწყვეტა – ვილაც იმერელი იყო სერგო ორჯონიკიძე.

ახლა ეს იდუმალი საკითხი კი არა, თითქოს ისე დღესავით ნათელია, თითქოს ფაქტის ამსახველი კინოფირი შემოგვრჩენოდეს.

საქმე ის გახლავთ, რომ XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ეროვნული ენერგიის განახლება, ისევ ილიას სახელის ხელახალი გაბრწყინებით დაიწყო.

ტყვიამ თავისი საქმე გააკეთა. ილია ფიზიკურად მოკლა, მაგრამ ტყვიას ყველაფერი როდი შესძლებია, ილიამ მკვდარმაც დაამარცხა ბოლშევიკები. ილიას სახელის ხელახალი აღზევება, როგორც დამოუკიდებელი საქართველოსთვის მებრძოლისა, საქართველოს პოლიტიკური ასპარეზიდან ბოლშევიკთა სამარცხვინო გაძევების ფონზე ხდებოდა.

სერგო ორჯონიკიძე, როგორც ჩექმიანი რუსეთის სიმბოლო, როცა 80-იან წლებში ილიას მკვლელად უკვე მითქმა-მოთქმით კი არა, გამოკვლევებში დასახელდა, ამით მეცნიერულ ცნობისმოყვარეობაზე მეტად პოლიტიკური ჟინი მოიკლა ქართველმა კაცმა. ეს ჟინი გამოიხატებოდა იმაში, რომ სიძულვილი გამოეხატა ყოველივე საბჭოურის მიმართ, რომლის სიმბოლოდ სერგო ორჯონიკიძე ქცეულიყო. (სტალინს ამაშიც ბედი წყალობს რატომღაც)...

ასე რომ, სერგოს სახელის „ერთ იმერელთან" გაიგივებამ, რაც ბერიას ეპოქაში ზეპირი ჭორის სახით აგორდა, იმჟამად შიდა სახელისუფლებო ინტრიგები წარმოაჩინა, ხოლო 80-იანი წლების ბოლოს დიდი საქმე გააკეთა – ეროვნული ნერვის კიდევ შეტად აღგზნებას შეუწყო ხელი.

საინტერესოა, რომ სწორედ 80-იან წლებში გამოიცა აკაკი ბაქრაძის წიგნი ილიაზე, რომელშიც საბჭოთა ეპოქის მანძილზე ჩვენში პირველად იყო საუბარი სოც-დემოკრატთაგან ილიას მოკვლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერმა აკაკი ბაქრაძემ შესანიშნავად უწყოდა მთელი ის მითქმა-მოთქმა რაც ბერიას დროიდან მოყოლებული, ორჯონიკიძის წინააღმდეგ იყო აგორებული, ის ძალიან ფრთხილად მიუდგა ამ საკითხს და „იმერელის" ვინაობა კვლავ გამოცანად დატოვა. განაცხადა „არავინ უწყის, მოხერხდება თუ არა მისი დადგენა ოდესმე".

იმ ფონზე როცა თვით აკაკი ბაქრაძე ფრთხილობდა ორჯონიკიძისათვის დაედო ხელი, ზოგიერთი ყოფილი პარტიული ფუნქციონერი თავგამოდებით ამტკიცებდა ორჯონიკიძის დანაშაულს საუკუნის ტრაგედიაში, მათ შორის ერთი ისეთიც გახლდათ, რომელიც თავის დროზე ბერიას დავალებებს ასრულებდა და რომელიც 30-იან წლებში ასევე თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ილია მეფის

„ოხრანკამ“ მოკლაო. ის წერილი აღარავის ახსოვდა, ეს კი მგზნებარე ანტიკომუნისტად მოვლენილიყო.

ისტორიას უყვარს პარადოქსები, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში, ბევრი ყოფილი ბოლშევიკი რომის პაპზე მეტ კათოლიკედ იქცა. მათი ნაწილი შეესაძლოა გულწრფელი იყო, მაგრამ ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ბევრს ეროვნული ლოზუნგებით თავისი ძველი ანტიეროვნული საქმიანობის ჩაფარცხვა სურდა.

ბუნებრივია იყო ხალხი, რომელთაც სწორედ ბოლშევიკებისადმი ზიზღის გამო, ეჭვიც არ ეპარებოდათ ორჯონიკიძე რომ იქნებოდა ილიას მკვლელთა შორის და წერდნენ მის როლზე ამ საშინელ ტრაგედიაში, მაგრამ მკვლევარის ამოცანა არის არა მითის შექმნა ან გამყარება, არამედ ისტორიული სინამდვილის აღდგენა.

რა არგუმენტები არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ სწორედ სისხლიანი ორჯონიკიძე იყო „ერთი იმერელი“, ანუ ილიას მკვლელთა ბანდის მეთაური?

ამ ვერსიას მხარს უჭერენ ავტორები: ალ. სიგუა, ვ. გურგენიძე, გ. შარაძე, გ. ყორანაშვილი და სხვები.

ეს ვერსია არ გაიზიარეს აკ. ბაქრაძემ, შ. ბადრიძემ, ალ. შუშანაშვილმა, მ. კეკელიამ და სხვებმა.

იმედია არავინ იფიქრებს, რომ, ვთქვათ, ანტიკომუნისტ აკაკი ბაქრაძეს ნაკლებად სძულდა სერო ორჯონიკიძე, ვიდრე რომელიმე საწინააღმდეგო პოზიციის მქონე ავტორს.

საქმე ეხება ფაქტებს და არა ფაქტებისადმი ჩვენს სუბიექტურ დამოკიდებულებას.

ვნახოთ რა არგუმენტები არსებობს ს. ორჯონიკიძისა და „ვიღაც იმერელის“ იგივეობის დასადასტურებლად.

არგუმენტები უნდა გაიყოს ორ ნაწილად. რა არგუმენტები არსებობდა 1907 წლიდან – 30-იან წლებამდე და შემდეგ.

რატომ უნდა გამოვყოთ ეს ორი პერიოდი ქვემოთ მოგახსენებთ.

ილიას მკვლელობის შემდეგ „ვიღაც იმერელის“ აღმოჩენას გულმოდგინედ ცდილობდა გამოძიება. ძიების სხვადასხვა ეტაპზე ეჭვი შეტანილ იქნა ყაჩაღ ოზიევზე (ოძიშვილზე) გლეხ მოძღვრიშვილზე, საბჭოთა სასამართლოში კი „იმერლად“ ყაჩაღი ლადო ფეიქრიშვილი დაასახელა ბერბიჭაშვილმა. თავიდან უარყოფდა „იმერელს“ არ ვიცნობ და იქ სულ არ ყოფილაო, შემდეგ დაასახელებინეს...

ილიას მკვლელობის შემდეგ ორჯონიკიძე ეჭვმიტანილი არ ყოფილა. თუმცა, ეს არაფერს ნიშნავს. ვნახოთ რა ფაქტებს ეყრდნობიან მკვლევარნი ადრეულ პერიოდთან დაკავშირებით.

1) მათი ამოცანა არის გარეგნული მსგავსება მოიძებნოს „იმერელსა" და ორჯონიკიძეს შორის. ეს სინამდვილის აღდგენის ერთ-ერთი სწორი გზა გახლავთ, მაგრამ, საუბედუროდ, „იმერელის" გარეგნული პორტრეტი სასამართლო მასალებში აღარ არსებობს.

დაჭერილი ჰყავდათ მკვლელები, ეძებდნენ მათ მეთაურს. ხომ წარმოუდგენელია არ ეთქვათ. კარგით, მისი გვარ-სახელი არ იცით, მაგრამ გარეგნულად აღგვიწერეთო. ასეთ კითხვაზე ხიზანიშვილი, ფშავლიშვილი და ინაშვილი, რომლებთან მთელი წინა დღე და ღამე დაჰყო „იმერელმა", ხომ ვერ იტყოდნენ, როგორ გამოიყურებოდა ესეც არ ვიცითო?

ცხადია, სასამართლო მასალებიდან, მეფის მთავრობის შემდეგ, შერჩევით ამოიღეს ის დოკუმენტები, რომელნიც სოც-დემოკრატებს არ აწყობდათ. მათ შორის გაქრა კომიტეტიდან მივლენილი კაცის გარეგნული აღწერაც. ამ დანაკლისის შევსებას ზოგიერთი მკვლევარი ასე შეეცადა.

ა) „იმერელი" მკვლელთა შორის იყო ყველაზე ახალგაზრდა. მაგრამ თუ პორტრეტის აღწერა დაკარგულია, საიდან ვიცით ეს? ჯერ ერთმა მკვლევარმა დაწერა, შემდეგ კი გადაუმოწმებლად მეორემ, მესამემ, მეოთხემ გაიმეორა – „იმერელი ბიჭი". რატომ? იმიტომ რომ ორჯონიკიძე 1907 წელს 21 წლის იყო, სხვა მკვლელები ცოტა უფროსები.

საქმე ის გახლავთ, რომ ბიჭად „იმერელი" დაკითხვის არცერთ ოქმში და, საერთოდ, არცერთ დოკუმენტში არ იხსენიება. ყველგან მას ახსენებენ ასე – „იმერელი", „ერთი იმერელი", „ვიღაც იმერელი" ან „უცნობი იმერელი".

შესაძლოა ეს „იმერელი" მართალაც ყველაზე ახალგაზრდა „ბიჭი" ყოფილიყო, მაგრამ დოკუმენტებში ბიჭი არ იხსენიება.

ბ) სასამართლო მასალებში არა, მაგრამ თითქმის 100 წლის შემდეგ ჩნდება „ბიჭის" პორტრეტიც – „ახალგაზრდა, ხუჭუჭათმიანი, კეხიანი ცხვირით". „თბილისის საპოლიციო უბნებში მკვლელ იმერელს თურმე ასეთი ნიშან-თვისებებით ახასიათებდნენ", ამას წერს ერთი პუბლიცისტი, და იმეორებს მეორე მკვლევარი. ეს დახასიათება ზედგამოჭრილია სერგო ორჯონიკიძის მიმართ, მაგრამ პუბლიცისტი წყაროს არ მიუთითებს. ვერც მიუთითებდა, რადგან „იმერელთან" მიმართებაში ასეთი დახასიათება არც ერთ

დოკუმენტში არ არის მოცემული. ზოგადად შეიძლება ეძებდნენ კიდეც დამნაშავეს, რომელიც იყო ახალგაზრდაც, ხუჭუჭთმიანიც და კეხიანი ცხვირით. მაგრამ „ვინმე იმერელს" ამ დახასიათებით არავინ ეძებდა. ასეთი დოკუმენტი არ არსებობს, მაგრამ ხომ აქვს მკვლევარს უფლება თუ ილიას მკვლელობის შემდეგ პოლიცია ეძებს ახალგაზრდას, ხუჭუჭთმიანსა და კეხცხვირიანსა ის სერგო ორჯონიკიძესთან დააკავშიროს? იქნებ პოლიციამ არ ჩაწერა „იმერელი", რადგან არ იციან ეს სიტყვა მეტსახელია თუ წარმომავლობას აღნიშნავს, ამიტომაც მხოლოდ გარეგნული აღწერილობით ეძებენ მკვლელს?

ეს ვერსია დასაშვებია, მაგრამ თუ ასი წლის შემდეგ ამ აღწერილობამ მკვლევარს სერგო ორჯონიკიძე გაახსენა, უფრო დასაშვები არ არის მაშინდელ ძიებასაც გახსენებოდა ამ დახასიათებით ორჯონიკიძე, და სწორედ მასზე მიეტანათ ეჭვი? რა იცოდნენ ვინ იყო ორჯონიკიძე და როგორ გამოიყურებოდაო? – გაჩნდება კითხვა. იცოდნენ, მისი პორტრეტიც ჰქონდათ, მისი გვარი-სახელიც უწყოდნენ და სწორედ იმ დროს, სხვა საქმის გამო, ძებნა იყო მასზე გამოცხადებული.

ს. ორჯონიკიძე დაპატიმრებულ იქნა 1904 წლის 24 დეკემბერს, გუდაუთაში, იარაღის შემოტანის გამო. ასე წერენ მისი ბიოგრაფები. აქ ერთი „პატარა უზუსტობაა" გაპარული... იარაღი შემოიტანეს სოც-ფედერალისტებმა, ამაზე ზემოთ ჩვენ ვწერდით. კერძოდ, გუდაუთაში გადაზიდეს თედო სახოკიას მეთაურობით.

სერგოს როლი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ზღვის ნაპირზე წვალებით გადმოტანილი იარაღიანად, რომელიც არ ვიცით მოიპარა თუ შეისყიდა, როცა გზად მიმავალი დააპატიმრეს, მან მიუთითა ის ადგილი, საიდანაც იარაღი წამოიღო, ანუ დააბეზღა ფედერალისტები. ეს ორჯონიკიძის არც ერთ ბიოგრაფიაში არ წერია, პირიქით, ყველა მკვლევარი მისი მოყვარული თუ მოძულე, აღნიშნავს, იარაღის შემოტანაზე დააპატიმრესო.

აბა ვნახოთ, ჟანდარმერიის ეს ცნობა იარაღის შემოტანას უსვამს ხაზს თუ „ჩაშვებას"?

ვრცელი ტექსტის მოკლე შინაარსს გადმოგცემთ: 1905 წლის დეკემბრის დამდეგს გაგრაში თავად ალექსანდრე ინალიფასთან მივიდა 12 შეიარაღებული კაცი. ვინაიდან ზღვაზე ცუდი ამინდია, იარაღი შენს მამულში უნდა ჩამოვტვირთოთო. ინალიფა შეშინდა და თავიდან უარი თქვა, მაგრამ იძულებული გახდა დათანხმებულიყო. დაუყენეს მამულს დარაჯები.

სოფ. ბომბორის მამასახლისმა სტეფანოვმა 24 დეკემბერს ეჭვი აიღო 2 ცარიელ დროგზე, რომლებიც ზღვის ნაპირისკენ მიემართებოდნენ და ყაზახებს შეატყობინა. ყაზახები გაემართნენ ზღვის მიმართულებით. შეხვდათ ორი უცნობი პირი, რომლებიც ყაზახების დანახვაზე ტყეში შეცვივდნენ. შემდეგ ყაზახებს შემოხვდათ დროგი, რომელშიც ისხდნენ გუდაუთის საავადმყოფოს ფერშალი სერგო ორჯონიკიძე და რამდენიმე კაცი. ესენი ყაზახებმა გაჩხრიკეს. ნაბად ქვეშ ჰქონდათ ორი ხიშტი და სამი თოფი. **მათ განაცხადეს, რომ თოფები და ხიშტები იპოვეს ზღვის ნაპირას. წავიდნენ ყაზახები და მითითებულ ადგილას მართლაც 10 კაცი და იარაღი დააკავეს.** (უფრო დაწვრილებით იხ. „რევოლუციი მატიანე", 1925წ. №3, გვ. 133-134). დაკავებულ ფედერალისტ თედო სახოკიას სხვებთან ერთად მიესაჯა გადასახლება. გურჯიევს და ორჯონიკიძეს კი, რომელთა მითითების საფუძველზეც მოძებნეს იარაღი, ციხე. პირველს 1 წელი, მეორეს 8 თვე. ორჯონიკიძე გათავისუფლებულ იქნა თავდებში 500 მანეთის გირაოს შეტანით.

ახლა მკითხველმა განსაჯოს, ის იარაღის შემოტანისათვის დაუპატიმრებიათ თუ არა...

თავდებით გათავისუფლებული ორჯონიკიძე მიიმალა, რის გამოც დაეძებდა პოლიციის დეპარტამენტი, თანახმად ცირკულარისა №150032. ეს ცირკულარი გამოცემულია 1907 წლის 18 ივნისის თარიღით.

1907 წლის მეორე ნახევარში ბაქოს ოხრანის პუნქტმა აგენტებისაგან მიიღო ცნობა, რომ ბალახანაში (აზერბაიჯანშია) მცხოვრები ფერშალი ორჯონიკიძე არალეგალური პიროვნებაა, ეკუთვნის რსდმპ ბაქოს ოგანიზაციას და მისი კონსპირატიული მეტსახელი არის „სერგო". (ოფიციალურად გრიგოლი ერქვა).

1907 წლის ნოემბრის 3-ს ის გაჩხრიკეს და 4-ს დააპატიმრეს.

1908 წლის 27 მარტს თბილისის სასამართლო პალატამ სახელმწიფო დანაშაულისათვის მიუსაჯა გადასახლება და გაგზავნილ იქნა ჯერ ქუთაისის, სოხუმის ციხეებში და შემდეგ ციმბირში, ენისეის გუბერნიაში, საიდანაც ის გამოიქცა 1909 წელს.

ეს არის ორჯონიკიძის ბიოგრაფიის იმჟამინდელი დეტალები. ახლა ვიკითხოთ, თუ პოლიცია ეძებს უცნობ იმერელს, რომლის აღწერილობა ჰგავს ორჯონიკიძისას, იმავე დროს 1907 წლის ივნისის თვიდან გამოდის ცირკულარი, რომლითაც თვით ორჯონიკიძეს ეძებენ და 4 ნოემბერს იჭერენ კიდეც, ასე გონებასუსტები როგორ იყვნენ მათ მიერ აღწერილი დევნილის მსგავსება მათ მიერვე

დაჭერილ კაცთან აზრად არ მოსვლოდათ? 100 წლის შემდეგ კი მკვლევარი ამტკიცებს, ეძებდნენ იმერელს ("იმერელი" თავად ჩაუმატა), რომელსაც ხუჭუჭი თმები და კეხიანი ცხვირი ჰქონდაო.

ვფიქრობ, აშკარაა, რომ როგორც პირველი, ისე მეორე „არგუმენტი", რბილად რომ ვთქვათ, უსაფუძვლოა.

არის სხვა „არგუმენტებიც", რომელთა სერიოზული განხილვა არ ღირს. მაგალითად, 4 კაცში ერთი საშუალო სიმაღლისა იყო და რომ სერგო ყოფილა საშუალო სიმაღლისა (თუმცა, ვგონებ, ესეც არ არის სწორი).

რომ 4 კაცში 2-ს ჰქონდა წვერ ულვაში და ორს მხოლოდ ულვაში და ა.შ.

ერთ-ერთ არგუმენტად განიხილება ორჯონიკიძის ჩანაწერი 1906 წელს პატიმრის ანკეტაში, რომელშიც ვკითხულობთ –

Народность — Имеретинец

რომ ამ ჩანაწერით უნდა ვიფიქროთ, შესაძლოა სერგოს მეტსახელი ჰქონდა იმერელიო.

საქმე ის გახლავთ, რომ მაშინ, როგორც ზემოთ აღვწერდით, გარდა ქართლელისა, ყველა ეროვნებით ან იმერლად, ან აჭარელად, ან ხევსურად და ა.შ. ჰყავდათ მონათლული რუსებს. ქართველს მხოლოდ ქართლელს ეძახდნენ. ჩვენი ეროვნული ცნობიერებაც ისეთი იყო, ფერშალი ორჯონიკიძე კი არა, ბანკის კრებაზე მაღალი საზოგადოების ორატორი გამოვიდა და თბილისში ჩამოსული ვილაც იმერელი ჩვენს საქმეებში რატომ ერევაო, განაცხადა.

ამაზე ჩვენ უკვე ვწერდით, ილია ჭავჭავაძემ რა დღე აყარა ამ „პატრიოტ" „ქართველს". მერედა ვინ იყო უცხო იმერლობისა გამო, ამ ჩიტირეკია ორატორის აზრით, აღარ იკითხავთ? – ნიკო ნიკოლაძე.

ამ ფონზე ფერშალმა ორჯონიკიძემ რატომ ჩაწერა ეროვნება იმერელიო, ამის კითხვა, ვფიქრობ, არც ღირს, მით უფრო შორსმიმავალი დასკვნის გაკეთება.

აი, ეს არის სულ ის „არგუმენტები", რომელიც ილიას მკვლელობიდან მოკლე ხანებში ორჯონიკიძისა და „იმერელის" იგივეობას „ადასტურებს".

სამაგიეროდ, ამ იგივეობის საბუთები უხვად მოიპოვება 30-იანი წლების შემდეგ. მათი განხილვა არის შეუძლებელი. ეს არის მოგონებები სხვადასხვა პირებისა, რომ „იმერელი" იყო ორჯო-

ნიკიძე. ამ მოგონებებს ან უნდა ვენდოთ, ან არა. არგუმენტებით მათზე ვერ იმსჯელებ. მაგრამ ტყუილის მოკლე ფეხები ხშირად თავად გამოჩნდება ხოლმე.

მაგალითად, როცა სასამართლო პროცესზე ბერბიჭაშვილი ვითომ ყვება ათას რამეს და მისი მონაყოლის გადასამოწმებლად ფილიპე მახარაძესთან გარბიან, შემდეგ კი როგორც ბერბიჭაშვილის მონაყოლს, ისე მახარაძის პასუხს მკვლევარები მეცნიერული საბუთების ძალას აძლევენ, ამ საბუთების უარყოფა ადვილია.

ჩახედავ კაცი თარიღებს და მიხვდები, ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე „ნათქვამს" მახარაძე კომენტარს ვერ გაუკეთებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სასამართლო პროცესი 25 დეკემბერს დაიწყო, მახარაძე კი პროცესის დაწყებამდე 15 დღით ადრე, 10 დეკემბერს მოკვდა...

ადვილია, მაგალითად, უარყო თითქოსდა ყარამან ფაღავას ნაამბობი, რომელსაც ბერიასთან დაახლოებული ალ. სიგუა გადმოგვცემდა.

ფაღავამ 1933 წელს მითხრაო, მაშინ „ჩემთან ხშირად მოდიოდნენ და გადაჭრით და მტკიცედ მეუბნებოდნენ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი სერგო ორჯონიკიძეაო". თან თურმე გვარებიც დაუსახელებია ვინც ამას ეუბნებოდა, მათგან ორი დეფერალისტი იყო. ვითომ ფაღავას მოგონებაც მეცნიერულ არტუმენტად იქცა. კი, მაგრამ, მაზრის უფროსმა ფაღავამ თუ იმთავითვე იცოდა ორჯონიკიძის შესახებ, მაშინ შეეშინდა 21 წლის ორჯონიკიძის, ძებნაში მყოფის, შემდეგ დაპატიმრებულის, არაფერი სთქვა და 1933 წელს, როცა რკინის სერგო ზენიტში იყო, სიგუას, ანუ ლავრენტი ბერიასთან დაახლოებულ პირს, გაუმხილა ეს საიდუმლო?

ამდაგვარ მოგონებებზე არგუმენტირებული პასუხები აქვს გაცემული შოთა ბადრიძეს, ამიტომ მსჯელობას აღარ გავაგრძელებ, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, თუ მაინცდამაინც 30-იან წლებში, ანუ დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში რატომ აეშალა ყველას ერთად საღერღელი გაელაშქრათ რკინის სახკომის წინააღმდეგ.

ამის პასუხს იძლევა ისტორიკოსი შ. ბადრიძე.

1960 წელს შექმნილა კომისია, რომელიც იძიებდა თავის დროზე კიროვის საიდუმლოდ მკვლელობის მასალებს.

ამ კომისიამ დაადგინა. პარტიის XVII ყრილობის წინ ორჯონიკიძის ბინაზე ჩატარებულა საიდუმლო შეკრება სტალინის გადასაყენებლად. ამ საიდუმლო სერობას ესწრებოდნენ დელეგატები: კოსიორა, ეიხე, შებოლდაევი, შარანგოვიჩი. სტალინის ნაცვლად

მათ სურდათ კიროვის არჩევა. კიროვმა, მართალია, უარი თქვა, მაგრამ მალე მას მაინც გააქრობენ.

ყრილობის 292 დეპუტატს სტალინის წინააღმდეგ მიუცია ხმა. როცა ხმათა დათვლის შემდეგ ეს ბელადს მოახსენეს, მან ბრძანა, დაეწვათ 289 ბიულეტენი და გამოეცხადებინათ წინააღმდეგი მხოლოდ 3. ასეც მოხდა და სტალინი დარჩა პირველ პირად. მაგრამ ყრილობის დელეგატთა უმრავლესობა მოსპეს, ასევე ხმის დამთვლელი კომისიის 63 კაციანი შემადგენლობიდან 60 დახვრიტეს.

ძნელი წარმოსადგენი არ არის რა დღეში ჩავარდებოდა ორჯონიკიძე. ეტყობა მანამდეც გაციებული ჰქონდათ ორ ძველ მეგობარსა და ორ ძველ ტერორისტს ურთიერთობა. ამიტომ ორჯონიკიძე განწირული იყო, რაც მისი თვითმკვლელობით თუ მკვლელობით დამთავრდა. ბერიამ ძმაც დაუხვრიტა.

რომ არა შიდასახელისუფლებო ინტრიგა, ორჯონიკიძე ილიას მკვლელი რომც ყოფილიყო, ბერია და მისი ხალხი კრინტსაც ვერ დაძრავდნენ. მაშინ ჯერ კიდევ ბერბიჭაშვილს არ ერჩოდნენ და ილიას გამო სერგოს წაეკიდებოდნენ?

სერგოსგან ყველა უბედურება მოსალოდნელი იყო, მაგრამ ყოველივე ზემოთქმული მის „იმერელ ბიჭად" წარმოჩენის ვერსიას ეჭვის ქვეშ აყენებს.

მთავარი ის არის, რომ ის მოგონებები, რომლებითაც ორჯონიკიძეა მხილებული, ცნობილი გახდა ალ. სიგუას წიგნიდან. იგივე სიგუა კი ასევე მოგონებებზე დაყრდნობით 30-იან წლებში ამტკიცებდა, რომ ილია ჯაშმა და მეფის ოხრანკამ მოკლა...

ვფიქრობ, მწერალ რეზო ჭეიშვილს არ ღალატობს ინტუიცია, როცა წერს: „სერგო ორჯონიკიძეს შეეძლო ჩასვლა თბილისში, (გულისხმობს იმას, რომ სერგო ბაქოში იმყოფებოდა, - ნ.გ.) მცხეთაში, საგურამოშიც კი, თავისთავად ცხადია, მაგრამ ნიშნავს ეს რაიმეს? იყო კი მისი გამოძახება საჭირო? საქართველოში, სხვა ქალაქში, დაბაში, სოფელში, ტყეში ხომ ბლომად ჰყავდათ ნაცადი მსროლელები".

მართლაც სერგოს ბაქოდან ჩამოსვლაც შეეძლო და არც ხელი აუკანკალდებოდა ილიას მოკვლაზე, აკი, აცხადებდა, ვაჟა-ფშაველას შვილი კი არა, ვაჟა რომ იყოს ცოცხალი, იმასაც დავხვრეტდიო, მაგრამ ილიას მოკვლა რაკი ბოლშევიკების რაიონულ ორგანიზაციას დაევალა, მისი განხორციელებაც დადგენილი წესით რაიონული ორგანიზაციის ტერორისტთა ჯგუფების მოვალეობაში შედიოდა, მოვალეობის მქონე ყაჩაღთაგან კი ერთი ყველაზე

გამოცდილი, დაუნდობელი და ბოლშევიკთაგან მრავალგზის ტერორში გამოცდილი ბოლშევიკ-ტერორისტი შეირჩა ილიას მკვლელების ბანდის მეთაურად.

ვფიქრობ, 100 წლის შემდეგ „უცნობი იმერელის" გაშიფრვა არა მტკიცებით ფორმაში, მაგრამ ვერსიის დონეზე შესაძლებელია.

ვინ უნდა ყოფილიყო ის?

თავი VIII

დუშეთის მაზრის ყველაზე საშინელი და მოუხელთებელი ბოლშევიკ-ტერორისტი ანუ ბანდის მეთაური „იმერელი“

(ახალი ვერსია)

იმერლიშვილი

ბუნებრივია, როცა ურყევი მტკიცებულება ხელთ არ აქვს, მკვლევარი კატეგორიული არ უნდა იყოს.

ვერც ჩვენ ვიქნებით კატეგორიულნი იმაში, რა ვერსიასაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, მაგრამ თუ ჩვენთან ერთად მკითხველი ფაქტების ურთიერთკავშირის იმ ლოგიკას თვალს გაადევნებს, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ, იქნებ ჩვენი აზრი ილიას მკვლელთა ბანდის მეთაურის ვინაობის შესახებ გაიზიაროს კიდეც.

1) უნდა აიხსნას რატომ გახდა შეუძლებელი მეფის სასამართლოსა და ძიების მიერ „უცნობი იმერელის" დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ ძიებას, როგორც ყველა მკვლევარი აღნიშნავს, ცდა არ დაუკლია.

2) შესაძლებელია თუ არა იმ არეალის, იმ წრის შემოსაზღვრა, რომელ წრეშიც „უცნობი იმერელი" უნდა ვეძებოთ?

3) ცნობილია თუ არა ის პირი, ვინც დუშეთის მაზრაში სწორედ ბოლშევიკების დაკვეთით ახორციელებდა ტერაქტებს?

4) ჰქონდა თუ არა კავშირი დუშეთის მაზრის მთავარ ბოლშევიკ-ტერორისტს, თუ ასეთი არსებობდა, ილიას სხვა მკვლელებთან?

5) "იმერელი" არის სადაურობის აღმნიშვნელი თუ მეტსახელი?

6) დაფასებულ იქნა თუ არა ასეთი ტერორისტი ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ?

ყველა ამ კითხვაზე ჩვენ გვაქვს დოკუმენტებით დადასტურებული დადებითი პასუხი.

დავიწყოთ პირველი კითხვის პასუხით.

1. რატომ ვერ შესძლო ძიებამ „იმერელის" აღმოჩენა?

მაშ ასე, გამოძიებამ მეოთხე მკვლელის აღმნიშვნელი თიკუნი სიტყვა „იმერელი" პირველად მოისმინა 1908 წლის 10 თებერვალს, როცა ფშავლიშვილი და ფეიქრიშვილი დააპატიმრეს. მათი ჩვენება გაამაგრა 17 თებერვალს დაჭერილმა ხიზანიშვილმა, მანაც ახსენა ერთი იმერელი.

ასე რომ, იმერელის ძებნა მხოლოდ 1908 წლის თებერვლიდან უნდა დაწყებულიყო. სავარაუდოა, რომ ყაჩაღებმა ფეიქრიშვილ-

მა და ფშავლიშვილმა იმერელის, ანუ ბანდის მეთაურის ვინაობა იცოდნენ, რადგან ერთიც ყაჩაღი იყო და მეორეც (ხიზანიშვილი გლეხი გახლდათ, ყაჩაღის ცხოვრებით არ ცხოვრობდა და საქმეში მუქარით ჩართეს).

ყოველ შემთხვევაში, ყაჩაღთუფროსი „იმერელი" ყაჩაღთუფროს ფეიქრიშვილს უეჭველად უნდა სცოდნოდა. ფეიქრიშვილის დაქვემდებარებაში მყოფი საგურამოს „ტყის ძმების" წევრი ფშავლიშვილი გამოძიებას კვალს ურევს, არ ასახელებს იმერელის ვინაობას და ამბობს, იმერელი ის კაცია, რომელიც ამას წინათ იარაღის ტარებაზე დაიჭირეს და რუსეთში გადაასახელსო. ამას წინათ, ანუ ნოემბერში, სერგო ორჯონიკიძე იყო დაჭერილი, თუმც რუსეთში ამ ჩვენების მიცემის დროს ჯერ კიდევ არ იყო გადასახლებული, არადა ეს ფაქტი ერთ-ერთი „არგუმენტია" მკვლევართათვის სერგოსა და „იმერელის" იდენტიფიცირებისათვის...

თუმცა, ჩვენი ვარაუდით, ფშავლიშვილმა და ფეიქრიშვილმა (მისი მეორე გვარია ჭრიკაშვილი, რუსული ჩანაწერების გავლენით იხსენიებენ ჩირიკაშვილად) იცოდნენ, რომ ამას წინათ, ანუ დეკემბერში „იმერელი" სხვა საქმეზე მართლაც იყო დაჭერილი და მისი ნახვის ბედნიერება მალე მეტეხის ციხეში ელოდათ...

კიდევ ერთხელ გავითვალისწინოთ ის უცნაური რამ, რომ ეს ორი პატიმარი ჩვენებას იძლევა აყვანისთანავე, ყაჩაღთუფროსი ფეიქრიშვილი გზაშივე გამოტყდება, პავლე ფშავლიშვილმა ესა და ეს მიამბოო. საქმე ის არის, რომ ასახელებენ მხოლოდ იმ გვარებს, რომელნიც გამოძიებამ ისედაც იცის და ვისზეც ძებნა უკვე გამოცხადებულია. მალე ისინი წინა ჩვენებასაც კი უარყოფენ და თუ „იმერელი" მეტეხის ციხეში დახვდათ, მას შიშით ვილა დაასახელებდა?

არადა, ეს „იმერელი" (ჩვენთვის სავარაუდო) რომ უკიდურესად საშიში პირი იყო, ამაში ქვემოთ დარწმუნდება მკითხველი.

1908 წლის მაისში ფშავლიშვილი, ფეიქრიშვილი ანუ ჭრიკაშვილი და კიდევ ერთი ყაჩაღი სხვა პატიმრებთან ერთად გარბიან მეტეხის ციხიდან.

1908 წლის დეკემბერში აპატიმრებენ ინაშვილს, რომელიც უკვე სამკვდრო-სასიცოცხლოდ არის გადაკიდებული ფშავლიშვილზე და ინაშვილის წყალობით ნორიოს მიდამოებაში (ნორიოში ფეიქრიშვილი, ანუ ჭრიკაშვილი ცხოვრობდა), მდევარი ორმხრივი სროლების დროს კლავს ფშავლიშვილს და ციხიდან გაქცეულ კიდევ ერთ ყაჩაღს, რომელიც მეტეხის ციხიდან გაქცეულ მრა-

ვალ პატიმართაგან მაინცდამაინც ფშავლიშვილთან და ფეიქრიშვილთან ერთად აღმოჩნდა იმ ტყეში. იმდროინდელი პრესა ილიას მკვლელის განადგურების გამო არ აქტიურობს ისე, როგორც ამ მეორე ყაჩაღის გამო. ის იმდენად მიუხელთებელი ყაჩაღია, მთავრობა გახარებულია მისი სიკვდილის გამო. ჩვენი ვარაუდით, „იმერელი" სწორედ ის ყაჩაღი გახლდათ. თუ სავარაუდო „იმერელი" 1908 წლის დეკემბერში მოკლეს, მაშინ მკვდარი მაინც რატომ არ გასცეს თანამზრახველებმა? როგორც გითხარით, მისი ვინაობა მხოლოდ 4 „წითელრაზმელს" შეეძლო სცოდნოდა, ფშავლიშვილს, ჭრიკაშვილს, ბერბიჭაშვილს და ინაშვილს. უფრო სავარაუდოა, რომ მისი ვინაობა მხოლოდ საგურამოს „ტყის ძმების" უფროსს ფეიქრიშვილს სცოდნოდა და შემდეგ მისივე ბანდის წევრს პავლე ფშავლიშვილს.

ფშავლიშვილი დეკემბერში მოკლეს. ფეიქრიშვილი გაქცეულია, ბერბიჭაშვილი იმთავითვე დაიკარგა, ხოლო ინაშვილს თუ ეცოდინებოდა „იმერლის" ვინაობა, მაინც ვერ იტყოდა მის შესახებ, რადგან მას ოჯახს გაუნადგურებდა იგივე „იმერელი". როგორ? ის ხომ უკვე მკვდარი იყო? საქმე ის გახლავთ, რომ გაზეთებში გამოცხადებული ცნობა ფშავლიშვილთან ერთად ყველაზე საშიში ყაჩაღის მკვლელობის შესახებ, ცრუ აღმოჩნდა. (ამ ცნობამ შეცდომაში შეიყვანა ალ. შუშანაშვილი და თითქმის სწორ გზაზე დამდგარი მკვლევარი დააბნია).

დიდხანს მთავრობამ არ იცოდა, რომ მათ სულ სხვა ვილაც მოჰკლეს. სამაგიეროდ, ყაჩაღელებმა, იცოდნენ, რომ მათი უფროსი ცოცხალი იყო.

„მეორედ" ეს კაცი მდევარმა რამდენიმე წლის შემდეგ „მოკლა". მაშინაც დიდის ამბით გამოცხადდა გაზეთებში, რომ ეს მოუხელთებელი ყაჩაღი მოკლულია, მაგრამ მესამედ, 1914 წელს აღმოაჩინეს, რომ ის ვინც მოკლული ეგონათ, მხოლოდ ახლაღა მოუკლავთ.

ანუ ერთი ყაჩაღი „სამჯერ მოკლეს". როგორ შეჰყავდა მას მთავრობა შეცდომაში?

მარტივად. ჩემის ფიქრით, თავდასხმისას მის გვერდით მოკლულ ყაჩაღს უკეთებდა საკუთარ ქამარს, ქამრის ბალთაზე კი ამოტვიფრული იყო მისი ნამდვილი გვარი და სახელი.

„პირველი მკვლელობის" დროსაც ეს გვარი და სახელი გამოცხადდა, მეორედ მოკლისასაც – ეს გვარი და სახელი. მან ქამრის წყალობით ორჯერ შეიყვანა პრესა შეცდომაში. ეს როგორც

ჩანს მისი მეთოდი იყო. ამას გვაფიქრინებს ის ფაქტი, რომ 1914 წელს, როცა ის ნამდვილად მოკლეს ისე, რომ თავდასხმას არ ელოდა და მოკლეს ღალატით მის მიერ გამწარებულმა მისივე ამფსონებმა, ის ამოიცნეს სწორედ ქამრით. (ყუმბარისაგან აფეთქებულს ხელ-ფეხი მოწყვეტილი ჰქონდა, სახე სრულად დასახიჩრებული) ქამრის გარდა, ცოლმა ამოიცნო ტანსაცმლით.

რომელი ყაჩაღი ატარებს გვარ-სახელის დამადასტურებელ მოწმობას?

ქამარს, როგორც ჩანს, ყაჩაღთუფროსი ზემოთქმული მეთოდის განსახორციელებლად იყენებდა.

აი, ეს იდუმალი ყაჩაღი უნდა ყოფილიყო, ჩვენი ვარაუდით, ის იდუმალი „იმერელი".

ახლა მკითხველს კიდევ უფრო მეტად რომ არ გავუბუნდოვანო საკითხი, მოვუხმოთ კონკრეტულ დოკუმენტებს, საიდანაც ჩანს ამ კაცის ვინაობა. თუმცა მანამდე პასუხი უნდა გაეცეს კითხვას.

შესაძლებელია თუ არა იმ არეალის, იმ წრის შემოსაზღვრა, რომელ წრეშიც „უცნობი იმერელი" უნდა ვეძებოთ?

შესაძლებელია.

ზემოთ გვქონდა საუბარი, რომ პარტიული სიკვდილის მანქანას თავისი სტრუქტურა ჰქონდა.

კერძოდ, რაიონულ კომიტეტებს ჰყავდა თავისი რაიონული ტერორისტული ჯგუფი ან ჯგუფები. ამ მხრივ უნიკალურ ცნობას გვაწვდის ძველი ტერორისტის არშაკ მემრაბიანცის წერილი – **„როგორ მოკლეს გენერალი გრიაზნოვი 1906 წელს".** გთავაზობთ ამ პატარა წერილს სრული სახით.

„მე ბავშვობიდანვე გავხდი ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშა. 1900 წელს, დიდი გაფიცვის დროს, ტფილისში დამაპატიმრეს და გადამასახლეს ქალ. ბათუმში 5 წლის ვადით. დავბრუნდი იქიდან 1905 წელს და გამოვცხადდი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მე 4-ე რაიონში (ავლაბარში) სადაც კომიტეტის წევრებათ ითვლებოდნენ შემდეგი ამხანაგები: 1. მოსე ჯანველოვი 2. გაბრო აგამიროვი და 3. იოსებ ბარამიაშვილი. კომიტეტი მოთავსებული იყო როზოვის მოედანზე, ფაბრიკის მუშა სიმონა სილიანოვის საჩაიეში. ამ კომიტეტს ჰქონდა ორი ქვე-რაიონი: ხარფუხში და შავსოფელში, **რომელთა ხელმძღვანელობითაც ხდებოდა ტერორი ტფილისის ყველა უბნებში.** მე 4-ე რაიონს ყავდა დაახლოვებით 25 კაცამდე პარტიულ ამხანაგებიდან შედგენილი ტერორისტები. 1905 წელს, როდესაც რეაქციამ გაიმარჯვა, ვიქენი არჩეული ტე-

რორისტების ხელმძღვანელად. ამის გამო მე როგორც წარმომადგენელი გამოვცხადდი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელ სილიბისტრო ჯიბლაძესთან და მოვახსენე ეს. ამის შემდეგ **მოვახდინეთ სხვა და სხვა ტერორი მე 4-ე რაიონის დავალებით.**

1906 წელს, ერთ საღამოს, კოჭლი ბაგრატის პირით მე დამიბარეს სილიბისტრო ჯიბლაძესთან; გამოცხადებისთანავე ჯიბლაძემ მე მაცნობა, რომ გაზეთ „სხივის" რედაქციაში (დიდი მთავრის ქუჩაზე) მეორე დღეს ღამით მე წამეყვანა მასთან 6 ტერორისტი. ამ დღისათვის მე დავიბარე წასაყვანათ ქვე-რაიონებიდან ორ-ორი კაცი; ხარფუხიდან მოვიდა რაიონში: არსენა ჯორჯიაშვილი და შაქროა პუმკინა, შავ-სოფლიდან მოვიდნენ: ბათუა და ხუნხუზა, ცენტრიდან კი ვიყავით მე და ღარიბოვი იაკოფა (შაბოა). საღამოთი გამოვცხადდით ყველა ჯიბლაძესთან; უკანასკნელმა გვითხრა: პეტერბურგიდან გამოგვიგზავნეს ერთი გენერალი, გვარით გრიაზნოვი, რომელიც ანადგურებს რევოლუციონურ ორგანიზაციებს, ზარბაზნებით ანგრევს გლეხ-კაცის სახლ-კარს და ამის გამო **პარტიამ გადასწყვიტა მისი მოკვლა; მკვლელობის სისრულეში მოყვანა გევალებათ თქვენ** და ეს უნდა აღასრულოთ, თუ გინდ სიცოცხლის ფასად დაგიჯდეთო. იქ იყო ამ დროს ამხ. მიხა ლომთათიძე და მიანდო მას გრიაზნოვის ჩვენება, – შორიდან გაცნობა ჩვენთვის, რადგან არც ერთი ჩვენთაგანი მას არ იცნობდა.

მეორე დღეს ლომთათიძეს თანხლებით ჩვენ 6-ნი ერთად უიარაღოთ წავედით გრიაზნოვის გასაცნობათ. მიგვიყვანა მან ალექსანდროვის ბაღთან და გაგვაჩერა; ცოტა ხნის შემდეგ, იქვე მახლობელ და გვითხრა, რომ ის იყო გრიაზნოვის სახლი, საიდანაც გრიაზნოვი გამოვიდა იყო ინჟენერისა და ბარიატინის ქუჩის კუთხეში, ლომთათიძემ აქ გვიჩვენა თანაც ეტლი და მისი ცხენები. აგრეთვე გაგვაფრთხილა, რომ შეცდომაში არ შევიდეთ (რადგანაც სხვა გენერლებიც მოდიოდნენ მასთან) და ამის გამო გვიჩვენა ცხენების ნიშნები, რომლებიც იყვნენ შავები და წინა ფეხების ჩლიქებთან ჰქონდათ თეთრი. შემდეგ წაგვიყვანა სამხედრო შტაბის სასახლის ქუჩაზე, სადაც გრიაზნოვი ყოველ დღე მოდიოდა. ამის შემდეგ დავბრუნდით სილიბისტროსთან და ვაცნობეთ, რომ ყველაფერი გვაქვს ნახული. მან აქ მოგვცა წინადადება ამოგვერჩია ჩვენ შორის სამი კაცი როგორც კომისია და მას დაეთვალიერებინა ადგილი თუ სად შეიძლებოდა დაკისრებული საქმის უმსხვერპლოდ გაკეთება. არჩეული ვიქენით: მე, შაბუა და მიხა ლომთათიძე,

დანარჩენი კი დროებით განთავისუფლდნენ. ჩვენ სამნი წავედით მაშინვე, დავათვალიერეთ ადგილ-მდებარეობა და ვსცანით შესაფერ ადგილათ ალექსანდროვის ბაღის კარები, რომელიც გამოდის ბარიატინის ქუჩის მხრივ. თუმცა ამ კარების პირდაპირ იქითა მხარეზე იდგა ჯარი, მაგრამ ყველაზე უფრო მოხერხებული ადგილი მაინც ეს იყო. ყოველივე ეს ვაცნობეთ ჯიბლაძეს, რომელმაც მოიწონა ჩვენს მიერ არჩეული ადგილ-მდებარეობა და მოქმედების გეგმა. იმავე დღეს ჩვენ მოვგროვდით სიმონას საჩაიეში და დავიწყეთ მსჯელობა თუ ვინ რა როლი უნდა აიღოს და გააკეთოს. არსენა ჯორჯიაშვილმა და პუშკინამ იკისრეს ბომბის გადაგდება, დანარჩენებმა კი ვიკისრეთ რევოლვერებით მათი დაცვა; აგრეთვე მივიღეთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ბომბების ტარება ხელით შეუძლებელი იყო, რადგან ყოველ დღე პატრული დადიოდა მახლობლათ და ამიტომ მე დამავალეს გადამეცვა ძველი ტანსაცმელი და მეტარებია კალათით სემიჩქა, რომელ კალათაშიც იქნებოდა ბომბები.

მეორე დილით საჩაიეს პატრონმა სიმონამ ჩამაცვა ძველი პალტო, მომცა სემიჩქიანი კალათი და ერთი პატარა ჭიქა. ამხ. მიხა ლომთათიძემ მოგვიტანა 2 ცალი ბომბი. ჩავიწყვე იგი კალათაში და წავედი დანიშნულ ადგილზე. იმავე დღეს ჩვენ ერთი ამხანაგი „ხუნხუზა" გაგვეპარა, რომელიც დღემდის არ ვიცით სად არის. ჩვენ ბევრი ვიარეთ, მაგრამ ვერ მოგვიხდა ჯერ კიდევ საქმის გაკეთება და დავბრუნდით უკან ბინაზე. მეორე დღეს შაბუაც ავად გახდა, დავრჩით 4-ნი; ამის გამო ხელ-ახლად მოვილაპარაკეთ საჩაეში, რომ განგვეგრძო დაწყებული საქმე. ვიარეთ, ვიტრიალეთ დანიშნულ ადგილას კიდევ სამი დღე, მაგრამ მაინც ვერაფერს გავხდით. ერთ დღეს როგორც იქნა გამოიარა გრიაზნოვმა, მაგრამ როცა ბომბის გადასროლა დავაპირეთ უცბად პუშკინას ფერი ეცვალა, კანკალი დააწყებია. ამის გამო ჩვენ შევჩერდით და საქმე ჩაიშალა. იმ წამსვე ოთხივემ ერთად შევიყარეთ თავი ერთ სასადილოში და მოვილაპარაკეთ, რომ, რადგანაც პუშკინა ასე მხდალია, საქმეს გვიფუჭებს, უმჯობესია ჩამოგვშორდესო. ამაზე მან დაგვეთანხმა. მის მაგივრათ მეორე ბომბის გადაგდება იკისრა **ბათუამ**. ხელახლად დავიწყეთ დილაობით გამოსვლა და სიარული დანიშნულ ადგილზე.

ერთხელ, ორშაბათ დღეს, დილით მე მოვედი სიმონას საჩაიეში, არსენა მოსული არ იყო. მე ავიღე კალათი და გავექანე დანიშნულ საქმეზე: სიმონას კი დავავალე, რომ არსენა მალე გამოეგზავნა.

10-15 წუთის შემდეგ არსენაც მოსულიყო საჩაიეში და სიმონას გამოეგზავნა ჩემთან. ცოტა ხნის შემდეგ ბათუაც მოვიდა, გვეჩვენა და წავიდა თავისი ბომბით... დავრჩით მე და არსენა. დაახლოვებით დილის 9 საათზე დავინახეთ, რომ გრიაზნოვის მცველი ყაზახები ჩადგნენ რიგში, ჩვენ გავიგეთ, რომ გრიაზნოვი გამოდის ქუჩაში. მე ამოვიღე კალათიდან ბომბი თავისი ქაღალდის პარკით და გადავეცი არსენას, არსენას კაპსული უბეში ჰქონდა. სწორეთ მაშინ, როცა საინჟენერო მმართველობის მწერლები გარეთ იდგნენ, ბაასობდნენ, გრიაზნოვის ეტლმაც ამ დროს ამოიარა და ისინი სალამის მისაცემათ ჩაეწყვენ. არსენა მძიმედ, ფრთხილად მიუახლოვდა ეტლს, გადაუგდო ბომბი და ჩაწვა იქავე. ბომბი აფეთქდა. საინჟენერო მმართველობის მწერლებმა რომ დაინახეს ეს, მორთეს ყვირილი: „დერჟი დერჟიო“ და შემოარტყეს ალყა არსენას სანამ ის მოასწრებდა ადგომას. მე ბაღის კარებით შევარდი ბაღში და გავიპარე.“

ყოველივე ამას ეს მემრაბიანცი ამბობს არა დაკითხვაზე, არამედ სიამაყით წერს ხელისუფლების ჟურნალში ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლისთანავე.

რაკი ბოლშევიკების სიკვდილის მანქანა ტერიტორიული პრინციპით მუშაობს, რაკი თბილისში გასაკეთებელ საქმეს თბილისის რაიკომებს და ისინი თავის ტერორისტულ ჯგუფებს უკვეთავენ, ქუთაისში გასაკეთებელ საქმეს ქუთაისის ორგანიზაციას და ისინი ქუთაისის ტერორისტულ ჯგუფებს და ა.შ., და ა.შ. (ყველა ტერაქტი ამ პრინციპით აქვთ განხორციელებული).

რაკი ილიას მკვლელობა დუშეთის რაიონულ კომიტეტს დაევალა. ამ კომიტეტს საქმე, ასეთი იყო წესი, თავისი ტერორისტული ჯგუფებისთვის უნდა მიენდო.

1907 წელს დუშეთის მაზრაში მოქმედებდა 3 მთავარი ტერორისტული ჯგუფი.

დუშეთის რაიონულ კომიტეტს წესის მიხედვით ტერაქტის განხორციელება უნდა დაევალებინა ან ერთის, ან მეორეს, ან მესამის ან სამივესთვის.

იმჟამინდელი ძიება ჩვენზე უკეთ იცნობდა მკვლელობის მაშინდელ სტრუქტურას, ამიტომ ის სწორ კვალზე იდგა.

„იმერელს“ დასავლეთ საქართველოში კი არ ეძებდა, არამედ სწორედ დუშეთის მაზრის ტერორისტებს შორის.

ანუ პარტიული სტრუქტურის გათვალისწინებით, გათვალისწინებით იმ უამრავი ტერაქტისა, რაც ბოლშევიკებმა ჩაიდინეს

ტერიტორიული დანაყოფების გამოყენებით, ვერასოდეს რომ ვერ გაირკვეს „იმერელის" ვინაობა, უდიდესი ალბათობით უნდა ჩაითვალოს, რომ იგი დუშეთის მაზრაში მოქმედი ტერორისტი უნდა ყოფილიყო.

პარტიული სტრუქტურიდან გამომდინარე, რამდენიმე ტერორისტული დაჯგუფება გვრჩება ხელთ. მოვუსმინოთ ძველ ბოლშევიკს მ. ტატიშვილს: „ილიას მკვლელობამდე დათარეშობდნენ „წითელი რაზმელები" და „ტყის ძმების" რაზმები საგურამოში ლადო ფეიქრიშვილი 12 კაცით, მცხეთაში ილიკო იმერლიშვილი 15 კაცით, ვასო კუდულაშვილი 11 კაცით და სხვა". (იხ. „ი. ჭავჭავაძის მკვლელობა", მოგონება, 1937წ.)

წრე, რომელშიც „იმერელი" უნდა ვეძებოთ შემოსაზღვრულია ამ ბანდებით. არსებითად ძიებამ მაშინ სწორედ ამ წრეში დაიწყო „იმერელის" ძებნა და დააპატიმრა კიდეც საგურამოს „ტყის ძმების" მეთაური ფეიქრიშვილი, მაგრამ მისი „იმერელთან" იდენტიფიცირება არ მომხდარა.

ჩვენ უკვე ვიცით ვინ იყვნენ ბანდების მეთაურები დუშეთის მაზრაში. ამ სამიდან ის ვინც ბოლშევიკებთან არათუ ასოცირდებოდა, არამედ თავად იყო ნამდვილი ბოლშევიკი, თან იყო იმ დროში ყველაზე მოუხელთებელი, ყველაზე საშიში, ყველაზე დაუნდობელი ყაჩაღი, იყო მცხეთის „წითელრაზმელთა" ანუ „ტყის ძმების" მეთაური და, რაც მთავარია, დუშეთის მაზრის კომიტეტის დავალებათა შემსრულებელი, გახლდათ ილიკო იმერლიშვილი.

ის რომ კომიტეტიდან გამოგზავნილი „იმერელი" ილიას მკვლელთა ბანდის მეთაური იყო ეს დაადგინა გამოძიებამ.

ის რომ ილია მკვლელთა ხელმძღვანელი „ტყის ძმების" მეთაური იყო, ეს დაგვიწერა ზემოხსენებულმა ბოლშევიკმა, ძვირფასმა რაჟდენ კალაძემ. კიდევ ერთხელ წავიკითხოთ: – კომიტეტის ბეჭედდარტყმული ყალბი დოკუმენტით „ტყის ძმების" მეთაური შეცდომაში იქნა შეყვანილი და მოაკვლევინეს ილია ჭავჭავაძეო.

ჩვენი ამოცანა მხოლოდ ტოლობის ნიშნის დასმაა –

„იმერელი" არის „ტყის ძმების" მეთაური.

დუშეთის მაზრაში მოქმედ „ტყის ძმების" მეთაურთაგან ერთი – ფეიქრიშვილი როგორც „იმერელი" თავად ძიებამ გამორიცხა.

მეორის, ვასო კუდულაშვილის არანაირი ურთიერთობა ამ საქმესთან არ დასტურდება.

ლოგიკა გვკარნახობს ვერსიას – „იმერელი" იმერლიშვილი უნდა იყოს.

ეს ლოგიკა ჯერ-ჯერობით მხოლოდ 4 წანამძღვარს ეფუძნება.

1) დადგენილება მიღებულია დუშეთის მაზრის კომიტეტის მიერ.

2) დადგენილებას ახორციელებდა კომიტეტის ტერორისტული ჯგუფი ან ჯგუფები.

3) დუშეთის მაზრაში მოქმედებდა ბოლშევიკ იმერლიშვილის ტერორისტული ჯგუფი. (დანარჩენი ორი ბანდის მეთაურები მხოლოდ ყაჩაღები იყვნენ, ეს იმერლიშვილი კი იმავდროულად პარტიული მუშაკია)

4) "იმერელი" ილიას მკვლელთა ბანდის მეთაური იმავდროულად არის „ბეჭედდარტყმული ქაღალდით" „შეცდომაში შეყვანილი" ტერორისტული ჯგუფის ანუ „ტყის ძმების" მეთაური.

ამ დასკვნას ზემოთწარმოდგენილი მრავალი დოკუმენტი უდევს საფუძვლად, მაგრამ საბოლოო ვერდიქტისთვის ეს წანამძღვრები საკმარისი არ არის. ამიტომ ვნახოთ იმერლიშვილის ბიოგრაფია. იქნებ იქ ვნახოთ ისეთი დეტალები რაც მას ილიას მკვლელებთან კავშირში ამხელს.

ამთავითვე უნდა ითქვას, იმერლიშვილი იმდენად დაუნდობელი ტერორისტი ყოფილა, რომ მისი შიშით დუშეთის მაზრიდან ხალხი იყრებოდა და საცხოვრებლად სხვაგან მიდიოდა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ბოლშევიკებისათვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ის რევოლუციის რაინდად მოენათლათ.

მას გარდაცვალებიდან 12 წლის შემდეგ სიამაყით იხსენებენ.

აი, რა წერილს უძღვნის ჟურნალი „რევოლუციის მატიანე" 1926 წლის პირველ ნომერში.

ილიკო იმერლიშვილი (მცხეთელი).

ილიკო იმერლიშვილი დაიბადა 1886 წელს მცხეთაში. მამა მისი (იორდანე) იყო მეტად ღარიბი, მიწის მუშა. ილიკო სწავლობდა სოფ. მცხეთის სკოლაში, თავიდანვე ეტყობოდა, რომ ნიჭიერი იყო, მაგრამ რადგანაც მშობლები ზედმეტად ღარიბი ჰყავდა, იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა სწავლა 1898წ.. ამის შემდეგ ილიკოს პირველად ვხედავთ სტამბაში 1902წ.. აქედან ვასო ხუციშვილის ჩაგონებით შემოდის სტამბების ერთ-ერთ წრეში. აქ მას მიანდვეს არალეგალური ლიტერატურის გავრცელება და ფულის შეგროვება ამხანაგებში. დადგა 1905წ., ამ დროს ილი-

კო მზადაა ეკვეთოს მტერს. დაიწყო სომეხ-თათართა შეტაკება ტფილისში, მთავრობის მიერ მოწყობილი და ილიკოც მესამე რაიონიდან (მთაწმინდა) მიდის პირველ რაიონში – (ნაძალადევი) და ეწერება რაზმში. იქ ღებულობს იარაღს და მიდის თათრის მოედანზე, სადაც ღირსეულად ასრულებს თავის საქმეს. არ დაავიწყდებათ მაშინდელ მის ამხანაგებს ერთი შემთხვევა: იმ ღამეს, როცა თათრის მოედანზე ცეცხლი გაძლიერდა და თათრების ბრბო თანდათან დახურული ბაზრისკენ მოიწევდა, გავრცელდა ხმა, რომ ალი ბალა (ასე ეძახდნენ თათართა ბრბოების ერთ წინამძღოლს) შუა ბაზარში უნდა შეიჭრესო. მეორე მხრივ კიდევ სომხებს უნდათ შეტევა მოედანზეო. სილიბისტრო ჯიბლაძემ უთხრა ვალერა ბილანოვს, რომ აერჩია ერთი ჯგუფი რაზმელების და დამდგარიყო დახურულ ბაზრის შესავალში, და თუ ეცდებოდა მართლა წრის გარღვევას რომელიმე მხარე, ეხმარათ იარაღი. და თუ გაჭირდეს საქმე, ყუმბარებიც იხმარეთო, დაუბარა. შუაღამისას მართლაც თათრები გამოვიდნენ ცეცხლით და მაშხალებით და დაიწყეს მოგროვება მოედანთან. როცა დაატყეს, რომ ძალიან ემატებოდენ, იქ მდგომ აფიცერს მივმართეთ გაეგზავნა სალდათები და მიეცა გაფრთხილება, ნუ გროვდებიანო. მან გვიპასუხა: მე ნაბრძანები მაქვს უკან დავიხიო, სანამ განსაკუთრებული რამე ბრძანება არ მომივა ამის შესახებო. მაშინ ალექსანდრე ობოლაძემ, როგორც ათის თავმა, გასცა განკარგულება გვესროლა და გაგვეფანტა შეკრებილი ბრბო. მაგრამ რაზმელებმა გასროლა ასე ადვილად ვერ გაბედეს. გავარდა მხოლოდ ილიკოს თოფი... შემდეგ სხვა რაზმელებმაც გაისროლეს. ცოტა ხანს შემდეგ ბრბო გაბრუნდა. ალაგას დარჩა ორი დაჭრილი (ერთი მძიმეთ), რომელიც მალე მოკვდა. აღარ იყო მერე მოსვენება ილიკოსგან, რომ რად მოვკალით ეს კაცი, უნდა სიტყვით მოგვეხდინა გავლენაო... ასე სომეხ-თათართა ულტა ტფილისში შეჩერებულ იქნა. დაიწყო ქუჩებში „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრებსა და მუშებს შორის სისხლიანი შეტაკებები. ილიკო ყველგან მხნედ და გაბედულად მხარს უმშვენებს თავის მებრძოლ ამხანაგებს; ერთ-ერთი ასეთი შეტაკების დროს ერთ „მანიფესტანტს“ ილიკო ჰგლეჯს გულიდან სამფეროვან ნიშანს და, როგორც „ტრიუმფი“, მოაქვს მესამე რაიონში ვასო ურუშაძესთან, რომელიც იმ რაიონში მოწინავე ხელმძღვანელ მუშად ითვლებოდა.

რავოლუციამ თითქმის მინელება იწყო. პარტიაში დიდი მერყეობა იწყება, უმრავლესობა აშკარა გამოსვლაზე ტაქტიკური მო-

საზრებით წინააღმდეგი ხდება – ბევრს ისე პრინციპი და პარტიის ტაკტიკა არ აწუხებდა, რამდენადაც თავის გადარჩენა, ამ შემთხვევაში ილიკო თავისი ამხანაგებით, რომელთა შორის იყვნენ: ა. ობოლაძე, გ. ავალიანი, ტ. ჯაში, არკადი ელბაქიძე, ს. ტომარაძე, არამ პოღოსოვი, გ. თოფურიძე, ა. ფიცხელაური, ა. ვარსიმაშვილი, ვ. ნასარიძე, დ. ბაცანკალაშვილი და ყანდარელი (პატარა მცხეთელი) ეყოფიან მთავარ ორგანიზაციას და აარსებენ მთაწმინდაში რევოლუციონურ სოც-დემოკ. მუშათა ჯგუფს.

1905წ. რეაქციის შემდეგ მთაწმინდაში იყო საიდუმლო სტამბა, რომელსაც ილიკო ხელმძღვანელობდა (იბეჭდებოდა პროკლამაციები). ერთ ღამეს უბანს ალყა შემოარტყეს (სტამბას ეძებდნენ). ილიკომ ისარგებლა რა ღამის სიბნელით, ზურგზე წამოიკიდა დაშლილი მანქანის ნაწილები და მიიმალა. ეს სტამბა მოთავსებული იყო „ხალიან მაშოს" სახლში. ეს მაშო ცოცხალია, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის როგორც ილიკოს, ისე სხვა რევოლუციონერთა დახმარებაში.

იმ ხანად შანტაჟისტების ბრბომ ისარგებლა „მთაწმინდის ჯგუფის" სახელით. მათ მოახერხეს რამდენიმე საზიზღარი საქმის ჩადენა. მაგრამ ილიკოს წყალობით ბევრმა ინანა დაბადების დღე. საზოგადოდ ილიკო სასტიკი წინააღმდეგი იყო შანტაჟისტურ მოქმედებისა და ამხანაგებმაც მას მიანდვეს ასეთი ბოროტი პირებისათვის გაეცა პასუხი და ისიც სასტიკად უმასპინძლებოდა მათ. როდესაც მთავარმა ორგანიზაციამ სცნო ჯგუფის ნამდვილი რევოლუციონური საქმიანი მოქმედებანი, მაგრამ გაუწია რა ანგარიში იმასაც, რომ ნაძირალებიც სარგებლობდნენ ამ ჯგუფის სახელით, გამოგზავნა მოსალაპარაკებლად წარმომადგენლები. მათ, როგორც ძველმა, უფრო გამოცდილმა ამხანაგებმა აუსხნეს ჯგუფის წევრებს, რომ მათი ამ გზით მოქმედება საზარალო იყო, როგორც პარტიისათვის, ისე პირადათ ჯგუფის წევრებისათვის. ჯგუფი ორ ფრთად გაიყო, ილიკო იმ ფრთას ეკუთვნოდა, რომელიც მომხრე იყო შეერთებისა, (რაც არ მოხდა), ვინაიდან მთავარი ორგანიზაცია არ დასთანხმდა ჯგუფის მიერ წამოყენებულ პირობებზე. რომ გაიგეს ნაძირალა ხალხმა, ჯგუფის დაშლა, ეხლა უფრო მოუხშირეს საზიზღარ საქმეების ჩადენას. მაგრამ ჯგუფის ორივე ფრთა სრული ღირსებით იცავდა თავის სახელს. **ილიკოს წინამძღოლობით მოხდა ტემნიკოვზე თავდასხმა, რომელსაც მოუკლეს ამხანაგი და გორორდოვი,** თვითონ ტემნიკოვი გადარჩა, ეს მოხდა გრიბოედოვის ქუჩაზე. **აგრეთვე ილიკო იმერელიშვილმა და**

ფიცხალაურმა მოჰკლეს ჟანდარმი გრუნინი ბროსეს ქუჩაზე. პოლიციაც მიხვდა ჯგუფის ძალის დაშლას და თამამად დაუწყო დევნა მის წევრებს. ერთ ასეთ შეტაკებაში, რომელიც მოხდა გოლოვინის პროსპექტზე აფიცრებთან და გოროდოვებთან, **დაატყვევეს** ავალიანი და ტომარაძე, ილიკო გადარჩა. ის წავიდა კახეთში: კარგა ხანს დაჰყო კახელ ამხანაგებთან. ერთ დილას მაზრის ბოქაულმა გედევანოვმა **დაატყვევა (1907წ. დეკემბრის რიცხვებში) ილიკო თავის ორ ამხანაგით,** გედევანოვმა ეს სამი ამხანაგი მიუმატა წინა დღით დაჭერილ ოთხ კაცს **და დააბრალა რაღაც მძიმე საქმე,** რისთვისაც ყველა ესენი ციხეში მოათავსეს. **ამხანაგებმა ილიკოს ციხეში იარაღი შეუგზავნეს,** რადგანაც სამხედრო სასამართლოდან მოსალოდენლი იყო სასტიკი განაჩენი, **ერთ დილას 1908წ. მაისის რიცხვებში,** როცა ციხის კარებზე ბევრი მნახველები იყო, ზოგი ნახვას ელოდა და უგზავნიდა სანოვაგეს, ამ დროს ერთმა ქალმა შეგზავნა ერთი ქილა მაწონი, რომელშიც თურმე მოთავსებული იყო ყუმბარა. აი ამ მაწონის ქილით ისარგებლეს, მოახდინეს არეულობა, ამ ყუმბარის ხმაზე გაიკაფეს გზა და **გამოვიდა 17 კაცი, მათ შორის ილიკო, თავის ამხანაგებით.**

1909 წელს ილიკო მძიმე ავად გახდა ანთებით და იძულებული იყო თავის დედმამის სახლში დაწოლილიყო. **ერთ ღამეს ილიკოს სახლს ალყა შემოარტყეს, მაგრამ ილიკომ აქაც გაქცევა შესძლო. ამის შემდეგ ილიკო სულ დუშეთის მაზრაში მუშაობს.** 1913 წელს იანვრის რიცხვებში შენიშნეს, რომ ილიკო თავის ამხანაგით ჩამოვიდა ტფილისში ცოლიშვილის სანახავად და რადგანაც შეუძლებელი იყო თავის ოჯახში მისვლა, ამისთვის იგი სხვის ოჯახში, ნაძალადევში, შეხვდა ცოლშვილს. **ალყა შემოარტყეს იმ სახლს, სადაც ილიკო იმყოფებოდა. აქ მოკლულ იქნა ილიკოს ერთი ამხანაგი, თითონ ილიკომ კი გაქცევა მოასწრო.**

ამის შემდეგ უფრო გააძლიერეს ილიკოს ძებნა, გაამრავლეს ჯაშუშები როგორც მაზრაში, ისე ქალაქში. ილიკოს სახელიც გაიზარდა ხალხში. ხალხი მას თვლიდა გმირად და აღფრთოვანებით იხსენიებდა. მაზრის ორგანიზაციაც იჭერს კავშირს ილიკოსთან **და ანდობს დუშეთის მაზრის უფროსის მოკვლას.**

როცა ის თავის ამხანაგებით ამ საქმისთვის ყუმბარებს ამზადებდა, ამ დროს გაუქსდათ ყუმბარა, რამაც იმსხვერპლა ილიკო და ერთი მისი ამხანაგი...“

თვით ამ შელამაზებულ წერილშიც კი ბევრი რამ საყურადღებო წერია ჩვენი კვლევისათვის.

1) დადასტურებულია, რომ იმდროისათვის ყველაზე საშიში ყაჩაღი, დუშეთის მაზრის ერთ-ერთი ბანდის მეთაური ილიკო იმერლიშვილი იყო ნაფიცი ბოლშევიკ-რევოლუციონერი.

2) დადასტურებულია მისგან ჩადენილი რამდენიმე ტერაქტი.

3) დადასტურებულია, რომ მაზრის ორგანიზაცია ანუ კომიტეტი სწორედ იმერლიშვილს ავალებს დუშეთის მაზრის უფროსის მოკვლას.

4) ჩამოთვლილია მისი მეგობრები რომელთაგან ყველა ბოლშევიკ-ტერორისტი იყო.

5) ნათქვამია, რომ იმერლიშვილი დააპატიმრეს 1907 წლის დეკემბერში (გაიხსენეთ ფშავლიშვილის ჩვენება მიცემული 1908 წლის თებერვალში „იმერელის" „ამას წინათ" დაჭერის შესახებ. იარაღის ტარების გამოო, აქაც ნათქვამია, რომ ბრალი დაუმძიმესო).

6) ნათქვამია, რომ იმერლიშვილი იყო მეტეხის ციხიდან 17 პატიმრის გაქცევის ორგანიზატორი.

7) სხვათა შორის, აქ ისიც არის ნათქვამი, რომ სომეხ-თათართა შეტაკების დროს იმერლიშვილმა იარაღი მიიღო. სწორედ 500 ბერდანკა მაშინ ვარანცოვ-დაშკოვმა გადასცა ისიდორე რამიშვილს.

მაგრამ რა კავშირშია ეს ყველაფერი ილიას მკვლელობასთან ან ილიას მკვლელბთან?

ახლა შეულამაზებელი ბიოგრაფია ვნახოთ იმერლიშვილისა და კავშირიც ბუნებრივად გამოიკვეთება.

ცხადია, ჩვენ სერიოზულ არგუმენტად არ განვიხილავთ იმას, რომ „იმერელს" ბერდანკა ეჭირა ხელში და რომ იმერლიშვილს სწორედ ბერდანკა გადასცეს სოციალისტებმა 1905 წელს. სხვათა შორის, სხვებისგან განსხვავებით ეს ბერდანკა იმერლიშვილს უკან არ დაუბრუნებია (იარაღის დაბრუნება ვარანცოვ-დაშკოვის პირობა იყო).

არც იმას განვიხილავთ სერიოზულ არგუმენტად, რომ „იმერელი" მკვლელთა შორის თუ ყველაზე ახალგაზრდა იყო, იმერლიშვილიც 1907 წელს მხოლოდ 21 წლისაა.

მით უფრო არც იმ ფაქტს განვიხილავთ, რასაც ლაბაური ამბობს ჩვენებისას – მკვლელთაგან ორს ჰქონდა წვერ-ულვაში, ორს კი მხოლოდ ულვაშებიო. როცა იმერლიშვილი მოკლეს მისი ფოტო გამოქვეყნდა, მას მხოლოდ გრძელი ულვაშები აქვს, წვერი არა.

მნიშნველოვან არგუმენტებზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას:

1) ფშავლიშვილი 1808 წლის 10 თებერვალს ამბობს „იმერელი" ამას წინათ დაიჭირესო, მერე კი გზა-კვალს უბნევს გამოძიებას, რუსეთში გადაასახლესო, მაგრამ ფაქტია, იმერლიშვილი მართლაც „ამას წინათ" ანუ 1907 წლის დეკემბერშია დაჭერილი.

2) ზემოთ ვთქვი, „იმერელი" ილიას მკვლელთაგან ყაჩაღებს უნდა სცნობოდათ მეთქი. ამ იმერლიშვილს იცნობენ ფშავლიშვილიცა და ფეიქრიშვილიც. არა მარტო იცნობდნენ, ერთად ყაჩაღობდნენ. საიდან ჩანს ეს?

3) 1908 წლის 11 მაისს იმერლიშვილის ორგანიზებით, გარედან დახმარებით, (იარაღი შეუგზავნეს ბოლშევიკებმა) მეტეხის ციხიდან გაიქცა 17 პატიმარი. „მათ შორის ილიკო თავის ამხანაგებით". იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებულია ყველა გაქცეულის გვარი. მათ შორის ჩვენთვის საინტერესო შემდეგი გვარებიც გვხვდება: **პავლე ფშავლიშვილი, ილია იმერლიშვილი, ჩირიკაძე (ალბათ ფშავლიშვილთან ერთად დაჭერილი ჩირიკაშვილი ანუ ფეიქრიშვილი უნდა ვიგულისხმოთ,** რადგან ის იმერლიშვილთან ერთად ყაჩაღობს ამის შემდეგ, ანუ ციხიდან გაქცეულია) და აკიმ დოროშენკო **(იხ. გაზ. „ცხოვრების სარკე" №17, 1908წ. 13 მაისი)**

საყურადღებოა ერთი გარემოება. მეტეხის ციხიდან 17 პატიმარი გაიქცა, მაგრამ ვინ არიან ის ამხანაგები ვისთან ერთადაც იმერლიშვილი აფარებს თავს? ესენი არიან სწორედ ილიას მკვლელობის გამო დაპატიმრებული ფშავლიშვილი და ფეიქრიშვილი. ფეიქრიშვილი სოფელ ნორიოდან იყო. ისინი თავს აფარებენ ნორიოს შემოგარენში. საიდან ჩანს ეს?

როგორც ცნობილია 1908 წლის 14 დეკემბერს დაიჭირეს ილიას მკვლელი ინაშვილი. აი, ამ ინაშვილმა გასცა ადგილი სადაც ციხიდან გაქცეული ფშავლიშვილი იმალებოდა.

რატომ?

გაიხსენეთ ილიას მკვლელობის შემდეგ ხალხის რეაქციით შეძრწუნებული ფშავლიშვილი როგორ იმუქრებოდა, ინაშვილმა გამხვია ამ შარში და სადაც ვნახავ, მოვკლავო. არათუ იმუქრებოდა, ძიებას ისიც უთხრა, მეთაური ინაშვილი იყო და ილიას მან ესროლაო. ფშავლიშვილი დაიჭირეს, ინაშვილი კი გარეთ დარჩა. საიდან უნდა სცოდნოდა ინაშვილს, რას იმუქრებოდა ფშავლიშვილი?

ერთი საინტერესო დეტალი. როცა ინაშვილი დააპატიმრეს, მასთან ერთად დაიჭირეს მეტეხის ციხიდან ფშავლიშვილთან ერთად გაქცეული დოროშენკო. დოროშენკო ჯერ ფშავლიშვილთან

იჯდა ციხეში, გაქცევის შემდეგ კი ინაშვილთან იმყოფებოდა ტყეში. ისინი ერთად ყაჩაღობდნენ. აყვანისას მათგან გამოიხსნეს 29 ოქტომბერს გამოსასყიდის გამო გატაცებული ვინმე კონსტანტინე მირაქოვი. აი ამ დოროშენკომ თუ უამბო ინაშვილს ფშავლიშვილის მუქარის შესახებ. შედეგი ის იყო, რომ დოროშენკოსა და ინაშვილის დაპატიმრებიდან 5 დღის შემდეგ 1908 წლის 19 დეკემბერს გაზეთ „დროებაში" №27, ვკითხულობთ წერილს სათაურით: **ილია ჭავჭავაძის მკვლელის ფშავლიშვილის მოკვლა.**

აქ საუბარია, რომ 17 დეკემბერს გამთენიისას მაზრის სამმართველოს მოხელეებს დარაჯები წაუყვანიათ და გასულან სოფ. ნორიოს მინდვრებში, სადაც დარაჯებს „შეუმჩნევიათ: რამდენიმე საეჭვო პირი. ერთი მათგანი ფშავლიშვილი იყო, რომელსაც ციხიდან გაქცევის შემდეგ ახალი მკვლელობები ჩაუდენია თავს დაესხნენ დუშეთის მაზრაში ნისო ხიმშიაშვილის ოჯახს. თიანეთის მაზრაში მოკლეს მღვდელი თურქაძე.

დარაჯების მოთხოვნაზე, დამორჩილებოდნენ, ყაჩაღებს სროლა დაუწყიათ. საპასუხო სროლის შედეგად მოუკლავთ ორი ყაჩაღი. „მოკლულები აღმოჩნდნენ **პავლე ფშავლიშვილი** და **იმერლიშვილი.** ეს უკანაკნელიც მეტეხის ციხიდან არის გაქცეული.

დახოცილთა გვამები ტფილისში ჩამოიტანეს ურმით და გაგზავნეს მიხეილის საავადმყოფოს სანოტარო განყოფილებაში."

როგორც ვხედავთ, იმერლიშვილი და ფშავლიშვილი არათუ იცნობენ ერთმანეთს, ერთად ყაჩაღობდნენ. თითქოს ერთადაც დაიხოცნენ, მაგრამ ეს იმერლიშვილის პირველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცრუ სიკვდილი იყო.

ფშავლიშვილს რომ იცნობდა ვნახეთ, ილიას მკვლელობაში დადანაშაულებულ ფეიქრიშვილსაც რომ იცნობდა და მასთან ერთად ყაჩაღობდა, ამაზე ეს დოკუმენტი მეტყველებს:

„ყაჩაღი იმერლიშვილი და მისი ბრბო

...1909 წელს, ტფ. მაზრის უფროსმა ცნობები მიიღო, რომ მთელი ბრბო ყაჩაღებისა, რომელსაც იმერლიშვილი და ფეიქრიშვილი მეთაურობდნენ, შეფარებულნი იყვნენ მამკოდის ტყეში, სოფ. ავჭალიდან ხუთი ვერსის მანძილზე. იმავე წლის შემოდგომის დასაწყისში ამ ყაჩაღების შესაპყრობად გაგზავნილი იყო მაზრის უფროსის თანაშემწე ორმოცი საერობო დარაჯით.

პოლიციელთა რაზმი ყაჩაღების ბანაკთან მივიდა ღამით, გათენებამდე ადრე, ჩამოქვეითდა, ცხენები მთის ძირში დასტოვა და ფრთხილად იწყო ფოფხვა აღმართით მხათალოთი დაბურულ ბუჩქებში. კარგა მაღლა რომ აფოფხდნენ, მიაღწიეს პატარა მინდორს. აქ იყო ყაჩაღების ბანაკი; ეს ადგილი სხვათა შორის საუცხოვო იყო საზვერავად. მინდორის ერთი ნაწილი შემოღობილი იყო ფიჩხით, რომლის იქით ფარდული იყო გაკეთებული. პოლიციელთა რაზმი ჩასაფრდა ჩირგვებში. ბანაკს არავითარი მოძრაობა არ ეტყობოდა. მხოლოდ შემოღობილის იქით ოდნავ სჩანდა დარაჯის ლანდი ნაბდითა და ფაფახით. რაზმი დარწმუნებული იყო, რომ ნაბადიანი კაცი დარაჯია და, როგორც კი ირაჟრაჟა, ბანაკს სროლა აუტეხეს. ტყვიებმა სრულებით დაცხრილეს ღობე. თოფის ხმა ტყეში კარგა ხანს გუგუნებდა. პასუხი კი არსაიდან ისმოდა. დარაჯები კი განსაკუთრებით იმით იყვნენ გაოცებულნი, რომ დარაჯი ისევ თავის ალაგას იდგა, არც კი განძრეულა. ერთი საერობო დარაჯთაგანი მიცოცდა ღობესთან და შეჰხედა ფიგურას, რომელიც კაცი კი არა, უბრალო ბოძი აღმოჩნდა, რომელსაც წამოსხმული ჰქონდა ნაბადი და ფაფახი ეხურა. ბანაკი გაჩხრიკეს და აღმოაჩინეს რამდენიმე თოფი, სახაზინო ყალიბის რევოლვერი, ხანჯლები, პატრონები, 2 ყუმბარა, ყუმბარების საკეთებელი ხელსაწყო, საუცხოვო საზვერავი მანქანა ინგლისური ხელობისა, დაცლილი ტიკები ღვინისა, ბოთლები, ჩაის ჭურჭელი, მაზარები, და სხვა ნივთები. ეს ნადავლი ტფილისში წამოიღეს.

ამ დროს კი იმერლიშვილი და ფეიქრიშვილი თავის ამხანაგებით იმ ღამეს შორს იყვნენ 20 ვერსის მანძილზე. სოფ. ნორიოში ეძებდნენ მამასახლისს, რათა შური ეძიათ მასზე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მათს დევნაში. მამასახლისი ვერ ნახეს, ჯავრი იყარეს მის ნაცვლაზე და დარაჯზე, რომელნიც შუა სოფელში მოჰკლეს." **(იხ. „სუსხი" №9, 1914წ.)**

კვლავ დოკუმენტი იმერლიშვილის „მეორე ცრუ სიკვდილის" შესახებ.

შეიარაღებული შეტაკება ყაჩაღებსა და პოლიციელებს შორის

... „კარგა ხანია თბილისში იმის მსგავსი სისხლის ღვრა აღარ მომხდარა, როგორც მაშინ, 13 იანვარს მოხდა ნაძალადევში".

პოლიციას გაუგია, რომ ნაძალადევში ჩამოსულან და დაბინავებულან იმერლიშვილი და ფარესიშვილი.

სახლს ალყა დაარტყა ასმა პოლიციელმა. ყაჩაღებმა სროლა აუტეხეს და 20-მდე კაცი დაჭრეს, შემდეგ გამოცვივდნენ სახლიდან. პოლიციამ მოკლა ერთი ყაჩაღთაგანი. „იმერლიშვილი რამდენიმე ტყვიით მოჰკლეს, ხოლო ფარესიშვილმა დამალვა მოასწრო".

იხ. სახალხო გაზეთი №1090, 19146.

20 დაჭრილიდან ორი, ბოქაული და მისი თანაშემწე დაიღუპნენ. რაც შეეხება იმერლიშვილს, ცნობა მისი გარდაცვალების შესახებ ამჯერადაც ნაადრევი აღმოჩნდა. თუმცა, „მესამედ სიკვდილი" ნამდვილი გამოდგა.

ყაჩაღი ილიკო იმერლიშვილის სიკვდილი

2 აპრილს ბაგის ჭალაში მომხდარი ამბავი დღესაც საიდუმლოებით არის მოცული. ვისი იყო და რა მიზნით იყო იქ მიტანილი, შემთხვევით აფეთქდა ეს ყუმბარა, თუ იქ რაიმე ღალატი იყო, ყველა ეს კითხვა საშინლად აინტერესებს როგორც პოლიციას, ისე საზოგადოებას, მაგრამ მისი გამორკვევა, ალბათ შეუძლებელი იქნება მომავალშიც, თუ ყაჩაღებმა „ჭოჭლის ბიჭმა" და ფიდო ფერმისაშვილმა არ გამოაქვეყნეს.

ვინ იყო ნიკო ქობულაშვილი? იგი ყაჩაღების ამხანაგი იყო და მათ ფარულად სანოვაგეს უზიდავდა, თუ იგი გზაზე მოიტაცეს ყაჩაღებმა და თან წაიყვანეს, როგორც ზოგი ამბობს; და საერთოდ რა როლს თამაშობდა, ეს გლეხი, – დღემდე ესეც გამოურკვეველია.

ამ ჟამად საბოლოოდ გამოირკვა, რომ ერთი მოკლულ ყაჩაღთაგანი ნამდვილად ილიკო იმერლიშვილი იყო, თუმცა დაჟინებით გაიძახოდნენ, იგი ნაძალადევის სროლის დროს მოკვდაო.

საქმის ვითარებამ სხვა გვაჩვენა: იმერლიშვილი სრულიად უვნებელი გადარჩენილიყო ნაძალადევის სროლას, მხოლოდ ამ დროს თოფი დაზიანებოდა, რომელიც თურმე მცხეთის გზაზე ერთის ხელოსნისთვის შეეკეთებინა. ჩქარა მთელს ქალაქს მოედო ამბავი, იმერლიშვილი ცოცხალია და დუშეთის მაზრაში იფარავს თავსო.

ნაძალადევის სროლის შემდეგ არ გაიარა დიდმა დრომ, რომ იმერლიშვილმა თავი მოჰკვეთა თავის ამხანაგს არჩილ იოსებაძეს, ქვაშვეთის ეკლესიის მედავითნედ ნამყოფს, რადგანაც ეჭვი აიღო, რომ იოსებაძეს საიდუმლო კავშირი უნდა ჰქონოდეს პოლიციასთანო. მოკვეთილი თავი კალათაში ჩადო, მიიტანა რკინის გზაზე და, ალბად მცხეთაში ტფილისისკენ მომავალ მატარებლის ერთს ვაგონში დასდო. კალათა იპოვეს ბაქოში ვაგონების დაგვის დროს. კალათაში ბარათი იყო, სადაც ქართულად ეწერა: „ამხანაგის მოღალატეს ასეთი სიკვდილი ეკუთვნისო".

ამის შემდეგ ილიკო იმერლიშვილის შესახებ აღარა ისმოდა რა და აი მოულოდნელად 2 აპრილს მოვიდა ნამდვილი ცნობა, იმერლიშვილი მოკვდაო. რამ გამოიწვია ყუმბარის აფეთქება, – ამის შესახებ ხალხში სხვადასხვა აზრი ტრიალებს. ერთნი ამბობენ, ყუმბარას ამზადებდნენ ყაჩაღები დილით რაღაც საქმეზე წასვლას აპირებდნენ, მაგრამ გაუფრთხილებლობით ყუმბარა აფეთქდა და ყაჩაღები იმსხვერპლაო. მეორეთა თქმით, ყაჩაღებს ღამით ტკბილად ეძინათ, შუაში კი დიდი ცეცხლი გუზგუზებდა; ყუმბარა ისე უცხოურ ალაგას იყო შენახული, რომ ცეცხლი მისწვდა და ააფეთქაო. ეს ორი ვერსია ბევრს არა სჯერა შემდეგი მოსაზრებით: მთელი ის ადგილი, სადაც ყაჩაღები იყვნენ დაბანაკებულნი, სულ მოგლეჯილია, გარშემო მთელი ტყე მოტრუსულია და ყუმბარისაგან მიწაც კი უსწორ-მასწოროდ ამოთხრილია; ასეთ გარემოებაში თითქმის შეუძლებელი იყო ორის ყაჩაღის გადარჩენა. ამის გამო მესამენი ჰფიქრობენ, რომ იმერლიშვილი მსხვერპლი გახდა ამხანაგთა ღალატისა; ამათის აზრით ამხანაგებს შორის რაიმე მტრობა იყო ჭოჭლის ბიჭმა და ფიდო ფერმისაშვილმა ისარგებლეს ამხანაგების ძილით და შორს მანძილიდან მძინარეებს ყუმბარა დაახალეს. მსროლელნი დაიჭრენ თუ არა, არ იციან. სისხლის წვეთები ახლო-მახლო ადგილას არსად ამჩნევია.

გაქცეულ ყაჩაღთა ძებნას დუშეთის სამაზრო პოლიცია კვლავ განაგრძნობსო. (იხ. ჟურნ. „ლახტი", №6, 1914წ.)

იმერლიშვილს ასე ახასიათებდა „სახალხო გაზეთი".

„მკითხველს ალბათ ემახსოვრება ილიკო იმერლიშვილი, რომელიც ამ 7-8 წლის წინათ გავარდა ყაჩაღად და დუშეთის მაზრაში იმალებოდა. ამ ცნობილი ყაჩაღის მოკვლა ან შეპყრობა ყოვლად შეუძლებელი გახდა, რადგან იმერლიშვილი უდიდეს საფრთხის წინაშეც არა ჰკარგავდა მოსაზრებას და გონიერებას და პოლიცი-

ისაგან ფრთხილად დაგებულ მახეს შესანიშნავად გაბედულობითა და წინდახედულობით უძვრებოდა ხელიდან.

მრავალჯერ ჩავარდნია ხელში პოლიციას იმერლიშვილი, მაგრამ გაქცევა ყოველთვის მოუსწრია და თანაც მრავალი პოლიციელი ამოუხოცავს.

ნაძალადევის შეტაკებამ კი, როდესაც იმერლიშვილმა ორი პოლიციელი მოჰკლა და მრავალი დასჭრა და შემდეგ გაიქცა, პირდაპირ გაოცებაში მოიყვანა ყველანი. დიდხანს ჰფიქრობდნენ, რომ იმერლიშვილი აუცილებლად მოკლულ იქნა ამ უმაგალითო სისხლის ღვრის დროს, მაგრამ ბოლოს გამოირკვა რომ ყაჩაღი სრულად უვნებელი წავიდა იმ სახლიდან და დუშეთის მაზრაში კვლავინდებურად იმალებოდა".

იხ. „სახალხო გაზეთი" №1156, 1914ნ.

თუ იმერლიშვილი მართლაც არის „იმერელი", მისი ამ დახასიათების შემდეგ აღარავის გაუკვირდება რატომ შეიძლებოდა ასეთი ფრთხილი ყაჩაღი მკვლელთა ერთ ნაწილს საერთოდ არ სცნობოდა, ხოლო მეორე ნაწილს, ვინც მას იცნობდა, რატომ არ შეეძლო გაებედა მისი დასახელება.

ამრიგად, იმერლიშვილი არის არა უბრალოდ ყაჩაღი, არამედ მოღვაწეობას იწყებს რევოლუციური აგიტატორობით. პარტიაში განხეთქილების დროს ის ემხრობა ბოლშევიკებს. როგორც ძველი ასოთამწყობი ის იცნობდა დიმიტრი ჯაშს. ცხოვრობდა მის მეზობლად. ერთი საინტერესო დეტალი. დარია ჯაში საბჭოთა სასამართლოზე ჩვენების მიცემისას ამბობს, რომ ილიკო იმერლიშვილი ეჩხუბებოდა ჯაშს, რატომ მეგობრობ რამიშვილთანო...

იმერლიშვილი ხდება დუშეთის მაზრის ერთ-ერთი შეიარაღებული ბანდის ყველაზე სასტიკი მეთაური. კაცს, რომელმაც სხვა უბედურებებთან ერთად თავი მოჭრა ყოფილ სასულიერო პირს და ბაქოში გაგზავნა, დიდი სიყვარულით და მოკრძალებით იხსენებს ბოლშევიკური პრესა 1926 წელს, როგორც დამსახურებულ ბოლშევიკს.

ბოლშევიკები სწორედ მას ანდობენ 1914 წელს დუშეთის მაზრის უფროსის მკვლელობას.

იმერლიშვილი და ილიას ორი მკვლელი, ფშავლიშვილი და ფეიქრიშვილი ერთმანეთის განდობილი ძმები არიან. ილიას მკვლელობის შემდეგ ისინი ერთად არიან ციხეშიც და ტყეშიც.

იმერლიშვილი ილიას მკვლელობის დროს არც ბაქოშია და არც დაჭერილი, დათარეშობს დუშეთის მაზრაში.

სხვა დეტალებს რომ თავი დავანებოთ, ეს ფაქტებიც მნიშვნელოვანია „ერთი იმერელისა" და იმერლიშვილის იდენტიფიკაციისათვის, რადგან კომიტეტს თუ ვინმე შეეძლო გაეგზავნა 'ბეჭედდარტყმული დოკუმენტით" დუშეთის მაზრის „ტყის ძმების" უფროსთა შორის შეუცვლელი კანდიდატი სწორედ იმერლიშვილი იყო.

აკი, მის მოსაგონარში თვით ბოლშევიკები წერენ დუშეთის მაზრის უფროსის მკვლელობა სწორედ მას მივანდეთო.

მაგრამ თუ ილიას მკვლელთა ბანდის მეთაური იმერელი იყო, მთელი ჩვენი კვლევა ხუხულასავით იშლება. იმერლიშვილი ხომ მცხეთელი გახლდათ.

საქმე ის არის, რომ არც ერთი დაკითხული პატიმარი არ განმარტავს, რომ მართალია იმ კაცის ვინაობა არ ვიცით. მაგრამ ვიცით, რომ ის იმერელი იყო, რადგან იმერულ ან დასავლეთის რომელიმე კუთხის კილოკავზე ლაპარაკობდაო.

მის იმერლობას სადაურობისა და კილოკავის ნიშნით არავინ უსვამს ხაზს. ან ამ დეტალის შესახებ კითხვა-პასუხი დაკარგულია დაკითხვის ოქმებიდან, ან „იმერელი" მხოლოდ მეტსახელი ე.წ. „კლიჩკაა".

საყურადღებოა, რომ ბერბიჭაშვილის ბიძამ და ერთმა თავადმა „იმერლად" ოზიევი (ოძიშვილი) დაასახელეს. ძიებას „იმერელი" ფეიქრიშვილი ჰგონია, ხოლო ფაღავას უფრო ადრე მოძღვრიშვილი ეგონა. არც ერთი მათგანი იმერელი არ გახლდათ. ბუნებრივია, პატიმრებს რომ მკვლელი იმერულ კილოკავზე მოსაუბრე კაცად დაეხატათ და მათი ჩვენება ძიებას გაეზიარებინა, იმერელის ძებნას ქართლელებსა და კახელებში არ დაიწყებდნენ.

მცხეთის მაცხოვრებლის იმერლიშვილის მეტსახელი რომ იმერელი ყოფილიყო ბუნებრივიც ჩანს.

გვარის შემოკლებული ფორმით მეტსახელის შერქმევა ტრადიციულიც კი გახლავთ საქართველოში. შემდგომმა კვლევამ შეიძლება გამოაჩინოს, რომ იმ დროის ყველაზე დაუნდობელი ბოლშევიკ-ტერორისტის ილიკო იმერლიშვილის „კლიჩკა" იყო იმერელი.

საინტერესოა, რომ 1926 წელს გამოქვეყნებულ იმერლიშვილის საქებარ წერილში სათაურშივე გამოტანილია – ილიკო იმერლიშვილი (მცხეთელი) ამ ჟურნალში სხვა დამსახურებული ბოლშევიკების შესახებაც ქვეყნდებოდა წერილები და ყველა მათგანს

თავისი „კლიჩკით" იცნობდნენ, მაგრამ სათაურში არავის არც ე.წ. „კლიჩკაა" გამოტანილი და არც სადაურობა. ხომ არ გულისხმობს სათაურშივე მცხეთელის გამოტანა ავტორისგან, რომელიც იმერლიშვილის ძველი ამხანაგი და მისი ბიოგრაფიის დეტალებში მცოდნე კაცი იყო, მისი „კლიჩკის", - იმერელის გადაფარვას?

ფაქტი ერთია, არ არსებობს არგუმენტი, რის გამოც ეჭვი უნდა შევიტანოთ ბოლშევიკთა იდეოლოგის რაჟდენ კალაძის მიერ საბჭოთა დროში გამოქვეყნებულ სიტყვებში, ილია „ტყის ძმების" მეთაურს მოაკვლევინესო. იმ დროს „ტყის ძმების" ბოლშევიკი მეთაური დუშეთის მაზრაში მხოლოდ ილიკო იმერლიშვილი იყო.

ახლა კი პასუხი უნდა გაეცეს კითხვას. შეეძლო თუ არა დუშეთის რაიონულ კომიტეტს ბეჭედდარტყმული განაჩენის დამოუკიდებლად გამოტანა, ილიას სახელს რომ თავი დავანებოთ, სახელმწიფო საბჭოს წევრის მიმართ?

თავი IX

ილიას მკვლელობის პარტიული ორგანიზატორები

ი. ჯულაშვილი პატიმრობაში

მნიშვნელოვან დავალებებს რაიონულ კომიტეტებს ძირითადად ყოველთვის მთავარი კომიტეტი კარნახობდა. სურათი რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, შევადაროთ ორი წყარო ერთმანეთს, ორივე გენერალ გრიაზნოვის მკვლელობას ეხება.

ერთ-ერთი ტერორისტის არშაკ მემრაბიანცის წერილი უკვე გაგაცანით – როგორ დაიბარეს ავლაბრის რაიონულ კომიტეტში, (ავლაბრის რაიონს 5 ტერორისტული ჯგუფი ჰყავდა) როგორ აარჩიეს ხუთივე „დრუჟინიდან" ორ-ორი კაცი და მიანდვეს გრიაზნოვის მკვლელობა. მათ შორის იყო არსენა ჯორჯიაშვილიც.

იმავე ფაქტზე მაღალი რანგის ტერორისტი კოტე ცინცაძე წერს: „დამიძახა კობამ (სტალინმა, – ნ.გ.) და მითხრა, მოამზადე რამდენიმე ყოჩაღი ბიჭი და ერთ კვირაში თუ ჯორჯიაშვილმა ვერ შეასრულა, შენ მოგანდობთო". მე ძალიან გამეხარდა და დავამზადე კიდევ ორი ამხანაგი და ველოდებოდით ერთ კვირას.

ამხანაგმა ჯორჯიაშვილმა ჩინებულად შეასრულა თავისი მინდობილობა და მე დამტოვა პირღია".

ცინცაძის მოგონება რომ არ დაბეჭდილიყო, პირველი ჩანაწერის მიხედვით კაცი იფიქრებდა, მართლა რაიონული კომიტეტი წყვეტდა საკითხს, მაგრამ ასე არ იყო. დადგენილება კი ავლაბრის კომიტეტმა მიიღო, ტერორისტებიც შეყარა, მაგრამ მთავარი ბრძანების მიმცემი ვინც ყოფილა, ვგონებ გამოჩნდა ცინცაძის მოგონებიდან.

მთავარი ორგანიზატორი ილიას მკვლელობისა, ცხადია, ბოლშევიკების მთავარი კომიტეტი გახლდათ. ეს არ არის ჩვენი ვარაუდი, ეს გახლავთ ფაქტი. ტერორის მანქანის ის სტურქტურა, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ სხვა ვერსიას გამორიცხავს! კერძოდ, 1907 წლის მაისის შემდგომ ცენტრთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია ყოველგვარი თვითმოქმედება. თუ ადრე ექსპროპრიაცია, ანუ ძარცვა ბანკებისა თუ სხვა დაწესებულებათა იყო სასახელო საქმე, ახლა იგივე ქმედება ისჯება პარტიული სასჯელით, – მინიმუმ პარტიიდან გარიცხვით და მაქსიმუმ სიკვდილით.

თუ ადრე რაიონულ კომიტეტებს და „ტყის ძმებს" დამოუკიდებლად შეეძლოთ ტერაქტის განხორციელება, ახლა ეს აკრძალულია და ცენტრი სიკვდილით დასჯის ყველა თვითნება ტერორისტს.

დიახ, 1907 წლის მაისის მე-2 ნახევრის შემდეგ ასეთია პარტიული ცხოვრების წესი.

რატომ? რა ციური მადლი ესხივმფინარა ამ ტერორისტულ პარტიას?

საქმე იმაში გახლავთ, რომ ლონდონში გამართულმა პარტიულმა ყრილობამ (30 აპრილი – 13 მაისი, 1907წ.) აკრძალა როგორც ცალკეულ პირთა მიმართ ტერორი, ისე ძარცვა – ექსპროპრიაცია.

ამ დროისათვის როგორც ბოლშევიკები ისე მენშევიკები ჯერ კიდევ ერთი პარტიის წევრები არიან. ყრილობის გადაწყვეტილებანი სავალდებულოა ორივე ფრაქციისათვის.

ვინაიდან ექსპროპრიაციებმა, ტერორმა მიიღო უმართავი სახე, ამდენი „დრუჟინებიდან" არავინ იცოდა ვინ ვის კალვდა, რატომ, რისთვის; ვინ ვის ძარცვავდა, – პარტიას თავად შეექმნა პრობლემები.

ერთი ჯგუფი შეუთვლიდა რომელიმე მილიონერს ფული გადაეხადა, დახატავდა ფურცელზე რევოლვერს, გადაჯვარედინებულ ხანჯლებს. ქვეშ მიუხატავდა კუბოს და ამ „ძვირფასი" შეტყობინებით აუწყებდა, რა რიცხვამდე უნდა გაეღო ფული, თუ არა, როდის ელოდა სიკვდილი. ის კაცი იხდიდა პატიოსნად. ახლა მეორე ჯგუფი მიადგებოდა მსხვერპლს. ეს ქაოსი თვით პარტიისთვის გახდა საზარალო.

ამის გარდა, მთავრობა ისე გაძლიერდა, დაჭერებისა და სიკვდილის შიშით პარტიის რიგები შაგრენის ტყავივით ილეოდა.

ამიტომ პარტიამ თავად დაადგინა, ხელი აეღო ინდივიდუალურ ტერორსა და ძარცვაზე. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო სოც-დემოკრატების რეაქცია იმ ძარცვაზე, რომელიც ბოლშევიკებმა ჩაიდინეს 1907 წლის 13 ივნისს ერევნის მოედანზე.

სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით კამომ და მისმა ბანდამ ერევნის მოედანზე ხელყუმბარებით ამოხოცეს მცველები და გაიტაცეს ხაზინის ფული 250 000 მანეთი.

ამის გამო მაშინ თბილისის პოლიცმაისტერმა თავი მოიკლა.

ეს ფული სოსოს დავალებით კამომ ჩაუტანა პირადად ლენინს. ახლა ამას უარყოფენ ვიეთნიმენი, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ მამალი ბოლშევიკი მ. ჩოდრიშვილი სწორედ საბჭოთა დროში ბეჭდავს მოგონებას, როგორ გაუკეთა მან კამოს სამალავებიანი ტახტი, როგორ წამოიღეს ძარცვიდან 3 დღის შემდეგ ამ ტახტით ფული კამომ, ერთმა მუშამ, მიხა ბოჭორიძემ და ვიღაც მარომ.

როგორ შეინახეს ფულით სავსე ტახტი ობსერვატორიის შენობაში, სადაც მათი ერთი ამხანაგი ცხოვრობდა და მსახურობდა კიდეც... (უფრო ადრე აქ სტალინი ცხოვრობდა და მუშაობდა). ამის შემდეგ ეს ჩოდრიშვილი გაფისულ ღვინის ტიკს და უცნაურ ჩემოდანს გადასცემს კამოს ფულის საზღვარგარეთ გასატანად, თან დასძენს, ის კი აღარ ვიცი, ოფიცრის ფორმაში გამოწყობილმა კამომ ფული ცენტრალურ კომიტეტში ტიკით წაიღო თუ ჩემოდნითო.

ამ მოგონების ავტორი, მუშა კი იყო, მაგრამ უბრალო კაცი არ გეგონოთ. ის იყო პარტიის საიდუმლო საწყობისა და პარტიული სალაროს გამგე.

„ერთ შემოდგომის საღამოს მ. ცხაკაიამ და სოსო ჯუღაშვილმა მომიტანეს ორასი თუმანი, შემდეგ თვითონვე გადაანაწილეს პროვინციებში"-ო. ასე რომ, რასაც ჩოდრიშვილი ყვება, დაეჯერება, მით უფრო მის წიგნს (იხ. „ჩემი თავგადასავალი", თბ. 1927წ.) მიხა ცხაკაიასა და ფილიპე მახარაძის წინასიტყვა ახლავს.

რატომ გავიხსენე ბანკის ძარცვის ამბავი?

ვინაიდან ეს ძარცვა სტალინის ხელმძღვანელობით V ყრილობის შემდეგ მოხდა, სოსომ მადლობის ნაცვლად საშინელი ქარიშხალი მოიმკო. მენშევიკებმა დასვეს მისი პარტიიდან გარიცხვის საკითხი. ლენინმა, როგორც იტყვიან, ამ ამბავს წაუყრუა. აბა, მენშევიკებმა რა იცოდნენ, რომ ყველაფერი თვით ლენინთან იყო შეთანხმებული, რომ სტალინი ყრილობის წინ საიდუმლოდ შეხვდა ლენინს და ა.შ.

რომ რაც მთავარია, ფული თვით ილიჩმა მიიღო.

ახლა მეცნიერები დავობენ – გაირიცხა თუ არა მაშინ პარტიიდან სტალინი.

ჩვენი კვლევისთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ის არის, რომ თვალსაჩინო გავხადოთ 1907 წლის V ყრილობის შემდეგ, ანუ მაისიდან, პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეუთანხმებლად დასჯადი ქმედება რომ არის თვით ისეთი „სასარგებლო" საქმის ჩადენაც კი, როგორიცაა ბანკის ექსპროპრიაცია და პარტიისათვის ამ გზით ფულის შოვნა. ანუ დასჯადია ისეთი ქმედება, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ბოლშევიკ-მენშევიკები სიამოვნებით აკეთებდნენ ერთად. აკი მოგვიანებით გაკვირვებული დაწერს ბოლშევიკ-ტერორისტი ცინცაძე: **„თუ „ექსი" ცუდი საქმე იყო, ჩვენ ორივენი ცუდ საქმეს ვაკეთებდით**

და რა საბუთი იყო, რომ მენშევიკები ამ ნიადაგზე ჩვენ წინააღმდეგ ილაშქრებდნენ?".

არის საკითხის მეორე მხარე. მიუხედავად იმისა, რომ ჟორდანიამ და მენშევიკებმა ყველაფერი იღონეს სტალინის დასასჯელად, (წლების შემდეგ მენშევიკ მარტოვსა და სტალინს შორის ამ საქმეზე რეზონანსული დავა ატყდება) მაშინდელ პრესაში არ გამოჟონილა არაფერი.

ჟორდანიას ან რომელიმე მენშევიკს რომ საჯაროდ ემხილებინა ბოლშევიკები, ჯერ მათივე პარტიას უტყდებოდა სახელი და მერმე თავს დაიღუპავდნენ, რადგან მათ, როგორც მთავრობის ინფორმატორებს, სიკვდილით დასჯიდნენ.

ბანკის ძარცვა რა არის იმასთან შედარებით, რა რეზონანსიც ილიას მკვლელობას მოჰყვა?

მენშევიკები იმჟამად იძულებულნი იყვნენ გადაფარებოდნენ ბოლშევიკებს, რადგან პირველ რიგში საკუთარ ტყავს და პარტიის ინტერესებს იცავდნენ. თუ, რა თქმა უნდა, უარესად არ იყო საქმე და არ დავუჯერებთ იმ ავტორებს, რომელნიც ჟორდანიასაც სდებენ ბრალს იმაში, რომ წინასწარ მანაც იცოდა მკვლელობის შესახებ და პილატესავით დაიბანა ხელი (თუმც ვლასა მგელაძე იგონებს, რომ ჟორდანია 1907 წლის 3 ივნისის, ანუ მეორე სათათბიროს გარეკვის შემდეგ ციხეშია).

●

თუ ბანკების ექსპროპრიაციასაც კი ვეტო დაადო პარტიამ... ბუნებრივია, ადგილობრივ უჯრედებს ტერორი უკვე სასტიკად ეკრძალებოდათ. თუ გადახედავთ 1907 წლის მე-2 ნახევრის მენშევიკთა გაზეთებს, ყოველ ნომერში ისე ებრძვიან და გმობენ ტერორისტებს, თითქოს ეს ტერორისტები საკუთარ უბეში არ ჰყავდათ.

პარტიული ტერორისტი შეუთანხმებლად მოქმედებისათვის თავად ისჯებოდა სიკვდილით. ამ ვითარებაში ილიას მკვლელთა სითამამე გაპირობებულია იმით, რომ მათ დავალება პარტიის მთავარი კომიტეტიდან ჰქონდათ.

მაგრამ თუ იდეურ ნიადაგზე ტერორს ახლა უკვე თავად პარტია კრძალავს, რა მოტივით უნდა მოეკლათ ტერორისტებს სახელმწიფო საბჭოს წევრი? მინდა მკითხველს შევახსენო პატიმარ გრეკოვის დაკითხვის ოქმი, სადაც ის ამბობს, რომ ბახვის კრებაზე

როცა ერთმა ამხანაგმა იკითხა – რატომ უნდა მოვკლათ ილია ჭავ-ჭავაძეო, მას ბათუმიდან ჩამოსულმა ამხანაგმა უპასუხა – ჭავჭავაძემ ჩვენ გვიღალატაო.

ერთი შეხედვით ამ სრული აბსურდის ახსნა ძალიან მარტივად შეიძლება.

ბახვის კრებას ესწრებიან პარტიის „წითელრაზმელები".

ბუნებრივია მათ იციან, რომ პარტიაში ცენტრალიზებული სისტემაა. ძველებურად აღარ შეუძლიათ დაუსჯელად გამოასალმონ სიცოცხლეს ის, ვისაც მოისურვებენ.

იდეურ ნიადაგზე ტერორი არ შეიძლება.

ერთადერთი, ვისი მოკვლაც ნებადართულია, არის პარტიის გამცემი და მოღალატე. ამ ბრალდებით უამრავი ადამიანია დახოცილი. ის, ვინც ორი ამხანაგი მიავლინა ბახვის კრებაზე, ჭკვიანი იყო. ჭავჭავაძემ ჩვენ გვიღალატაო. ამის თქმა ბნელ ხალხში შურისძიების ფირმანის გასაცემად დასჭირდათ.

ერთი სიტყვით, თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, დასკვნა ერთია – რაიონული კომიტეტი მთავარი კომიტეტის მითითების გარეშე ბეჭედდასმულ ქაღალდს ილიას მკვლელობის შესახებ არ შექმნიდა. ხოლო ბოლშევიკების მთავარი კომიტეტი, იმის გათვალისწინებით რაც მათ ივნისში ერევნის მოედანზე 250 000 მანეთის გატაცების გამო თავს გადახდათ, ვერ იმოქმედებდნენ დამოუკიდებლად.

250 000 მანეთის გატაცების გამო მენშევიკებმა უჩივლეს არა უშუალოდ მძარცველს, კამოს, არამედ მოითხოვეს სტალინის პარტიიდან გარიცხვა.

სტალინი კი მაშინ დაიცვა ლენინმა. რადგან ეს ძარცვა მასთან იყო შეთანხმებული და ფულიც მას გადაეცა.

ბანკის ძარცვის გამო ატეხილი აურზაურის შემდეგ, ბოლშევიკები ცენტრთან შეთანხმების გარეშე მით უფრო ველარ წავიდოდნენ დამოუკიდებლად ილიას მკვლელობაზე.

მაგრამ ნუთუ ამ ელემენტარულ ლოგიკას თავის დროზე ძიება არ გაჰყვა? როცა მკვლელებმა განუცხადეს, კომიტეტის დავალებას ვასრულებდითო, რატომ პარტიის ცენტრალურ ფიგურებს თუ არა, საქართველოს ამ მთავარი კომიტეტის წევრებს მაინც არ მოჰკიდეს ხელი?

მარტივად, ძეხორციელმა არ იცოდა არც კომიტეტების და არც მთავარი კომიტეტის პერსონალური შემადგენლობა. ამას წერს მაშინდელი ჟანდარმერია. სხვადასხვა ტერაქტებთან დაკავშირებით

იუწყებიან – ვიჭერთ ცალკეულ რევოლუციონერებს, მაგრამ კომიტეტის შემადგენლობას ვერ მივაკვლიეთო.

დღეს შეგვიძლია ბოლშევიკთა მთავარი კომიტეტის წევრთა ვინაობაზე ვიმსჯელოთ. ვინ იყვნენ ისინი და რატომ იყო შეუძლებელი მათი კვალის მიგნება?

ის რომ მთავარი კომიტეტის კვალის მიგნება და შემადგენლობის გაგება შეუძლებელი იყო, ამას აღიარებს მაშინდელი მთავრობა.

„რევოლუციური მატიანის" 1925 წლის მე-3 ნომერში დაბეჭდილია ძალიან საინტერესო საარქივო მასალა, მისი სათაურია **„საქართველოს რევოლუციური მოძრაობა მთავრობის დახასიათების თანახმად.**

(მოკლე მიმოხილვა რევოლუციონური მოძრაობის მიერ კავკასიაში 1904 წლიდან 1909 წლის მაისამდე მომხდარი თვალსაჩინო ტერორისტული აქტების ჩამოთვლით)".

ამ სათაურის ქვეშ ჟურნალი გვამცნობს: „ეს საქმე (№86, 1909წ.) ეკუთვნის კავკასიის მეფის მოადგილის კანცელარიის საგანგებო განყოფილებას. საქმე შედგენილია მეფის მოადგილის დავალებით და ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის ხელმძღვანელობით პროკურორის ამხანაგის მოსკალიოვის მიერ.

მთელი მასალა შეიცავს 416 გვერდს მანქანაზე დაბეჭდილს".

ამ ვრცელ, მშრალ და დოკუმენტური თვალსაზრისით ყველაზე სანდო ნაშრომში ჩამოთვლილია თითქმის ყველა ტერაქტი, რაც 1904-1909 წლებში მოხდა, მათ შორის სოც-დემოკრატების მიერ. ცხადია, ნახსენებია „დიდი ქართველი მწერალი და სახელმწიფო საბჭოს წევრი ილია ჭავჭავაძე", რომელიც მოკლესო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაქეზებით. ვიმეორებ, ჩამოთვლილია თითქმის ყველა თვასლსაჩინო ტერაქტი და ბოლოს ახლავს დასკვნა – **„მთავრობამ ვერ აღმოაჩინა ტფილისში არსებული მთავრობის საწინააღმდეგო პარტიათა ცენტრალური კომიტეტი"** (დასახელებული ჟურნ. გვ. 148)

ასე რომ, როცა დღეს საუბრობენ იმაზე, არ გვაქვს არავითარი პირდაპირი სამხილი რომელიმე მაღალი სტატუსის ბოლშევიკის ილიას მკვლელობაში მონაწილეობისა და პირდაპირ ხელს ვერ დავადებთ ვერავისო, ეს არის არა მეცნიერული სიფრთხილის გამოვლინება, არამედ არცოდნა იმ „ეპოქის ქერქისა", რომლის გათვალისწინებით ყველაფერს ნათელი ეფინება. კერძოდ, თუ ვიცით 1907 წლის ზაფხულში ვინ წარმოადგენს ბოლშევიკთა მთავარ კომიტეტს, ვიცით მკვლელობის ორგანიზატორებიც.

ზემოთწარმოდგენილი დასკვნის გათვალისწინებით უარსაყოფია ის აზრიც, რომ ილიას საქმეზე ძიება შეგნებულად არ გავიდა შემკვეთებზე, აქაოდა, ჟანდარმერიას არ აწყობდა ესო.

კი მაგრამ, თავიანთი გენერლების მკვლელთა შემკვეთებზე გასვლაც არ უნდოდათ? დაბალი თანამდებობის პირებზე რომ არაფერი ვთქვათ (1905 წლის თებერვლიდან 1906 წლის მაისამდე მოკლულია 136 ოფიციალური პირი), მთავრობის ყველაზე ერთგული გენერლის ალიხანოვ-ავარსკის ვერც დამჭრელები აღმოაჩინეს, (როგორც გითხარით, დაჭრეს ქუთაისში ბოლშევიკებმა), მათი გვარები მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გამოქვეყნდა, და ვერ იპოვეს ვერც მისი მკვლელობის შემკვეთები. ალიხანოვ-ავარსკი მოკლეს ლენინაკანში დაშნაკებმა.

ასე რომ, საიდუმლო ანგარიშიდან ამოღებული ეს ერთი ფრაზა – **„მთავრობამ ვერ აღმოაჩინა თბილისში არსებული მთავრობის საწინააღმდეგო პარტიათა ცენტრალური კომიტეტი“**, მრავლისმეტყველია. მშვენივრად იცოდნენ კომიტეტი რომ იქნებოდა ამა თუ იმ ტერაქტის შემკვეთი, მაგრამ თვით კომიტეტი იყო გასაიდუმლოებული.

როგორ ახერხებდა კომიტეტი ამას?

საიდუმლოდ დარჩენის რამდენიმე ხერხი არსებობდა.

1) არათუ კომიტეტის, არამედ პარტიისათვის სხვა მნიშვნელოვანი წევრებიც 1906 წლის, ანუ რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ვალდებულნი არიან იცხოვრონ პარტიული მეტსახელებით, მაგალითად, საიმონ სებაგ მონტეფიორე ჩამოთვლის ათეულობით ე.ნ. „კლიჩკას“ და გვარს, რომელსაც ატარებდა ი.ბ. სტალინი. როცა მაგ. ის 1908 წლის 25 მარტს დააპატიმრა ბაქოს პოლიციამ. საბუთებით იყო გაიოზ ნიჟარაძე მაღლაკიდან. თითქმის ყველა დაპატიმრების დროს მას სხვადასხვა გვარი აქვს.

უფრო მეტიც. ერევნის მოედნიდან 250 000 მანეთის წაღების შემდეგ მთელი იმპერია ეძებდა ცნობილ ტერორისტს კამოს. კამო გერმანიაში დააპატიმრეს სხვა გვარით. (წასვლისას პასპორტი ათხოვა სამეგრელოს მთავართა შთამომავალმა კოკი დადიანმა)... პოლიცია კი კვლავ კამოს ეძებს, რომელიც სულ სხვა რევოლუციონერი ჰგონია. დიდი ხნის ძებნის შემდეგ, გამცემის წყალობით გაიგეს, რომ გერმანიაში პატიმრობაში მყოფი პირი იყო კამო, იგივე პეტროსიანი.

სტალინი 1907 წლის აპრილში ჯერ ლენინთან საიდუმლო შეხვედრაზე და იქიდან მე-5 ყრილობაზე წავიდა ივანოვიჩის მეტსა-

ხელით. ყრილობის შემდეგ 1 კვირით პარიზში მიდის და იქიდან თბილისში ბრუნდება ახლადგარდაცვლილი სიმონ ლეჟავას პასპორტით...

ე.წ. „კლიჩკებით" და სხვა გვარ-სახელებით ცხოვრება იმდენად ჩვეულებრივი წესი იყო, რომ 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა 10 წლიანი ემიგრაციიდან მიხა ცხაკაია დაბრუნდა, საზღვარზე გადმოსვლისას მექანიკურად ისევ მოგონილი გვარ-სახელი უთხრა მესაზღვრეებს...

2) პარტია ცხოვრობდა მასონური პრინციპით. დავალების მიმღები იცნობდა მხოლოდ დავალების მიმცემს, აქ წყდებოდა მისი ინფორმირებულობა.

3) გაცემის შემთხვევაში გამცემი ან მისი ოჯახი ისჯებოდა სიკვდილით.

4) პარტიის ხელმძღვანელობას აისბერგივით ჰქონდა ორი მხარე – ხილული და უხილავი.

როგორც პირი, ისე პარტია იყო ლეგალური და არალეგალური. მაგ, ლეგალურად, ვთქვათ, ი. ჯუღაშვილი იყო გაზეთ „დროს" გამომცემელი და იმავ ლეგალურ გაზეთში კო-ს (კობა) ფსევდონიმით ბეჭდავდა სტატიებს. მაგრამ იმავე გაზეთში შეიძლებოდა წაგეკითხათ ამბავი მომხდარი დანაშაულის, ვთქვათ, ბანკის ძარცვის შესახებ, რომელსაც თვით გაზეთის გამომცემელი, ცხადია, სხვა სახელით თავად ხელმძღვანელობდა.

პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელობა იყო, ხილულიც და უხილავიც. მაგალითად, ყველამ იცოდა ვინ იყვნენ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები, მაგრამ არავინ იცოდა ვინ იყვნენ ცენტრალური კომიტეტის წევრები, მიუხედავად იმისა, რომ ფრაქციისა და ცენტრალური კომიტეტის წევრი, ორი სხვადასხვა სახელით, ერთი და იგივე პირიც ყოფილიყო.

ასეთია არასრული სურათი იმ კონსპირაციისა, რომლის გამოც მთავრობა ჩიოდა ცენტრი ვერ აღმოვაჩინეთო.

მაგრამ 1921 წლის შემდეგ ეს დამალული აღარ იყო. ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ იმ ბოლშევიკთა გვარები, რომელნიც ბოლშევიკურ ფრაქციას ხელმძღვანელობდნენ საქართველოში 1907 წლის ზაფხულში და რომელთაც ილიას მკვლელობას მისცეს დასტური.

თავი X

ლენინ-სტალინის როლი ილიას მკვლელობაში

ლენინი

ამიერკავკასიის მთავარი კომიტეტი, როგორც საზოგადოდ პარტიის, ისე ბოლშევიკთა და მენშევიკთა ფრაქციებისა, ძირითადად დაკომპლექტებული იყო ქართველებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში მუშათა მცირერიცხოვანი რაოდენობა იყო, ვთქვათ, ბაქოსთან შედარებით, ამიერკავკასიაში პროლეტარიატის პარტიის მექად მაინც თბილისი იქცა. ლენინი იძულებული გახდა V ყრილობის შემდეგ ქართველი ბოლშევიკებისათვის დაევალებინა, ბაქოში გაეშალათ მუშაობა, სადაც ნამდვილად იყო პროლეტარიატი და ამიტომ მიაშურებს 1907 წლის ზაფხულ-შემოდგომიდან ყველამ ბაქოს.

იყო სხვა მიზეზიც. თბილისში, როგორც ამიერკავკასიის ცენტრში უფრო ძლიერი იყო ხელისუფლება და ბოლშევიკებს აქ აღარ დაედგომებოდათ. მთავარი კი ის იყო, რომ ნავთობის წყალობით ბაქო მილიონერების ქალაქად ქცეულიყო და საყაჩაღოდ დიდ ასპარეზს წარმოადგენდა. კიდევ ერთი, ბოლშევიკებმა თბილისში ისედაც ვერ გაშალეს ფრთები.

მენშევიკებისაგან განსხვავებით, მათ 1907 წლისათვის არც თანამგრძნობი ჰყავდათ ბევრი, სულ 500-მდე მხარდამჭერს ითვლიდნენ მთელ საქათველოში. არც ავტორიტეტები ჰყავდათ.

თუ პირველ სათათბიროში სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის თავმჯდომარე ქართველი მენშევიკი ნოე ჟორდანია იყო,

თუ მე-2 სათათბიროში ფრაქციის თავმჯდომარე ქართველი მენშევიკი კაკი წერეთელი იყო (გიორგი წერეთლის ვაჟი, სახელგანთქმული ორატორი),

თუ მე-3 და მე-4 სათათბიროში (და სხვა სათათბირო აღარც არჩეულა) ფრაქციის თავმჯდომარე ქართველი მენშევიკი კარლო ჩხეიძე იყო, ბოლშევიკები იქ რიგითი წევრების გაყვანასაც კი ვერ ახერხებდნენ.

მაშ რაში იყო ქართველი ბოლშევიკების ძალა? – შეიარაღებულ ფორმირებებში და ტერორში, ამით სცემდნენ ისინი შიშის ზარს ყველას. „სტალინის აზრით, მას ლენინის შემდეგ ყველა სხვა დელეგატთან შედარებით უპირატესობა ჰქონდა: **ყველა ამ ყბედს შორის მხოლოდ მე მქონდა შეიარაღებული ჯგუფების ორგანიზები-**

სა და მართვის გამოცდილება;" – იკვეხნიდა ის. (იხ. საიმონ სებაგ მონტეფიორე, „ახალგაზრდა სტალინი", თბ. 2009წ., გვ. 155)

ბოლშევიკებს არ ირჩევდნენ არათუ სათათბიროში, არამედ ისინი ვერ გავიდნენ 1907 წელს თავისივე პარტიის მე-5 ყრილობის დელეგატებადაც კი. ამიტომ მათი არჩევა ყრილობის დელეგატებად მოხდა მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით. (ლონდონის ყრილობაზე გადამწყვეტი ხმის უფლებით მხოლოდ სტ. შაუმიანი ყოფილა არჩეული ბორჩალოდან)

აი, ამ არჩევნების შედეგად ვგებულობთ, ვინ იყვნენ მაშინ თბილისში მთავარი ბოლშევიკები.

ბერიასაგან გაყალბებულ პარტიის ისტორიას ვერ დავეყრდნობით, ამიტომ წავიკითხოთ მიხა ჩოდრიშვილის მემუარები. აი, რას წერს ის: „1907 წელს ჩემს ბინაზე მიხეილის ქუჩაზე (შემდეგ პლეხანოვის, ამჟამად აღმაშენებლის ქ. – ნ.გ.) მოეწყო ამხ. ბოლშევიკების კრება, ამის შესახებ თუ ვინ ამოგვერჩია ლონდონის სიეზდზე გასაგზავნად. კრებას დაესწრნენ: ამხ. მიხა ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. ჯუღაშვილი, ს. შაუმიანი, მ. ტოროშელიძე, ვ. ნანეიშვილი, ზ. ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე, მ. ჩოდრიშვილი, ასატ კახოიანი და სხვა ბევრი ამხანაგები, რომელთა გვარები აღარ მახსოვს.

ამ კრების დამსწრე ამხანაგების აზრთა გაცვლა – გამოცვლის შემდეგ, არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: **ქუთაისიდან ამხ. მიხა ცხაკაია, ტფილისიდან სოსო ჯუღაშვილი და ბორჩალოს მაზრიდან სტეფანე შაუმიანი და ასატ კახოიანი".** (იხ. მ. ჩოდრიშვილი, „ჩემი თავგადასავალი", თბ. 1927წ.) სხვათა შორის, ყრილობის დელეგატად საქართველოდან აირჩიეს მაქსიმ გორკიც.

ამ ჩამონათვალიდან ჩანს ვინ იყო მაშინ ბოლშევიკთა ელიტა, ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის გვაქვს მეორე უფრო მნიშვნელოვანი ჩანაწერი. კერძოდ, 1907 წელს ჟანდარმერიისათვის თვალის ასახვევად შექმნილა თბილისის ლიტერატურული ბიურო, რომელიც სინამდვილეში იყო ბოლშევიკების მთავარი კომიტეტი. ამ „ლიტერატურული ბიუროს" წევრები არიან **მიხა ცხაკაია, სოსო ჯუღაშვილი, ფილიპე მახარაძე, მიხეილ ბოჭორიძე, სტეფანე შაუმიანი, მიხეილ დავითაშვილი.** ბიუროს შემადგენლობას დაახლოებით ადასტურებს ძველი ბოლშევიკი ვიქტორ ნანეიშვილი: „თბილისში მე ჩამოვედი 1907 წლის იანვარში.

რა მდგომარეობაში დამხვდა ბოლშევიკური ორგანიზაცია? ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდნენ თვალსაჩინო მუშაკები კობა ჯუღაშვილი, სტ. შაუმიანი, მიხა ცხაკაია, მ. დავი-

დოვი, მ. ოკუჯავა და სხვა. **ბიუროში შედიოდა 6-7 კაცი".** ("რევ. მატიანე" 1928წ. №1)

ი. ჯუღაშვილი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. ბოჭორიძე, სტ. შაუმიანი, მ. დავითაშვილი.

აი, ეს არის მთავარი კომიტეტის ის შემადგენლობა, რომელიც 1921 წლის შემდეგ გახდა ცნობილი და რომელიც თავის დროზე მეფის მთავრობამ ვერ აღმოაჩინა.

აი, ეს არის მთავარი კომიტეტის ის შემადგენლობა, რომლის მითითებითაც დუშეთის რაიონულ კომიტეტს ის ავადსახსენებელი ბეჭედდარტყმული დადგენილება უნდა მიეღო. (სავარაუდოდ, ამ სიიდან შეიძლება ამოირიცხოს მ. ცხაკაია, რომელიც აპრილის ბოლოდან 10 წელი საქართველოში აღარ ყოფილა).

ეს არის დასკვნა მიზეზ-შედეგობრივი ლოგიკიდან გამომდინარე.

კვლავ გავიმეორებ.

1) ის, რომ ტერაქტს აწყობს ტერიტორიული პრინციპით რაიონული ორგანიზაცია, ამას ადასტურებს მრავალი ბოლშევიკის მოგონება. კონკრეტული სტრუქტურის შესახებ თქვენ უკვე წაიკითხეთ იმჟამინდელი ტერორისტის არშაკ მემრაბიანცის წერილში – „როგორ მოკლეს გენერალი გრიაზნოვი 1906 წელს."

2) ის, რომ 1907 წლის მაისის შემდეგ რაიონულ ორგანიზაციას აღარ ჰქონდა დამოუკიდებლად ამის გაკეთების უფლება შეგიძლიათ წაიკითხოთ 1907 წლის 2 სექტემბრიდან წლის ბოლომდე მენშევიკების გაზეთ „ჩვენი გზის" თითქმის ყოველ მეორე ნომერში.

3) ის, რომ მთავარი კომიტეტის წევრი ი. ჯუღაშვილი არათუ განიცდიდა რაიონული კომიტეტის „გადაწყვეტილების" „შეცდომას", არამედ არაპირდაპირ თავად იყო ილიას მკვლელობასთან დაკავშირებული, შეგიძლიათ წაიკითხოთ მისი ძველი მეგობრის იოსებ ირემაშვილის გერმანიაში გამოცემულ წიგნში – **„სტალინი და საქართველოს ტრაგედია"** (ბერლინი, 1931წ. თავი XII).

4) ის, რომ მთავარი კომიტეტის წევრმა ფილიპე მახარაძემ არათუ დაგმო ქვემდგომთა „მცდარი გადაწყვეტილება", არამედ 7 სექტემბრის სოციალ-დემოკრატების კრებას, (მენშევიკ-ბოლშევიკების კრებას) ერთი ხმის უპირატესობით დადგენილება გამოატანინა, არ მიეღოთ ილიას დაკრძალვაში მონაწილეობა, არ გაეგზავნათ არავითარი გვირგვინი, შეგიძლიათ წაიკითხოთ იმდროინდელი აქტიური სოციალ-დემოკრატის ვლასა მგელაძის წიგნში „მოგონებები" (პარიზი, 1972წ. გვ. 97)

5) ის, რომ ბახვის კრებაზე ითქვა ილიას მკვლელობაზე დავალება პარტიის **ცენტრალური კომიტეტიდან** მოდისო, ეს დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ თვით პ. გუგუშვილის წიგნში – „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა" (თბ. 1938წ.)

ვინ იყო იმ დროს ქართველ ბოლშევიკთა შორის მთავარი ფიგურა? ყველაზე პოპულარულები იყვნენ მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე, მაგრამ ყრილობის შემდეგ ცხაკაია დარჩა ლენინთან საზღვარგარეთ, ჟენევაში. 10 წელი ის საქართველოში აღარ ჩამოსულა.

საქართველოში პირველ ბოლშევიკად იქცა 28 წლის სოსო ჯუღაშვილი. მართალია ფილიპე უფრო პოპულარული იყო, მაგრამ პარტიაში პირველობა პოპულარობას არ მოაქვს.

6) მახარაძისაგან განსხვავებით, სტალინი 1905 წლიდან უკვე პირადად იცნობს ლენინს. ყრილობის წინ შეხვდა საიდუმლოდ. ყრილობის შემდეგ კამოს ხელით უგზავნის ერევნის მოედნიდან წამოღებულ უზარმაზარ თანხას. სტალინს უკვე უწოდებენ კავკასიის ლენინს და (თვით ლენინმა შეარქვა მგზნებარე კოლხიდელი) რაც მთავარია, არის ლენინის დამფინანსებელი. (ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, ნაძარცვ ფულს თავად არ იტოვებდა).

ზოგჯერ დეტალი ძალიან ბევრს ამბობს. მაგ. ტერორისტი მონასელიძე იხსენებს, იმ პერიოდში ჯუღაშვილმა, რომლის თანარედაქტორი იყო ფილიპე, როგორ დაუთათხანა ფილიპეს და კბილების ხრჭიალით უთხრა – გაზეთისთვის შეპირებული მასალა რატომ არ დაწერეო... სიტყვასიტყვით ასე წერს: „კარგად მახსოვს, როგორ დაავალა სოსომ მახარაძეს (თავის თანარედაქტორს) ორი სტატიის დაწერა. (ლაპარაკია 1907 წელზე, ნ.გ.) მახარაძე დილის 9 საათზე უნდა მოსულიყო, მაგრამ მხოლოდ მეორე დღეს გამოჩნდა და თქვა, რომ ჯერ არაფერი დაუწერია. ამ დროს სოსო შემოვიდა და იკითხა, რატომ არ ვიწყებდით გაზეთის გამოცემას. მე მიზეზი ვუთხარი. **კბილები გააღრჭიალა, სიგარეტს მოუკიდა და მახარაძეს ეჩხუბა.** მერე ჯიბიდან სტატიები ამოიღო და გაზეთში ისინი ჩავსვით".

ყოველივე ამას გიამბობთ იმის გამო, რომ ხშირად ისმის კითხვა, ვინ იყო მაშინ ახალგაზრდა სტალინი, რა შეეძლო მას? აი, ბატონო, ვინ იყო, უფრო მაღლა მდგომი ვიდრე თვით ფილიპე. ის კი არა, როგორც იმუამად ემიგრაციაში მყოფი, ძველი ბოლშევიკი, მწერალი დავით სულიაშვილი წიგნში „დღენი ჩემი ცხოვრებისა"

იგონებს, სოსოს საშინელი აღშფოთება გამოუთქვამს მიხა ცხაკაიას საზღვარგარეთ დარჩენის გამო, ანუ ის უკვე ცხაკაიაზე მეტადაც გრძნობს თავს.

მთავარი კი უანდარმერიის ჩანაწერებია, რომლის მიხედვით ჯერ კიდევ 1904 წელს გადასახლებიდან გამოქცეული ს. ჯუღაშვილი ქართველ ბოლშევიკთა მეთაურად იხსენიება.

შორს წაგვიყვანს. ბევრი ჩანაწერის მოყვანა შეიძლება. ძირითადი ის არის, რომ შეიარაღებულ ფორმირებებს ხელმძღვანელობს კობა. ძალა არის მის ხელში. ახლა მკითხველმა განსაჯოს, ვინ არის იმ დროს ქართველ ბოლშევიკთა მთავარი ფიგურა? ტერორისტი ბაჭუა კუპრეიშვილი იხსენებს – **„სტალინის ინიციატივითა და ბრძანებით ჩამოყალიბდა მუდმივი შეიარაღებული ბანდა. ჩვენ გვევალებოდა იარაღის შოვნა, ციხიდან გაქცევის ორგანიზება, ბანკებისა და არსენალების გაძარცვა და მოღალატეების დახოცვა"**. ეს მოგონება ეხება ჯერ კიდევ 1907 წლამდე პერიოდს.

ერთი სიტყვით, იმ დროს სტალინი იყო ის ფიგურა, რომლის დავალებით ან რომელთან შეთანხმებით ხდება ყველა პარტიული ტერაქტი ან ექსპროპრიაცია.

და მაინც, ვიღაც ფიქრობს, რატომ გაწირავდა ის კაცი ილიას, რომლის პირველი ლექსები სწორედ ილიამ დასტამბა „ივერიის" ფურცლებზე? ვისურვებდი, დაფიქრდეს შემდეგზე: საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, 4 წლისა და 1 თვის განმავლობაში სარევოლუციო ტრიბუნებმა სიკვდილით დასაჯეს 19 000 კაცი.

XVIII საუკუნის ინგლისში, ელისაბედის მეფობის 45 წლის მანძილზე, სიკვდილით დასაჯეს 18 000 კაცი.

მე-19 საუკუნეში იმავე ინგლისში 1810-1826წ.წ. სიკვდილით დაისაჯა 15 652 კაცი.

მე-19 საუკუნის ბოლოს მონაცემები კლებულობს. მაგ. ინგლისში 1888 წელს 36 განაჩენიდან სისრულეში მოიყვანეს 22. საფრანგეთში 1881-1890 წლებში სულ 84 განაჩენიდან აღასრულეს მხოლოდ 4. თვით რუსეთში მხოლოდ პოლიტიკურ დანაშაულზე 1868-1891 წლებში 134 განაჩენი გამოიტანეს. 1891-1900 წლებში 126 განაჩენი (მონაცემები იხ. ჟურნ. „კატორღა და ციმბირი", 1924წ. №1 გვ. 48)

XX საუკუნეში სტალინის ზეფობის პირველსავე წელს მცირერიცხოვან საქართველოში მხოლოდ 1924 წელს სიკვდილით დასაჯეს 15 000 კაცი.

ეპოქების და მშრალი ციფრის შედარებისას გამოკვეთილ ტრაგიკულ შინაარსს, გაგრძელება აღარც კი უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ სამწუხაროდ სჭირდება ამ ყიამეთგამოვლილ საქართველოში.

კი, ჯუღაშვილმა იცოდა ილიას ფასი, მაგრამ სიყვარულით მას თავისი პირველი თანამეცხედრე უყვარდა. იმდენად უყვარდა, რომ სწორედ 1907 წლის ნოემბერში, როცა მის ახალგაზრდა ცოლს, სვანიძის ქალს მარხავდნენ, ჯუღაშვილი კუბოს ჩაყვა და ზევით ძლივს ამოათრიეს. (სხვათა შორის, ამ ამბავს ზემოხსენებული იოსებ ირემაშვილი იხსენებს, რომელიც საფლავზე სტალინის გვერდით იდგა და ასევე გერონტი ქიქოძე). მერედა, განა ამ სიყვარულმა ხელი შეუშალა იმაში, რომ, როცა საჭიროდ ჩათვალა, მთელი ოჯახი დაეხვრიტა მეუღლისა? არც მეორე ცოლი ალილუევა სძულდა. იმის ოჯახის წევრებიც დახვრიტეს.

ამ ფაქტების შემდეგ (ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანის დახოცვას რომ თავი დავანებოთ, სოლჟენიცინი სულაც 110 000 000-ს ასახელებს ლენინ-სტალინის პერიოდში, ეს ხომ მისთვის სტატისტიკა იყო) რატომ არ დავიჯეროთ ეს სიტყვები, რომელიც მონტეფიორეს მოჰყავს თავის წიგნში? კამენევმა სტალინს მაკიაველის „მთავარი" მისცა, რაც ნაკლებად კეთილგონივრული საჩუქარი იყო იმისთვის, ვისაც ისედაც მაკიაველისტური ბუნება ჰქონდა. ხმაურიან სადილზე კამენევმა ყველას სთხოვა, მათ ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიამოვნების შესახებ მოეყოლათ. ზოგიერთმა ქალები დაასახელა. შემდეგ სტალინის ჯერი დადგა და თქვა: **„ჩემთვის უდიდესი სიამოვნება მსხვერპლის შერჩევა, უმონყალო შურისძიების სწრაფი დაგეგმვა, განხორციელება და შემდეგ მშვიდად დაძინებაა".**

დაბოლოს, **„გადახანით საქართველო"**, – ეს ხომ სტალინის ფრაზაა შავით თეთრზე დაწერილი?

არა, თუ დასჭირდებოდა ილიას რატომ ვერ გაწირავდა? ცალკეულ მკვლევართა აზრი შესახებ იმისა, რომ სტალინი ილიას მკვლელობის დროს ბაქოში იყო, არაფერს ნიშნავს. ასეც რომ ყოფილიყო, არანაირ ალიბს ეს არ წარმოადგენს.

ალიბი მაშინ იქნებოდა, ვინმე რომ წერდეს, ბერდენკა პირადად მას ეკავა ხელშიო.

გადაწყვეტილების მიღება ბაქოშიც შეიძლებოდა. ესეც არ იყოს, სტალინი ყრილობის შემდეგ საქართველოში სწორედ 4 ივნისს დაბრუნდა. ის პირადპირ ბაქოში არ ჩასულა, მიუხედა-

ვად იმისა, რომ მისი ბიოგრაფები ამას მალავენ, ფაქტია, რომ მეუღლე სწორედ ზაფხულში წაიყვანა თბილისიდან ბაქოში. ის აქ იყო ივნისში კამოს მიერ 250 000 მანეთის გატაცების დროს. ტერორისტ კუპრეიშვილის ცნობით ამ ძარცვაშიც მონაწილეობდა.

ჩვენ არანაირი ინტერესი არ გვაქვს სტალინის დადანაშაულებისა ილიას მკვლელობაში, მაგრამ მისი გამორიცხვა მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება, თუ ის არ იყო ფილიპესთან, ცხაკაიასთან, ბოჭორიძესთან, შაუმიანთან, დავითაშვილთან ერთად მთავარი კომიტეტის წევრი, ხოლო ცხაკაიას შემდეგ, მთლად ამ კომიტეტის ლიდერი... ფაქტია, რომ იყო. ფაქტია ის, რომ პარტიული მკვლელობა მთავარი კომიტეტის ორგანიზებით ხდებოდა, განსაკუთრებით V ყრილობის შემდეგ. ამ მთავარ კომიტეტს კი ჯუღაშვილი ხელმძღვანელობდა.

მაგრამ არის ერთი მაგრამ, რასაც ახლა მოგახსენებთ, ეს ჩვენი აზრია და არა ფაქტი. არც სტალინს, არც მახარაძეს და მათი კომიტეტის არც-ერთ წევრს, ძალიანაც რომ სდომოდათ, ილიას მოკვლა იმჟამად ხელს არ აძლევდათ. 13 ივნისის ექსპროპრიაციის შემდეგ, სტალინის პარტიიდან გარიცხვის საკითხის დასმის შემდეგ, და იმის გათვალისწინებით, რომ ოქტომბერში მე-3 სათათბიროს არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, ილიაზე ხელის აღმართვა პოლიტიკურ თვითმკვლელობას ნიშნავდა. ამას მიხვდნენ მენშევიკები. ამიტომ იყო მათი ყოველდღიური გაზეთის – „ჩვენი გზა", თითქმის ყველა ნომერი პირველ გვერდზე რედაქციის სამგლოვიარო განცხადებას რომ ბეჭდავდა.

ამიტომ იყო, ბოლშევიკებისგან განსხვავებით, თბილისის მთავარი კომიტეტის დადგენილებას რომ არ დაემორჩილენ და დაკრძალვაზე სიტყვაც წარმოთქვეს კარლო ჩხეიძემ და ვლასა მგელაძემ.

ამიტომ იყო მენშევიკები გააფრთებულნი რომ იცავდნენ თავს და იცავდნენ ბოლშევიკებსაც – ილია ჩვენ არ მოგვიკლავსო... სულ მალე არჩევნებზე გასვლა ელოდათ.

მაშინდელი ქართული საზოგადოების სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ილიას მკვლელობიდან თვე ნახევრის შემდეგ მე-3 სათათბიროს არჩევნები ისევ სოციალ-დემოკრატებმა მოიგეს!

და მიანც, თუ ბოლშევიკებმა 1905 წელს ვერ მოჰკლეს ილია, მხოლოდ იმის გამო, უცხოეთში სახელი გაგვიტყდება, რადგან უცხოეთში ილიას დემოკრატად და დიდ მწერლად იცნობენო, გა-

ნა სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევის შემდეგ უცხოეთში უფრო ცნობილი არ გახდა ჭავჭავაძე?

ახლა რატომ გაეხვია პარტია ამ სკანდალში?

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს იყო შურისძიება მე-2 სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის გამო, როცა სოციალ-დემოკრატთაგან ბევრი დაპატიმრებულ იქნა კიდეც. აკი წინასწარ იმუქრებოდნენ, - ამონარიდი ერთი წერილიდან – **„შეთქმულება მზადდება"**: „თავად-აზნაურობას უნდა დუმის გარეკვა. რუსეთის სახელოვან წოდებას ამ მზადებაში ერთი რამ ავიწყდება. სახელდობრ ის, რომ მათი გულმოდგინების წყალობით ხელახლა დაბერავს **მათი გამანადგურებელი, დღეს მიწყნარებული რევოლუციის გრიგალი.** მაშ, დაე, ეცადნონ თავად-აზნაურებმა". (გაზ. „ლახვარი", №2, 1907წ. 9 აპრილი).

ილია თავადი იყო და თან სახელმწიფო საბჭოს წევრი, საბჭოში ახლოს იყო კადეტებთან, რომლებსაც ამ მუქარის ავტორები მიიჩნევდნენ სათათბიროს გარეკვის ინიციატორებად. მაგრამ სათათბიროს გარეკვისა და მისი წევრების დაპატიმრების გამო, არა მგონია, ილიაზე ეძიათ შური. ჯერ ერთი, პირადად ილია სათათბიროს გარეკვასთან რა კავშირში იყო და მეორეც, მაშინ შური მენშევიკებს უნდა ეძიათ, რადგან ამ ორგანოში ისინი მოღვაწეობდნენ და სათათბიროს დათხოვნის შემდეგ ისინი დაიჭირეს.

ჩემის ფიქრით, ბოლშევიკები ამჯერადაც იმ კაცთან შეთანხმდნენ, ან იმ კაცის დავალება მიიღეს, ვის შესახებაც 1870 წლის მოვლენების აღწერისას ვწერდი, სწორედ ამ წელიწადს დაიბადა ილიას მთავარი მკვლელი – მეთქი. ეს იყო ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი – ლენინი!

შემთხვევითი არ არის, რომ ილია საქართველოში დიდი თანამდებობის პირთაგან ბოლშევიკების უკანასკნელი მსხვერპლი იყო მანამ, ვიდრე ბოლშევიკები საბოლოოდ არ გაეთიშნენ მენშევიკებს. (თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1908 წელს ეგზარხოს ნიკონის დღემდე იდუმალებით მოცულ მკვლელობას. თუმც ეს მკვლელობა, სავარაუდოდ, პირადი შურისძიების ან იდეოლოგიურად ნიკონის მიუღებლობის გამო უნდა განხორციელებულიყო სემინარიის მასწავლებლის ნიკოლოზ ნამორაძის მიერ. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ ნიკონის მკვლელობის გამო ეჭვი რამდენიმე სასულიერო პირზე იქნა მიტანილი ძიების მიერ, მათ შორის ამბროსი ხელაიაზე, როგორც ნიკონის მოწინააღმდეგეზე. მას მსჯავრიც კი დასდეს და რიაზანის სამების მონასტერში გაგზავნეს

„გამოსასწორებლად". ამ დროს ერთადერთი იყო ყოფილი მღვდელ-მონაზონი ნამორაძე როგორც ეჭვმიტანილი, რომელიც საზღვარგარეთ გაიქცა და მხოლოდ 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში)...

მე-5 ყრილობამ ექსპროპრიაცია და თვითმოქმედება კი აკრძალა, მაგრამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა კლასთა ბრძოლის უარმყოფელებს და ნაციონალისტებს. ეს რეზოლუცია პირადად ლენინის ხელით დაიწერა.

ვინ უარყოფდა კლასთა ბრძოლას საქართველოსა და რუსეთში?

საქართველოში ყველაზე დიდი ავტორიტეტი იყო ილია ჭავჭავაძე, რუსეთში ლევ ტოლსტოი. ერთისთვისაც კლასთა ბრძოლის თეორია კუდიანების თეორია იყო და მეორესთვისაც.

ორივე ერთნაირ დღეში ჰყავთ რევოლუციონერებს იმ აზრით, რომ ფულს ორივესგან მოითხოვენ. ილია არ აძლევს, არ აქვს ეს ფული. ტოლსტოი გაზეთით გამოუცხადებს, მე დიდი ხანია საკუთრებაზე ხელი ავიღე, თუ ეს ტყუილი გგონიათ, ასეთი მატყუარის ფული რად გინდათო. (ტოლსტოისებური გენიალური გულუბრყვილობა).

ქართველმა ბოლშევიკებმა ილია მოკლეს, ერთი თვის შემდეგ რუსებმა ტოლსტოი ვერ გაიმეტეს, მაგრამ მის სახლს თოფები დაუშინეს.

ვინ იყო ყველაზე დიდი ნაციონალისტი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, საქართველოში? – ილია ჭავჭავაძე.

კადეტებსა და პოლონელ ნაციონალისტებს ლენინი დუჟმორეული ახსენებდა ყრილობაზე და მათთან დაუნდობელ ბრძოლას ითხოვდა. ილია სახელმწიფო საბჭოში სწორედ კადეტებთან, ნაციონალისტებთან ერთად მოღვაწეობდა. არცერთი ქვეყნის სოციალისტი, თავისი სამშობლოს ნაციონალურ ლიდერს სასიკვდილოდ არ იმეტებდა და არც თავისი ქვეყნის სეპარატისტულ მისწრაფებებს ებრძოდა ისე თავგამეტებით, როგორც ამას ქართველი ბოლშევიკები სჩადიოდნენ. ქართველმა ბოლშევიკებმა ვალი მოიხადეს ახალი დროის ჩინგიზ ხანის, სიბირსკელი ულიანოვის წინაშე და დიდი ალბათობით სწორედ მასთან შეთანხმებით თავიდან მოიცილეს ქართული ნაციონალიზმის მედროშე.

ჩვენ ამის დოკუმენტი არ გვაქვს, ეს დასკვნა მხოლოდ ლოგიკას ემყარება, მაგრამ თუ ქართველმა ბოლშევიკებმა ცენტრალურ კომიტეტში მათი მფარველისაგან ან შეკვეთა ან დასტური არ მიიღეს და თავად გამოუტანეს განაჩენი ილიას, კიდევ უარესი ფაქტებისათვის.

თუმცა, როცა ვამბობთ, ქართველმა ბოლშევიკებმა, მგონია, რომ ვცოდავთ სიტყვა „ქართველის" წინაშე. ესენი ხომ თავად უარყოფდნენ ქართველობასაც და საქართველოსაც როგორც სამშობლოს. 10 წელიწადი ბოლშევიკების უხუცესმა ბელადმა მიხა ცხაკაიამ უცხოეთში გაატარა. მოხდა მისი საოცნებო რევოლუცია და უკან ბრუნდება.

კითხვაზე, სამშობლოში მიდიხართო? – ის პატიოსნად პასუხობს.

– მე მივდივარ კოსმოსის ერთი წერტილიდან მეორეში!..

ამათთვის საქართველო, სამშობლო, კოსმოსის ერთი წერტილი იყო.

ილიასთვის – სიცოცხლე და ბედისწერა.

ეს ბედისწერა ზოგჯერ გათქმევინებს, – **„მაშა რაისათვის ცოცხალ ვართ?" და თავს გაგაწირვინებს.**

კოსმოსის მხოლოდ ერთ წერტილად სამშობლოს შეგრძნება კი ცხოვრებას გიიოლებს, დედის ვალიდან გათავისუფლებს.

წამკითხველო, „შენა გწადს აწ რომელითა?"

ბოლოთქმა

როცა დიდი ილიას სულიერ მემკვიდრეს ივანე ჯავახიშვილს კრძალავდნენ, შემთხვევით თბილისს ხევსურნიც ყოფილან. დამწუხრებულ ზღვა ხალხის დანახვაზე, გაოცებულებს უკითხავთ, ვის გლოვობს ქართველი ერიო?

აუხსნეს.

მაშ, ჩვენი მეფე მომკვდარაო, თქვეს ხევსურებმა. მივიდნენ და თავთით დაუდგნენ ცხედარს. შინსახკომელებს უთქვამთ, აქ გაჩერება არ შეიძლებაო.

არც გაჩერებულან...

იქიდან რომ არ დაეთხოვათ, ხევსურები შეუჩერებლივ გარს უვლიდნენ ძვირფას ნეშტს.

ერთი ემიგრანტი პოეტის არ იყოს, იმ მთის ჯვაროსნებივით მუდმივ უნდა ვიაროთ ილიას გარშემო. აწ უკვე დედა ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილ მგოსნის ირგვლივ.

ვილაც მადლიანს ერთ ფოტოსურათზე ილია ასე აღუბეჭდავს –

მოძღვარი ერისა განმარტოებით დგას, ხელი შეუმართავს და საჩვენებელი თითით ვილაცას უხმობს.

ის გვიხმობს ჩვენ უკეთესი საქართველოსთვის!..

სარჩევი

თავი I
ილიას წუთისოფელი (1837-1907) ტ.I. ტ.II - გვ. 4-270
1900 5
1901 27
1902 51
1903 69
1904 89
1905 111
1906 176
1907 214

თავი II
„მთაწმინდა გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს" 271

თავი III
ვინ იყო ილიას მკვლელობის შემკვეთი,
ორგანიზატორი და რისთვის? 316

თავი IV
ილიას მეორედ მოკვლის მცდელობა 371

თავი V
მოკლა თუ არა ჟანდარმერიამ ილია? 414

თავი VI
ილიას მკვლელობის პარტიული დადგენილება 471

თავი VII
ვინ იყო იდუმალი „იმერელი" ანუ ილიას მკვლელთა
ბანდის მეთაური? 479

თავი VIII
დუშეთის მაზრის ყველაზე საშინელი და მოუხელთებელი
ბოლშევიკ-ტერორისტი ანუ ბანდის მეთაური „იმერელი" 499

თავი IX
ილიას მკვლელობის პარტიული ორგანიზატორები 522

თავი X
ლენინ-სტალინის როლი ილიას მკვლელობაში 532

ISBN 978-9941-9183-0-8
ISBN 978-9941-9183-2-2 (ტომი-II)

ნოდარ გრიგალაშვილი

თანამდევი სული

(ილია და მისი ეპოქა)

რედაქტორი:
ივანე ამირხანაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნინო მაისურაძე, ლალი გაგრატიონი,
ლალი ლორია, ზურა მაჩაბელი

დამკაბადონებელი
გიორგი მაისურაძე

გამომცემლობა
„ახალი საქართველო"
თბილისი
2011 წ

ნოდარ გრიგალაშვილის სხვა წიგნები

1. „აღსავლის კართან“, 1987 წ. (ლექსები)
2. „იქმენინ ნათელი“, 1987 წ. (მონოგრაფია)
3. „ზრუხვის საგანი“, 1988 წ. (ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები)
4. „ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის საკითხები“, 1989 წ.
5. „ძიხეილ ჯაკახიშვილი“, 1989 წ.
6. „სამწუხარო პარალელები“, 1990 წ. (I-II გამოცემა, პუბლიცისტური წერილები)
7. „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“, 1990, 1995, 1999, 2003, 2005, 2006 წწ. (XX საუკუნის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო)
8. „ნიკო ლორთქიფანიძე“, 1995 წ.
9. „კონკურენცია ქართულად ანუ რამდენიმე სურათი და ეპიზოდი ყაჩაღების ცხოვრებიდან“, 1998 წ. (დოკუმენტური პიესა)
10. „ჩემი დარდი და ირონია“, 2003 წ. (კრიტიკა, პოლემიკა, პუბლიცისტიკა)
11. „ლექსები“, 2008 წ.
12. „ფეთჰულაჰ გიულენის ზნეობრივი გაკვეთილები“, 2010 წ. (სტამბოლი. თურქულ ენაზე), 2011 წ. (თბილისი. ქართულ ენაზე)